საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის
ეროვნული ბიბლიოთეკა
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული
კავშირის საქართველოს საზოგადოება
XX საუკუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

სპირიდონ კედიას პირადი არქივიდან

თბილისი
2007

უაკ (UDC) 329.17(479.22)+325.3(=353.1)+94(499.22)»19»
ჯ-221

წიგნში შესულია ცნობილი ქართველი მოღვაწის სპირიდონ კედიას პირად არქივში დაცული დოკუმენტების ნაწილი, რომელსაც ეროვნულ-საზოგადოებრივი ღირებულება გააჩნია.

სპირიდონ კედიას არქივი 2005 წელს პარიზიდან საქართველოში ჩამოიტანეს ისტორიკოსებმა ოთარ ჯანელიძემ და ალექსანდრე ნონეშვილმა.

რედაქტორი ალექსანდრე ნონეშვილი

შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები
დაურთო ოთარ ჯანელიძემ

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
მაია როსტომაშვილი და პაატა ახრახაძე

გამომცემელი: იურიდიული ფირმა

”ბონა კაუზა”

თბილისი, 2007 წ.

ISBN 978-9941-0-0211-3

რედაქტორისაგან

XX საუკუნის პირველი ნახევრის თვალსაჩინო ეროვნული და პოლიტიკური მოღვაწე სპირიდონ კედია იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და უცვლელი თავმჯდომარე. სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გამო და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, სპირიდონ კედია ბოლეშევიკურმა ხელისუფლებამ საქართველოდან გააძევა. ცხოვრების დარჩენილი წლები ერისთვის თავდადებულმა მოღვაწემ უცხოეთის ცის ქვეშ – ემიგრაციაში გაატარა.

წიგნში სპირიდონ კედიას მდიდარი პირადი არქივის მხოლოდ ის ნაწილი შევიდა, რომელსაც პოლიტიკური ან საზოგადოებრივი დატვირთვა გააჩნია და საქართველოს უახლესი ისტორიის შესწავლისას დოკუმენტურ პირველწყაროთა დანიშნულებას იძენს. წარმოდგენილი დოკუმენტები ქრონოლოგიურად 1923-1948 წლებს მოიცავს და ნათელს ჰფენს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწეობის ბევრ აქამდე უცნობ ფაქტსა და მოვლენას. წინამდებარე საარქივო დოკუმენტების გამოქვეყნებით სამეცნიერო ბრუნვაში დღემდე უცნობი ქართული ემიგრანტული მასალა შემოდის. იგი ერთგვარად შეავსებს XX საუკუნის საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის ბაზას და ხელს შეუწყობს ჩვენი ემიგრაციის ნაღვაწ-ნაამაგარის ობიექტურ წარმოჩენას.

წიგნი ძირითადად განკუთვნილია სპეციალისტებისათვის, მაგრამ იმედი გვაქვს, მას ინტერესით გაეცნობა ფართო მკითხველიც.

სპირიდონ კედია – ივერიის ერთგული გუშაგი

«... გავდივართ სოფლიდან ძველნი. ჩვენი თაობაც გათავდა, ხოლო თუ საქართველოში ახალ თაობას ჩვენი არა ესმის რა, მისი შემდეგი თაობა გაგვიგებს», _ ასე ეთხოვებოდა მიხაკო წერეთელი 1948 წლის მაისში საფრანგეთში გარდაცვლილ თავის მეგობარ სპირიდონ კედიას, რომლის ცხედარი ლევილის მიწას მიაბარეს.

უსაშველოდ გაიწელა დრო. ამ სიტყვების წარმოთქმიდან კიდევ ოთხი ათეული წელი გახდა საჭირო, რათა ტაბუდადებული ემიგრაციის შესახებ სამშობლოში პირველად გაეგონათ სიმართლე, ქართველ ემიგრანტთა სახელებს დავიწყების ბურუსი ჩამოცლოდა და მზის სინათლეზე წარმოჩენილიყო საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ეროვნულ მოღვაწეთა დიდი პლეადა. მათ შორისაა სპირიდონ მალხაზის-ძე კედია, _ რჩეული და ღირსეული მამულიშვილთაგანი, ვისი ხსენებაც არასოდეს შერცხვება თავისუფალ ქართველს, _ კაცი, რომლის სახელსაც საუკუნეთა გასწვრივ გაუსწორებენ მზერას. ამის საწინდარი სპირიდონ კედიას მაღალზნეობრივი ცხოვრება, მისი ნაღვაწი და ნააზრევია.

სპირიდონ კედიას ბედმა ილია ჭავჭავაძის გზის გაგრძელება არგუნა, ბრძენკაცის წამოწყებული საქმის – ჭეშმარიტად ქართული პოლიტიკური ძალის შეკავშირება და გაძღოლა დააკისრა. ეს ძალა საქართველოს ეროვნული დემოკრატია იყო, რომლის აღიარებულ თავკაცად სწორედ სპირიდონ კედია მოგვევლინა. მასვე წილად ხვდა ბედნიერება ასევე, ყოფილიყო აღდგენილ-განახლებული ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მესაძირკვლე და მისი აღმშენებლობის ქმედითი მონაწილე.

სპირიდონ კედია 1884 წლის 20 სექტემბერს ზუგდიდში, აზნაურ მალხაზ კედიას ოჯახში დაიბადა. მამით ადრე დაობლებულს, ცხოვრების გზა დედამ _ თეო ქუთათელაძემ გაუკვალა, ბავშვი ქართული ანბანის იდუმალებას აზიარა და 1893 წელს აღსაზრდელად ზუგდიდის ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებელში, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შეიყვანა.

ქუთაისში გატარებული წლები, განსაკუთრებით ცნობილი ქართველი პედაგოგის იოსებ ოცხელის ოჯახში ცხოვრება და მისი შეგირდობა პატარა სპირიდონისათვის პატრიოტული აღზრდის ჩინებული სკოლა გამოდგა. სპირიდონ კედიამ «რევოლუციური ნათლობა» მოწაფეობისას მიიღო, როცა 1904 წლის თებერვალში თანაკლასელებთან ერთად ხმა აღიმაღლა რუსეთ-იაპონიის ომის წინააღმდეგ. მომდევნო წელს გიმნაზიელ ჭაბუკს სიტყვა წარმოუთქვამს უკვე თბილისში გამართულ საპროტესტო მიტინგზე, რომელიც პოლიტიკური რეჟიმის სისასტიკეს და ხელისუფლების ძალმომრეობას ამხელდა.

საქართველოს თავისუფლების იდეის ერთგულებამ ჭაბუკი კედია თავიდან ფედერალისტურ პარტიას დააკავშირა, მაგრამ იგი არ იზიარებდა ამ პარტიის სოციალისტურ მიმართულებას, რის გამოც მისი და ფედერალისტების გზები მალევე გაიყარა.

1905 წელი იმპერიის მასშტაბით რევოლუციის ბობოქარი აზვირთებით აღინიშნა. მღელვარებამ ქუთაისიც მოიცვა და გიმნაზიის კედლებშიც შეაღწია. «პროკლამაციებს ისე ვწერდით, როგორც სასკოლო თემებსო», _ იგონებდა ტიციან ტაბიძე. გახშირდა შეკრებები, გაფიცვები, პოლიტიკური დემონსტრაციები და სხვ. სპ. კედია ამ მოძრაობის ხელმძღვანელთა რიგებში აღმოჩნდა, რისთვისაც სასწავლებლიდან გარიცხეს და ქალაქიდან გაასახლეს.

ზუგდიდში დაბრუნებული «მეამბოხე» გიმნაზიელი ახლა გლეხთა საპროტესტო გამოსვლების ორგანიზატორად იქცა და ჟანდარმერიის ყურადღება კიდევ ერთხელ მიიპყრო. ამჯერად მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და დაპატიმრების შემთხვევაში მძიმე სასჯელი არ ასცდებოდა.

სპირიდონ კედია დროებით სვანეთში მიიმალა, მერე ჩერქეზეთშიც გადავიდა, საბოლოოდ კი მეფის მთავრობის რისხვას თავი უცხოეთში გახიზვნით დააღწია. 1906 წლის შემოდგომაზე იგი უკვე საფრანგეთშია.

პარიზში მყოფი სპ. კედია თავდაპირველად კოლეჟ დე ფრანსის მსმენელი ხდება და ცოდნას ფრანგულ ენაში იღრმავებს. 1907 წელს ქართველი ახალგაზრდა სორბონის უნივერსიტეტში შედის და ძირითად სპეციალობად ბუნების შემსწავლელ მეცნიერებას ირჩევს.

სტუდენტი კედია, მართალია, ფულად შემწეობას ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოსგან იღებდა თვეში 25 მანეთის ოდენობით, მაგრამ ეს თანხა სრულიადაც არ იყო საკმარისი ევროპაში ნორმალური ცხოვრებისა და სწავლისათვის. ხელმოკლეობის მიუხედავად, სპირიდონი ბეჯითად მეცადინეობდა და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. მეორე კურსიდან, ჯანმრთელობის

გაუარესების გამო, იგი იძულებული გახდა სამხრეთ საფრანგეთში გადასულიყო, თუმცა სწავლას არც აქ ჩამოშორებია. ლექციებს ტულუზის უნივერსიტეტში ისმენდა, დამთავრებით კი მონპელიეს უნივერსიტეტი დაამთავრა. მერე ისევ სორბონში დაბრუნდა და ფიზიოლოგიაში დოქტორის ხარისხისათვის მუშაობას შეუდგა.

ილია ჭავჭავაძის სულიერ მემკვიდრეობაზე აღზრდილი სპირიდონ კედია შორეულ საფრანგეთშიც სამშობლოს ჭირ-ვარამზე ფიქრობდა, ცდილობდა, რამეში გამოდგომოდა თავის ქვეყანას. ამის დასტურია მისი საქმიანობა პარიზის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში, მისი წერილები იაკობ გოგებაშვილის, გიორგი ზდანოვიჩისა თუ არჩილ ჯორჯაძისადმი.

მოახლოებული მსოფლიო ომის წინ სპ. კედიამ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. მან იცოდა, რომ ეს სერიოზულ საფრთხესთან იყო დაკავშირებული და თადარიგიც დაიჭირა. მაგრამ რუსეთში გამოჩენისთანავე დააპატიმრეს და კრონშტატის ციხეში ჩასვეს. პეტერბურგის ქართული კოლონიის წევრების, მათ შორის ივანე ჯავახიშვილისა და სხვ. დიდი ძალისხმევა გახდა საჭირო, რომ ახალგაზრდა თანამემამულე საპყრობილედან გაენთავისუფლებინათ.

1914 წელს სპირიდონ კედია თბილისში ჩამოვიდა. ევროპაში გატარებულმა წლებმა მომავალ პოლიტიკოსს უმაღლესი განათლების გარდა ცხოვრებისეული გამოცდილებაც შესძინა. უკან დარჩენილიყო მისი ფედერალისტური გატაცებაც, რომელიც სამშობლოს განთავისუფლების ეროვნულ-პატრიოტულ სულისკვეთებას დაეძლია.

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზი იმხანად სოციალისტურ მიმდინარეობებს ჰქონდათ დაპყრობილი. ამ კოსმოპოლიტური მოძღვრების მიმდევარი ხალხი სპ. კედიას თანამოაზრედ ვერ გაუხდებოდა. საჭირო იყო ახალი ძალის შეკავშირება, რომლის გაერთიანების საფუძველი «მამულის სიყვარული და მსახურება», იმ ეროვნული საუნჯის დაცვა და მოვლა-პატრონობა იქნებოდა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ ღვთაებრივი ტრიადის – მამულის, ენისა და სარწმუნოების სახით გამოჰყო.

ქართველი მრეწველების აკაკი ხოშტარიას, ძმები ზუბალაშვილების, იოსებ დადიანისა და სხვათა თანადგომით, რომლებიც ცნობილი ქველმოქმედები და ეროვნულ საქმეთა დიდი გულშემატკივარნიც იყვნენ, სპირიდონ კედიამ განიზრახა ყოველდღიური გაზეთის გამოცემა, რაც მოკლე დროში რეალობად აქცია.

1915 წლის 24 მაისს თბილისში გამოსვლა იწყო პოლიტიკურმა, ლიტერატურულ-მხატვრულმა და ილუსტრირებულმა ქართულენოვანმა გაზეთმა, რომლის სახელწოდებად «საქართველო» შეირჩა. ახალი პერიოდული ორგანო 1912 წლიდან გამომავალ ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების ჟურნალ «კლდის» ბაზაზე დაფუძნდა. გაზეთმა «კლდის» ჯგუფის გარდა (რ. გაბაშვილი, შ. ამირეჯიბი, დ. ვაჩნაძე, შ. ქარუმიძე და სხვ.), ქართველი ინტელიგენციის ბევრი სხვა თვალსაჩინო წარმომადგენელი გააერთიანა. მათ შორის, შიო არაგვისპირელი, შალვა დადიანი, მიხეილ ჯავახიშვილი, კოტე მაყაშვილი, სანდრო ახმეტელი, რაფიელ ივანიცკი (ინგილო) და სხვ. რედაქტორობა პოეტსა და დრამატურგ სანდრო შანშიაშვილს მიენდო. «საქართველოში» თანამშრომლობდნენ ნიკო ნიკოლაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ვასილ ბარნოვი, ტიციან ტაბიძე...

ბევრს წერდა თვითონ სპირიდონ კედიაც. მის მოწინავეებსა თუ სხვა პუბლიკაციებს სათქმელის სიცხადე და პირდაპირობა, მიმზიდველი და დახვეწილი სტილი გამოარჩევდა. რაც მთავარია, ყველა წერილი შთაგონებული იყო სამშობლოს მაღალი იდეითა და ეროვნული ინტერესით. სპ. კედიას მიაჩნდა, რომ სამშობლო

უზენაესი ღირებულებაა, რომ «ყოველი ნაბიჯი, ყოველი დასაწყები საქმე ეროვნული თვალსაზრისით უნდა განიზომებოდეს: იგი უნდა იყოს გზისა და ხერხის მაჩვენებელი კანდელი».

გაზეთ «საქართველოს» ფურცლებზე სპ. კედიას რამდენიმე ათეული სტატიაა გაბნეული. ეს მასალა ქართველი ერის ცხოვრების მრავალ მხარეს ასახავს და მნიშვენლოვან წყაროს წარმოადგენს პირველი მსოფლიო ომისა და მისი შემდგომი პერიოდის საქართველოში განვითარებული მოვლენების შესწავლა-გაშუქებისათვის. ხსენებული პუბლიკაციების შეკრება და ცალკე წიგნად გამოცემა ერთობ საშური და სასარგებლო საქმეა. აქ მკაფიოდ წარმოჩნდება XX საუკუნის პირველი ათწლეულის ქართული პოლიტიკური ელიტის ერთი საუკეთესო წარმომადგენლის სპირიდონ კედიას საზოგადოებრივი და პოლიტიკური ნააზრევი.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაწერებში მკითხველი ბევრ საინტერესოს იპოვის. ვფიქრობთ, ზოგი რამის გათვალისწინება ხსენებული მემკვიდრეობიდან თანამედროვე სახელმწიფოებრივ აღმშენებლობასაც სასიკეთოდ წაადგება.

«საქართველო» მკაფიოდ გამოკვეთილ ეროვნულ-დემოკრატიულ გზას ადგა. ეს გზა და მისი თეორიული საფუძვლები ქართველ თერგდალეულთა ნააზრევში მომწიფდა და ჩამოყალიბდა. რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ილია ჭავჭავაძემ ამ მიმართულების პოლიტიკური პარტიის შექმნაც დააპირა. შედგა და გამოიცა მომავალი ორგანიზაციის პროგრამა, დაუბეჭდავთ წესდებაც, მაგრამ საქმე ამას იქით ვეღარ წავიდა. წამოწყება დაუსრულებელი დარჩა. ერის უგვირგვინო მეფის მუხანათურმა მკვლელობამ კი მისი განზრახვის ხორცშესხმა კიდევ უფრო შორს გადასწია. ეროვნულ-დემოკრატიზმი პოლიტიკურ პარტიად ვერ იქცა და არსებობას იდეური მიმდინარეობის სახით განაგრძობდა.

1909 წელს თბილისში ჟურნალ «ერის» გარშემო თავი მოიყარა ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების მძლავრმა გაერთიანებამ, რომელშიც შედიოდნენ: პ. სურგულაძე ნ. ლორთქიფანიძე, სვ. ყიფიანი, ს. მგალობლიშვილი, გ. გვაზავა და სხვ. 1912 წელს ეროვნულ-დემოკრატების მეორე სოლიდური ჯგუფი ჟურნალმა «კლდემ» შემოიკრიბა.

ამავე მსოფლმხედველობის ქუთაისელი მიმდევრები (ვ. წერეთელი, ი. ოცხელი, ი. ეკალაძე, ტ. ჯაფარიძე, გ. ჭელიძე, ა. თორაძე) 1912 წლიდან გაზეთ «იმერეთს», ხოლო 1915 წლიდან «სამშობლოს» გამოსცემდნენ.

სპირიდონ კედიამ ამ დაქსაქსული ჯგუფების შეკავშირებისა და მათი გაერთიანებით პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბების გეგმა შეიმუშავა. ამ მიზნით იგი ეწვია საქართველოს ყველა კუთხეს, გამოძებნა თანამოაზრე ადამიანები, შეუდგა ადგილობრივი ორგანიზაციების ფორმირებას და სხვ.

1917 წლის მარტში ჩამოყალიბდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საორგანიზაციო კომიტეტი სპირიდონ კედიას, გიორგი გვაზავას, გრიგოლ ვეშაპელის, დავით ვაჩნაძის, ვასილ წერეთლის, შალვა ქარუმიძის და სხვ. შემადგენლობით. კომიტეტმა მოამზადა და გამოაქვეყნა პარტიის ფუძემდებლური დოკუმენტების პროექტები, რომლებიც ძირეულ რგოლებში ფართო განხილვის საგნად იქცა.

1917 წლის 4-10 ივნისს თბილისში მოწვეულ ეროვნულ-დემოკრატთა I ყრილობას 200-მდე დელეგატი დაესწრო. ყრილობა ერის სულიერმა მოძღვარმა, ყოვლადსამღვდელო ლეონიდემ დალოცა და აკურთხა. დელეგატებმა დაამტკიცეს პარტიის პროგრამა და წესდება, ხოლო დასკვნით სხდომაზე აირჩიეს მთავარი

კომიტეტი და დააკომპლექტეს ორგანიზაციის ხელმძღვანელი სხვა სტრუქტურები. ასე ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – პირველი არასოციალისტური პოლიტიკური გაერთიანება საქართველოში, რომლის თავმჯომარედ ერთხმად იქნა არჩეული სპირიდონ კედია.

ახალი პარტია არ ყოფილა ერთი რომელიმე კლასის ან სოციალური ფენის ჯგუფური გაერთიანება. მის წიაღში თავი მოიყარა მთელი ქართველი ერის წარმომადგენლობამ განურჩევლად წოდებისა, სქესისა თუ სარწმუნოებისა. პარტიამ უმთავრეს მიზნად საქართველოს თავისუფლება, მისი ეკონომიკური აღორძინება და სახელმწიფოებრიობის აღდგენა დაისახა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნა და სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს ახალ ისტორიაში. დაირღვა აქამდე არსებული პოლიტიკურ პარტიათა ერთფეროვანი – სოციალისტური სპექტრი და ჩამოყალიბდა სრულიად განსხვავებული მისწრაფების, სოციალური შემადგენლობისა და იდეოლოგიის მემარჯვენე ძალა, რომელმაც მაღლა აღმართა ეროვნული დროშა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ავანგარდში მოგვევლინა.

სპირიდონ კედია ჯერ კიდევ პოლიტიკური პარტიის დაფუძნებამდე დაკავშირებული იყო ევროპაში აღმოცენებულ «საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან», რევაზ გაბაშვილთან და დავით ვაჩნაძესთან ერთად შედიოდა ამ კომიტეტის საქართველოს ფილიალში. კომიტეტი გერმანიის ხელშეწყობით მოქმედებდა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მისაღწევად იღწვოდა. საქართველოს ფილიალის წევრებს მუშაობა არალეგალურად უხდებოდათ. ეს მით უფრო ძნელი იყო მსოფლიო ომის პირობებში, როცა საქართველო ფრონტისპირა ზოლს წარმოადგენდა.

1917 წლის შემოდგომაზე სპ. კედიამ შეძლო ფრონტის ხაზის გადაკვეთა და განთავისუფლების კომიტეტთან შესახვედრად დანიასა და შვედეთში ჩავიდა. არანაკლებ ძნელი გამოდგა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვეული რუსეთის გზით უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნება. თბილისში ჩამოსვლისთანავე სპირიდონ კედია აქტიურად ჩაერთო საქართველოს ეროვნული საბჭოს საქმიანობაში, რომლის წევრადაც იგი 1917 წლის ნოემბერში დაუსწრებლად აირჩიეს.

1918 წლის მაისში სპირიდონ კედია მონაწილეობს ამიერკავკასია-ოსმალეთის ბათუმის საზავო კონფერენციაში, საიდანაც, როგორც ქართველი ერის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, გაიგზავნა გერმანიაში ამ ქვეყნის მთავრობასთან შესახვედრად. მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და ქართულ-გერმანული ურთიერთობების დასახვას შეეხებოდა.

1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა. ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს ოფიციალური დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის ხელმძღვანელობით 3 ივნისს გერმანიას ესტუმრა. სპ. კედია ამ დელეგაციის შემადგენლობაში მიიწვიეს და მისი მდივნობა დააკისრეს, რასაც თავი ღირსეულად გაართვა.

1918 წლის აგვისტოდან სპირიდონ კედა საქართველოშია. მას, როგორც ერთ-ერთი პოპულარული პარტიის ლიდერს, თავისუფალ სამშობლოში საქმიანობის ფართო ასპარეზი ელოდა. საქართველოს ეროვნული საბჭოს მეშვეობით სპ. კედიას უნარი და შესაძლებლობა საქვეყნოდ გახდა ცნობილი. ფართო ევროპულმა

განათლებამ, ღრმა ერუდიციამ, აქტიურმა საპარლამენტო თუ პუბლიცისტურმა მოღვაწეობამ სპ. კედია გამორჩეულ პოლიტიკურ ფიგურად აქცია, საიმედო და ჭკვიანი პოლიტიკოსის სახელი დაუმკვიდრა.

1919 წლის თებერვალში ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები. სრულიად ახალგაზრდა ეროვნულ-პოლიტიკურმა პარტიამ სერიოზული წარმატება მოიპოვა, გადალახა საარჩევნო ზღვარი და 8 სადეპუტატო მანდატს დაეუფლა. ეს ფაქტობრივად მეორე შედეგი იყო სოციალ-დემოკრატების შემდეგ, რომლებმაც ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვეს და ერთპარტიული მთავრობა შეადგინეს ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით.

საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არჩეულმა ეროვნულ-დემოკრატებმა _ სპ. კედიამ, ნ. ნიკოლაძემ, გ. გვაზავამ, ე. თაყაიშვილმა, ა. ასათიანმა, გ. ქიქოძემ, ი. მაჭავარიანმა და პ. სურგულაძემ დამოუკიდებელი ფრაქცია შეადგინეს და მმართველი უმრავლესობის – სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ოპოზიცია ჩამოაყალიბეს.

ერისა და ქვეყნის წინაშე დიდი პასუხისმგებლობით გამსჭვალული სპირიდონ კედიასა და მისი მემგობრებისათვის ხელისუფლების ოპოზიციაში ყოფნას ხელი არ შეუშლია ქმედითად ჩართულიყვნენ ახალი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში.

ეროვნულ-დემოკრატიული ოპოზიცია იყო «საქმიანი და კონსტრუქციული. ის არ გაურბოდა მმართველ სოციალისტურ ძალებთან თანამშრომლობას, სადაც კი ეძლეოდა ამის საშუალება, რათა ამით შეენელებინა და შესწორებები შეეტანა რეალურ სინამდვილეს დაცილებულს და უტოპიურ გეგმებით გამსჭვალულ პოლიტიკაში», _ წერდა ალექსანდრე ასათიანი.

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წევრები აკრიტიკებდნენ მთავრობას და მიუთითებდნენ მის შეცდომებზე განსაკუთრებით ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების საქმეში, საგარეო ორიენტაციის, ეკონომიკური პოლიტიკის თუ სხვა საკითხებში და სთავაზობდნენ თავიანთ ალტერნატიულ მოსაზრებებს.

პოლიტიკურ დებატებში ბადალი არ ჰყავდა სპირიდონ კედიას. იგი ჩვეული პირდაპირობით ამხელდა ხელისუფლების საქმიანობის ხარვეზებს, ებრძოდა მანკიერების გამომწვევ მიზეზებს და არა შედეგებს, უპირისპირდებოდა სოციალ-დემოკრატთა მიერ შექმნილ სისტემას და არა კონკრეტულ ფუნქციონერებს. სპირიდონი, «როგორც პოლიტიკოსი მოწინააღმდეგეს სიტყვიერად არ დაინდობდა, ულოღიკობაშიც მოიმწყვდევდა, მაგრამ ამის გარეშე მისთვის გაუგებარი იყო პიროვნული ბრძოლა, პოლიტიკური ინტრიგები, ვისიმე დამცირება» _ გადმოგვცემს სოფიო ჩიჯავაძე-კედია.

თანამედროვენი ხაზგასმით აღნიშნავდნენ სპირიდონ კედიას გამორჩეულ მჭევრმეტყველებასა და უბადლო ორატორულ ნიჭს, რის გამოც «საქართველოს ოქროპირს» ეძახდნენ. დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან მისი ნებისმიერი გამოსვლა საყოველთაო ინტერესსა და ყურადღებას იწვევდა. «სპირიდონ კედიას სიტყვა ევროპის დიდ პარლამენტში მოსმენის ღირსიაო» _ ბრძანებდა ივანე ჯავახიშვილი.

1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთის აგრესიამ ბოლო მოუღო საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ განვითარებას. ოკუპირებულ და ანექსირებულ საქართველოში საბჭოთა წყობილება დამყარდა. დამხობილი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და დამფუძნებელი კრების დეპუტატთა ერთი ნაწილი ემიგრაციაში გაიხიზნა. უცხოეთს შეაფარა თავი საქართველოს

არამარქსისტული პოლიტიკური ორგანიზაციების ბევრმა ლიდერმაც. სპირიდონ კედია ქართული ემიგრაციის პირველ ტალღას საზღვარგარეთ არ გაჰყოლია. ერის წინამძღოლობაზე პრეტენზიის მქონე პოლიტიკურ პარტიასა და მის მეთაურს არ შეეძლოთ უნუგეშოდ მიეტოვებინათ განსაცდელში ჩავარდნილი ხალხი და ქვეყანა. კედია საქართველოში დარჩა და დაპყრობილი სამშობლოს ხვედრი ერთან ერთად გაიზიარა.

ქართველი ხალხი არ შერიგებია დამპყრობელს. ბოლშევიკურ ოკუპაციასთან დაპირისპირებული ეროვნული ძალების ყველაზე თვალსაჩინო ლიდერად 1921 წლიდან სპირიდონ კედია იქცა. თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ერის «პოლიტიკური და სამხედრო სარდლობა» ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ იკისრა.

ახალ რეალობაში აუცილებელი გახდა ტაქტიკის გადასინჯვა და თვით პოლიტიკური პარტიის რეორგანიზაცია. ლეგალურ საქმიანობას ახლა იატაკქვეშეთში მუშაობაც უნდა შერწყმოდა. ამ მიზნით დაარსდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ სპირიდონ კედია იქნა დამტკიცებული.

სპირიდონ კედიამ შემოიკრიბა პატრიოტ სამხედროთა წარმომადგენლები და მათთან ერთად პარტიზანული რაზმების ჩამოყალიბების გეგმა განიხილა. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, ბიძინა პირველმა, მიხეილ გვალიამ და სხვებმა ეს გეგმა მალევე მოიყვანეს სისრულეში. მთელს საქართველოში წინააღმდეგობის მოძრაობა გაიშალა. საქართველოში წითელი არმიის შემოჭრის წლისთავის აღსანიშნავად ეროვნულ-პოლიტიკური ძალები 1922 წლის თებერვლისათვის მასშტაბურ საპროტესტო დემონსტრაციას ამზადებდნენ. გამოშვებულ იქნა ბროშურები, პროკლამაციები და სხვა. მაგრამ ჩეკამ წინასწარ მიიღო ზომები და ანტისაბჭოთა პარტიების თითქმის ყველა ხელმძღვანელი დააპატიმრა.

დააპატიმრეს სპირიდონ კედიაც, რომელიც ჯერ მეტეხის, ხოლო შემდეგ ორთაჭალის ციხეში მოათავსეს. ერთი წელი დაჰყო მან გაუსამართლებლად ბოლშევიკების საპყრობილეში, საიდანაც მხოლოდ იმ პირობით გაანთავისუფლეს, თუ საქართველოს გაეცლებოდა და უცხოეთში გაიხიზნებოდა...

1923 წლის ივნისში სპირიდონ კედიამ, სტამბოლში გარკვეული დროით დაყოვნების შემდეგ, საფრანგეთში ჩააღწია. იგი შეუერთდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას, რომელიც საქართველოს განთავისუფლების პოლიტიკურ თუ სხვა გზებს სახავდა და პრაქტიკული მოქმედებისათვის ემზადებოდა.

სპირიდონ კედიას პარიტეტული კოლეგიისა და ემიგრაციაში დაარსებული საქართველოს დამოუკიდებლობის საზღვარგარეთის დელეგაციის წევრობა დაეკისრა. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ თავისი ლიდერი ემიგრირებულ მთავრობასთან თანამშრომლობის სრული უფლებითაც აღჭურვა. სპირიდონი გატაცებით შეუდგა მუშაობას, მაგრამ მალე მისი და სოციალ-დემოკრატიული მთავრობის გზები გაიყარა. მიზეზად 1924 წლის აგვისტოს აჯანყება იქცა, რომლის იდეასაც სპირიდონ კედია არ იზიარებდა. მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ამ აჯანყების ნოე ჟორდანიასეული პოლიტიკური შეფასებაც. სპ. კედიას სიტყვით, ეს შეფასება ცხადყოფდა, რომ «მთავრობის მეთაურმა დატოვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სარბიელი და გადაინაცვლა პარტიულ ასპარეზზე. დაუბრუნდა კლასთა ბრძოლის ქადაგებას და საბოლოოდ დაადგა... სოციალისტური იდეოლოგიის პოლიტიკას».

სპირიდონ კედიამ მიზნად დაისახა «ქართველთა მთლიანობის აღდგენა ემიგრაციაში» და ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნა. ამ ფრონტის შემადგენლობა და ხელმძღვანელი ბირთვი არა პარტიული წარმომადგენლობის, არამედ პიროვნებათა შერჩევის გზით უნდა ჩამოყალიბებულიყო. ეს იდეა ემიგრაციაში პარტიული განცალკევების დაძლევას და ყველა ეროვნული ძალის სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროშის ქვეშ გაერთიანებას ითვალისწინებდა. ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული მის მიერ 1925 წელს დაარსებული ჟურნალი «სამშობლოსათვის» და 1932 წელს გამოცემული გაზეთი «საქართველოს გუშაგი».

სამწუხაროდ, სპირიდონ კედიას იდეამ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. მეტიც, მისი თვალსაზრისი არც თანაპარტიელებმა გაიზიარეს. სამშობლოში სამ ნაწილად გაყოფის შემდეგ ხელახლა გაერთანებულმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ შეკავშირების ნაცვლად, მცირერიცხოვან და ურთიერთდაპირისპირებულ ჯგუფებად იწყო დანაწევრება.

ემიგრაციის გახლეჩას ხელს საბჭოთა ბოლშევიკური ხელისუფლებაც უწყობდა. იგი ყველა საშუალებით ცდილობდა ჩირქი მოეცხო ემიგრაციის პოლიტიკური ლიდერებისათვის. მიზანში სპირიდონ კედიაც ამოიღეს. შეეცადნენ მის გადაბირებას, სახელის გატეხას და სხვ., მაგრამ ვერას გახდნენ.

კომუნისტები ნერგავდნენ აზრს, რომ ემიგრანტობა საბჭოთა სახელმწიფოს ღალატია და იგი პოლიტიკურ და სამოქალაქო სიკვდილს ნიშნავს. სინამდვილეში ემიგრაცია პოლიტიკურადაც სიცოცხლისუნარიანი იყო და მოქალაქეობრივადაც აქტიური. ქართული ემიგრაციის ბევრ ლიდერს, მათ შორის სპირიდონ კედიას იცნობდნენ, ენდობოდნენ და აფასებდნენ დასავლეთის ანტიკომუნისტურ წრეებში. ეს უკანასკნელი თავის ურთიერთობებს და კონტაქტებს გავლენიან ადამიანებთან პირადი კეთილდღეობისთვის კი არ იყენებდა, არამედ სამშობლოს გასანთავისუფლებლად. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა სპირიდონ კედიას მონაწილეობა II მსოფლიო ომის დროს გერმანიის მიერ შექმნილ ქართულ ეროვნულ კომიტეტში და სხვ.

ქართულ-გერმანულმა თანამშრომლობამ 1914-1918 წლებში ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლო შედეგები გამოიღო, _ გერმანია საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტად იქცა. კაიზერ ვილჰელმ II-ისაგან განსხვავებით, ჰიტლერმა არ გაიზიარა საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენის გეგმა, რომელსაც ქართული ეროვნული კომიტეტი და მასთან დაკავშირებული გერმანელი მაღალჩინოსნები, _ სამხედროები თუ პოლიტიკოსები ერთობლივად ამზადებდნენ.

სპირიდონ კედიამ ოჯახი ჯერ კიდევ თბილისში შექმნა, ცოლად ქართული გიმნაზიის გამგე, ახალგაზრდა პედაგოგი სოფიო ჩიჯავაძე შეირთო. მათი ერთადერთი ქალიშვილი თეოც 1921 წელს თბილისში დაიბადა. სამშობლოდან გაძევებულ სპირიდონს ცოლ-შვილი საქართველოში დაატოვებინეს. დედა-შვილმა მხოლოდ 1928 წელს მოახერხა პარიზში ჩასვლა და სპირიდონ კედიასთან შეერთება.

ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ოჯახმა საფრანგეთში ხელმოკლედ, მაგრამ ღირსეულად იცხოვრა. ეს პატარა ქართული კერა დღესაც არსებობს პარიზის შუაგულში. 20-30-იან წლებში ოჯახის არსებობის ერთადერთი სახსარი გიორგი მაჩაბლის პარფიუმერულ კომპანიაში სპირიდონ კედიას საქმიანობიდან მიღებული გასამრჯელო იყო. სპირიდონს, როგორც გ. მაჩაბლის კომპანიონს, შეეძლო ცხოვრება უკეთ მოეწყო, მაგრამ ამ ზნეობრივად უმწიკვლო კაცმა მაჩაბლის მემკვიდრეებისაგან ოფიციალურად კუთვნილიც კი ვერ მიიღო.

სპირიდონ კედიას მთელი ცხოვრების არსი თავისუფალი სამშობლო და მისი კეთილდღეობა იყო. სხვა საფიქრალი, სხვა საზრუნავი მას არც საქართველოში და არც უცხოეთში არ ჰქონია. სიცოცხლის ბოლომდე სჯეროდა, რომ ადრე თუ გვიან საქართველო კვლავ აღიდგენდა დამოუკიდებლობას, რომ თვითონ თუ ვერ მოესწრებოდა ხუნდებაყრილი მამულის ხილვას, მისი მემკვიდრეობა მაინც არ დარჩებოდა გარიყული.

საქართველოს დიდი ჭირისუფალი და მოამაგე სპირიდონ კედია 1948 წელს 64 წლის ასაკში ისე გარდაიცვალა, რომ სამშობლოსთან კვლავ შეხვედრის ბედნიერება აღარ ღირსებია. მაგრამ მისი იმედი და რწმენა გამართლდა. საქართველომ გაუძლო განსაცდელს, შეინარჩუნა ეროვნული თვითმყოფადობა და კიდევ ერთხელ დაიბრუნა საკუთარი სახელმწიფოებრიობა. ახლა იმ ადამიანების, იმ სახელების ისტორიაში დაბრუნების დროა, ვინც ამ იდეისათვის თავს სწირავდა, ვისაც სამშობლოს თავისუფლებისათვის წინათ უსამართლოდ სჯიდნენ და დევნიდნენ. სპირიდონ კედია სწორედ ერთი იმათთაგანია.

კალისტრატე სალიას სიტყვით, სპირიდონ კედია იყო «ივერიის ერთგული გუშაგი, ქართველი ერის მარადიული იდეალის უკეთილშობილესი წარმომადგენელი, რომელიც მთელი თავისი ენერგიითა და უანგარო პატრიოტიზმით მუდამ იღწვოდა ქართული საქმისათვის, მტკიცედ ატარებდა თავისუფლების დროშას, საუკეთესო დამცველი იყო ქართული აზროვნების».

«საქართველოს დროშას უნდა წარეწეროს: სამშობლოს კულტი და ეროვნული იდეის ბატონობა». «განვიმტკიცოთ ეროვნული ერთობა და საქართველო ახალ საგალობელს გააგონებს კაცობრიობის დიდ ოჯახს» _ საოცარი მამულიშვილური სულისკვეთებით განმსჭვალულ სპირიდონ კედიას ეს გამოთქმები, თავის დროზე მისი ცხოვრების კრედოს რომ წარმოადგენდა, დღეს სახელოვანი წინაპრისა და დიდი ერისკაცის პოლიტიკურ ანდერძად აღიქმება.

ოთარ ჯანელიძე

ნაწილი პირველი

წერილები

გრიგოლ ვეშაპელის წერილები სპირიდონ კედიას

20/IV 1923 პარიზი

ძვირფასო ძმაო სპირიდონ!

შენი პირველი წერილი ჩემთვის იყო ის, ქ-ბნ ღამბაშიძისამ[1] რომ ჩამოიტანა _ სხვა არ მიმიღია _ მაცნობე რა მისამართით გამოაგზავნე იგი და რაც საგულისხმო იყო შიგ _ გამიმეორე მორიგ წერილში, თუ არ დაგეზარება.

ძვირფასო სპირიდონ! მე სავსებით გეთანხმები, რომ ის ,,წყეული" საკითხები, შენ რომ იწერები, კორესპონდენციით _ ფოსტით ვერ გადაწყდება ჩვენ შორის _

ამისათვის საჭიროა პირადი მოლაპარაკება ჩვენი და მერმე კოლექტიური თათბირი ჩვენი მიმდინარეობის წარმომადგენელთა (,,კონფერენცია"), რაზედაც ჩვენ ბერლინელ მეგობრებს უკვე განცხადებული აქვთ სურვილი.

მხოლოდ მე მინდა ეხლავე იცოდე, რომ შენი მამულიშვილური განსჯა საქართველოსთვის მოქმედებისა ისეთივეა როგორც ჩემი, მიუხედავად იმისა, რომ შენი იქაური ,,ბინა" _ მეტეხი[2] _ უფრო პატრიოტული ტრადიციის იყო, ვიდრე ჩვენი აქაური ,,ოტელები" პარიზისა, ლონდონისა ან ბერლინისა ან გენუისა.

ყველა მაგ წყეულ კითხვებზე მიფიქრია (და ჩემს გარდა სხვებსაც უფიქრია, ალბათ, აქ); ბევრი რამ კიდეც ვთქვი შარშან (გენუის კონფერენციის წინ) რომ ,,ინტერპარტიული კონფერენცია" გვქონდა პარიზში (ჩვენს ,,დეკლარაციაში", რომლის ასლი მანდაც აქვთ რ.გაბაშვილს[3] და ლ.ჯაფარიძეს,[4] სტამბოლში).

მართალი ხარ, რომ მენშევიკური ტაქტიკა საქართველოსთვის მუშაობისა თან და თან სრულ სიკოტრემდე მიდის, რომ მას ძირითადი, თანდაყოლილი ცოდვები აქვს და რომ ეხლა მართლაც აქაური პოლიტიკური ცენტრი ინერციითღა მუშაობს მხოლოდ და შემოქმედებით უნარს სრულიად კარგავს...

ამ მხრივ, შენი გულწრფელი წერილი ჩემთვისაც კი ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რადგან ჩემზეც მოქმედებს უსათუოდ აქაური ინერციის ჭაობი და ფსიხოლოგიური ქარი შენი ბარათისა უსათუოდ სასარგებლოა, მაგრამ ... მე არ ვიცი როგორ შეიძლებოდა, პრაქტიკულად მე ანდა ჩვენ სხვა ამხანაგებს რომ ევროპაში სხვაგვარად გვემუშავა ანდა კიდევ უფრო უარესი _ როგორ შეძლებ შენ ანდა როგორ შევძლებთ ჩვენ აქ ერთად ყველა ამას იქით დამოუკიდებლად, ცალკე, მუშაობას მხოლოდ ჩვენი საკუთარი პრინციპების და ტაქტიკის მიხედვით, რასაც შენ ,,ახალ პოლიტიკას და ახალ მოქმედებას" უძახი.

ჯერ ერთი, რომ ფორმალურად ძველ მთავრობას კიდევ არ დაუკარგავს ფუნქცია საქართველოს ლეგალური ეროვნული მთავრობისა და პარალელური მეორე ცენტრის შექმნამ შეიძლება საქართველოს საერთაშორისო სტატუსი შეარყიოს...

მაგრამ, ვთქვათ, ამას გადვივლით (მით უფრო რომ ძვ.მთავრობა ცნობილია დღემდის უმთავრესად პარიზში და ლონდონ-ანგორაში კი, სადაც შენ საჭიროდ მიგაჩნია ახალი მუშაობა _ მენშევიკურ მთავრობას ეს სტატუსი თითქმის დაკარგული აქვს), მაგრამ...

რჩება მეორე კონტრ-ფაქტორი _ ფინანსები _ სადაა ის ეროვნული ფონდი, რომელსაც დამოუკიდებლივ მუშაობის უზრუნველყოფა შეუძლია! მე არ ვიცი შენ რა პერსპექტივები გაქვს ამ მხრივ. ჩვენი ბურჟუაზია ან დაღარიბებულია ანდა (როგორც აკ.ხოშტარია[5]) ბოლშევიკურ რუსეთთან ,,ნეგოციასონ"-ების გამო პოლიტიკურად იძულებულია პასიური და ნეიტრალური იყოს (ასე მითხრა თვით ბ.აკაკიმ, ბერლინში, მოსკოვს რომ მოდიოდა).

უცხო სახელმწიფოების იმედი?.. არ ვიცი... სწორედ ამ კვირაში მომივიდა სტოკსის[6] წერილი ლონდონიდან, სადაც მწერს, რომ ინგლისის მატერიალური დახმარების იმედი არ უნდა გვქონდეს და გვირჩევს ჩვენს წრეს, შევუთანხმდეთ ოსმალებს საქართველოს გასანთავისუფლებლად (ამას მნიშვნელობა აქვს და იმედია აქ ისე ჩამოხვალ, რომ ოსმალეთ-ანგორის პერსპექტივები გარკვეული გექნება რამდენადაც ეს დღეს შესაძლოა)...

ასეთია ის პირობები, რომელშიც შენ მოგიხდება ახალი სიტყვის საქმედ ქცევა.

მიუხედავად ამისა, მე მზად ვარ შენს ინიციატივაში მხარში ამოგიდგე _ როგორც პირველი თანაშემწე... რომ ჩამოხვალ მოვილაპარაკებთ, პარტიულ გზას გავარკვევთ,

ძვ. მთავრობის პარტიასთანაც ვითათბიროთ და თუ საჭირო იქნება, მერმე გარდავლოთ რუბიკონი. სრული რწმენა მაქვს რომ ამ საკითხების შესახებ ჩვენ ერთ და იმავე დასკვნას დავადგებით და მთლიანობა აზროვნებისა და მოქმედებისა ჩვენს შორის პირველი შეხვედრისთანავე აღსდგება, რასაც სათანადო გავლენა ექნება მთელი პარტიის ამოძრავებაზე მისი მისიის შესასრულებლად.

ძალიან საგულისხმოა შენი დაფასება ,,დამოუკიდებლობის კომოტეტისა»[7]_ამის გამო მე ზოგიერთი ,,რეფორმების" მოხდენა მოვთხოვე ძველ მთავრობას, რასაკვირველია, ამას პალიატიური ხასიათი აქვს შენს ჩამოსვლამდის. ამაზე დაწვრილებით შეხვედრისას, აგრეთვე ,,ნ.ნიკოლაძის საქმეზე", რომელიც ძლიერ წააგავს ნ.ნიკოლაძის შერიგების პირველ ტრადიციას (ალექსანდრე მესამეს დროს) და რომელიც ყოველ შემთხვევაში ნოე ჟორდანიას თხოვნით და დავალებით აწარმოვა ნ.ნიკოლაძემ. ჩამოსვლისას გაჩვენებ ამის საბუთებს. მაშ ასე, ნახვამდის.

ფულს ვაგზავნით* 1700 ფრანკს გზის ხარჯად _ წამოსასვლელად იყოფინე როგორმე _ და რომ ჩამოხვალ შენი მონაწილეობით ვიანგარიშოთ ჩვენი აქაური პარტიული ფონდის წარსული და აწმყო და რაც რჩება (შედარებით ძლიერ მცირე) გავანაწილოთ ყველა მანდაურ ამხანაგთა მდგომარეობის მიხედვით. ცადე, რაც შეიძლება მალე წამოხვიდე _ ეს ყოველმხრივ უმჯობესია _ შენთვისაც და საზოგადოდ ჩვენი მუშაობისთვის. წამოსვლისას და მარსელიდან (ზღვით გირჩევნია წამოსვლა, რომ მარტო ფრანგული ვიზა გეყოს) დეპეშა მომწერე (Chateau. Leuville Orge par Monthlery. Seine Oise) რომ დაგვხვდე პარიზში, ხოლო თუ მანამდის წერილს მოიწერ _ ადრესი ასე იყოს (რომ კიდევ არ ,,დაიკარგოს") _ Monsieur Bonquet. Leuvilee son Orge. Par Monnthlery. Seine et Oise. Priere de remettre a M.Veshapely) (წერილი დააზღვევინე).

სალამი რეზოს[8], ლელის,[9] შალვას,[10] ალექსანდრეს[11]. გისურვებ ყოველივე კეთილს შენ და შენს ოჯახს. გულწრფელად შენი ერთგული გრიგოლ ვეშაპელი.

* დავაგვიანეთ რადგან ნ.ჯაყელი[12], ურომლისოდ ჩეკის გამოწერა არ შეგვეძლო, აქ არ არის და სხირტლაძეს ვაგზავნიებთ.

26 მაისი 1923წ. ლევილი.

(მენშევიკებს გაუხმა თავი _ სადა ვართ ამ დღეს!)

ძვირფასო ძმაო სპირიდონ! სალამი!

პასუხის დაგვიანებას დაზარებად ნუ ჩამომართმევ. შენი წინა (მეორე) წერილი იმდენად მნიშვნელოვან საქმეებს ეხებოდა რომ ზოგიერთი საქმის გაგება და გამორკვევა იყო საჭირო, სანამ გადაჭრილ აზრს გაცნობებდი (ესეც ალბათ პოლიტიკურ ,,პროფესიონალობის" შედეგია _ დაგვიანება), ამასობაში შენი ახალი ბარათიც მივიღე და ერთად გიპასუხებ ჩქარა.

ჯერ ჩვენი პარტიული ტაქტიკის შესახებ _ იმის ,,პანდან"-ათ რაც ექვთიმემ[13] გაცნობა აქაური ჩვენი ,,კომიტეტის" (ანუ უკეთ ჯგუფის) სახელით: მე პირადად კერძოდ მქონდა ლაპარაკი ნ. რამიშვილთან[14] და ნ. ჟორდანიასთან იმის შესახებ,

რომ ჩვენი პარტიის გავლენიან პირებში (ანუ ლიდერებში) ხორცს ისხამს აზრი დამოუკიდებლივ ძველი მთავრობიდან პოლიტიკურ მუშაობის შესახებ ევროპაში _ განსაკუთრებით _ ოსმალეთ-ინგლისში, რადგან აქამდის ძველი მთავრობის ე.ი. სოც. დემ. პარტიის მიერ ნაწარმოევი მუშაობა ლიკვიდაციასა და გაკოტრებას მიადგა... რას იტყვიან, ამაზე? აზრთა გაცვლის შემდეგ ორივე ნოემ (პარტიის სახელით ოფიციალურად პასუხისგებას კისრულობენ ნათქვამის განხორციელებაში) აღიარეს, რომ თუ ჩვენ პარტიას აქვს პოლიტიკური დახმარების ვექსელი ინგლის-ოსმალური სახელმწიფო მმართველ წრეებიდან და იმ შემთხვევაში თუ ჩვენი არასოციალისტური წრე გაუძღვება საქმეს, არის ანგარიშიანი იმედი, რომ საქართველოს განთავისუფლება აქტიურ საკითხად გადიქცევა ინგლის-ოსმალეთისთვის _ მაშინ ძველი მთავრობა გადადგება და ხელმძღვანელობა დაეთმობა ყოველმხრივ ჩვენს წრეს. ხოლო გამონახულ იქნება ისეთი ფორმა უფლების გადაცემისა, რომ ძველი მთავრობის იურიდიული პრივილეგიები ევროპაში ახალსაც გამოადგეს. 2) მაგრამ ამბობენ ისინი (და ამ შემთხვევაში მგონი შორს არ არიან სიმართლიდან), ასეთი ფართო პერსპექტივები ნამდვილად ჩვენ არა გვაქვს ინგლის-ოსმალეთში დღეს-დღეობით და საქმე ეხება იმ ტენდენციების უკეთ გამოყენებას, რომელიც ისახება ინგლის-ოსმალეთში და ამისათვის საჭიროა რეფორმები და რეორგანიზაცია ძველი მთავრობის მიერ წარმოებულ პოლიტიკურ მუშაობისა და აპარატისა ყოველგან (აქაც და მანდაც _ სტამბულში) _მაშ ამ შემთხვევაში სოც. დემ. პარტიის სავსებით მოშორებას საქმიდან აზრი (პოლიტიკური ანგარიშით) არა აქვს და მასთან კოალიცია (როგორც ჯერ-ჯერობით მაინც მთავარ რეალურ ძალასთან საქართველოში) ჩვენი პარტიის მიერ არ უნდა იქნას უარყოფილი (თუნდაც ჩვენ სამართლიანი იმედი გვქონდეს _ ხვალ-ზეგ საქართველოში მთავარი საოპოზიციო ძალიდან უმრავლესობის ხელმძღვანელ პარტიად გადაქცევისა). ამ შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ ორივე ამ პარტიის უფრო მნიშვნელოვანი და რეალური კოალიცია ევროპაში და საქართველოში სამუშაოდ. ამისათვის საჭიროა თავდაპირველად ჩვენი ორი პარტიის წინასწარი შეთანხმება (რადგან სოც. ფედ. და სოც. რევ. ფიქტიურ ძალებთან პარიტეტულად შეთნხმებას არც ძალა და არც ჩვენი ინტერესები არ მოითხოვს _ მათთვის შეიძლება გამოვნახოთ ისეთი ფორმა, ამ ჩვენ წინასწარ შეთანხმებას რომ შემოუერთდნენ შემდეგ უმტკივნეულოდ). ამისათვის ჩვენ შეგვიძლია ძველი მთავრობის რეორგანიზაცია და მერმე რეორგანიზაცია პოლიტიკური აპარატისა ინგლის-ოსმალეთში სამუშაოდ (ლონდონში და კონსტანტინოპოლში). ამისათვის ჯერ საჭიროა ჩვენი პარტიის კონფერენცია პარიზში და პარალელური ან შემდეგი მოლაპარაკება, შეთანხმება და ხელშეკრულება ძველი მთავრობის პარტიასთან. მე პირადად მომხრე ვარ ამ მეთოდით გადავშინჯოთ ჩვენი პარტიის დამოკიდებულება სოც. დემოკრატებთან, თორემ პრინციპიალურად რომ კოალიცია უარვყოთ (უნდა გვახსოვდეს რომ ჩვენმა პარტიამ ფორმალურად მიიღო ინტერპარტიული შეთანხმება საქართველოში და აქაც), მე მგონი შევცდებით _ მართალია სოც. დემ. იმდენად დასუსტდნენ საქართველოში (და მთელს ქვეყანაშიც... _ ფაშიზმის ერაა!) რომ უჩვენოდ მუშაობა არ შეუძლიათ, განსაკუთრებით ევროპაში, მაგრამ მეორეს მხრივ, ჩვენ ისე არ გავძლიერებულვართ ორგანიზაციულად (მარტო პსიხოლოგია არ კმარა!) რომ სოც. დემ. ცალკე (რაც ფატალურად ნიშნავს მათ წინააღმდეგ) მუშაობა და ერის გაძღოლა შევძლოთ, განსაკუთრებით საქართველოში.

მე, მართალი გითხრა, დიდი იმედი არა მაქვს მაგალითად იმ ჩვენი პარტიის გარეთ (ე.ი. უპარტიოდ) მყოფ კრებულისა, რომლის იმპოზანტურ ფიგურებში შენ დიდ იმედებს ხედავ. მე პირადად თუ მჯერა ჩვენი მიმართულების გამარჯვება _

იმავე პარტიულ, სექტანტურ-დისციპლინარულ-ორგანიზაციული მეთოდით, რა მეთოდით თავის დროზე მესამე დასელები გაბატონდნენ საქართველოში (თუმცა ილია[15] რასაკვირველია უფრო იმპოზანტური იყო ვიდრე ჭლექიანი და ბლუკუნა სოციალ-დემოკრატები) და რა მეთოდიც იხმარა ფაშიზმმა იტალიის ჭკუაზე მოსაყვანად...

ყველაფერს ამას, რასაკვირველია, პირადი მოლაპარაკება უნდა ჩვენს მხრივ და რაზეც ჩვენ შევთანხმდებით, იმას ჩვენ კოფერენციასაც განვახორციელებიებთ და სოციალ-დემოკრატიულ კოლეგიასაც.

მაშ ისევ შენ ჩამოსვლაზეა საქმე. ეხლა ფულზედ! შენს 3 ამხანაგს (1-ალექსანდრეა[16] ვიცი. დანარჩენ 2-ში ვის გულისხმობ?) ემიგრანტს რომ შენ ადრე გამოეშვით _ მათთვისაც შეიძლება აქედან უფრო გვეზრუნა საერთო ინიციატივით...

ყოველ შემთხვევაში იცოდე, სპირიდონ, რომ ჩვენ აქ რომ პარტიული ფონდი გვისვენია, სულ დიდი კონფერეციის ხარჯებს რომ გაუძღვეს (5 000 გვაქვს. ორჯერ მეტი იყო, მაგრამ სწორედ შენი წერილის მოსვლამდის გვაზავამ[17] წაიღო იმ პირობით რომ 3-ჯერ მეტს შემოგვწირავს თუ ინგლისური ვალი გაანაღდა)*, რომ ჩამოხვალ _ გაიცნობ ყველა ანგარიშს _ თუ კიდევ დარჩი მანდ გამოვაგზავნიებ. ასე თუ ისე შენი გზის სახარჯო უნდა გამოგიგზავნოთ ახლავ, მაგრამ საქმე იმაშია რომ ნ.ი. ჯაყელი ისევ პარიზს გარედაა (მონტე-კარლოშია) და უიმისოდ ჩეკის გამოწერა არ შეიძლება (სხირტლაძე მგონი მეტს ვერ იკისრებს). თუ დაგვიანდა, მაშინ სახელმწიფო თანხიდან ვთხოვთ გვასესხონ ან მოგვცენ, გამოგზავნას დეპეშით გაცნობებთ.

ეხლა აქაური ამბები. მოწოდების საქმე ასეა: პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელებმა ხელი მოაწერეს მას მხოლოდ იმ პირობით, რომ ინტერპარტიულ კომიტეტს ან პარტიათა ცენტრებს თბილისში გადაეწყვიტათ საკითხი _ გამოქვეყნდეს თუ არა ეს მოწოდება. თუ ამ ჟამად თბილისში არც პარტიულს და არც ინტერპარტიულ ცენტრს არ შეუძლია ფიზიკურად ამ საქმის გაკეთება, მაშინ სტამბოლის ჩვენი პარტიული კომიტეტის აზრი გარდამწყვეტია და შეგიძლიათ ეს აცნობოთ ვისაც ჯერ არს მანდ, რომ მოწოდება შეჩერდეს და აღარ გამოქვეყნდეს.

ეხლა აქაური ინფორმაცია _ რასაკვირველია რაც გაზეთებში იბეჭდება, ის თქვენ თვითონ იცით, რომ არ გაგიმეოროთ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ გარდამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ინგლის-რუსეთის ხელშეკრულების ბედს[18] _ ან გაწყდება და ინტერვენციების ხანა განახლდება (Николай Николаевич[19]-ი დათანხმდა მთავარსარდლად თავის გამოცხადებას და ამჟამად აქ, პარიზშია) ან და ხელმეორედ შევა ძალაში ის modus vivendi, რომელმაც გაყო 1921 წელს რუსეთისა და ინგლისის გავლენის სფეროები აზიაში ჩვენდა საწინააღმდეგოდ...

პრაქტიკული ღონისძიებების მხრივ გვინდოდა ავალიშვილი[20] შეხვედროდა ვანსიტარტს (კერზონის[21] სეკრეტარს) მაგრამ მან ამ მისიაზე უარი სთქვა. ჩვენი წინადადებით, გ. მაჩაბელს[22] მიანდეს ისმეტ-ფაშის[23] ნახვა ლოზანში. გიორგი აქაც იყო, საერთოდაც მოვილაპარაკეთ (იგი თანახმაა იმ აზრებისა, მე რომ გწერ კოალიციის გადაშინჯვაზე), გუშინ წავიდა და ველით მის დაბრუნებას ორშაბათს. თუ რა შედეგი მოყვება მის შეხვედრას ისმეტთან (თუ გახსოვს 1914-ს რომ ქართულ-ოსმალური აქტი დაიწერა,[24] ის ისმეტის მონაწილეობით იყო), გაცნობებთ ცალკე.

რეგულიარ ინფორმაციას მოგაწვდი სტამბოლს, ყოველთვის როცა მაქედან წერილი მომივა, იმის საპასუხოდ. ჩვენ გვინდა აქ ინფორმაცია დამოუკიდებლობის

კომიტეტისა და ჩვენი პარტიის ცენტრის შესახებ. არის თუ არა საქართველოში ჩვენი პარტიის მომქმედი ცენტრი? (ცენ. კომ.) დამოუკიდებლობის (ინტერპარტიული) კომიტეტი არსებობს თუ არა ფაქტიურად დღეს. თუ არსებობს, ჩვენი პარტიის წარმომადგენელს რა როლი აქვს მის მუშაობაში. ეს კითხვები ფინანსიურადაც არის საგულისხმო, რადგან დამ. კომ. აქედან ყოველთვე 39 000 ფრანკი ეგზავნება და უნდა გავიგოთ ეს ფული ვის მიდის ბოლოს და ბოლოს. თუ ინტერპარტიული კომიტეტი აღარ არის, მაშინ ფული ცალ-ცალკე პარტიებმა უნდა ჩაიბარონ...

მაშ, ნახვამდის შენი ერთგული გრიგოლ ვეშაპელი[25].

P.S. ნ. ნიკოლაძეს მივწერე Times-ის შესახებ. აქაურ სამხედრო კავშირზედაც ვუთხარი ზოგიერთს. დ. შალიკაშვილის[26] ძმის შესახებაც მალე გაცნობებ საქმის ვითარებას.

P.P.S. დამავიწყდა მეკითხა _ რას გულისხმობდი, მეორე წერილში რომ ამბობდი _ ,,თუ უარყოფითი რეზოლუცია მივიღეთ _ ,,გეზის შეცვლა" დაგვჭირდებაო" _ ვის მიმართ _ რუსეთისადმი?

*შენი მონაწერი ვუთხარი _ ამბობს, მე როგორც კერძო ადვოკატი - ვექილი ისე ვმოქმედებ ამ საქმეშიო.

სპირიდონ კედიას წერილი გრიგოლ ვეშაპელს

ძვირფასო ძმაო გრიგოლ

1, VI, 23 სტამბოლი

ერთი ორი საათის წინ, ვიდრე შენი წერილი მომივიდოდა, გუშინ, 31 მაისს, დღის 2 საათზე, სტამბოლში გავლით გაჩერებულმა, ერთმა ქართველმა გემიდან გადმომაწოდა გაზეთი «კომუნისტი», სადაც ჩვენი საუკეთესო მეგობრების და მოქმედი ამხანაგების დახვრეტის შავი ამბავია მოთხრობილი. წააქციეს და თავი მოსჭრეს კოტე აფხაზს!..[27] კეთილშობილი და მორიდებული, გონიერი და მყარი ვით კლდე, ჩვენი აფხაზი, აწ სხვერპლათ გაღებული სამშობლოს დიდებისათვის, ხასიათი იყო საქართველოსი. ის დიდი ქართველები, რომელნიც ჰქმნიდნენ საქართველოს და კიდევაც შეუქმნიათ იგი, მე მხოლოდ კოტე აფხაზის სახით მყავდა, ამ ჩვენს დროში, წარმოდგენილი. დიდი ილიას წაქცევის შემდეგ, ეს პირველად ვიგრძენი საქართველოს სინამდვილიდან ქართული ხასიათის ამოთხრის ტკივილები. ილიას და კოტეს სისხლის ნათესაობა უშედეგო შემთხვევა როდი იყო. მან ილიას ხასიათი კოტეში გამოქსოვა. დიდი ქართველები თუ ოდესმე გვყავდა, ისინი მხოლოდ ილიას და კოტეს ტიპისა უნდა იყვნენ. პატარა ჩვენი ქვეყანა დიდ საქართველოთ, ნამდვილ საქართველოთ მხოლოდ ასეთი ადამიანების მეოხებით გადაიქცევა. თავის დღეში ჟორდანია და ურატაძეები[28] საქართველოს ვერც ააშენებენ და ვერც შექმნიან, თუნდაც რომ ათასი წლითაც თავიანთ გეგემონია იქ დაიმკვიდრონ! საქართველოს ხასიათს არც ერთი წარმოადგენს და არც მეორე. ესენი წარყვნილი ელემენტებია და

დროთა სიავემ ისინი რაც გინდ ღრმად შეასვას საქართველოს სხეულს, ეს უკანასკნელი, თუ მას გადაშენება არ უწერია, თავისი გამომთელების პროცესში, მათ გარეთ გამოდენის, თვისგან განიყრის და განიშორებს! სიცოცხლის ფუნქცია ნაყარების ელიმინაცია... ვინც ადამიანს ორი საგაზეთო წერილით და სამი სამიტინგო სიტყვით აფასებს – უნდა ვაღიარო, რომ საქართველოში სხვა საზომი არც მუშაობს – მას ზემო ნათქვამი გაახელებს... ზედაც გადაყოლოდეს! თავის უგუნურების მართებული სხვერპლი იქნება...

დიდი აქტიური წევრი იყო ჩვენი, აწ განსვენებული კოტე. საქართველოს სირცხვილს იგი შურისძიების ენერგიით შეეკუმშა. მისი მშვიდი და დალაგებული გარეგნობის ქვეშ ძლიერი სულის ტალღები გორაობდა. ჩვენი მომქმედი მთავარი ცენტრის თავმჯდომარე იყო და თანაც საერთო სამხედრო ცენტრის წევრიც... შეგროვდით იქაური ამხანაგები ვინც ხართ, მიდით და ნუგეში ეცით მის განადგურებულ მეუღლეს ელენე აფხაზს და მის ვაჟს...

დახვრიტეს გენერალი ანდრონიკაშვილი[29], იშვიათი პიროვნება. გმირი მხედარი. ძალიან განათლებული და გონიერი გენერალი. ფაქიზი. პატრიოტი. მუშაობდა ჩვენთან.

დახვრიტეს გენერალი ვარდენ წულუკიძე.[30] რაინდი. უშიშარი მეომარი. პატრიოტი.

დახვრიტეს როსტომ მუსხელიშვილი.[31] პოლკოვნიკი, პატრიოტი, გონიერი, დიდი მუშაკი. მუშაობდა ჩვენთან.

დახვრიტეს... მაგრამ... მიმძიმს ყველასი ჩამოთვლა. სიას დავამზადებიებ და თან გაახლებთ...

პანაშვიდი გადაიხადეთ. თუ ქართველი მღვდელი იშოვნება, რა თქმა უნდა საეკლესიო პანაშვიდი ემჯობინება.

სულ დახვრეტილია 15 კაცი. სულ ჩვენები არიან. საწყალი სიმონიკა მუხრანსკიც,[32] ახალგაზრდა ოფიცერი. ძველი ქართველური სიმამაცის! ხომ ხედავ, ნამდვილი სხვერპლები ვის ბანაკიდან იწირვებიან.

ამბობენ, კიდევ 12 კაცია დასახვრეტიო. ალბათ ამათ რიგებში მოჰყვებიან გენერალი მაზნიაშვილი[33] და ჩვენი იშვიათი ახალგაზრდა პატრიოტი ოფიცრები – მახარაძე, მესხიშვილი, თუხარელი და სხვა.

25, 26 და 27 მასიური დაჭერები მომხდარა თბილისში და ბათუმში, სულ 800 კაცია დაპატიმრებული. გადაასახლეს რუსეთში კიდევ ერთი პარტია დაჭერილები, რეპრესიები მკაცრდება. მტერი ყოველ ღონეს ღონობს საქართველოს სული გაანადგუროს. საჭიროა მდგომარეობის შეფასება. თქმა არ უნდა, რომ თავს დიდი უბედურება დაგვატყდა. ასპარეზი დაგვიცარიელეს მართლაც თავი და ღირსეული კაცებისაგან. მათ სანაცვლოს ვეღარ ვიშოვით. რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ, როგორი პასუხი გავსცეთ თუ ეხლავე თუ შემდეგ უფრო გამწედ. ყოველივე ეს გამოსარკვევია. საჭიროა რეაქცია ფიცხელი, გონიერი და მტკიცე. ჩვენ კი ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ უბრალო დეპეშის ფულიც ვერ გვიშოვნია. ამას წინათ თბილისიდან შემოგვითვალეს, ყველა მოვლინებულ უბედურებასთან ერთად ძველი ჭირი, შორიდან გამოყოლილი სულს გვიხუთავს და გვახჩობსო – უფულობაზე ამბობენ. თანაც საჭიროა, რომ ხალხის მორალი ავსწიოთ პასუხისმგებელი პირების ჩამოსვლითაც. საჭიროა ახალი წყება, ახალი ხალხის, რომელიც მხნედ იმოქმედებს და იმედიანად დასწერს და ილაპარაკებს. ამოდენა ვეებერთელა პასუხისმგებლობა გვაწევს, ასეთი დიდი საქმეა გასაკეთებელი, ჩვენ კი ვერაფერს ვახერხებთ... ერთი

დაუფიქრდი ყოველივე ამას. მომიძებნეთ კაცებიც და საშუალებაც. შეუძლებლად არ მიმაჩნია აღნიშნული საჭიროების დაკმაყოფილება. აუთავდებით, რომ ნივთიერი საშუალება იყოს...

გადავიდეთ შენს საკითხებზე. საქართველოდან მესამე თვეა, რაც წესიერი ინფორმაცია არ მოგვსვლია. ამიტომ არ ვიცი, რას წარმოადგენს სინამდვილეში დამოუკიდებლობის კომიტეტი, ან ვინ არის იქ ჩვენგან. ისე კი მგონია, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტი ფაქტიურად არ მოქმედებს. ფული თუ მთელი არა, მისი 90% მენშევიკების კასაში უნდა მიდიოდეს. რაც ჩაიჯიბეს ისიც კმარა, რომ მდგომარეობის გამორკვევამდე კიდევ ახალ-ახალი თანხები არ ვაყლაპვინოთ. ამიტომ მიიღე ზომები, რომ მორიგი თანხები არ გაიგზავნოს. ვფიქრობ, რომ გაგზავნილი თანხა კიდევ რამოდენიმე თვე ეყოფა დამოუკიდ. კომიტეტს, თუ იგი მას მიდიოდა. იმდენი ხარჯები მას საკუთარი აპარატის შესანახად არც კი ექნებოდა, რომ თვიური 40000 ფრანკი არ ყოფნოდა. მეორეს მხრით, ჩვენი ხალხის ჩივილი სრულიად უსახსროდ ყოფნის გამო იმას მიმტკიცებს, რომ აქედან მისული ფულიდან ჩვენი პარტია არაფერს ღებულობს. ყველა ამ მოსაზრების ძალით ფულის გაგზავნა უნდა შეჩერდეს, ვიდრე დამოუკიდ. კომიტეტის მდგომარეობა არ გამოირკვევა. ამის დამოუკიდებლივ გადადგით ნაბიჯი, რომ დარჩენილი ფულიდან ეხლავე მოგვეცეს განსაზღვრული თანხა (რაოდენობა რაც შეიძლება დიდი უნდა იყოს წამოყენებული, რომ მინიმუმი მაინც მივიღოთ) იმ რამოდენიმე 100000 ფრანკის საპირდაპიროთ, რომელიც მენშევიკების პარტიამ ერის ქისიდან ამოიღო და თავის თავს დაახარჯა. ამ მოთხოვნილების კანონიერება და საფუძვლიანობა აშკარაა თავისთავად. ამავე მოთხოვნის სასარგებლოდ შეიძლება იმ პოლიტიკური მომენტის გამოყენებაც, რომ დღეს, ჩვენი და მენშევიკების ერთად ყოფნისა და მოქმედების დროსაც, განსაკუთრებულის უპირატესობით ჩვენი მუშაობა საჭიროა ზოგ ცენტრებში, როგორც ოსმალეთსა და ლონდონში. თუ ისინი წრფელის გულით თანახმანი არიან ჩვენთან საერთო მოქმედებისა და გულწრფელად გრძნობენ, რომ ბევრგან მარტო ჩვენი ხელით შეიძლება საქმე გაკეთდეს, თუ ეს საერთოდ შესაძლებელია, - მაშინ ამ წინადადებაზე უნდა წამოვიდნენ და სამუშაო ფული გაიღონ. ეს წინადადება, ამხანაგთა წრეში მისი გატანის შემდეგ, კოლექტიურად დასვით და ენერგიულად დაიცავი.

სპ. კედია

ექვთიმე თაყაიშვილის წერილი სპირიდონ კედიას

აპრილი 1923

ბ-ნო სპირიდონ,

ამას წინეთ სულ მოკლე ბარათი გაახლეთ და მეგონა ის ვეღარ მოგისწრებდათ სტამბოლში, ვინაიდან საჩქაროთ აქ მოგელოდით, როგორც წინეთ გეპატიჟებოდით. შემდეგ თქვენი წერილის შინაარსი გრ. ვეშაპელმა გაგვაცნო, შევყარეთ კომიტეტი და ყურადღებით მოვისმინეთ თქვენი აზრი განზრახული პოლიტიკური საფეხურების გადადგმის შესახებ. შედეგი სხდომისა იყო ის ერთხმად მიღებული ტელეგრამა, რომელიც გამოგიგზავნეთ. ახლა მინდა სულ მოკლედ განვმარტო შინაარსი ტელეგრამისა. ჩვენის, ესე იგი საფრანგეთში მყოფი ჩვენი პარტიის წევრების აზრით, აუცილებლად საჭიროა თქვენ გაიცნოთ ის, რაც გაკეთებულა ან ცდილა რომ გაკეთებულიყო აქ საზღვარს გარეთ ამ ორი წლის განმავლობაში და თქვენ ჩვენ

გაგვაცნოთ ახლანდელი საქართველოს მდგომარეობა და სულისკვეთება, უამისოდ ჩვენც და თქვენც ცალმხრივი წარმოდგენა გვექნება საერთო საქმის მდგომარეობაზე და შეცდომასაც ადვილად ჩავიდენთ. ბევრჯერ იყო მოსინჯული ნიადაგი, ბევრი ცდა იყო დაგვეინტერესებია ინგლისი და სათათრეთი, როგორც მთავრობის მხრით საერთოდ ისე ჩვენი პარტიის მხრითაც. მაგალითად, ნ. ნიკოლაძეს ჰქონდა მანდატი თავისუფლად მოქმედებისა და იმოქმედა კიდეც, მაგრამ იმ ხანაში, როდესაც ლოიდ ჯორჯი[34] იყო სათავეში ინგლისში და სათათრეთს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჩრდილოეთთან, არაფერი გამოვიდა. ნ-ძემ წერილობითი განცხადებაც წარადგინა პროტოკტორატის შეძლევით. გრ. ვეშაპელიც მუშაობდა იქ. თათრებმა იმ დროს პირდაპირ განაცხადეს, რომ მათ თავის მოკავშირეებისათვის პირის შექცევა არ შეუძლიათ, რადგან ამ გეზმა მათ დიდი სარგებლობა მოუტანა. ეხლა რასაკვირველია მდგომარეობა შეიცვალა, ანუ უკეთ ვთქვათ, შეცვლის პერიოდშია და ეს ჩვენთვის ხელსაყრელია. ეხლა ერთიც და მეორეც ცოტა უფრო ხალისს იჩენს გველაპარაკოს და ზომებიც მიღებულია ძაფის გაბმისა, მაგრამ საკითხი ესაა, გაერთიანებული ფრონტი სჯობს სამოქმედოთ, თუ მარტო ჩვენი პარტიის გამოსვლა. ჩვენის აზრით, თუ ოდესმე საჭირო იყო გაერთიანებული ფრონტი, ეხლა უაღრესად უფრო საჭიროა. დიდ ევროპის სახელმწიფოთა თვალსაზრისით, საქართველო პატარა ქვეყანაა, ქართველები ერთი მუჭა ხალხია და მათ დამოუკიდებლად ცხოვრება და სახელმწიფოს შექმნა არ შეუძლიათ. ზურაბ ავალიშვილის აზრით, ჩვენი საქმე მაშინ დაიმარხა, როდესაც ინგლისელები გვირჩევდნენ სამივე კავკასიის რესპუბლიკა გავერთიანებულიყავით და სომხებისთვის ნაწილი ბათუმის ოლქისა დაგვეთმო. ამის უარყოფაში ის კ. ჩხეიძეს[35] ამტყუნებს. ეხლა წარმოიდგინეთ, რაღა ვიქნებით ევროპიელების თვალში, თუ ჩვენშიაც, ქართველებშიაც ერთსულოვნება არ შეგვწამეს და ერთიერთმანეთს დავუწყეთ მათ წინაშე კინკლაობა, ,,თვით არ იყო ძმარიო და შით ჩავიდა წყალიო" ეს იქნება. რაღა თქმა უნდა, ჩვენმა მმართველმა პარტიამ და მთავრობამ ათასი დანაშაული ჩაიდინა, ვერაფერში შემოქმედება და უნარი ვერ გამოიჩინა, მაგრამ ჩვენ სხვა მთავრობა არა გვყავს, ეს მთავრობა ანტანტის მიერ ცნობილია, მას ანგარიშს უწევენ, ახალ მთავრობას ჩვენ საზღვარს გარეთ ვერ შევქმნით, ავი თუ კარგი ის უნდა გავამაგროთ და მხარი დავუჭიროთ. ჩვენს პარტიას ამ მთავრობასთან თქვენის დასტურით წარმომადგენელი ყავდა და ყავს გრ. ვეშაპელის სახით, მე როგორც პრეზიდიუმის წევრი ვიღებდი მონაწილეობას და ჩვენს დაუკითხავათ და მონაწილეობის გარეთ პოლიტიკური საკითხები არ გადაწყვეტილა და არც ნაბიჯები გადადგმულა, მაშასადამე მონაწილე და პასუხისმგებელი ვართ ამ პოლიტიკისა. საქართველოდანაც განთავისუფლების კომიტეტის მდივანიც[36] ჩვენი პარტიის წევრი ყოფილა. დიდი და მიუტეველი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ ფული გასული წლის მაისამდი სხვა პარტიებს არ მიდიოდათ თურმე. ამის შესახებ გამოძიება წარმოებს. ამ წერილით აზრათ არ მაქვს ყველა საბუთები, მოსაზრებანი და მოტივები მოვიყვანო, თუ როგორი დამღუპველი იქნება ჩვენთვის ჩვენი პარტიების დაქსასვა საზღვარს გარეთ. ეს მხოლოთ პირად აზრთა გაცვლა-გამოცვლით შეიძლება მხოლოდ. მთავრობა და აქ მყოფი სხვა პარტიის წარმომადგენელნი მზათ არიან ყველა ზომები მიიღონ განსახორციელებლად თუ კი რაიმე საჭირო ახალ ზომას ვურჩევთ, თუნდ სულ გადადგომამდის. ამიტომაც არის, რომ აქ მყოფი წევრები ჩვენი პარტიისა და ზოგი ბერლინში მყოფნიც, ვისთანაც ჩვენ მიწერ-მოწერა გვაქვს, იმ აზრისა არიან, რომ ეს კითხვები ყველა კონფერენციაზედ უნდა განირჩეს და მას შემდეგ შეიძლება მხოლოდ

მიღებული გეგმის გატარება. რასაკვირველია, უსახსრობის გამო ჩვენ ყველა წევრებს, ვინც საზღვარგარეთ არის, ვერ მოვიწვევთ. კონსტანტინოპოლიდან თქვენ იქნებით, ბერლინიდან გრ. ალშიბაია და ლონდონიდან ნ. ნიკოლაძე. სხვები _ ვინც აქა ვართ. კონფერენცია პარიზში სჯობია, ვინაიდან გერმანიაში ახლა ვიზას არ იძლევიან და იქ შეკრება უფრო ძვირად დაგვიჯდება. რადგან იმედი მაქვს, რომ თქვენ მალე გნახავთ აქ, ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ და გისურვებთ ყოველგვარ წარმატებას.

პატივისცემით ექ. თაყაიშვილი.

გიორგი მაჩაბლის წერილები სპირიდონ კედიას

რომი 18/5 1923.
Vicolo 5.Nicolo la Tolentino, 20.

ძვირფასო სპრიდონ,

უდიდესი ბოდიში, რომ მაშინათვე ვერ გაგეც პასუხი და არ მოგილოცე შენი განთავისუფლება მხეც და ვერაგ ბრჭყალებიდგან. საშინლად გამეხარდა შენი ამბის გაგება. გეხვევი... უფრო მეტად გამახარა ჩვენი სულის და აზრების ერთოვნებამ, ჩვენს კავშირს მაგარი ფესვები ჰქონია გადგმული ჩვენს არსებობაში და ვერც მტერმა და ვერც სასოწარკვეთილებამ ვერ შესძლო მათი დარღვევა. რაზედაც შენ მწერ, აგერ კარგა ხანია რაც მოსვენებას არ მაძლევს და სულ იმის ფიქრში ვიყავ, თუ როგორ და რანაირად გამეხორციელებინა ეს გეგმა. დადგა წუთი, როდესაც საჭიროა მოქმედება, მოქმედება თავგადადებული, აწონ-დაწონილი, წინდახედული. ჩვენმა მთავრობამ როგორც საქართველოს ისე სამზღვარ გარეთ გამოიჩინა ყოველი უვარგისობა, გასძღოლოდა როგორც თავისუფალ საქართველოს, ისე დაეცვა მისი ინტერესები დამოუკიდებლობის წართმევის შემდეგ. ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი გადასცა მეორე ინტერნაციონალს, ამ გვამს და ეგონა ამით დაიხსნიდა საქართველოს რუსების ბრჭყალებიდგან. მე შენ სრულიად გეთანხმები, საჭიროა ახალი ორგანიზაციის შედგენა, ახალი ძალების შევსება, ეროვნულ ნიადაგზედ. საჭიროა დავუახლოვდეთ და მოვიპოვოთ ნდობა იმ სახელმწიფოების, რომელთაც შეუძლიანთ დაგვეხმარონ ჩვენ წმინდა საქმეში და ესენი არიან უპირველესად ინგლისი და ოსმალეთი. პირველთან ჩვენ მთავრობას არა აქვს არავითარი კავშირი, რადგან ბოლშევიზმს და მენშევიზმს შორის იგი არ ხედავს რაიმე განსხვავებას. ოსმალეთი კი როგორ მოეპყრობა მას ნდობით, როდესაც იგი ომობდა მასთან. მე ეხლა არ მინდა დაწვრილებით შევეხო ყველა იმ შეცდომას, რომელიც ჩაიდინა ჩვენმა მთავრობამ შინ და გარეთ, ეს ძალიან შორს წაგვიყვანს, მით უმეტესად მინდა საჩქაროდ შეგატყობინო ერთი ამბავი. ხვალ საღამოს პარიზში მივემგზავრები, სადაც დამიბარეს მოსალაპარაკებლად ერთ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზედ. ამ ორი კვირის წინად მივიღე წინადადება ჩხენკელისაგან,[37] წავსულიყავ ოსმალეთში მისიით. უნდა გითხრა, რომ თუმცა მთავრობის წარმომადგენლად ვითვლები რომში, ეს მე მაინც ხელს არ მიშლიდა, გულახდილად ჩემს წერილებში პარიზში უკმაყოფილება არ გამომეთქვა ბევრ სხვა და სხვა მათ ნაბიჯებზედ. რამდენჯერმე მოვითხოვე განთავისუფლება ამ თანამდებობიდგან, რომ უფრო თავისუფალი ვყოფილიყავ.

სამწუხაროდ, არავინ ჰყავთ და ამით რომში უნდა მოგვესპო ჩვენი წარმომადგენლობა და ამიტომ იძულებული ვიყავ საერთო ინტერესების გამო დავრჩენილიყავ (სხვათა შორის ჩემს მეტი არავინ არის აქაურ ლეგაციაში, ასე რომ პირდაპირ შეგიძლიან წერა, ზემო მოყვანილი ჩვენი ახალი მისამართით). ჩემი ბედით უკმაყოფილობა ერთ საკითხზედ იმაში გამოვხატე, რომ ოთხი თვის განმავლობაში სულ არაფერს ვწერდი და არც წერილზედ ვუპასუხებდი. ყველაფერს გიამბობ მალე, ან მოგწერ უფრო დაწვრილებით. ამისდა მიუხედავად, ამ ორი კვირის წინად მომივიდა ზემონათქვამი წინადადება _ ოსმალეთში გამგზავრება. ჩხენკელი მწერდა, რომ ეს იყო მთავრობის და პარტიების წარმომადგენლების საბჭოს დადგენილება, რომ ერთხმად (?!) მე დამასახელეს. მე დავუსვი მათ 5 პირობა, რომლებიც არ მოსწონებიათ მათ და ჩხენკელი მწერს, რომ მე ვერ გამოვნახე ,,სახელმწიფოებრივი ენა", მავიწყდება, რომ ისინი იყვნენ მთავრობის წევრები და სხვა. სისულელე! ლათაიობენ. ხედავენ თავიანთ სრულ სისუსტეს, თან სურთ ჩვენით ისარგებლონ, თან ,,პორთფელიც" შეინარჩუნონ და ბრძანებლობდნენ. ერთხელ ჩავიდინეთ ეს გაუსწორებელი შეცდომა, ჩავაბარეთ მათ სამმართველოდ დამოუკიდებელი საქართველო და სურთ კიდევ გამეორდეს ესევე მოვლენა. ძალიან სცდებიან და ჩვენ ჩავიდენთ საშინელ დანაშაულობას, თუ ხელმეორეთ კიდევ გავაბატონებთ ამ უნიჭო და თავიანთი იდეოლოგიით გახრწნილ ვაჟბატონებს. ეყოთ, რაც ჩაიდინეს. მათ ცინიზმს საზღვარი არ აქვს. ამისთანა აყვავებულ გზაზედ დამდგარი ქვეყანა ხელიდგან გაუშვეს და კიდევ ჰფიქრობენ ფარეშობას! ჩემზედ გაჩერდნენ მხოლოდ იმიტომ, რადგან იციან, რომ დაწყებული სულთნიდან რაუფ ბეგამდის[38] ჩემი ნაცნობ-მეგობრები არიან. თვით ქემალს[39] არ ვიცნობ, მაგრამ ისმეთ ფაშას კარგათ. ეს ის ისმეთია, რომელმაც ოსმალეთის მთავრობის მხრივ (მაშინ იყო კოლონელი და სამხედრო სამინისტროს შტაბის უფროსი) მოაწერა ხელი ჩვენ ხელშეკრულებაზედ ოსმალებთან. პარიზიდგან მოგწერ, რაც მოხდება. ყველაზედ ძნელი საკითხია_გამორკვევა ჩვენი ახალი ორგანიზაციის დამოკიდებულებისა ჩვენ ძველ მთავრობასთან. ეს მეტად რთული საკითხია და საჭიროა ამაზედ მოლაპარაკება. მე ჩემს აზრს პარიზიდგან მოგწერ, როდესაც დავინახავ თუ რას ჰფიქრობენ, თუ რომელ წერტილამდის გაყინვისა მივიდა მათი ტვინ-გონება. მერე საჭიროა ფულის გამონახვა, ურომლისოდაც ჩვენ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ, რაც უნდა დიდი სურვილი გვქონდეს. აი უმთავრესი მუხლები ჩვენის მომავალი მუშაობისა. დანარჩენი ყველა ადვილი იქნება და მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ ჩვენ მიზანს მივაღწევთ. უნდა შევქმნად ახალი კომიტეტი _ საქართველოს დამოუკიდებლობის მებრძოლთა. ამ ორგანიზაციის მთელი გეგმა უკვე მაქვს შედგენილი, მიხამაც[40] მოიწონა, საჭიროა მხოლოდ შევერთდეთ და საბოლოოდ გადავსწყვიტოთ ეს საკითხი სად, როდის, როგორ? ყველანი ვერ შევიკრიბებით, ეს ძალიან მძიმე იქნება ჩვენი ცარიელი ჯიბეებისთვის; უნდა შესდგეს სტამბოლში, ბერლინში, რომში (აქ კი არავინ არის), პარიზში და უმთავრესად კი ლონდონში ადგილობრივი კომიტეტები, მათ უნდა გაგზავნონ თითო დელეგატი დანიშნულ კონფერენციისათვის ალაგას, ამნაირად 4-5 კაცი, რომელნიც შეიმუშავებენ და გადასწყვეტენ მუშაობის გეგმას და ეს უნდა იყოს სავალდებულო ყველა ადგილობრივ კომიტეტისათვის. ეს 4-5 კაცი იქნება, ასე ვსთქვათ, მმართველი ამ ორგანიზაციისა. მეტი საჭირო არც კია, ნაკლები ყბედობა იქნება და მეტი საქმიანობა. სტამბოლში აქამდის ხომ არაფერი მოგიწყვიათ? ან რაიმე ნაბიჯები ხომ არ გადაგიდგამთ. ეხლა პარიზში ვეცდები მოვაწყოთ რამე. იქიდგან ბერლინში ჩავალ. გზაზედ ლოზანაში მინდა შევიარო, მიხვდები რატომ. ბერლინშიც მოვაწყობთ იქაურ

კომიტეტს. რომში ჩემს მეტი არავინ არის. ლონდონში არავინ მეგულება. იქ უნდა წავიდეს ვინმე ჩვენგანი, რომ იქაც მოაწყოს იქაური კომიტეტი. ეს ყველაზედ მნიშვნელოვანი ალაგი უნდა გახდეს ჩვენთვის, როგორც უწინ ბერლინი იყო. არ ვიცი ჯერ-ჯერობით თუ ვინ შესძლებს იქაურ მუშაობას. თუ იქ კარგად მოვაწყეთ ჩვენი საქმე, მაშინ 99% დამთავრებულად უნდა ჩავთვალოდ ჩვენი მიზნის მიღწევისა. ინგლისელების ნდობის მოპოვება სათავეში ძნელი იქნება, მაგრამ თუ ერთხელ შევძელით მათი ხელში ჩაგდება, მაშინ ყველაფერი ადვილია. ინგლისზედ მოქმედება უკეთესი იქნება სტამბოლში დავიწყოთ, ესე იგი დავაინტერესოთ მანდაური ინგლისის წარმომადგენელი და მისი რეკომანდაციით ინგლისში გავემგზავროთ. ასეთია მათი საქმიანი ფსიხოლოგია. კომპეტენციას მათ აზროვნობაში ყველაზე დიდი ალაგი უჭირავს. ასე რომ, უმთავრესი მნიშვნელობა ჩვენ მუშაობას უნდა მივაქციოთ სტამბოლში. ეცადე დაუახლოვდე და დააინტერესო მანდაური ინგლისის წარმომადგენლობა და მისი წრეები. მომწერე გეთაყვა დაწვრილებით შენი აზრი, გეგმა და თუ პრინციპიალურად ეთანხმები ჩემს აზრებს. წერილი აქ მომწერე. ყველაფრის წერა შეგიძლიან, ჩემს მეტი ამ ბინაზედ არავინ სცხოვრობს. დელეგაციის ხსენება კონვერტზედ საჭირო არ არის. თუ შენი პასუხი ჩემს დაბრუნებამდის მოვიდა, სულ ერთია, გადმომიგზავნიან სადაც ვიქნები. პასუხს კი ნუ დამიგვიანებ. ცდა ეხლა აღარ შეიძლება, თუ ჩემი გამომგზავრება ოსმალეთში მოხერხდა, მაშინ ხომ მანდ გნახავ და ყველაფერზედ მოვილაპარაკებთ. მაშ ველი შენს ამბავს. მე ჩემის მხრივ აღარ დაგიგვიანებ ამბებს, როგორც ეს მოხდა ეხლა ათასი სხვა და სხვა მიზეზებით. ზედ დაერთო ბინის გამოცვლა, რაც ეხლა აქ ისე ადვილი არ არის. რაც შეეხება იტალიას, ჯერ აქ ძნელია მუშაობა. ჩვენმა მთავრობამ, მისმა წევრებმა და ნამეტნავად მისმა პირველმა წარმომადგენელმა[41] ისე წაახდინეს თავის დროს აქ საქმე, რომ თითქმის არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ახალი ორგანიზაციის საშუალებით მხოლოდ შესაძლებელია კიდევ საქმე გამოსწორდეს. ფაშისტებმა ძალიან კარგად იციან ჩვენი მთავრობის ფიზიონომია და მათი წარსული და ბევრს არ ცდილობენ მას დაეხმარნონ.

ეხლა გავათავებ ამ წერილს, რადგან საშინლად მეჩქარება. შენი წერილის მოლოდინში მინამ მიიღე ჩემი გულითადი მეგობრული სალამი. ჩემი ცოლიც ძალიან მოხარული იყო შენის განთავისუფლებით, მოგიკითხავს გულწრფელად.

შენი გიორგი მაჩაბელი

ლოზანა 26/V.1923
Hotel lizabeau.

ძვირფასო სპირიდონ,

ჩემი წერილი რომიდგან სწორეთ ამ ერთი კვირის წინად გამოგზავნილი, მიღებული გექნება. როგორც გწერდი, პარიზში დამიბარეს მოსალაპარაკებლად, თუ ვიკისრებდი ანგორაში მისიით წასვლას. რასაკვირველია, მისიით წასვლაზედ ლაპარაკი ადრეა, მინამდის ერთის მხრივ არ გამოირკვევა, თუ ოსმალებს სურთ ჩვენთან ლაპარაკი და მეორეს მხრივ თუ თვით ჩვენი მთავრობის საკითხი არ გამოირკვა. პირველს აქ გავიგებთ, რაკი თვით ისმეთ ფაშისაგან შეგვიძლიან შევიტყოთ თუ რას ჰფიქრობს იგი და თუ სთვლის შესაძლებლად ეხლა მათთან

მუშაობას ან ჩვენი ორგანიზაციის დაშვებას მათ ტერიტორიაზედ. ამ მიზნით მე აქ პარიზიდგან ჩამოვედი გუშინ. ცუდ დროს მოვუსწარ, რადგან აქაურმა მოლაპარაკებებმა მიაღწიეს უმაღლეს წერტილს შეუთანხმლობისას. აქ ეხლა ისეთი ატმოსფერო ტრიალებს, რომ ყოველ წუთს ელიან განხეთქილებას, კონფერენციის ჩაშლას და ომის ხელახლად ატეხას. ჩვენთვის არავის სცალია, მე მაინც იმედი მაქვს ამ ორ-სამ დღეში ისმეთი ვნახო. დღეს მქონდა მის მდივანთან და ადიუტანტთან შეხვედრა. ეს საკითხი რომ გამოირკვევა, უკანვე პარიზში დავბრუნდები, სადაც უმთავრესი საკითხი შენ წინადადებასთან დაკავშირებული უნდა გადაწყდეს. შენ თვითონ პარიზში გელიან, მაგრამ, როგორც სჩანს, შენი ბოლო წერილიდგან გრიგოლისადმი,[42] შენ ჩამოსვლას ჯერ არ აპირებ, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, პირობები ხელს გიშლიან. შენი ჩამოსვლა კი თითქმის აუცილებელია, რომ ყველაფერი გამოირკვეს. შენი წინადადების შესახებ გვქონდა კერძო ლაპარაკი ერთ სხდომაზედ, რომელზედაც დაესწრნენ: გ.ვეშაპელი, ე.თაყაიშვილი, გ.გვაზავა, იოსებ დადიანი,[43] მამულაიშვილი და მე. ეჭვს გარეშეა, რომ ყველანი ვგმობთ მთავრობის და ნამეტნავად მენშევიკების ქცევას და მათ საქციელებს. ყველა ნათლად ხედავს, რომ მთავრობამ ვერაფერი უნარი ვერ გამოიჩინა ვერც შინ და ვერც გარეთ, რომ საჭიროა გამოინახოს ახალი გზა, ახალი პირობები მუშაობისა. შენის აზრით, საჭიროა მთლად ზურგი ავუქციოთ მთავრობას და ვიმუშავოთ სრულიათ გაცალკევებულად. ეს მეტად რთული და დელიკატური საკითხია, მასთან ერთად ძალიან საშიში. საშიში იმ მხრივ, ვაი თუ ამგვარ ნაბიჯით ჩვენც ვერას მივაღწიოთ და მთლად დავაზარალოთ საგარეო საქმე. მეორეს მხრივ, ყოვლად შეუძლებელია ამ პირობებში მუშაობა. ამიტომ მე შევიტანე ჩვენს ამხანაგებში წინადადება, მოვსთხოვოთ მთავრობას მისი რადიკალური რეორგანიზაცია. ეს, რასაკვირველია, ისე უნდა მოხდეს, რომ ევროპის ოფიციალური წრეების თვალში ჩვენ მთავრობას შერჩეს ჯერ კიდევ, ვიდრე ზოგიერთ სახელმწიფოებში ამას სცნობენ, როგორც ასეთს (მაგ. საფრანგეთში) ოფიციალური ხასიათი. ჩემის აზრით, ეს ისე ძნელი არ არის. როგორც ეტყობა, მთავრობა ამაზედ დათანხმდება, რადგან ჰგრძნობს თავის უძლურებას და გამოუდეგრობას და მზათაა ყველა დათმობაზედ. ეს უნდა მოხდეს მალე, დაუყონებლივ. ეროვნული ელემენტი ახალ მთავრობაში უნდა იყვეს ნახევარი მაინც. მთელი ორგანიზაცია მასთან ერთად უნდა გადავიდეს ახალი პირების ხელში. ფულის გაგზავნა საქართველოში მაგათი შემწეობით უნდა ეხლავე შესწყდეს. მიამბო იოსებ გობეჩიამ[44] ყველა მათი სისაძაგლე და გათახსირება. ის ფული (თუმცა ბევრი აღარ დარჩა, მაგრამ რაც უნდა იყვეს), რომელიც გადიგზავნება მომავალში საქართველოში ისე უნდა იყვეს განაწილებული, რომ ეროვნულმა პარტიებმა მიიღონ თავიანთი დანაკლისი უწინდელი გადაგზავნილი თანხებიდგან. ყველა ამაზედ თუ დაგვთანხმდნენ, მაშინ მე მიმაჩნია შესაძლებლად საერთო ფრონტის დაცვა და საერთო მუშაობა. თუ არა და მაშინ უნდა უსათუოდ შევიყარნეთ და გამოვნახოთ ახალი გზა მოქმედებისა, როგორც შენ იწერებოდი. ევროპაში საერთო ფრონტს, რაც უნდა იყოს დიდ ყურადღებას აქცევენ და ამიტომ საჭიროა ბოლომდის დავიცვათ იგი. ამ მუშაობასთან ერთად, საჭიროა ჩვენი კერძო მუშაობაც. უნდა დაარსდეს ყველა ევროპის ცენტრებში ეროვნულ ნიადაგზედ დამყარებული ორგანიზაციები, რომელზედაც მე გწერდი. უნდა შევუდგეთ ხალხის დამზადებას, ახალი წევრების, ახალ მებრძოლთა. რაც უფრო დიდი ორგანიზაცია გვექნება, იმდენად უფრო დამზადებული დაუხვდებათ იმ მომენტს, რომელიც ერთხელ მაინც უნდა დადგეს და რომელიც არც ისე შორს უნდა იყვეს. ყველა ეროვნული სულით გაჟღენთილი ქართველი უნდა იყვეს წევრი ჩვენი

ორგანიზაციისა, მზა, _ ემსახუროს საერთო საქმეს, როდესაც მას მოვუწოდებთ. პარიზში და ბერლინში ეხლა ვეცდებით მოვაწყოთ. თქვენ მანდ სტამბოლში იმუშავეთ. შენი ბოლო წერილი საქართველოს მდგომარეობის შესახებ მეტად სამწუხაროა. ჩვენ მაინც სული არ უნდა დავკარგოთ და ვამზადოთ ახალი მებრძოლნი. აქედგან მე ვფიქრობ 3-4 დღეში ისევ პარიზში დავბრუნდე ზემო ნათქვამ საკითხების გამოსარკვევად. მერე მინდა ბერლინში წავიდე და თუ მოვახერხე სტამბოლშიც გეწვევით, რადგან შენთან მოლაპარაკება ძალიან მინდა. პასუხი მომწერე Hotel d'Albe, Av. geuge V. მე ყოველ 3-4 დღეში მოგწერ აქაურ ამბებს და ნუ შევწყვიტავთ კავშირს. ველი მოუთმენლად შენს წერილს.

გეხვევი შენი გიორგი მაჩაბელი

ბერლინი. 16/VIII. 1923

ძვირფასო სპირიდონ,

ეს წერილი ცოტა დაგიგვიანე, მაგრამ ძალიან ბევრი საქმეები, რომელიც აქ გამომიჩნდა, არის ამის მიზეზი. არ შემიძლიან ვსთქვა, რომ მეტად კმაყოფილი დავრჩენილიყავ აქაური საქმეებით. ჯერ ეს ერთი, მეტი იმედი მქონდა ჩვენი აქაურ ორგანიზაციის გაფართოებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, აქაურ ქართველებს უცნაური აპატია ეტყობა პოლიტიკურ საკითხებისადმი. უფრო დოლარის აღმა-დაღმა ხტუნაობა აინტერესებთ. მეორეც, სხვა და სხვა დავალებებს მანდედგან, მაგ. სტამბის შესახებ, ვერ ვამთავრებ ბევრი სიძნელის გამო. დავიწყებ უკანასკნელიდგან. აქამდის გამოკვეთილი არ არის, ვის ეკუთვნის ის შრიფტი, რომელიც ჩვენ ჩამოვახსმევინეთ ომის დროს ჩვენი გაზეთისთვის[44] აქაურ სახელმწიფო სტმბას. გ.კერესელიძე[45] მიმტკიცებდა, რომ ეს შრიფტი ჩვენია, გამოდგა კი რომ ეს შრიფტი სტამბისაა, ჩვენ გვქონდა მხოლოდ სარგებლობის უფლება და ამ შრიფტს ჩვენ სტამბა არ მოგვცემს. შეიძლებოდა ახალი შრიფტის ჩამოსხმა, მაგრამ ესეც გაგვიძნელეს. ვისთვის და რომელი ქვეყნისთვის გინდათო და სხვა. დროის უქუნლობაც მოიგონეს და ბევრი სხვა. ეს ის გერმანია არ არის, რაც იყო. ისე გამოცვლილია ყველა ცხოვრების პირობები, თვით ხალხი, მათი ფსიქოლოგია, რომ პირდაპირ ვერ წარმომიდგენია, რომ ეს ისევ ის გერმანიაა, სადაც მიცხოვრია, რომელსაც ვიცნობდი და პატივს ვცემდი. შრიფტის ჩამოსხმას როგორც იქნა, დაგვპირდნენ, მაგრამ ფასებს არ ასახელებენ, როდესაც მზად იქნება მაშინ გეტყვითო, რადგან არ ვიცით რა დაჯდებაო. მერე გატანის უფლება, ძალიან ძნელია და დიდ ხარჯებთან დაკავშირებული. მე მაინც ვცდილობ ყველაფერი გავიგო, რომ იმაზედ მეტი არ დაგვიჯდეს, რაც მანდ დაგვიჯდებოდა. ზედ დაემატება საფრანგეთის შეტანის ბაჟი და მე მგონი კარგი იქნება, თქვენც მანდ მოიკითხოთ მისი დამზადების ფასი. ხვალ დამპირდნენ მაცნობონ დაახლოებითი ფასები და მაშინვე თქვენ შეგატყობინებთ.

ეხლა ჩვენი ორგანიზაციის შესახებ. აქაურ ჩვენ კომიტეტთან მე მქონდა ოთხი-ხუთი სხდომა. პირველი ორი სხდომა ცოტა ხმაურიანი იყო. ეს გამოიწვია გრ. ალშიბაიას[46] და ჩემს შორის აზრის სხვადასხვაობამ. მის შესახებ მე ვწერდი გრიგოლს[47] მოკლეთ და ეხლა მინდა დაწვრილებით გაცნობო საქმის ვითარება. უნდა აღვნიშნო, რომ გრ. ალშიბაიას წინაამღდეგ პიროვნუ-ლად მე არაფერი მაქვს. იგი ჩემი ძველი მეგობარია და შეიძლება მისი გამოყენება.

ჩვენი ,,შეტაკების" მიზეზი იყო მისი რუსული ორიენტაცია. მე ამ საკითხს მივეცი პრინციპიალური ხასიათი და ისიც გამოვუცხადე, რომ თუ ის არ დაემორჩილება პარიზის კომიტეტის აღებულ გეზს და მის ინსტრუქციებს, მაშინ ჩვენ შორის საერთო მუშაობაც შეუძლებელი გახდება. ამგვარ კატეგორულ ჩემს განცხადებას სასურველი შედეგი მოჰყვა. მან უკან წაიღო თავისი დებულებანი, დაემორჩილა ჩვენს გადაწყვეტილებას და ეხლა ჩვენს შორის არავითარ გაუგებრობას ალაგი აღარ აქვს. დაწვრილებით ყველაფერს მე მანდ გიამბობთ, ერთს კი გეტყვით, რომ საჭიროა საშინელი სიფხიზლე, დისციპლინა და მაგარი ტონი. ვინც არ დაგვემორჩილება და გულწრფელად ჩვენთან არ იმუშავებს, მათი თანამშრომლობაც ჩვენთვის საჭირო არ არის. ის უფრო მეტს ავნებს ჩვენს ორგანიზაციას, ვიდრე რაიმე ნაყოფს მოიტანს. ჩემს მოხსენების შემდეგ გამოიტანა აქაურმა კომიტეტმა დადგენილება, რომელიც თქვენ მოგივათ. დავთანხმდი მხოლოდ ალშიბაიას გამოთქმულ სურვილზედ, რომ ვეცადოთ ევროპაში რუსების ორგანიზაციებს გამოვატანინოთ რეზოლუციები საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისა, როგორც ეს მოხდა რუსების მემარცხენე პარტიების მხრივ. თუმცა ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ აქაური კომიტეტის ეს სურვილი მივიღოთ მაინც მხედველობაში. მერე წავიკითხე მოხსენება აქაურ კოლონიის ერთ პატარა წრეში. ხალხი ცოტა დაესწრო. უმნიშვნელო კამათი გამოიწვია. ბევრი სხვა და სხვა პირი მოვიდა ჩემთან და გამიზიარა, რომ დიდის სიამოვნებით და ერთგულებით იმუშავებენ ჩემთან ერთად, მაგრამ ეროვნულ პარტიაში კი წევრებათ ვერ შემოვლენ. ყველა ესენი თხოულობენ ახალ ორგანიზაციის შექმნას, ვერ გაუგიათ, რომ ჩვენი ორგანიზაცია მართლა ახალი საქმეა, რომ ერთადერთი ჯგუფია, რომელსაც შეუძლიან სათავეში ჩაუდგეს საქართველოს საქმეებს. არა უშავს რა, მალე დაინახავენ და ამაში დარწმუნდებიან. შენ მართალი ხარ, მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მიქცეული იყოს ფულის შოვნაში. ახალი პერსპექტივები დამეძალა. მანდ ყველაფერზედ დაწვრილებით მოვილაპარაკებთ. ჩემი ცოლი[48] მიწვეულია ნიუ-იორკში ამ ზამთარს იმ დიდ პანტომიმაში სათამაშოთ, რომელიც 1912 წ. იყო დადგმული ლონდონში და რის შემდეგაც მან მაშინ ხმა გაიგდო. შესაძლებელია მეც გავყვე ამერიკაში და იქ რამე მოვაწყო ფულის საშოვნელად. ამაზედ ჯერ ნურავის ნუ ეტყვით. ეს საქმე ჩვენ ეხლა უნდა მოვაწყოთ. მაშ ნახვამდის. ნუ გაიტეხთ გულს. მაგრა და კარგად იყავით.

ძმურის სალმით ყველა აქედგან
შენი გიორგი მაჩაბელი

რომი. 25/IX. 1923.

ძვირფასო სპირიდონ,

საჩქაროდ ორიოდე სიტყვა, რადგან ერთ ნახევარ საათში ჩივოტავეკიაში მივდივარ ცოლთან. იქიდგან ვრცელ წერილს მოგწერ. ეხლა ვასოს[49] შესახებ: ვასო ჩამოვიდა ბერლინში (ოტელ ბრისტოლ). მე მისგან მივიღე დეპეშა, რომ იქით კვირას აქ იქნება. თუ გინდა შენც მისწერე ბერლინში, თუ არა და მე მოველაპარაკები მას შენ საქმეზედ. ავტომობილი შენი საქმე არ არის. რაკი არ იცნობ შენ თვითონ ამ საქმეს, მოგატყუებენ სულ მუდამ და ვერაფერ ხეირს ვერ ნახავ მასში. მე ვიცნობ ამ საკითხს კარგად, თუ შენ თვითონ არ ზიხარ მაშინაზედ ან არ გაქვს ხუთი ექვსი მაშინა და თუ

შენ თვითონ არა ხარ ტექნიკოსი __ ეს საქმე არ არის ისე ხელსაყრელი, როგორც შენთვის აუწერიათ. მე მაინც ვასოს მოველაპარაკები უსათუოდ და მე თვითონაც ვიფიქრებ რა გამოვნახოთ. ასე ჩემო სპირიდონ. ამ ორ-სამ დღეში ჩემგან მიიღებ ვრცელ წერილს.

მინამ ძმური სალამი
შენი გიორგი მაჩაბელი

რომი. 4/X. 1923წ.
Vicolo 5.Nicolo la Tolentino, 20.

ძვირფასო სპირიდონ,

ამ რამდენიმე ხნის წინად მივიღე ვეშაპელის პატარა ბარათი, სადაც გაკვრით მატყობინებდა უსიამოვნო ამბავს __ თქვენ შორის ამტყდარ დისონანს. გარდა ამისა, გუშინწინ მივიღე მისგან რუსული გაზეთის ნომერი მოწინავე წერილით მის ინტერვიუს შესახებ. რადგან ორთავე ფაქტი მეტად მნიშველოვანია და მასთან ერთად სამწუხარო მოვლენას (ჩვენთვის მაინც) წარმოადგენენ, ამიტომ გუშინ მას მივწერე ერთი წერილი, რომლის შინაარსაც სიტყვასიტყვით შენც აქ გაცნობებ, რომ ამით ჩემი აზრი შენც იცოდე. ,,ძმ. გრ. მივიღე შენგან გამოგზავნილი რუსული გაზეთის ნომერი მოწინავე წერილით შესახებ შენი ბაასისა. თვით ეს უკანასკნელი კი რაში გამოიხატება არ ვიცი. ძალიან გთხოვ, გამომიგზავნო რაც შეიძლება ჩქარა თვით ინტერვიუს ნომერი, რომ გულახდილად ჩემი აზრი გადმოგცე. მე ჩემ ბერლინის მოხსენებაში სწორედ საწინააღმდეგო აზრი გამყავდა, რომ ჩვენთვის ხელსაყრელი არ არის და მავნებელიცაა მაგგვარი გამოსვლები და საერთოდ ამისთანა დაახლოვების შესახებ საჯაროთ ლაპარაკი, ამიტომ მინდა თვით ინტერვიუ წავიკითხო, რომ უფრო დაწვრილებით ჩემი შეხედულობა ამ საგანზედ გაგიზიარო. გირჩევ კი ფრთხილად იყო ამგვარი დეკლარაციებით, რადგან საერთო მუშაობის გეზს შეიძლება ავნოს. ინგლისთან და ოსმალეთთან მუშაობასთან ერთად ეს იქნება ამ მუშაობის საკუთარი ხელით ყელის გამოჭრა. თუ ამაში არ შევთანხმდით, ჩვენი მუშაობა იქნება მუდმივი გაუგებრობა. გარდა მაგისა, მეშინიან, ამგვარ ნაბიჯებმა არ დაგაკარგვინოს ის სახელი, რომლის სახელითაც შენ ამგვარ დეკლარაციებს აქვეყნებ. გვეყო რუსებისაგან მოტყუებაში დარჩენა! ნუ თუ საკმარისი მაგალითები არა გვაქს ხელთ! შენ რაღა ამის მოგონება გინდა! _ძალიან მეწყინა შენი და სპირიდონის დისონანსი, რომელზედაც შენ მე მწერდი. რა ღმერთი გვიწყრება! ისედაც ჩვენ სუსტ ძალებს რაღა დაყოფა და დაკუწება სჭირია! მე იმედი მაქვს, ვიდრე მე ჩამოვალ, თქვენ ისევ ისე გამონახავთ საერთო ენას ჩვენი უბედურ სამშობლოს და დაღუპული ერის ინტერესებისთვის. შემატყობინე მაინც, რაშია საქმე, რატომ ვერ მოთავსებულხართ ერთი მეორეს გვერდზედ? რა გაქვთ გასაყოფი? თუ ამ მოვლენებს ბოლო არ მოეღო, მაშინ მე უთქვენოთ ჩემს გზას დავადგები და ამნაირად ყველანი ავიწეწ-დავიწეწებით. განა ეს პატრიოტობაა? განა ეს ვაჟკაცობაა? ერთი მეორესთვის უბრალო რამ ვერ დაგვითმია და წინ კი იმისთანა ძნელი ამოცანა დაგვისახავს, როგორც სამშობლოს მტრისაგან განთავისუფლება! რას უნდა მოველოდეთ ჩვენგან? ველი შენს ამბავს და სხვა". აი წერილი, რომელიც გუშინ გავუგზავნე. მინდა შენი აზრიც ვიცოდე, როგორც პირველ

ისე მეორე საკითხზედ. ვატყობ, რომ არამც თუ მთავრობა და მთავრობის პარტია უნდა გადადგეს საქმის წარმოებისაგან, არამედ აქამდე არსებული ოპოზიციონური პარტიაც, თუ პარტიები. ყველაფერი წამხდარი ყოფილა ჩვენში. უნდა შესდგეს ახალი, საღი, ძველი სულისაგან განთავისუფლებული მოძრაობა. შიგ უნდა მიიღონ მონაწილეობა მხოლოთ მათ, ვისაც აინტერესებთ და უნდათ დაიცვან მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს ინტერესები და არა თავიანთი პირადი. ამ ბოლო ამბების შემდეგ (თბილისის ერ._დემ. დეკლარაცია, ვეშაპელის ინტერვიუ, შენ და მას შორის აშლა, კონსტანტინოპოლის ინტრიგები) მე ვეჭვობ, რომ დაწყებულ ჩვენგან პარიზში საქმეს რაიმე ნაყოფი მოყვეს. საჭიროა სრული განახლება ჩვენი მოძრაობისა. ძველი ატმოსფერო თავის სახელით უნდა ამოვშალოთ ჩვენი მომავალი პროგრამიდგან. სხვანაირად ძნელია საქმის საღ ნიადაგზედ დაყენება. უნდა შევადგინოთ სია ამ ახალი მოძრაობის თანამშრომელთა, უნდა მოწვეული იყვეს კონფერენცია და შემუშავებული მთელი პოლიტიკური გეგმა, როგორც ორგანიზაციისა ისე მოქმედებისა. ძველი წევრები სხვა და სხვა პარტიების მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებიან დაშვებული ამ ახალ ორგანიზაციაში, თუ ისინი გულწრფელად და საჯაროდ დაანებებენ თავს ძველ თავის პარტიას, იქნებიან ეს ნაც. დემ., ფედერალისტები, თუ სოც. დემ. ჩვენ ომის კომიტეტში,[50] სადაც იყვნენ ყველა პარტიის მომხრენი, არ იყო ის ინტრიგები, რაც მარად ერთ შტოში ნაც. დემ. პარტიისა ხდება, საერთო პარტიის ინტრიგებს რომ თავი დავანებო. ამიტომ გთხოვ, ჩემო სპირიდონ, მოიფიქრო ყველა ეს, რასაც გწერ და შენი აზრი შემატყობინო. სამწუხაროდ, მე ნოემბრის დასაწყისში ვიქნები მხოლოდ პარიზში. შესაძლებელია ამერიკაშიც მომიხდეს წასვლა, თუ იქნება რაიმე პერსპექტივები შევაგროვოთ იქ ჩვენი მოძრაობისთვის ფული. ვასოსგან[51] გუშინწინ მივიღე დეპეშა _ გადასდო ერთი კვირით აქ ჩამოსვლა. მიიღეთ თუ არა ჩემი წერილი. ივანიცკის[52] ვუხერხებ აქ ვატიკანში მოწყობას. ალბათ მალე ჩამოვა. სამწუხაროდ, ენები არ იცის, მაგრამ იმედია მალე შეისწავლის და აქ ძალიან გამოგვადგება. გავიგე მოგიწყვიათ სტამბოლის ქართველებისთვის მანდ ჩამოსვლის ამბავი. ვინ დაგეხმარათ? აქ არის ეხლა სტამბოლიდგან ჩამოსული პავლე მოსულიშვილი. მანდ მოდის. ესეც გამოგვადგება სამუშაოდ. ბევრი მასალები აქვს ჩვენი კონსტანტინოპოლის წარმომადგენლობის[53] სიმამაძაღლეებისა. პირდაპირ ჩამოსახრჩობი ხალხი ყოფილა. აბა მაშ ნახვამდის. შენი წერილის მოლოდინში გითვლი ძმურს სალამს, ჩემი ცოლიც მოგიკითხავს.

შენი გიორგი მაჩაბელი

რომი. 12/X. 1923.
Vicolo 5. Nicolo da Tolentino, 20

ძვირფასო სპირიდონ,

შენი წერილი შვიდ ამ თვიდგან მივიღე. წერილის სათავეში იწერები, რომ სავსებით იზიარებ ჩემი წერილის მეორე ნახევარს, ე. ი. ჩვენი პარტიის სრულ განახლებას. მე მეგონა რომ ჩემ წერილის პირველ ნახევარს _ გრიგოლის[54] დეკლარაციის შესახებ _ შენ არ იზიარებდი, მაგრამ შენმა წერილმა დამარწმუნა, რომ

პირველ ნახევარსაც იზიარებ, რაც მეტად სასიამოვნოთ დამრჩა. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ მანდაურმა კომიტეტმა არავითარი ზომები არ მიიღო ამ საკითხის გამო. ჩემ წერილზედ გრიგოლმა ჯერ პასუხი არ გამცა, თუმცა ჩემი წერილი შენზედ ადრე უნდა მიეღო. ხათრიანობას, პატიობას და უხასიათობას არ უნდა ჰქონდეს ალაგი საზოგადო საქმეების გადაწყვეტის ირგვლივ, მეტადრე პოლიტიკური მუშაობის დროს. ამიტომ იყო, რომ გრიგოლს მოვთხოვე გამოეგზავნა ჩემთვის თვით ინტერვიუ და მიეცა ანგარიში თავის ამისთანა მოუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმის გამო. ჩვენს პროგრამაში გრიგოლისაგან აღძრული საკითხი უნდა შეადგენდეს პრინციპიალურ საკითხს და საჭიროა გარკვეული იყვნენ ყველა ეს პრინციპული საკითხები, სუფევდეს ერთსულოვნობა, შეთანხმება და მასთან ერთად დისციპლინა და შეუდრეკელობა. უამისოთ ჩვენი მუშაობა უნაყოფო და მავნებელიც შეიძლება გამოდგეს. ცოტანი ვიყვნეთ, მაგრამ ერთსულოვანნი და მთლად შეთანხმებული ყველა საკითხებში ეს ბევრად სჯობია, ვიდრე მრავალრიცხოვანნი, მაგრამ დასუსტებული მუდმივი გაუგებრობით, ინტრიგებით და სხვა. მაგრამ ამის შესახებ მანდ დაწვრილებით მოვილაპარაკოთ და გამოვარკვიოთ.

ეხლა ერთი მეტად სერიოზული და საიდუმლო საქმე. ჩემი ჩამოსვლისთანავე აქ იტალიაში დავიწყე მუშაობა ჩვენი საკითხის გამო და არ შემიძლიან არა ვსთქვა, რომ ეს ჩემი ბოლო (?) მოქნევა დარჩა უნაყოფოთ. ჩავიგდე ხელში სამი გაზეთი ყველა მიმართულებისა: ფაშისტური, ნაციონალური (დიდი დღიური_როგორც ლა პელისა პაისო) და ოპოზიციური დემოკრატიული (ნიტისა[55]). სოციალისტებისთვის განგებ არ მიმიმართავს. უკვე ორ გაზეთში იყო დაბეჭდილი გრძელი წერილები, ერთში ჩემის ხელმოწერით ბოლშევიკების წინააღმდეგ, მეორეში როგორც დეპეშა, თუ რა ხდება საქართველოში და ხვალ დაიწყება მთელი რიგი წერილებისა ფაშისტურ გაზეთში. უმთავრესი ჩემი ყურადღება იმაზედ მაქვს მიქცეული, თუ რა ზარალი მოუვიდა იტალიას ბოლშევიკების შემოსევით საქართველოში, თუ რა მნიშვნელობა აქვს იტალიისათვის ჩვენ ქვეყანას და როგორ უნდა გამოსწორდეს ეს საკითხი.

1. იტალიის დაინტერესება ჩვენით: მე სრულიათ არ გეთანხმები იმაში, რომ იტალიისთვის ეკონომიკური მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისა ერთი და იგივეა, იქნება საქართველო თავისუფალი თუ არა. შენ ამბობ, რომ ბოლშევიკები მით უფრო მეტ კონცესიებს დაუთმობენ, ვიდრე ჩვენ, რომ უფრო ადვილათ დასთმობენ ყველაფერს. აი სწორეთ საქმეც იმაშია, რომ ეს დათმობა და კონცესიები ბოლშევიკების მხრივ არის ფიქცია, ქაღალდზედ დაწერილი ფორმულა. იმ პირობებში, რა პირობებშიც ქვეყანა იმყოფება, ვერავითარ კონცესიას და სერიოზულ საქმეს იტალიელები (თუ სხვა ვინმე) ვერ დაიწყებენ. ამას უკვე ხედავენ და რწმუნდებიან. არც ისე ადვილად შეუძლიანთ მისცენ ბოლშევიკებმა იტალიელებს კონცესიები ჩვენში, რადგან იტალია მეტად სუსტია დაეხმაროს რუსეთს. ჩვენი ქვეყანა კი იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ნაწილი დარჩა, შევა საერთო კომპლეკტში რუსების სიმდიდრისა და მაშასადამე იგი (საქართველო) უნდა დაუთმონ ვინც რუსეთს დაეხმარება. ამიტომ ბოლშევიკებმა უნდა ინახონ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე და მისი დამუშავების უფლება უფრო დიდი და ძლიერი სახელმწიფოებისთვის როგორც ინგლისი, ამერიკა და სხვა (საფრანგეთიც კი). ეს ერთი დებულება. მეორე ის, რომ რუსეთი ძველათგანვე კავკასიას უცქეროდა როგორც სამხედრო ბაზას და ასე ადვილად არ უნდოდა, რომ ეს ქვეყანა განვითარებულიყო და გამდიდრებულიყო უცხო კაპიტალის საშულებით. ამ მოვლენას ჩვენ დღესაც ვხედავთ. მოსკოვი სცემს სხვადასხვა დეკრეტებს, რომლებიც უცხო საქონლის შემოტანას აძნელებენ ჩვენ პორტებში. ანალოგიური მოვლენა 1880

წლის დეკრეტისა, რომელიც უკრძალავდა უცხო საქონლის გატარებას საქართველოს ტერიტორიაზედ. მესამე დებულება, საქართველო, თუ რუსეთის ხელში დარჩა, იძულებული იქნება თავისი ნედლი მასალა _ აბრეშუმი, ბამბა, მატყლი, სპილენძი და სხვა ჰგზავნოს რუსეთში და არა უცხოეთში. ყველა ამის დასამტკიცებელი ფაქტები მრავალია. საქართველო კი (კავკასიაც) თავისუფალი რომ იყვეს, ყველა ამას ალაგი არ ექნება, პირიქით: იტალია შესძლებს დაგვეხმაროს ბევრ დარგში და ამიტომ მიიღებს ჩვენგან კონცესიებს, რომლის სისრულეში მოყვანასაც წინ არაფერი გადაეღობება. ნაციონალიზაციას და სოციალიზაციას ალაგი არ ექნება. ჩვენ უნდა ყველა ძალ-ღონე ვიხმაროთ ჩვენი ქვეყანა ავაშენოთ და ავაყვავოთ და ამაშიც იტალიის კაპიტალს შეუძლიან დიდი როლი ითამაშოს. ჩვენი ნედლი მასალა არ იქნება ძალით გაგზავნილი რუსეთში, არამედ თავისუფალი იტალიელებისთვის. ასე რომ, ჩემებურად დაყენებელი საკითხი არ არის შემცდარი და არავითარი კავშირი არა აქვს სენტიმენტალიზმთან და გულუბრყვილო სიმპათიასთან.

სრულიათ გეთანხმები, რომ ამ ეკონომიკურ მნიშვნელობას უნდა დაემატოს ყველა ის პერსპექტივები, რომელზედაც შენ იწერები. მე მაგაზედ მეტსაც ვეუბნები ამათ. ყველაფერს ხომ ვერ მოგწერ. მეტად დიდი ტომები გამოვიდოდა. ასე რომ, ამ მხრივ შენ ჯავრი ნუ გექნება.

2. მთავრობის შესახებ. მე ახალ დაწესებულებას, რომელმაც ჩვენი ეგრეთ წოდებული მთავრობის საქმეების წარმოება უნდა იკისროს, მთავრობა დავარქვი. სახელს მე არავითარ ყურადღებას არ ვაძლევ. ერქმევა მას კომიტეტი, მთავრობა თუ სხვა რამ, ეს სულ ერთია. საჭიროა მხოლოდ იყვეს ახალი ორგანიზაცია სათავეში, რომელსაც ექნება ნდობა, როგორც ჩვენი ხალხისა, ისე უცხო მთავრობებისა. მე ვშიშობ მხოლოდ, რომ მისი შედგენა ისე, როგორც შენ იწერები _ კონფერენცია, მოწვევა საქართველოდგან დელეგატების და სხვა, თითქმის შეუძლებელია. ეს დიდ დროს და ფულს მოითხოვს. ამის მოწყობას ჩვენ უნდა ვფიქრობდეთ, მაგრამ მინამდის? მისი ჯავრი ნუ გაქვს, რომ ახალი ორგანიზაციის შედგენა არ იქნება სრულიათ ნორმალური, მაგრამ ეს ხომ უფრო ნორმალური იქნება, ვიდრე ჩვენი კომიტეტი ომის დროს, ანუ ჩეხოსლოვაკების, პოლონელების და სხვების, რომლებსაც სცნობდენ სხვა და სხვა მთავრობები, ხელშეკრულებებსაც კი სდებდნენ და სხვა. თუ ვისმეს რაიმის გაკეთება უნდა, ის სულყოველთვის გამონახავს საშუალებას. თუ იტალია მართლაც დაინტერესდა ჩვენი საკითხით სერიოზულად, ის იმის ფიქრს არ დაიწყებს, თუ რა ნორმალური ანუ არანორმალური წესით იყო არჩეული საქართველოს საქმეების თავში მდგომი კომიტეტი. ამ საკითხზედ მოილაპარაკეთ სერიოზულად შენ და ვასომ და მაცნობე შედეგი. დანარჩენ საკითხებზედ კვლავ მოგწერ. გიგზავნი გაზეთების ამონაჭრებს ჩემი წერილებით. ერთი კარგი ამბავი გავიგე გუშინ. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის უფროსმა გამოუცხადა ჟურნალისტებს (დანამდვილებით გადმომცეს), ქართველი ბოლშევიკების წინააღმდეგ შეგიძლიანთ სწეროთ რამდენიც გინდათო. არაფერი მათთან არ გამოდის. ჩვენ უნდა ვეცადოთ ეს ქვეყანა ნაციონალურ მთავრობას დაუბრუნოთო, რადგან ამას მოჰყვება პრაქტიკული ნაყოფებიო. ამაზედ ჯერ კრინტი არავის. ვასოს[56] ჩამოსვლამ საშინლად გამაძლიერა და ახალი იმედები გამიღვიძა. შენ წერილებს ნუ მომაკლებ, ხომ იცი, მარტო ვარ. ყველაფერს ვერ გავუძღვები. შენი წერილები კი დიდი შველაა.

მრავალი მოკითხვა ჩემ ცოლისაგან. ძმური სალამი

შენი გიორგი მაჩაბელი

რომი. 20/X. 1923.

ძვირფასო სპირიდონ,

გმადლობ წერილისთვის. თუმცა ბევრში (დეტალებში) არ გეთანხმები, მაგრამ უმთავრეს საკითხებში (პრინციპიალური) ჩვენ შორის სუფევს სრული შეთანხმება და ერთსულოვნება. შენ წერილში ამოვიკითხე აგრეთვე ზოგიერთი მეტად საინტერესო და საგულისხმო აზრები, რომელიც ახალი იდეებია და პრაქტიკული მნიშვნელობა ამ იდეებისა გამინათლა. ჩემთან ერთად შენი წერილი წაიკითხა აგრეთვე ვასო დუმბაძემ, რომელიც აგერ 4-5 დღეა ჩემთან არის და რომელთანაც ბევრი ვილაპარაკე ყველა ჩვენ სართო საქმეებზედ. ის ხვალ მოდის პარიზში, უსათუოდ გნახავს და თვითონ ყველაფერზედ მოგელაპარაკება. ჩემის აზრით, ვასო ითამაშებს მეტად მნიშვნელოვან როლს ჩვენ საქმეში. ვერ წარმოიდგენ, როგორ გამეხარდა, რომ მასში ვიცანი ჩემი ძველი ერთგული მეგობარი _ როგორც პირადი, ისე საზოგადო საქმეში, სანდო, თავდადებული, გულით და სულით მოწადინებული დაეხმაროს ჩვენს უბედურ სამშობლოს... ბევრი რამ გამოირკვა ჩვენი წარსული ცხოვრებიდგან, რაც სიბნელით იყო მოცული და ზოგიერთ გაუგებრობას ჰბადავდა, ბევრი რამ მისი წარსული მოღვაწეობიდგან გავიგე, რაც არ ვიცოდი, რაკი მაშინ ისე დაიჭირეს, რომ არ მინახავს და მას შემდეგ ერთმანეთს არ შევხვედრივართ. ეხლა უფრო მეტად დავრწმუნდი, რომ ის არის საუკეთესოთაგანი ქართველი, რომ მთელი მისი ბედნიერება აგებულია ერთ სურვილზედ, ერთ მისწრაფებაზედ _ განთავისუფლება ჩვენი ქვეყნისა, მის აღორძინებასა და აყვავებაზედ. ამერიკაში უკვე გადუდგამს ნაბიჯები ამ მიზნით. თვითონ გიამბობს ამაზედ. სამწუხაროდ, ჯერ სულ ვერ აუღია თავისი ფული, რომ ერთი ნაწილი ამ ფულისა მოახმაროს ჩვენ საქმეს, მაგრამ ყველა შანსი აქვს, რომ მალე დაასრულებს თავის პროცესს გამარჯვებით. შენ კერძო საქმეზედაც მქონდა მასთან ლაპარაკი. ჯერ-ჯერობით ჰფიქრობს დაგეხმაროს, იხსნას შენი ცოლი და ბავშვი და მერე ალბათ მეორე საქმეშიც მოგეშველება. მართლაც რომ ტრაგიკულია შენი მდგომარეობა. უსათუოდ უნდა იხსნა შენები, თორემ ხელფეხი შებოჭილი გექნება. ხომ გაქვს შესაძლებლობა თუ საგზაო ფული იქნება, როგორმე შენ ისინი იხსნა იქიდგან. ეს უნდა უსათუოდ რაც შეიძლება ჩქარა მოხდეს.

ეხლა მე გადავალ ზოგიერთი საკითხის განსახილველად შენი წერილიდგან. ვეუბნები: ბოლშევიკებს სურთ A tout priux[57] იყვნენ ცნობილი დე იურე ანტანტის სახელმწიფოებს მხრივ. ყოვლად შეუძლებელია იცნოთ უპირობოთ. ერთ-ერთ პირობათ დაუსვით გამორკვევა საქართველოს და კავკ. საკითხისა. გაიყვანონ ჯარები, მოახდინეთ თქვენი ზედამხედველობის ქვეშ რეფერენდუმი და ამით ჩაუდეგით სათავეში ამ საკითხის გამორკვევას. საფრანგეთს არა სცალიან ამისათვის, ინგლისი მხარს დაგიჭერთ, ოსმალეთი ხელზედ გაკოცებთ და მთელი კავკასიის და ცენტრალურ აზიის ხალხების თვალში თქვენი პრესტიჟი ცამდის აიწევს. ლაპარაკი მქონდა ამის შესახებ საუკეთესო მეგობრებთან მუსოლინის.[58] მითხრეს, რა გარანტიები შეგვიძლიან მივცეთ, რომ იტალია მართლა მატერიალურად დაკმაყოფილებული იქნება. ჩვენი მთავრობისა არა სჯერათ რა. ამაზედ მე ვუთხარ, რომ მე ჩემი ამხანაგებით შევადგენთ ახალ მთავრობას და აღვუთქვამთ შემდეგ კონცესიებს: საქართველოში განვუახლებთ ტყვარჩელის კონცესიას, ფოთის ან

ბათუმის გაუმჯობესებას, ტყეების (რომელიმე დიდ კონცესიას) და ვეცდებით აზერბაიჯანმაც მისცეს რაიმე ნავთის კონცესია. მოეწონათ აზრი. მოლაპარაკებაა სერიოზული მუსოლინთან, ალბათ ამ დღეებში მე თვითონ მიმიწვევს და გამაგებინებს თავის აზრს. ჩემ წინააღმდეგ მუშაობენ თვით სამინისტროში უფროსი მოხელეები, რომელნიც გავკიცხე, რაკი არ ესმით და არ უნდათ გაიგონ ჩვენი საკითხის მნიშვნელობა. მათ ეშინიათ, რომ რაკი არც ერთმა მათგანმა აქამდის არ აღძრა ეს საკითხი და არ მისცა სრული დაფასება, არ მიიღონ მუსოლინისაგან შესაფერი შენიშვნა ან დასჯა. მე მხარს მიჭერენ ფაშისტები და დემოკრატებიც, რომლებიც სრულიათ მეთანხმებიან, რომ მათი საგარეო სამინისტრო მოცულია ობით, რომ არას აკეთებენ, არაფერი ესმით, ასე გაჩაღდა ჯერ-ჯერობით ფარული ბრძოლა ჩვენი საკითხის ირგვლივ. დანამდვილებით, ან გადაწყვეტით ვერ გეტყვი, რასაკვირველია, რითი გათავდება ყველა ეს, მაგრამ რომ უნაყოფოდ არ ჩაივლის ყველა ეს დემარში, ეს ცხადია. სამწუხაროდ, სულ მარტოთ მარტო ვარ. მაშინაზედაც გადაწერაც კი მევე მჭირდება. მოლაპარაკებები, წერილები გაზეთებისთვის, მემორანდუმები _ ლამის თავი გამელაყოს. ამას დაუმატე კერძო საქმეები, ლიკვიდაცია, მომზადება მოგზაურობისთვის და ადვილათ წარმოიდგენ ჩემს მდგომარეობას. მაგრამ იმედი, რომ მართლაც შეიძლება რამე გამოვიდეს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მუსოლინს შეუძლიან დაარტყას მუშტი მაგიდას და შეუთვალოს ბოლშევიკებს, რას ჩადიხართ საქართველოშიო, აი ეს იმედი, რომელიც მაძლევს ძალას, კიდევ ერთი ამოდენა ზედმეტ საქმეებს გავუძღვე და მოვუარო. მე გადაწყვეტილი მაქვს, რომ თუ რამე გამოვიდა ამ საქმიდგან და მუსოლინის მთავრობამ სერიოზულად მოჰკიდა ჩვენს საკითხს ხელი, გავუგზავნო ჩვენ მთავრობას ულტიმატუმი, გადადგეს და შედგეს ახალი ეროვნული მთავრობა, რომელსაც ექნება მთელი ნდობა აქაურ მთავრობისა. ეხლა შენ გავალებ და გთხოვ ყველა ეს საიდუმლოთ შეინახო და დახმარება კი ამასთან ერთად აღმომიჩინო. შენ ხარ ერთადერთი, რომელსაც გიზიარებ ყველაფერს. ამას წინათ ჩხენკელს[59] მივწერე, რომ პრესსა ავალაპარაკე ჩვენი საკითხის შესახებ, მაგრამ ისიც ვაგრძნობინე, თუ რა უკმაყოფილოდ და უნდობლოდ ვეკიდები ჩვენ მთავრობას, რომ ჩემ მუშაობას ვაძლევ საერთო ხასიათს. ჯერ პასუხი არ მიმიღია. ვის შეგიძლიან მოელაპარაკო ამის გამო? ზ. ავალიშვილს იქნება. მას ყველაფერს ჯერ ნუ ეტყვი, მაგრამ გაიგე მისი აზრი, თუ დათანმხდებოდა შეედგინა სამინისტრო იმ პირობებში, როგორც ზევით გწერ. ე.ი. რომელიმე დიდი სახელმწიფო იკისრებდა ჩვენი საკითხის აღძრას და დახმარებას ბოლშევიკების გაყრაში საქართველოდგან. თუ ზურაბი არ იზამს, მაშინ მე და შენ უნდა ვიკისროთ ჩვენ თავზედ ეს პასუხისმგებლობა. შენ, მე, ალ. ერისთავი (გენერალი) _ სამხედრო და ორი სხვა პარტიებისა. მე წინააღმდეგი არა ვარ ერთ მენშევიკის _ მაგრამ არა ძველი მთავრობის წევრისა, ეგენი ყველა პასუხისგებაში უნდა იყვნენ მიცემული. სხვა ვისმეს და ერთიც ფედერალისტის (ს.ფირცხალავა[60] ან ყაუხჩიშვილი[61]). ყველაფერი წინდაწინ უნდა გვქონდეს მოფიქრებული და დამზადებული. უკანასკნელ მომენტს არ მოგვიხდეს ტყუილ უბრალოდ დროს დაკარგვა. 5 კაცისაგან იქნება შემდგარი მთავრობა და დაახლოვებით 10 კაცისაგან მრჩეველი საბჭო, შემდგარი ძველი დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის და პარტიების წარმომადგენლებისაგან _ შიგ უნდა შევიდნენ გარდა თაყაიშვილისა[62] 3 წარმომადგენელი ეროვ.დემოკრ. (სხვადასხვა ჯგუფისა) და ერთიც უპარტიო. მაშასადამე შიგ იქნებიან 2 სოც.დემ. (ჩხეიძე[63] და ერთიც წარმომად. პარტიისა), 2

ფედერ. (მდივანი[64] და 1 წარმომად. პარტ.), 1 ესერი, 1 სხიველი, 4 ეროვნ. დემოკრატ. (თაყაიშვილი და 3 წარმომად. სხვა და სხვა ჯგუფებისა) და 1 უპარტიო. ეროვნულ დემოკრატებისაგან მე მინდა ვეშაპელის გარდა მოჰყვეს მარგველაშვილი[65] (ჩინებული ყმაწვილი ყოფილა) და მესამე არ ვიცი ვინ? უპარტიო_მ. წერეთელი.[66] თუ მთავრობა თავის ნებით არ დაგვთანხმდა, მაშინ, რასაკვირველია, ზომებს ვიხმართ, რომ ძალით გადავაყენოთ. მე მგონი რომ ეს უკანასკნელი მეთოდი საჭირო არ იქნება, რადგან ეს იქნება იმისთანა აშკარა ღალატი სამშობლოს წინააღმდეგ, რომ მთელი მათი სახე გამომჟღავნებული იქნება. ამას ვერ გაბედავენ. შეიძლება სხვა და სხვა ფორმა მივცეთ ამ ახალ შემდგარ მთავრობას ერთის პირობით კი, რომ იგი იქნება ერთადერთი დაწესებულება სამზღვარს გარეთ საქართველოს მთავრობის უფლებებით მინიჭებული. ასე რომ, მოიფიქრე ჩემო სპირიდონ ყველა ეს, შენ გარედან უფრო ობიექტურად და გულგრილათ ასწონ-დასწონი ყველაფერს, შეაფასებ და შენს აზრს შემატყობინებ. საჩქაროთ კი. საერთოდ ეს უნდა შემოვიღოთ ჩვენს შორის, უმალვე პასუხი, მეტადრე პოლიტიკურ საკითხებზედ.

მეორე ამბავი არის_ჩემი გამგზავრება ამერიკაში დეკემბრის დასაწყისში. არ ვიცი, გწერდი თუ არა, რომ ჩემი ცოლი მიიწვიეს ერთ დიდ პანტომიმაში მონაწილეობის მისაღებად ნიუ-იორკში. ასრულებს მადონის როლს_ეს ის პანტომიმაა, რომელიც იყო დადგმული რეინჰარდის მიერ ლონდონში 1912 წ. და რომელშიც ჩემმა ცოლმა გაითქვა სახელი ამ მადონის როლის შექმნაში. მე ჯერ არ ვფიქრობდი წასვლას და მინდოდა პარიზში დავრჩენილიყავ. ეხლა მეც ვიშოვე სამუშაო ნიუ იორკში, ასე რომ მეც ალბათ მომიხდება წასვლა. უკანასკნელი სიტყვა არ მიმიცია (ერთი იტალ. საზოგადოებაა_მის წარმომადგენლობას მაძლევენ), რადგან ჯერ მინდა მოვუცადო, თუ პოლიტიკურ ნაბიჯისაგან რა შედეგს დავინახავთ. ეჭვს გარეშეა, რომ თუ აქ ჩვენი საქმე ამოძრავდა, ამერიკას თავს დავანებებ და აქ დავრჩები. ან ერთი ან მეორე. ამნაირად თუ აქ არაფერი გამოვიდა, მაშინ მთელი ჩემი ენერგია და ყურადღება უნდა დაუპირდაპირო, ვიშოვოთ სადმე ფული. მდიდარ ქვეყანაში ფულის შოვნა უფრო ადვილია ვიდრე ღარიბში_აშკარაა. მაწუხებს მხოლოდ, რომ პოლიტიკურად თქვენთან ერთად პარიზში ვეღარ ვიმუშავებ, მაგრამ იქნებ სხვანაირად უფრო მეტად დაგეხმაროთ. თუ ჩემი საქმე ნიუ-იორკში კარგად წავიდა შენც უსათუოდ იქ მოგიხერხებ ჩამოსვლას_ჩემთან ერთად მუშაობას. კარგი იქნება შენი თავისუფალი დრო ინგლისური ენის შესწავლას მოანდომო. ვასო ჯერ არ ჩამოსულა. მიხაკო წერეთელი მწერდა გუშინ_ვასო ვნახე, რომში აპირებს მალე ჩამოსვლასო. ასე რომ, იმედია, ჩამოვა. მოვილაპარაკებთ შენი საქმის შესახებ. ბერლინში ჩვენი კომიტეტისთვის 70 დოლარი შეუწირავს, ტიტე[67] მწერდა. დიდი ფული არ არის, მაგრამ მაინც ეტყობა დახმარება სურს. ველი შენ წერილს მოუთმენლად. მე აქ განვაგრძობ მუშაობას. ძმური სალამი

შენი ერთგული გიორგი მაჩაბელი

ჩემმა ცოლმა მადლობა შემოგითვალა მოკითხვისთვის და თავის მხრივადაც გითვლის სალამს.

გ. მ.

10 ნოემბერი 1928.

ჩემო ძვირფასო სპირიდონ,

დღეს დილით დავბრუნდი კალიფორნიიდგან და ჯგუფ წერილებში ვიცან შენი ხელი ფრანგულ კონვერტზედ. საშინლად მესიამოვნა და პირველი შენი წერილი ვიტაცე ხელში. დიდი ხანია არავისთვის არ მიმიწერია, დიდიხანი გაჩუმებული ვარ და არავის პასუხს არ ვაძლევ, მაგრამ ყველა თქვენ ისევე ახლო ხართ ჩემთან, როგორც უწინ, ყველა თქვენ ისევე მახსოვხართ, თითქოს გუშინ დამეტოვებინეთ; არ გწერდით და არ გესაუბრებოდით მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი პასუხისგებლობა ავიღე ჩემ თავზედ, საშინელი სატანჯელი დრო გამოვიარე; ვიდრე დღევანდელ პირობებში ჩემს საქმეს მოვაწყობდი. თვით ვასომ,[68] რომელიც აქ ახლო იყო ჩემთან, არ იცის კარგად, თუ რა მორალური და მატერიალური ტანჯვა გამოვიარე ეს წლები. მაგრამ ამაზედ არ ღირს ლაპარაკი, რადგან თქვენ ყველამ, იქნებ ჩემზედ მეტი იტანჯეთ ამ მხრივ და იქნებ აქამდინაც განუწყვეტლივ ბრძოლაში იმყოფებით. ევროპა რომ დავსტოვე _ დამარცხებულმა და წინდაუხედავმა (პოლიტიკურად) და გაღატაკებულმა (მატერიალურად), დავისვი მიზნათ, შემექმნა საქმე, რომელიც მომცემდა მომავალში შესაძლებლობას, გამენახლებინა ბრძოლა, რომელიც ჩვენმა ჯგუფმა დაიწყო და თავის მიზანს მიაღწია, მაგრამ სამწუხაროდ სხვებმა ისე გააქარწყლეს მთელი ჩვენი ნამუშავარი. მე დღემდის და ჩემს სიკვდილამდის საქართველოს აღდგენის საქმეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ჯგუფის მუშაობის შედეგს მივაწერ და ამ ბედნიერ და ამაყ უფლებას არავის დავუთმობ. მეორეს მხრივ, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას არავის არ ვაბრალებ, გარდა იმავე ჩვენ ჯგუფისა, რომ ვერ გამო- ვიჩინეთ ბოლომდის ვაჟკაცობა და წინდახედულობა, არ დაგვეთმო არავისთვის საქართველოს ბედ-იღბლის ხელში ჩაგდება; ჩვენვე უნდა ჩავმდგარვიყავით სათავეში, თუ საჭირო იქნებოდა გერმანელების საშუალებით გაგვერეკა მთელი სოციალისტების (მენშევიკ-ბოლშევიკ) ლიდერები და არ შევშინებულიყავით თუნდაც სისხლ-დაღვრას, მაგრამ არავისთვის არ დაგვეთმო ჩვენით მოპოვებული თავისუფლება. დღეს საქართველო არამც თუ როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არამედ მთელი კავკასიელთა ფედერაციის სათავეში დიდ როლს ითამაშებდა, როგორც თავისი და თავის მეზობლების სიმდიდრეებით, ისე პოლიტიკურ მნიშვნელობით. მე ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის ეს უზარმაზარი შეცდომა; მე გავჩუმდი და მხოლოდ ვემზადები მომავალ შემთხვევისათვის, თუ ეს შემთხვევა კიდევ გვარგუნა ზეციერმა. თუ ნახო ლეო კერესელიძე,[69] არ ვიცი როგორ განწყობილებაში ხარ მასთან, უთხარ ჩემს მაგივრად, რომ მარტო ის იყო მართალი, როდესაც სცდილობდა de me persuader,[70] არ გაგვეშვა ხელიდგან საქართველოს დამოუკიდებლობის აღვირი და არ დაგვეთმო იგი სოციალისტებისთვის. მხოლოდ ეხლა ვხედავ, თუ რა მართალი იყო ის, და როგორ მოვსტყუვდით ჩვენ (მიხაკო,[71] შენ, მე და სხვები). გახსოვს ჩვენი კრება ტფილისში, როდესაც კრესმა[72] დაგვისვა კითხვა, თუ ჩვენი ჯგუფი რას ჰფიქრობს სოციალისტების მთავრობაზედ და თუ ჩვენ გვსურს მათთან თანამშრომლობა? ვერ გამიგია, თუ როგორ ისე ადვილად დავთახმდით ჩვენ უფლებების ხელ აღებაზედ. ლეოს სიტყვები დღემდის მისტვენენ ყურებში, თუ რა შეცდომას ჩავდიოდით, რატომ არ ვსარგებლობთ გერმანელებით და ჩვენი ლეგიონით და სხვა... ეხ, გვიანია ამაზედ ლაპარაკი, მაგრამ ამის ისტორია კი უნდა დაიწეროს.

მაშ დავუბრუნდე ჩემს ამბავს: დღეს მე ჩემი საქმე იმ წერტილამდის მივიყვანე, როდესაც ამერიკული ხასიათი ეძლევა მას, ე.ი. ამერიკულ მასშტაბში შედის.

რასაკვირველია, მილიონებამდის შორსაა, მაგრამ მომავალ წელიწადში ასეულ-ათასების ანგარიშების საქმეს დაიწყებს. ამ წელიწადს ვათავებთ დაახლოებით ასი-ათასი დოლარის საქმით, მაგრამ ეს მხოლოდ დაწყებაა, როგორც იქნებ იცი, მხოლოდ მეორე წელიწადია რაც ეს საქმე დავიწყე და ამ მოკლე ხანში ამ თანხამდის ასვლა _ დიდი პროგრესია. რასაკვირველია, ამ წელიწადს კიდევ დიდი ეკონომიის გაწევა მჭირია, რადგან დიდი ვალები დავიდე თავზედ და უნდა გადავიხადო 15 იანვრამდის დაახლოვებით 40.000 დოლარი (ეს მილიონ ფრანკს იზავს). საქმე ისე კარგად მიდის ეხლა, რომ ალბათ ამ წელიწადში საქმე მეტად განთავისუფლდება ვალებიდგან და მოგებასაც მოიტანს. იანვრის ბოლო რიცხვებში პარიზში ვაპირებ ჩამოსვლას, მხოლოდ საქმისთვის და შესაძლებელია არავინ არ ვინახულო, გარდა ორიოდე საუკეთესო მეგობრისა, პოლიტიკაზედ ლაპარაკი სრულიად არა მსურს, ვიდრე ჩემს საქმეს სულ მთლად არ დავაგვირგვინებ. პოლიტიკა ვასოსთვის[73] და მისი შეფებისთვის დამითმია. მაინც ეხლა არაფერია გასაკეთებელი. ერთი კი უნდა გითხრა, რომ ვასომ აქ მართლაც დიდებულად იმუშავა, მაგრამ როგორც სათავეში ვუთხარ, ტყუილად ჩააბნია მთელი თავისი ქონება ამ მუშაობაში. არ იყო დრო და უკეთესი იქნებოდა ეს ფული რაიმე საქმეში მოეხმარა, ეხლა მილიონერი იქნებოდა და ასჯერ უფრო მეტად შესძენდა თავის სამშობლოს საქმეს. არ დამიჯერა, მისი საქმეა _ მაგრამ მაინც დიდი პატივის საცემია მისი თავდადებულება და მსხვერპლი სამშობლო სამსახურისთვის. მე ძალიან ვშიშობ, რომ თუ მართლა სენატორი ბორა შევიდა მომავალ ჰუვერის[74] ადმინისტრაციაში, რუსეთი არ იცნონ. ბოლო არჩევნებმა დაანახვეს, რომ ბოლშევიკურ პროპაგანდის შიში არ არის აქ და ძალიან სურთ რუსეთთან ეკონომიკურ დამოკიდებულების აღდგენა. მე მგონია, ადრე თუ გვიან, რუსეთს იცნობენ. რუსეთის აწმყო მართველობის მოსპობას ჩვენ მხოლოდ შიგნიდგან უნდა მოველოდეთ და ამ ასპარეზედ უნდა გადვიტანოთ ჩვენი ბრძოლის რუქა, როდესაც გვექნება ამის შეძლება. ამის განხორციელება კი შეიძლება მხოლოდ მატერიალურ ზურგის გამაგრების შემდეგ. ამიტომ ვეცადოდ გავიმაგროთ ეს ზურგი. მე ძალიან მესიამოვნა შენი ცოლშვილის ჩამოსვლა. მიულოცე ჩემს მაგივრად შენს მეუღლეს და გადაეც ჩემი გულწრფელი სალამი ხელზედ კოცნით. აგრეთვე მეტად სასიამოვნოთ დამრჩა, რომ საქმისთვის, რომელზედაც შენ მწერ, მოგიკიდიათ ხელი. ვეცდები დაგეხმაროთ რითაც კი შემეძლება. გამომიგზავნე (რასაკვირველია მის ფასს გადვავიხდი) ეხლავე რამდენიმე ცალი ნიმუშებისა. ... იანვარში რომ ჩამოვალ უფრო კონკრეტულად ყველაფერზედ მოვილაპარაკებთ, მაგრამ ნიმუშები ეხლავე გამომიგზავნეთ, რომ ვაჩვენო ჩემს მაღაზიებს, ეხლა დაახლოებით 25 მაღაზიასთან ვარ დაკავშირებული, თუ მოეწონათ, შეიძლება კარგი საქმე გამოვიდეს, რადგან ეს მაღაზიები საუკეთესო მაღაზიებია ამერიკაში, ზოგი ნიუ იორკში, ზოგი კალიფორნიაში და სხვაგან. მაშ ველი ნიმუშებს და შენს ამბავს, მინამდის მეგობრულის სალმით მომიკითხე ყველანი.

შენი გიორგი

P.S. ნორინა[75] კალიფორნიაში დავტოვე ორიოდე კვირა და რომ ჩამოვა, გადავცემ შენს სალამს. აქ არაფერ საქმეს არ ჰკიდებს ხელს და ვშიშობ რომ თეთრეულების საქმეშიაც მე უნდა დაგეხმაროთ, მაგრამ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუ ლამაზად არის გაკეთებული.

12 აპრილის 1930წ.

ძვირფასო სპირიდონ,

დღეს დილით მივიღე შენი წერილი 28 მარტიდგან, რომელიც ნიუ-იორკიდგან სხვა წერილებთან ერთად პერ ავიონ-ით გადმომიგზავნეს. ... მინდა სრულიათ გულახდილად გითხრა, რომ მე დიდი კმაყოფილი ვარ შენი მუშაობით. არც კი მოველოდი, რომ ასე ჩქარა შეეთვისებოდი ჩვენ საქმეს და ასე გულ-დადებით მოეკიდებოდი შენს დავალებას. შენ მწერ, რომ გსურდა გავცნობილიყავ მთელ წიგნებს და ხარჯებს პარიზში რომ ვიყავი. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, დრო რომ მქონოდა, მაგრამ ამაზედ ნუ სწუხარ. დამერწმუნე, რომ თუმცა წვრიმალებში არ შევსულვარ, მაგრამ ვიცი, რომ ყველაფერი კარგად არის შესრულებული. შენდამი რამე რომ ყოფილიყო სათქმელი, არ დაგერიდებოდი და გეტყოდი. არ ვიცი არც პირში ქება ერთის მხრივ და არც რაიმე უკმაყოფილო გრძნობის შენახვა მეორეს მხრივ. არც ერთი და არც მეორე არ შეეფერება ჩემს ხასიათს. ამიტომ სრულიათ უდარდელად განაგრძე შენი მუშაობა, მალე მის შედეგს საქმით დაინახავ. არ დაგიმალავ, რომ სათავეში შენ თანამშრომლობას ვაძლევდი მეგობრულ ხასიათს, მინდოდა გქონოდა რაიმე წყარო არსებობისა, მაგრამ დღეს ჩვენ გულ-წრფელ და ძველ მეგობრობას დაემატა საერთო თანამშრომლობა ჩვენს საქმეში და ამით ჩვენ ერთმანეთს უფრო მეტად დავუახლოვდით, ამიტომ დარწმუნებული იყავ, რომ შენს მუშაობას არა აქვს არავითარი საქველმოქმედო ხასიათი, არამედ წმინდა საქმიანი და მე ჩემ თავს ბედნიერად ვთვლი რომ შენში გავიჩინე საუკეთესო თანამშრომელი ჩვენს საქმეში და მყავს პარიზში საქმიანი მეგობარი, რომელსაც შემიძლიან სავსებით ვენდო.

ეხლა ბინის შესახებ. შენ და სონამ[76] ისე სუფთად და ლაზათიანად მოაწყეთ თქვენი პატარა ბინა, რომ ყოველთვის მესიამოვნებოდა მისი ცქერა. ამის გამოც ნურაფერი ეჭვი ნუ გექნება. ბინის სარგებლობა გადაუხდელად გეძლევა შენ ჩემგან სახლის საერთო თვალ-ყურის გდებისთვის და ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ შენისთანა სანდო მეგობარს აბარია ჩემი პატარა ქონება. რაც შეეხება ჩვენების ბინას, ვამჯობინებდი ეშოვნათ სადმე ახლო თავიანთვის ბინა, რადგან მეტად უსუფთაოდ (სამწუხაროდ უნდა ვსთქვა) და უწესიერად მოაწყეს თავიანთი ცხოვრება. მე შემიძლიან მივცე ბინისთვის (ზედ-მეტად რასაც ვაძლევ თვიურად) 250-300 ფრანკი. წინად იხდიდნენ 240 ფრანკს და მე მგონი ამ ფასში შეუძლიანთ იშოვონ რამე. ასე რომ, შენ შეგიძლიან გადასცე, რომ თიბათვიდგან გადავიდნენ ახალ ბინაზედ. დიდი ოთახი ჩემთვის და ნორინასთვის მინდა მოვაწყო და პატარა ოთახში მინდა მიხაკო[77] დავაბინავო. მხოლოდ მინდოდა მეკითხნა შენთვის, თუ შეეძლება მიხაკოს თქვენთან იკვებოს. რასაკვირველია, მის ხარჯს საჭმელ-სასმელისთვის მე გადავიხდი, თუ სონასთვის არ იქნება მძიმეთ დაუმატოს ერთი კერძი მისთვისაც. ამაზედ გთხოვ დაურიდებლად მომწერო და თუ დათანხმდებით, 1-ლ თიბათვისთვის მიხაკოს ვეტყვი გადმოვიდეს კლამარში. როგორც მწერდა, 3 დიდი ნამუშავარი აქვს დაწყებული და სურს მისი დამთავრება. ბინა, საჭმელ-სასმელი, კარგი ჰავა და თქვენი ქართული ატმოსფერო შეაძლებინებს მას წიგნების დამთავრებას. რაც შეეხება ოდეკოლონს და პერფიუმს, რა თქმა უნდა, შეგიძლიანთ იქონიოთ ყოველთვის საქარხნო ფასებში, მხოლოდ მოაწყეთ აქციზსთან ეს საკითხი, რომ ბევრი არ მოგიხდეთ გადახდა. ... ამ ზაფხულს მე შენ უსათუოდ გასწავლი პერფიუმის და სხვების გაკეთებას. ... მომავალში შენ რომ ისწავლი გაკეთებას,

ქიმიკოსი აღარ დაგვჭირდება, გარდა ჩვენ იტალიელისა, რომელიც მალე ჩამოვა და რაც საჭიროა გააკეთებს. მერე მე თვითონ ვივლი წელიწადში ორჯელ, ასე რომ უცხო კაცი აღარ იქნება საჭირო. მომავალში შენ აიყვან ვისმეს საკანცელარიო საქმეებისთვის დამხმარეს და კიდევ ერთ ქალს ქარხანაში (როდესაც საქმე გადიდდება) და ამნაირად ყველაფერი მოეწყობა. მაშინ შენ იქნები უფროსი მთელი კლამარის საქმისა... მე მინდა გავხდე ყველაზედ ძვირი პერფიუმერი და ამიტომ მთელი ჩემი ენერგია არის მიმართული, რომ რაც შეიძლება ლამაზი და საუკეთესო საქონელი მქონდეს. თუ დღეს ჯერ არა გვაქს ყველაფერი, ნუ გეშინიან, გვექნება და გავყიდით კიდეც. ცოტა დრო გვჭირია პრესტიჟი დავიმსახუროთ და მერე ფასებისა არ უნდა გვეშინოდეს. მე მგონი ყველაფერზედ გიპასუხე და თუ რამე დამრჩა კვლავ იყვეს, ძალიან მეჩქარება. სამწუხაროდ, ამ წერილს 10 დღეს ადრე ვერ მიიღებ, ისიც თუ აქედგან ნიუ-იორკში ვიონ-ით გადავგზავნე. მხურვალე მოკითხვა და ხელზედ კოცნა სონას, ძმურის სალამი.

შენი გიორგი

P.S. აქ საქმეები ცოტა წყნარათაა, მაგრამ იმედია გამოცოცხლდებიან ახლო მომავალში. თიბათვის ბოლოს ჩამოვალ პარიზში.

28 სექტ. 1930.

ძვირფასო სპირიდონ,

დიდი ხანია შენთვის არ მომიწერია, მაგრამ იმისთანა გაჭირვებული დრო გამოვიარე, რომ მომაგონდა ის შავი დღეები, რომელიც გამოვიარე ამ საქმის დასაწყისში. ხუმრობა არ იყო, რომ ამ წლის განმავლობაში გადმოვიტანე 26 ათასი დოლარი (მეტი ნაწილი აღებული სესხად) აქედგან პარიზის საქმის მოსაწყობად და ამნაირად შევასუსტე აქაური საქმე, ნამეტნავად უფულობით. როგორც იყო ამ დღეებში მოვახერხე დამეინტერესებინა ერთი დიდი ვაჭარი, რომელსაც დაუთმე პატარა ნაწილი ჩემი საქმისა, მაგრამ მომცა საჭირო თანხა იანვრამდის უზრუნველად მივაღწიო. რასაკვირველია, ეს არ არის საბოლოოდ ფეხზედ დადგომა, რადგან ჯერ კიდევ გამწარებული კრიზისი არსებობს მთელს დედა-მიწის ზურგზედ და ჩვენი საქმე ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და არა აქვს საკმარისი ზურგგასამაგრებელი კაპიტალი, მაგრამ იმედი მაქვს, როგორმე ფონს გავიდეთ. პარიზის საქმე, როგორც ლუსტანდის მოხსენებებიდგან სჩანს, ცუდათ არ მიდის და თუ მაგრე გაგრძელდა ჩემ ჩამოსვლამდის (მომავალ გაზაფხულს ან ზაფხულის დასაწყისში), მაშინ სრულიად არა გვიჭირს რა; მე იმედი მაქვს გერმანიაში და სხვა ევროპის სახელმწიფოებში გავხსნა აგენტურები, თუ ევროპაში პოლიტიკურ კრიზისებმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ არ შეგვიშალა ხელი. შენ როგორ ხარ ჩემო სპირიდონ? მომწერე შენი ჯანმთელობის ამბავი და სულიერი განწყობილობა. ყველანი ხომ კარგად ხართ. შენი ვრცელი წერილი მივიღე და ძალიან გმადლობ. გთხოვ ხშირ ხშირად მომწერო და მაცნობო როგორც თქვენი კერძო ისე ჩვენი საქმის ამბავი. ყველაფერი გულახდილად შემატყობინე. ნურაფერში ნუ დამერიდები. ფულზედ როგორა ხარ? თუ დაგჭირდეს ძმასავით გამიზიარე ყველაფერი და ხომ იცი, თუ შემეძლება შენთვის არაფერს დავიშურებ.

პოლიტიკურ ჰორიზონტზედ დიდი ამბებია მოსალოდნელი, ამიტომ ასე ტყავიდგან ვძვრები, რომ რაც შეიძლება ჩქარა ფული ვიშოვოთ, რომ ხელცარიელნი

არ ვიყოთ, როდესაც ჩვენი გამოსვლა იქნება საჭირო. სამწუხაროდ, ძალიან ცოტა დრო მაქვს პოლიტიკურ კითხვებზედ გესაუბრო. ადრეცაა გარდა მაგისა, მე მგონი, რომ ჩვენ ერთმანეთის გვესმის ულაპარაკოთაც. ერთნაირად განვიცდით იმ მწარე გრძნობებს, რომელნიც სულს გვიხუთავენ, მაგრამ ვეცადოთ, გმირულად გადავიტანოთ ყველა ეს ჩვენი გაჭირვებანი და გავმაგრდეთ იმ ბრძოლის მომენტისთვის, რომელიც ჩვენ მოგველის და რომელსაც უნდა შევწირო მთელი ჩვენი არსებობა. არ ვიცი ნორინა კლამარშია თუ პარიზში. როცა წამოვა, გთხოვ გამოატანო ჩემი ფრაკი და კაკის ტანისამოსი (სულ 2 ცალი), მანდ დამრჩა სიჩქარით. თქვენი გასაღებიც გამომყვა თან. ზემო ბინას რას უზამ ნორინა რომ წამოვა, იქნებ ავალიშვილებმა[78] აიღონ. ამაზედ კვლავ მოგწერ. დედიჩემის მისამართი არ ვიცი და ამიტომ გთხოვ ეს წერილი მას გადასცე. აგრეთვე ვწერ სონას ცალკე ქაღალდზედ და გთხოვ მასაც გადასცე ძმური სალამი.

გეხვევი შენი მარად ერთგული გიორგი.

23 ნოემბერი 1930წ.

ძვირფასო სპირიდონ,

შენი ვრცელი წერილი სწორედ ჩემი მოგზაურობის წინა დღეს მივიღე და მხოლოდ მატარებელში ჩავიგდე დრო ხელში წამეკითხნა. შენ ბევრში მართალი ხარ და იანვარში მანდ რომ ვიქნები, ყველა შენგან აღძრულ საკითხებზედ მოვილაპარაკოთ. დღეს კი ამას გეტყვი, რომ მე არავითარ ორგანიზაციას (პოლიტიკურ თუ არა პოლიტიკურს) არ ვეკუთვნი. თუ თეთრგიორგელებს სიმპატიურად ვუცქერ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათში ვხედავ ერთგვარ (პატარაა თუ დიდი ამას მომავალი დაგვანახვებს) ძალას, რომელიც ადამიანმა შეიძლება გამოიყენოს ეროვნული საქმისათვის. შენ მართალი ხარ, რომ მათი (უფრო ბელადის)[79] საქციელი ხშირად ბავშვურია და არა აწონილ-დაწონილი ხასიათი აქვთ. საჭიროა მათი მოვლა, მაგრამ გეთანხმები, რომ უფრო საჭიროა ყველა იმ ორგანიზაციების მოვლა და საერთოთ თავის შეკრეფა რომელიმე ახალ ორგანოს საშუალებით, რომლებზედაც შენ იწერები. მე ეხლა აქედგან, ამერიკის შორეული პროვინციის პატარა ქალაქიდგან, რომელიც ისეა მოშორებული ხასიათით, კულტურით და ატმოსფერით არამც თუ საქართველოსთან, არამედ ევროპასთანაც კი, არაფრის თქმა არ შემიძლიან. აგერ ათი დღეა ერთი ქალაქიდგან მეორეში დავრბივარ როგორც გადარეული და ვცდილობ როგორმე საქმეები გამოვასწორო საერთო კრიზისისგან დაზარალებული. 20-25 ახალი სააგენტო გავხსენით ამ 2-3 ბოლო თვეში და ამით ცოტა შევავსეთ დანაკლისი შარშანდელ წელთან შედარებით. იმედია ამ წელსაც იგივე რიცხვს მივაღწიოთ, რაც შარშან გავაკეთეთ, მაგრამ რა გამოვიდა. იანვარში მოვდივარ, რომ საქმე მოვაწესრიგო. ... ამ დღეებში კიდევ მოგწერ. ეხლა კი ძმურად გეხვევი,

შენი გიორგი.

P. S. სონა და თეო[80] სიყვარულით მომიკითხე!

Aug.28. 1931.

ძვირფასო სპირიდონ,

მივიღე შენი ორი დაწვრილებითი წერილი და ვეცდები ყველა საკითხებზედ სრული გარკვეული პასუხი მოგცე. ეს პასუხი ცოტა დაგიგვიანე, მაგრამ ამის მიზეზი შენ თვითონ იცი, ამიტომ არ მიწყენ. უმთავრესი მიზეზი მაინც ის იყო, რომ მე ბოლო დრომდის ვფიქრობდი მანდ დაბრუნებას და ამიტომ წერილზედ ადრე თვითონ მანდ ვიქნებოდი. საერთოდ ძალიან ცოტა დრო მაქვს წერილების წერისათვის, მეტადრე როდესაც მე თვითონ უნდა ვწერო და ამიტომ მხოლოდ მეტად საჭირო შემთხვევებში უნდა ელოდეთ ჩემგან წერილებს, როგორც მაგალითად ეხლა, სხვა დროს კი დეპეშებით გაცნობებთ თუ არის რამე საჩქარო, ჩვენი აქაური ოფისი იქნება მანდაურ ოფისთან მუდმივ მიწერ-მოწერაში არა საჩქარო საკითხების შესახებ. …. . .

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საქმე არ მოკვდება, რომ გავუძლებთ ამ მეტად გაჭირვებულ დროს და მთელი დედამიწის ზურგზედ მოვფენ ჩვენს გვირგვინებს და სხვა ფლაკონებს. ამას წინად ერთი ქალი ჩამოვიდა იაპონიიდგან და ერთი ჩემი მეგობრისთვის ეთქვა მაჩაბლის პარფიუმი ითვლება ყველაზედ le plus chic[81] იაპონიაშიო.

როგორც მახსოვს, ძალიან ცოტა პარფიუმი გავგზავნეთ იაპონიაში და როგორ მოხდა, რომ ასე ერთბაშათ გაუგიათ. გთხოვ მაცნობო ვინ არის ჩვენი პარფ. გამყიდველი იაპონიაში, მისი სახელი _ ან ფირმისა, რომელ ქალაქში და რამდენი იყიდა ჩვენგან და რა. ძალიან დამავალებ ამ ცნობისთვის. . . . კრედიტი მანდ სუსტი გვაქვს, ეს უსიამოვნო მოვლენაა, მაგრამ ამასაც თავის დროზედ ძალიან ადვილად გამოვასწორებთ, თუ მოვახერხე ახალი კაპიტალის შოვნა მანდაურ (როგორც აქაურ) საზოგადოებისთვის. ფულს დიდი მაგნიტური თვისება აქვს და რაწამს იგრძნობენ ყველა ჩვენი ,,ლიფურანტები" რომ ბანკში ფული არის, ისე დაგვეხვევიან, როგორც ბუზები თაფლს და ყველანაირ კრედიტზედ დათანხმდებიან, მაგრამ არა მარტო ფული გვჭირია, რადგან ახალი ფული ისევე ადვილად გაქრება, როგორც ძველი, ამიტომ არის საჭირო გაყიდვის ორგანიზაციის გაფართოება. ეს უფრო რთული და მნიშვნელოვანი საკითხია. ამისათვის გვჭირია კარგი გამყიდველი აგენტი და მათ ძებნას უნდა მივაქციოთ სერიოზული ყურადღება. ეხლანდელი კრიზისი ხელს გვიშლის, როგორც ყველა დანარჩენებს, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავკარგოთ იმედი და მაინც ვეცადოთ ვებრძოლოთ ამ კრიზის და მთელის ენერგიით ვიფიქროთ საქონლის გაყიდვისთვის. სამწუხაროდ, ეხლა ვერ მოვდივარ, რომ ამისთვის რაიმე კონკრეტული ზომები მიმეღო და ამიტომ ყველა თქვენგანი უნდა ეცადოს ამ საკითხის საშუალებანი გამონახოს.

... რაც შეეხება ხმებს და ჭორებს, მე ჩემს სიცოცხლეში არ მიმიქცევია მათთვის ყურადღება და ამ ჩვეულებას მე მგონი სიკვდილამდის არ ვუღალატებ. ვინც რა უნდა ისა სთქვას. რაც შენ პირადათ შეგეხება, ჩემო სპირიდონ, მე მგონი იმდენი საბუთი ნდობისა შენდამი დაგიმტკიცე, სრული ნდობისა, რომ შენ არ უნდა გქონდეს არავითარი ეჭვი რაიმე ჩემი უკმაყოფილებისა. მე შენ წერილებშიც და სიტყვიერათ არაერთხელ გაგიზიარე, რომ მე საშინელი კმაყოფილი ვარ შენით, რომ მაგრე გულდადებით და ერთგულად ასრულებ შენს მოვალეობას. ... ეს წერილი გძელი გამომივიდა, მასთან უსუფთაო და ალბათ ათასი შეცდომები ქართული ენის მხრივ. სამწუხაროდ, ასე იშვიათად მიხდება ქართულად წერა და ლაპარაკი, მეტადრე

აქ_ამერიკაში და ამიტომ გთხოვ მაპატიო. აქაური საქმე არა უშავს, რა კარგად მიდის, მაგრამ პარიზის საქმემ ეს საქმეც დიდ საფრთხეში ჩააგდო ფულის მხრივ. ძალიან ბევრი ფული მივაშველეთ პარიზს და ჩვენც დავრჩით საშინელ უფულოდ. ამ მხრივ პირდაპირ გაჭირვებას განვიცდით და პარიზისთვისაც კიდევ უნდა ვიშოვოთ 80-100.000 ფრანკი, რომ სრულიათ გავანთავისუფლოდ მანდაურ ვალებიდგან და პატარა სამუშაო თანხა გაუჩინოთ. ჩემ მტერს არ ვუსურვებ იმ გაჭირვებულ და უსიამოვნო მდგომარეობას, რომელშიც მე ეხლა ვიმყოფები, მაგრამ გულს არ ვიტეხ, ენერგიას არ ვასუსტებ და სრულ რწმენას არ ვღალატობ, რომ გავიმარჯვებთ და მალე დიდ, საღ და მნიშვნელოვან საქმეს შევქმნით. ასე რომ, ჩემო სპირიდონ, გულს ნურც შენ გაიტეხ, იყავ მაგრათ, შენ ნახავ თუ რის გაკეთება შეგვეძლება, როდესაც გვექნება საჭირო სახსარი. წინდაწინ ქება და ტრაბახი არ ვარგა, მაგრამ მე მაინც არ ვკარგავ იმედს, რომ ჩვენ ჩვენი როლის შესრულებას ჩვენი სამშობლოსადმიც მოვესწრებით. Gგზა ცოტა გაგვიგრძელდა, მაგრამ რას უზამ ამ მსოფლიო კრიზისს, მეტად პატარები და უმნიშვნელო ვართ დავამშვიდოთ ამ საერთო ზღვათა ღელვა და ქარიშხალი. მწერე ხშირ-ხშირად. რამდენათაც შემიძლიან გიპასუხებ, მეტადრე თუ იქნება საჩქარო და საგანგებო საკითხების გადაწყვეტა. მომწერე შენი ჯანმთელობა როგორაა, აგრეთვე სონას და თეოს ამბავი მომწერე. გულითადი სალამი ყველას თქვენ სამთავეს.

შენი მარად ერთგული გიორგი მაჩაბელი

P.S. კოტის[82] კაცისაგან დეპეშა მივიღე. ჯერ კიდევ დაინტერესებულია და მოლაპარაკებას გავანახლებთ მალე. მომწერს როდის ჩამოვიდე პარიზში, სხვაგან იყო წასული. აქაც მაქვს საინტერესო მოლაპარაკებანი.

ნიუიორკი. 20 მაისი 1932წ.

ძვირფასო სპირიდონ,

საჩქაროდ გიგზავნი ,,აბანოს" ფორმულას. აქამდის ვერ გამოგიგზავნე, რადგან სულ ვასწორებდი, ვიდრე არ დავათავე საბოლოოდ. ზოგ სახელებს ქართულად გწერ, რომ თუ ვინიცობაა ვისმეს ხელში ჩაუვარდა, ადვილად ვერ მიხვდეს. . . . . ეტიკეტებს აქედგან გამოგიგზავნით. თუ ვინიცობაა რამე დამრჩა უთქმელი დეპეშით მაცნობეთ და გიპასუხებთ. მაშ დამილოცნიხართ ამ ახალ საგნის მანდაურ ბაზარზედ გამოტანისთვის და გისურვებთ გამარჯვებას. ეხლა ჩემ ამბავს იკითხავ. უპირველესად ძალიან გთხოვ, მაპატიეთ ამდენი სიჩუმე. დიდი უსიამოვნება გამოვიარე და დიდ საფრთხეს ავაცილე ჩემი თავი იმით, რომ შევიკავე თავი და ძაღლსავით არ გავაგორე ის გახრწნილი სომეხი, რომელმაც მოინდომა სრულიად დავეღუპე. სასიამოვნოთ, იმდენა ბრალი დამდო და ნამეტნავად ბოლშევიკობა, რომ ადვილი იყო თავის გამართლება და ყველა მხოლოდ იცინოდა ამგვარ ბრალდებაზედ. ამ ამბავს დაწვრილებით მერე გიამბობ, ეხლა დრო არა მაქვს, მაგრამ იმას კი გეტყვი, რომ მალე თუ გვიან ამ სომეხს არ დავტოვებ დაუსჯელად. უკვე ამერიკის მთავრობის მოხელეები არჩევენ მის პიროვნების ვინაობას. დანამდვილებითი საბუთები გვაქვს, რომ 1919წ. ყოფილა კისლოვოდსკის ჩეკისტი.

პირადათ მე ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. ვმუშაობ დილის ცხრის ნახევრიდგან საღამოს 8 საათამდის შეუწყვეტლად. საქმეებიც გვარიანათ მიდიან და ამ ერთ წელიწადში დიდ საქმეებს გავაკეთებთ. ბევრ ახალ რასმეს ვამზადებ. ტრაბახით არ გეტყვი, მაგრამ ჩვენი პარფიუმერიის პრესტიჟი ჩქარის ნაბიჯით მიდის მაღლა და მაღლა. ერთადერთი ფირმაა ჩვენი (ყველა პერფიუმერებს შორის), რომელმაც შარშანდელზედ მეტი გააკეთა წლეულს, ე.ი. 1931 ჩვენ გავყიდეთ 10% მეტი ვიდრე 1930 და ამ წლის 4 თვეში გავყიდეთ 15-20% მეტი ვიდრე 1931-ის პირველ 4 თვეს. მაშასადამე, თუ ამისთანა სასორწარკვეთილ კრიზის დროს ასე ყოჩაღად ვებრძვით ცხოვრების ტალღებს, რა იქნება, როდესაც საქმეები გამოსწორდება და რომ გამოსწორდებიან მაგაში ეჭვი არ არის. ამიტომ გულს ნუ გავიტეხთ და შენ ნახამ თუ რა საქმეებს გავაკეთებთ. იყავ კარგად. ხელზედ აკოცე სონას ჩემ მაგივრად, აგრეთვე თეოც დამიკოცნე.

გეხვევი შენი მარად ერთგული გიორგი.

გიორგი მაზნიაშვილის წერილი სპირიდონ კედიას

გენერალ მაზნიაშვილის ღია წერილი გაზეთ ,,სამშობლოსათვის"
რედაქტორს.

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენ გაზეთში იმ დოკუმენტებს, რომელიც ეხება საქართველოში მომხდარი აჯანყების დროს ჩემზე გავრცელებულ ხმებს. პირველი დოკუმენტი წარმოადგენს ჩემს მომართვას ბ. ნოე ჟორდანიას მთავრობის მიმართ და მეორე _ პასუხს მასზე. ვინაიდან დღემდის მე დაკმაყოფილება ვერ მივიღე ჩემ მიერ აღძრულ საკითხზე, და ვინაიდან აღარ მინდა, რომ ჩემი სახელი გამოყენებული იქმნას საქართველოში სხვა და სხვა პარტიების პოლიტიკური კომბინაციებისთვის, მსურს, რომ ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოვუღო ამას პრესის საშუალებით. უსვინდისო პროვოკაციათ მიმაჩნია ჩემს მიმართ ის ფაქტი, რომ აჯანყების დაწყების წინ იქნა გავარდნილი ხმა, ვითომც მაზნიაშვილი დატვირთული იარაღით, გემებით დგას ხოპასთან და ელის დროს, რომ გადმოვიდეს და მიიღოს მონაწილეობა აჯანყებაში, და როცა აჯანყება დამარცხდა _ ჩემივე სახელით მოინდომეს თავის დახსნა: _ გენერალმა მაზნიაშვილმა გასცა პარიზში აჯანყების გეგმა ბოლშევიკებსაო და ამიტომ დავმარცხდითო!...

ვთხოვ ქართულ პარიზში დანარჩენ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი და დოკუმენტები.

გენერალი გიორგი ივანეს ძე მაზნიაშვილი
4 ოქტომბერი 1925წ.
ქ. პარიზი.

ლელი ჯაფარიძის წერილი სპირიდონ კედიას.

16.VI.1926.
თბილისი.

ძვირფასო მეგობარო! აქამდის თუ ვერაფერი მოგწერე იმით აიხსნება, რომ სრულებით ვერ მოვახერხე სათანადო საშუალება; იმ წესით კი, როგორც შეგპირდი, აქ რომ გარემოებას შევხედე _ ვეღარ გავბედე. _ ამის გარდა, ჩემი მდგომარეობა ისეთია, რომ საკმაოა მცირეოდენი საბუთი მივცე, რომ უცბად გამანადგურებენ. ყველაფერი ეს მათხოვიებს აგრეთვე, რომ თქვენც ძლიერ სიფრთხილით მომექცეთ და თუ ჩემთან ურთიერთობისათვის საჭიროება და შემთხვევა გექნებათ, აუცილებლად სანდო პირს და გზას მიმართოთ. გადმომცეს აგრეთვე, თითქო შენ, არ ვიცი რით, უკმაყოფილო იყო ჩემით და ეს გარემოება მაწუხებს _ მე დარწმუნებული ვარ, რომ რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს, რადგან ვფიქრობ და ვერ მიმხვდარვარ ამ უკმაყოფ. მიზეზს.

ამ წერილის გამოსაგზავნათ კარგი საშუალება მეძლევა, მაგრამ დრო ბევრი არ მაქვს და ნუ გამიწყრებით, რომ ყველაფრის შესახებ მოკლეთ ვწერ.

შენი დაფასება მდგომარეობის სავსებით სწორია და უტყუარი. ქართველი ხალხის და ინტელიგენციის განწყობილება ასეთია: ბოლშევიკების სიძულვილში იგი სავსებით გაერთიანებულია _ ხელისუფლება პოპულარული არ არის არც ერთს წრეში, მაგრამ აგვისტოს ამბების შემდეგ ხალხის ნებისყოფა ისეა მოტეხილი, რომ მის აქტიობაზედ ფიქრი არ შეიძლება. მაგრამ არანაკლები აღშფოთებაა მენშევიკების მიმართ და ყოველი მათი უმიზნო გამოსვლა (პროკლამაციები, რომელთაც ისინი შემთხვევისთანავე ყრიან) და რომელთაც რეპრესიებით უპასუხებენ დაუყონებლივ უდანაშაულო ხალხის მიმართ, აბრაზებს ხალხს. დღეს ასეთი პრიმიტიული ხასიათის პროპაგანდა სრულებით ზედმეტია _ ვიმეორებ, ხალხი ერთსულოვნად განწყობილია ბოლშევიკების წინააღმდეგ და პროპაგანდას არ საჭიროებს. პროპაგანდისათვის საკმაოა ის გარემოება, რომ ემიგრაცია არსებობს და არავითარ შემთხვევაში მადედან არ უნდა მოიხსნეთ. შალვა[83] და გიორგის[84] პოზიცია აქ არავის არ მოსწონს და უარყოფითად არის დაფასებული. ჩვენი წრეები კატეგორიულად წინააღმდეგნი არიან რაიმე თანამშრომლობაზედ მენშევიკებთან _ აქაური პრაქტიკა ამის საუკეთესო დამამტკიცებელია: საბუთები: 1) მენშევიზმი, როგორც ორგანიზაციული ძალა არ არსებობს _ მთელი მათი მოქმედება არასოდეს არ გასცილებია პროკლამაციას. 2) 75% მათი წევრებისა უკვე ბოლშევიკებთან მუშაობენ და უფრო აქტიურობენ, ვიდრე თვით ბოლშევიკები. 3) არც ერთი მენშევიკი სანდო აღარ არის. რასაც დღეს სულაქველიძე[85] და მისი ამხანაგები სჩადიან პირდაპირ წარმოუდგენელია, გასცეს რისი გაცემაც კი შეეძლოთ, თვით ის პირებიც კი, ვინც მათ მალავდენ და მფარველობდენ (რამოდენიმე კომუნისტი დახვრიტეს მენშევიკებისთვის დახმარების აღმოჩენის გამო) და ეხლა ეძგერენ ჩვენი კულტურის უკანასკნელ ციტადელს უნივერსიტეტს და რაც კომუნისტებმა ვერ მოახერხეს _ ამათმა მიაღწიეს, გამოაგდეს ჯავახიშვილი[86] და ეხლა მას ღლონტი[87] და სულაქველიძე ხელმძღვანელობენ. მთელი პროფესურა ამ ფაქტს იშვიათის ღირსებით შეხვდა და უდიდესი ირონიისათვის ღლონტი ერთხმად აირჩიეს (რომ არ აერჩიათ, სულ დახურავდენ უნივერსიტეტს). ასეთივე ამბავია ყოველ დარგში და ყველგან. ქართული კულტურული საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში ავანგარდათ ეს ყოფილი მენშევიკები გამოდიან _ ქართულ მწერლობის ფრონტზედ ამ სახით ეხლა

გელეიშვილი[88] იბრძვის (ქართულის მწერლობა და უნივერსიტეტი _ ეს ორი ძალა პირდაპირ დაუძლეველი შეიქნა ბოლშევიკებისათვის და თუმც აუცილებელი კომპრომისებით, მაგრამ მაინც შეინახეს დღემდის თავი). თუ ეს გაგრძელდა, ჩვენ მალე ვნახავთ, რომ მენშევიკური პარტია პირდაპირ სულ ახლა აღსდგება სრულებით სხვა სახით, კომუნისტების სამოსელში ჩაცმული და უფრო საშიში, ვიდრე თვით კომუნისტები არიან. თუ აქამდე კომუნისტებს დასაყრდნობი ძალა არ ჰქონდათ და მასას მოკლებულნი იყვნენ, დღეს ეს მასა ამ მენშევიკებში ჰპოვეს და საკმაოდ მრავალრიცხოვანი, მაგრამ ამავე დროს სწარმოებს მეორე საბედნიერო პროცესი ხალხის გასაოცარი გამოფხიზლების და ამ მარქსიზმის ორივე ფრთის წარმოუდგენელის შეძულების. ამისთვის, დღეს განსაკუთრებით არის საჭირო თავის დაკავება მენშევიკებთან ურთიერთობისაგან და ამ გამოფხიზლებული ხალხის ეროვნული დროშის ქვეშ მოქცევა. სპირიდონის სახელი აქ დიდათ პოპულარულია და განსაკუთრებით ავტორიტეტული მით, რომ ცნობილია რომ იგი აგვისტოს ამბებში მონაწილეობას არ იღებდა და მანდ მისი წინააღმდეგი იყო.

სამწუხაროდ ,,სამშობლოსათვის"[89] მხოლოდ ერთმა №-მა ჩამოაწია აქ (№2) და აუცილებლად საჭიროა მისი საჩქაროდ განახლება. დიდი ავტორიტეტით სარგებლობს აქ აგრეთვე ზურაბ ავალიშვილის სახელიც და მენშევიკებმა იციან ეს და ხმებს ავრცელებენ, რომ მანდ ახალი კოალიციური მთავრობაა, რომელშიც კედია და ავალიშვილი შედიან _ ამ ფაქტს ანგარიში გაუწიეთ და მოხერხებულად შეეხეთ.

მე ვინახულე მამია და მასთან მქონდა ლაპარაკი, მაგრამ მან მიპასუხა, რომ ამჟამად საჭირო არ არის მუშაობა სრულებით და რომ ერთხანს უნდა გავჩერდეთ და ამავე დროს მოუხერხებელიც არის ის, რაც გოგიამ ითხოვა, რადგან მას არ შეუძლია 6 კაცის შეკრებაც კი და ამავე დროს დიდი გაჭირვებაა, რომ სადმე სამუშაო ფული ვიშოვოთ. ამიტომ უმისოდ მე ვერ ვბედავ ვინმესთან კავშირი გავაბა. ჩემის აზრით კი, უკვე შეიძლება ფრთხილი ორგანიზაციის მოწყობა მხოლოდ იმისთვის, სამეთვალყურო მუშაობა ვაწარმოოთ. _ რას მოვახერხებთ ამ მხრივ ჯერ-ჯერობით არ ვიცი, რომ რამეს შემოუთვლიდეთ თქვენ მას, კარგი იქნება. ჩვენებიდან ციხეში იასონ[90] და მიშას[91] გარდა ხუხუც[92] ზის. გამსახურდია[93] გადასახლებულია ტურუხანის მხარეში _ ათი წლის ციხე მიუსაჯეს. სხვა ხალხი თავისუფალია _ ხელი ყველას აქვს მოწერილი, მაგრამ საბჭოთა პლატფორმაზედ თითქმის არავინ დგას.

ეხლა შედარებით რეპრესიები შემცირებულია და ამიტომ ხალხი უფრო მოსვენებით ცხოვრობს და რამოდენიმე ხნის შემდეგ შეიძლება დავიწყოთ მუშაობა თუ თქვენგანაც მივიღეთ რაიმე ცნობა (ერთი თვის წინ კი დახვრიტეს 6 კაცი სამხედრო პირები _ ვერ გავიგეთ ვინ არიან ესენი _ მათ შორის ერთი გვარი ვიცით ნაცვლიშვილის).

საერთო მდგომარეობა მთელს კავშირში ბოლშევიკებისათვის მეტად მძიმეა და საშინელი ეკონომიური კრიზისია. იხურებიან მთელი რიგი წარმოებანი და მოსამსახურენი პირდაპირ იტაცებენ ფულებს და მირბიან _ მთელს რუსეთში ეხლა 200 000 კაცი ზის ციხეში მარტო ფულების გაფლანგვისათვის. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მძიმე მდგომარეობა საბჭოებს არ ჰქონია არასოდეს, თვით დიდი სიმშილის დროსაც კი _ მაშინ სიმშილი ადგილობრივი მოვლენა იყო _ ეხლა კი მთელ კავშირის მასშტაბით. სჩანს, რომ ძველი რესურსები დაილია და საწარმოო საშუალებანი კი აღარ აქვთ. აქაც დიდი ცვლილებების წინ ვდგავართ: თითქმის ხორციელდება ის, რის შესახებაც გვქონდა საუბარი გოგიასთან სტამბოლში და შეუთვალე მას: აქ იყო სტალინი და პრინციპიალურად გადაწყდა ამიერკავკასიის

ფედერაციის ნაცვლად დაარსება კავკასიის ფედერაციის _ ამას უკავშირებენ ეკონომიის რეჟიმს, მაგრამ ამ პროექტის წინააღმდეგ ძლიერ მუშაობენ სომხები, რომელნიც მოკალათებულნი არიან განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის ფედერაციაში და ფარფაშობენ თბილისში როგორც სურთ; ახალი პროექტით კი, კავკასიის ცენტრი გადატანილ უნდა იქნას ან ბაქოში, ან კავკავში და ეს გარემოება დიდათ შეუწყობს ხელს თბილისის განწმენდას სომხებისაგან. რა სახეს მიიღებს ეს საქმე ამჟამად ძნელია რომ ვთქვათ, მხოლოდ განსაკუთრებული კომისია კი მუშაობს, რომელიც იხილავს ამ პროექტს, მაგრამ ამ კითხვებს დიდი საიდუმლოებით იცავენ. რუსეთში დიდი ბრძოლაა სტალინის წინააღმდეგ _ მისი მთავარი მოწინააღმდეგეა ეხლა ძერჟინსკი[94] და როგორც სჩანს, სტალინს უნდა დაეყრდნოს განაპირა ქვეყნებს და ამით აიხსნება მისი მოგზაურობა ეხლა აქეთკენ. ამბობენ, გარდაწყვეტილია, რომ აქედან წავლენ ორჯონიკიძე[95] (ლენინგრადის დიქტატორათ ზინოვიევის[96] ნაცვლად) და ორახელაშვილი[97] მოსკოვში. სტალინს უნდა რათა თავის გარშემო შემოიკრიბოს თავისი ხალხი. დიდი ნაციონალისტური მოძრაობაა უკრაინაში _ იქ ეხლა რუსული ენაც კი აკრძალეს სახმარებლად (საერთოდ შეიძლება ითქვას გადაჭრით, რომ ბოლშევიკებს ამჟამად დაუძლეველი დაბრკოლებები ეხსნებათ წინ).

ამას წინად 52 $^{11}/_{2}$ $^{2}/_{1}$ $^{1}/_{1}$ $^{14}/_{3}$ $^{12}/_{1}$ $^{4}/_{0}$ $^{1}/_{6}$ $^{1}/_{11}$ $^{14}/_{2}$ $^{3}/_{4}$ $^{4}/_{1}$. ვთხოვე შენთვის გადმოეცა ფრიად კონსპირაციულად, რომ მე სარწმუნო პირისაგან გავიგე, რომ მანდ ქეთინოსთან[98] ($^{12}/_{9}$ $^{14}/_{1}$ $^{41}/_{2}$ $^{33}/_{1}$ $^{9}/_{3}$) აწარმოებენ მოლაპარაკებას მისი და მისი მეგობრების დაბრუნების შესახებ და უთუოდ წამოვაო. _ მე მგონია, რომ ვინმეს მასთან დაახლოებულ პირს ესენი შეცდომაში შეყავთ, ამიტომ ჩემს ვალად ვთლიდი ასეთის სიფრთხილით შემეტყობინებინა შენთვის _ ხოლო თუ ეს მართალია, მაშინ დაარწმუნე არ ქნას და არ დაუჯეროს და ასეთი სისულელე არ ჩაიდინოს. ყველაფრის გარდა, ეს საშინელი დამარცხება იქნებოდა მთელი ეროვნული მოძრაობის, გაცილებით უფრო მძიმე, ვიდრე თვით ჟორდანია რომ დაბრუნდეს. მე გთხოვ ამ საქმეში დიდი სიფრთხილე იქონიო, რადგან რომ გამოირკვეს რომ ჩემგან გაიგეთ ეს ამბავი, ჩემი საქმე გათავებულია და თვით ის პირიც არ დამზოგავს, ვისგანაც ეს ამბავი გავიგე.

აქ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკის მიერ ჩვენი ცნობის ამბავმა.[99] ბოლშევიკებმა რომელნიც ყოველთვის მასხრობის კილოთი იხსენიებდენ ვასო დუმბაძეს _ ეს ამბავი დამალეს. თუ ჟურნალს განაახლებ, აუცილებლად დააბეჭდიე დუმბაძეს წერილი იქ და საერთოდ მისი მუშაობა ამერიკაში შენ სახელთან დააკავშირე. აუცილებლად საჭიროა, რომ მანდედან ერთი ისეთი კაცი გამოგზავნოთ, რომელიც ნდობას და გავლენას მოიპოვებდეს ბოლშევიკებში და მუშაობაში მომეხმარებოდეს, თორემ ჩემი მდგომარეობა ისეთია, რომ დამიჭირონ, ყველაფერი შეწყდება. საუკეთესო იქნებოდა თუ 52 $^{7}/_{11}$ $^{12}/_{1}$ $^{9}/_{2}$ ვ $^{11}/_{3}$ $^{14}/_{3}$ $^{14}/_{2}$ $^{33}/_{10}$ $^{33}/_{1}$ $^{39}/_{23}$ $^{5}/_{5}$. დააჯერებდი და აქეთ გამოგზავნიდი. მას გავლენიანი ნაცნობებიც ყავს და ძლიერ მომეხმარება. ამაზეც მიპასუხე _ უთხარი ჩემს მაგივრად. მაცნობე შენი მატერიალური მდგომარეობა და თუ საჭირო იქნება 25 დოლარამდე თვეში შეიძლება რომ მოვახერხო და გიგზავნო. მომწერე რა მისამართით.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის წერილები სპირიდონ კედიას

Village-Sanatorium de Passy-Praz-Coutant (Haute-Savoie)

21/1-1930 წელი.

ძვირფასო ძმაო სფრიდონ,

ვისურვებ შენს კარგა ყოფნას და დიდხან სიცოცხლეს შენი პატარა კარგი ცოლშვილით, გამარჯვება და სიცოცხლე ნუ მოგიშალოთ ღმერთმა. იყავით ბედნიერ, როგორც თქვენი გული ისურვებს მრავალჟამიერ. ჩემს ამბავს მოკლედ მოგწერ. ვიმყოფები მთებში, რომელ მთებსაც თეთრი ჯუბა აქვთ ჩაცმული უკვე და ძალიან მომაგონებენ ჩვენ ტურფა სამშობლოს. მაგრამ იცოდე ჩემო სფრიდონ, ყველა ბუზი ბზუის, ფუტკართან კი ყველა ტყუის. ასეა შედარებით, ლამაზი მხარეა საცა მე ვარ, მაგრამ ჩვენ მთებთან სილამაზით არაფერი შედარება არ არის. Eეჰ, ჩემო ძმაო, ღმერთმა კარგა მოახმაროს თავის პატრონს, ოღონდ ჩვენი დაგვიბრუნონ. ის მთები უფრო კარგა გაკურნავენ ყველა ქართველის ავანტყოფობას, სანამ აქაური მთები. დღევანდელი ცხოვრება მიდის ასე, ჩემი ტყვეობისა: დღეში ოთხჯერ უნდა გავიშინჯო სიცხე, ოთხჯერ უნდა ვჭამო, სულ ხდება ზარის დარეკვაზე. მომაგონეს ჩვენი ქართული გიმნაზია. ვიძინებთ $9^1/_2$ საათზე საღამოთი. არაფრისთანა არაფერ წამალს არ იძლევიან, მკურნავენ მარტო ჰაერით. დღე და ღამე ოთახის კარები სულ ღიაა, მარტო იკეტება ჭამის დროს. აი ჩემო სფრიდონ ასე მიდის ყველა დღეები ჩემი და ჰქრებიან ვითარცა რთვილი. ისე თავს უკეთა ვგრძნობ ცოტათ თუ ბევრად, სუნთქვა ნელ-ნელა თავისუფალი მიხდება, ამას ვატყობ. მეტი წილი სულ ჩუმადა ვარ და ვწევარ, არაფრის ნებას არ მაძლევენ, რომ გავაკეთო. წერასაც მიშლიან ჯერ-ჯერობით. რას შვრება ჩვენი თეო, ჩიტმა ამბავი მომიტანა დედა გააჯავრაო, აბა ეგ როგორ შეიძლება, ბელადმა ქალმა[100] დედა გააჯავროს. მომიკითხე ქ-ნი სონა,[101] დაუკოცნი ხელებს. ისე ჩემო სფრიდონ ახალი არა მაქვსრა რომ მოგწერო. გაზეთიც ვერ გადმომიგზავნეს, რომ ჩვენ ვეფხვიასთვის თვალი მედევნა, თოთხმეტს აქეთ არაფერი ვიცი. მომიკითხე ყველა ჩვენი მეგობრები, იყავი კარგა, მარად შენი პატივის მცემელი სულ მუდამ

ქ. ჩოლოყაშვილი

21-2-1930 წელი

გამარჯვება ძვირფასო სფრიდონ,

როგორღაც მიჰყუჩდი ცოლშვილში, მერე ხაზეინი[102] ჩამოგივიდა და ალბათ ბევრი საქმეები გაქვს, რომ შენი ხმა აღარ ისმის მოძახილისა. რა არის კაცო, როგორ გასჩუმდი ასე, რომ წერილი არცკი მომწერე და არ გამაგებინე შენი და შენი ცოლშვილის ამბავი. ქ-ნი სონა როგორა გრძნობს ბოლო ხანებში, ან ბელადის ბელადი ხომ აღარა ავანტყოფობს. ჩემ ამბავს თუ იკითხავ, მე მგონი ნელ-ნელა გაჯანსაღების გზაზე დავდექი, უკეთობასა ვგრძნობ უფრო და უფრო. ჯერ-ჯერობით ნება მომცეს კარიდორში სიაურულისა შუადღისას და საღამოთი, ისე სულ ვწევარ და ვიზომავ სიცხეს დღეში ოთხჯერ. ჩემი დროს გატარება სულ ეგ არის, რას იტყვი, ზედ სწორეთ ჩემზეა მოგონილი ამისთანა რეჟიმი. ჩემი სიცოცხლე წოლა მეზარებოდა და ახლა მგონი შემაჩვიეს. მერე ძალიანა ცივა, ნამეტნავათ როცა ფეხზე ვარ, და ისევ ვირჩევ

ხოლმე მალე ჩავწვე ლოგინში და ჩავითბუნო, სანამ ფეხზე ვიარო და ვიკანკალო. წერილების წერა ჩემთვის ძნელია, ხელი ვერ უძლებს კალმის ტარის დიდხან ჭერას, პატარა წერილის დაწერას კარგი შრომა უნდა, რამდეჯერმე ხელები უნდა გაითბო და ისე შეუდგე ახალის ძალით აზრების წერას. ამ წერილს გწერ დილის 6 საათზე, რადგანაც გარიჟრაჟისას ჰკეტენ კარებს რვა საათამდე, მაშინ ოთახში თბილა და შეიძლება რისიმე გაკეთება. სფრიდონ მომივიდა თელავის მაზრიდგან წერილი, ხელს არ აწერს, მაგრამ ხელზე და ნიშნებით მივხდი ვინც არის. კარგა გრძელი წერილია, დაწვრილებითა მწერს ყველასფერს, იწერება რომ ამისთანა მომენტი არა დროს არა ყოფილაო. დიდძალი ხალხი გავიდა ტყეში. მატყობინებს კიდე რამდენი მეთაური კომუნისტები დაუხოცნიათ კახეთში, კოლხოზების სულის ჩამდგმელები. მეხვეწება რომ დავბრუნდე, მთელი ჩვენი მხარე შენ გელისო, და იძახიან, ყველა დანაშაულს გავასწორებთ, ოღონდ ის ჩამოვიდესო. მივწერე ჩემ ცოლს, რომ დაიბაროს და მოელაპარაკოს ჩემ გარემოებაზე, უთვლი რომ რაწამს გამოვკეთდები და დრო დადგება, თქვენთან ვიქნები მეთქი. აი ასეთი გარემოებაა ჩემო სფრიდონ, ახალი ეს არის ჩემ მიდამოებში. შენ რაღა იცი მომწერე, მომიკითხე ქ-ნი სონა თავისი მოუსვენარი თეოთი, გიორგის[103] სალამი და კარგა ყოფნა. იყავით გამარჯვებულნი.

მარად შენი მეგობარი ქ. ჩოლოყაშვილი

28-II-1930 წელი

ძვირფასო ძმაო სფრიდონ,

ეს არის ვაპირებდი წერილის მოწერას და შენი წერილიც მივიღე, რომელიც დიდი სიამოვნებით გადავიკითხე, თავიდან ბოლომდის და მერე გარდიგარდმოთ, რადგანაც იცი ხოლმე მიწერა გვერდებზე. ჩემო სფრიდონ საქმე შემდეგშია, ეს მესამე წერილი მომივიდა ნესტორ ფილიასი, საცა მეხვეწება და მემუდარება, რომ გიორგის მივწერო და ვთხოვო მისთვის ალაგი. სწორე გითხრა, ერთხელ მივწერე ფილიას, და ვწერდი თითონ ენახნა გიორგი და პირადათ ეთხოვნა, უფრო ესიამოვნება, სანამ მე მივწერო მეთქი. მინდოდა თავიდან ემეცდინა ყველაფერი თხოვნა გიორგისთან, მაგრამ ისეთ გარემოებაში ჩამაგდო წერილების წერით, რომ გადავწყვიტე მოგწერო და გთხოვოთ შენ და გიორგის იქნებ რაშიმე გამოგადგეთ, ფეხზე მოვაჭრეთ მაინც, მაგრამ უბედურება ეგ არის, ძაან რომ გთხოვო, შენ ჩემზე კარგა იცნობ და იცი რაშიაც გამოდგება, ყველაფერი მაგისი ბედი შენთვის მომინდვია. მართლა თუ რამეს გამოდგება, მოუხერხეთ მეწვრიმალეობა მაინც, ფეხზე ივაჭროს ჩამადნით, ბერიკაცია, იქნებ მუშტარზე იმოქმედოს და გაყიდოს რამე საწვრიმალო. გწერ მის მისამართს. შედეგი შეატყობინე, ერთი ოთხი დღის შემდეგ მივწერ, რომ მოგწერეთ წერილი. რა პასუხს მიიღებს მერე გვეცოდინება. ... ახლა გადავიდეთ ბელადზე, რას იზამ მოუცდით მაგის უსტარსაც. ადვილი ხომ არ არის ბელადის გადაწყვეტილება, მაგას კარგი გადაწყვეტილება უნდა. დედაც უნდა დეეხმაროს თათბირში, მამას ხმა არა აქვს გადაწყვეტილებაში მონაწილეობა მიიღოს. ჩემს ამბავს თუ იკითხავ, მგონი ნელ-ნელა წინ იწევს ჯანი. ძალიან კარგი ამინდები დაიჭირა. მეექვსე დღეა ისეთი მზე დგას, იტყვის მაისიაო, კარგა აცხუნებს ბალკონზე ჩდილში. მთელი დღე სულ ბალკონზე ვწევარ, ღამე ოთახში და მაგარი მშრალი ცივი ღამეებია. ამისთანა ამინდმა ძალიან კარგა იმოქმედა ჩემზე. ექიმი დიდი კმაყოფილია ოპერაციის შედეგით. დღეს შესრულდა სწორეთ სამი თვე, რაც ოპერაცია გამიკეთეს. ექიმმა გულდადებით

გამშინჯა სწორეთ დღეს და შემდეგი სიტყვები მითხრა: ახლა ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ სულ გამორჩებით ორ-სამ თვეშიო: სიცხემ დაგიკლოთ, წონაში იმატებთ, ანალიზი კარგ შედეგებს მაძლევსო და დღევანდელმა ჩემმა გაშინჯვამ კიდე სულ დამარწმუნაო. ასეთია ჩემო სფრიდონ ექიმის დასკვნა. მეც ვატყობ უკეთობას, მუხლი მიმაგრდება, რომელიც აქამდის სუსტობდა. გედეეცი ჩემი გულრწფელი სალამი ქ-ნ სონას და გიორგის. ბელადის-ბელადს და შენ დაკოცნით. იყავით დღეგრძელნი.

შენი მეგობარი მარად ქ. ჩოლოყაშვილი

P.S. სფრიდონ მიხაკოს[104] მისამართი მომწერე, როცა დრო მექნება მინდა წერილი მივწერო.

19-3-1930წელი

ძვირფასო ძმაო სპრიდონ.

მივიღე შენი წერილი, მაგრამ უმთავრესი დაგვიწყებია, მიხაკოს მისამართსა გთხოვდი, სწორედ ის გამოგრჩენია. დანარჩენი წერილი ჩაკროჭინებულია, რასაცა მწერდი ყველას გიპასუხებ: პირველი, შენ რა გონია უნივერსტეტში გამომისტუმრე თუ რა არის, რომ მწერ, დარწმუნებული ვარ ახლა გაფრანგებული იქნებიო და ალბათ ფრანგულ გაზეთებსაც ჰკითხულობო. ასე არ არის ჩემო სფრიდონ. ისე მჩატეთ არა ვყოფილვარ ავათ, როგორც მე უყურებდი ავანტყოფობას. თურმე ძალიან ვყოფილვარ დაბარგული და გაკვირვებას არის ექიმი. დასუსტებულს გამიკეთეს ოპერაცია და შევძელი უშედეგოთ გადატანა. ჩემო სფრიდონ, ორი დღეა რაც ნება მომცა გავლისა დღეში საათნახევარი, ოღონდ შიგ შენობაში. ეს გეგმაც შემუშავებულია. დილით უნდა ჩავიცო, ყავა დავლიო, მერე ერთი გავლა შენობაში ნელა და დავწვე ჩაცმული კრავატზე საბან ზემოდან, უნდა ვიწვე საუზმის შემდეგ ისევ. ერთი ჩარექი ვიარო, მერე აივანზე შაზლონში ჩავწვე და დავიცვა სრული სიჩუმე: არც კითხვა, არც ლაპარაკი და არც ფიქრი რაზედმე. ძალიან ძნელია, რომ ყველაფერი შეასრულოს კაცმა. ცოცხალი კაცი იწვეს, ძილის ნება არა, კითხვისა არა და არ იფიქროს შეუძლებელია! მაგაში ვერა ვრიგდებით სანატორიუმი და მე. ყავის შემდეგ $4^1/_2$ საათიდგან კიდე უნდა დავწვე აივანზე $6^1/_2$ ნახევრამდის, მერე გავისეირნო ჩარექი და შვიდზე ვისადილო. სადილის შემდეგ გავიხადო ტანისამოსი და ჩავწვე ლოგინში დილამდის. აი ჩემო სპრიდონ როგორ უნივერსიტეტში ვარ. მერე ექიმი სულ იმის თხოვნაშია, რომ არ ვილაპარაკო და მეტი წილი გაჩუმებული ვიყო, კითხვით არ დავიღალო. დღეში დრო გამოშვებით შემიძლიან ვიკითხო ან ვწერო ორი საათი. რამდენიმე დღეა ნება მომცა საერთო სასადილოში ვისადილო, ეგ უკვე პროგრესია დიდი ავანტყოფებს რომ ჰკითხო. თორე აქამდის სულ ვიწექი მარტო, საჭიროებისთვის შემეძლო გასვლა, დანარჩენ დროს გაჭიმული წელზე წოლა. მთაზე მწერ, მთამ გშობა, გაგკურნავს ისევ მთავო. სპრიდონ მაგაში შენ მართალი ხარ, მაგრამ მაგარი ის არის, რომ მთამ წელიწადში ერთხელ იცის ხოლმე გაჯავრება და აი სწორედ ეხლა ის დროა. დაიწყო თოვლი ხან დღეში შვიდჯერ იცვლება ჰაერი: ხან მზეა, ხან წვიმა და ხან თოვლი. ნახევარზე მეტი ავანმტყოფები სულ დააწვინა ვინც ფეხზე დადიოდა. რამდენიმე გემეემშვიდობა სააქავოს, ამ რამდენიმე დღეში. ჩემზე

ყოფილიყო ექიმი ცოტა შეფთხალი, რომ ამისთანა ამინდი დაასუსტებსო, ძალიან ვერ იმოქმედა, მარტო ძველი და ახალი ჭრილობა რომ ერთმანეთშია არეული ის მჩხვლეტს და მტკივა, სხვა მადლობა ღმერთს, ჯერ-ჯერობით არა უშავსრა, ვნახოთ იქნება, ოთხი წელიწადია თურმე ეს სანატორიუმი და ამისთანა ამინდი არ გვახსოვსო, მოთოვა მაგრამ ასე ძლავრი არ ყოფილაო. აი ჩემო სფრიდონ ზოგჯერ მთამაც იცის არევა ან კიდევ ალბათ ბოლშევიკებზე ჯავრობს. აქამდის მშვენიერზე მშვენიერი აშლილი მთა თავისი მზის სხივებით, რომელიც აშრობდა ჩვენ ფილტვების სენს და ჰკურნავდა, დროებით შეაჩერა, ალბათ ფიქრობს ყველა თავისი თვისებების სიმკაცრის ცხრილში გატარებას. ასეცა სჯობია, რას იტყვი? კაცმა ყველაფერი უნდა ნახო ცხოვრებაში, რომ ცხოვრებისთვის გამოდგეს. სფრიდონ მაისის თვეში, რომ გამოისეირნო შენი კარგი ცოლშვილით მთების კალთებისკენ არ გაწყენს, სისხლს გასწმენდს, ხალისს შეგმატებს ახალი მუშაობისთვის კაი ჰაერით ნასუნთქი უფრო მაგრა შეუდგები. თეთრ ნაწილაკებს სპობს სისხლში და წითელს გაგიმრავლებს, რომელიც მეტ ხალის აძლევს ადამიანს. მომივიდა ვეფხვიას წერილი, რასაკვირველია სულ ლათაიებით. მერე მარტოკა არასდროს იწერება უეჭველად მეორე გვერდზე წერილისა დააწერინოს ვისმე, ახლაც ისეა. ტიტე მარგველაშვილი[105] მწერს იმასთან ერთად, მთხოვენ, რომ შევერთდეთ და დავიწყოთ წყობრისად მუშაობა. მე პასუხი არ გამიცია, რადგანაც მისამართი არ ვიცი და ამისათვის გთხოვდი მიხაკოს მისამართს. ზოგჯერ ჭირიც მარგებელიაო. მართალია, ჩემმა ფრანგული ენის უცოდინობამ ბევრი დამაკლო, მაგრა დღეს მიშველა ჩემ ავანტყოფობაში. ლაპარაკი არ ვიცი და ვარ სულ გაჩუმებული, რომელიც საჭიროა ჯამთელობისთვის. გული ნუ გაგიტყდება ჩემო სფრიდონ, ვეცდები რომ ვისწავლო და ჩაგიფრანგულო რომ ჩამოვალ. ამ თვის ბოლოში გადავალ სოფელში და ნება მექნება კითხვისა თავისუფლად. ეს სანატორიუმი იყოფა სამ ნაწილად: ცენტრალური, სადაც მე ვარ, ბარის და მთის სოფელი. გადამიყვანენ ჯერ ბარის სოფელში, საცა ცოტა თავისუფლება მომეცემა. ბარის სოფელი მდებარეობს ცენტრალურის გარეშემო, მთისა კიდე ცოტა მოშორებით, საცა უფრო მეტი თავისუფლება აქვთ ავანტყოფებს. ქ-ნი სონას ჩემი გულრწფელი სალამი და ხელზე კოცნა, ბელადის-ბელადი კიდო ემზადება წერილის მოწერას, მინამ მოიწერებოდეს დამიკოცნე. გიორგისა და შენ სალამსა და მოკითხვას მოგახსენებთ. ჩემი ახალი ამბავი გათავდა, გიძღვნი ძმურ სალამს.

მარად შენი მეგობარი ქ. ჩოლოყაშვილი

14-5-1930 წელი

ძვირფასო ჩემო მეგობარ სფრიდონ!

გუშინ მივიღე შენი წერილი, რომელმაც დავარდნილი კაცი გამათბო. ჩემო სფრიდონ, ბოლო დროს გულთმისანიც გამხდარხარ, სწორეთ უგრძვნია შენ სულს და გულს ჩემი ასე გაჩუმება. გძლად ვერ მოგწერ, რადგანაც ძაან მისუსტებული ვარ, ისე კი რასაც შევძლებ ვეცდები დაწვრილებით შეგატყობინო.

... ჩემო სფრიდონ რაც უბედურება და ტკივილები გადავიტანე ოპერაციისგან ამ ხუთი თვის წინეთ, სულ ფუჭათ ჩაიარა. რაზედ? მკითხავ, რა საკვირველია მე აღარ

ვიცი მადლობა ვის უთხრა, ვინც ფულს იხდის იმას თუ იმ სანატორიუმის გამგებლობას, რომელიც მითომდა 30 ფრ. მკურნამენ და ცოტა რამეზე მაშინვე მოგახლიან 30 ფრ. სახლებს ვერ აგიშენებთო. ჩემო სფრიდონ, ეს სანატორიუმი არ არის დემერწმუნეთ. რაწამს ჩამოვედი მაშინაც მოვიწერე, ყურადღება რომ არავინ მომაქცია, ამინდებმაც ხელი შემიწყეს, ცოტა მოვკეთდი. მე თითონ გადავწყვიტე დავმორჩილებულიყავ ლუარსაბ თათქარიძესავით ბედს. ეს სანატორიუმი ავანტყოფებისთვის კი არ არის ავანტყოფები ამ სანატორიუმისთვის არიან. ... საჭმელზე რა გითხრა, საძაგელზე საძაგელია, სანამ ფული მქონდა სუყველაფერს ვყიდულობდი და ვჭამდი, კარგაც ვიყავი. ფულიც გამომელია. ამინდებიც ღმერთმა დასწყევლოს, როგორი არეულია. 10 მარტიდგან დღევანდლამდე დღეში ხუთჯერ იცვლება, გუშინწინ კიდე მოვიდა თოვლი, ჯერ გაზაფხული არ მინახავს. მე მგონი ამინდები რომ მობრუნდება მოვბრუნდე მეც, მაშინ შევძლებ ადგილიდგან დაძრომას და დავიძვრები საითკენმე. მე ორ სამ თვეს კიდე მომიხდება ლოგინში წოლა, რაწამს შევძლებ მოძრაობას უნდა მოუხერხო რამე ჩემ თავს და ამ ყაზარმის სინაბარას არ დავრჩე. ... ჰაი-ჰაი ცოტა დროზე რომ ჩამოვსულიყავი სადმე გინდა პატარა პანსიონში და მთელი ზამთარი გემეტარებინა, დღეს ეს უბედურება არ დემემართებოდა. თითონ უფროსმა ექიმმა მითხრა, როგორ შეიძლება თქვენისთანა სერიოზნული ავანტყოფი ამისთანა სანატორიუმშიო. აი ჩემო სფრიდონ მე არ ვიცი: გიორგი,[106] ხოშტარია[107] თუ გრიშა ბერიძე[108] იხდიან ჩემს შესამნახოს უთხარი ყველაფერი. ვაი დედასა, რომ ავანტყოფობამ ამ დღეში ჩამაგდო, თორე მე სათხოვარი არა გამიხდებოდა რა. რა ვუყოთ, თუ გამოვრჩი როგორმე, სამშობლოსაც გამოვადგები, მეგობარსაც და ჩემ თავსაც, თუ არა და ჯახნაბას ჩემი თავი, უეჭველად დამწვით, რადგანაც ჩემ ჩამომავლობაში ჭლექით არავინ მომკვდარა, და რადგანაც მე პირველი ვარ, ყველაფერი უნდა მოისპოს ჩემი ნეშთისა, რომ სხვა ჩოლოყაშვილებზე არ გადავიდეს, ისეც არავინ დარჩა. გედეეცი გულწრფელი ჩემი სალამი ქ-ნ სონას, დაუკოცნი ხელებს თეოსა და შენ უთვალავად დაკოცნი.

მარად შენი მეგობარი ქ. ჩოლოყაშვილი

შეფიცულების მისალოცი დეპეშები სპირიდონ კედიას

ბატონო სპირიდონ!

გილოცავთ წასულ შობას და მომავალ ახალ წელს. 1931 *წელიწადი იყოს ბოლოს მომღები ჩვენი ერის ტანჯვისა. გისურვებთ ჯანმთლათ* და ბედნიერათ მრავალი ახალი წლები გაგთენებიყოთ *ოჯახობით თავისუფალ საქართველოში.*

შეფიცულნი.

30/XII 30 წ.
Viroflay.

ბ-ნო სპრიდონ!

გილოცავთ შობა-ახალ წელს და გისურვებთ თქვენი აზრების უეჭველ განხორციელებას.

შეფიცულები

მიხაკო წერეთლის წერილები სპირიდონ კედიას

20.V.1928
Augsburgerst. 17(6/Rosp), Berlin * 50.

ძვირფასო სპირიდონ!

აი, კიდევ ჩხუბითა და დავიდარაბით წავართვი მარკის ფული ერთ მანდილოსანს და გწერ ამ წერილს.

აქ საშინელი საცოდაობა ტრიალებს. პირდაპირ შეუძლებელია ფიქრიც კი იმაზედ, რასაც შენ მწერდი. ვინა ვართ აქ ისეთი, რომელიც ისეთს ჯგუფს შექმნის, შენ რომ იწერებოდი? ტიტე,[109] საშა ქორქია,[110] ნაკაშიძე,[111] გოგი კერესელიძე[112] და მე. ტიტე, ძმაო, ისეა დატანჯული მთელი თავისი ოჯახით, რომ ვერავითარი კალამი ამის ტანჯვას ვერ აღწერს. აი ახლაც ბავში ჰყავს დიფტერიტით ავად და გადარჩება თუ არა, ღმერთმა იცის. ეს ორი კვირაა თურმე, საშინელი ბრძოლაა სიკვდილსა და სიცოცხლის შორის და დედ-მამა ღამეს ათევენ მშივრები და მწყურვალები, უკაპიკოდ. ცოლი ტიტესი აგერ ახლა გამოვიდა საავადმყოფოდან, ჭაჭა ამოსჭრეს, პატარა ბავში სადღაც არის გაბარებული!.. საშა ქორქია ებრძვის შიმშილს, მისი ცოლი აგრეთვე, დილიდან საღამომდი მუშაობენ, რომ შიმშილით არ დაიხოცონ და მაინც არაფერი გამოდის. კოლა ნაკაშიძე ცოლით წითელი ჯვრის ბარაკებში სცხოვრობს ბერლინს გარედ, პირდაპირ უკაპიკოთ. მგონი აქამდი საქველმოქმედო საზოგადოება აძლევდა რაღაცას, ახლა კი ცოლის და ჩამოუვიდა და რაღაც ცოტა მისცა, რომ ბუჰჰალტერია ისწავლოს და შიმშილით არ მოკვდეს, მაგრამ ადგილს ნახავს თუ არა შემდეგ, ღმერთმა იცის. ჯერ კი მასაც შია. მე, ძმაო, ამათზედ კიდევ უარეს მდგომარეობაში ვარ. ახლა დიასახლისმა გამაგდო. პირველ ივნისიდან სად ვიქნები არ ვიცი. ვალები მახრჩობენ. არც ერთი ფენინგი. ძველ დიასახლისთან დავდივარ და ის სუპსა და კარტოფილს მაჭმევს ნისიად, ისიც ჩხუბითა და დავიდარაბით, რადგანაც თვითონაც შიმშილით კვდება. ერთადერთი გოგიაა,[113] რომ ცოტათი ჩვენზედ კარგ მდგომარეობაშია, მაგრამ რა ქნას მან, ერთმა. ასე რომ, წარმოიდგინე, რა უნდა იყოს ჩვენი ჯგუფი და რა უნდა გააკეთოს მან. ჩვენ, ძმაო, აღარც ნორმალურები ვართ არც ერთი. დავეცით ფიზიკურად, გონებრივად, ნახევრად ზნეობრივადაც და პატარა ხანს იქით სიკვდილი მოგველის, რათგანაც ზნეობრივი სრული დაცემა ჩვენი შეუძლებელია! აი, ძმაო, ჩვენი ნამდვილი მდგომარეობა და შეცდომაში არ შეგიყვანოს ქართულმა გადაჭარბებულმა ოპტიმიზმმა ან ცოტა თავმომწონედ თქმულმა სიტყვამ ზოგიერთ ხალხისა, _ არაფერი აქ არ შეიქმნება და სიკვდილი გვადგია თავზედ

მოღერებული ცელით და პატარა ხანს იქით წაგვლეკავს. თუ რამე შეგიძლიათ, ისევ მანდ შექმენით რამე, აირჩიეთ ვისაც კიდევ სული უდგია, და ჩვენ, თუ კიდევ შევძელით დაყვირება, დავიყვირებთ, როცა საჭირო იქნება, მეტს ნურას მოგვთხოვ, არ შეგვიძლია. ჩვენ აქ მომავალი არა გვაქვს უკვე, გათავდა, წარსულს ვეკუთვნით.

ოთარი[114] კლასიკურ ფილოლოგიას სწავლობს ერლანგენში. მას მეტი არა შეუძლია რა და მიტომ, მაგრამ საბედნიეროთ, თურმე დიდი მოთხოვნილება ყოფილა ახლა კლასიკური ფილოლოგებისა აქ და უსათუოდ ადგილს იშოვის კარგს, თუ კარგად ისწავლა თავისი საგანი. გერმანელების კორპორაციაშია. იძულებული ვარ გერმანიის ქვეშევრდომობა მივაღებიო, რომ მერე ადგილი იშოვოს და იცხოვროს, სხვა რამ იმედი მე არა მაქვს რა. ახლა დედა უგზავნის 120 მარკას, ძლივს ყოფნის, თუმცა ცხოვრება იქ იაფია, მაგრამ ესეც რომ მოესპოს, ხომ დაიღუპა! ამიტომ უნდა ჩაიდვას აქაური პასპორტი ჯიბეში, მეტი გზა არ არის, სტიპენდიას მაინც იშოვის. თუ კი საერთოდ განთავისუფლდა, მერე ისევ წავა სახლში. ამასვე ურჩევენ თვით მისი გერმანელი ამხანაგები, იციან მისი მდგომარეობა. საწყალი ოთარი, ძალიან შეწუხებულია ისიც და მეც. საშა ვახვახიშვილი გარდაცვლილა, შილდაში დაუსაფლავებიათ, სულ ოთარის ნახვას ნატრულობდა თურმე საწყალი სიკვდილის დროს, ამის მეტი არავინა ყავდა და უყვარდა ძალიან. ეჰ! მალე იქით წავალ მეც და ბევრი ჩემნაირ ჯოჯოხეთში მყოფიცა, რა გაეწყობა.

აი, ძვირფასო სპირიდონ, ჩვენი ამბავი. არ გესიამოვნება, მაგრამ ასეა საუბედუროდ. მომიკითხე ყველანი და მომწერე.

შენი მარად მიხაკო წერეთელი

15.X.1929

Passauer str.37ª (b/pfeffer), Berlin N50.

ძვირფასო ძმაო სპირიდონ!

მივიღე შენი წერილი, რისთვისაც ძალიან გმადლობ. მაგ რაჭველ ვირს შეურცხვა სინიდისი (თუმცა სინიდისი სადა აქვს და რა უნდა შეურცხვეს!) რომ მაგისთანა ცინიზმით ისტუმრებს ხალხს. არ შეუძლია _ არ შეუძლია, ვინ დაემდურება მაგისთვის, მაგრამ დანარჩენი სიბერცე რაღაა! მომიტევე, გენაცვალე, რომ ასეთი უსიამოვნო შემთხვევის მონაწილე გაგხადე შენც, მაგრამ რა ვქნა, მეც ვიღუპები და ოჯახიც მეღუპება და სასოწარკვეთილებაში მყოფი კაცი რას არ მოიგონებს. ახლა წიგნებსა ვყიდი ფენინგებად და მით ვყიდულობ პურს. საწყალი ოთარი კი, 4 თვის ნაავადმყოფარი, ისევ ძველ ფირმას დაუბრუნდა, ისიც დიდის თხოვნის შემდეგ, და მუშაობს დღეში 12 საათს (როგორც შეგირდი) 75 მარკად თვეში! ამას ეს ვერ გაუძლებს და დამეღუპება და არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე.

საშინლად მეწყინა, რომ სონა მაგრე ცუდად ყოფილა! ღმერთო, რა ღვთის წყრომაა ჩვენზედ! ალბათ ვერ აიტანა გაჭირვება და ხანგრძლივი მუშაობა და დაცადა. დიდი მოკითხვა გადაეცი ჩემ მაგივრად და უთხარ, მეც მენატრება თქვენი ნახვა. ხანდახან გაიცინებ მაინც კაცი, იცი, ამ გასიებულ გულზედ, მაგრამ, მგონი, მე ისე ჩავბარდე პატრონს, რომ ვეღარავინაც ვეღარა ვნახო. დამიკოცნე პატარა გოგო. მადლობა ღმერთს, ლუკმა-პური მაინცა გაქვს, კაცო, და ცოლშვილის უბედურებას არ უყურებ. საშინელებაა, შევშინდი, გავდრკი, სპირიდონ!..

მენშევიკებისა და ხევსურის საქმეს რაც შეეხება, ასე იყო: ლადო ახმეტელმა[115] მოგვცა მე და გოგიას წინადადება, გვეთქვა ხევსურისათვის, რომ თუ ის დაანებებდა თავს მთავრობისა და ს.დ.ების წინააღმდგეგ წერას, ესენიც მას ჩამოეხსნებოდენ. მთავრობის დავალებით გვითხრა ეს თუ თავისი ინიციატივით, ვერ გავიგე. მეც ხევსურს შევატყობინე ეს და მანაც სამართლიანად წერილობითი განცხადება მოსთხოვა მათ, რომ თვით თავიანთ პირობას შეასრულებდენ. ეს მე გადავეცი ახმეტელს და გადის აი რამდენი ხანი და პასუხიც არ მიუცია. ჩაკვდა ასე ეს საქმე და ძალიან კარგიც არის, რადგანაც დარწმუნებული ვარ, მოატყუებდნენ ხევსურს უსათუოდ. ეს იყო, მეტი არაფერი.

სპირიდონ! ვერ წარმოიდგენ, როგორ აყროლდა აქაურობა. ვერ ენდობი კაცს. არ გვზოგავენ არაფრით. ერთი მეორეზედ უარესია, ს.დ.-ი ფედერალისტზედ უარესია და ფედერალისტები კიდევ ს.დ.-ზედ. მანდ ახლა ასათიანის[116] ჯგუფს დაუწერია რაღაცეები. მე მეგონა ასათიანმა რომ წიგნი დასწერა,[117] რომ მაგან გაერთიანება მოახერხა პარტიისა და სწორ გზაზედ დადგა მეთქი. დიდი აღფრთოვანებული წერილი მივწერე, თანაგრძნობისა და მეგობრობისა. არ გასულა ცოტა ხანი და ღმერთმა იცის რაები გავიგონე, რაები ჩაუდენია, რას არ აპირობს (შენც ეს ყოვლისფერი იცი, რადგანაც უმეტეს ნაწილად ტიტემ შენი წერილებიდან გამიზიარა), და ღმერთმა მშვიდობა მისცეს ამათ, ეგეც ისეთი ყოფილა თურმე, როგორიც სხვები. ეჰ! ისე დალპა აქაურობა, რომ აღარაფრის გაკეთება ვარგა, დავრწმუნდი!

როგორ არის ქაქუცა, მაგისი ავადმყოფობა მესმის. გიორგის იმედი მე არა მაქვს, მაგრამ აკურთხოს ღმერთმა მისი სახელი, ძმაო, შენი ოჯახი მაინც გადაურჩენია. განმეორებით სალამს ვუძღვნი ქ-ნ სონას და კოცნას ვუგზავნი თეონას. ოთარმა მადლობა მოკითხვისათვის და გიძღვნით თავის მხრით დიდ მოკითხვას.

მარად შენი მიხაკო წერეთელი

8.V.1930
An der Apostelkirche 12 (b/priess), Berlin. N57.

ძვირფასო ძმაო სპირიდონ!

რამდენი ხანია მინდოდა მომეწერა შენთვის წერილი. მადლობა მაინც გადამეხადა შენი წერილისთვის და ,,ქრისტე აღსდგა" მაინც მეთქვა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ძალიან გამიმწარდა ცხოვრება ძმაო, აღარაფერს აღარა ჰგავს. ოთარმა ის პატარა სამუშაო რომ ჰქონდა, ისიც დაჰკარგა და ვართ ახლა მშიერ-მწყურვალები ორივე კიდევ უარესად, ვიდრე ვიყავით. გიორგი მაჩაბელმა გემიდან მომწერა წერილი და მაიმედებდა, ნიუ-იორკში რომ ჩავალ იქიდან მალე გიშველიო და შენც არ მომიკვდე, იქიდან ისე არაფერი მოსულა, როგორც მთვარიდან. ერთადერთი ჩემი იმედი იყო, რომ ჩამოვსულიყავი, მპირდებოდენ ლეო[118] და კოკი ისე მოეწყოთ საქმე, რომ შიმშილით არ მოვმკვდარიყავი, ოთარიც აქ იქნებ არ დაღუპულიყო, რაღაცა რომ ბედის დიდის გაჭირვებით სახლიდან, იქნებ ისა ჰყოფნოდა დიდის გაწამაწიით, სანამ რამეს იშოვიდა, მაგრამ ამ მამაძაღლმა აპოლინერმა თურმე ეს იმედიც მომისპო. არაფერ პასუხს არ იძლევა აქაური საკონსულო, მანდედან არა მოსულარა. საწყალი

რონაც დავღუპეთ, მაგრამ ვინ იცის, იქნებ მაგისთვის ეს ერთი ჭირი მარგებელიც იყოს და ბოლოს და ბოლოს მოცილდეს მაგ კინტოს.

სპირიდონ, თუ ძმა ხარ, გამიგე, რა საშუალება არის კიდევ რომ ვიზა მივიღო! როდის? აი რომც ჩამოვიდე მანდ, საშიში ხომ არ იქნება! რომ დამაბეზღონ აპოლინერმა და აგრეთვე ლეშუენმა და მორშანდონმა (ხომ იცი, მაგათი ვალიც წამომყვა 800 ფრანკი), ხომ არ დამიჭერენ? სად შემიძლია ახლა მაგათი ციხე და დავიდარაბა ავიტანო ამ სიბერის დროს, ლამის არის თავისუფალი გავგიჟდე და ახლა მაგათი სიმურდლე მაკლია ციხეში?! ეჰ! ჩემი გაჩენის დღე გაქრა! არ მეგონა თუ გამიმწარდებოდა სიცოცხლე ამ მოხუცობის დროს!..

ამას გარდა რა უნდა გთხოვო: შემატყობინე, იმ ბინაზედ კლამარში, შენ რომ ხარ, ხომ არ არის რამე ცალიერი ოთახი, თავი რომ შევაფარო. მომიხერხებენ, რომ საცხოვრებლად მოვაწყო. ამაზედ გიორგისა ვსწერდი, ვთხოვდი ნებართვას, რომ შევეშვი თუ იყო თავისუფალი ადგილი და მწერდა, ივნისამდე მოიცადე და მერე ყოველისფერს მოგიხერხებო (ივნისამდის კი თუ არაფერი მოხერხდა, სული ამომძვრება). ამას იმიტომ გწერ, რომ შეუძლებელია ჩემთვის პარიზში ცხოვრება, არასოდეს არ მიყვარდა საცხოვრებლად ეგ საშინელი ქალაქი და ახლა უსათუოდ მომკლავს, ან გამაგიჟებს, ნამდვილად ვიცი. კლამარი კი სოფელია და მანდ მოვისვენებდი. სასმელ-საჭმლის ფულიც მექნებოდა ერთი წყაროდან ისე, რომ შენ არ შეგაწუხებდი, რომ გაგეყო ჩემთვის უკანასკნელი ლუკმა.

მალე მომწერე, სპირიდონ, ამის პასუხი.

აქ მოაწყდა მთელი ლიტერატურა კლემანსოს[119] შესახებ. ყიდულობს გ. კერესელიძე და მეც მათხოვებს ხოლმე. ვკითხულობ, ეს არის ახლა ჩემი დროს გატარება, ისე მაქვს ნერვები აშლილი, რომ სხვას ვერაფერს ვაკეთებ, მაგრამ ამან კიდევ უფრო ამაღელვა. რა საშინელება ყოფილა ეს სულ-წაწყმედილი! არ მეგონა, თუ ერთად შეიძლებოდა შეზავება ამდენი ჭკუისა და ენერგიისა ერთი მხრით, ამდენი პატრიოტიზმისა და კეთილშობილ გრძნობათა აგრეთვე, და ამდენი ბოროტებისა, შხამისა და სიბრმავისა მეორეს მხრით. მე ამისი მსგავსი ფენომენი ისტორიაში არ მეგულება. ამ შეჩვენებულს არც ფრანგებისა და არც საფრნგეთისა სწამს არც მომავალი და არაფერი. გინახავს ამისთანა?! მართლა, წიგნებმა გამახსენეს, წაიკითხე ზურაბის წიგნი,[120] ქართულად რომ გამოვიდა, რა მშვენიერი რამეა? მოკითხვა ზურაბს და ანდრიას ოჯახობით, შენი მეზობლები არიან ხომ.

დიდი პატივისცემით მოკითხვა ქ-ნ სონას და ბევრი კოცნა პატარა თეონას.

მარად შენი მოყვარული მიხაკო.

25.V.1930

An der Apostelkirche 12 (b/priess) Berlin N57

ძვირფასო ძმაო სპირიდონ!

მაპატიე რომ წერილი დაგიგვიანე, მაგრამ ისე გახლაფორთდა ჩემი საქმე, რომ არ ვიცი რა ვქნა. ერთის მხრით მატყობინებენ რომ ვიზა მიიღეს (აი აგერ ახლა მომწერა ლეომ, პარიზიდან შეატყობინეს), მეორეს მხრით, არც იმისაგან, ვინც მანდ ვიზისათვის სცდილობს, არაფერი ცნობა მიმიღია და არც ვიზა მოსულა. არავითარი ცნობა არა აქვს აქ საფრანგეთის საკონსულოს. ამასობაში ოთახიც დავკარგე იმ

იმედით, რომ ვიზას მივიღებდი და ახლა არ ვიცი, სად ჯანაბაში დავდგე. შენი ჭირიმე, იქნებ იმ თვის 1-მდე შემატყობიო, არის თუ არა მართლა ვიზა, ან თუ არის, როდის მოვა, ან თუ არ მოვა, როდემდის გაგრძელდება რომ აიღონ, ან საზოგადოდ იქნება თუ არა. ამისდა მიხედვით ისევ ავიღებ მეც დიასახლისთან ბინას, რასაკვირველია, თუ მანამდის არ გააქირავა.

ჩემო სპირიდონ, ჩემთვის არავის არაფერი მოუწერია პარიზიდან, რას ამბობ კაცო. მე, მართლა, გულ-წრფელად გწერდი, რომ არ მინდა შენ დაგაწვე კიდევ თავზედ, ისედაც გაჭირვებულ და დატანჯულ კაცს, სწორედ იმიტომ რომ, შენი გული ვიცი და არაფერს დაერიდები რომ მეც ამიკიდო ზურგზედ. ეს კი შეუძლებელია, ძმაო, ორივე დავიღუპებით, მეც ვერაფერს მიშველი, ისეა ჩემი საქმე და შენც ოჯახს დაღუპავ! მე მინდა წავიდე ლეოსთან ვალენტინეში, თუ მოვიდა ვიზა. იქ დავრჩები ცოტა ხანი და მერე კი იქნებ გიორგი ჩამოვიდეს და მომიხერხოს რამე, როგორც შენ იწერებოდი.

... ასე ჩემო სპირიდონ, თუ დიდი წერილის დაწერისთვის დრო არ გექნება, ღია ბარათით შემატყობინე, რასაცა გთხოვ.

მომიკითხე პატივისცემით ქ-ნი სონა და დამიკოცნე პატარა გოგო.

შენი მიხაკო წერეთელი.

P.S. ქაქუცას წერილი მეც მივიღე ამ რამოდენიმე კვირის წინად. ძალიან პესიმისტური ტონით იყო აღსავსე. ცრემლები მომადგა თვალზედ. გვეღუპება ეს საწყალი ბიჭიც _ დიდი კაცი! ეჰ! სპირიდონ, ვიღუპებით, მერწმუნე, რაღაც ულმობელი ბედი მუშაობს ჩვენს წინააღმდეგ, ბრმა და დაუნდობელი! სად არის ხსნა?.. მიწერე ჩემ მაგივრადაც მოკითხვა ქაქუცას, როდესაც მისწერო წერილი, მეც პასუხი კაი ხანია გავუგზავნე სავოიეში.

მ. წ.

6.VI.1930

Passauer str.37ª (b/Traugott),Berlin N50.

ძმაო სპირიდონ!

დროზედ რომ ვერ შემატყობინეს, თუ როდის იქნებოდა ვიზა დაახლოებით, შედეგი ამისა ის იყო, რომ ძველი ბინა დავკარგე, იძულებული ვიყავი ახალი ამეღო და გადამეხადა 60 მარკა ერთი თვისა წინ-და-წინ, როგორც აქ წესია, _ ე.ი. ჩემი ბილეთის ფული, რომელიც ვინ იცის რა დამცირებითა და ღრეჭით მქონდა შეგროვილი. ახლა რაღა ვქნა არ ვიცი, ვიზა რომ მოვიდეს, წამოსასვლელი ფული არა მაქვს და ვეღარც ვიშოვი. მეორედ ვეღარ მივადგები იმ გერმანელებს, რომელთაც ხელი გამიმართეს ერთხელ.

გიორგი მაჩაბელმა რომ წერილი მომწერა გემიდან, ამერიკაში რომ ბრუნდებოდა, შიგ პირდაპირ ეწერა, როგორც რომ ჩავალ ნიუ-იორკში, გადმოგიგზავნი 1000 ფრ. ფრანკსაო. არაფერი არ გამოუგზავნია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, როცა ჩამოვა, მაშინ მაინც მომცემს, არ იტყვის უარს იმაზედ, რასაც დამპირდა. სპირიდონ, თუ მოსახერხებლად სცნო, იქნებ ამ პირობით გამოართვა ვისმე მანდ ეს ფული (გერმ. 160 მარკა), მასესხონ სანამ გიორგი ჩამოვიდოდეს, და როგორც რომ მომცემს გიორგი, მყისვე დავუბრუნებ. იქნებ ექნეს ანდროს ან სხვა ვისმე პატიოსან კაცს და ნუ

დამღუპავენ და ნუ დამაკარგვინებენ ამ ერთადერთ შემთხვევას, რომ უბედურობიდან გამოვძვრე. ამ ფულით პატარა საჭირო ვალებს გავისტუმრებ, გადავიხდი ვიზების ფულს და ჩამოვალ ვალენტინეში.

თუ მოუხერხებლად სცნო, თუ ძმა ხარ, მალე შემატყობინე ესეც, მოვიფიქრებ, იქნებ სხვაგან რამე მოვახერხო.

შემატყობინე, თუ ძმა ხარ ისიც, როდის უნდა მივაკითხო საფრანგეთის საკონსულოში აქ. პირდაპირ თავი მოვაბეზრე და თუ კიდევ მივედი იმ დროს, რომ ვიზა არ იქნა, გამომაგდებენ შეურაცხყოფით, და თუ გვიან მივედი, შეიძლება ვიზას ვადა გაუვიდეს და დაიკარგოს. თვითონ კი საკონსულო აქ არაფერს შემატყობინებს.

ნუ დაიზარებ, ჩემო სპირიდონ, პირდაპირ ვიღუპები კაცი, წყალში ჩავარდნილივით ვიბრძვი, რომ გადავრჩე და ყოველ წუთს სულ ახალ-ახალი დაბრკოლება მეღობება წინ. უბრალო ღია ბარათით შემატყობინე მალე ყოველისფერი.

მომიკითხე პატივისცემით ქ-ნი სონა და დამიკოცნე თეონა.

შენი მიხაკო წერეთელი

სპირიდონ კედიას წერილები მიხაკო წერეთელს

კლამარი, მკათათვის 21-ს 1930.

ძვირფასო მიხეილ,

შენს წერილზე დღემდე ვერ გიპასუხე. წარმოიდგინე საამისოდაც ვერ მოვიცალე.

ხომ იცი, მე შენ მეგობრობ და მიყვარხარ თავისთავად, რა მდგომარეობაშიაც არ იყო და რა ორგანიზაციაშიც არ მუშაობდე. ეს მეგობრული სიყვარული, როგორც ყოველი სიყვარული, ზოგ რამეს შეუმჩნევლად ჩაუვლის ხოლმე, ვერ ხედავს ან თუ დაინახა, თვალს არიდებს. იგი მხოლოდ სიკარგის დამნახველია.

გულწრფელად გამიხარდა, რომ მანდაურობას შენთვის დამამშვიდებელი და საამო გავლენა მოუღია. გისურვებ, რომ ეს გავლენა შეუცვლელი და ხანდაუზმელი ყოფილიყოს.

მე მიყვარს ახალგაზრდობა, როგორც სამშობლოს მომავალი ძალა, ნამეტურ როცა იგი პატრიოტულად აღგზნებულია და სამშობლო უზენაეს ხატად აქვს დასახული. ვისაც იგი უყვარს, მისი აღმზრდელიც უნდა უყვარდეს, რომელიც სამშობლოს სიყვარულისა და მისი ღირსეული სამსახურის გაკვეთილს სათანადო მოწიწებითა და ავტორიტეტით მისცემს. ძალიან სასარგებლოთ მივიჩნევ თეთრი გიორგელ ახალგაზრდობისათვის შენს მოღვაწეობას მის წიაღში, რაკი ეს თვით შენ გისურვებია და გადაგიწყვეტია. თუ შესძელი და მოსპე ტრაბახი, მეგობრობა და იაფი პატრიოტიზმი, რომელიც თითქმის ,,თ.გ." ტრადიციად არის გადაქცეული და მეტად ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს, ეს თავისთავად დიდი პატივსაცემი დამსახურება იქნებოდა.

აგრეთვე იმის იმედი მაქვს, რომ შენი ხელმძღვანელობა იმდენად ხელს შეუწყობს კეთილგანწყობილების დამყარებას საერთოდ არასოციალისტურ წრეებში, რამდენადაც უშენოდ ამ ურთიერთობას თ.გ. გაამწვავებდა.

ნეტავ ჩვენს აწყვეტილებსაც გაუჩნდებოდეს ვინმე ისეთი, რომელიც მათ ნერვებს დაუმშვიდებდეს და ლანძღვა-გინების დაბეჭდვას აუკვეთამდეს გაწამებულ ,,სამშობლოში". შენი ნახვა ძალიან მესიამოვნება, უფრო მეტად ვინემ ეს შენ წარმოგიდგენია, მაგრამ ამის დრო და შეძლება არა მაქვს. შენ მოიხმარე ის გზის ფული, რომელსაც მე მომაწვდიდით, თუ ჩემი ვალენტინეში ჩამოუსვლელობის მიზეზი მარტო უფულობა იქნებოდა და გვეწვიე რამოდენიმე დღით. მასპინძლობას სიამოვნებით გაგიწევთ. კლამარში უკვე რამოდენიმე ქართული ოჯახია და არ მოგაწყენდით. ყველა სიამოვნებით მოგელის.

ვერ გავიგე, ოთარი მანდ გყავს თუ ბერლინში. მომიკითხე დიდის სიყვარულით. ლეოს ჩემი სალამი.

იყავი კარგად. მარად შენი სპ.კედია.

21.12.32.

ძვირფასო ძმაო მიხაკო,

შენმა წერილმა ძალიან მასიამოვნა. მადლობა ღმერთს, რომ შენი მდგომარეობა ასე კარგად მოეწყო. მე რომ მკითხო, ეს პირდაპირ იდეალურია და ვერ წარმოვიდგენ, რომ შენ არ იყო ბედის კმაყოფილი. მუშაობ შენს საყვარელ დარგში, რომელსაც წლები შეალიე. გიჭირავს სამეცნიერო კათედრა[121] და მის სიმაღლიდან ქვეყანას საქართველოს კულტურას აცნობ. დიდ მორალურ კმაყოფილებას უნდა გრძნობდე. ეხლა სანატრელია მხოლოდ ერთი რამ _ რომ ეს მდგომარეობა ბოლომდე შეგრჩეს, ე.ი. ვიდრე ემიგრაციაში ვართ... ბრიუსელის ჰაერისა ნუ გეშინიან. ნორმალური პირობები მანდაურ ცხოვრებას გაგიადვილებს, ჰაერსაც ადვილად აგატანინებს.

კარგი კიდევ ისაა, რომ მარტოდ არა ხარ, უქართველებოდ და რომ როცა მოგინდება, შეგიძლიან ქართულს ოჯახში სული მოითქვა, მერე კიდევ ისეთ ოჯახში, როგორიცაა ანეტა ყიფიანის ოჯახი. მე ვიცნობ ქ-ნ ანეტას და მის შვილებს და უნდა გითხრა ყველა მათზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მაქვს. გადაეცი ქ-ნ ანეტას ჩემი მოწიწებითი სალამი, მომიკითხე როსტომი და ანეტას ქალი _ სახელი არ მახსოვს. მართალი გითხრა, რომ არაფერს მწერდი, ვიფიქრე _ ეს კაცი მართლა გულმოსული ყოფილა-მეთქი; ამას ვფიქრობდი, რადგან ზოგ ადგილიდან მომწერეს და ზოგმა კიდევ მითხრა, რომ შენ თურმე ნაწყენი ყოფილხარ ,,ახალი ივერიის"[122] უკანასკნელი ნომრით, თითქოს იქ შენი შეურაცხყოფა ამოგეკითხოს. მე ამან ძალიან გამაკვირა და თანაც მეწყინა კიდევაც _ თუ ასე იყო, რატომ მე არაფერი გამიზიარა-მეთქი. მე არ ვგრძნობ საჭიროებას გითხრა, რომ უკადრისად შენი სახელის ხსენებას არავის გავაბედვინებ, თუ ამას დროზე მოვუსწარი. მეც ამას მოველი შენგან. ეს ისეთი რამაა, რომელიც ჩვენ შორის თავისთავად იგულისხმება. 1905-ან წლებიდან ეს ჩემი უცვალებო გუნებაა შენდამი. ეს ბუნებრივია და უანგარო ჩემში, ამიტომ იგი არაფერს სამაგიეროს არ მოითხოვს და არც არაფერს გავალებს შენ, ამ მხრივ, სრულიად თავისუფალი ხარ ჩემდამი შენი განწყობილების იერის არჩევანში, მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ შენი ეს არჩევანი და განწყობილება ჩემდამი, თავისუფალი და სპონტანიური, იმგვარივე მეგობრობით სუნთქავდა და სუნთქავს, როგორც ეს ჩემი მხრიდან შენსკენ მოდიოდა.

მე ვფიქრობ, რომ ამ განწყობილებასა და ამ გრძნობას არაფერი არ უნდა დააკლოს არც ჩვენი ყმაწვილების ნათქვამმა და არც თქვენი ყმაწვილების ნაწერმა. ამის გარეშე რომ დავდგეთ, ისე სამდურავი თეთრ გიორგის არც ეს აქვს. რაც ეს გაზ. ,,თ.გ." დაარსდა იშვიათი გახდა, შენ კარგად იცი, რომ იშვიათია ,,თეთრი გიორგის" ისეთი ნომერი, სადაც ერ.დემ. ლანძღვა არ ყოფილიყოს, ერთად თუ ცალ-ცალკე ყველა ჯგუფისა, მაგრამ მე ამას ყურადღებას არ ვაქცევ. ,,ახალ ივერიას" ახალგაზდობა არ გაუჩუმდა, უპასუხა ,,თ.გ."-ის თავდასხმას. მე გამოვკითხე იმ წერილის ავტორს, რომელსაც ,,თეთრი გიორგი" ეხებოდა. გამოირკვა, რომ სახეში ლეო კერესელიძე ჰყოლია და არა შენ. ამის გარეთად, ეს საპასუხო წერილი უმანკოა შედარებით იმ წერილებთან, რომელიც თურმე ,,თეთრი გიორგიში" იბეჭდება. არც ის უნდა დავივიწყოთ, თუ მაინცდამაინც ამის გარჩევაში შევალთ, რომ ეს პასუხი რეპლიკაა და რომ თავდასხმა თქვენიანების მხრიდან წამოვიდა.

მიხაკო წერეთლისა და ლეო კერესელიძის წერილი სპირიდონ კედიას

4.VII.1930.
Valentigney (Doubs), Rue Neuve. 6 (ehes *2 Yambe).

ძვირფასო ძმაო სპირიდონ!

როგორც იყო ჩამოვედი საფრანგეთში, ვალანტინეში, და ახლა აქა ვარ, ლეოსთან ერთად. ძალიან მიამა და მომიხდა აქ ჩამოსვლა. ჯერ ერთი გადავრჩი, დროებით მაინც, ტანჯვასა და ვაებას ბერლინში, ბავშვიც იქნება აქ შიმშილით არ მოკვდეს და მეორე კიდევ ის არის, რომ აქ ძლიერ კარგი ჰაერია, მოსვენებული ვარ დიდი ქალაქის ხრიალისგან და მოძრაობისგან და ეს ჩემი ნერვებისათვის კარგია. ძალიანა ვარ დასუსტებული, ჩემო სპირიდონ!

აქ მე ისეთი ორგანიზაცია ვნახე ,,თეთრი გიორგისა", რომელსაც მართალი გითხრა არ მოველოდი. მტკიცედ შეკავშირებული ახალგაზრდობა, რომელმაც არ იცის არც შური, არც მტრობა, არც ინტრიგა, არც ლოთობა და ქეიფი, ძლიერი პატრიოტული გრძნობითა და დისციპლინით. ეს, ძმაო, კარგი და იშვიათი მოვლენაა. პირველადა ვხედავ ასეთს რამეს ემიგრაციაში! ამას გარდა გაუმართავთ სასადილო, სადაც 200 კაცამდე სადილს სჭამს. ძალიან წმინდად და იაფად გაუმართავთ სტამბა, ყიდულობენ ახლა მაშინასაც, ასე რომ მთელი ტიპოგრაფია ექნებათ მალე და სერიოზულ გამომცემლობასაც შეუდგებიან. აქვს ბიბლიოთეკაც, მაგრამ, ვიმეორებ, თავი და თავი ის მშვიდობიანი ატმოსფეროა, სადაც არ არის მზაკვრობა და ამან გამაკვირვა და დამამშვიდა. გადავსწყვიტე, მეც ამათ გაზეთში ვითანამშრომლო. შემდეგი ნომერი ჩემი რედაქციის ქვეშ გავა თურმე და ვეცდები ქართულიც ქართულსა ჰგავდეს და შინაარსითაც რამეს წარმოადგენდეს გაზეთი. ჩემი რწმენაა, სჯობია პოზიტიურად წერაცა და მოქმედებაც და ასე ნელ-ნელა გავა, როდესაც დაწყნარდება ვნებათა ღელვა და უფრო მკაცრი კონტროლი ეყოლება ნათქვამ და დაბეჭდილ სიტყვას.

სპირიდონ, შენი ჭირიმე, უნდა მოგვაწოდო წერილი. რაც გინდა, რა თემაზედაც გინდა. ,,ვინც რა უნდა სთქვას", ჩვენი ქართული საქმე ვაკეთოთ, როგორც შეგვიძლია და რა პირობებშიც. გიორგი მაჩაბელიც თურმე ,,თეთრ-გიორგისთან"

ყოფილა და ეს კიდევ დიდი ძალაა, იცოდე, მორალურადაც და პოლიტიკურადაც, რომ ბოლოსდაბოლოს ამ პატარა უჯრედიდან შევქმნათ ერთი დიდი და საერთო ეროვნული ,,ფრონტი". გთხოვ მალე მომწერე პასუხი. ძალიანა გთხოვ. დიდი მოკითხვა ქ-ნ სონას და ბევრი კოცნა თეოს.

შენი მ. წერეთელი

P.S. სპირიდონ, ნუთუ არ გექნება ცოტა დრო, რომ ჩამოხვიდე აქ, რომ გნახო და ბევრ რამეზედ მოვილაპარაკოთ? ბევრ რამეს გიამბობ, სხვათაშორის იმასაც, თუ ვინ როგორ ირჯებოდა შ. ქარუმიძის[123] პროცესის დროს, განსაკუთრებით ეგ გურული მენშევიკები. რომ მოვდიოდი, იმის წინა დღეს მეც ჩამომართვა ჩვენება სასამართლომ და იცოცხლე ვუთხარი, რაც ეკადრებოდა მენშევიკებს და შალვა და შენც ღირსეულად დაგახასიათეთ. სპირიდონ, პირდაპირ ბედნიერი ვიქნები, რომ გნახავდე აქ. დანარჩენს ლეო მოგწერს.

ძვირფასო, ძმაო სპირიდონ,

გიგზავნი სალამს შენ და შენს მეუღლეს. იმ დღეს ვერ გამოგელაპარაკე, პანაშვიდზედ ამის ალაგი არ იყო. ამ წერილშიც აბა რა მოგწერო, რომ სათქმელი ათასი მაქვს. მოკლედ მოგწერ, სანამ პირადათ გინახულებ. ის რასაც დღეს წარმოადგენს თეთრი გიორგი ისევ სხვამ დააფასოს და შენ იხილე შენი თვალით. მე მხოლოდ ის მინდა გითხრა, რომ როგორც ყოველთვის გეუბნებოდი თეთრი გიორგის კარები შენთვის ღიაა. ეროვნულ-დემოკრატების ლიდერებში ადამიანათ მხოლოდ შენ მიგვაჩნიხარ, დანარჩენების ფასი შენ თვითონ იცი და მათი ვერაგობა, ინტრიგანობა და ღალატი შენს საკუთარ ზურგზედ გამოსცადე. შენ მათთან ვერ შეგიძლიან თანამშრომლობა, რადგან შემდეგში უარესს დღეს დაგმართავენ. შენისთანა მამულიშვილის ალაგი თ.გიორგიშია. ხომ იცი მე მიყვარს პირდაპირი ლაპარაკი და ამას პირდაპირ გეუბნები. თ.გიორგის დიდი მომავალი აქვს და საჭიროა ეს მოძრაობა გავაღრმაოთ და გავაძლიეროთ. ძალიან კარგს იზამ თუ აქ ჩამოხვალ საჩქაროთ ერთი-ორი დღით. გზის წასვლა-წამოსვლა 150 ფრანკი ღირს. Belfort-ში დაგიხვდებით ჩვენ და აქ ჩვენი სტუმარი იქნები. მთელ ჩვენ ორგანიზაციას დიდათ ესიამოვნება შენი ნახვა. თუ გზის ფული ვერ იშოვნე აქედან გამოგიგზავნით, მაგრამ უსათუოდ მოდი, რადგან ბევრი რამე გვაქვს საიდუმლოთ სათქმელი. რაც მალე ჩამოხვალ ისა სჯობია. აბა, იყავ კარგათ ჩემო სპირიდონ. აი ჩემი მისამართი: 20, rue Sous – Roches. Valentigney.(Doubs).

როცა წამოხვალ, ტელეგრამით მაცნობე შენი ჩამოსვლის საათი და დღე.

ლეო კერესელიძე

სპირიდონ კედიას წერილი ლეო კერესელიძეს

კლამარი, აპრილის 25-ს, 1930წ.

ბატონო ლეო,

სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირმა გადმომცა, როგორც თქვენი ნათქვამი:

_ რომ მე თქვენ გაგანდევით ჩერვონცების მოჭრის განზრახვა[124] და გთხოვეთ, როგორც გამოსადეგ კაცს ამ საქმეში მონაწილეობა მიგეღოთ.

_ რომ თქვენ ამ წინადადებაზე კატეგორიულის უარით მიპასუხეთ და თქვენის მხრივ შეეცადეთ დაგერწმუნებიეთ, რომ მეც ხელი ამეღო ამ განზრახვაზედ.

მაგრამ მე თურმე ჩემი არ მოვიშალე და საქმეს შევუდექი, რომ ამრიგად თქვენ ყველაფერი იცოდით, მაგრამ არაფერს ამბობდით, სანამ საქმეს სასამართლო არჩევდა. _ გთხოვთ მიპასუხოთ, ზემოდმოხსენებულს თქვენს ნათქვამად სცნობთ თუ არა, ან საზოგადოთ რა იცოდით და პირადათ რას ფიქრობდით, ამ საქმეში ჩემი ვითომდა მონაწილეობის შესახებ.

სპ. კედია

ლეო კერესელიძის წერილი სპირიდონ კედიას

4 აგვისტო 1930 წ.
20, rue Sous-Roches.
Valentigney
(Douls)

ძმაო სპირიდონ,

გიორგიმ[125] გადმომცა, რომ შენთვის ვიღაცას მოუტანია ენა, ვითომ მე მეთქვას, რომ შენ ერიე ყალბი ფულების საქმეში. სავსებით ტყუილია. პირიქით, მე მეუბნებოდნენ ამას შენი ყოფილი პოლიტ. ამხანაგები. გარდა მაგისა, მეუბნებოდნენ და მიმტკიცებდნენ, რომ შენ რუსის მონარქისტებთან გქონდა საქმე და მათგან იღებდი ფულს. ამას მეუბნებოდნენ უმთავრესად შ. ამირეჯიბი, რ. გაბაშვილი და სხვები. თვით ასათიანი, სწორეთ მაშინ, როდესაც ის ვითომდა შენთან ერთად იყო, მეუბნებოდა, რომ შენ ყალბ ფულის საქმეში ერიე. თუ გინდა სიმართლე, მე მხოლოდ მაშინ დავიჯერე ეს საქმე, რათგან არ წარმომედგინა, რომ შენი მოკავშირე მოგიგონებდა ამნაირ საქმეს. ის მიმტკიცებდა, რომ შენ ერიე ამ საქმეში და, რომ ეს ეროვნ. დემოკრატიულ პარტიას ავნებდა. თუმცა მე კარგათ ვიცოდი, რომ ასათიანი ორპირობდა და მატყუებდა, რომ მას შენი ღალატი ედო გულში, მაგრამ მაინც ვერ წარმოვიდგენდი, რომ უსაბუთოთ იტყოდა ამისთანა რაიმეს. შენ ალბათ გახსოვს, რომ ერთხელ მოგიტანეს ამბავი, ვითომ მე მეთქვას, რომ შენ რუსის მონარქისტებთან კავშირი გქონოდეს. ეს შ. ამირეჯიბის ინტრიგა იყო. მას სურდა მე და შენს შორის უსიამოვნება ჩამოეგდო, მაგრამ მე საჯაროთ და მოწმეების თანადასწრებით ვამხილე, რომ თვითონ მან მითხრა შენს შესახებ ეს და მე უპასუხე, რომ არა მჯეროდა. გთხოვ არავითარ მაგისთანას არ დაუჯერო ხოლმე. ალბათ კიდევ ბევრ ამბავს მოგიტანენ და გთხოვ არ დაიჯერო. ხომ იცი, რა ინტრიგანები არიან. მე რომ შენს შესახებ რ. გაბაშვილის და დ. ვაჩნაძისაგან[126] ლანძღვა-გინება და ბოროტების ბრალდება გამიგია, ასაწერადაც ძნელია, მაგრამ არც კი გამიმეორებია. მე გცნობ შენ პატიოსან ქართველად, კაცათ, რომელთან შესაძლებელია ლოიალური თანამშრომლობა და მეგობრობა და ამიტომ ცუდს არც ვიტყვი და არც სხვას დაუჯერებ. იყავი კარგათ. ჩემი ღრმა სალამი შენს მეუღლეს. ჩვენებმა ყველამ დიდი სალამი შემოგითვალეს.

შენი ლ. კერესელიძე.

ვასო დუმბაძის წერილი სპირიდონ კედიას

3 დეკემბერი 1928წ.

ძვირფასო ძმაო სპირიდონ,

ერთი ვერსია _ ვითომც მე მენახოს შენ მიერ გიორგი მაჩაბლისადმი მიწერილი წერილი, რომელშიაც მოხსენებული იყო ბ.ნ. ჟორდანიას, ბ.ნ. რამიშვილის და ჩემი მოკვლის განზრახვა, არის ნაყოფი ვისიმე ავადმყოფი ფანტაზიისა ან განძრახ შეთხზული, რომ განხეთქილება ჩამოაგდოს მეგობართა და სხვადასხვა წრეებთა შორის. მე არც ამნაირი წერილი მინახავს და არც ოდესმე გიორგი მაჩაბელთან ამაზე საუბარი მქონებია. შენ რომც მიგეწერა რაიმე ამნაირი საიდუმლოება (და რომ არ მიგიწერია ამაში მე დარწმუნებული ვარ) დამერწმუნე, გიორგი ისეთი ლაჩარი არ არის, რომ საიდუმლოება გასცეს და ამით წმიდათწმიდა პრინციპი რაინდისა დაარღვიოს, პრინციპი საიდუმლოების შენახვისა და ნამუსიანობისა. ვინც გიორგის იცნობს, ამაზე ბევრი ლაპარაკი არ უნდა.

თუ მე ეს ამბავი ამერიკიდან ჩამოვიტანე, რა საჭირო იყო შენი და ალექსანდრეს ქაქუცასთან მიგზავნა? მაშინ ხომ პირდაპირ შენ გთხოვდი დახმარებას.

მეორე ვერსია, გუშინ ი. ხოჭოლავამ გადმომცა _ კეთილის გულით და არა საინტრიგოთ _ ვითომც ქაქუცა უკმაყოფილოა მით, რომ მე ეს ამბავი ლონდონიდან ჩამოვიტანე და სხვა.

ლონდონი უფრო ახლოა, მაგრამ იქ არც ვყოფილვარ და მაშასადამე არაფერი ჩამომიტანია.

მაშ არის ვიღაცა _ იდუმალი პირი, რომელსაც ვინმედგან დავალებული აქვს წყალის ამღვრევა და აქ ჩვენი ახლანდელის დროის სულმოკლეობის და სიჩქარის მაგიერ _ სულგრძელობა, სიდინჯე და სიბრძნე უნდა გამოვიჩინოთ, რომ ნამდვილმა მტერმა არ გეიხაროს.

შენი ძმა და მეგობარი
ვასო დუმბაძე.

ნოე ჟორდანიას წერილი სპირიდონ კედიას

23.12.38.
1 rue Solxeriso
Vanves (b.)

ბატონო სპირიდონ, ამასთანავე გაახლებთ დაპირებისამებრ წერილობით ჩემს მოსაზრებას ემიგრაციის გაერთიანების შესახებ. იმედია, მას წაიკითხავთ და გაარჩევთ შემათანხმებელ კომისიაში.

ამავე მიმართვას გადავსცემ ჩვენს ცენტრს, ნაც. მთავრობას და ადგილობრივი სოც. დემ. ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოს. მე იმედი მაქვს, თქვენ მიიღებთ და სხვებსაც მიაღებიებთ ამ პლატფორმის დედააზრებს და ორგანიზაციულ ფორმებს. თქვენთან შეხვედრიდან მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ჩვენს შორის აზრთა დიდი განსხვავება არ უნდა იყოს.

ღრმა პატივისცემით
ნ. ჟორდანია.

ელისე პატარიძის წერილი სპირიდონ კედიას

Valentigney (Doues)
rue du clouss 2
Pataridze

სალამი ბ-ნო სპირიდონ!

თქვენი პასუხი იგვიანებს. მე მაინც ვალდებულადა ვრაცხ თავს მოგწეროთ. წინად მოთხრობილ ცნობებთან ერთად გთხოვთ მაცნობოთ: გასწყდა თუ არა კავშირი ს.დ._თან. მომაწოდეთ ცნობები ამას წინად მომხდარ II ინტერნაც. კონგრესის შესახებ. მისი დადგენილებანი, რომელსაც ხელი მოაწერეს ჩვენი ს.დ. დელეგატებმა, და რომელიც ხელს შეუშლის მათ მუშაობას ერის განთავისუფლების საქმეში. საერთოდ მათი მაღვალაკობანი. აქაური კოლონია ისე შეტორტმანდა, რომ აუცილებლად მიმაჩნია ჩვენი პოზიციის გასამაგრებლად გამოვიდე მოხსენებით: ორი მეთოდი ჩვენს ეროვნულ ბრძოლაში _ ინტერნაციონალური და ნაციონალური. ერთი საათი შესწირეთ ამას და მომავალ კვირამდე ყოველგვარი ცნობები ამის შესახებ მომაწოდეთ. ამას მოვითხოვ კატეგორიულად. არსენიძის[127] მოხსენება ისეთი მაღვალაკური იყო, რომ აუცილებელია მათი ორჭოფობის აქ გამომზეურება.

ჭიაბრიშვილს გულდასმით ვესაუბრე: მიპასუხა, რომ ის უპარტიო ბრძანდება და პარტიულ ორგანიზაციაში ვერ შემოვა. ვფიქრობთ შევქმნათ ერთი პატრიოტული ორგანიზაცია და პარტიულნი, გიორგიელნი, შეფიცულნი, უპარტიოები გავაერთიანოთ. მგონი შევსძლებთ.

მომავალ უიკენდზედ აზრადა მაქვს ცოტა რამ მოვაგროვო ზაალიშვილისათვის. თქვენც, თუ რამე გაქვთ ხელთ, გამომიგზავნეთ და მივაწვდი. სირცხვილია, ჩვენს მოვალეობას რომ თავი დავანებოთ. თანაც ვაჩნაძის მისამართიც მომაწოდეთ. დავით მხეიძის[128] ავადმყოფობის შესახებ მომწერეთ რაიმე.

გაზეთისათვის: გიგზავნით გაზეთის სათაურს, თუ ისურვებთ ამით შესცვალოთ. ის რაღაც ნაჩქარევია და ცუდი.

,,ენკენისთვის 6. დილის 10 $^{1}/_{2}$-საათ. ოდენკურის კათოლიკეთა მთავარ ეკლესიაში ქართველთა კოლონიამ გადაიხადა შარშან აჯანყების დროს დახოცილ-დახვრეტილ მამულიშვილთა სულის მოსახსენებლად წირვა-პანაშვიდი. დაესწრო მთელი ქართველობა 80 კაცამდე. დიდძალი ფრანგები. ეკლესია ვერ იტევდა დამსწრეს. პანაშვიდის შემდეგ ფრიად შინაარსიანი სიტყვით მიმართა დამსწრეთ მწირველმა-მოძღვარმა. გააცნო მათ საქართველოს წარსული და აწმყო და მოუწოდა ქართველი ერისადმი მხურვალე თანაგრძნობისაკენ. ჩვენთაგანს სიტყვა არავის

წარმოუთქვამს. ამას მე ვხელმძღვანელობდი და არც მე ვისარგებლე და არც არვის მივეცი საშუალება სიტყვის თავისუფალი სარგებლობისა. კმარა, ყოველ გზა-ჯვარადინზე სიტყვებს უნდა გადავეჩვიოთ. კავშირი დავიკავე მონტშელიარის რესპუბლიკანელ-დემოკრატების ერთ გაზეთთან. წინა კვირაში ერთმა მისმა აქ ცნობილმა და სერიოზულმა თანამშრომელმა რიგიანი წერილი უძღვნა ჩვენს საკითხს. ამ პანაშვიდისათვის კიდევ ბ-ნ დიმიტრის გავაგზავნინე წერილი. გიგზავნით ორთავე ამონაჭერს, პირველი მაინც, ვფიქრობ, გამოიყენება გაზეთისთვის.

ვეცდები კიდევ მივაწოდო ცნობები იმ ჟურნალისტს და კიდევ დავაწერინო.

ველი კვირისათვის ორივე ბარათის პასუხს.

ღრმა პატივისცემით ელ. პატარიძე
ენკენისთვე 6.

სევერიან ჭირაქაძის წერილი სპირიდონ კედიას

10/II_29წ.

სალამი ბ-ნო სპირიდონ!

მაპატიეთ კადნიერება, რომ წერილს გწერთ და ისიც დაგვიანებით. ეხლა ბ. ალექსანდრეს[129] წერილი მივიღე და მისგან გავიგე თქვენი მისამართიც. აქ მყოფი ქართველები ცუდ მდგომარეობაში ვართ და არ გვაქვს არც დრო და არც მოცალება მოვალეობის ყველა წესები შევასრულოთ. რაც შეეხება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას, მე, ბ. ალექსანდრეს გამოუგზავნე ზოგადი ცნობები და თქვენც ალბათ გაცნობილი იქნებით. კონკრეტულ ფაქტებს და იმ ცნობებს, რომელიც თქვენთვის საინტერესონი იქნებიან, ან პარტიის შესახებ ცნობები უფრო დაწვრილებით მაშინ, როცა პირადათ გინახულებთ.

ამ წერილის დაწერას კიდევ უფრო ვბედავ იმიტომ, რომ ეროვ.-დემოკრატიული პარტიის მეთაური და ხელმძღვანელი თქვენ ბრძანდებით, მე კი მისი მორიგი წევრი გახლავართ, ამიტომ საჭიროთ მიმაჩნია აქაც მასზე ჩამოგიგდოთ საუბარი. ჩვენ ქართველმა ახალგაზრდა ნაციონალისტებმა, რომელთაც საქართველოს სიყვარულით გვქონდა გული გამთბარი თქვენის მოწოდებით (გაიხსენეთ ქ. ქუთაისის ქართული გიმნაზია, სადაც ჩვენ პირველად მოვისმინეთ თქვენი მოხსენება) ჩვენ დავდექით ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის დროშის ქვეშ. ეს იყო რევოლუციამდის. მაშინ ჩვენ ცოტანი ვიყავით. იმის შემდეგ ჩვენ 7 ახალგაზრდამ ერთმანეთს შევფიცეთ მთელი ჩვენი ახალგაზრდული აღფრთოვანება და შემდგომი ჩვენი სიცოცხლე შეგვეწირა საქართველოს განთავისუფლებისასთვის. ესენი იყვნენ: 1. კონსტანტინე დევდარიანი (სვანი), 2. გრიგოლ ჩიქოვანი (ლეჩხუმელი), 3. კალე მისაბიშვილი (ყველაზე საიმედო, სერიოზული ახალგაზრდა), 4. ნიკო დგებუაძე, 5. ლეო დგებუაძე, 6. სიმონ (ხუხუ) ხოფერია და 7. მე. ელისე პატარიძე შემდეგ მოვიდა ჩვენთან. ჩვენ, ჩვენი შეძლებისამებრ შევასრულეთ ჩვენი აღთქმა. გრ. ჩიქოვანი აჯიკაბულში დაიღუპა (1917წ.) ბოლშევიკებთან ბრძოლაში. კ. დევდარიანი ომის დროს დაავადმყოფდა და სვანეთში გარდაიცვალა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა

დღეს. კ. მისაბიშვილმა ვეღარ აიტანა საქართველოსათვის ბრძოლის სიმძიმე და ბოლშევიკებს დანებდა. ყველაზე უფრო დიდს იმედებს ჩვენ მასზე ვამყარებდით და ჩვენდა სავალალოდ იგი შეიქნა საქართველოს მოღალატე და გამცემი. ლ. დგებუაძე დიდის ქართველურის გამბედაობით და მამულისშვილური შთაგონებით დაეცა მტრისგან. დახვრეტილი იქნა 1924 წ. ბოლშევიკების მიერ. მასთან ერთად დახვრიტეს მრავალი ახალგაზრდა ეროვ.-დემოკრატები (შალვა აბაშიძე, მიტო გოგნიაშვილი, მიხეილ ხოფერია (ხუხუს ძმა), კაკო დგებუაძე (ლეოს ძმა), ვანო სინჯიკაშვილი, ბატონიკა ბარათაშვილი, შუქურ შურღაია, გრიგორი მაკარიძე და ბევრი სხვა). ნ. დგებუაძე გადასახლებაში იყო. იქიდან დაბრუნდა. მოიღალა, სულმოკლეობამ დასძლია და აღთქმის თანახმად აღარ ისურვა კვლავ ასულიყო ეროვნულ გოლგოთაზე და საქართველოსთვის წამებულიყო. ეროვნული ტრაგედიის სიმძიმისაგან მუხლები მოეკვეთა და ძირს დაეცა. ეხლა ჩვენგან გამდგარი მყუდრო (,,ჩინოვნიკურ") ცხოვრებას ეწევა. ს. ხოფერია გადასახლებაშია და იქ გმირულად იტანს ყოველგვარ ტანჯვას _ დაჯერებული საქართველოს გამარჯვებაში. ის ჩვენთან არის. თქვენი უმორჩილესი მონა ყოველთვის მზად არის აღთქმის შესასრულებლად.

აი, ეხლა როცა ამ წერილს გწერთ, ჩემი მაგიდის წინ კედელზე, ჩემს პირდაპირ სამი დიდი ქართველის სურათი ჰკიდია: ილია ჭავჭავაძისა, ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ჯავახიშვილისა. ჩვენი, ახლაგაზრდა ნაციონალისტების ეროვნული შემეცნების სათავეები იწყება მათგან. ეს სამი ქართველია ჩვენი შთამაგონებელი მაგისტრალები ეროვნული იდეისა და საქმიანობისა. მათს შექმნილს ეროვნულს მწვერვალებზე ჩვენ თქვენ გვეგულვებით. ჩვენ კვლავ ველით თქვენს ბრძანებას. საქართველოში დარჩენილი ახალგაზრდა პატრიოტები თქვენი მედროშენი არიან. ასწიეთ ეროვნული დროშა მაღლა. სულგრძელობით ვიტანდით თქვენს ერთხნის სიჩუმეს, მაგრამ ყოველგვრ საზღვარს გადასცდა ჩვენი აღფრთოვენება, როცა თქვენ აქ, უცხოეთში გადადგით მნიშვნელოვანი ნაბიჯი აჯანყების დამარცხების შემდეგ. მე ვგულისხმობ თქვენს ახალს პოლიტიკურს ნაბიჯს, რომელიც გამოიხატა მენშევიკებისაგან დამოუკიდებელ ეროვნულ პოლიტიკის წარმოებაში. მართალია, მენშევიკებს იდეურათ ყოველთვის ვებრძოდით, მაგრამ საქმის დროს ჩვენ ყოველთვის მასთან ვიყავით. ამ რიგათ ჩვენც მოზიარენი ვხდებოდით ჩვენი სურვილის წინააღმდეგ მათი საქართველოს დამღუპველი პოლიტიკისა. საერთო ეროვნული ფრონტის მუშაობა ყოველთვის საზიანო იქნება საქართველოს განთავისუფლების საქმისათვის, თუ კი ამ ეროვნული ფრონტის ჰეგემონი და ხელმძღვანელნი მენშევიკები იქნებიან. დღევანდელი საქართველოს მძიმე მდგომარეობით და მწარე სინამდვილითაა ნაკარნახები დამოუკიდებელი ეროვნული პოლიტიკის წარმოება. მე არასდროს არ მწამდა იმ ხალხის და უპირველეს ყოვლისა ბ.ნ. ჟორდანიასი, რომ ისინი დაიხსნიდენ საქართველოს, ვინაიდან საქართველოს დამღუპველნი და მესაფლავენი არიან თვით ისინი, თავიანთი ანტიეროვნული და ანტისახელწიფოებრივი იდეოლოგიით და პრაქტიკით. თქვენს პირველს გონიერს ნაბიჯს უნდა მოჰყვეს მეორე გაბედული ნაბიჯი. საქართველოში და უცხოეთში მყოფ ქართველებში არის საღი ნაციონალისტური განწყობილება. ამ განწყობილებას სჭირია ორგანიზაცია და ეროვნული დროშის ქვეშ დაყენება. მენშევიკები ჯერ კიდევ სარგებლობენ ჩვენი ორგანიზაციული სისუსტით და სპეკულაციას უშვებიან საქართველოს დამოუკიდებლობის ლოზუნგებით ამ ეროვნულ განწყობილებას. ჩვენ ამის საშუალება უნდა მოუსპოთ მათ. თქვენს გამოსვლას აღფრთოვანებით შეხვდა ჩვენ პარტიულ მასასთან ერთად ყველა ეროვნული წრეები და უპარტიონი. ჩვენ ახალგაზრდა ნაციონალისტები და ყველა ისინი სავსებით იზიარებენ პარტიის მიერ

უცხოეთში გამოშვებულ დეკლარაციას (ჩვენ ის გავიცანით კომუნისტური პრესით, კახიანის[130] მოხსენებით). ის პოლიტიკური მოღვაწენი და სამხედრო წრეები, რომელიც თავს იყრიან თქვენს გარშემო, სრული თავდებია იმისი, რომ შესაძლებელია შეიქნეს ძლიერი ეროვნული შტაბი, რომელიც უხელმძღვანელებს საქართველოს განმათავისუფლებელ მუშაობას. პოლიტიკურ უილაჯობათ შეიძლება ჩაითვალოს გვაზავა-ამირეჯიბის ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ფორმით მენშევიკებთან და მათ ,,ეროვნულ ფრონტთან" ყოფნა. მათ არა აქვთ ამის არც პოლიტიკური და არც მორალური უფლებანი. ისინი არასდროს არ ყოფილან მარტონი ჩვენი პარტიის ხელმძღვანელნი. აქ არ ვიცი და საქართველოში მათ არავინ იზიარებს. მათ უზურპატორებათ სთვლიან. რაც შეეხება ,,თეთრგიორგელებს" ისინი მეტად უბადრუკნი არიან პოლიტიკურად. ილიას და აკაკის ლექსების ამოწერით ისინი საქართველოს ვერ გაანთავისუფლებენ. მართალია თავის დროზე ილიას და აკაკის ლექსები მეტად მკვეთრი იარაღი იყო მტრის წინააღმდეგ, მაგრამ მტრის გულს საბოლოოდ განგმირავს არა მარტო ლექსების ამოწერა, არამედ პოლიტიკური გონიერება და ორგანიზაციული ძლიერება. ,,თეთრგიორგელებს" ერთიც აკლიათ და მეორეც. მათი სუსტი ხმა საქართველომდის ჯერ ვერ აღწევს. ამრიგათ, საქართველოში მყოფ ჩვენს თანამოაზრეებს თქვენი ბ. სპირიდონ და ბ. ალექსანდრესი დიდი იმედი აქვთ. ისინი თქვენგან ელიან ხელმძღვანელობას და ბრძანებას.

ბ. სპირიდონ! მე საქართველოდან დავალებული მაქვს იქაური ახალგაზრდა ნაციონალისტებიდან თქვენი და ბ. ალექსანდრეს სახით მივესალმო ჩვენი პარტიის მთავარ კომიტეტს და უსურვო მას ენერგიული და ნაყოფიერი ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებისათვის. ისინი ყოველთვის მზად იქნებიან პირნათლად მოიხადონ პარტიისა და სამშობლოს წინაშე თავიანთი მოვალეობანი. მათ თხოვნას ნურც თქვენ დაივიწყებთ.

აგრეთვე, ბ. სპირიდონ, აქ მყოფმა ქართველებმა, რომელნიც ჩვენი პარტიის წევრები და თამოაზრენი არიან, დამავალეს, თქვენ და ბ. ალექსანდრეს და მთლიანად მთელს კომიტეტს გადმოგცეთ მათგან მხურვალე სალამი. ისინიც მზათ არიან აქაც, უცხოეთშიაც არ დაივიწყონ სამშობლოს წინაშე თავიანთი სამღვთო მოვალეობანი.

კიდევ ბევრს რასმეზე მინდოდა თქვენთვის მომეწერა ბ. სპირიდონ, მაგრამ წერილი ისედაც გამიგრძელდა და ეს სხვა დროისათვის გადავდევი. მაქვს იმედი ამ მოკლე ხანში თქვენი ნახვისა და მაშინ გეტყვით, მაშინ მოგიყვებით თუ რა მოხდა საქართველოში თქვენი წამოსვლის შემდეგ. მანამდის კი _

საქართველოს მხურვალე სალამით
თქვენი მარად პატივცემული
სევერიანე ჭირაქაძე
ს. ფერიერი

P.S. ბ. სპირიდონ! ძლიერ ბოდიშს ვიხდი ქ-ნ სონიას წინაშე, მაგრამ რა ვქნა, ზევით ღმერთია და ძირს მიწა იმის მოწამე, რომ მე ყოველგვარი ზომები მივიღე მაგიც წამოსულიყო იმ გზით, საიდანაც მე ახლა წამოვედი (ძლიერ საიმედო გზა იყო), მაგრამ ეს მაშინ არ მოხერხდა. ძლიერ ნაწყენი იქნება ჩემზე და დიდათ უკმაყოფილო, მაგრამ მე მაინც მოხარული ვარ, რომ მაშინ ჩაიშალა მაგის მგზავრობა. რაც მე გასაჭირი ეხლა ვნახე მგზავრობის დროს, იმას ჩემს მტერსაც არ ვუსურვებ. იქნებ

გაიხსენოთ დავით გურამიშვილის ტყვეობაში ყოფნა. ჩეკის სარდაფებში არ განმიცდია იმდენი ტანჯვა, რაც მე გამოვიარე ამ მგზავრობის დროს. მე საქართველოშივე ვიცოდი მაგის მოსკოვის გზით საფრანგეთში გამომგზავრება. მე ვულოცავ მას მშვიდობიან მგზავრობას და დარწმუნებული ბრძანდებოდეს ჩემს მისდამი ღრმა პატივისცემაში. გადაეცით ჩემგან სალამი და უსურვეთ აქ ბედნიერი ცხოვრება.

ს.ჭ.

სპირიდონ კედიას წერილი სევერიან ჭირაქაძეს

პარიზი, 10-6-29

ჩემო სევერიანე,

ჩემი მხურვალე სალამი და ზღვა ძვირფასი მოგონება. დიდი ხანია რაც შენი წერილი მომივიდა. სიამოვნება მომცა უსაზღვრო _ საქართველოს სურნელება შემომაფრქვია და ჩემი პოლიტიკური მოქმედების განთიადში გადამიყვანა, როდესაც ადამიანისადმი უნაკლო ნდობით ვიყავ აღსავსე და ახალგაზრდობასთან საუბარი განსასკუთრებით ნეტარებას მანიჭებდა.

მეგონა, რომ ადამიანის აღძვრას მარტო იდეა განაგებდა და ამიტომ ძნელი საქმე ადვილად მეჩვენებოდა და შორეული მიზანი _ მოახლოებულად. ყველა სხვა გულისთქმა ამ იდეის მსახურად და მის მორჩილად წარმომედგინა. რა დაუღალავად მუშაობს ადამიანის ენერგია ამ სულიერი განწყობილების გარემოში! რა ბედნიერი ხარ მაშინ და რა იმედიანი!

სამშობლოს სიყვარულით ვიყავ გახურებული და მისი იდეა მაფრთოვანებდა და სრულებითაც არ მიკვირს თუ მაშინ ეს ჩემი სულიერი განწყობილება უფრო გადიდებულის ძლიერებით გადაეცა ახალგაზრდობის უანგარო ბუნებას და ბევრი ერთგულ მამულიშვილებად გადააქცია. ამ მხრივ ჩემთვის გასახარიც არის და სამწუხაროც იმ შვიდი ახალგაზრდის ერთმანეთთან შეფიცვის ამბავი, რომელიც შენმა წერილმა მომიტანა. ამ ფიცს ხუთი მათგანი უკვე შესწირვია, სამშობლოს მტლად დასდებიან. ორიღა გადარჩენილხართ ცოცხალი და ეხლა ამ ფიცს, რომელიც მაშინ ჩემი მოხსენების დასკვნად დაგიდვიათ, ეხლა კვლავ მიმეორებთ. ღმერთმა პირნათლად შეგასრულებიოთ და სამშობლოს ღირსეულად გამსახუროთ. ეხლა, ჩემო სევერიანე, პოლიტიკური მოქმედების შუახანში ვარ. მამულის რწმენა და სიყვარული ჰყვავის იმავე სისპეტაკით და სიმტკიცით კვლავ ჩემს გულის კოშკში, მაშინ სხვას რას დამავალებდა მას შემდეგ გამოვლილი ეროვნული ბრძოლების ეპოპეა და სამშობლოს საკურთხეველზე მიტანილი ის ამდენი წმინდა სხვერპლი!

თუ რამე შემიძლიან, ყველაფერი სამშობლოს დიდებისთვის მინდა და მისთვის შემიწირია. მისი სამსახური ჩემი სიცოცხლის დანიშნულებაა.

ახალგაზრდობა მიყვარს ძველებურის გატაცებით და სიყვარულით, ან სხვანაირად როგორ შეიძლება _ იგი ხომ ხვალინდელი საქართველოა.

მისი აღზრდა და მასთან მუშაობა, მუდამ სასიამოვნო, ყოველთვის სავალდებულოა. ამ მხრივ, ძველი ვარ, სულ ძველი, ის რაც ვიყავ იმ ხანებში, რომელსაც შენ ეხები, ან კიდევ უფრო ადრე.

მას აქეთ მომემატა გამოცდილება, მისი მწარე შედეგებით. დავინახე, რომ იდეა და უანგარობა ადამიანებს საერთოდ არ ამოძრავებს, არამედ რომ უფრო მიწიერი გულისთქმა ყოფილა მისი ბატონი და აღმძვრელი. იდეა, თუნდაც მაღალი, მას იმიტომ სჭირდება, რომ იგი თავის გულისთქმას მსხვერპლად აღმოუჩინოს. წმიდა მსხვერპლები, ზემოთ რომ მოვიხსენიე, სულ სხვა რიგისაა და თავისუფლად, ცალკედ უნდა დაფასდეს. ეს მაგალითი ხელს არ უშლის იმ სინამდვილის არსებობას, რომ ინტერესი და ანგარება საზოგადოთ იდეაზე მძლავრობს. ეს სინამდვილე ემიგრანტობამ მაინც მთელის თვის საშინელებით სულ გარეთ გამოავლინა და ,,ამდენ ხალხში კაცს ვერ ჰხედავ, სხვისი თქმისა არ იყოს, რომ ფიქრი ანდა გრძნობა შენი განუზიარო".

ეს გამომზეურებული საშინელება არსებაში მეტისმეტ უამურად უვლის ადამიანს. ნდობა ღრმა ჭრილობებით გესერება. მოქმედების ნებისყოფა თავს უხერხულად გრძნობს. ყველა ამის დასკვნად ძნელი საქმე კიდევ უფრო ძნელად გეჩვენება და შორეული გზანი შორეულათვე გრჩება.

ამ მიმართულებით ბევრი უსიამოვნება განვიცადე და მრავალი გულაცრუება გამოვიარე, მაგრამ არც ამას უშავს რა. ეს ტეხვის ტკივილები ეხლა უკვე გამოსყიდულია ერთი დიდი შენაძენით _ ამ სინამდვილის პოვნით. ჩემი ნაკლია, რომ ამას დიდი ხანი მოვანდომე და ზედ გული გადავალიე. გამარჯვებისთვის საჭიროა იმ სინამდვილის უნაკლო ცოდნა, სადაც შენი მოქმედება იშლება და უწინარეს ყოვლისა იმ სინამდვილის, რომელსაც ადამიანი ჰქვიან, მაგრამ ამ მხრივ რომ ყველამ დიდი სკოლა გამოიარა. ამიტომაც ამის შემდეგ, მოქმედება უფრო სწორი უნდა გვექნეს.

მუშაობის განახლების წინ დიდ საჭიროებას გრძნობ, რომ იცოდე, თუ რას ფიქრობს და რას განიცდის დღევანდელი ეროვნული საქართველო და ამ საქართველოში კიდევ როგორია ჩვენი ხალხის ადგილი და წონა. ამის ცოდნას გავლენა ექნება ჩვენი მოქმედების ხასიათზე. სწორედ ამიტომ ძალიან ველი შენს ჩამოსვლას. უკანასკნელად ხარ ჩამოსული და იქ ბევრი საშუალება გქონდა საკუთარი დაკვირვება მოგეხდინა.

სონამ - მოკითხვა და დიდი მადლობა ასეთი მხურვალე მოსალმებისთვის. მისი და ბავშვის ჩამოსვლა ჩემთვის იშვიათი ბედნიერებაა, მაგრამ მტანჯავს, რომ ცოლ-შვილი მძიმე გაჭირვებაში ჩამიცვივდა და ჯერ-ჯერობით გამოსავალი არა სჩანს.

იყავი კარგად და მხნედ,

მარად თქვენი სპ. კედია.

სპირიდონ კედიას წერილები ვიქტორ ნოზაძეს

კლამარი, მარიამობისთვის 20-ს, 1930 წ.

ბატონო ვიქტორ,

ახალგაზრდათა ერთ ჯგუფს განზრახული აქვს გამოსცეს ,,ახალი ივერიის" შემდეგი ნომერი და სტამბის მხრივ დახმარებას მთხოვს. მე დიდი სურვილი მაქვს ამ ჯგუფს ხელი მოუმართო, მაგრამ სტამბა გამართული არ მაქვს და არც იმის საშუალება, რომ დარჩენილ შრიფტს მივასყიდო, რაც საჭიროა საასოთამწყობო მუშაობისთვის.

რამდენადაც ვიცი, ამ მხრივ თქვენ საკმაოდ მოწყობილი უნდა იყოთ და რომ გთხოვოთ _ ამ ყმაწვილებს მასპინძლობა გაუწიეთ-მეთქი, _ შემეძლება იმედი ვიქინიო, რომ უარს არ მეტყვით! მათში ერთი გამოცდილი ასოთამწყობია (ბ-ნი ავალიშვილის და ასათიანის წიგნები მისი აწყობილია) და ის იმუშავებს.

თუ მოხდა ისე, რომ თქვენი შრიფტი ერთსა და იმავე დროს თქვენსა და მათ საჭიროებას არ აუვიდა, ჩემით ისარგებლებთ. სხვა არაფრით არ შეგაწუხებენ. ესეც ამ პირველ თვეებში. შემდეგში, ალბათ მე თვითონ მოვეწყობი და ამ ყმაწვილებსაც შევიფარებ.

დიდათ დამავალებთ, თუ ამ თხოვნას შემისრულებთ.

თქვენი ჩქარი პასუხის მოლოდინში

გთხოვთ მიიღოთ ჩემი პატივისცემა

სპ. კედია

კლამარი 15.05.34

პატივცემულო ბატონო ვიქტორ,

დიდ მადლობას გიძღვნით თქვენი წერილისა და მასთან თანხლებული «შეთანხმების პროექტისათვის». პასუხად აი რა მინდა მოგახსენოთ.

გასული კვირის მოხსენებაზე მომხდარი აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და იმ საერთო აპრობაციის შემდეგ, რომელიც მიიღო იქ წამოყენებულმა ეროვნულ ძალთა გაერთიანების წინადადებამ, ჩვენთან უაღრესად სავალდებულოა, რომ თვით ამ გაერთიანების ტექნიკა, რაც შეიძლება მეტის ამომწურავი სიფრთხილითა და სინანულით იქმნეს მოსაზრებული და ჩატარებული. ეს ხომ კარგად ვიცით, მომენტი მეტისმეტად საპასუხისმგებლოა. ბევრი საკითხია წინასწარ გასარკვევი. საქმე საქმეზე რომ მიდგება, უეჭველად თავს წამოყოფს მრავალი, კერძო თუ ჯგუფური ხასიათის თავმოყვარეობა, მოთხოვნილება და ამბიცია, ზოგი _ კანონიერი, ზოგიც _ უსაფუძვლო. ყველა ამას კეთილის გონებით უნდა მოვლა და შეზავება. საჭიროა წინასწარ ყველა ამ საკითხის ამოწურვა ახდილი აღსარებისა და მოთათბირების გზით, თუ არ გვინდა რომ თვით იდეა გაერთიანებისა რაიმე მოულოდნელ წყალქვეშა კონცხზე არ დაიმსხვრეს. ნურასოდეს ნუ დავივიწყებთ, რომ საკუთარი ძლიერების ექსპანსიათა და მის ძალისძალა თავზე მოხვევით არც ერთ დაჯგუფებას მეორის იძულებითი დამორჩილება არ შეუძლიან _ ამის საიდუმლოება თვით ემიგრანტულ ყოფაში ძევს, ხოლო ჩვენ კი _ უნდა ყველას თავი ერთად მოვუყაროთ და რადგან ეს ასეა, ამიტომ ყველა დელიკატური საკითხი ერთად პირისპირ მოლაპარაკებაში უნდა გამოირკვეს.

ჩამოგითვლი ზოგიერთ მათგანს:

1) ასათიანის ჯგუფის მიღება შეუძლებელია ისე, თუ ის ოფიციალურად არ დასტოვებს საერთო ფრონტს. ეს ერთი წინასწარ გამოსარკვევი გარემოება.

2) ორგანიზაციის შენობის ტიპი და ორგანიზაციების პერსონალური შემადგენლობა, მათი სტატიები. ეს მეორე გამოსარკვევი გარემოება, ულტრა არსებითი.

3) თვით ამ ახალი ფორმაციის სახელწოდება და დღეს ორგანიზაციათა გარეშე მყოფ, მაგრამ ჩვენი საერთო გაზეთისათვის საჭირო კერძო პირთა

შემოსხეულება. ესეც მესამე წინასწარ გამოსარკვევი გარემოება და სხვადასხვა და სულ ბოლო საკითხი, როგორც დასკვნა ყველა ზემოჩამოთვლილთა, ეს იქნება თვით **დეკლარაციის** საკითხი, რომელიც უნდა შეიმუშაოს ყველა მონდობილობით შექმნილმა კვალიფიციურმა ორგანომ. მათი ეს მუშაობა, რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩატარდეს, ოღონდ ყველა საკითხი, რომელიც კი ძირითადი ღირებულების ხასიათს ატარებს, უნდა გარკვეულ იქმნეს ზედმიწევნით სიცხადით, რომ ბუნდოვანი არაფერი იყოს, _ ეს არის აუცილებელი და ჩვენც აქედან უნდა დავიწყოთ.

და თუ ამ დიდი ეროვნული საქმის მომგვარებელ მუშაობაში ჩვენ შევიტანთ, კერძო-კერძო, თუ ჯგუფ-ჯგუფად იმ ფსიქოლოგიას, რომელიც თქვენს პროექტს უდევს საფუძვლად, მაშინ უეჭველია მოვალეობაც ღირსეულად გვექნება მოხდილი და ეს დიდი ახალი დაწყობილობაც გამარჯვებით დაგვირგვინდება.

ეცადეთ, თქვენი პროექტის სული და ტემპერამენტი თქვენს ორგანიზაციას მიაღებინოთ და შეათავსოთ, თუ ეს უკვე შეთვისებული არ არის.

ჩვენი ორგანიზაცია ამისთვის მომზადებულია, მივიღოთ ზომები, რომ სხვებიც ამ განწყობილებით შევაბათ მუშაობას და მიზანი მიღწეულ იქნება.

ისე კი, არსებითად ყოველი აზრი ცალკეთ და მთელი პროექტები ერთად ჩემთვის არამც თუ მისაღებია, არამედ უკვე მიღებულია. ამას ვამბობ კერძო წესით.

ეს თქვენი პროექტიც ისე, როგორც სხვა პროექტებიც (ალბათ თითო-თითო ყველას აქვს) უეჭველია ან მიღებული, ან გამოყენებული იქნება საერთო დეკლარაციის დამუშავების დროს.

ჩვენ, ჩემი აზრით, ამ გზას უნდა დავადგეთ და დროის დაუკარგავად საქმეს შევუდგეთ.

ხვალინდელი და შემდეგი დღე სამწუხაროთ უკვე დაკავებული მაქვს, ამიტომ პარასკევს დილით ტელეფონით დაგირეკავთ, რომ ჩვენც ერთმანეთს შევხვდეთ.

მარად თქვენი პატივისმცემელი სპ. კედია

თქვენს პროექტს გიბრუნებთ დიდის დიდის მადლობით.

ვიქტორ ნოზაძის წერილი სპირიდონ კედიას

2.1.48.
D2. V. Nozadze
136 Buhpolding Oberbauern
7 eller str. 28 1/14

ღრმად პატივცემულო
ბატონო სპირიდონ,

გაგიკვირდებათ ჩემი წერილის მიღება, საერთოდ ეს პირველი წერილი არის, მგონია, მაგრამ ერთმა ,,ხმამ", ჭორმა თუ სინამდვილემ მაიძულა აქედან მანდ მისი მოწერა. ,,აქ"_ ეს მხარე სხვაგან, ,,მანდ" წაწყმედილ ქვეყნად ითვლება და აქ დარჩენილნი კეთროვანად. ამიტომ მანდედან იშვიათად მოდის წერილი, განსაკუთრებით ქართული მდგომარეობის შესახებ, _ და ისიც ნაკლებად სანდო.

ერთ-ერთი წერილი, რომელიც საშობაოდ აქ მიიღეს, გადმოგვცემს ქართველობის აშლილობის თუ დაშლილობის შესახებ და ,,გადაღმა" ორიენტაციის მომხრეთა შორის, მოხუც ნოესთან[131] და ევგენისთან[132] ერთად თქვენც გასახელებენ.

ამ საწუთროში, რასაკვირველია, მოულოდნელი არაფერია, მაგრამ თქვენმა დასახელებამ ამ სიაში გამაცვიფრა და არ დავიჯერე.

ამიტომ ვარჩიე პირადათ თქვენთვის მომემართა და თქვენგანვე გამეგო სინამდვილე. იმედი მაქვს არ დაიზარებთ და პასუხს მომწერთ.

გთხოვთ გადასცეთ სალამი და საახალწლო სურვილები (საუკეთესო! ცხადია) ქ-ბნ სოფიოს და პატარა ქ-ბნ თეოს, რომლისთვისაც აქ რაინდი მყავს არჩეული. სალამით, თქვენი ღრმა პატივისმცემელი

ვიქტორ ნოზაძე.

გიგო დიასამიძის წერილი სპირიდონ კედიას

BERLIN S. O. 36 DEN 6.12. 1931
Beermann strasse 4.

ძვირფასო ძმაო სპირიდონ!

ამ ორი-სამი დღის წინ შემთხვევით ჩამივარდა ხელში ,,ბრძოლის ხმა",[133] სადაც დასტამბულია უღირსი წერილი შენს წინააღმდეგ. ვიგემე ძველი ჩვეულება უდანაშაულო მოპირდაპირეს აბუჩად აგდებისა. კარგად იცი, რომ მე, ყოველ საშუალებას და საღსარს მოკლებული, განზე ვდგევარ იმაზე, რასაც საემიგრანტოში ხშირად უწოდებენ ,,პოლიტიკურ ბრძოლას". საკუთარი ორგანო რომ მქონოდა (ისე არ გავქრები!..) ან სხვა რომელიმე მიუდგომელი დარბაისელი გამოცემა დამენახა, უეჭველად ულმობლად დავგმობდი ბევრ რამეს და მოსაწონს მოვიწონებდი, მაგრამ ახლა რასა იქმ!.. იქცევი ფრთხილად. საუბედუროდ სააქაოში, გონიერი სიფრთხილე, კეთილშობილური მოქცევა მოკამათესთან სისუსტედ მიაჩნიათ და შესაძლებელია სისულელედაც, მაგრამ არის ისეთი რამეც, როდესაც სიჩუმე დანაშაულად ჩაეთვლება კაცს, თუ მას ქუდი ხურავს და მოქალაქე-მამულიშვილობა სურს. შეუძლებელია ზიზღით არ შეხედო იმ საუბედუროდ ხშირ მოვლენას, თუ როგორ გაიგდებს ხოლმე მოპირდაპირეს წინ დღეს ერთი ,,მიმართულება", ხვალ მეორე და ულახავს პიროვნებას! ეს ყველაფერი რომ გადითარგმნოს განათლებულ ქვეყნების ენებზე და დაუფარავად წარედგინოს გონებაგახსნილ და ზნეობა-შეჭურვილ საზოგადოებას, საყოველთაოდ თავი მოგვეჭრებოდა. თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ უკვე ჩვენ მიერ ჩადენილმა ,,ამბებმა" საკმაოდ დაგვაზიანეს ამ მხრით. იმას ვერ დაინახავს მხოლოდ ბეცი და ზნემიხდილი. განგაშის და კორიანტელის ატეხა სჭირდება მხოლოდ მას, ვისაც ჭეშმარიტების დამალვა სჭირდება, მაგრამ ეს ფანდი არც ისე ხელსაყრელია. ჭეშმარიტების დამალვა არც ისე ადვილად შეიძლება. შენს საქმეშიაც უეჭველად უნდა შევეცადოთ სიმართლე და ჭეშმარიტება აღვადგინოთ, რაც შეიძლება მალე. მართალია, ყველანი გიცნობენ როგორც მაღალ კეთილშობილ პიროვნებას, მაგრამ შენს შემთხვევაში დაზარალებულია ისე შენ არა, როგორც საზოგადოება, რადგანაც მას დედაბოძის შემმაგრებელი პრინციპი დაუზიანეს, დაურღვიეს. საჭიროა შესწორება. შენ რა სწავლება გჭირდება, მაგრამ უეჭველია გესურვება შეიტყო, შენი პირადი, არა მარტო პოლიტიკური, მეგობრები რას

ფიქრობენ. ამიტომ გწერ წრფელად, რასაც ვფიქრობ, მაგრამ შეუძლებელია დავფარო ის, რომ ემიგრანტების ,,პოლიტიკას" _ ამაზე ნუ გამიწყრები, მე სულ სხვა თვალით ვუყურებ. მე თუ ხმას ვიმაღლებ, მხოლოდ როგორც უბრალო ჟურნალისტი და საზოგადო მომუშავე. უპირველესად ყოვლისა საჭიროა აღადგინო პრესაში ფაქტიური მხარე, შემდეგ მიჰმართო საუკეთესო მოღვაწეებს როგორც ჩვენებს, ისე უცხოელებს, შეადგინო ტრიბუნალი და გამოიხმო ცილისმწამებელნი. თუ არ გამოგყვებიან, ოფიციალურ სასამართლოსაც არ უნდა მოერიდო. კარგი იქნებოდა მიგემართა მათი მიმართულების ისეთ პირებისადმი, როგორიც არიან კაკი წერეთელი,[134] გიორგი ერაძე.[135] კაკი, თუმცა, თვითონ იდევნება, მაგრამ დიდი სახელის მატარებელია და კეთილშობილი, რომ ასეთ უტიფრობის დასაგმობად ხმა არ ამოიღოს. მის აზრს გასავალი ექნება _ იმდენად ავტორიტეტმოსილია. თუ საჭირო იქნება, უცხო პრესაც უნდა ავახმაუროთ, რადგან ის უფრო გამოჰხატავს საზოგადოებრივ აზრს და მის წინაშე უეჭველად თავს მოიდრეკენ უღირსი მოპირდაპირენიც. თუ ჰაერი არ გაიწმინდა, უეჭველად ბევრი არასასურველი მოვლენა იჩენს თავს და მთლად დავეცემით, რაც გაახარებს მხოლოდ ჩვენს უამრავ მტერ-მოყვარეს. თუ ჭეშმარიტების გამოხსნა მოხერხდა, ყველანი დაინახავენ, სად არის დაცული ძველი ქართული მამა-პაპური სიწმინდე და რაინდობა. მე რომ მანდ ვყოფილიყავი, უეჭველად ავახმაურებდი ყველას, ვისთანაც მიმესვლებოდა. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ის ,,აქლემი", რომელმაც შენს წინ დაიჩოქა, დაიჩოქებს მათ წინაშეც, თუ დავანებეთ ცილისმწამებელს ყოველი ხარისხის და ყოველი მიმართულებისას თავისუფალი ნავარდი. მე რომ დამმართნოდა ასეთი რამ, ასე მოვიქცეოდი. ეს არის ჩემი წრფელი აზრი.

გთხოვ მიიღო ჩემი სრული მეგობრული თანაგრძნობა და სალამი. გისურვებ ყოველსავე კეთილს და მრწამს შენი სიმართლის გამარჯვება.

შენი ერთგული ძმა და მეგობარი გ. დიასამიძე[136]

P.S. მომიკითხე სულით და გულით ძვირფასი ქ-ბ. სოფიო, დამიკოცნე პატარა თეო. ნუთუ დავავიწყდით? ჩემმა ლოლამაც გულითადი სალამი მოგახსენათ ყველას, თეოს განსაკუთრებით ამბორი.

გ.დ.

P.P.S. რომ იქნებოდეს დარბაისელი ქართული მიუდგომელი გამოცემა სიამოვნებით დავბეჭდავდი ჩვენს ემიგრანტულ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან მოვლენათა შესახებ ,,გულახდილ საუბრებს", რომელიც დაწერილი იქნებოდა დინჯი კილოთი და სამართლიანად. წერილები, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში უნდა დასტამბულიყო უცვლელად. თუ რაშიმე რედაქცია არ დამეთანხმებოდა, შენიშვნას გაუკეთებდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რედაქციას ეს არ დასჭირდებოდა, რადგან შეუსაბამოს და მიუღებელს არას დავწერდი და ჩემს წერილებს ჩემს საკუთარ სახელს მოვაწერდი. მაგრამ, მგონია, ეს უკვე ჩემის მხრით ოცნებაა! სად არის ასეთი გამოცემა, ან სად არის საშუალება ასეთი ორგანოს დასაარსებლად?! კიდევ სალამი და გამარჯვება. იქნებ მაღირსო ახლა მაინც პასუხი.

ახლა გამახსენდა, თუ დაგჭირდა იურიდიული რჩევა, მიჰმართე პროფ. მიხ. ტაუბეს _ ცნობილი იურისტი-მეცნიერია. ის გავიცანი ამ ერთი თუ ორი წლის წინად ჩემს მეგობარ ოჯახში _ კატევიჩებისას, სადაც ის ჩერდება ხოლმე, მკითხა შენ შესახებ

და დიდის სიმპათიით გიხსენებდა. ამავე ოჯაში დავაყენე ქ. ბ. სოფიო და თეო, როცა გვეწვიენ გავლით აქ ბერლინში. თუ ტაუბეს ნახავ, ჩემს განსაკუთრებულ მისალმებას მოახსენებ.

გ.დ.

ტიტე მარგველაშვილის წერილები სპირიდონ კედიას

erlin W Uhlandstr. 78 II r. ly von Vultejuo. 17.07.1927.

ძმაო სპირიდონ!

გიგზავნი აქაურ პარტიულ დადგენილებათ. გუშინ კოლონიის სხდომა იყო, დავსვი ეს საკითხი და მოვითხოვე კოლონიის აზრი. გადაწყდა იქონიონ წინასწარი მსჯელობა ყველა ჯგუფებმა ცალკე და მათმა ხელმძღვანელებმა ერთად. შევეცდები საკითხის დამუშავებას რაც შეიძლება მძაფრად და დაწვრილებით.

ყველანი ჰგმობენ კერძო ლაპარაკში, საერთოდ კი რეზოლუცია არ უნდათ. ვნახოთ რა იქნება. არასოციალისტურ მიმართულებათა ხალხის კრებული მალე მექნება. ყველანი ღელავენ, მაგრამ რეზოლუციაზე რომ მივა საქმე, მოცდას ამჯობინებენ, პარიზიდან რა ამბავი მოვაო. საბა ქორქიაც უპარტიობას ამჯობინებს, თუმცა ძალიან ჰგმობს, რეზოლუციასაც მხარს დაუჭერს, ოღონდ სოციალისტებსაც მივაღებიოთო.

სოც. დემ. პარტიის აქაურ ბიუროს თავმჯდომარემ გაგვიცხადა გუშინ კრებაზე, კოლონია ვერ შეეხება მთავრობას და მის საქმეთა განხილვაში ვერ შევა, დამფუძნებელი კრება ხომ არ არისო. ამან ყველანი ძალიან ააღელვა. მიუცილებელი საჭიროა გვაცნობო დაწვრილებით ყოველივე ახალი ამბავი მაქედან, რომ რეგულარულად და დროზე გვქონდეს ცნობები. ნ. რამიშვილი სადაც იქნება, იმ დაწესებულებას ნდობა ჩვენგან ვერღა ექნება, ყოველ შემთხვევაში ეროვნულის თვალსაზრისით. მაგრამ აქაურთა მთავარი აზრია, რომ ჩვენი ორგანიზაცია შეიკრას ერთ მთლიან ერთეულად, რათა სოც. დემ. პარტიას არვინ ეყოლოს, არვინ დარჩეს ინტრიგებისათვის გამოსაყენებლად; ვერ მოახერხოს ერთის დაპირისპირება მეორეს საწინააღმდეგოთ. გ. გვაზავასაც ვსწერ. მაცნობე, რას მიაღწია ალექსანდრემ. განა გ. გვაზავა ასე მჭიდროთაა შ. ამირეჯიბთან? ეს როდის დააბრუნეთ და რა გზით პარტიაში? (!)

ნ. ნაკაშიძისათვის მიწერილი შენი წერილი მე არ მინახავს, მაგრამ შენი წერილი 12.7.27.-ის თარიღით ალბათ იგივეა. რაც შეეხება სიდინჯეს _ ეს ჩემი სურვილიცაა. მაცნობე რავა მოგეწონება ჩვენი დადგენილებანი. რაფოდგან[137] თუ გაქვს რაიმე ცნობა. იქნებ მაცნობო მისი მისამართი.

უღრმესი პატივისცემითა და ძმური სალამი მოკითხვით.

მარად შენი ტ. მარგველაშვილი.

საქართველოს გაერთიანებულ
ეროვნულ-დემოკრ. პარტიის

ბერლინელ ჯგუფის დადგენილებანი ნ. რამიშვილის წერილის გამო, გამოტანილი 17 ივლისს 1927წ. ქ. ბერლინში:

ბ. ნ. რამიშვილის წერილი[137ა] ღირსშესანიშნავი დოკუმენტია, რომელიც მოითხოვს ყოველმხრივ გასინჯვასა და დაფასებას; თუმცა ის პარალელურად ჩვენში იწვევს უღრმეს აღშფოთებასა და სასტიკ გულისწყრომას.

1. ეს დოკუმენტი ცხადადჰყოფს, რომ ნ. რამიშვილი მოურიდებლად ერევა ჩვენს პარტიის შინაურს საქმეებში თავის ინტერესებისა და ზრახვათა განსახორციელებლად: როგორც მაგ. ყალბ მანდატების შემზადება კარნახის გზით _ პარიზიდან! და ასე თავის ნება-სურვილით დანიშნულ პირთა მოჩვენება უფლებამოსილ პირებად ქართულ საზოგადოებისა, ემიგრაციისა და უცხოელთათვის. ასეთი საქციელი პასუხსაგებ პოსტზე მდგარ პიროვნებისაგან ყოვლად დაუშვებელი და მიუტევებელია, რადგან ეს ნდობას უკარგავს და სახელს უტეხავს მთელსა და ყველა პარიტეტულ კომიტეტებს, დამოუკიდებ. კომიტეტს და სხვა ქართულ წარმომადგენლობით დაწესებულებათ როგორც მთელს ქართველ ერის თვალში ისე ევროპის ზოგ დაინტერესებულ წრეთა თვალშიც.

2. ამგვარად, ეს დოკუმენტი ნათელჰყოფს აგრეთვე, რომ მისი ავტორისათვის აღარ არსებობს დემოკრატიული პრინციპი, რომელსაც ცხადად და აშკარად უარყოფს დოკუმენტში მიღებული და დაცული ბრძანებითი და განკარგულებითი წესი. ეს გარემოება ააშკარავებს დემოკრატიზმის ღალატს და ამიტომ ამ დოკუმენტის ავტორი ვერღა იქნება დემოკრატიულ იდეის მატარებელი და ნდობის ღირსი დემოკრატიულ წრეებში.

3. მიუტევებელი დანაშაულია შავი კაბინეთის შედგენა და შავს სიებში შეტანა _ პროსკიპცია _ უდანაშაულო პირთა, რომელთაც ქართველი ერის წინაშე არავითარი ცოდვა და დიდი ღვაწლი კი მიუძღვით. ესეთი საქციელი დასაგმობია როგორც პროვოკაცია.

4. დანაშაულია მთელი ერის წინაშე, ქართველი ერის პოლიტიკური განთავისუფლების წმიდა საქმის გადაკავშირება ნ. ჟორდანიას მთავრობის რესტავრაციის საკითხთან, რომელთაც ერთიმეორესთან არავითარი მიზეზ-შედეგობრივი აუცილებლობის კავშირი არა აქვთ. ეს გარემოება ნათელსა ჰფენს იდუმალ განზრახვებს, რომ მთელი ერი დააყენონ ფაქტის წინაშე და ისედაც განაწამებ ერსა და ტანჯულ ქვეყანას ახალი უბედურებანი თავს დაატეხონ, რადგანაც, როგორც ეს დოკუმენტი მოწმობს, მისი ავტორი ჩუმად ამზადებს ნიადაგს სამოქალაქო ომისათვის საქართველოში, ყალბი თუ საეჭვო ინფორმაციების მიწოდებით.

5. საქართველოს განთავისუფლება საქმეა თვით ერის და იმ საერთაშორისო პოლიტიკურ პირობების, რომელიც თანდათან მყარდება ევროპის სახელმწიფოთა შინა და მათ ურთიერთ დამოკიდებულებაში, აგრეთვე მათი გავლენით ევროპის გარეშეც. ქართველი ერი განთავისუფლდება ახლო მომავალში საბჭოთა რუსეთის დანგრევით. მაგრამ ეს დიდი საქმე არაა შედეგი რომელიმე პიროვნების ან ჯგუფის სპეციალური და გადამწყვეტი გავლენის. არვის ეძლევა ამიტომ უფლება მთავრობად მოევლინოს განთავისუფლებულ საქართველოს თავისი თავის პარიზიდან დანიშვნით და ისიც კარნახის გზით.

6. ქართული საქმის ინტერესი მოითხოვს ყველა ძალთა გაერთიანებულ მუშაობას სრულსა და თანაბარს უფლებიანობის ნიადაგზე, და ყოველი პროგატივთა, ჯგუფურ-მიკერძოებითი, ჰეგემონიის მიზნით წარმოებულისა და წარმომდგარ პრეტენზიათა დათრგუნვას ვისგან და რა პირობებშიაც არ უნდა წარმოდგეს ეს პრეტენზიები.

7. განსაკუთრებით მავნეა დოკუმენტში დასახული მიზანი, რომ საქართველოში დაწესდეს ჯგუფური დიქტატურა ერთი პიროვნების მეოხებით და ამ მიზნით წინასწარი, ამთავითვე მზადება; რადგან, ამით ხელოვნურად იქმნება საზოგადოდ, წინასწარ და ნაადრევად _ გარემოებათა განვითარებისათვის წინწასწრებით _ დიქტატორული ატმოსფერო, რაც იწვევს ასეთ შემთხვევებში მუდამ ფსიქოლოგიურად კონტრ-აქციას.

8. ჯერ კიდევ მთავრობის ხელმძღვანელობისას ქართველ ერს თავს დაატყდა უდიდესი უბედურება. მთავრობამ დაჰკარგა ამით ძველი პრესტიჟი და კრედიტი; თვით სასქართველოში: მრავალი ქართველი დაიღუპა ფიზიკურად ან დაეცა ზნეობრივად და ერიც ფიზიკურ განსაცდელშია; უცხოეთში: დაიხურა და აღარ არსებობს ქართული დიპლომატიური წარმომადგენლობანი მრავალ სახელმწიფოებში: გერმანიაში, ოსმალეთში, ინგლისში და სხვა. ამიტომ ჩვენს საქმეს კიდევ უფრო აზიანებს და ნდობას უკარგავს მტერ-მოყვარეთა თვალში მთავრობის წევრთა ყოველი ახალი შემცდარი ნაბიჯი, განსაკუთრებით ისეთი დასაგმობი დოკუმენტი, როგორიცაა ნ. რამიშვილისაგან ხელმოწერილი წერილი. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია დაუყონებლივ გადადგეს ამ წერილის ავტორი ყველა საზოგადოებრივი და პოლიტიკური საპასუხისმგებლო ეროვნულ დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან. ჩვენ გავახსენებთ ბ. ნ. რამიშვილს ბ. ტიტე მარგველაშვილისათვის მიცემულ სიტყვას: თუ ეროვნული ინტერესი მოითხოვს მთელი მთავრობა გადადგებაო. ეს დრო დადგა ყოველ შემთხვევაში ბ. ნ. რამიშვილისათვის.

9. ნ. რამიშვილის დოკუმენტი ამჟღავნებს, თუ რა ცუდად უყურებს და როგორ ამცირებს თვით ნ. რამიშვილი და საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარგარეთელი ბიურო პარიზში არსებულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტს და მის წევრთ. იქ აშკარადაა მითითებული ცენტრის უყოლობაზე, გ. გვაზავას მდგომარეობის სისუსტეზე, მისი უმანდატობაზე (მანდატები დაუმზადეთო!). ჩვენ მოვითხოვთ, რომ პარიზის კომიტეტმა ერთხმად და ენერგიულად დაჰგმოს ასეთი შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი, მოუპატიჟებელი სხვათა ჩარევა ჩვენს შინაურ საქმეებში; მოხდეს საჩქაროდ სრული რეორგანიზაცია და შეიქმნას ახალი კომიტეტი, რომელშიაც შევლენ პარტიულ კონფერენციების სრული რიგი დადგენილებითა და არჩევნებით, წლიდან წლამდე, განმეორებით და გამუდმებით, არჩეული და ნდობამოსილი ყველა პირები მათი თანამდებობათა თუ არა გაფართოებით, ყოველ შემთხვევაში, დაცვით მაინც. საქართველოში მიღებული წესი და ტრადიცია ჩვენმა პარტიამ სასტიკად უნდა დაიცვას უცხოეთშიც ყველა ჩვენი პარტიულ მეგობართა პრესტიჟის დაცვით, განსაკუთრებით, როცა მოპირდაპირე იერიშით მოდის და სამოქალაქო ომით მოსპობას გვიქადის.

10. პარტიულ კონფერენციათა დადგენილებანი, გადაწყვეტილებანი და არჩევნები, მიღებული წესი და რეგლამენტი სავალდებულოა პარტიის ყველა ნამდვილ წევრთათვის. მათი დარღვევა _ დისციპლინის დარღვევას უდრის.

11. განსაკუთრებით და განმეორებით მოვითხოვთ ბ. სპ.კედიას თავმჯდომარეობასა და მის მოქმედებას პარიზის იმ კომიტეტში, რომელიც საქ. გაერთ. ეროვნ.-დემოკრ. პარტიის სახელს ატარებს.

დასასრულ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს პარტიას ყველაზე მეტი მოვალეობა და პასუხისგება აწევს კისერზე ერის წინაშე. მან თავისი მოვალეობა პირნათლად უნდა შეასრულოს სამშობლოს წინაშე. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ თუ მოისპობა გარედან განგებ შემოტანილი უთანხმოება და მოხდება ჩვენი ძალთა სრული კონსოლიდაცია. ამ ნიადაგზე იდგა და დღესაც სდგას ბერლინის ჯგუფი იმ ურყევი იმედით, რომ ეხლა მაინც მოეღება ბოლო ინტრიგის გავლენას ჩვენს შინაურობაში, რომელმაც გააბედვინა მის ავტორს ისეთი სამარცხვინო დოკუმენტის შედგენა და სამშობლოში გადაგზავნა, როგორიცაა ნ. რამიშვილის წერილი, მრავალკეცად შეურაცხმყოფელი ჩვენი ყველა პარტიებისათვის განურჩევლად (თვით საქ. სოც.-დემოკრ. პარტიისათვისაც!) და არანაკლებ საზიანო ერისათვის.

თავმჯდომარე: ტ. მარგველაშვილი

მდივანი ნიკ. ნაკაშიძე

ცნობა: ერთი ცალი ამავე დადგენილებათა ეგზავნება ბ. გ. გვაზავას.

ნიკ.ნაკაშიძე

P.S. რაც შეეხება შენს შეკითხვებს: 1) ეხება ლირების გაყალბებას ოსმალეთში, რომლის შესახებ თვით ა. ასათიანისაგან მაქვს წერილობითი ცნობა წინაებზე, რომ ,,ამ საგანზე წერილობითი დოკუმენტიც არსებობსო". მოვითხოვდი გაქვეყნებას თუ პირი მართლა აქვთ. 2) ის ერთი ფურცელი დაკარგულადაა გამოცხადებული, წაიკითხავდი. მაგრამ შესაძლებლობაა, ის ხელთ აღმოაჩნდეს გიორგაძეს _ ყოფილ სამხედრო მინისტრს. ეს შესაძლებლობაა მხოლოდ. ყოველივე შეასწორე და შესცვალე როგორც უკეთ დაინახო.

ტიტე.

ბერლინი, 17.12.32.

ძვირფასო ძმაო სპირიდონ!

ამ ინფორმაციიდან გაიგებ ყოველივეს. შემთხვევით მოვხვდი იმ კრებაზე _ გიგო დიასამიძემ წამათრია ძალით. არ ვნანობ. ბევრი მეხვეწნენ, თავმჯდომარე და სხვა, მელაპარაკნა. თავი შევიკავე ბოლომდე. ასე უნდოდა გიგოსაც, მაგრამ რაც ითქვა, მაგ. ზ. ავალიშვილის წიგნშიაცაა ნახსენები, რომ საქართველო წინად სპარსეთ-ოსმალთს შორის ხელიდან ხელში გადადიოდა და სხვა. თავი ვერ შეიკავა და მაგრად ილაპარაკა. ნერვიული კილოთი, მაგრამ ბევრი მწარე სიტყვაც თავის ადგილზე სთქვა. შენც იცნობ მას და წარმოიდგენ რავა ილაპარაკებდა. შემდეგ თავმჯდომარემ მითხრა, მე შეგეკითხებით თქვენ და ჩემი შეკითხვით გამოგიწვევთ სალაპარაკოთო; ვსთხოვე არ ექნა ეს. თავმჯდომარეა ბ-ნი ელკინ, იურისტი და მეგობარი მილიუკოვის.[138] გათავებისას ვუთხარი, რა დაგემართათ, რომ ს.დ.პ.-ს მეტი ვერავინ ნახეთ საქ-ში, ეს პარტია რუსულმა ადმინისტრაციამაც იცოდა-თქო. გიგომ უთხრა, რომ ვითომც მე სხვა პირობებში უფრო ვილაპარაკებდი. ბნ-მა ელკინმა

მითხრა უცებ, მალე ჩამოვა მილიუკოვი და მე თქვენ უთუოდ მოგიპატიჟებთო კრებაზეც და ისეცო. მილიუკოვთან შეხვედრა მინდოდა ორიოდე წლის წინ, მოხსენება ქონოდა და მე გვიან გავიგე. მინდა შეგეკითხო, ხომ არ ჩამომერთმევა, რომ 1) კიდევ შემთხვევა მომეცეს და ასეთ მოხსენებას დავესწრო ან თუ საჭიროდ დავინახე დარბაისლურად კამათში მონაწილეობა მივიღო. მაგ. საქ-ში ერთადერთი ს.დ.პ.-აა ორგანიზაციულად მოწყობილი პოლიტიკ. პარტიად, ეს ხომ პირდაპირ გვიწვევს შესწორებისათვის. 2) მილიუკოვს შევხვდე და, შემთხვევისას, კამათშიც გავერიო. წუხელ მე უეჭველი შთაბეჭდილება მომეცა, რომ მენშევიკებს უთუოდ აქვთ რუსებთან კავშირი და შეიძლება ასეთი შეთანხმებაც, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკურ ხაზზე ერთმეორეს ამაგრებენ; ხარლამოვისა[139] და სხ. კეთილგანწყობილი სიტყვები ჟორდანიას მთავრობისადმი მეტად სიპტომატიურია. საჭიროა რაიმე გავიგოთ თუნდაც ,,ღრმა დივერსიით". ძალიან ვეჭვობ, სომხებთანაც რაღაც მოსიტყვება აქვთ და მალავენ: სომეხთა ჩასახლება და ჩვენების სრული დუმილი ამის მეტყველია. ამას ფიქრობს გიგოც (ესაა ის ქართ. მამულიშვილი, ხარლამოვს და კო.-ს რომ უპასუხა). შენგან ახალი არაფერი ვიცი: რავა ხარ? ეხლა ხომ მომჯობინდი? ძმაო, თავს გაუფრთხილდი ძალიან, თუ არა ჩვენს პირობებში ავადმყოფობა არაფერი სასიამოვნო გართობაა.

ქ-ნ სონას გულითადი მოკითხვა.

მარად შენი ტიტე.

P.S. ეს ჩემი ინფორმაცია უთუოდ გადითარგმნება ყალბად და გადაეგზავნება მილიუკოვთან მის პარტიას. ამიტომ არ იქნება ურიგო, თუ შენც საკეთილოდ ჩათვლი, შენგან იყოს მიწერილი მილიუკოვისადმი და თარგმანი (ახალგაზრდა გადაგითარგმნის ან დამიბრუნე და მე გადავთარგმნი) თან დაურთო. შეეკითხე მხოლოდ, რად ჰგონიათ მის პარტიაში, რომ საქ-ში ს.დ.პ.-ს გარდა სხვა მიმართულების ორგანიზაციულად მოწყობილი პარტია არ ყავდეს და სთხოვე ასეთი შეცდომა მის პარტიის პასუხისმგებელ პირთაგან შეუფერებელია. თუმცა ამათი სიტყვა ისეც შეიძლება გავიგოთ, რომ სხვა პარტიულ ორგანიზაციათ არც სცნობენ. ასეთივეა მენშევიკთა პროპაგანდა ყველა სხვა წრეებში და ამას კონტრ იერიში უნდა.

ტიტე.

P.S. ტაქტიკური მოსაზრებით (მენშევიკებმა რომ პროვოკაცია ვერ გასწიონ) ნუ იქნება ინიციალები და იხმარე რაიმე ფსევდონიმი, მაგ. ,,იმედი" ან სხვა ამგვარი.

ტიტე.

,,სამშობლო" არ დაავიწყდეთ ახალგაზრდათ!

ბერლინი, 2.3.33.

ძმაო სპირიდონ!

... მე შენ გადმოგიგზავნე ძველი წერილები, რომელიც ასათიანს ქონდა დასაბეჭდათ და მენშევიკთა ხათრით აღარ დაბეჭდა. მათ შორის იყო ე. გეგეჭკორის შესახებაც. ეს წერილი გადმომიგზავნე უკან, რადგან დაბეჭვდა აწი მგონია ნაგვიანევია. იქ რამოდენიმე დატებია. არ მინდა დამეკარგოს. თავის დროზე, გადამუშავებულს გავაქვეყნებ. _ რაც შეეხება ტაქტიკას: ვფიქრობ საჭიროა ბრძოლის,

ბრძოლის და კიდევ ბრძოლის სულისკვეთების გაღვივება ვულგარ მარქსიზმის წინააღმდეგ ე.ი. მენშევიკ-ბოლშევიკთა ფრონტის წინააღმდეგ, შეტევითი და ფართო მასშტაბით. მხოლოდ ამით შევსძლებთ მოვიმხროთ ის ოპოზიციური სული, ქართ. ფენებში რომაა პოტენციურად. კილო, ტონი, ლოზუნგი _ ყოველივე ამ ხაზს უნდა შევუფარდოთ ხაზგასმით იმ დევნათა, დაუზოგავობისა, მახინაციათა აღნუსხვით, რომელთაც მიმართავს ჟ-ს ჯგუფი. ყველგან დიდი ოპოზიციაა, აქაც, მაქაც. საჭიროა ამის გამოყენება მოხდეს ჩვენგან და არ სხვისგან. ძლიერი სიტყვა, და შეფარდებული მოქმედება _ ესაა საჭირო. აქ ამ მხრივ მდგომარეობა მითია გართულებული, რომ ჩვენები კოლონიის გამგეობაშია და ტონი ბრძოლის შეასუსტეს. თუმცა აქ ბევრის გაკეთება აღარ შეიძლება. მაქ ქართველობა მეტია. შენს თანამშრომლებს ამოცანად მიეცი მჭიდრო ორგანიზაციათა შეკვრა ყველა წრეებთან, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან და მუშებთან. შიგადაშიგ პროპაგანდაა საჭირო ინტელიგენციაშიც. ... მეშინია, ორგანიზაციაში არ მოხდეს გაპობა. მაგრამ დიდხანს და მუდამ დათმობაც შეუძლებელია. ხელისუფლების წრესთან კავშირისათვის კიდევ შეხვედრები მქონდა: მეტად გართულებულია შინაური ვითარება. ის გრაფი[140] შეიძლება განზე დარჩეს. როზენბერგიც[141] შეირყა. საერთოდ მეტად დინჯად და აუჩქარებლივ უნდა მოქმედება. ეხლა ყოველივე დუღილის პროცესშია. ... თუ გსურს (ან გეხერხება) მოგაწდვი წერილს აქაურ შინაურ ვითარებაზე. ნაც. სოციალ. მოძრაობაზე და სხ. პარტიათა ურთიერთობაზე. ბევრია პარალელი ჩვენშიც იმის გამოკლებით, რომ აქ ნაციონალიზმმა გაიმარჯვა, ჩვენში კი გამარჯვებულია ვულგარ-მარქსიზმი. აქაც ზოგი მოღალატე აღმოაჩნდა თავიდანვე ეროვნულ მოძრაობას და სხ.

აქ გეზი აღებულია მარქსიზმის განადგურებაზე: კანცლერად დავრჩები დროებით, მინამ მარქსიზმი და მისი მოღალატური სისტემა არ მოვსპო. შემდეგ კი წავალ და სხვებმა დაიკავონ ეს ადგილი, მუშაობაც შეეძლებათ უფრო დალაგებითო, განაცხადა ჰიტლერმა მის პირველ სიტყვაში გაკანცლერების შემდეგ ბერლინის ხალხისადმი შპორტპალასტ‹ში. მთელი სისტემა აქით მიდის. ბრძოლაა დაუზოგავი და საბოლოო. შეიძლება შემდეგში მოყვეს რაიმე წინააღმდეგობა კომუნისტებიდან, ხოლო მენშევიკებიდან კი შეუძლებელია. მათ დაკარგეს ყოველი ძალა-ვაჟობა. ... ვეცდები, ძმაო, რაც შეიძლება დავიცვა ორგანიზაციის მთლიანობის ინტერესი, და ყოველი ინტრიგა ავაცდინო ორგანიზაციის ძმებს. მივაღწევ რასმეს თუ არა, შემდეგი გვაჩვენებს.

დიდი პატივისცემით, ქნ. სონას ხელის ამბორით,

მარად შენი ტიტე.

ბერლინი, 6.3.33.

ძმაო სპირიდონ!

შენ რომ მეკითხები, ის ფაქტი მოხდა 1918წ. თბილისში, მენშევ. პარტიის საგანგებო კრებაზე, სადაც წყდებოდა საკითხი ყოფნა-არყოფნისა. ფაქტი გადმომცეს სამი წყაროდან. სამივე დამსწრენია. კერძო წერილში გწერდი ვინაობასაც. ასე რომ დემანტის გაკეთება შეუძლებელიღაა. გარდა ამისა ,,თეთრ. გიორგ"-ში უკვე ყოფილა

ეს ფაქტები აღნიშნული. არ იყო ის ლოღიკური და პოლიტიკური გამოყენება, მე რომ ვცდილობდი. თუ შენ გამოიყენებ, უკეთესია. შედავება არ შეუძლიათ. გიორგის[142] ველაპარაკე. უკეთეს გუნებაზეა. დაახლოებით და ზოგადად გამანდო ცოტა რამ. დაწვრილებით შემდეგო. დედა აზრი უფრო მაგრძნობინა ვიდრე მითხრა. ვუთხარი შენი სურვილი, გნახოს მანდ. მეტად გაუხარდა, ვეცდებიო. ყოველი ზომები მაქვს მიღებული, რომ ინტრიგები მოვსპო. თვით გ-იც გავაფრთხილე. პირობაც ჩამოვართვი. აქ ისე ვგრძნობ, რომ ნ. ჟ. უნდა ცდილობდეს ვიღაცათა საშუალებით ,,თეთრ გიორგი"-ს გადაბირებას. ასე ვხსნი ,,თ. გ."-ს უკანასკნელ წერილებს პასუხად მენშევიკებს და მათ ფრონტს. აქ კოლონიის არჩევნებისას ისიც იყო თქმული აქაურ თ. გ.-თადმი, რომ მაგ. პარიზში ,,თ.გ." არ დაეხმარა სპ. კედიას და აქაც არ უნდა დაეხმაროთ ერ.-დემ.-სო. მომხდარ ამბავთა გამო, ალბად შეეცდებიან ,,თ. გ."-ს მიმხრობას. ეს ვარაუდია. ამიტომ, მე ვგონებ, ურიგო არ იქნება მათზე გავლენა მოვახდინოთ. მაქაც და მ. წ.[143]-თანაც. ამ დღეებში კიდევ მექნება შეხვედრა აქაურ მეგობრებთან. მდგომარეობა გაირკვა სრულიად. იმედია, აწი თანდათან დამყარდება ნორმალი პირობები და დამშვიდებით მოგვაპყრობენ გულისყურს. ნ. ნ.[144] ცუდ მდგომარეობაშია ცოლის მძიმე ავადმყოფობით. მეტად საშიშ პირობებში. თვით ნიკოც ძალიან შეწუხებულია და ღელავს. გწერდი და კიდევ გიმეორებ თხოვნას, დასწეროთ გარჩევა _ რეცენზია სიბრძნე-სიცრუისა. მე მთხოვა დამეწერა, მაგრამ ზოგ მოსაზრებათა გამო ვერ ვიქ. ,,დამ. საქ."-თი ძალიან კმაყოფილი. უნდა აღინიშნოს, რომ ამდენიხანი შეძლებულთა რიგებიც კი გვყავდა, მაგრამ არც ერთს აგეთ დიდ კულტურულ საქმეზე არ უფიქრნია. რომ ამას პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს: ევროპამ გაგვიცნოს კულტურულობის მხრივ. ეს საუკეთესო საშუალებაა ჩვენი პრესტიჟის აღსადგენად, რომელიც ასე დასცა მენშევიკობამ აქ. შემდეგ, რომ ნ. ჟ-იას ფრონტმა მრავლის უმრავლესი ფულები დაფლანგა უაზრო გამოცემებში, ხოლო ვერ მიხვდა აგეთი საქმეზე ეფიქრა და სხ.; ოქმში შემიტანეთ, რომ წინააღმდეგი ვარ დამოუკიდებლობისო. ეს ნ. ჟ-იამ გაბედა თავის ბრბოდ დასახულ პარტიაში. მეორე იყო ირ. წერეთელი. ამას არ მოუთხოვია ოქმში შეტანა. ხოლო ე. გეგეჭკორმა უკვე წინად 1917წ. (იხ. ჩემი ხელნაწერი) სიტყვით და გაზეთში განაცხადა: 15 წელია ვებრძვი მე იმ ბოროტებას ,,ავტონომია ფედერაციას" რომ უწოდებენ და გაძლევთ სიტყვას (რუს-სომხური ჯარის ნაწილები ყაზრამის ეზოში!) შემდეგაც ვებრძოლო მას დაუცხრომლადო.

იყავი კარგად და ბედნიერად შენი ტიტე.

ბერლინი, 16.3.33.

ძმაო სპირიდონ!

ის ქალი წაივანტიურისტებს, მაგრამ ხელიდან არ უნდა გაუშვა: ყველა ამ მიმართულებით დაინტერესებული შენთან უნდა დააბა. დააწევი მაგასთან რაიმე კონკრეტულსა და რეალურს, რაიმე პოლიტიკურს, რომ შედეგი და აზრი ქონდეს მის მოქმედებას. მე კი მგონია, მაგათ უნდათ საყრდნობი ბიძგი იშოვონ, რომ ფული იგდონ ხელთ. ფულის საკითხი პირვანდელია, ხოლო იდეა პოსტერიული. აგეთია ცნობა სანდრო ნიკურაძისაგან[145] და გიორგისაგან[146]. თუმცა სანდრო მთლად გულწრფელი არაა. მასაც ეს ამოძრავებს. ეს და მისი ძმა დიდი პრეტენზიების

ხალხიაო მარწმუნებენ. სანდრო ჩემთან მრავალჯერ იყო. ცოცხალი, მარდი, გაგებული და დაუზარებელი კაცია. დოცენტი მიუნხენში მომქმედია. ცოტაოდენი კავშირებიც უნდა ქონდეს, უფრო თავისი ყოფილი მოწაფეებით, როგორც გადმომცა თვითონ, შემდეგ ფონ კურსელი[147], რომელიც გიცნობს და ძალიან გაფასებს. ეხლა თანარედაქტორია ,,ანგრიფის" აქ. ვხვდები მასაც. სანდრო შეეცადა რამოდენჯერმე ეგრძნობინებინა ჩემთვის, რომ საქმე უნდა თვითონ დაიკავოს ხელთ და გაუძღვეს და რომ ეძებს თანამშრომლებს. გავაფრთხილე, ძალიან გამოუცდელობა გეტყობა და შერცხვები-თქო. მე შემიძლია ასეთ საქმეში აქტიობა, თუ სადავეები ხელთ მექნა, რჩევები კი შეუძლებელია მივცე ვისმე, რადგან არ ვიცი როგორ გამოიყენებს-თქო, მოვუჭერი. მომწერა და მითხრა ხელმძღვენელობა ჩემი ყოფილიყო, მაგრამ გულწრფელი არაა. ძალიან ცდილობს აქ მენშევიკებთან და უპარტიოებთან მჭიდრო კავშირი დაიკავოს. ვიცი, რომ გერმანელებთან ჩემდამი მოცემულ სიტყვის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი ქართული მოვლენაა. მე ამის არ მეშინია, მაგრამ ეხლა ცნობა მაქვს მიუნხენიდან, რომ ამ შაბათს ის მიდის შვეიცარიაში, გელის შენ და ჩვენს გენერალს[148] იქ. როგორც მოელაპარაკები და გადაწყვეტ მაცნობე. ხოლო ჩემი აზრია, მე კიდეც რომ გავჩუმდე გიორგი არ დაყაბულდება მის ,,ხელმძღვანელობას". მელაპარაკა. გამწყრალიცაა. გიორგის კი ისეთი რეალური საგანი აქვს ხელთ, რომ ამითი უთუოთ დააინტერესებს ყველას უფრო მეტად ვიდრე სანდრო ან სხვა. ჩემი კავშირი კი უფრო იდეურია, ამათ კი ცხელ-ცხელი ამბები აინტერესებთ და გამორჩენის გეგმა. ამიტომ გიორგის ხელს ნუ შევუშლით, მით უფრო რომ თავისი საქმის ხასიათით ის ჩვენ გვეხმარება, ხელს არ გვიშლის; გულით და სულით ჩვენსკენაა. ამიტომ სანდრო ადრე თუ გვიან თვითონ მიხვდება, რომ უჩვენოდ ე.ი. ჩვენთან დისციპლინაში ჩაუდგომლად არა იქნება: სახელს გაუტეხს თავისივე მოქმედებას, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ მიმართოს სხვებს. აი, ესაა საქმე. ნამდვილად მეუბნებიან, რომ ასათიანთან იყო ერთი აქედან, და მგონი ასათიანმა ნ. ჟორადანიასთანაც წაიყვანა. გაირკვა რა მენშევიკური ხასიათი ამ წრის, ის კაცი დაცილდა მათ. ეხლა რომ სანდრო იქით მიიქცეს, აღდგომა გაუთენდებათ. ამიტომ საჭიროა დაყვავება და მეგობრულად რჩევით შეხმატკბილების ტაქტიკა მივაღებიოთ. შენს გარდა, ის ქალიც იმოქმედებდა მასზე თუ შესაძლებელია. სანდროს მივეცი შენი მისამართი, მოეწერა შენთვის ან ენახე. აქედანაა ვიზიტი ქალის. შეიძლება მოგწეროს კიდეც. ეცადე გავლენა მოახდინო ,,თ.გ.". სისულელე არ ჩაიდინოს. მისწერე მ.წ.-საც. ყმაწვილები შეუჩნდნენ მეგობრებს ,,თ.გ."-დან, გააფრთხილონ თუ სისულელე მოხდა მაინც, მაშინ ,,ბელადი" უნდა გადადგეს. აქ ასე ველაპარაკეთ აქაურთ. გაზეთში შეტევის ტაქტიკა უფრო დროს შესაფერია ჟ-იას ბლოკის წინააღმდეგ. აქტიობით არ უნდა მოვუსვენოთ. იერიში_იერიშზე. დარტყმა_დარტყმაზე! აქ ყველგან, თვალსაჩინო ადგილებზე შენი სახელი მივეცი. გადასამუშავებელი რაცაა გამომიგზავნე და ვნახოთ. ,,პრომეთე"[149] თუ იგდო ხელთ მომაშველე. კურსელმა მთხოვა გადმოქცე პატივისცემით მისი სალამი. მივეცი ერთი ცალი გაზეთი. ვარდისმთიელი, მისი დიდი მეგობარია. მაგრამ საქმე ძალიან წაუხდა და ყოველივე დაკარგა. რეაბილიტაციას კი დრო უნდა. თუ გნახე, გეტყვი რომ ძველი მეგობრობა და ნაცნობობა რავა გვშველის კავშირებისათვის. განსაკუთრებით საჭირო პირი იქნება ღენერალი[150] ჩვენში რომ იყო. გთხოვ, ჩემო სპირიდონ, ამას ერთი ტკბილი წერილი მისწერო, რომ მას არ დავივიწყებთ. გიორგი მეუბნებოდა, ვითომც ბეთლენი იტალიაში შეპირებოდეს ,,დუჩესთან" გაცნობას. მკითხა, ხომ ვერ წავა სპ-იო. თვითონ ძალიან სწუხს, ფული არ

მაქვსო. ვერც მაქით მოდის ჯერ-ჯერობით. ძალიან მიაწევი ,,თ.გ."-ს, რომ შეჩერდეს. თუ ამ დღეებში ქალი და სანდრო ნახო, იცოდე, რომ სიფრთხილეა საჭირო: დავიკავშიროთ ისე, რომ სადაველები ხელთ ჩვენ დაგვრჩეს და ზურგს უკან მოქმედებაზე ხელი აიღონ. მთავარია: სხვებთან არ მივიდენ საინტრიგოთ აქ და რომში. პოზიტიურად კიდეც რომ არაფერი მოგვცენ _ ესეც კარგია. კიდევ უკეთესი, თუ ბევრ დაპირებიდან _ ცოტას მაინც მოგვცემენ.

იყავი კარგად და გამარჯვებით. სალამი ქნ. სონას.

შენი ტიტე.

ბერლინი, 20.3.33.

ძმაო სპირიდონ!

აქ ცნობაა, რომ მაქ გამოაშკარავებულა გუგული გამყრელიძის აგენტობა ბოლშევიკებთან. ტელეფონით შეუტყობინებია ა. პაპავას[151] ჰამბურგიდან. აგრეთვე სხვებიც ყოფილან გახვეული. ვინაა ეს სხვები ვერ გავიგეთ. დღევანდელ ჩვენს სხდომაზე სხ. შორის შეეხნენ ამ ფაქტსაც და გთხოვენ გვაცნობო დაწვრილებით როგორ მოხდა მისი აგენტობის გააშკარავება, და ვინაა კიდევ მასთან ერთად გახვეული. სურვილია აგრეთვე საყოველთაო, რომ აღინიშნოს ჩვენს ორგანოში, რომ 1) ნ. ნ.-ძემ სულ მცირე ორჯელ გააფრთხილა ა. ასათიანი და მისი ბიურო გამყრელიძის აგენტობის აღნიშვნით: ა) იანვარში 1932წ. და ბ) ოქტომბერში 1932. აგრეთვე გაკვრით შეეხნენ მასვე აქაურ ორგანიზაციის რეზოლუციაში, რომელიც დაიბეჭდა ჩვენი ახალგაზრდების ორგანოში, და რომელიც დაეგზავნა ყველა ქართულ დაწესებულებათ, თვით ,,ბიუროსაც"! ... სანდრო ნიკურაძის შესახებ ცნობაა, რომ მას ვეშაპელის გაზეთში განცხადება აქვს მოთავსებული პრობოლშევიკური ხასიათის: გაუმარჯოს საბჭოებსო და სხ. გიორგიმ კიდევ მითხრა იმ ქალზე და მაყაშვილზე, ვითომც საეჭვო საქმეებში იყვნენ გახვეულნი ან ცდილობდენ ცნობების მიწოდებას უმართებულო გზით და ხასიათით. ერთი სიტყვით _ დიდი სიფრთხილე იქონიე. ისიც მითხრეს, მაყაშვილი ძმაა იმ ქალისაო! ეს ყოველივე დღეს კრებაზე გამოითქვა. კორნ. ხოშტარია გთხოვთ, გაზეთები მეტი გამოუგზავნოთ, თუ მოგიხერხდებათ. მას მოსვლია სულ 20 ცალი. სჭირდება დაახლოვებით 35 ცალი. დააგზავნის პროვინციაშიც, მიუნხენში, გეტინგენში და სხ. ცოტა ფული დაუგროვებია და შემდეგთან ერთად გამოგიგზავნის. არასგზით რაიმე საიდუმლოება არ გაანდო ახლად გაცნობილთ: ჯერ-ჯერობით თვითონ გაგვანდონ და დაგვანახონ თავიანთი თავი, საქმე და ხასიათი. იყავი კარგად და ბედნიერად.

შენი ტიტე.

ბერლინი, 22.3.33.

ძვირფასო ძმაო სპირიდონ!

გუშინ კიდევ გვქონდა ბაასი მეგობრებში. აქ ცნობაა, რომ მაქ დაჭერილია მთელი ჯგუფი მენშევიკთა და სხ. მეტად სამარცხვინო საქმის გამო. გთხოვთ დაწვრილებით ცნობებს. მეტადრე ვინაობის გამო ხომ ხედავთ, რომ აქაურთა აზრი ზოგიერთებზე გამართლდა. ეს ფაქტი უნდა აღინიშნოს და გამოიყენოთ სრული

ლოღიკურის დასკვნებით. მენშევიკთ ცნობები რეგულარულად მოსდით. არაფერს გვეუბნებიან. გვაცნობეთ დაუყონებლივ: ეს რა უბედურებაა და სირცხვილი! ვაჟბატონ ასათიანისა და კლიკის წყალობით. ნიკოს ცოლი მეტად ცუდ მდგომარეობაშია. ამიტომ ვერაფერს გწერს. გიორგიმ მითხრა, რომ ნიკურაძე ყველაზე უფრო მჭიდრო და ინტიმურ დამოკიდებულებაშია პაპავასთან!! ეს კი ექსპონენტია ჟორდანიასი, დიდი მექომაგე და დამცველი ,,ფრონტის". ლადო ახმეტელს უქადაგებდა, ჟორდანია დიდი კაცია, უნდა შეურიგდეო და სხ. ვჩქარობ ყოველივე გაცნობო, რასაც ყურს მოვკრავ ნიკ-ძის გამო, რომ შენ გექნეს სრული სურათი. მეორეს მხრივ, აქაურები იმ აზრისანია, რომ ნიკ-ძე ჯერ შემოვიდეს ჩვენს წრეში და შემდეგ დავუქვემდებაროთ ჩვენს კონტროლს; მხოლოდ ასე შეიძლება მის გამოყენებაზე ფიქრიო. როგორც არ უნდა იყოს, მეტად დიდი სიფრთხილეა საჭირო. მთლად სუფთა სული არც ის ქალია. ამიტომ ვიმეორებ, იდეურად მაგენი არაა შესაფასებელნი მარტივად. მეტადრე ამ სირცხვილის შემდეგ მაქ, სიფრთხილე უნდა გავამრავლოთ. ველით თქვენგან ცნობებს. იცოდე, სპირიდონ, არ დაზოგოთ გაზეთში ფრონტის ხალხნი. მეტადრე უნდა აღინიშნოს, რომ ასათიანის ბიურო ჩქარობდა მიეღო ჩვენგან საეჭვოდ დასახული პირები და თვითონ კარებს უხურავდა (იხ. ჩემი წერილი ,,პასუხ. დისიდენტ.") პარტიის საუკეთესო ელემენტებს: რითი აიხსნება ეს, რა სული ტრიალებს ,,ბიუროში"-თქო! უნდა ვაწარმოოთ დაკვრითი ტაქტიკა. კიდევ გეხვეწები, ცნობები მოგვაწვდინეთ მალ-მალ და დაწვრილებით. ცომაიამ[152] მაინც მოგვიწყოს კორესპოდენცია რეგულარულად. იყავი კარგად შენი ძვირფასი ცოლ-შვილით.

შენი ტიტე.

სპირიდონ კედიას წერილი ტიტე მარგველაშვილს

კლამარი,
8.07.1939.

ძვირფასო ძმაო ტიტე,

ალბათ ყმაწვილებისაგან[153] იცი, თუ როგორ დამთავრდა აქაური მოლაპარაკება ერთი ეროვნული ფრონტის შექმნის შესახებ. არ გამართლდა ის პატარა იმედიც, რომელიც მქონდა და ჩვენი ქართველი ემიგრანტი დღესაც დიდათ დაშორებული აღმოჩნდა ყოველ მართალ ეროვნულ გაგებას. ეგოისტური ინტერესი თავის თავისა, თუ თავის ჯგუფისა, მისთვის დღესაც მაღლა დგას ეროვნულ ინტერესებზე უფრო, მაგრამ ცდა ერთობის დამყარებისა, მაინც საჭირო იყო და ეს ცდა ჩვენი წრიდან უნდა გამოსულიყო. საჭირო იყო თუნდაც იმისთვის, რომ ცხადი გაგვეხადა ემიგრაციის დღევანდელი ეროვნული ტემპერატურა.

შენ იცი, საკითხი როგორ იყო დასმული. აღნიშნული მქონდა უნიადაგობა და მავნებლობა პარტიულ ბანაკებათ არსებობისა და მოვითხოვდი პარტიულ ორგანიზაციის შექმნას, რომელსაც ეყოლებოდა ერთი ხელმძღვანელი ორგანო.

ეს იქნებოდა ლიკვიდაცია ძველი პარტიული ეპოქისა და დამკვიდრება ახალი, წმინდა ეროვნული ხანისა.

ემიგრაციამ ახალს ძველი არჩია და ამით დაამტკიცა, რომ იგი მკვდარია, რომ იგი ვერ სწვდება და ვერც უნათესავებს ერის ტკივილებს და გულის საიდუმლოს.

ეს ჩემი ფორმა ერთობისა ყველამ იუცხოვა; შენ წარმოიდგინე, ეგრეთწოდებულ ,,ნაციონალისტთა" ჯგუფებმა ამ სიუცხოვეს ზედ დააკეცეს შეუგნებლობა; ხოლო მარქსისტებმა იგივე სიუცხოვე თავიდანვე პოლიტიკური ინტერესის მიდგომით გააზომიერეს. აქედან წარმოიშვა შესაძლებლობა ჩემი წინადადების გარშემო საერთო მოლაპარაკების გამართვისა... პირველ ხანებში, როგორც შეგატყობინე, საკითხმა მენშევიკთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია; მას ენერგიული დამცველებიც აღმოაჩნდნენ. თვით პრინციპი გარდაქმნისა თეორიულად შეწყნარებულ იქმნა; ხოლო მისი სრული განხორციელება უნდა ყოფილიყო შედეგი ახალი ხელმძღვანელი ორგანოს მუშაობისა და არა წინასწარი პირობა, რომელსაც უნდა მოყოლოდა უმალვე საერთო ეროვნული ორგანიზაცია და საერთო ხელმძღვანელობა, როგორც ამას მე მოვითხოვდი და ვიცავდი. მენშევიკებში იყვნენ ისეთები, რომლებიც ჩემს აზრს იზიარებდნენ. მოლაპარაკების ეს ფაზა, ეს ის დროა, როდესაც ბოჰემიის ამბები დატრიალდა და პოლიტიკური პარტიების ნანგრევებზე ჩეხოსლოვაკიაში და უკრაინელთა შორის ერთი ეროვნული დარაზმულობა ეწყობოდა. მაგრამ ჩვენ საკმაო სისწრაფე ვერ გამოვიჩინეთ და მეორეს მხრით ,,ნაციონალისტთა" სხვადასხვა დაჯგუფება შეუგნებელი სიმკაცრით ებრძოდა ჩვენს პოზიციას, იმის მაგივრად, რომ ყველას ერთი პირი გვქონოდა მენშევიკების მოსარჯულებლად და ყველას გულახდილათ მოგვეთხოვა პარტიული ორგანიზაციის დაშლა და ერთი ეროვნული ორგანიზაციის შემოღება. მოლაპარაკება გაჭიანურდა. ამასობაში, საერთაშორისო მოვლენებმა ის განვითარება მიიღეს, რომელსაც ჩვენი პარტნიორები გულისხმობდნენ. მოხდა თუ არა აღმოსავლეთისკენ წინსვლის მობილიზაცია (ინგლის-საფრანგეთის გავლენის სიაშკარე), მენშევიკებმა გუნება იცვალეს. ეხლა დაინახეს, რომ მათთვის პარტიის დაშლა შეუძლებელი იყო და რომ ჩემს წინადადებაზე ვერ წამოვიდოდნენ. ცხადი შეიქმნა, რომ ისინი ამ ეროვნულ ერთობას არსებითად და თვით ეროვნული საჭიროების თვალსაზრისით კი არ ბჭობდნენ, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე გამოსულ მოქიშპე ძალთა ღირებულების მიხედვით!

სპ. კედია

ჯ. შარვაშიძის წერილი სპირიდონ კედიას

15.10.1933.

საყვარელო ძმაო სპირიდონ!

მივიღე შენი წერილი, რომელიც გახსნილი იყო და ვფიქრობ, რომ დაგავიწყდათ დაწებვა და მონახევს უკანვე გიგზავნი. ვისმინე ყოველივე შენი წერილიდან, ვინახულე საიდ ბეი, წაუკითხე შენი წერილი, ძალიან გაუხარდა და მოგიკითხა დიდი სიყვარულით. სთქვა, რომ მე და ჩემი ჯგუფი მზად ვართ აქტიურად შევებრძოლოთ ამ ფაქტს. რაც შეეხება აქაურ მთიელ და აზერბაიჯანელს დანარჩენ წარმომადგენლებს და ზოგიერთ ქართველ მენშევიკებს, რომლებიც იბრძვიან ჟორდანიას ჯგუფის საწინააღმდეგოდ და აგრეთვე ჩვენი პარტიის ყმაწვილები ჩემთან ერთად ყოველივე ზომებს მივიღებთ, რომ გაიგონ პოლონელებმა, რომ საქართველო და ამიერკავკასია ეკუთვნის ხალხს და არა ნოე ჟორდანიას და ვარშავის კომიტეტს. რაც შეეხება ჩემს ჩამოსვლას, მქონდა ვიზა ჩხენკელიდან გამოგზავნილი ხუთი წლის წინედ და ეხლა რომ მივმართე ფრანგების საკონსულოს, მითხრეს, რომ

ვადა გასული აქვს და სჭირდება უკან გამოგზავნა გასაახლებლად, რომელიც გაუგზავნე აკაკი ჩხენკელს დაზღვეული წერილით. ინახულე აკაკი და სთხოვე ჩემს მაგივრად, რომ დააჩქაროს. როცა მივიღებ, შემდეგ აქაურ მთავრობაში მოვაწყობ წასვლა-მოსვლის ნებართვას. იყავი სულ კარგად და კარგად. გადაეცი ჩემი ძმური სალამი შენს ოჯახობას და ისევე გაიდარ ბეის ბამატს[154] ჩემი სალამი და მადლობა.

მომიკითხე სულ ყველა ჩვენი პარტიის ყმაწვილები.

შენი ჯ. შარვაშიძე.

სპირიდონ კედიას წერილები მეუღლის _ სოფიო ჩიჯავაძე-კედიასადმი

18.5.1942

ჩემო ძვირფასო და საყვარელო სონეტ,

და ჩემო სიცოცხლეო თოლიავ,

ჯერ ორივეს ბევრს გაკოცებთ. მერე გეტყვით იმას, რომ ძალიან მაკლიხართ და ამიტომ ხშირად აზრითა და ოცნებით დროს თქვენთან ვატარებ. ოჯახის სიტკბოება, სჩანს, მეტ ძალას ადამიანის სიბერის დროს ამჟღავნებს!

აქ ჩვენ საქმეს[155], ამჟამად, ბევრად უკეთესი პირი უჩანს, ვიდრე ეს ამ სამი თვის წინად იყო და საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენი საკითხი, რამდენადაც ეს დღევანდელს პირობებშია შესაძლებელი, სასურველ გადაწყვეტილებას მიიღებს. ასეთია შთაბეჭდილება და არა მარტო შთაბეჭდილება, არამედ ამის ობიექტური ნიშნებიც არის. თვითონ გასინჯეთ: გამოწვეულია ბევრი პოლიტიკური პიროვნება კავკასიელებიდან. ყველა ამათი აზრი მოსმენილი აქვს ამ საქმისთვის საგანგებოთ დანიშნულ პიროვნებას ბ-ნ. შულენბურგს[156]. წარდგენილია მრავალი წერილობითი მოხსენებანი სხვადასხვა საკითხზე, კავკასიელები ჯერჯერობით თავ-თავიანთ ეროვნულ ერთეულებში ბჭობენ და საქმიანობენ და ნაბიჯებსაც ცალ-ცალკე დგამენ. ქართველებიდან აქ ჩამოვიდნენ ირაკლი ბაგრატიონი[157], რაფო ინგილო, მაღლაკელიძე[158] და ვაჩნაძე[159]. ეს კავკასიური კონფერენცია მოწვეულია როგორც შედეგი სხვადასხვა პირთა მუშაობისა, მაგრამ უმთავრესად კი უკანასკნელი დროის მოვლენათა წყალობაა. ყველა მასალა წარდგენილია, უკვე შესწავლილიც აქვს ბ-ნ. შულენბურგს და ამ დღეებში წარდგენილი იქნება საბოლოოთ უმაღლეს ინსტანციაში და პასუხიც, ალბათ, არ დააგვიანებს. თუ არ გაცრუვდა ის, რასაც პასუხისმგებელი და კარგად გაგებული პირები ამბობენ, ჩვენი ქვეყნის სტატუტი სლოვაკიის სტატუტის მაგვარი უნდა იქმნეს. დღევანდელს პირობებში ამაზედ შორს წასვლა შესაძლებლად არ ისახება.

იმედი მაქვს, რომ ჯანზედ კარგად ხართ. მე უფრო მეშინიან თქვენი, ალერტების გამო. როგორც გავიგე, ჩემი წამოსვლის მეორე-მესამე დღეს დიდი თავდასხმა მოუხდენიათ კოლომბის რაიონში, მას შემდეგ თავდასხმა კიდევ მოხდა თუ არა, მე არ ვიცი. მე იმედი მაქვს, რომ თანდათან შეეჩვევი, ჩემო სონეტო, ამ მოვლენას და შიშიც ნაკლები გექნება. ეს აუცილებელია და ამ მხრივ უნდა გულდამშვიდებით ვიყოთ. მეორე, რაც მე მაინტერესებს, ეს ისაა, თუ როგორ ჩაიარა ივ ნატის[160] კონცერტმა და რა სიამოვნებით წამოხვედით მანდედან. მოხდება

ხოლმე, რომ ადამიანი გულნაკლული რჩება ასეთ შემთხვევებში, რაკი მისი გადაჭარბებული წარმოდგენითი სიამოვნება იმაზედ შორს მიდის, რის მოცემაც ადამიანურად შესაძლებელი არის. თქვენც ასე ხომ არ დაგემართათ. თუ პირიქით, რასაც მოელოდით, იმაზედ მეტი მიიღეთ და ისიამოვნეთ. ყოველ შემთხვევაში, ათი მაისი მე აქ ბერლინში კარგად მახსოვდა და ვწუხდი, რომ თქვენ შორის მეც იქ არ ვიყავი.

ჩემს ამბავს იკითხავთ. მე კარგად ვარ. ვცხოვრობ როგორც სტუმარი ისე, საუკეთესო სასტუმროში და სუფრაც იქვე მაქვს. ასე არიან სხვებიც. ასეთია ადათი. მაგონდება 1918 წელი. სწორედ აქ სასტუმროში იყო ქართული დელეგაცია, მე, ზურაბი,[161] აკაკი ჩხენკელი, ნ. ნიკოლაძე, გიორგი მაჩაბელი და სხვანი...

ეხლანდელი ჩვენი საქმიანობა თავის დასაწყისით ამ წინანდელ პრეცედენტს მაგონებს. მეშინიან დასასრულიც მისი არ მიეცეს!..

შენ წარმოიდგინე, გივი[162] ჯერაც არ ჩამოუყვანიათ, მაგრამ უსათუოდ ორ-სამ დღეში აქ იქნებიან და პარიზში ერთად წამოვალთ, როგორც კი დამთავრდება ეს ჩვენი კონფერენცია. ჯანზედ კარგად არის, გესმის სონა. შენებურად კუდები არ გამოაბა და ტყუილ-უბრალოდ დარდში თავი არ ჩაიგდო. შენ გმართებს კარგი მასპინძლობა ჩვენი ჩამოსვლის დღეს (ლოგინის საქმეა მოსაგვარებელი ნუ დაივიწყებ).

ამ წერილს და მარგარიტა მაჩაბლის წერილს დღეს ვატან პარიზში მომავალ კაცს ახალგაზრდა ჯამალიანს და ის ფოსტით გადმოგიგზავნით. ჩემის ანგარიშით ამ თვის ბოლომდე უსათუოდ ჩამოვალ. არ შეიძლება საკითხის გამორკვევას არ დავუცადო. ამას გარდა, აქვეა გადასაჭრელი კომიტეტის შედგენის საკითხი და ხომ იცი, თუ ეს რა ხათაბალა საქმეა. ოღონდ მოთავდეს და ვინც უნდა იყოს მის სათავეში ჩემთვის სულ ერთია (ჩვენ შორის _ მე მინდა მიხაკო[163] იყოს და უარზეთ არც ისაა, ამიტომ შეიძლება საკითხი ასე გადაიჭრას თუ სხვა დაბრკოლება არ აღმოჩნდა).

მამა, შენ რასა შვრები? შენი გამოცდები სოლფეჯიოში როგორი შედეგებით გესახება? ბევრი ხომ არ იზარმაცე? მამა გენაცვალოს, ნუ ნუ იზარმაცებ; ხელი გამოიღე, იბეჯითე და ისეთ მორალურ კმაყოფილებას იგრძნობ თუ გამარჯვებული დარჩები, რომ მერე მადლობას აქეთ გვეტყვი ასეთი რჩევისათვის. შენი საკონკურსო ნაჭრები რა მდგომარეობაში გაქვს? ალბად, ყველა ზედმიწევნით შეითვისე და გაიზეპირე და ტექნიკა უმწიკვლო გაქვს. აღსრულების მხრივ შენი არ მეშინიან, ყოჩაღი გოგონა მყევხარ და იმედი მაქვს, რომ თავს ისახელებ. გოგი მაღალაშვილი იყო ჩემთან _ მას ეხლა ხშირად ვხვდები და მითხრა _ თეოს საქმეს მოვაწყობო, უსათუოდ მოვაწყობო, მაგრამ საგანგებოთ ამ საქმისათვის არ მინდა შევხვდე იმ ადამიანს, არამედ სულ სხვა მიზნით მომხდარი შეხვედრის დროს ეს ჩემი სათხოვარი მინდა გავაცნოო და საჭირო ბარათი პარიზში გადავაგზავნინოო. პირიანი ყმაწვილია და იმედი მაქვს მართლაც გააკეთებს, ოღონდ დრო უნდა ამ შეხვედრის მოსაწყობად. დედას მოუარე ჩემო კარგო.

აბა, კარგად იყავით ორივენი და კიდევ ბევრს გაკოცებთ.

თქვენი სპირიდონი

5. 7. 42

ჩემო ძვირფასო სონეტო,

მეც თვალი სულ თქვენსკენ მიჭირავს და ვერ იქმნა დღემდე აქედან ვერ დავიძარი. ვერ წარმოიდგენ, როგორ მომბეზრდა ამ ოტელში ყოფნა! ერთმანეთში ვერ მორიგებულან ჩვენი საკითხის გამო და ჩვენ იძულებული ვხდებით ჭიდილის დამთავრებას ველოდოთ. გაგებული გექნება, რომ სხვადასხვა უწყებები სხვადასხვა თეზას იცავენ ქართულ-კავკასიური პრობლემის შესახებ და საბოლოო ინსტანციაში ჯერ დავა გადაჭრილი არ არის, ხოლო ჩვენი აქ ყოფნა საჭიროდ მიაჩნია იმ უწყებას, რომელმაც გამოგვიწვია. ყოველ შემთხვევაში, მე თანხმობა მაქვს მიღებული _ 15 ამ თვეს მაინც აქედან ავიყარო და ამ დღეს დიდის სიხარულით მოველი. ჩემს ოჯახში, ცოლშვილში ყოფნა და ერთის ჰაერით სუნთქვა ჩემი დიდი ნატვრა და ბედნიერებაა. 15-მდე, გივის საქმეც დასრულდება. ვერ წარმოიდგენ რამდენი ბიუროკრატიზმია საერთოდ. ხოლო გივის საქმეს კერძოდ კიდევ ის გარემოება ართულებს, რომ ჯერ პრეცედენტი არ ყოფილა რომ ტყვე გაენთავისუფლებინოთ უცხო ქვეყანაში წასასვლელად (ამ შემთხვევაში იგულისხმება საფრანგეთი) და ამ ფორმის ძებნაში არიან. არსებითად ყველა უწყება თანახმაა, რომ გივი გამომატანონ, დროებით მაინც. თეონას ამბავმა ძალიან გამახარა, მადლობა ღმერთს რომ წელიწადი არ დაეკარგა; კარგი კიდევ, რომ კონსერვატორიის ადმინისტრაციას ბავშვის ავადმყოფობა სახეში არ მიუღია და რომ დაჟინებით კონკურსზე გამოცხადება მოუთხოვნია. მართალია, თოლიასთვის ეს მძიმე იქნებოდა, რაკი ამდენი ხანი უავადმყოფნია და ბევრი დრო გაუცდენია, მაგრამ ყველაფერი რაც კარგად თავდება, კარგია და სასიამოვნო. ეხლა ჯანზედაც მოკეთებულია და აქსესიტიც გაუკრავს! რომ ჩამოვალ ვაქეიფებ მასაც და დედამისსაც. ალბათ საჭმელისაგან თუ მოიწამლა! დიდი სიფრთხილეა საჭირო. წარმოდგენილი მაქვს, რა ღელვაში იქნებოდი მთელი ეს დრო, ცალკე ბავშის ავადმყოფობა, ცალკე კონსერვატორიასთან საქმის გართულება და ცალკე კიდევ ჩემი მანდ არ ყოფნა და მაჩაბლის მეუღლის გასაგები წრიალი! მაგრამ ამ არეულ დროში ვინაა ისე ბედნიერი, რომ დამშვიდებულად იცხოვროს? ან ამის თქმა რად მჭირიან, შენ ეს ჩემზე უკეთ იცი და ამიტომ დარწმუნებული ვარ ყოველ ღონისძიებას იხმარდი, რომ ყველა ეს უსიამოვნო ამბავი დინჯად გადაგეტანა. ეხლა ჩვენი მთავარი საზრუნავია, რომ თოლია დავასვენოთ; თოლიასთან ერთად შენც და გივიც უნდა იყოთ. რომ ჩამოვალ, ერთ კვირაში უნდა გახვიდეთ სოფლად; იქნებ გაიკითხ-გამოიკითხოთ და ადგილი შეათვალიეროთ. გაზეთებში ანონსები იქნება სააგარაკო პანსიონებისა, თოლიას უყვარს ანონსების კითხვა და რაც საგულისხმო იქნება, ჩაინიშნოს. წერილიც მისწეროს პირობების გასაგებად, ნუ დაიზარებს. ერთი თვენახევარი მაინც უნდა დაჰყოთ ჰაერზე. ჩემთვის სამძიმო კი იქნება ისევ უთქვენოდ დარჩენა, მაგრამ რა ვქნა, რომ სხვანაირად ეს ვერ მოხერხდება. ამდენი დრო მოვსცდი ქარხანას და ეხლა კიდევ შვებულების აღება არამც თუ უხერხული, არამედ პირდაპირ ურცხვი რამ იქნება, მაგრამ ამაზე მაშინ ვნახოთ, როცა საქმე საქმეზე მიდგება.

ჩვენი საქმე ჯერ გარკვეული არ არის და ეს გამოწვეულია არა მარტო იმ შინაგანი დავით, რაზედაც ზემოდ მქონდა ლაპარაკი, არამედ აგრეთვე დამოკიდებულია ზოგიერთ საგარეო ფაქტორებზეც, რასაც გერმანიამ ძალაუნებურად ანგარიში უნდა გაუწიოს, მაგრამ ვინაიდან ამ ბოლო ხანებში გერმანიამ დიდ გამარჯვებას მიაღწია, ამიტომ იმედი მაქვს, რომ ეს საგარეო ფაქტორებიც მალე ამ თუ იმ საბოლოო დაფასებას მიიღებენ და მაშინ ჩვენი საკითხიც გადაიჭრება. შეიძლება ჩემს ჩამოსვლამდე, ესეც გამოირკვეს და მაშინ მომავალს უფრო ნათლად დავინახავთ.

მანამდე იყავით კარგად, გულს ნუ შეიჭირვებ, არამედ ეცადე მხნე და იმედიანი იყო. მომავლის პერსპექტივა ამის საფუძველს გვაძლევს.

ბევრს გაკოცებ შენც და ჩემს გოგონასაც. შენი სპირიდონი.

ბერლინი 3.9.1942

ჩემო ძვირფასო სონუნი,

მე არ ვიცი, თუ ვის უფრო გაუძნელდა მოგზაურობა _ მე ბერლინამდე, თუ თქვენ კლამარამდე, რაც ერთმანეთს დავშორდით. მე ძალიან მეეჭვება, რომ თქვენ მატარებელს მიუსწრებდით და თუ ეს ჩემი ეჭვი მართალი გამოდგა, წარმოდგენილი მაქვს თუ რა ამბავი გექნებოდათ. ახალგაზრდები კმაყოფილი იქნებოდნენ სასტუმროში დარჩენის ახალი გარემოებით და შენ კიდევ სულ საწინააღმდეგო გუნებაზე დადგებოდი. გზას არა უშავდა რა. ოღონდ ძალიან ცხელოდა და ცოტა ამან შემაწუხა. რაც ჩამოვედი, მშვენიერი ამინდი დგას. აქაურ ქართველობაში ახალი არაფერია; ადამიანი იტყვის მხოლოდ, რომ ბრძოლით _ ურთიერთშორის უსაგნო კინკლაობით _ დატანჯული, დროებითს ზავს მისცემიანო. თუ როდემდის გასტანს ეს ზავი, ძნელი გამოსაცნობია. რაც შეეხება თვით იმ საქმეს, რომლისთვისაც ჩამოვედი, საბოლოოდ ჯერ გამორკვეული არაფერია. მქონდა ერთი შეხვედრა ოსტმინისტერიუმის მოხელესთან, რომელიც ჩვენს საქმეზეა მიჩენილი. მისი ნათქვამით და აზრებით სრულიად კმაყოფილი ვარ, ოღონდ მარტო მისი აზრი საკმარისად არ მიმაჩნია. ხვალ უფრო დიდ პირთან მექნება მოლაპარაკება; მას მინიჭებული აქვს სრული კომპეტენცია ჩვენი საკითხის გადასაჭრელად და ამიტომ მასთან შეხვედრა სრულიად გარკვეულ წარმოდგენას მომცემს ქართულ-გერმანული თანამშრომლობის ხასიათის შესახებ. ამისდა მიხედვით მეცოდინება, შესაძლებელია თუ არა ჩემი აქ დარჩენა. დადებით შემთხვევაში, მოეწყობა ჩვენი წარდგომა თვით მინისტრის წინაშე, რასაც საბოლოო სანქციის მნიშვნელობა მიეცემა. თუ ეს მოხდა, ამას აბა რა ემჯობინება. ამ ორ კვირაში ყველაფერი გვეცოდინება და მე უკან დავბრუნდები, როგორიც არ უნდა იყოს საქმის დაბოლოება.

ეხლა პარიზის ქართველებში იქნება დიდი ამბავი, ვიქტორ ქავთარაძის ჩამოსვლის გამო. აქ ჯერ კიდევ შოვნის და გლეჯის პერიოდია. საკმარისია შემთხვევით ნაცნობობა ამა თუ იმ მოხელისა, რომ საქმის დეკორაცია სულ გამოიცვალოს, ან უკეთ გამოცვლის შთაბეჭდილება მაინც იყოს. ხსენებულ ქავთარაძეს, რომელიც შვეიცარიაში ძალიან საპატიო საქმეს _ თევზის ვაჭრობას ეწევა, ისეთი ნაცნობობა ჰქონია აქაური პროპაგანდის სამინისტროს ერთ ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვან მოხელესთან და შეთანხმებულან შემდეგზე: მას, ე.ი. ქავთარაძეს აქ უნდა ჩამოეყვანა ჟორდანია, გეგეჭკორი, ჩხენკელი, კანდელაკი და გვარჯალაძე. ჟორდანიას უნდა საჯაროდ უარეყო მარქსიზმი _ იგულისხმე მენშევიზმი, _ და გამოეთქვა ახალ მოძრაობაში ჩადგომის სურვილი. ამ გადანათვლის შემდეგ, შესაძლებელი გახდებოდა ერთი ქართული მთლიანი მოძრაობის შექმნა და ყოფილ მენშევიკებს _ ეხლა უკვე ნაციონალიზმის რჯულზე მოქცეულებს _ თავიანთი ადგილი დაეთმობოდათ საერთო ხელმძღვანელობაში. მე არ ვიცი, როგორ დასრულდება ქავთარაძის მისია. ჩემდა თავად, ამის წინააღმდეგ არაფერი მექნებოდა. ვინაიდან არსებითად მთელი ეს წლები იმას ვქადაგებდი, რომ პარტიულ დოგმებზე და ორგანიზაციებზე ხელი აგვეღო, რომ ერთმანეთთან მივსულიყავით როგორც ქართველი ქართველთან და შეგვექმნა ერთი ქართული მოძრაობა. ამ ჩემს მოწოდებაში მთავარი სიმძიმე სწორედ ქართველ მენშევიკებს აწვებოდა. ვინაიდან მარქსიზმის დაგმობა და ნაციონალიზმის რჯულზე მოქცევა ამდენი ხალხისა,

ნამდვილ ეროვნულ შემატებათ მესახებოდა. ასე რომ, მე მომხრე ვარ იმისა, რომ ქავთარაძემ მიზანს მიაღწიოს და ეს ძველი გვარდია ახალ მექქაში ჩამოიყვანოს და ძველ სარწმუნოებაზე საჯაროდ, ქვეყნის გასაგონათ, ხელი ააღებინოს. ეს იქნებოდა ქართული საქმისა და აზრის გამარჯვება და მე ყოველთვის იქა ვარ, სადაც ამ გამარჯვებისთვის მუშაობენ...

ეხლა შენ როგორ ხარ, თეიკო რას შვრება, გივი როგორა გვყავს. ჯერ მისი მეგობრები არ მინახავს, დავიბარე ლეო გვანცალაძე, მაგრამ ჯერ არ მოსულა. ვნახე შტადლერი და მისი მეუღლე. დიდი მადლობა გადავუხადე. მართლაც, მეტისმეტად საგრძნობელია ის მხურვალე ყურადღება, რომელიც მათ გივის მიმართ გამოუჩენიათ.

გუშინ მიშამ[164] მითხრა, საშა ცომაიას[165] დეპეშა გავუგზავნე, რომ ჩამოვიდესო. განზრახულია ერთი კავკასიური ეკიპის შედგენა და მისი გაგზავნა თვით ბრძოლის ფრონტის მახლობლად იმ დანიშნულებით, რომ გამარჯვებული ჯარის კავკასიაში შესვლის შემდეგ, ეს ეკიპი თან შეჰყვეს, მეორე რიგში, ეს-ესის აპარატს. ამ ეკიპს მიშა ხელმძღვანელობს. ეს ვითარება საშას გააგებიე, რომ იცოდეს თუ რაშია საქმე. ჩვენი კაცის და ისეთი კაცის, როგორიც საშაა ამ საქმეში ყოლა ძალიან საჭიროა, თუ ეს საქმე მართლა მოეწყო და საქართველოში ჩამოსვლა გვეღირსა. მიშა კარგად არის _ ვალიას ეს გადაეცი და თან მომიკითხე, ბავშვები დამიკოცნოს.

მე კარგად ვარ, სახეზედაც მოვჯობინდი, შენს მურაბას სულ კოვზით ვჭამ და ყუათს მაძლევს, დღემდე პურიც მომყვა და რასაკვირველია კარაქიც. აბა იყავი კარგად და ყოჩაღათ. ბევრს გაკოცებ, თეოსაც და გივისაც. ვფიქრობ, რომ ახალ ბინაზე გადასვლა უსათუოდ მოგვიხდება და საჭიროა ამ ბინის მოძებნა, მაგრამ თქვენ ამას ვერ მოახერხებთ. ყოველ შემთხვევაში, თადარიგი დაიჭირეთ და ვინიცობაა სადმე ხელსაყრელ შემთხვევას წააწყდეთ, ხელიდან არ გაუშვათ. დამირეკეთ. თუ ავეჯით იქნება, მით უკეთესი, ამის საშუალებას ვიშოვნით. 40 ან 50 ათასი ფრ. ბინის მოსაწყობად გვექნება. ეს ბევრი არაა, მაგრამ უბრალო მოწყობილობას ეყოფა. კიდევ და კიდევ გაკოცებთ ყველას. შენი სპირიდონი.

ბერლინი

11.9.1942.

სონუნი, ჩემო ძვირფასო და საყვარელო,

აქ მდგომერეობა ნელ-ნელა ირკვევა. რაც მათ უნდოდათ, ის ჩემთვის მიუღებლად დავინახე. რაც მე მოვითხოვე, იმის დაკმაყოფილება, ამჟამად, მათთვის შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ პირობებში, გამოსავალი საშუალო ფორმულის გამოძებნაში მდგომარეობდა და ამ სახის წინადადება, ჩვენის მხრიდან, კიდევაც წარვუდგინეთ. ეს წინადადება გამოითხოვს დამოუკიდებელი მოქმედების უფლებას, საქართველოს პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლების დასაცავად და აღსადგენათ. თუ ამაზედ დაგვთანხმდნენ, ჩვენ გვექნება დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანოს მდგომარეობა, თავისთავად სრულიად ღირსეული და ეროვნულად მოსაწონი, გამოსადეგი და სავალდებულო. ამ პირობებში აქ მუშაობასაც ხელს მივყოფთ, მომავალი კვირის განმავლობაში გვეცოდინება ოფიციალური პასუხი ამ წინადადებაზე, ყოველ შემთხვევაში, ასე არიან დაპირებული. როგორიც არ უნდა იყოს ეს პასუხი, მე მაშინათვე პარიზში გამოვსწევ.

მე კარგად ვარ, შედარებით მოვჯობინდი და თავს უკეთ ვგრძნობ. შენი გამოტანებული კარაქი და შაქარი კიდევ რამდენიმე დღე მეყოფა და ამასობაში მანდეთ წამოსვლაც მომისწრებს და ამგვარად სიმშილს გადავურჩები. მანდ როგორა ხართ, ან ჭამის მხრივ, ან ჯანზე. იმედია კარგად. თეო ან გივი როგორ არიან, ან რას აკეთებენ!

ამ წერილს რომ მიიღებ, მაშინათვე დაჯექი და მანდაური ამბავი მომწერე. წერილი ვალიას გადაუგზავნე, რომ მან გამოატანოს იმავე პირს, ვინც ამ წერილს ჩამოგიტანს.

იყავი კარგად. ბევრს გაკოცებ.
შენი სპირიდონი

თოლია და გივუნი დამიკოცნე.

P.S. ეხლა გავიგე, ვალია ლიოვილში ყოფილა და ამ წერილსაც სხვა კაცს ვატან და არა იმას, ვინც ზემოთ მყავდა სახეზე.

28.10 42

ჩემო ძვირფასო და საყვარელო სონუნი,

დღეს სწორედ ერთი კვირაა, რაც მანდაურობა დავტოვე. მგზავრობა კარგი მქონდა. ჯანზედ კარგად ვარ და მშვენიერი დარი დგას, მას აქეთ რაც ჩამოველი. მთვარიანი ნათელი ღამეები ძველ მოგონებებს მიღვიძებენ. თუ ეს ამინდი ასე გაგრძელდა, შეშა და ნახშირი არავის დასჭირდება, მაგრამ აქაურები მეუბნებიან, რომ მალე შეუქცევსო და სიცივეებს დაიჭერსო. ზამთრისთვის ეს ბუნებრივია და დამდურებით ვერავის დავემდურებით. კლამარიდან წამოღებული სანოვაგე ძალიან მშველის და ჯერ არაფრის ნაკლებობა არ მიგვრძნია. ამას გარდა, გუშინ ექიმთანაც ვიყავი იმ მიზნით, რომ ჯანმრთელობას თავის დროზედ და სისტემატიურად მოვუარო, გარდა თირკმელებისა, სხვა ორგანოები კარგად მუშაობენ და საკმარისია ზომიერი გადაუჭარბებელი ცხოვრება, რომ მათ დაღალვა და დაზიანება ასცდეს. ამ მხრივ დიდი მონდომება და რეჟიმის შეცვლა არ დამჭირდება, ვინაიდან ჩემი ცხოვრების წესი, როგორც იცი, ყოველთვის ზომიერია. ერთადერთი, რაც განსაკუთრებულ წამლობას მოითხოვს გარდა თირკმელებისა, ეს არის სისხლის წნევა, რომელიც ჩვეულებრივად ნორმალურზედ საგრძნობლად დიდი მაქვს. ამის წინააღმდეგ წამალი მომცეს და რეჟიმი დამიწერეს. ერთსაც და მეორესაც ბოლომდე მივყვები.

ამ სამი დღის წინად, ქართველ ტყვეებთან ვიყავი, ბერლინის მახლობლად. მათ შორის სამი ზუგდიდის მაზრიდან იყო, რომელთაგან ერთი პირდაპირ ზუგდიდიდან იყო, ვინმე აკობია. თუ გაგიგონია პავლე აკობია, იმის ძმისწული. წამოსულია საქართველოდან ამ ერთი წლის წინად. კატო ჩემი და, მისი თქმით, კარგად ყოფილა, ძველებურად თურმე მასწავლებლობს. ბევრი საინტერესო რამ მიამბეს. შენს შემდეგ, ამ კოლხოზობის შემოღების გამო, სოფლის ცხოვრება პირდაპირ აუტანელი გამხდარა. სოფლის კაცს, გარდა იმისა, რომ სახნავ-სათესი ჩამოერთვა და კოლხოზში გადავიდა, არც ფრინველობის მოშენება შენაძლება და არც პირუტყვისა; თითო

ცალზე მეტს ვერც ძროხას იყოლიებს თურმე და ვერც სხვა პირუტყვს და რაც ყავს იმაზე, შეუფასებლად უზომო გადასახადია დაწესებული. ამ ნიადაგზე, ხალხში დიდი უკმაყოფილებაა, მაგრამ ტერორის ქვეშ მყოფი, იგი ხმის ამოღებას ვერ ბედავს და ყველაფერს ჩუმად იტანს. იყვნენ სხვა კუთხეებიდანაც. ერთი ქოჩრიანი ბიჭი _ კისისხეველი სიმონიშვილი იყო. ვკითხე, თუ რა მოუვიდა ჩიჯავაძიანთ სახლ-კარს მეთქი. მისი თქმით, იქ მოთავსებულია კოლხოზის სამმართველო. საერთოდ კარგი შთაბეჭდილება დამრჩა ამ ბანაკისაგან. მშვენიერი გუნდი ჰყოლიათ და რამდენიმე სიმღერა საუცხოვოდ შეასრულეს. მთელი ექვსი საათი დავრჩი მათთან და უკან ძალიან ნასიამოვნები გამოვბრუნდი. აქ მაგონდება მარგარიტას ძმისწული. მას ჯერ ვერსად მივაგენი. იმ ბანაკიდან სადაც იყო, გამოუყვანიათ და ტყვეობიდან გაუნთავისუფლებიათ, მაგრამ სამაგიეროთ როგორც მოხალისე ისე შესულა საშინაო თავდაცვის სამსახურში და ვერ გაგვიგია, თუ ამჟამად სად იმყოფება. ძებნას არ შევაჩერებთ და იმედი მაქვს, რომ ბოლოს და ბოლოს მივაგნებთ.

სხვა კლამარში, რა ამინდი დგას ან ჯანზე როგორა ხართ, ან შენ, ან თეო, ან გივი. საჭმელ-სასმელს შოულობთ, თუ არა. თუ გაგიჭირდეთ, გრიშას დაურეკეთ (ცხაკაიაზე ვლაპარაკობ) და შეიძლება რეგულიარულად მისგან ზოგი რამ იშოვოთ კიდეც. ხოჭოლავასაც ტელეფონით მოაგონე რაც მე ვსთხოვე და იმედი მაქვს დაპირებულს შემისრულებს. ნაწილ-ნაწილ ოციოდე ტომარა რომ მოგვიხერხოს, კარგი საქმე იქნება. შეშას მოიტანდნენ. გირჩევ ქარხნიდან გამოატანიე (ლაკომბს უთხარით) შეშის ფეჩი და ის დაადგმევინე, ჯერ მაინც, ვიდრე არ აცივებულა. ბევრს გაკოცებ. იყავი ყოჩაღათ, შენი სპირიდონი.

P.S. ტიტეს[166] სახელზედ მოიწერეთ და ყოველთვის გადმომცემს. ჯერ სასტუმროში ვარ და როდესაც კერძო ბინაზე მოვეწყობი, მაშინ ჩემს მისამართს შემოგითვლით და იმ მისამართით მომწერთ.

თეოსა და გივის ძალიან ვსთხოვ _ დედასა და მამიდას გაუფრთხილდნენ და თითონ ძალიან იბეჯითონ. პატივისცემა ჩემზე იყოს. ბევრს ვაკოცებ ორთავეს.

ჩემმა აქციონერმა ხომ არ შემარცხვინა იმ კრებაზე?

მამი, გიბს-ის სამართებელი (ლამეს) მიყიდე რამდენიმე პაკეტი ჰერბორისტთან კლამარში, შემპირდა შეგინახამთო და თქვენს ქალს გადავცემო. აბა, ყოჩაღათ იყავი, შენი იმედი მაქვს, რომ დედას გაუფრთხილდები და შენს საქმესაც კარგად წაიყვან.

შენი მამა სპირიდონი.

ბერლინი 3-XI-42

ჩემო ძვირფასო სონუნი,

რაც წერილი მოგწერე, მას აქეთ აქ არაფერი მომხდარა საყურადღებო. ჩვენი საერთო საქმის შესახებ ჯერჯერობით ბევრი არაფერი მაქვს მოსაწერი, გარდა იმისა, რომ მუშაობა ნელ-ნელა ეწყობა. აქ, დღევანდელს პირობებში, ყოველი უბრალო საქმე მეტისმეტად გაძნელებულია და ამიტომ ბევრი დრო გვჭირია, მოქმედებისათვის აუცილებელი რომ არის, იმ ტექნიკური პირობების მოსაგვარებლად.

ამას წინად პირველი კონტაქტი ჰქონდა ჩვენს კომიტეტს შერჩეული ქართველების აუდიტორიასთან, რომელსაც მოხსენდა ისტორია კომიტეტის დაარსებისა, საფუძვლები, რომელზედაც იგია დაფუძნებული და მისი მიღწევები ამ სფეროში. დამსწრეებმა ქათინაურები და ნდობა გამოუცხადეს... იყო თითო-ოროლა მორიდებული შენიშვნაც. ესაა და ეს, დანარჩენს მერე ვნახავთ.

სხვა ან შენ როგორ ხარ, ან ბავშვები როგორა გყავს. მითხრეს ამ უკანასკნელად ჩამოსულებმა, რომ შედარებით ლმობიერი ამინდი ყოფილა პარიზსა და მის ახლომახლო ზონაში; მადლობა ღმერთს, ამ მხრივ ჯერ-ჯერობით მაინც შეწუხებას არ იგრძნობდით და ესეც დიდი საქმეა. შარშან ამ დროს უკვე სიცივეები იდგა და მისი შედეგები ძალიან საგრძნობი იყო.

სონუნი, არ მეგონა თუ ამ წერილსაც ორ სხვა დანარჩენ წერილთან ერთად გამოვგზავნიდი და ამიტომ აქაც იმის განმეორება მიხდება, რასაც თეოსა და გივის ვსწერ. მე ძალიან მაინტერესებს თეოს სიმღერის საქმე კერძოდ და მისი საერთო მუშაობის საკითხი საზოგადოდ. იქ რომ ვიყავი, მპირდებოდა, რომ სიმღერასაც დაიწყებდა, როგორც კი გამოირკვეოდა მუსიკის საამწლო პროგრამა. თუ ეს არ შეასრულა, იცოდე ძალიან გულნაკლული ვიქნები. გერმანული ენის მასწავლებელი დადის თუ არა...

სანოვაგის საკითხში, რამე ცვლილება მოხდა თუ არა; შეიმატეთ თუ არა ან ლობიო ან კარტოფილი ან მაკარონი ან სხვა რამ. მუახანს თუ გამოართვით, რაც შეპირებული იყო. კარგი იქნებოდა თუ 50-ის მაგიერ ან 100, ან თუნდ 150-ს გამოართმევდი. გარდა იმისა, რომ დიდი ხნით უზრუნველყოფილი ვიქნებოდით, ამის საშუალებით შეიძლებოდა რაც გვაკლია იმის შოვნა ან პირდაპირი გაცვლა-გამოცვლის გზით ანდა არაპირდაპირი გადაცვლით. ერთი სიტყვით, თუ რისამე შოვნის საშუალება არის, სჯობიან ამ თავითვე შეიძინო.

შენი კაბის საქმე თუ გამოაგვარე; უფრო ენერგიულად უნდა შეუდგე საქმეს, თუ გინდა რასმე გახდე. ბევრი რამ გაკლია და თუ ეხლა არ შეეცადე ამ ნაკლის შევსებას, მერე კიდევ უფრო გაძნელდება, ვინაიდან ყველაფრის სტოკი თანდათან კლებულობს, თუ ფული გაკლია, შემომითვალე და აქედან გადმოგიგზავნი ცოტა რამეს. თეოს ნურაფერს მოაკლებ, რათა შესძლოს რიგიანი და ნაყოფიერი მუშაობა. ბავშები უჭმელობით არ დაგისუსტდეს.

აბა, იყავი კარგად, ჩემო კარგო, ბევრს გაკოცებ

შენი სპირიდონი.

სალამი ჩვენს მეგობრებს და მახლობლებს.

ბერლინი, 6.11.1942.

ჩემო ძვირფასო სონუნი,

ვსარგებლობ ხშირი შემთხვევებით _ ხან ერთი მიემგზავრება პარიზში, ხან მეორე _ და წერილებს მათი საშუალებით გიგზავნი. როგორც ჭირი, ისე მეზარება უცხო ენაზედ წერილის მოწერა, ისეთი გრძნობა მაქვს, რომ სივრცით დაშორებულებს ეს უცხო ენა სულითაც გვაშორიშორებს ერთმანეთს, თუმცა ცენზურის სიადვილის გამო ასეთი წერილი უფრო მალე მოგივათ ფოსტით. ქართული წერილები, ჯერ ერთი, ცენზურაში მეტ ხანს ჩერდება და მერე მისი წამკითხველი, ასე თუ ისე, ჩვენი

ნაცნობი გამოდგება და ეს იმდენათ მეხამუშება, რომ მირჩევნია ფოსტას სრულიად გვერდი ავუხვიო. ამიტომ ნუ გაგიკვირდება, თუ წერილებს ხანდახან დააგვიანდება. ეს იმას ნიშნავს, რომ წამომსვლელი ვერავინ ვნახე და ფოსტით კიდევ არ გამოგიგზავნე.

გუშინ ჩემთან იყო ერთი ქართველი ტყვე, ვინმე აბულაძე, 35 წლისა, მაშასადამე, ისეთი ქართველი ახალგაზრდა, რომელიც ბოლშევიკების შემოსვლის წელიწადს, 14 წლის ყრმა იყო და რომელმაც თავისი პიროვნების ინტელეკტუალური და მორალური ფორმაცია სავსებით ბოლშევიკების სკოლაში და ატმოსფეროში მიიღო. ძალიან გაგებული, იშვიათად დაკვირვებული და ქართული მრავალფეროვანი სინამდვილის კარგი მცოდნე. დინჯი, სერიოზული, ნაღვლიანი. საქართველოში დარჩენია ცოლი და სამი შვილი. ბუნებით ობიეკტიური და მიუდგომელი. ჩემთან მთელი ექვსი საათი დაჰყო. არ დარჩენილა ჩვენი ცხოვრების თითქმის არც ერთი მხარე, რომ არ შევხებოდი და რომ მისგან მოფიქრებული და დამაკმაყოფილებელი პასუხი არ მიმეღო. ლიტერატურა და ისტორია, მეცნიერება და ჩვენი უნივერსიტეტი, თეატრი და ეკლესია, მეურნეობა თუ ინდუსტრია, რეჟიმი საერთოდ, კოლხოზი ცალკეთ, არაფერი დაგვიტოვებია ისეთი, რომელსაც რაიმე საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა. ჩემი თანამესაუბრე იძლეოდა არა მარტო ინფორმაციას, არამედ მოვლენების ახსნასაც და მათ ანალიზს და ამას იმ ფორმით და იმ ღირსებით, რომელიც ჩემთვის სრულიად დამაკმაყოფილებელი იყო. ცნობია აგრეთვე ყველა ჩვენი დროის და ჩემი ხნის მოღვაწეები. სათითოოდ გამოვკითხე მათი ვინაობა. ბევრი, ვიზედაც დახვრეტას ამბობდნენ, ცოცხალი ყოფილა, მაგრამ გადასახლებული. ასეთებია მაგალითად, შალვა მიქელაძე,[167] ოსიკო მაჭავარიანი,[168] შ. ნუცუბიძე.[169] რაც შეეხება ოსიკო ბარათაშვილს,[170] იგი გადასახლებაში გარდაცვლილა. გამსახურდია თურმე თბილისშია, მას რამდენიმე რომანი დაუბეჭდია, კარგი ღირსებისა. სანდრო შანშიაშვილი თურმე ეწევა დრამატიულ მწერლობას და რამდენიმე კარგი ნაწარმოები შესძინა ჩვენს თეატრს. გრიშაშვილი თურმე ყოჩაღად არის და ღირშესანიშნავ ლიტერატურულ გამოკვლევებს იძლევა... ასეთი სიამოვნება იშვიათად მიგრძნია, ამ ყმაწვილის საუბარმა პირდაპირ დამატკბო. ბევრი მიამბო გათხრებზე და იშვიათ ძველისძველ ნივთებზე, რომელიც ამ გათხრების დროს უპოვნიათ. ქართველობის ის ენერგია, რომელიც წინად პოლიტიკაზედ იხარჯებოდა და ბოლშევიკების დროს პოლიტიკას განერიდა, მთლიანად გონებრივ მეცნიერულ მუშაობას მიადგა და ღირსშესამჩნევი მიღწევები იქონიაო. ქართული სულის შემოქმედება, მიუხედავათ თემატიური და სხვანაირი შეზღუდვისა, იმდენათ ნაყოფიერად გაიშალა, რომ ამას სხვებიც აღნიშნავენ და აფასებენო. ქართული უნივერსიტეტის ბოლო წლების მიღწევები ისეთ უნივერსიტეტებსაც კი ეხარბებათ, რომელთაც ერთი საუკუნის და უფრო მეტის არსებობა აქვთო და მოიყვანა კიევის უნივერსიტეტის დელეგაციის აზრი თბილისის უნივერსიტეტზე. ჩვენი უნივერსიტეტის და სხვადასხვა მაღალი სასწავლო დაწესებულებების კადრის წევრთა რიცხვი თურმე ექვსასამდე ადის და მათ შორის არაერთი და ორია სრულიად პირველ ხარისხოვანი მეცნიერი.

არის თურმე თავმოწონება და შეგნება საქართველოს დიდებისთვის მუშაობისა და ეს ყველაფერია... საცა ეს არის, იმ ხალხს ვერავითარი ძალა ვერ წააქცევს...

ამ წერილს მიტოს ვატან და სიტყვიერად ვავალებ ერთი ამანათის გამოგზავნა მომიხერხოს. ხუთ კილომდე შეიძლება ფოსტით გამოიგზავნოს. კარგი იქნება ერთი, ან ერთნახევარი კილო კარაქი, ერთი გირვანქა თაფლი, თუ სადმეა ცოტა ლორი ან

შაშხი, ერთი ფანტაზია პური და ასეთი რამ. თუ არ იქნება, თქვენი ჭირი წაუღია. რაც შეეხება ბინას, რაც მეტს ვუკვირდები, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ჩვენი პარიზში გადასვლა აუცილებელია. ამიტომ თეომ ოტიის რაიონში სააგენტოს უნდა მიმართოს და შეასახელოს ოთხ-ხუთ ოთახიანი ან ბინა ან პავილიონი. ჩემის აზრით, ამისათვის შეიძლება გავიმეტოთ 12 ან 13_14 ათასამდე წლიურად. შენ როგორ ფიქრობ?... სონუნი, იცოდე ძალიან დაგემდურები, თუ ჩამოსვლისას ჩაცმულ-დახურული არ დამხვდი, რაც გაქვს იქიდან, ეს ადვილათ მოხერხდება, ოღონდ უნდა გაისარჯო და მიდგე-მოდგე. აბა, იყავი კარგად.

ბევრს გაკოცებ ჩემო ფოჩო.
შენი სპირიდონი

ჩვენი ორი ბრძენი როგორ არის? დამიკოცნე და ჩემგან გადაეცი, რომ მათი გულმოდგინე მუშაობის იმედი მაქვს.

11. VI. 1942. ბერლინი

ჩემო ძვირფასო სონუნი,

…. . . . შემიქცია, თვით ამ საქმემ, რომლისთვისაც აქ ვიყავი გამოწვეული. თუ კარგად წარმოვიდგენთ მდგომარეობის სირთულეს და აქაური მექანიზმის მოუწყობლობას ჩვენი და ჩვენდაგვართ საკითხების მოსაგვარებლად, მაშინ არ უნდა გაგვიკვირდეს ჩვენი საქმის ეს განელებული ტემპი. მერე იმას უნდა ანგარიში გავუწიოთ, რომ ქართველები ასე ადვილად ვერ თანხმდებიან საპირველ-ადგილო კანდიდატზე და ისეთი ზედმეტი სიტყვები იხარჯება ან ისეთი ზედმეტი ნაბიჯები იდგმება, რომელიც საქმეს ვნებს. ეხლა თითქმის გამორკვეულია, რომ ქართული კომიტეტის სათავეში გერმანელების სასურველი კაცია ირაკლი ბაგრატიონი. როგორც გწერდი, ეს ყმაწვილი მომწონს, ჭკვიანია და ამასთან ბევრი ისეთი თვისება აქვს, რომელიც საქმისათვის გამოსადეგია და მე სასურველად მიმაჩნია, თუ ის დარჩება კომიტეტის სათავეში. ყველა ასე არ ფიქრობს და მის წინააღმდეგ ბევრი მითქმა-მოთქმა ასტეხეს. ამ არგუმენტებში მე ვერ ვხედავ საქმის სიყვარულს, მიუდგომლობას და პირად დაუინტერესებლობას, ამიტომაც მათ ანგარიშს არ ვუწევ. სხვათაშორის აქ ტახტის მემკვიდრეთ მოგვევლინა სიმონ ციციშვილი,[171] აშკარად და საჯაროდ!... მართლა გეუბნები, დამიჯერე. ბევრი კურიოზია და რომ ჩამოვალ მაშინ გიამბობ. ზურაბს წერილი მივწერე _ მიპასუხა კიდეცა და მომწერა, თეოს წერილი მივიღეო, ბევრ რამეს მწერსო და სხვათაშორის იმასაცო, რომ თქვენი უამბობის გამო ძალიან შეწუხებულიაო* ლიზიკომაც მიიღო თეოს წერილი და ალბათ უპასუხა კიდეც. სხვა შენ როგორ ხარ, ალბათ, დარდობ და სწუხარ ბევრს. ნუ, ჩემო კარგო, თუ ღვთის წყალობით, ჯანზე კარგად ხართ, სხვა სადარდებელი არაფერი გვაქვს. ღმერთია მოწყალე, მდგომარეობა გამოიცვლება ჩვენდა საუკეთესოდ. მე გავიგე, რომ უსიამოვნო სტუმრები ორჯელ-სამჯერ სწვევიან პარიზის არემარეს, წამოვიდგინე შენი რეაქცია და ძალზედ შევწუხდი. მარტოკანა ხართ და ვინ იცის თუ როგორ შიშობთ.

აქ საქმეს პირი ისე უჩანს, რომ შესაძლოა აქ დამჭირდეს გადმოსვლა. ამაზედ იქ მოვიფიქროთ, მაგრამ სანამ ჩამოვიდოდე, ეს საკითხი კიდევ უფრო გამოირკვევა და მაშინ მეტის სიცხადით შეგვეძლება მისი აწონ-დაწონვა და გადაჭრა. დღეს ამ თვის თერთმეტია; ბერლინიდან გადმოვალ დაახლოებით ათ დღეში, ან ორი დღით ადრე ან ორი დღით გვიან, ეს ნუ შეგაწუხებს. საერთოდ, მეტი მოთმინება და გულის სიმშვიდე იქონიე და ყველაფერი საუკეთესოდ გამოეწყობა.

... იყავი კარგად, ხალისიანათ, იმედიანათ, ხალხის ჭრელ გულსა და სულს ყურადღებას ნუ მიაქცევ და მაშინ ყველაფერი საყვარელი იქნება და უპირველეს ყოვლისა შენი ოჯახი.

*** ზურაბი თანახმაა, რომ იმუშაოს ჩვენთან.**

ბევრს და ბევრს გაკოცებ
შენი სპირიდონი

ბერლინი, 17. 2. 43

ჩემო სონუნი, კარგო და ძვირფასო,

ბევრს გაკოცებ. დღეს შენმა წერილმა დიდათ მასიამოვნა. ეს დღეები ცოტა დარდიანათ ვიყავი. მაწუხებდა თქვენი გარემოება. მას აქეთ რაც ჩამოვედი, თქვენზე არავითარი ცნობა არა მქონდა. დროა ისეთი, რომ სადარდებელი არ გამოილევა. მერე შენ ცოტა, უამისოდაც, გიყვარს შავი ფერადები და მართალი გითხრა, უფრო სხვანაირი სულიერი განწყობილება მეგულებოდა კლამარში, ვიდრე ეს შენს წერილში ამოვიკითხე და ამან გული გამიკეთა. სჩანს, ჯანზე კარგადა ხართ ყველანი, ისიც მომწერე, რომ მაინც და მაინც არცა გცივათ და არცა გშიათ. თუ ყველაფერი ეს ასეა, მადლობა ღმერთს. მე გათბობის საკითხი უფრო განსაკუთრებულად მაწუხებდა და დღესაც მაწუხებს. ჩამოსულებს პირველ რიგში იმას ვეკითხები, თუ რა ამინდი იდგა პარიზში. ყველანი მეუბნებოდნენ, რომ ლმობიერი ტაროსი იყო, შენც ამას იწერები და ამიტომ მწამს, რომ სიცივისაგან მაინცდამაინც დიდათ არ შეწუხდებოდით. ნეტავი ამიერიდანაც კარგს ამინდს დაიჭერდეს და სხვა არაფერი მინდა. სხვა არაფერი მინდა?! ჰე, ნდომით როგორ არ მინდა, მაგრამ ... თეოს ჯანზედ განსაკუთრებულად არაფერი მოგიწერია, მაგრამ სწორედ ეს მაფიქრებინებს, რომ თეო ეხლა უკეთ უნდა იყოს, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შენ ვერ მოითმენდი და უსათუოდ რასმე მომწერდი, რომ თეოს ჯანმრთელობის მდგომარეობა შენთვის ამჟამად საგანგებო ზრუნვას მოითხოვდეს. მაგრამ ამისდა მიუხედავადთ, შემატყობინე _ მოუხდა თუ არა შესასხურებელი წამალი, ვენშონმა რომ გამოუწერა. მასაჟს კიდევ აგრძელებს და სელულიტი კიდევ აქვს თუ არა.

როცა ვენშონის წამალს მორჩება, მეორე ექიმის დარიგებას და წამლებს ყურადღება მიაქციოს. ნუ დაივიწყებს იმას, რომ უნდა ნელა სჭამოს და კარგად დაღეჭოს მაგ სულელმა, მაგან?

ბოდიში ჩემს გოგოსთან, მისი გონიერი წერილის შემდეგ მაინც ,,სულელს" რომ ვეძახი. ეს სიყვარულით მომდის მისი პატარაობის სიცელქის სუვენირით... დაზარდა მამილოსათვის უფრო გრძელი წერილის მოწერა, ერთი წიწკნა რაღაც კუთხეში რომ მიუწერია?.. ივ ნატის კომპლიმენტებს მე ძალიან ვაფასებ, მაგრამ თოლია ამ

კომპლიმენტებს არ უნდა დასჯერდეს. მას თვისი საქმისა ყველაზედ უკეთ უნდა ესმოდეს და ისე უნდა მოიქცეს, როგორც ეს შეშვენის გონიერს და ღვთისაგან უხვი ნიჭით დაჯილდოვებულ ,,მსახიობს". მართლა, მადამ რუვიდ-ის გაკვეთილები გრძელდება თუ არა. შენ თვითონ რასა შვრები და ან როგორ ხარ. გადავიკითხე შენი ყოფილი შეგირდისადმი მიწერილი წერილი. როგორ სჩანს ამ წერილში შენი პედაგოგიური მოწოდების სიძლიერე. მშვენიერი წერილია, ოღონდ შემდეგმა ფრაზამ გული დამწყვიტა: ,,ემიგრაციაში კი ძალიან დავილიე, დავპატარავდი და ამიტომ სონად ვიქეციო"... შენი შინაგანი ღირებულების ფასს შენ თითონ უნდა გრძნობდე, ჩემო კარგო, და ამ ღირებულების დაპატარავება არავის არ ძალუძს, ეს არც მომხდარა და ამიტომ ამას ნურც წარმოიდგენ, მაგარი და ყოჩაღი უნდა იყო და წვრილი ხალხის საქციელი შენს გულში ხინჯად არ უნდა დარჩეს. შენ ამაზედ მაღლა უნდა დადგე.

ეხლა ჩემზე. მე უკეთ ვარ, ვიდრე პარიზში ვიყავი. უფრო მორიდებულათ და მოვლით ვეპყრობი ჩემს თავს. ეხლა უკვე შეგნებაში შემივიდა ის, რაც დღემდე ფაქტიურად არსებობდა და პსიხოლოგიურად კი ანგარიშს არ ვუწევდი _ სახელდობრ, რომ სამოცი წლის კაცი ვარ და შეუძლებელია ოცი წლის ახალგაზრდის პსიხოლოგიით ცხოვრება, რაც შეეხება ჯანის ხარჯვასა და მის გამძლეობას, ამ წამლებს ვხმარობ წესიერად და ამ კვირაში გავათავებ, მერე კი _ წავალ დიდ გამოჩენილ სპეციალისტთან და ვნახავ, თუ რას მეტყვის.

როგორც ხედავ, თავის მოვლას ხელს არ ვაკლებ. მინდა რაც შეიძლება დიდხანს დავსტკბე ჩემი იშვიათი და საყვარელი ცოლ-შვილით…...

შენ-კი რას აპირებ, ექიმთან იყავი თუ არა? თუ რამე გაწუხებს, თეო გაიყოლე და ინახულე ან ვენშონი, ან მეორე, რომელთანაც მე და თეო უკანასკნელად ვიყავით. გეხვეწები, თავს ძალიან მოუარე…... ამას წინად შალვა ამირეჯიბი ვინახულე (გავიგე, რომ კიდევ ავად იყო და გულმა არ მომასვენა, ვიდრე არ ვნახავდი). საავადმყოფოდან გამოწერილა და თავის ბინაზეა. მარტოდმარტო, პატარა ოთახში, სიცხე აქვს და ახველებს ... შემეცოდა ამ მდგომარეობაში. აპირებს, როცა მოკეთდება, პარიზში წამოსვლას გამოსარჩენად. ... დიდი გადასხმ-გადმოსხმაა სამხედრო ნაწილებისა, ამ უკანასკნელი ამბების გამო შეუძლებელია ამჟამად იმის გაგება, თუ ვინ სად არის. ჩემი გოგო ძალიან დამიკოცნე, იცოდეს, მოვსთხოვ იმის აღსრულებას, რასაც წერილში მწერს _ მე მისი იმედით ვარ(?!)

გივის უთხარი ჩემგან, რომ უნდა ვაჟკაცი იყოს, დარდებს ნუ მიეცემა და ხასიათს ნუ გაიუქმებს. ეხლა მან უნდა იყოჩაღოს და იმუშაოს თავის მომავლის შესაქმნელად. ცხოვრება წინ აქვს და ღმერთი მოწყალეა, რასაც ,,დაეძებს" იმას იპოვნის.

საწერილო ქაღალდი გამომლევია და ეს უბრალო ქაღალდი ვიხმარე, მაპატიე და ბოდიში. სწორედ ამ საღამოს გავიგე, რომ ალ. ჯაყელი ხვალ პარიზში მიდის და ამ წერილს მას ვატან. ჯერ შენი ამანათი არ მიმიღია. გოგი ზოგ სხვებთან ერთად ქუჩაში შემხვდა, სწორედ დღეს დილით ჩამოსულა, ბარათი თან ჰქონდა და გადმომცა, ამანათს ხვალ მივიღებ ... ყოჩაღად იყავით, ნურაფრის შიში ნუ გექნებათ.

ბევრს გაკოცებ შენი სპირიდონი.

ბერლინი 10.3.43.

ჩემო სონეტო, ძვირფასო და კარგო,

მოშორებით ყოფნამ ლამის არის ცრუმორწმუნე გამხადოს. სოფლის დედაკაცივით ხანდახან სიზმარს ავყვები ხოლმე. ამ რამდენიმე დღის წინად, სიზმრის ახსნის წიგნის მიხედვით, ცუდი რაღაცა მესიზმრა და მას აქეთ მოუსვენრად ვარ. უმწეოდ მეჩვენებით, ყოველთვის მგონია, რომ ხან ერთი აუცილებელი საგანი გაკლიათ და ხან მეორე და რომ საერთოდ მოუსვენრად და შიშიანადა ხართ. მართალია, შენმა პირველმა წერილმა თავის სიმხნით ძალიან დამამშვიდა და დამაიმედა, მაგრამ მას აქეთ მაინც კარგა ხანი გავიდა და მდგომარეობა, შესაძლოა, კიდევაც შეიცვალა. წარმოდგენილი მაქვს, როგორ შეწუხდებოდი, ბერლინის დაბომბვის ამბავს რომ გაიგებდი, მაგრამ აქედან ზომები მივიღეთ და მეორე დღესვე გაცნობეთ, რომ მე და საერთოდ აქაური ქართველობა ამ ამბავს უვნებლად გადავურჩით. მართალია, რამდენიმე ქართველმა ტანისამოსი და სხვა ბარგი-ბარხანა დაჰკარგა, მაგრამ ეს წვრიმალია შედარებით თვით სიცოცხლის საფრთხესთან. მხოლოდ ერთი დაზიანდა ფიზიკურად, ეს ის ჩემი კლასის ამხანაგი მ. წულუკიძეა. საცა სცხოვრობს, იმ ეზოს ერთ-ერთ სახლს ცეცხლი მოჰკიდებია და ცეცხლწაკიდებულებს ისიც მიშველებია, ცეცხლი კი ჩაუქრიათ, მაგრამ ამ კიბეებზე არბენ-ჩარბენის დროს დაგორებულა და მუხლის თავი და იმის ქვემო ნაწილი ძვალი გასტეხია და დღეს საავადმყოფოში სწევს. ერთი ექვსი-შვიდი კვირა მაინც უნდა დაჰყოს მანდ, სანამ გამოვა და ყავარჯნით სიარულს შესძლებს.

... ეხლა შენს წერილს დავუბრუნდები. მის პირველ გვერდზე გასაცემი პასუხის გაცემა ბუნებრივია გაგრძელება იქნება ჩემი შეწყვეტილი წერილისა. ტყუილად დაგისჯია შენი თავი, ჩემო კარგო; მე იმ ღამეს არც გული შემწუხებია და არც არავითარი ნერვიულობა მწვევია. ხალხი აქ შეჩვეულია ამ მოვლენებს და დამშვიდებულათ იტანს და მე რაღა ამაღელვებდა? სარდაფში, რასაკვირველია, მაშინათვე ჩავედი და იქ დავყავით, დაახლოებით, ორი საათი. სარდაფი კარგად არის მოწყობილი, თბილა, ყველას საჯდომი აქვს. ხალხი ბლომად იყრის თავს და არის გაბმული ყბედობა. შენ გულს ნუ შეიწუხებ. თუ ასეთი შემთხვევა კიდევ განმეორდა და ეს, რასაკვირველია, შესაძლებელი არის, სარდაფში უსათუოდ ჩავალ, ეს აუცილებლად საჭიროა. ამ შემთხვევაში დაზარება, ჯიუტობა ან ვითომდა ვაჟკაცობა უადგილოა და დიდი სისულელე იქნებოდა. მე შემაწუხა უფრო იმ შემთხვევამ, რომელიც თქვენ მანდა გქონიათ სწორედ იმავე ღამეს, რა ღამესაც აქ ბომბებს გვიშენდნენ. აღელვებული ვარ მთელი ჩემი არსებით ამ ყოვლად უმგვანო და ველური საქციელით მანდაური პოლიციისა. რომელი ყაჩაღები ჩვენ ვცხოვრობთ მანდ, რომ დილის შვიდ საათზე სახლი დაგვირბიეს?! მანდ რომ ვყოფილიყავი, თქვენ მაინც არ შეგეშინდებოდათ. ჩემი გოგო, ვენაცვალე, მაშ ძალიან აღელდა და შეეშინდა, ან შენ რა მდგომარეობაში იქნებოდი? წარმოდგენილი მაქვს, _ ჩემი ბრალია, დაგტოვეთ მარტოკანი და ყოველი მოულოდნელი უსიამოვნება მარტო თქვენ უნდა გარდაგხდეთ. ძალიან ხშირად ვეკითხები ჩემ თავს, ღირს კია ჩემი აქ ყოფნა ამდენ გულისხეთქათ-მეთქი. იქ თქვენ ხართ შეწუხებული და ჩემს უშუალო მოვლა-პატრონობას მოკლებული და აქ კიდევ მე.

ძალიან მეჩქარება, რომ ამ მდგომარეობას ბოლო მოეღოს, რაც შეიძლება მალე. მით უმეტეს, რომ ძალიან აღტაცებული არა ვარ თვით საქმის მსვლელობით. შეიძლება ჩამოსვლამდე მივიღო კიდეცა საბოლოო გარდაწყვეტილება ამ მდგომარეობის შეცვლის სასარგებლოთ, ან იქნებ სჯობდეს, ჯერ შენ მოგელაპარაკო

და ეს საკითხი ერთად გადავჭრათ. თოლიას ჯანმრთელობის ასეთი გაუთავებელი და პერიოდული სისუსტე და სიავადე ძალიან მაწუხებს. ბავშვს ამის გამო თან ამდენი დროც ეკერგება. უნდა ვეცადოთ და ამ ზაფხულზე ჰაერი და ცხოვრების პირობები როგორმე გამოვაცვლეინოთ. შენ როგორ ხარ, ჩემო კარგო. მარტო გულის მხრივ მეშინიან შენი და ამიტომ გთხოვ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მოერიდო უსიამოვნებას და აღელვებას. გარდა ამისა, ექიმიც ნახე და მისი რჩევა-დარიგება შეასრულე. გივი როგორ არის? ყველაზედ მაგარი და საღი ისაა თქვენ შორის. მთელი ეს დრო ცოტას მოიმხიარულებდა, რაკი გვერდით ჰყავს ისეთი მეგობარი, რომელთანაც ერთად დიდი ვაება და უბედურება აქვს გამოვლილი. მე კარგადა ვარ. ყოველ შემთხვევაში უკეთ ვარ, ვიდრე ეს უკანასკნელი თვეები. უკვე სამი კვირაა რაც ყოველდღე ვღებულობ 1/2S ლიტრა ნამდვილ რძეს და 125 გრამ კარაქს ყოველ კვირა, როგორც რეჟიმის ზედმეტ ულუფას, რომელიც მომეცა ექიმის ჩარევით. ეს მაინც ცოტა რამეში მშველის. ასე რომ ჩემი გულისათვის, თქვენთვის რაც საჭიროა იმიდან ნურაფერს დაიკლებთ; ჯერ თქვენი მოთხოვნილება დაიკმაყოფილეთ და თუ ამის გარეშე დაგრჩებათ რამე, ის გამომიგზავნეთ. ხორცი ცუდი არ იყო და კარგად გეახელი. სხვა რა მოგწერო. ამას წინად ერთ-ერთმა ქართულმა ლეგიონმა აქ მოაწყო საღამო საკუთარი ძალებით. იყო ქართული გუნდი ოცდაათი კაცისაგან შემდგარი. ამ გუნდს ლოტბარობდა ახალგაზრდა კომპოზიტორი ნალბანდიშვილი, სიმპატიური ყმაწვილი, რომელმაც ერთ დანჟღრეულ როიალზე დაუკრა თავისი საკუთარი კომპოზიცია _ ,,ეტიუდი და სალამური". იცეკვეს ,,ქისტური, აფხაზური ცეკვები და კინტაური", მეტისმეტი ველური გაქანებით. ლეკურს არა უშავდა-რა. მიუხედავათ საერთო ნაკლისა, მაინც გულს ყველაფერი ენათესავა და სამშობლოში ტკბილად გადავიხიზნე ... და სახლში დავბრუნდი ბევრი განცდებით.

იყავი კარგად ბევრს გაკოცებ შენი სპირიდონი.

მამი, შენ როგორ ხარ, ჩემო ნუგეშო? მივიღე შენი ,,ფრანგული" წერილი. მეორეთ არ მაჭამო ეს სირცხვილი, მამა გენაცვალოს.

შენ რასა იქმ, ჩემო გივი? იყავი ყოჩაღათ.

ბევრს გაკოცებ შენი ძია.

29.3.43.

ჩემო ძვირფასო სონუნი,

მოველოდი შენს წერილს, მაგრამ სჩანს ან მიტოს დროზედ არ გაუფრთხილებიხართ ანდა თქვენ დაგიგვიანებიათ რომ წერილი მისთვის დროზედ გადაგეცათ. ისე სიტყვიერად გადმომცა, რომ ჯანზედ კარგად ყოფილხართ, მაგრამ რომ ამწინებზე გივი გყოლიათ უქეიფოთ, ალბათ, გაცივდა გაუფრთხილებლობით. მისთვის ძალიან საშიშია გაცივება, ფილტვების ანთებისა და პლევრიტის შემდეგ, რომელიც ჰქონდა ტყვეობაში. ჩემგან უთხარი, ამ მხრივ თავს გაუფრთხილდეს.

გონიერი ყმაწვილია და დაგვეხმაროს რომ არ დაგვიმძიმოს ის პასუხისმგებლობა, რომელიც ჩვენს თავზე ავიღეთ მისი მშობლების წინაშე. ამდენ განსაცდელს გადარჩა მშვიდობით და ეხლა კლამარში რომ ჩვენთან რამე მოუვიდეს გაუფრთხილებლობით, რა მდგომარეობაში ჩავვარდებით წარმოგიდგენია? თქვენი ჯანმრთელობის ამბავი რომ უფრო დაწვრილებით მოსულიყო ჩემამდე, სულ სხვა სიამოვნებას და სულის სიმშვიდეს ვიგრძნობდი. ოჯახის ამბები დაწვრილებით, ეს სულ სხვა რამეა, ვიდრე en bloc გადმოცემული. აქაურ მარტოობაში ოჯახის სინამდვილის დეტალები წყლულის მალამოა, ვინაიდან ოჯახის ატმოსფეროში გადაყევხარ ადამიანი და შინაურობაში გატრიალებს. . . .

როგორაა თეოს სელულიტი; კიდევ იკეთებს თუ გაათავა მასაჟის სეანსები. საერთოდ, ჯანზე როგორაა, ღონე მოუვიდა თუ კიდევ სისუსტეს გრძნობს. მუშაობის საქმე როგორ მისდის. შენ, ჩემო კარგო, შენ როგორ ხარ. შენი ფიზიკა საღია და ორგანიზმი მთელი; შენ თუ რამე გჭირია ეს არის გუნების სტაბილიზაცია; ცხოვრება იმ სულიერი გარდაწყვეტილებით, რომ ჩვენსას გავიტანთ, მიუხედავათ ცხოვრების მრავალი უსიამოვნო სიურპრიზებისა. როგორც პატარაობისას მიხაროდა ხოლმე აღდგომის მოახლოება, სწორედ იმ მდგომარეობაში ვარ ეხლაც. ორ კვირაში, დაახლოებით აპრილის 15-ს, ან მის არემარეში, თქვენთან ვიქნები და სულიერად დავისვენებ. დღეს გამოუძინარი ვარ. წუხელ ორ საათზე მოგვიხდა ლოგინიდან სარდაფში გადასვლა. ამ ოთხის დღის წინადაც, სარდაფში გახლდით, თერთმეტის ნახევარზე. თავდასხმის შედეგები, შედარებით 1 მარტის ამბებთან, უმნიშვნელოა. ჩვენ ყველანი კარგად ვართ. აქ მოხსენება მქონდა, ერთობის შესახებ. ერთი რამეა საინტერესო: ჩვენი ახლად შემატებული ახალგაზრდობა, საქართველოს გუშინდელი ნატეხი, სავსებით იზიარებს ამ წინადადებას. იგი ეროვნული ერთობის გრძნობის მატარებელია თავისთავად. მეორეს მხრით, ვაჩნაძემ და გაბაშვილმა[172] ჩვეულებრივად გამალამაზეს; ამითაც კმაყოფილი ვარ, იმიტომ რომ მათ თავიანთი სიტყვითა და საქციელით დაახასიათეს თავიანთი პიროვნება აქაური საზოგადოების წინაშე და ყოველგან დიდი აღშფოთებაა. მე ჩემი ,,ოლიმპიური სიმშვიდიდან" მაინც ვერ დამძრეს ...

გესიამოვნებოდა, რომ გენახა ქართული ლეგიონერები, რომლებიც აღგზნებით და რწმენით საქართველოს მომავალს ეტრფოდნენ და თავგანწირვის ჰიმნს გუნდრუკს უკმევდნენ. ყველანი მოითხოვდნენ ერთად ეროვნულ ფრონტს. შენ, ალბათ, იტყვი, რაღა კიდევ ახალი დავიდარაბა აიტეხეო. რა გაეწყობა ...

დღეს ვიყავი აქაურ ყველაზედ უფრო გამოჩენილ სპეციალისტ პროფესორთან (ერთი თვეა რაც პაემანი გამოვითხოვე). ხვალ კიდევ უნდა მივიდე, რომ სისხლის ხელახალი ანალიზი გამიკეთოს და სხვა დამატებითი გასინჯვით დაასრულოს ჩემი მდგომარეობის შესწავლა, რომ საბოლოოდ დიაგნოზი დასვას. ისე, საერთოდ, უკეთ ვარ; ბევრად უკეთ. ამას დასამშვიდებლათ კი არ გელაპარაკები, არამედ ობიეკტიურ სინამდვილეს გადმოქცემ.

ბევრს გაკოცებთ ყველას.
შენი სპირიდონი

P.S. კარაქი, ყველი და შაქარი ძღვნად ჩამომიტანა მიტომ და ეს მეყოფა წამოსვლამდე.

ბერლინი, 21.6.43.

ჩემო ძვირფასო სონუნი,

... გუშინ, აქ არჩილ ჯორჯაძის მოგონების დღე გაუმართავთ. მე ვერ დავესწარი, დაღლილი ვიყავი და ვარჩიე სახლში დარჩენა. ზურაბის[173] კოხტა მოგონება (დაწერილი) მიხაკოს[174] წაუკითხავს და მერე თავის მხრიდან პირადი მოგონებაც მოუხსენებია. მომხსენებლად ორი სხვაც ყოფილა _ ორივე ფედერალისტი _ თუ ყოფილი, ა. პაპავა[175] და მ. ტუღუში.[176] ყველაფერს უინციდენტოდ და კარგად ჩაუვლია. ჩემთან იყო მიშა[177] და მერე ვალია, გოგი ნოზაძე და საშა ცომაიაც ერთად მოვიდნენ. მიშამ თავისი ინფორმაცია მომცა, დღეს სხვებს მოვისმენ და ხვალ კომიტეტს ვინახულებ. მიხაკოს გადადგომ-გადმოდგომის ამბავი ასეთია, როგორც მითხრეს: მიხაკოს მართლაც შეუტანია გადადგომის ქაღალდი ოსტ-მინისტერიუმში, ბ-ნ მენდესთვის მიურთმევია, მაგრამ ათი დღის შემდეგ მისულა, გადადგმული ნაბიჯი შეცდომათ გამოუცხადებია და ქაღალდი გაუქმებულად ჩაუთვლია. ალბათ, მაგ საცოდავ კაცს მერე ძალა დაატანეს თავისიანებმა და ნამუსი შეარცხვენიეს. . . .

მეტი რაღა მოგწერო ჩემო კარგო; ვერა ხედავ, როგორი ენაწყლიანობა გამოვიჩინე. სარამერუმო მასალა ადამიანს ყოველთვის მოეძებნება და თუ ეს წამკითხველს ასიამოვნებს, არ ვიცი, რად უნდა დაიზაროს და არ გაიმეტოს დამწერმა? ჩემი და შენი თავი მყავს სახეში ამჟამად. იყავი კარგად და ყოჩაღათ.

ბევრს გაკოცებ შენი სპირიდონი.

P.S. ჩამოსვლა მომილოცეს. . . . ღამის ორ საათზე განგაში იყო. ორ წუთში ჩაცმული ვიყავი. ძალიან შორს ისმოდა გუგუნი. სამზე გათავდა და ხელახლა დავწექი, მაგრამ ძილი გამიტყდა თან ვეღარ დავიძინე.

5.7.43.

ჩემო ძვირფასო სონუნი,

... აქაური ქართული ამბები, მაინცდა მაინც არაფერი არის საინტერესო; ახალი არაფერია. ჯერ იქაც რომ ვიყავი, მაშინაც განელებული მქონდა ხალისი აქ ჩამოსვლისა და რაც აქა ვარ, კიდევ უფრო გამინელდა სურვილი აქ დარჩენისა. ასე რომ შესაძლოა, როგორც იქ გეუბნებოდი, თავი სრულიად გავითავისუფლო, მაგრამ ჯერჯერობით, ამაზე ნურსად ნურაფერს იტყვი, რადგან ჯერ კიდევ შესაძლებელია, რომ მოხდეს ისეთი მოულოდნელი ცვლილება, რომელმაც შეიძლება გადაწყვეტილება გადამასინჯვინოს.

აქ ამინდები ცუდი გვაქვს; შენ წარმოიდგინე ხანდახან მცივა კიდევაც და თავსა ვტუქსავ, რომ თბილი არაფერი წამოვიღე. ფუფაიკა, ანუ თბილი ჟილეტი არ მაწყენდა რომ მქონდეს. რა გააკეთეთ სააგარაკოთ გასვლის შესახებ? გენაცვა, ჩემო სონიკო, ეს საკითხი არ მიაფუჩეჩოთ; უსათუოდ უნდა გახვიდეთ, ისე როგორც ამას გწერდი ...

სხვა რაღა მოგწერო, გარდა იმისა, რომ დიასახლისმა დროებით უარი მითხრა სადილ-ვახშამის მოცემაზე; ვერაფერს ვშოულობ და არ შემიძლიანო. მაძლევს

მხოლოდ დილის საუზმეს და მერე ფაფას მიკეთებს. რაც აქა ვარ, ფაფას ყოველ დღე გეახლები, ერთი შემთხვევა არ გამიშვია.

თუ მოახერხო, ერთი ყველი გამომიგზავნე, ისეთი როგორიც მე წამოვიღე. მოდი თოლიას უთხარი, ერთი თავისებური გაღვთიურებული წერილი მოსწეროს მამიკოს, რომელიც მარტო და ობლად არის. ნუ იზარმაცებს.

იყავი კარგად, ბევრს გაკოცებ მარად შენი სპირიდონი. თოლია დამიკოცნე და გივიც.

ბერლინი, 9.7.43.

კიდევ ბევრი სიყვარული, გრძნობა და
მოწიწება ჩემს ძვირფას სონუნის,

მალე სამი კვირა იქნება, რაც კლამარი დავტოვე; ნეტავი როგორა ხარ, ან რას აკეთებ, ან ახალგაზრდები როგორა გყავს. თუ ჯანზედ კარგადა ხართ, ეს მინდა ვიცოდე, თორემ ცხოვრების წესი რომ ბევრად არ შეგეცვლებოდათ, ამაში დარწმუნებული ვარ. ერთი კია, თუ სააგარაკო გასვლა მოგიხერხდათ, მაშინ მართლაც შესაძლებელი იქნება შენი საქმიანობის ახალ შინაარსზე გამობაასება და ეს ჩემთვის მეტად სასიხარულო ამბავი იქნება. ყოველ შემთხვევაში იმ იმედით ვარ, რომ აგარაკს მოსძებნით და გახვალთ. მე კარგად ვარ. საქმე ბევრი არაფერი მაქვს და რაც არის, არც ისაა მაინცდამაინც მომხიბლავი. ცოტახანი კიდევ დავრჩები ამ პირობებში და მერე საბოლოოდ თავს დავაღწევ. ჩამოსვლით, ვერ ჩამოვდივარ ისე, როგორც ეს განზრახული მქონდა აქეთ რომ მოვდიოდი. უფრო შემიგვიანდება მიუხედავათ უსაქმურობისა, რაზედაც ზემოთ გწერ, მაგრამ ამ თვის დამლევს კი უსათუოდ მანდ ვიქნები. მინდა რომ თქვენ ამ დროისათვის მაინც აგარაკზე იყოთ, რომ პირდაპირ იქ გეწვიოთ.

ამ რამდენიმე დღის წინად საუბარი მქონდა ერთ ტყვესთან, რომელიც ზუგდიდიდან არის, კატოს[178] ნამოწაფარი და თვითონ საშუალო სკოლის მასწავლებელი, უმაღლესი სპეციალური განათლებით. ბოლშევიკების შემოსევის დროს 15-16 წლისა ყოფილა. ეტყობა ჩვენი დროის საფუძვლები აზრებში, განწყობილებაში და საერთო მიმართულებაში. დღეს 37 წლის კაცია. ამ ასაკის ქართველობა, როგორც სჩანს, საერთოდ, სანდო ეროვნული ელემენტია და თუ რამე გვეღირსა, მაგათზე შეიძლება დაყრდნობა მომავალი აღმშენებლობითი მუშაობის დროს. ძალიან დადებითი, დინჯი და დაფიქრებული ადამიანია. მისმა საუბარმა მომცა სრული და დეტალებში მკაფიოდ გამოთქმული სურათი ჩვენი სინამდვილისა; ავიცა და კარგიც მიუდგომლად ამიწერა და გამაცნო. იქაური ვითარება ერთბაშად ნათელი შეიქმნა ჩემთვის.

კატო უნახავს სწორედ წამოსვლის დღეს, სამხედრო ჩანთა-აკიდებული სადგურზე რომ მიდიოდა. კატო, თურმე, კარგად იყო; დასრულებულა, მისი გადმოცემით, თურმე მასწავლებლობს ძველებურად. იოსები გადაუსახლებიათ დიდიხანია, მასთან ბევრი სხვაც, მაგალითად სოკრატი კეშელავა, ანდრო დგებუაძე (ექიმი) თავის ცოლით და სხვები. არც ერთისაგან მას შემდეგ არავითარი ცნობა არ მოსულა, გარდა დგებუაძის ცოლისა.

თვითონ ზუგდიდი თურმე გამშვენებულიც არის და გადიდებულიც. მოსახლეობა ძალიან გაზრდილია, მაგრამ ჩემი ძველი ნაცნობებიდან ბევრი არავინ

დარჩენილა; თუმცა ამ ყმაწვილსა და მისი ხნის იქაურ ახალგაზრდობას ხსოვნით კარგად ვახსოვარ და როგორც ეს მიღებულია, თურმე დღესაც ჩემი იმედი აქვთ! ამბობდნენ თურმე ამ წრეში, რომ ჰიტლერთან აქვს კავშირიო და თუ რამეა შესაძლებელი, ყველაფერს გააკეთებსო. საწყალი ხალხი! იმედით სცხოვრობს, მაგრამ ამ იმედის განხორციელებას პირი რომ არ უჩანს! გერმანია-რუსეთის ომის გამოცხადებას ხალხში დიდი აღფრთოვანება გამოუწვევია, აღფრთოვანება ჩუმი და თავშეკავებული, მაგრამ მაინც აღფრთოვანება! ვინაიდან ხალხი, ამ ახალგაზრდის გადმოცემით და ობიეკტიური მიზეზების დასახელებით, საერთოდ წინააღმდეგია საბჭოთა ხელისუფლებისა. ეს უკმაყოფილება უმთავრესად თურმე მეურნეობის ხასიათით და მუშაობის წესით არის გამოწვეული.

ხალხი თურმე გაბმულად მუშაობს, როგორც კაცი ისე ქალი, როგორც ზაფხულ, ისე ზამთარ. არის შემთხვევები, რომ კვირა დღეებიც ამუშავებენ. ხალხი დაბმულია და ვალდებულია იმუშაოს; არავის შეუძლიან გამოაკლდეს და სამუშაოზე წასვლა სხვა დროისთვის გადასდოს. ვერ წახვალ შენის სურვილით და რომ ითხოვო, ნებას არ დაგრთავენ რომ დაესწრო მეგობრის ან შორეული ნათესავის ან ჭირს, ან ლხინს, თუ ეს მეგობარი მაგალითად შორს ცხოვრობს და სამუშაო დღის გაცდენას მოითხოვს! ასეთი ინტენსიური მუშაობის წყალობით, მეურნეობა ძალიან დაწინაურდა თურმე და ძველ კულტურას ბევრი ახალიც მიემატა, მაგრამ მაგარი ისაა, რომ ნამუშევრიდან თვით დამმუშავებელს ძალიან ცოტა რჩება, ბევრ შემთხვევაში მეოთხედიც არა! დანარჩენი სამი მეოთხედი მიდის ნაწილი სახელმწიფოს სასარგებლოდ და ნაწილი კოლხოზების ბიუროკრატიის სარჩენად! რომ ხალხს რჩებოდეს მთელი მისი შრომის ნაყოფი, დღეს ის მართლაც შეძლებული და ეკონომიურად ძალიან ღონიერი იქნებოდაო და ხალხი სწორედ ამ მდგომარეობით არის უკმაყოფილო და შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებს, რომ ეს უკმაყოფილება არ გამოამჟღავნოსო; ეს გამომჟღავნება არის სხვადასხვანაირი, მაგრამ მას შემდეგ რაც ახდილ პროტესტებს ბევრი ხალხი ემსხვერპლა და ცხარე პროტესტანტი დაუსჯელი არა რჩებოდა, ეს უკმაყოფილება თავშეკავებულია და შინაგანად დამწყვდეულ ხასიათს ღებულობს ...

მეორეს მხრით, ხალხის ასეთი მეტისმეტი შებორკვა, ცვლის თანდათან ზნეს, ჩვეულებას და ცხოვრების წესს. ძველი ხალისი, სტუმრობის და სტუმრის კულტი, ერთმანეთში _ მეზობლობაში გადასვლ-გადმოსვლა და მხიარულება თურმე თანდათან კლებულობს და ჰქრება. ეს იყო ქართული ხასიათის ერთ-ერთი მომხიბლავი სახე და ეს სახე დღეს ბოლშევიზმს ეწირება ...

სხვათა შორის ეს ის ყმაწვილია, რომელმაც მე წერილი მომწერა და რომლის შესახებ შენ ბევრჯელ შემახსენე, რომ რამე გამეკეთებინა ...

ამ წუთში ხალხს ველი და ამ წერილსაც აქ დავუსვამ წერტილს. აბა იყავი კარგად, ჩემო ძვირფასო სონუნი. ბევრს გაკოცებ.

თოლია რას შვრება, ბევრი კოცნა ჩემგან. გივიც არ დამივიწყო. კიდევ გთხოვ, უბრალო უსიამოვნებისათვის თავს ნუ აიღელვებ. დამშვიდებულად შეხედე ადამიანთა სისუსტეს. მაშ კარგად და მალე ნახვამდის.

შენი სპირიდონი

სოფიო ჩიჯავაძე-კედიას წერილები მეუღლეს _ სპირიდონ კედიას

მარტის 3-ს. 1943წ.

ჩემო ძვირფასო და საყვარელო, ჩემო სპირიდონ,

გავიგე, ბერლინი დაუბომბიათ, გავიგე ისიც, რომ ყველანი კარგად და უვნებლად ხართ. მადლობა ღმერთს და განგებას. ღმერთმა ყოველთვის უვნებელი გქმნას, მაგრამ ვშიშობ, შენდა უნებურად გული რომ არ გაგიხდა ცუდათ. მე მხოლოდ ეგ მაფიქრებს. შენ გენაცვალე, სპირიდონ, ძალიანა გთხოვ თავს მოუარე, ალერტების დროს ოთახში არ დარჩე, უსათუოდ სარდაფში ჩადი. ალბად ყველა სახლს მანდ თავის თავშესაფარი აქვს და კარგადაც ექნებათ მოწყობილი. უცნაურია, რომ სწორედ იმ ღამეს სიზმარში ბერლინში ვიყავი და წულუკიძის ცოლი მიმასპინძლდებოდა, სტუმართა შორის შენ არ მოსჩანდი, ვინ იცის, იქნება არ იყავი იმ ღამეს კარგად და ექიმის მოსვლა გახდა აუცილებელი. რას არა ვფიქრობ, ვინ იცის, ეს სწორედ ის ღამე იყო, როდესაც მე და თეომაც დიდი შიში გამოვიარეთ. ღამის თორმეტი საათი იყო, ჩვენ რასაკვირველია გვეძინა, გამოგვაღვიძა ტელეფონმა, აღმოჩნდა ჩვენი გივი, რომელიც გვატყობინებდა, რომ ვერ მოვიდოდა პარიზიდან და რომ ლეოსთან რჩებოდა, ჩვენ კი ჩვენი დაგვემართა. თეო გახდა ცუდათ, თუმცა მე არაფერი მითხრა, მთელი ღამე არ ეძინა, ისე გაუხდა თურმე გული. დილის შვიდ საათზედ კი პოლიცია მოგვადგა. კარები არ გავუღე, ვიდრე ნიშნები არ მაჩვენეს. ორნი იყვნენ, მოვიდნენ, ჩემი საბუთები მომთხოვეს და შემდეგ იკითხეს გივი. ჩვენ ვუთხარით, რომ ამხანაგთან ოტელში იყო. მოინდომეს მისი ოთახის ნახვა. მისი საწოლისა, შემდეგ მთელი სახლის. მე იმდენად ვიყავ აღელვებული და შეშინებული, რომ გარეგნულად აღარავითარ რეაქციას არ ვიძლეოდი. სამაგიეროდ თეო ეჩხუბებოდათ, რა დროს მოსვლა არისო. გვითხრეს, მოვა თუ არა განგაში გამოცხადდებაო. დილითვე დაურეკეთ ლეოს ტელეფონით და ვთხოვეთ საჩქაროდ მოსულიყვნენ. წავიდნენ კომისარიატში, იქ ბოდიში მოეხადნათ, ჩვენ არ ვიცოდით, რომ ის ქართველი იყო და ბოდიშს ვიხდით, შეგაწუხეთო. ფრანგებს ხომ იწვევენ და ეს ვითომ ფრანგი ეგონათ. უნდა კი გითხრა, ეს მე ძალიან მაკვირვებს, რადგან ამის ყველა ქაღალდები ხელთა აქვთ და უიმისოდაც იცოდნენ, რომ ეს ფრანგი არ არის, გარდა ამისა, შემოვიდნენ თუ არა, მაშინათვე ესა სთქვეს, ფრანგი არ არისო, აბა? მაშასადამე აქ მოსვლის მიზეზი სხვა რამ უნდა ყოფილიყო, ამის შესახებ შეხვედრისას, ხომ იცი მე კარგი გამომძიებელი ვარ არა? რა ვიცი, ერთხელ მითხარი, რომ ამ როლში კარგი ვიქნებოდი.

... ამ ცოტახანში ცოტა საჭმელს მოგაწვდი, მინდა ვცადო ფოსტით, თუ დროზედ მოვიდა, მაშინ სისტემატიურად მოგაწვდი რასმე! ... გივი კარგი მფარველი გვყავს. მართლაც რის შიში უნდა მქონდეს, როდესაც ასეთი ვაჟკაცი სახლში მეგულება. ჩვენი დარდი ნუ გექნება, სამშვიდობოს გავედით, თეო ეხლა ბევრად უკეთ არის, ვიდრე ამ ხნის განმავლობაში. კარგადა სწამლობს ვენშონი. ამჟამათ მუშაობს და მიხარიან, რადგან კარგა ხანია აღარ მუშაობდა. ბევრს, ბევრს გაკოცებთ სამივენი. იყავი კარგად.

შენი სონა

P.S. ის ხორცი, რომელიც გამოგიგზავნე ცუდი ხომ არ იყო. მინდა ყველი გიშოვნო და კარაქი, ბისკოტს თეოსთვისაც ძნელად ვშოულობ.

ფრაგმენტი წერილიდან

27.11.42.

…. . . გაიგებდი ბაზურკას[179] დაღუპვას. აფსუსი არ არის ასეთი ვაჟკაცი სხვა ქვეყნის მომავალს შეეწიროს და თავის ქვეყნისათვის ვერაფერი შესძლოს.

იხოცება ეს ამოდენა ახალგაზრდობა, ამოდენა ქართველობა და სულ სხვადასხვა იდეალებისათვის, ისე დაგვსაჯა განგებამ და ისე დაგვაბნია ეს ერთი მუჭა ხალხი, რომ ჩვენი შეკავშირება და ხელიხელს ჩაბმა ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ფუჭ ოცნებად გარდაიქცა.

გავიგე, რომ მანდაური ქართველობა ზავს მისცემია, ალბად იმიტომ, რომ ამჟამად გასაყოფი არაფერია, მოვესწრებით წრიალს, როდესაც თბილისის კარებს შეაღებენ, მაშინა ნახე ხმლების ტრიალი და ერთმანეთის თავპირის კაწვრა. აპირებთ თურმე ქართული ეკლესიის გახსნას, ამის გამო ბ-ნ კემულარიას წერილი მიუწერია პ. მოსულიშვილისათვის, სთხოვს ბერლინში ჩასვლას საეკლესიო გუნდის მოსაგვარებლად და საერთოდ კონცერტების მოსაწყობად. ძალიანა გთხოვს ბ-ნი პავლე პირადათ შენ, მოუხერხოთ აქედან წამოსვლა მხოლოდ მარტო კონცერტების მოსაწყობად კი არა, არამედ მანდ რაიმე სამუშაო, შესაფერისი რასაკვირველია, უშოვნოთ, შენ იცი რომ ენერგია ბევრი აქვს, მშრომელი და ამასთან განათლებულიც არის, ასე რომ უსარგებლოდ არ იქნება ამისი მანდ ყოფნა. თუ შეგიძლიან, იმედია დაეხმარები და თავის დროზედ ვიზასა და ფულს მოაწვდით.

შენი სონა

სპირიდონ კედიას წერილი ვახტანგ ღამბაშიძეს

კლამარი, ამა 1947 წლის აპრილის 26-ს.

ბატონო თავმჯდომარევ და ძვირფასო მეგობარო,

ვწუხვარ, რომ თქვენ მიერ მოწვეულ დღევანდელ კრებას ვერ ვესწრები. ამის მიზეზია, როგორც მოგეხსენებათ, ამჟამად ჩემი ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა, მაგრამ აზრით თქვენთან ვარ და მინდა ეს ჩემი აზრი შორიდან მაინც გაგიზიაროთ.

მე გავეცანი თქვენს განცხადებას, ასოციაციის აღდგენის გარშემო მომხდარ ამბებს რომ ეხება.

როგორც ერთ-ერთი წევრი იმ პატარა ქართული ოჯახისა საფრანგეთში, რომელსაც თქვენ მამასახლისობთ, მე გამოვსთქვამ დიდ მწუხარებას იმის გამო, რომ ასოციაციის კვლავ ამოქმედების წესიერად წამოწყებული საქმე შუა გზიდან ურიგობაში გადასულა და სულ ბოლომდე უწესოების დოღივით უვლია!

იმისათვის რომ ასოციაციას ახალი მეთაურობა მისცემოდა, რად იყო საჭირო ან წესდების გადალახვა, ან წლობით დამკვიდრებული ტრადიციის უპატივცემლობა, ან თავჯდომარის უფლების გადათელვა და ბოლოს ადამიანის პიროვნების _ ამ შემთხვევაში მხცოვანი და საზოგადოების წინაშე მრავალნაირად დამსახურებული მოღვაწის შეურაცყოფა და განუკითხავად მისი გაშავების წყურვილი?

მთელი ეს უწესო ხერხი გარდა იმისა, რომ მის საშუალებით მიღწეულ შედეგს მიუღებლად ჰხდის როგორც უკანონოს, იგი აშფოთებს და აღელვებს ყოველ მიუდგომელსა და სამართლიანობის მგრძნობელ სინდისს, _ იგივე რომ სხვანაირად ითქვას, იგი სთესს ჩვენს შინაურობაში ახალ გაღიზიანებას და არევ-დარევას, თითქოს სავალალოდ ის არ კმაროდეს, რაც უკვე არსებობს!

როცა ძალადობასა და უფლებას შორის დავა ჩამოვარდება, თავისუფალმა პიროვნებამ პირველის წინააღმდეგ უნდა მეორე დაიცვას, თორემ უამისოდ ადამიანის სიცოცხლეს ფასი და გამართლება ეკარგება. ამიტომ მე სავსებით ვიზიარებ თქვენს მხნე პროტესტს მომხდარი უკანონო საქციელის წინააღმდეგ.

ამ შექმნილს პირობებში, ისევ თქვენ რჩებით ჩვენი ასოციაციის მართებულ თავჯდომარედ. გამოიყენეთ, ბ-ნო ვახტანგ, ეს მდგომარეობა იმისათვის, რომ მოხდეს, რაც შეიძლება მოკლე ხანში, გამგეობის წესიერი არჩევნები და ასოციაციამ დაიწყოს თავისი ნორმალური არსებობა.

ღრმა პატივისცემით თქვენი სპ. კედია.

სპირიდონ კედიას წერილი რევაზ გაბაშვილს.

კლამარი, 7.4.46.

ძმაო რეზო,

ეს სამი დღეა, რაც ჩემი ტელეფონი არ მუშაობს და სათქმელს კალმით გადმოგცემ.

ვწუხვარ, რომ შაბათს კლამარში მოსვლა ვერ მოგიხერხდა (ვაი ჩვენს უმწეობას, ვინ იცის იქნებ ეს გზის ფულის ამბავიც იყო!).

თუ შესძლებ, ამოდი ჩვენსა პარასკევს, ხვალზეით, ასე 5-6 საათისათვის (მე მუშაობას 6 საათზე ვათავებ), თანაც მოვითათბიროთ და თანაც მცირედ ,,მოვისერობოთ".

იყავი კარგად. ჩვენგან გულითადი მოკითხვა ქ-ნ ლიზას.

სპ. კედია

ალექსანდრე ცომაიას წერილი სპირიდონ კედიას მეუღლესა და ქალიშვილს

22-VI-48 წ.

ძვირფასო ქალბატონო სოფიო და თეო!

რა მოგწეროთ, რა ვსთქვა და რა გითხრათ ამ უსაზღვრო და უძირო მწუხარებაში? რითი ან როგორ განუგეშოთ ასეთი მეუღლისა და მამის დამკარგავი?

ჩემი დაკოდილი გულისა და შეძრწუნებული სულის რეაქციის ქაღალდზე დატანა არ ძალმიძს.

ორი კვირაა გავიგე ეს საშინელი ამბავი და მთელი ეს დღეები ვებრძვი ჩემს თავს, ჩემს გულს, რომელიც ვერ ურიგდება, უარს ამბობს, დაიჯეროს რომ ღმერთმა ასე მრისხანედ დაგვსაჯა.

რატომ, რა დაუშავეთ განგებას, რომ ასე უდროოდ ხელიდან გვტაცებს ისეთ ადამიანს, რომლის სიცოცხლე მთელ ქართველ ხალხს სჭირდებოდა?

ქალბატონო სოფიო, ჩემო ძვირფასო და საბრალო ქალბატონო, თქვენ ისეთი მეგობარი და მეუღლე დაჰკარგეთ, რომ ნუგეშისცემა შეუძლებელია!

თუ ამას ოდნავ მაინც შეუძლია შემსუბუქება თქვენი ღრმა მწუხარებისა, შემიძლია გულწრფელად გარწმუნოთ, რომ ჩვენი საყვარელი ბატონი სპირიდონის ასე მოულოდნელად დაკარგვით თქვენთან ერთად მეცა ვარ უაღრესად დამწუხრებული და გულმოკლული.

ბ-ნი სპირიდონი არ იყო კერძო კაცი, რომლის დაკარგვა მხოლოდ მის ოჯახსა და ნათესავებს ეხება. ბ-ნი სპირიდონი ჩვენ ყველას გვეკუთვნოდა, ის იყო ჩვენი მასწავლებელი, ქართული პატრიოტიზმის სულიერი მეთაური და მედროშე! მისი დაკარგვა ქართული ნაციონალიზმის უმეთაუროდ დარჩენაა! ეს გლოვის დღეა ყველა შეგნებული ქართველისათვის!

მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთმა საქართველო ვერაგულად დაატყვევა და სამარეში ჩააწვინა. იწყება თავგანწირული ბრძოლა ეროვნული თავისუფლების აღსადგენად და ეს ბრძოლა საუკუნე ნახევარია რომ გრძელდება. ამ ბრძოლას ბევრი ბრწყინვალე მეთაური ჰყოლია: ბატონიშვილები და ხალხიდან გამოსული ბელადები, სასულიერო პირები და მხედრები, მაგრამ ილია ჭავჭავაძე ყველაზე ბუმბერაზად მოსჩანს. ამ საკვირველმა ადამიანმა საქართველოს ნახევარი საუკუნე ისე უპატრონა, როგორც მოსიყვარულე მშობელი შვილსა ჰპატრონობს. მისი ტრაღიკულად დაღუპვის შემდეგ ქვეყანა უმეთაუროდ, უჭირისუფლოდ დარჩა. ვის შეეძლო ილიას დიდი მემკვიდრეობის მიღება, მისი საქმისა და პოლიტიკური გეზის გაგრძელება? ამას სჭირდებოდა დიდი კაცი და იმხანად ასეთი არავინ აღმოჩნდა. უფრო გვიან, თითქოს ათი წლის შემდეგ ასპარეზზე გამოდის ევროპაში განათლება მიღებული, ბუნებრივი ჭკუითა და ნიჭით უაღრესად დაჯილდოვებული ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც საქართველოს მხურვალე საყვარულითა და ეროვნული ინტერესების სწორი გაგებით აღგზნებული აღიმაღლებს ხმას და ეს ძლიერი, მჭექარე და ხავერდივით მოალერსე ხმა ქართველ ხალხს გულის სიღრმემდე ჩასწვდება. ეროვნულ ბანაკს ახალი მეთაური მოევლინა! მან გააცოცხლა ილიას იდეური მემკვიდრეობა და ქართულ სხეულში მოდერნულ-ევროპული სული შთაბერა.

სპირიდონ კედია საქართველოს ცხოვრებაში ახალი სიტყვა, ახალი საქმე და ახალი ფორმაა! ქართველი ერის წარსულის მადიდებელი და მომავლისაკენ იმედით შემყურე, არაჩვეულებრივი ორატორული ნიჭისა და პოლიტიკური ანალიზის უნარის

წყალობით ის სულ მოკლე დროში – 1915-დან 1921 წლამდე _ ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას ისეთ ღრმა კვალს დაამჩნევს, რომ მომავალში მისი სახელი ცოცხალი დარჩება, ვიდრე იარსებებს თვით ეროვნული პოლიტიკა.

მე არ ვიცი, ჩვენი უმწეობის გამო, ემიგრაციაში შევძლებთ თუ არა მას შესაფერისი ძეგლი დაუდგათ, მაგრამ მე ვიცი, რომ ყოველი პატრიოტი ქართველის გულში მან უკვე დაიდგა ხელთუქმნელი და მარადიული ძეგლი, რომელსაც დროთა მსვლელობა და პოლიტიკური ცვალებადობა ვეღარაფერს დააკლებს. ბ-ნი სპირიდონის უმწიკვლო პატიოსნება, ჩვენი ქვეყნისადმი მისი უანგარო და განუსაზღვრელი სიყვარული, საქართველოს სახელმწიფოებრივობასა და ეროვნული თავისუფლებისადმი თავგანწირვამდე მისული ერთგულება, სამუდამოდ დარჩება მისაბაძ მაგალითად.

თქვენთან ერთად ვგლოვობ ამ იშვიათ პიროვნებას და მებრალება უმეთაუროდ დარჩენილი ეროვნულად მოაზროვნე ქართველობა: ღრმა ერუდიციითა და ქვეყნის სიყვარულით გაბრწყინებული დიდი ჭკუა, დიდი ნიჭი _ ასეთი ადამიანები საქართველოს ცაზე ხშირად არ ანათებენ. ვინღა მოუვლის ჩვენს დანგრეულ ეროვნულ ოჯახს, ვინღა უმეთაურებს ეროვნულ იდეას?

ვინ მოგივლით და რა უნდა ჰქნათ თქვენ და თეომ? ეს კითხვები გულს მიკლავს და პასუხი ვერ მიპოვია. უფრო გვიან, როცა უკეთ შევიძლებ ჩემი აზრების ობიეკტიურად დალაგებას, ჩემს მოვალეობად ვრაცხ, ბ-ნი სპირიდონის ეროვნულ მოღვაწეობას საგანგებო ნარკვევი უძღვნა. ეს იქნება ჩემი ძვირფასი მასწავლებლისა და საყვარელი უფროსი მეგობრის ხსოვნისადმი ერთგულების თავდები. თქვენთან ერთად დავსტირი ჩვენს საყვარელ ბ-ნ სპირიდონს და მომავალშიც ურყევად ვატარებ მის პატივისცემასა და ღრმა სიყვარულს.

უმორჩილესად გთხოვთ, მიიღოთ ელზასაგანაც გულწრფელი თანაგრძნობისა და დიდი მწუხარების გრძნობები.

მარად პატივისცემით თქვენი საშა ცომაია.

ნაწილი მეორე

მასალები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიისათვის ემიგრაციაში

ედპ-ს ფუძემდებლური დოკუმენტები შედგენილი სპირიდონ კედიას მიერ

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საემიგრაციო წესდება

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ემიგრაცია შესდგება უცხოეთში დაბინავებული პარტიული წევრებისაგან.

წევრები ორ საფეხურად განიყოფებიან:

ა) არიან პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის წევრები და

ბ) არიან პარტიული ემიგრაციის წევრები.

I

წევრობა

ადგილობრივი საემიგრაციო ორგანიზაციისა:

ა) პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის წევრად გახდომა შეუძლიან ყოველ ქართველ ემიგრანტს, სქესისა და სარწმუნოების განურჩევლად, თუ სრულწლოვანია, თუ პარტიის მოძღვრებას იზიარებს და საქართველოს მამულიშვილობა არ დაუკარგავს.

ამისათვის მსურველს შესაფერი განცხადება შემოაქვს ადგილობრივს ორგანიზაციაში. განცხადებაში მოყვანილია მისი გარდაწყვეტილების მოტივები და დასახელებულია ორი პარტიული წევრი, როგორც მისი წარმადგენელი.

წევრის მოვალეობა

წევრი ვალდებულია შეასრულოს ყველა ადგილობრივი ორგანიზაციისა და მთავარი კომიტეტის დადგენილება.

ადგილობრივი ორგანიზაცია კანონმდებლობს მხოლოდ ადგილობრივი საჭიროების ფარგალში და არასდროს იგი მთავარ კომიტეტთა კომპეტენციის სფეროში არ შეიჭრება.

შემოსულ განცხადებას ადგილობრივი ორგანიზაცია ორ თვეში პასუხს გასცემს. თუ მთხოვნელი სასურველი პიროვნებაა, მას ორგანიზაცია თავის წრეში შემოიყვანს, პირველად როგორც სტაჟიორს. ამ წოდებაში იგი რჩება ექვსი თვე. ამ ვადის გასვლის შემდეგ, თუ მთხოვნელის სასურველობაზე ორგანიზაციას აზრი არ შეუცვლია, იგი მას თავის წევრად ღებულობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტაჟიორი განუსაზღვრელად ჰკარგავს ორგანიზაციაში დარჩენის უფლებას.

თუ პარტიული ორგანიზაცია ადგილობრივ არ არსებობს, წევრობის მაძიებელი მახლობელ ორგანიზაციას მიმართავს.

ადგილობრივ ორგანიზაციას უფლება აქვს, ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც მთხოვნელის წარსული და აწმყო თავისთავად საკმაოდ ჩინებულია, იგი სრულიად გაანთავისუფლოს სასტაჟო პერიოდისაგან და პირდაპირ წევრად აიყვანოს.

პარტიული ემიგრაცია პასუხს არ აგებს ადგილობრივი საემიგრაციო ორგანიზაციის რაიმე თვითნებური მოქმედებისათვის.

ბ) წევრობა პარტიული ემიგრაციისა:

პარტიული ემიგრაციის წევრად ex offcio ითვლება ყოველი სამშობლოდან აყრილი და უცხოეთში გადმოხიზნული პარტიული წევრი, თუ მას მტერთან, თავის საკუთარი ნებით, არასდროს არავითარი ურთიერთობა არ დაუჭერია.

ჩამოსულმა წევრმა თავისი ვინაობა უნდა ადგილობრივ ორგანიზაციას განუცხადოს და მას ამის დამამტკიცებელი საბუთიც წარუდგინოს.

პარტიული ემიგრაციის წევრად შეიძლება გახდეს აგრეთვე ის, ვინც ორგანიზაციაში პირველად ემიგრანტობის დროს ჩაწერილა და მის წევრად სულ ცოტა, ექვსი თვე მაინც დაუყვია.

ამისათვის, პარტიული ემიგრაციის წევრობის მსურველმა უნდა პარტ. ემიგრაციის მთავარ კომიტეტში წარადგინოს შესაფერი განცხადება და მისი ვინაობის დამადასტურებელი ადგილობრივი ორგანიზაციის მოწმობა.

პარტიული ემიგრაციის მთავარ კომიტეტს უფლება აქვს, ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც მთხოვნელის პიროვნება ამის უდავო საფუძველს იძლევა, იგი პირდაპირ პარტიული ემიგრაციის წევრად მიიღოს.

მთხოვნელის მიღება ამა თუ იმ ხარისხის წევრად ხდება მთავარი და ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებით. მისი დამტკიცება პარტიული ემიგრაციის წევრად კონფერენციის საქმეა.

II
წევრობიდან გარიცხვა

ა) წევრის ადგილობრივი ორგანიზაციიდან გარიცხვა ხდება ამავე ორგანიზაციის დადგენილებით, ხმათა ერთი მესამედის უმრავლესობით.

გარიცხვის დადგენილებამდე ადგილობრივი ორგანიზაცია და სხვა დაინტერესებული ორგანოები ვალდებულნი არიან გარკვეული ბრალდებები წაუყენონ ვისაც ეს ეხება და მისგანაც მოისმინონ სრული პასუხი და განმარტება.

ეს ყველაფერი უნდა მოხდეს რეგლამენტის მიერ კანონიერად ნაგულისხმევ კრებებზე და ოქმში იქმნეს შეტანილი.

გარიცხულს უფლება აქვს ეს დადგენილება მთავარ კომიტეტში გაასაჩივროს იმ შემთხვევაშიც, თუ იგი მხოლოდ ადგილობრივი ორგანიზაციის წევრი იყო და არა პარტიული ემიგრაციისა.

მთავარი კომიტეტი გამოსაძიებლად საქმეს საგამომძიებლო კომისიას გადასცემს და გამოძიების მასალის მიხედვით თავის ვერდიკტს გამოიტანს.

გარიცხვის საჯარო გაქვეყნება მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც იგი დადასტურებულია მთავარი კომიტეტის მიერ.

ბ) წევრის პარტიული ემიგრაციიდან გარიცხვა.

პირველად ხდება წევრის დროებითი გადაყენება პარტიული ემიგრაციიდან, რაიცა შედის მთავარი კომიტეტის კომპეტენციაში. დროებითი გადაყენების შესახებ დადგენილება მთავარი კომიტეტის ხმათა სამი მეოთხედის უმრავლესობით უნდა იყოს მიღებული.

დადგენილების მიღებამდე მთავარი კომიტეტი გარკვეულ ბრალდებას წარუყენებს ვისაც ეს ეხება და მისგან მოისმენს სრულს სიტყვა-პასუხს. თავის დადგენილებას მთავარი კომიტეტი სავალდებულო უწყების სახით, საგამომძიებლო კომისიას აცნობებს. ეს უწყება კომისიას ავალდებულებს დამოუკიდებლივ შეუდგეს საქმის დეტალურ შესწავლასა და გამოძიებას.

მთავარი კომიტეტის დადგენილება, გადაყენებული წევრის პარტიული ემიგრაციიდან გარიცხვის წინადადებით და საგამომძიებლო კომისიის მიერ დამზადებული მასალა თავის დასკვნით წარედგინება პარტიულ კონფერენციას, რომელსაც ამ საკითხზე საბოლოო განაჩენი გამოაქვს.

გ) წევრის გარიცხვის წარმომშობი გარემოებანი:

ა) პარტიის მოძღვრების, მისი ოფიციალური პოლიტიკისა და მისი დისციპლინის წინააღმდეგ საჯარო გამოსვლა.

ბ) საჯაროდ, ან კერძოდ უცხოთა წრეში ცუდათ მოხსენიება და ქირდვა პარტიის არჩეულ ორგანოთა ან მათი რომელიმე ცალკე წევრისა.

გ) ყოველი ზნეობრივად დასაწუნი საქციელი, რომელიც როგორც ეგეთი, სახელს უტეხს პარტიულ ამხანაგობას, მაშასადამე მთელს პარტიას.

დ) ყოველი ჭორი, ცილის დაწამება, ინტრიგების გაბმა, ერთმანეთის გადაკიდება, თესვა შინაური შუღლისა და განხეთქილებისა, როგორც პარტიის დასუსტების და დაშლის დანაშაული.

ე) და სხვა არსებულ წესდებათა სხვადასხვა მუხლში გათვალისწინებული შემთხვევანი.

III
პარტიის ორგანოები უცხოეთში:

ა) ადგილობრივი გამგეობანი.
ბ) პარტიული ემიგრაციის საბჭო.
გ) პარტიული ემიგრაციის მთავარი კომიტეტი.
დ) პარტიული ემიგრაციის ხაზინა.
ე) ,,----------,, ბეჭვდითი ორგანო.
ვ) ,,----------,, საგამომძიებლო კომისია.
ზ) ,,----------,, საკონტროლო კომისია.
თ) ,,----------,, კონფერენცია.

ადგილობრივი გამგეობანი

უცხოეთის ყოველს ქვეყანაში, სადაც პარტიული ხალხი იმყოფება, არსებობს ერთი ცენტრალური გამგეობა და იმდენი პროვინციალური გამგეობა, რამდენიც ორგანიზაციაა.

ადგილობრივ ორგანიზაციას შეადგენს, სულ მცირე, სამი წევრის კრებული. მას ჰყავს არჩეული გამგეობა, ან ერთი გამგე, თუ ორგანიზაცია სამწევრიანია.

ადგილობრივი ერთი ან ორი წევრი უნდა მახლობელ ორგანიზაციას მიეწერნენ.

ადგილობრივი ორგანიზაცია ვალდებულია ქართველთა შორის პარტიის მოძღვრების გავრცელებასა და მის გაზრდას ემსახუროს; ხოლო უცხოთა შორის გასწიოს საქართველოს სახელისა და მისი დამოუკიდებლობის პროპაგანდა. ამ დარგში, მას აქვს განუსაზღვრელი ინიციატივის უფლება.

ადგილობრივი ორგანიზაცია ვალდებულია მიჰყვეს და მკაცრად დაიცვას ემიგრაციის მთავარი კომიტეტის საერთო პოლიტიკური, ორგანიზაციული, აგრეთვე ყველა სხვა საერთო ხასიათის დადგენილებანი.

პარტიული ემიგრაციის ხაზინის სასარგებლოდ იგი იხდის მთელი თავის შემოსავლის 30%. მას აქვს სრული ინიციატივის უფლება რაც შეეხება მისი ნივთიერი და ორგანიზაციული მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხსა და შინაური მუშაობის მოწესრიგებას.

პარტიული ემიგრაციის საბჭო

საბჭოში შედიან:

ა) ex officio ერ.დემ.პარ. მთავარი კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციის წევრები.

ბ) პარტიული ემიგრაციის მიერ არჩეული წევრები.

საბჭო სულ 15 წევრისაგან შესდგება. მას იწვევს და თავჯდომარეობს პ. ემიგრაციის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე. საბჭო ირჩევს თავის მდივანს, ადგენს კომისიებს სხვადასხვა დარგის საკითხებისათვის; და თავის მუშაობის რეგლამენტს. არკვევს და იმუშავებს პარტიის პოლიტიკურსა და ორგანიზაციულ საკითხებსა და პრაკტიკული მოქმედების პროგრამას. ამ საგნებზე გამოტანილ დასკვნებსა და მიღებულ დადგენილებას საბჭო აწვდის სახელმძღვანელოთ მთავარს კომიტეტს.

საბჭო იკრიბება ორ თვეში ერთხელ მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის მოწვევით. მთავარი კომიტეტი მას აცნობს განვლილი ორი თვის მოქმედების სურათს და მომავალი მუშაობის გეგმას.

საბჭო შედის მოხსენების დაფასებაში და თავის აზრებსა და სურვილებს დადგენილებებში გამოსთქვამს.

პარტიული ემიგრაციის მთავარი კომიტეტი

პარტიული ემიგრაციის მთავარი კომიტეტი შესდგება ხუთი წევრისა და ორი კანდიდატისაგან. მისი თავმჯდომარეა პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე. დანარჩენ ოთხ წევრს და ორ კანდიდატს ირჩევს პარტიული ემიგრაციის კონფერენცია. მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმი შესდგება: თავმჯდომარისა, მდივნისა და ხაზინადრისაგან; ამ ორ უკანასკნელს ირჩვეს მთავარი კომიტეტი.

მთავარი კომიტეტი ადგენს თავის სამუშაო წესდებას. იგი ხელმძღვანელობს და მართავს ემიგრაციაში მთელს პარტიულ საქმეს: საზღვრავს და ცხოვრებაში გაჰყავს პარტიის პოლიტიკა; იღვწის პარტიის იდეური და პოლიტიკური გავლენის გაზრდისათვის; საქართველოს პრობლემის გავრცელებისათვის და მისდამი სიმპატიისა და ინტერესის გაღვიძებისათვის უცხოთა წრეში; იწვევს კონფერენციას და ადგენს მის პროგრამას.

პარტიული ემიგრაციის ხაზინა

პარტიული ემიგრაციის ხაზინა ცალკე დაწესებულებაა. მისი ფონდი შესდგება: ადგილობრივი ორგანიზაციების შემოსავალზე დადებული გადასახადისგან, კერძო შემოწირულობებისგან და საგანგებოთ ამ მიზნით გამართული დილა-საღამოების შემოსავლიდან. ხაზინის გამგეობა შესდგება სამი წევრისაგან, რომელთაც ირჩევს კონფერენცია. ხაზინას აქვს თავისი რეგლამენტი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
საფრანგეთში მყოფ წევრთა ორგანიზაციის
სტატუტი

მიზანი და შედგენილება.

მუხლი I. 1901 წლის მკათათვის 1-ის კანონის ფარგლებში არსდება საფრანგეთში მყოფ ერ.დემ. პარტიის წევრთა ორგანიზაცია.

მისი ხანგრძლივობა უვადოა.

მისი მთავარი ბინა პარიზშია.

მუხლი II. ორგანიზაციის საგანია:

ა) პრესისა, კრებისა და სხვადასხვაგვარი ასოციაციის გზით დაიცვას და გააცნოს საფრანგეთის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ წრეებს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის მოქმედება, მისი დღევანდელი სოციალ-პოლიტიკური ვითარება, მისი წარსული ისტორია და კულტურა და ხელი შეუწყოს ფრანგულ-ქართულ მეგობრობისა და თანამშრომლობის დამყარებასა და განმტკიცებას.

ბ) ქართულს ემიგრაციაში კიდევ იმავე გზით პროპაგანდა გასწიოს ა) ეროვნული პრინციპის სუვერენობისა ბ) დემოკრატიული იდეებისა და გ) კერძო საკუთრების ნიადაგზე დაფუძნებული სოციალ-ეკონომიური სისტემის შენახვა-განვითარების სასასრგებლოდ.

გ) თავის წევრებს შეუქმნას ეროვნული ატმოსფერო და იზრუნოს მათი ზნეობრივი და ნივთიერი მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

წევრობა

1. საფრანგეთის ორგანიზაციის წევრად ითვლება ex officio ყოველი სამშობლოდან აყრილი და საფრანგეთში დაბინავებული პარტიული წევრი, თუ მას მტერთან, თავის საკუთარი ნებით, არასდროს არავითარი ურთიერთობა არ დაუჭერია.

ჩამოსულმა წევრმა თავისი ვინაობა უნდა ადგილობრივ სექციაში განაცხადოს და მას ამის დამამტკიცებელი საბუთიც წარუდგინოს.

2. ორგანიზაციის წევრად გახდომა შეუძლიან ყოველ ქართველ ემიგრანტს სქესისა და სარწმუნოების განურჩევლად, თუ სრულწლოვანია, თუ პარტიის მოძღვრებას იზიარებს და საქართველოს მამულიშვილობა არ დაუკარგავს.

ამისათვის, მსურველს შესაფერი განცხადება შემოაქვს ადგილობრივ სექციაში. განცხადებაში მოყვანილია მისი გარდაწყვეტილების მოტივები და დასახელებულია ორი პარტიული წევრი, როგორც მისი წარმადგენელი.

შემოსულ განცხადებას სექცია ორ თვეში პასუხს გასცემს. თუ მთხოვნელი სასურველი პირია, მას სექცია თავის წრეში შემოიყვანს, პირველად როგორც სტაჟიორს. ამ წოდებაში იგი რჩება ექვსი თვე.

ამ ვადის გასვლის შემდეგ, თუ მთხოვნელის პიროვნების შესახებ სექციას აზრი არ შეუცვლია, იგი მას თავის წევრად ღებულობს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, სტაჟიორი განუსაზღვრელად ჰკარგავს სექციაში დარჩენის უფლებას.

სექციას უფლება აქვს, ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც მთხოვნელის წარსული და აწმყო, თავისთავად საკმაოდ ჩინებული არის, იგი სრულიად გაანთავისუფლოს სასტაჟო პერიოდისაგან და პირდაპირ წევრად მიიღოს.

თვიური საწევრო გადასახადი დაწესებულია 10 ფრანკი.

წევრობის დაკარგვა

წევრობის დაკარგვა მოხდება ორის გზით, ან თავის დანებებით, ან გარიცხვით.

პირველ შემთხვევაში წევრმა წერილობითი განცხადება უნდა შემოიტანოს.

წევრობიდან გარიცხვა ხდება ადგილობრივი სექციის დადგენილებით, ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით. გარიცხვის დადგენილებამდე, ადგილობრივი სექცია ვალდებულია გარკვეული ბრალდება წარუდგინოს, ვისაც ეს ეხება იმას და მისგანაც მოისმინოს სრული პასუხი და განმარტება. ყველაფერი უნდა ხდებოდეს წესდების მიერ კანონიერად მიჩნეულ სხდომაზე და ოქმში იყოს შეტანილი.

გარიცხულს უფლება აქვს ადგილობრივი სექციის დადგენილება საფრანგეთის კომიტეტში განასაჩივროს. ეს უკანასკნელი გამოსაძიებლად საქმეს საგამომძიებლო კომისიას გადასცემს და გამოძიების მასალის მიხედვით თავის განაჩენს გამოიტანს.

გარიცხვის საჯარო გაქვეყნება მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც იგი დადასტურებულია საფრანგეთის კომიტეტის ხმათა სამი მეოთხედის მიერ.

წევრის გარიცხვის საკითხის წარმომშობი გარემოებანი

ა) პარტიის მოძღვრების, მისი ოფიციალური პოლიტიკისა და მისი დისციპლინის წინააღმდეგ საჯარო გამოლაშქრება.

ბ) საჯაროდ, ან კერძოდ უცხოეთში ცუდათ მოხსენიება და ქირდვა არჩეულ ორგანოთა ან მათი რომელიმე ცალკე წევრისა.

გ) ყოველი ზნეობრივად დასაწუნი საქციელი, რომელიც როგორც ეგეთი, სახელს უტეხს ორგანიზაციას.

დ) ყოველი ჭორი, ცილისწამება, ინტრიგების გაბმა, ერთმანეთზე გადაკიდების ცდა, თესვა შინაური შუღლისა და განხეთქილების, როგორც ორგანიზაციის დასუსტებისა და დაშლის დანაშაული.

ე) არასაპატიო მიზეზების გამო კრებებზე ქრონიკული დაუსწრებლობა, საწევრო ფულის გადაუხდელობა და სხვა თვით ადგილობრივ სექციების რეგლამენტში გათვალისწინებული შემთხვევები.

ორგანოები:

ადგილობრივი კომიტეტები,
საფრანგეთის კომიტეტი,
საგამომძიებლო კომისია,
სარევიზიო კომისია,
საზოგადო კრება.

ადგილობრივ სექციას შეადგენს სულ ცოტა სამი წევრის კრებული. ადგილობრივ სექციას ჰყავს თავის არჩეული კომიტეტი ან ერთი გამგე, თუ სექცია სამი წევრისგან შესდგება. ადგილობრივი სექცია თავის სამოქმედო რაიონში ემსახურება ამ წესდების მეორე მუხლში გამოთქმულ მიზანს.

ადგილობრივი სექცია და ყოველი მისი წევრი ვალდებულია, დისციპლინის წესით, შეასრულოს საფრანგეთის კომიტეტის დადგენილებანი და ყოველ პირობებში დაიცვას და ცხოვრებაში გაატაროს მისი პოლიტიკური ხაზი.

ყოველი გადახვევა, მის სიმძიმის მიხედვით, იწვევს საფრანგეთის კომიტეტის ჯერ ოფიციალურ შენიშვნას, მერე გაფრთხილებას და საბოლოოდ კი დაშლას.

წევრი ვალდებულია კრებებს დაესწროს, ორგანიზაციის ცხოვრებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღოს და რეგულარულად იხადოს დაწესებული საწევრო გადასახადი.

ადგილობრივ კომიტეტს ჰყავს თავისი პრეზიდიუმი, _ თავმჯდომარე, მდივანი და მოლარე.

ადგილობრივი სექცია ვალდებულია თავის შემოსავლის 50% საფრანგეთის კომიტეტის სალაროში გზავნოს.

საფრანგეთის კომიტეტი

საფრანგეთის ორგანიზაციის სათავეში დგას საფრანგეთის კომიტეტი. იგი ამავე დროს არის პარიზის სექციის კომიტეტიც.

არჩეულია საზოგადო კრების მიერ ერთი წლის ვადით. შესდგება შვიდი წევრისა და ორი კანდიდატისაგან. მისი თავმჯდომარეა პარტიის თავმჯდომარე. მისი ვიცე თავმჯდომარე ცალკედ არის არჩეული საზოგადო კრების მიერ. პრეზიდიუმი შესდგება _ თავმჯდომარის, ვიცე-თავმჯდომარის, მდივნისა და მოლარისაგან.

საფრანგეთის კომიტეტი ხელმძღვანელობს და მართავს საფრანგეთში პარტიულ საქმეს. საზღვრავს და ცხოვრებაში გაჰყავს პარტიის პოლიტიკა; იღწვის საქართველოს პრობლემის ვრცლად გატანისათვის და მისდამი სიმპატიისა და ინტერესის გაღვიძებისასთვის საფრანგეთში. იწვევს საზოგადო კრებას და ადგენს მის პროგრამას.

ბეჭდვითი ორგანო

პარტიულ ემიგრაციას აქვს თავისი ბეჭდვითი ორგანო, რომლის ხელმძღვანელობა კონფერენციის მიერ დავალებული აქვს მთავარ კომიტეტს.

საგამომძიებლო კომისია

საგამომძიებლო კომისია შესდგება საზოგადო კრების მიერ არჩეული სამი წევრისაგან. ყოველი საკითხი, რომელიც ამ წესდების მესამე თავში გათვალისწინებულ საგანს შეადგენს და დაინტერესებული მხარის მიერ პარტიაში იქნება განცხადებული, საგამომძიებლო კომისიის ხელში გადადის. კომისიას ევალება დაინტერესებული მხარეები დაჰკითხოს, საქმის ვითარება დაწვრილებით გამოიძიოს და მთელი მასალა საკუთარის დასკვნით იმ ორგანოებს გადასცეს, რომელთაც მინიჭებული აქვთ ამგვარი საკითხების საბოლოო გარდაწყვეტის უფლება.

საკონტროლო კომისია

შესდგება სამი წევრისაგან. არჩეულია საზოგადო კრების მიერ. ევალება ყველა მთავარ არჩეულ ორგანოთა მოქმედების კონტროლი და მათ შესახებ საანგარიშო მოხსენებათა წარდგენა კონფერენციაზე.

წლიური საზოგადო კრება

წლიური საზოგადო კრება უმაღლესი ორგანოა. საფრანგეთის ორგანო წლიურად ამყარებს პარტიის ძირითად იდეოლოგიურ სისტემას, მის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ მთავარ საძიებელს, იმუშავებს და ამტკიცებს პარტიის სამოქმედო გეგმას.

მის წინაშე პასუხისმგებელია ყველა პარტიული ორგანო თავ-თავისი მოქმედებისათვის.

მას მოხსენდება: საფრანგეთის კომიტეტის, საგამომძიებლო და საკონტროლო კომისიის წლიური მოქმედების ანგარიშები, ორგანოთა მდივნების მიერ. თითოეულ მათგანზე კრებას ცალ-ცალკე დადგენილება გამოაქვს. საზოგადო კრება შესდგება: ა) საფრანგეთის კომიტეტის წევრებისაგან; ბ) ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ კრების წევრებად არჩეული დელეგატებისაგან.

დელეგატის საარჩევნო ნორმა

ორგანიზაციის ყოველი სამი წევრი საზოგადო კრებაზე ერთ დელეგატს გზავნის და ნაშთი კიდევ _ ერთს. მაგ. თუ ორგანიზაცია სამი წევრისაგან შესდგება, იგი ორ დელეგატს გზავნის, თუ რვისგან _ სამს და სხვა.

კონფერენციის არჩეულ წევრს იმდენი ხმის უფლება აქვს, რამდენიც მარწმუნებელი ჰყავს.

საზოგადო კრება იკრიბება ყოველ წლის სექტემბერში. საზოგადო კრების მოწვევის გამოცხადებასა და მის შეკრებას შუა, სულ მცირე, ორი თვის მანძილი უნდა იყოს. რიგს გარეშე მისი მოწვევის უფლება აქვს საფრანგეთის კომიტეტს. მოწვევის ინიციატივის უფლება აქვს ორგანიზაციათა ერთ მესამედს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ინიციატივა უნდა საფრანგეთის კომიტეტში იქმნას განცხადებული და თვით კრების მოწვევაც მის საშუალებით უნდა მოხდეს. საფრანგეთის კომიტეტი ვალდებულია ათ დღეში გააქვეყნოს შემოსული წინადადება და განზრახული კონფერენციის წარმოდგენილი პროგრამა. ხოლო საზოგადო კრებაზე წარსადგენი მოხსენებები, პროეკტები თუ წინადადებები უნდა საფრანგეთის კომიტეტში იქნეს შემოტანილი არა უგვიანეს ერთი თვისა საზოგადო კრების დაწყებამდე. დაგვიანებით შემოტანილი საკითხები მხოლოდ მაშინ შეიძლება წესრიგში მოხვდეს, თუ ამას საზ. კრება საჭიროდ დაინახავს.

საზოგადო კრებას ხსნის პარტ. ემიგრაციის უხუცესი წევრი, რომლის თავმჯდომარეობითაც იგი ირჩევს პრეზიდიუმსა და სამანდატო კომისიას. დამსწრეთა მანდატებს შემოწმებისა და ამ საგანზე სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ, საზ. კრება ამტკიცებს თავის დღიურ წესრიგს, მუშაობის წესდებას და ირჩევს სხვადასხვა კომისიას.

საზოგადო კრება ირჩევს საფრანგეთის კომიტეტს, იმ ცენტრალურ ორგანოებს, რომლებიც ამ წესდების მეოთხე თავშია მოხსენებული.

საზოგადო კრების სხდომები საჯაროა, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში, თვით კონფერენციის დადგენილებით, სხდომა შეიძლება დახურულ კარებშიც მოხდეს.

ალექსანდრე ასათიანის, დავით ვაჩნაძის, ნესტორ მაღალაშვილის მიმართვა ედპ-ს მთავარ კომიტეტს

საქ. გაერთიანებულ ეროვნულ-დემოკრ. პარტიის მთავარ კომიტეტს.

I. საქართველოს განმათავისუფლებელი მუშაობის პირობათა რადიკალურად შეცვლა უკანასკნელს დროს და მეორეს მხრივ ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს ამ განმათავისუფლებელს ბრძოლაში ჩვენს პარტიას და მის მიერ გაწეულ მუშაობასა და გაღებულს მსხვერპლს, გვავალებს და გვიკარნახებს მივიღოთ ყოველგვარი ზომები ჩვენს წრეში მტკიცე ერთობის დასამყარებლად.

ამ საგანზე მრავალი თათბირის შემდეგ ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ სასურველი მთლიანობის დამყარება ჩვენს ორგანიზაციაში შეიძლება შემდეგს საფუძვლებზედ:

1. პარტიაში დარჩენილნი მთავარი კომიტეტის წევრები კოოპტაციით მიწვეულებთან ერთად არიან ამჟამად მატარებელნი ჩვენი პარტიის იდეისა,

ორგანიზაციისა და წარსული თუ აწმყო არსებობისა. შექმნილს ობიექტურს პირობებში პარტიას არ შეუძლიან შექმნას სხვა რომელიმე უფრო კანონიერი და ავტორიტეტული ორგანიზაცია. ამიტომ ეს ორგანო კვლავაც უნდა დარჩეს როგორც პარტიის ხელმძღვანელი ორგანიზაცია. მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმი შევსებული უნდა იქნეს თავმჯდომარის მეორე ამხანაგისა და მდივნის არჩევით.

ვინაიდან არსებულს პირობებში მთავარი კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი ვერ იქნება ისე მოძრავი და ცვალებადი, როგორც ეს იყო ნორმალურს პირობებში, საჭიროა მთავარმა კომიტეტმა შექმნას მთავარი კომოტეტის ბიურო, რომელიც აირჩევს აქ თვის ვადით და ბიუროს გენერალური მდივნის მეთაურობით აწარმოებს კომიტეტის აღმასრულებელ მუშაობას პოლიტიკურსა და ორგანიზაციულს. მთავარი კომიტეტი, როგორც პარტიის უმაღლესი ორგანო იქნება საერთო ხელმძღვანელი და კონტროლიორი მთ. კომიტეტის ბიუროსა და ყველა სხვა პარტიულ ორგანიზაციების მუშაობისა და შემქნელი მათთვის მუშაობის პირობებისა და წესებისა.

ეს მოდუსი მიღებულ უნდა იქნეს დაუყონებლივ. ხოლო ამანაც თუ მიზანს ვერ მიაღწია, მოწვეულ უნდა იქმნეს მთ. კომიტეტის წევრთა და ევროპაში მოქმედ სხვა ორგანიზაციების კონფერენცია. სტამბოლის კომიტეტი ორგანიზაციულად დაქვემდებარებული იქნება პარიზის მთავარ კომიტეტს, ხოლო მას როგორც მთ. კომიტეტის განყოფილებას, მინიჭებული ექნება ავტონომიური უფლებები აქ და საქართველოში მუშაობის სფეროში. უკეთუ ეს მოდუსი დაჩქარებით არ იქნება განხორციელებული, აქაური მდგომარეობისა და პერსპექტივების კარნახით, იძულებული გავხდებით კონფერენციის მოწვევამდე მუშაობა ვაწარმოვოთ სრულიად დამოუკიდებლივ ჩვენი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ.

II. ჩვენი განმათავისუფლებელ ბრძოლისათვის შექმნილი ახალი პირობები და პერსპექტივები გვავალებენ დაჩქარებით მოვახდინოთ შეთანხმება და შევქმნათ მთლიანი ეროვნული ორგანიზაცია და ცენტრი.

ამისათვის საჭირო იქნება დავსთმოთ მოთხოვნა ისეთ ახალი გარანტიებისა და ცვლილებებისა, რომელნიც 1922 წლის შეთანხმებიდან არ გამომდინარეობს. სრული და გულწრფელი განაღდება იმ შეთანხმებისა, რომლის დროშის ქვეშ ჩვენმა ერმა ამოდენა მსხვერპლი გაიღო შექმნილს პირობებში, სავსებით დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ეს შეთანხმება ჰგულისხმობს, როგორც ორგანიულს მთლიანობას ორგანიზაციულს მუშაობაში, ისე საერთო შეთანხმებული იდეური გეზის აღებასა და პროპაგანდას შინ და გარედ. ამისათვის კი საჭირო იქნება შეჩერება შინაურულ პარტიულ ბრძოლისა და მოსპობა. ამა თუ იმ მიმდინარეობისათვის მინიჭებულ ადგილითა რიცხვის შესახებ პრინციპიალური საკითხი არ არის და აქ შეთანხმება ძნელი არ იქნება, ხოლო აუცილებელ საჭიროებას შეიცავს ერთი ადგილი დაეთმოს სამხედრო წრის წარმომადგენელს.

1922 წლის შეთანხმების საფუძველზე თუ რაიმე უთანხმოება აღიძრება მისი განმარტებების შესახებ ეხლა ან მომავალში, სავალდებულოდ უნდა იქმნეს მიღებული ამ კითხვების არბიტრაჟის წესით გადაჭრა.

ალ. ასათიანი
დ. ვაჩნაძე
ნ. მაღალაშვილი[1]
11 აგვისტო 1922 წელი.
ქ. სტამბული.

ოქმი
გ. ერ. დემ. პ. საზღვარგარეთის მთავარი (პარიზის) კომიტეტის პრეზიდიუმის 8 დეკემბრის სხდომისა [1923 წ.]

კრებას დაესწრნენ: სპ. კედია, ალ. ასათიანი, ნ. ნიკოლაძე, გ. მაჩაბელი, ი. დადიანი. ამ სხდომის მდივნობა დაევალა ალ. ასათიანს. თავმჯდომარეობს სპ. კედია.

დღის წესრიგი:

1) ინფორმაცია; 2) პ. ორგანიზაციის წევრთა მორიგი კრებების მოწყობა; 3) ჩვენი პოზიცია ალ. ასათიანის მოხსენების გამო კვირის კამათში; 4) გ. ვეშაპელის მიერ მთავრობისა და გაფართოებული პრეზიდიუმის ორ დეკემბრის სხდომაზედ შექმნილი ინციდენტი.

1. დამსწრეთ ერთმანეთს განუზიარეს თავ-თავისი ცნობები საქართველოს ამბების შესახებ და გამოსთქვეს თავ-თავისი მოსაზრებანი ამ მოტანილი მასალის მიხედვით; მაგრამ ამასთან დაკავშირებით არავითარი დადგენილება არ გამოუტანიათ.

2. თავმჯდომარემ კრებას მოახსენა ორგანიზაციის ზოგიერთი წევრის გამოთქმული სურვილი, რომ პერიოდულათ იმართებოდეს წევრთა პარტიული კრებები.

_ კრებამ დაადგინა: საკრებულო დარბაზის საკითხი გამოარკვიოს ბნ. დგებუაძესთან და თუ ეს საკითხი დადებითად გადაიჭრა, დაუყონებლივ ხელი მიჰყოს რეგულიარ პარტიული კრებების გამართვას.

3. ალ. ასათიანის კვირის მოხსენების გამო დაადგინეს, რომ ყველას, ვინც კი ჩვენი მხრიდან კამათში მონაწილეობას მიიღებს, ევალება ასათიანის მიერ წამოყენებული დებულებანი დაიცვას და გაამაგროს, ხოლო ზოგან-ზოგან წინაც კი წასწიოს დაჭერილი პოზიციები და რომ არავითარ შემთხვევაში უკან დახევას ან დებულებათა შესრულებას ადგილი არ მიეცეს.

4. ვეშაპელის ინციდენტი:

შეკითხვაზედ თუ ამ კრებაზე ვეშაპელიც მოწვეული იყო, თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მან ვეშაპელს მოწვევის ბარათი დროზედ გაუგზავნა და რომ ამ ბარათში აღნიშნული ჰქონდა, რომ ამ კრებაზედ იგი შეეხებოდა ვეშაპელის მიერ შექმნილ ინციდენტს, რომ ამით საგანგებოთ გაეხაზა თუ რაზომ აუცილებელია ამ სხდომაზედ ვეშაპელის დასწრება. თავმჯდომარემ განმარტა, რომ მან ამჯობინა ამ საკითხის გამო ჯერ პრეზიდიუმის მოწვევა და არა კომიტეტისა იმ მიზნით, რომ ეს ინციდენტი, თუ ვეშაპელიც ამას ხელს შეუწყობდა, ვიწრო წრეში ამოწურულიყო და არ მისდებოდა ფართო პარტიულ წრეებს, სადაც გულგატეხილობის მეტს სხვას ვერაფერს გამოიწვევდა. კრებამ მოითხოვა სპ. კედიას ეთქვა თუ რაში იყო საქმე, რაიც შესრულებულ იქმნა. ამასთან დაკავშირებით გ. მაჩაბელმა შემოიტანა შეკითხვა შესახებ ვეშაპელის ინტერვიუსი რუსულ გაზეთში და კრებას გააცნო ის მიწერ-მოწერა, რომელიც ამ საგანზედ გრ. ვეშაპელთან ჰქონია. მანვე შემოიტანა შეკითხვა იმ ფულის შესახებ, რომელიც ერთ-ერთ წევრს ჩვენი პარტიული ფონდის გასაძლიერებლათ შემოუტანია და რომელსაც თურმე ვეშაპელი დაპატრონებია და რომ მიუხედავათ საფინანსო კომისიის არაერთი მოთხოვნისა, რომ ვეშაპელს ეს ფული ბანკში შეეტანა ამ კომისიის წევრთა სახელზედ, როგორც ეს დადგენილი

ყოფილა და რა წესითაც ერთგვარი პარტიული თანხა კიდევაც ყოფილა დაბინავებული, მას ეს ფული ხელში დაუჭერია და ეს იმ დროსა და პირობებში, როდესაც თვით იგი უზრუნველყოფილი იყო მთავრობისგან დანიშნული ჯამაგირით; ხოლო საქართველოში მისი ამხანაგები ციხეში თუ ციხის გარეთ უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდენ და მუშაობას ვერ ახერხებდნენო; მანვე შემოიტანა შეკითხვა ლ. ჯაფარიძის შესახებ, რომელსაც თურმე საქართველოში ამხანაგებისათვის გადასაგზავნათ სხვადასხვა პირისგან მიღებული ფული, თვითვე მოუხმარია.

სპ. კედიას და გ. მაჩაბელის მოხსენებათა მოსმენის შემდეგ კრებამ დაადგინა 1. ამ საგანზე მსჯელობა გადადებულიყო შემდეგ კრებამდე, რომელიც 15 დეკემბრამდე უნდა გამართულიყო, გ. მაჩაბლის ამერიკაში გამგზავრებამდე და რომელზედაც სპ. კედიას და მაჩაბელს თავიანთი მოხსენება დაწერილი უნდა წარმოედგინათ, 2. დავალებოდა გ. მაჩაბელს, როგორმე ამხანაგური რჩევა-დარიგებით მომავალ კრებაზე ვეშაპელი მოეყვანა, რომ ამ უკანასკნელს თავისი საქციელი თვით განემარტა და საერთო სურვილით ინციდენტი ამ წრეში ამოწურულიყო.

სპ. კედია.
გ. მაჩაბელი

ოქმი
გ. ერ. დემ. პარ. საზღვარ. მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის 12 დეკემბრის სხდომისა [1923 წ.]

კრებას დაესწრნენ: სპ. კედია, გ. მაჩაბელი, ი. დადიანი, ალ. ასათიანი.
თავმჯდომარეობს სპ. კედია; ამ სხდომის მდივნობა დაევალა ალ. ასათიანს.
დღის წესრიგი _ ვეშაპელის ინციდენტი.

შეკითხვაზედ, თუ რა ზომები იყო მიღებული ვეშაპელის მოსაყვანათ და რა მიზეზით არ მოვიდაო, გ. მაჩაბელმა განაცხადა, რომ იგი პირადათ ელაპარაკა ვეშაპელს და სთხოვა აუცილებლივ დასწრებოდა პრეზიდიუმის კრებას, რომელიც საგანგებოთ იყო დანიშნული მის მიერ შექმნილი ინციდენტის გასარჩევათ და რომლის დღე და ადგილი მას თავის დროზედ ეცნობებოდა. ვეშაპელს განუცხადებია, რომ იგი ლევილში სცხოვრობს, იქვე მახლობლათ მუშაობს და რომ კვირა დღის გარდა მას მოცალეობა არ აქვს. გ. მაჩაბელს განმეორებით აღუნიშნავს ინციდენტის სერიოზული ხასიათი და უთხოვია, როგორმე მოეხერხებია და ერთი საღამო ჩამოსულიყო. გ. მაჩაბელმა კრებას ისიც აუწყა, რომ იმან, თანახმად 8 დეკემბრის დადგენილებისა, ვეშაპელს აცნობა დრო და ადგილი ამ კრებისა და განსაკუთრებულათ სთხოვა მას მაინც და მაინც დასწრებოდა; თანაც გაუფრთხილებია, რომ თუ ვეშაპელი კრებას არ დაესწრებოდა, პრეზიდიუმი მის დაუსწრებლათ გამოიტანდა თავის დადგენილებას. მაჩაბელმა კრებას ისიც აცნობა, რომ ვეშაპელს ამ ერთ ნახევარი საათის წინ მისთვის ტელეფონით დაურეკია და რომ იგი მაშასადამე პარიზშია და რომ სურვებოდა ჩვენს სხდომაზედაც მოვიდოდაო.

თავმჯდომარე კრებას აცნობს ვეშაპელის წერილს, რომელიც მისდა გადასაცემათ გ. მაჩაბლისთვის გადუგზავნია:

ბატონ სპ. კედიას, (ლიოვილი, 10/X/23)

ყოფილ თავმჯდომარეს გაერთ. ერ. დემ. და ეროვნ. პარტიის ც. კ., ამჟამად პარიზის კომიტეტის თავმჯდომარეს.

მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ შაბათს თქვენი უწყებით მოწვეულ კრებაზე დასწრება არ შემეძლო. რაც შეეხება ჩვენ შორის მომხდარ ინციდენტს (ინციდენტებს უკეთ რომ ვსთქვათ) ასეთები გადაწყდება უფრო კომპეტენტური ორგანოების და უფრო რადიკალური ზომების საშუალებით, ვიდრე პარიზის კომიტეტის პრეზიდიუმია.

გ. ვეშაპელი _ გაერ. პარტიის ყოფილი თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი, ამჟამად პარტიის ცენტრალი (თბილისის) კომიტეტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

იოსებ დადიანი შენიშნავს, რომ ამ წერილით ყველაფერი ნათქვამია. სჩანს, ბნ. ვეშაპელი საჯარო სკანდალს სრულიად შეგნებულათ ახდენს და სრულიათ შეგნებულათვე არავითარ ანგარიშს არ გვიწევს, რომ არავითარ ვალდებულებას და დამოკიდებულებას არ სცნობს პარტიული ორგანოს მიმართ, რომლის წევრი თვით არის, აღნიშნავს, რომ ამ ტენდენციას იგი ვეშაპელს დიდიხანია ამჩნევდა და თუ ასეთი გარკვეული ნაბიჯი დღემდე არ გადადგა, ეს იმიტომ, რომ ორგანიზაციაში ყოფნა და მისთვის ანგარიშის გაწევა ბნ. ვეშაპელისათვის ნივთიერ გამორჩენასთან დაკავშირებული იყოო; ეხლა, როდესაც ამის შესაძლებლობა არ არის და არც საამისი პერსპექტივა მოსჩანს, ცერემონიას თავი დაანება და ახდილათ გამოგვიცხადაო.

კამათში მონაწილეობა მიიღო ასათიანმა, მაჩაბელმა, კედიამ. აღინიშნა, რომ ეს წერილი იყო ყოველ პასუხისმგებლობას მოკლებული ადამიანის საქციელი, რომ ასეთი ადამიანის უკონტროლო ყოფნა საპასუხისმგებლო საწარმომადგენლო ადგილებზე ყოველთვის ხიფათთან და მოულოდნელ სკანდალებთან იქნება დაკავშირებულიო და რომ მეორეს მხრით, არავითარი იმედი არ იყო მასზედ კონტროლის მოხდენის და მისთვის საერთო ხაზის დავალებისა რაკი თავის თავს ორგანიზაციისაგან დამოუკიდებლათ და მასზე მაღლა აყენებს, როგორც ეს ამ წერილიდანაც, გ. მაჩაბლისადმი მიწერილ წერილიდანაც და მთელი რიგი მისი საქციელისგან სჩანსო. აღინიშნა, რომ ყოვლად შეუძლებელია რაიმე ნაყოფიერი პოლიტიკური მუშაობა, როდესაც ხელძღვანელ ორგანოს რომელიმე წევრი თვითნება პოლიტიკას და ეგოისტური ზრახვებს უკეთ დაკმაყოფილების სურვილს ერთმანეთს გაურთიანებს, პარტიას და მის ორგანოებს უცხოთა წრეში სკანდალებს უმართავს და იმ მოპირდაპირეებთან მესაიდუმლეობს და თათბირობს, რომელნიც ქვეყანას ხელმეორედ ღუპავენო.

ამის შემდეგ, სპ. კედია და გ. მაჩაბელი, თანახმად წინა სხდომაზე მიღებული დადგენილებისა, ადგენენ წერილობით მოხსენებას, რომელნიც კრებაზედ იქმნენ წაკითხული. გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ი. დადიანს დაევალა წერილობით შემოეტანა ის განმარტება, რომელიც მან მაჩაბლის განცხადებაში აღძრულ ფულის საკითხს მისცა; ამგვარათვე დაევალა ალ. ასათიანს, რომ მასაც წერილობით შემოეტანა თავისი განმარტება ვეშაპელის წერილს რომ გაუკეთა.

თანახმად წარმოდგენილ მოხსენებათა და კრებებზე გამოთქმული აზრებისა რეზოლუციის შედგენა და წარმოდგენა დაევალა მეორე დღისათვის ს. კედიას და გ. მაჩაბელს

ს. კედია
გ. მაჩაბელი.

ოქმი

გაერთ. ერ.დემ.პ. საზღვარგარეთის მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის 13 დეკემბრის სხდომისა.

დაესწრნენ: სპ. კედია, გ. მაჩაბელი, ალ. ასათიანი, ი. დადიანი.

თავმჯდომარე კითხულობს რეზოლუციას:

გ.ერ.დემ.პ. საზღვარგარეთის მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმი გაეცნო რა პრეზიდიუმის წევრის გრ. ვეშაპელის სხვადასხვა საქციელს, რომელიც სპ. კედიასა და გ. მაჩაბელის მოხსენებებში და ამ მოხსენებებთან დაკავშირებულ განმარტებებშია მოთხრობილი, სახელდობრ:

ა) რომ ვეშაპელი, გარეშე პრეზიდიუმისა და კომიტეტისა, მენშევიკების ,,ფაკტიურ მეთაურთან" შეთანხმებით სწყვეტს და ირჩევს თუ ვინ უნდა გაიგზავნოს საქართველოში სამუშაოდ ჩვენი პარტიული ამხანაგებიდან _ საკითხი, რომელიც უაღრესად შეეხება ჩვენს პარტიულსა და ეროვნულ ინტერესს და რომელიც ვეშაპელ-რამიშვილის კომბინაციით რამიშვილის მიზნებთან უფროა შეთანხმებული;

ბ) რომ ვეშაპელი, წინააღმდეგ ყოველგვარი დისციპლინისა და ამხანაგური ერთპირიანი მოქმედებ-თანამშრომლობისა და საზარელი როგორც ჩვენი პარტიის საერთო ზნეობრივ-პოლიტიკური პრესტიჟისა, ისე მთელი ეროვნული მიზნისა და ინტერესის, რამდენადაც ამ უკანასკნელთა დაცვა და სამსახური ჩვენი ეროვნული პარტიის ზრდა-განმტკიცების უპირატესობასთან გვაქვს წარმოდგენილი და დაკავშირებული საქვეყნოთ, უცხოთა წრეში კრიტიკას უკეთებს და ამცირებს პარტიის მთავარი კომიტეტის ღირებულებას და იმპროვიზაციულათ ჰქმნის კონფლიკტს დამსწრე ამხანაგთან, მთავარი კომიტეტის და იგივე საზღვარგარეთის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარესთან და რომ ამავე დროს თავის თავს და იმათაც ვინც მის კვალს გაჰყოლია მთავარი კომიტეტისგან დევნილათ და მის სხვერპლათ ჰსახავს _ ამ თავდადებისათვის კომპენსაციას ალბათ სხვა მხრივ ღებულობს;

გ) რომ პარტიული ორგანიზაციის ფარგალში, ამხანაგის სარეაბილიტაციო სახმარ დოკუმენტს დემონსტრაციულათ, სხვა იერისა და ტანის მისაცემათ, აწვდის და აკითხებს უცხო კრებულს;

დ) რომ დაუკითხავათ პრეზიდიუმისა და რომელიმე ამხანაგისა, ხოლო წინასწარი შეთანხმებით და შეზრახვით მენშევიკების ,,ფაკტიურ მეთაურთან", რუსულ ერთ-ერთ მონარქისტულ გაზეთს ინტერვიუს აძლევს, სადაც რუსეთთან დაკავშირების იდეა წამოყენებულია იმ ფორმით, რომ ნიშნი მიეგოს და მუქარაც დაანახვოს ორს, ჩვენთვის ყველაზედ უფრო დასაყრდნობს და რუსეთის მიმართ თავიანთი სახელმწიფოებრივი ინტერესით ჩვენს ეროვნულ ინტერესთან ყველაზედ უფრო ჰარმონიულათ შეწყობილ ქვეყანას: ინგლისსა და ოსმალეთს და სადაც პროვოკაციის ელემენტებია საქართველოში თუ ციხეში მსხდომ, თუ არალეგალურათ მომქმედ, თუ ლეგალურათ მცხოვრებ ამხანაგების მიმართ;

ე) რომ ამ რუსულ მონარქისტულ წრეებთან, მუდამ დაუკითხავათ თავის ამხანაგებისა და მათგან დაფარულათ, ხოლო მენშევიკების ,,ფაკტიურ მეთაურთან" შეთანხმებით აწარმოებდა და ალბათ დღესაც აწარმოებს მისვლა-მოსვლას და მუშაობას;

ვ) რომ სრულიად უსაჭიროთ, ალბათ თავისი პირადი მიზნებისათვის, რომ თავი საზღვარგარეთის ორგანიზაციისგან დამოუკიდებელ და ყველაზედ მაღლა მდგომად მოაჩვენოს, თავის ამხანაგის და მთ. კომ. თავმჯდომარის დასწრებით, დემონსტრაციებს ახდენს, რომ იგია ერთადერთი სრულუფლებიანი

წარმომადგენელი და რომ არავის არ დაეკითხება საწარმოებელი პოლიტიკის ხაზის შესახებ (არაფერს ვილაპარაკებთ ამგვარ სცენებსა და დემონსტრაციებზე, რომელიც მას კომიტეტის კრებებზე გაუმართავს);

ზ) რომ ვეშაპელს იმდენათ დაკარგული აქვს ან უკეთ იმდენათ ჰკარგავს თავისი წრეების შეთვისების და ეროვნულათ მოსაწონი ან დასაწუნარი პოლიტიკის გაგების უნარი, რომ მხარს უჭერს რომ ჰამბურგის მაისის სოციალისტურ კონგრესზე წასულიყო ნოე ჟორდანია, რომელიც საქარ. მთავრობის თავმჯდომარეა, ხოლო როდესაც ამ კონგრესზე საქარ. სოც. დემოკრ. დელეგაცია _ ჟორდანია, რამიშვილი, წერეთელი _ ხმას აძლევს 1. რუსეთს, როგორც საერთაშორისო რევოლუციის კერის, შენახვის; 2. რუსეთის ცნობის; 3. რუსეთის საქმეებში ინტერვენციის საწინააღმდეგოსა და უკეთუ ინტერვენცია მოხდება, გაფიცვის მოხდენის რეზოლუციას, როდესაც ეს დელეგაცია ხმას აძლევს რეზოლუციას, რომელიც მოითხოვს ბოლშევიკებისგან საქართველოში სოციალისტების დევნის შეჩერებას და სიმპატიას მხოლოდ ქართველ სოციალისტ მსხვერპლებს უცხადებს და ვერ მოუთხოვია ან არ მოუთხოვია, რომ ეს დევნის შეჩერება და ეს სიმპატიის გამოცხადება მთელი მებრძოლი ქართველი ერისთვის მიემართათ და ამ დროს სწორეთ _ მაისში _ საქართველოში ჩვენი საუკეთესო მამულიშვილები იხვრიტებოდნენ, ვეშაპელი თითქოს ყოველივე ეს ბუნებრივი და ჩვენთვის ეროვნულათ სასარგებლო ყოფილიყოს, ხმას არ იღებს და მენშევიკებს პასუხს არაფერში სთხოვს;

თ) რომ ვეშაპელი ისევე ებრძოდა ი. გობეჩიას, დამოუკიდებლობის კომიტეტის წარმომადგენელს, თავის ცდაში რომ დამოუკიდებლობის კომიტეტის ხელშეკრულების საფუძვლები საზღვარგარეთაც განხორციელებულიყო, როგორც ამას ჩადიოდა რამიშვილი, რომელიც ძალზედ დაინტერესებული იყო და არის _ რაც რამიშვილს ახდილათ განუცხადებია, რომ საზღვარგარეთ არ შექმნილიყო და არც შეიქმნას რაიმე კოლექტიური პოლიტიკური ორგანიზაცია, იქნებოდა ეს დამოუკიდებლობის კომიტეტის ორგანო, თუ ინტერპარტიული ორგანო;

ი) რომ ვეშაპელი დაეპატრონა ერთი წევრისგან შემოტანილ შემოწირულობას და მიუხედავათ იმ საფინანსო კომისიის მრავალგზის მოთხოვნილებისა, რომლის წევრი თვით ვეშაპელიც იყო და რომლის სახელზედაც, თანახმად პარიზის კომიტეტის დადგენილებისა, უნდა შენახული ყოფილიყო ყოველი პარტიული თანხა და ინახებოდა კიდევაც, რომ ვეშაპელს ეს აღებული შემოწირულობა ბანკში კომისიის სახელზედ შეეტანა, ფული პარტიის კასაში არ შეიტანა; ამ დროს მას მთავრობისგან საკმაო ჯამაგირი ჰქონდა, ხოლო მისი პარტიული ამხანაგები საქართველოში, ციხეში თუ ციხის გარეთ უსახსრობით შიმშილობდნენ და მუშაობას ვერ ახერხებდნენ;

და მიიღო რა სახეში ვეშაპელის არ გამოცხადება პრეზიდიუმის სხდომაზე და ის წერილი, რომელშიაც მან განმარტა მოტივი თავის დაუსწრებლობის, რომ იგი არ სცნობს პრეზიდიუმს და ალბათ არც სხვა საზღვარგარეთის ორგანიზაციებს და თავს სრულიად დამოუკიდებლათ იყენებს. ადასტურებს, რომ ვეშაპელი აშკარათ გვერდში ამოუდგა მენშევიკების ,,ფაკტიურს მეთაურს" და მენშევიკების პოლიტიკაში გაითქვიფა; რომ იგი შეპყრობილია ეგოისტური ზრახვებით და ინტერესებით და ამით მენშევიკები იმდენათ სარგებლობენ, რომ არ მალავენ და ამბობენ _ ვაჭამეთ და კიდევაც ვაჭმევთ, რომ გავაჩუმოთ ან ის ვალაპარაკოთ, რაც ჩვენ გვინდაო; რომ იგი აწარმოებს თვითნება და უპასუხისმგებლო პოლიტიკას: თვითნებას _ ვინაიდან არ ემორჩილება მთავარ კომიტეტს, უპასუხისმგებლოს, ვინაიდან აქაურ ორგანიზაციას იგი გაურბის და საქართველო კი მის აქაურ მოქმედებას ხედავს და კონტროლს ვერ უწევს; რომ მისი საქციელი, ამგვარათ, ჰქმნის და არღვევს პარტიის ინტერესს და

ორგანიზაციას, სახელს უტეხს პარტიის ზნეობრივ-პოლიტიკურ თვითღირებულებას; პრეზიდიუმმა დაჰკარგა იმედი მისი გამოსწორების და დაჰკარგა ყოველგვარი ნდობაც; ამიერიდან სწყვეტს მასთან ყოველგვარ თანამშრომლობას; პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ ვეშაპელი ახალ-ახალ სკანდალს შეჰყრის პარტიის ეროვნულ პოლიტიკას და რომ მისი საქციელის მავნებლობა დაყვანილ იქმნას, რაც შეიძლება უმნიშვნელო ოდენობამდე, მას უნდა ჩამოერთვას ყოველგვარი საწარმომდგენლო და საპასუხისმგებლო ხარისხი და ადგილი.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ამ ტრაღიკულ პერიოდში, როდესაც დიდი სულიერი და ზნეობრივი სიმტკიცე და დისციპლინა გვჭირია რომ ჩვენმა ეროვნულმა პარტიამ, გარემოებით დაკისრებულ, უშველებელ მოვალეობას თავისი შეძლების მაქსიმალური დაკმაყოფილება მისცეს, უნდა სასტიკათ დაითრგუნოს თვითნებობა, უპასუხისმგებლობა და მუხთლობა პარტიისა და ქვეყნის წინაშე.

სპ. კედია.
გ. მაჩაბელი.

სპირიდონ კედიას წერილი ედპ-ს პარიზის კომიტეტს

8.XI.25.
პარიზი.

საქართველოს გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პარიზის კომიტეტის პრეზიდიუმს.

პარიზის კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის განწყობილება შეუსაბამოა ჩემს თავმჯდომარეობასთან. წინათ შემჩნეული ამის ნიშნები, გასული შაბათის სხდომამ აწ დასრულებულ ფაკტად მომივლინა.

ამ დღეს კომიტეტმა თავის თავმჯდომარეს დაუდგა უნდობლობის, უმადურობის და მოურიდებლობის აპოთეოზი. მეც შევასრულებ ჩემს მოვალეობას კომიტეტის ამგვარი დემონსტრაციის წინაშე და უარს ვაცხადებ მის თავმჯდომარეობაზე. ეს მას საშუალებას მისცემს თავისი განწყობილების თავმჯდომარე გაიჩინოს და მის მეოხებით უცილობოთ იაროს ამ განწყობილების დასკვნამდე.

გთხოვთ _ კომიტეტი შეჰყაროთ ამ განცხადების ყურადსაღებათ.

ღრმა პატივისცემით სპ. კედია
საქ. ერ. დემ. პარიზის კომიტეტის თავმჯდომარე

ოქმი

ეროვნ. დემ. პარტიის პარიზის ორგანიზაციის საზოგადო კრებისა 1 დეკემბერს 1927 წ.

კრების მომწვევი ბ. ს. კედია ეროვნ. დემ. პარტიის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე ხსნის კრებას $3^1/_2$ ს. და აცნობს მას იმ საკითხებს, რომელთა

განსახილველად მოწვეულ იქმნა საერთო კრება. ეს საკითხებია პარტიული ხაზის შეცვლის ცდა პარიზის კომიტეტის უმრავლესობის მიერ და ამის მისაღწევად პარტიაში საშიშ არევ-დარევის შეტანა, რამაც თავისი უკანასკნელი გამოსახულება მიიღო პარიზის კომიტეტის 2 ნოემბრის დადგენილებაში, რომელიც გაზეთ ,,მამულიშვილში"[2] გამოქვეყნდა.

ის წინადადებას აძლევს კრებას აირჩიოს პრეზიდიუმი და მიიღოს განსახილველად მის მიერ წარდგენილი საკითხები და სხვა კითხვები, რომელთაც საჭიროდ დაინახავს. კრება თავმჯდომარედ ირჩევს ალ. ასათიანს და მდივნად ი. ხანანაშვილს.

თავმჯდომარე მოახსენებს კრებას, რომ სხდომაზედ მონაწილეობას ღებულობს 45 წევრნი ერ. დემ. პარტიისა და შეფიცულნი, რომელნიც 1921 წლიდან საერთო პოლიტიკურ მუშაობას აწარმოებენ ერ. დემ პარტიასთან, როგორც საქართველოში, თუ უცხოეთში. კრებაზედ მოწვეულნი იყვნენ აგრეთვე პარიზის კომიტეტის წევრნი, მაგრამ უკანასკნელნი არ გამოცხადნენ და ამის მოტივებიც ჯერ ჩვენთვის არ უცნობებიათ.

კრება იმუშავებს შემდეგს წესრიგს:

1. ს. კედიას მოხსენება: ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მუშაობა საქართველოში და უცხოეთში და პარიზის კომიტეტის მიერ შექმნილი მდგომარეობა _ ტაქტიკური და ორგანიზაციული.

2. ტაქტიკისა და ორგანიზაციული მუშაობის გეგმა და მის განსახორციელებლად პარიზის კომიტეტის შექმნა და საერთოდ პარტიული მუშაობის გაცხოველება საქართველოში და ემიგრაციაში.

3. 1924 წლის შემდეგ დასუსტებულ გაერთიანებულ ეროვნული დარაზმულობის აღდგენა და ამ მიზნით ყველა საიმედო პატრიოტულ ძალთა გაერთიანების საკითხი.

პირველი საკითხის შესახებ ს. კედია აკეთებს მოხსენებას, რომელშიაც ის დაწვრილებით იხილავს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მუშაობას 1921 წლიდან საქართველოში და უცხოეთში. ის აღნიშნავს, რომ პარტიის მიერ თავიდანვე აღებული გეზი განმათავისუფლებელ ბრძოლისა აღმოჩნდა სავსებით შეფარდებული ამ ბრძოლის ბუნებასთან საზოგადოდ და ქართველი ხალხის სულისკვეთებასთან, რითაც აიხსნება რომ ამ ნიადაგზედ მოხდა ყველა საიმედო აქტიურ ძალთა დარაზმვა და ქართველი ერის სულიერი გაჯანსაღება რევოლუციონურ და ანტიეროვნულ მიმდინარეობათა გავლენისაგან. მაგრამ ეს მიმდინარეობანი აღჭურვილი იყვნენ მრავალი მატერიული და ტექნიკური უპირატესობით და ყოველივე საშუალებით სცდილობდენ ამ ჯანსაღი დარაზმულობის დასუსტებას და დაშლას. ასეთი მუშაობა სწარმოებდა მათ მიერ, სისტემატურად როგორც საქართველოში ისე აქ და ამ გარემოებამ დიდი მარცხი და მსხვერპლი მიაყენა, როგორც ეროვნულ ორგანიზაციებს, ისე მთელს ერს. ასეთი მუშაობის უკანასკნელი გამოძახილი იყო ჟორდანია-რამიშვილის წერილები და ჩვენს პარტიებში განხეთქილების შეტანის ცდა, რამაც რამოდენიმედ მიზანს მიაღწია და მასში ეხლანდელი კრიზისი შექმნა. ის სთხოვს კრებას, გამოიტანოს თავისი აზრი ამ საკითხზედ და კერძოდ პარიზის კომიტეტის უკანასკნელ დადგენილებათა შესახებ, რომელიც შეიცავს პარტიული ხაზის გადახვევას ამ საკითხებში და აგრეთვე ამყარებს სრულს ანარქიას ორგანიზაციულს ცხოვრებაში.

მომხსენებელი აძლევს პასუხს ზოგიერთს შეკითხვებზედ და შემდეგ კრება გადადის დასმულ საკითხის განხილვაზედ.

ფაშალიშვილი მოითხოვს გამორკვეულ იქმნას ახალგაზრდობის როლი და დანიშნულება პარტიაში.

თავმჯდომარე განმარტავს, რომ ეს ახალი საკითხია და ის შეტანილი იქნება დღის წესრიგში და მის შესახებ დაისმება საკითხი, ანუ მიცემულ იქნება საჭირო განმარტება.

ექ. ხოჭოლავა _ ახასიათებს სოციალისტური პოლიტიკის ბუნებას საზოგადოთ და კერძოთ საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის საქმეში. მას უიმედოთ მიაჩნია ამ ბუნების გამოცვლის შესაძლებლობა და ჰფიქრობს, რომ განმათავისუფლებელი ბრძოლის მტკიცე საფუძველზედ დამყარება მოხერხდება მხოლოთ ერთი გზით _ ეროვნულ ძალთა გაერთიანებით, მათ ორგანიზაციულად გამაგრებით და ამისათვის ენერგიული მუშაობის წარმოება-პროპაგანდით და ორგანიზაციების მოწყობით. ის წინადადებას აძლევს კრებამ გააჩაღოს ასეთი მუშაობა პარტიულსა და მის მოკავშირე წრეებში და მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჟორდანია-რამიშვილის ფანატიკურ წრის მავნე მოღვაწეობის შეზღუდვა და განელება.

ს. ანთელავა მოახსენებს კრებას, რომ ის ზაფხულში ჩამოვიდა საქართველოდან სპეციალურ დავალებებით პარტიიდან, მაგრამ მას არც კი მიეცა საშუალება წესიერათ მოეხსენებია ეს აქაურ ორგანიზაციისათვის პარიზის კომიტეტში დამყარებულ ანარქიის გამო. ქართველმა ერმა მრავალი უბედურობა გადაიტანა ინტერნაციონალურ სოციალისტურ პოლიტიკის მეოხებით და მას ეხლა ერთადერთი იმედი აქვს, რომ თუ მას განთავისუფლება ეღირსება, საქართველოში საღი სახელმწიფოებრივი და ეროვნული წყობილება დამყარდება და არა მრავალჯერ განაცადი უბედურობა. ჟორდანია-რამიშვილის აგენტებმა მრავალი უბედურობა მიაყენა ხალხს და უკანასკნელად 1924 წ. გადააგდო საშინელ უბედურობაში. ეს ხალხი ეხლაც ასეთს ავანტურისტულ გზას ადგა და კვლავ ახალი უბედურობები მოგველის, თუ ჩვენ ძველებურად მათი იარაღი ვიქენით და საკუთარი საღი გზით არ ვიარეთ. ჩვენი პარტია და მთელი ერი ემიგრაციაში მყოფ ეროვნულ ძალებზედ ამყარებს იმედებს და დიდი უბედურება იქნება, თუ ჩვენ დღეიდან მაინც ვერ შევძელით ამ იმედების გამართლებისათვის მუშაობა და ბრძოლა. ის აძლევს კრებას ინფორმაციას იმის შესახებ თუ როგორი უპატიოსნო საშუალებებით ებრძვიან ჩვენს ორგანიზაციებს. ფარულად მომუშავე წრეებში აქტიურად მომუშავე ჩვენს ხალხს აგენტებად აცხადებენ, ხოლო ფართო წრეებში ხმებს ავრცელებენ, რომ ჩვენი პარტია რუსეთის მონარქიის აღდგენისათვის მუშაობს და სხვა. წერილობითი ინსტრუქციაც ჩაუვარდათ ხელში ჩვენებს და შემდეგ ხომ ჟორდანია-რამიშვილის წერილებიც ასეთი ხასიათის იყო.

ინჯია _ მოახსენებს კრებას საქართველოს ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ. ქვეყანა დიდს ეკონომიურს კრიზისს განიცდის. გლეხობა გაღატაკებულია მძიმე გადასახადებით. მათი ნაწარმოები მეტად მცირე ფასად გადის. ქალაქის ნაწარმოები კი მეტად ძვირია მისთვის. ის ტანსაცმელის და სხვა აუცილებელი საგნების შეძენას ვერ ახერხებს. ინტელიგენციაც მეტად მძიმე პირობებშია. შტატებს ამოკლებენ და თანდათან სამსახურიდან ითხოვენ ყველას ვინც კომუნისტი არ არის. ჟორდანია-რამიშვილის წერილებმა მეტად დიდი აღშფოთება გამოიწვია ყველა წრეებში და დიდი ზიანიც მიაყენა ერს. სამღვდელოება აიძულეს არასასურველი გადაწყვეტილებები მიეღოთ, სამხედრო პირები მრავლად დააპატიმრეს და მათაც ასეთივე განცხადებები გააკეთებინეს. ასეთივე ძალდატანება იხმარეს პროფესურაზედ და მთელს ინტელიგენციაზედ.

ვინაიდან სხდომისათვის განსაზღვრული დრო სრულდება, ბ. ინჯიას მოხსენების დასრულება და სხვა საკითხების განხილვა შემდეგ კრებისათვის გადაიდვა.

ი.დადიანი იძლევა წინადადებას, რომ შემდეგი კრებისათვის განმეორებით მოწვეულ იქმნან კრების სახელით პარიზის კომიტეტის ის წევრები, რომელნიც დღევანდელ კრებას არ დასწრებიან. კრება ღებულობს ამ წინადადებას და ავალებს თავმჯდომარეს, მოიწვიოს კრების სახელით ეს წევრები, რათა მათ მისცენ განმარტება მას დასმულ კითხვების შესახებ.

ამასთან თან გაახლებთ საქ. გაერ. ერ. დემ. პარტიის პარიზის კომიტეტის დადგენილებას, რომელიც არის საგანი ჩემი ქვემოდ მოყვანილი გარჩევა-დაფასებისა და რომელსაც ამ უკანასკნელთან ერთად ვუდგენ თქვენს მიუდგომელ სამსჯავროს თქვენი გარკვეული დასკვნის გამოსაწვევათ კონფლიკტის გადაჭრისათვის.

რომ ერთბაშად გამოირკვეს პარიზის კომიტეტის ამ დადგენილების მთელი ღირებულება, საჭიროა მისი გარჩევა როგორც უფლებისა და ფორმის მხრივ, ისე მისი გამომწვევი პოლიტიკური გარემოების მხრივაც.

დავიწყოთ პირველით.

ჩვენი ქვეყნის სპეციფიური მდგომარეობის გამო, ქართული ანტიბოლშევიკური პარტიები მოკლებული არიან ნორმალურ ცხოვრებას. ვერ ახერხებენ თვით ძირითად ფუნქციონალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ასე მაგ., ვერ ახდენენ თავიანთ ორგანოების გადარჩევას, ვერ აწყობენ კონფერენციებს, სადაც უნდა დაფასდეს წარსული და მოიხაზოს პარტიის მომავალი. ცხოვრობენ ყველანი გამოუკლებლივ, იმ უფლებრივ კადრებში და საფუძვლებზე, რომელიც ჯერ კიდევ მტრის შემოსევამდე ჰქონიათ. სანამ ასეა, ან ასე იქნება, ინტერესთა შეგნება მოითხოვს _ მტკიცეთ იყოს დაცული ძველი საორგანიზაციო შენობა და პრინციპები, რამდენადაც ეს გადარჩენია მტარვალის ძალადობას. გზის გასაგნები სანთურები აქა-იქ მაინც ბჟუტავდეს, რომ ყველაფერი არევ-დარევაში არ ჩაკვდეს.

ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა პარტიის მთავარი კომიტეტი უნდა მოვიკითხოთ, ვინაიდან იგია უზენაესი ხელმძღვანელი პარტიის ცხოვრებისა და მისით იწყება პარტიის ყოველი შეგნებული მოქმედება, და ვინაიდან თუ ის არაა, არც პარტიის რაიმე ღირებულებაზედ არის ლაპარაკი შესაძლებელი.

მთავარ კომიტეტთა ცხოვრებაში კი თითქმის ყველა ქართულმა ანტიბოლშევიკურმა პარტიამ ანალოგიური მდგომარეობანი განვლეს. ასე მაგალითად, მათ წევრთაგან, ზოგი სიცოცხლეს გამოასალმეს, ზოგი გადაასახლეს; ხოლო ზოგმა საოკუპაციო რეჟიმი იცნო და თავი დაანება მთავარი კომიტეტის წევრობასაც და პარტიასაც. ამ გარემოებებმა პარტიათა მთავარ კომიტეტებს წევრთა უმრავლესობა ჩამოაცილეს და დღეს პარტიას უვლის და ინახავს, დროის და გარემოების შესაფერი ზომებით, მხოლოდ წევრთა გადარჩენილი უმცირესობა, რომელსაც არც ხელი აუღია თავის წევრობასა და მასთან დაკავშირებულ მძიმე მოვალეობაზე და არც მტარვალის ხელისუფლებას შერიგებია.

ოქმი
გაერთ. ერ. დემ. პარტიის პარიზის ორგანიზაციის საერთო კრებისა.

სხდომა მეორე 18/XII/27წ.

კრება გაიხსნა ნაშუადღევის 5-ს. თავმჯდომარეობს ასათიანი.

მდივანი ხანანაშვილი.

კრებას მოხსენდა პირველი სხდომის ოქმი, რასაც კრება ამტკიცებს. თავმჯდომარე მოახსენებს კრებას, რომ მორიგ კითხვებზედ გადასვლამდე საჭიროა ერთი საკითხის გადაჭრა. საზოგადო კრების მოწვევასთან ერთად მთ. კომ. თავმჯდ. ს. კედიამ მიმართა აგრეთვე ყველა სხვა უცხოეთში არსებულს ჩვენი პარტიის ორგანიზაციებს და პირადათ კიდევ მთავარი კომიტეტის წევრებს და მათაც დაუსვა გადასაჭრელად ის კითხვები, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ. ორი ორგანიზაციიდან პასუხი ჯერ არ მიგვიღია. დანარჩენთაგან უკვე მიღებულია გარკვეული პასუხი დასმულს კითხვაზედ. ზოგიერთს საკითხზედ აგრეთვე ჩვენ გვაქვს საქართველოს ორგანიზაციების გარკვეული აზრი მოწერილი, თუ საგანგებოდ შემოთვლილი. საქართველოს ორგანიზაციები ჩვენ გვთხოვენ ამ კითხვებზედ გადაჭრილი აზრის გამოტანას და თუ ის მათსას შეეფარდება მის გამოცხადებას საქართველოსა და ემიგრანტული ორგანიზაციებისათვის სავალდებულოდ. აქაური ორგანიზაციებიც თხოულობენ, რომ მათი აზრი დასმულს საკითხებზედ მიღებულ იქმნას მხედველობაში ჩვენ მიერ ამ საკითხების განხილვის დროს და ამ სახით დადგენილებანი გამოტანილ იქმნას ემიგრაციაში არსებულ ყველა ორგანიზაციების სახელით. უკეთუ ჩვენ ამ წინადადებას მივიღებთ, მაშინ იმ საკითხების შესახებ, რომლებზეც ჩვენ გვაქვს გარკვეული პასუხი საქართველოს და ემიგრაციის ორგანიზაციების, ჩვენი საბოლოო დადგენილება გამოტანილი იქნება მთელი პარტიულ ორგანიზაციების სახელით. იმ საკითხების შესახებ კი, რომლებზედაც ჩვენ გვექნება ემიგრაციის პასუხი, დადგენილება გამოიტანება ყველა ამ ორგანიზაციების სახელით. ხოლო თუ აღვძრავთ და განვიხილავთ აგრეთვე ისეთს კითხვებს, რომელთა შესახებ სხვა ორგანიზაციების დასკვნა არ გვექნება, ეს იქნება ჩვენი აქაური ორგანიზაციის სახელით გამოტანილი. ამ სახით ჩვენი მუშაობა მიიღებს ზოგიერთს მთავარ საკითხების შესახებ ფართე პარტიულ კონფერენციისა და რეფერენდუმის ხასიათს.

მცირე აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრება ერთხმად იღებს ამ წინადადებას.

ამის შემდეგ კრება გადადის მორიგ კითხვების განხილვაზედ.

ინჯია განაგრძობს თავის მოხსენებას. 1924 წლის აჯანყების შემდეგ არალეგალურ მუშაობას განაგრძობს ორი პარტია _ ჩვენი და მენშევიკური. 1926-ის დამლევამდე ჩვენი მუშაობა მეტად ვიწროდ იყო შემოფარგლული. აჯანყებამ უდიდესი ზიანი მიაყენა არალეგალურ მუშაობას საზოგადოთ და პირველს ხანებში მისი აღდგენა მეტად ძნელი იყო. ამასთანავე ჩვენი პარტია შეუძლებლად სცნობდა მუშაობის ძველი გზით წარმოებას და ამ საკითხზედ თუ სხვა საერთო პოლიტიკურს კითხვებზედ უცხოეთიდან ელოდა საჭირო განმარტებებსა და გეგმებს. ამ წელში უკვე აღვადგინეთ არალეგალური ორგანიზაციები, როგორც უფროსების, ისე ახალგაზრდობის. ჩვენს ორგანიზაციებს არ აქვს ძველი კავშირი და მჭიდრო ურთიერთობა მენშევიკებთან. თუ რამ ურთიერთობა გვაქვს, ეს ძველი ნაცნობობის ნიადაგზედ პიროვნული და არა ორგანიზაციული. მათი მუშაობა, როგორც წინეთ, უფრო გარეგნულია. სცემენ პროკლამაციებს, რომელიც ვერაფერს ეუბნება ხალხს, რადგან მისი განწყობილება მტრის მიმართ იმდენათ გარკვეულია, რომ ასეთი მუშაობა მაზედ რაიმე მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს. ხოლო ეს დიდს რეპრესიებს იწვევს და მეტს ჩვენს მიმართ, ვინემ მათს წრეში. ჟორდანია-რამიშვილის წერილების შემდეგ

მათდამი უნდობლობა ჩვენი პარტიისა და მთელი საზოგადოების, რასაკვირველია, უფრო გაღრმავდა. მუშაობის პირობები, რასაკვირველია, მეტად მძიმეა საშინელი რეპრესიების გამო, მაგრამ ერის სულიერი განწყობილება მეტად მტკიცეა და შეურიგებელი. ის სრულიად არ დაცემულა, არ გატეხილა და ამასთან ერთად ჩვენი პარტიისადმი სიმპათიები მეტად გაიზარდა აჯანყების შემდეგ. მენშევიკურსა და ფედერალისტების პარტიიდან ბევრი მოდის ჩვენს ორგანიზაციებში და ჩვენთან სურთ მუშაობა. ასე რომ, საღ აქტიურ ძალთა დარაზმულობისთვის ჩვენს პარტიას გაცილებით უკეთესი პირობები აქვს, ვიდრე სხვა პარტიებს.

აბაშიძე აცნობს კრებას ჩვენი პარტიის მიერ განაცად უბედურობებს მენშევიკების არა გულწრფელ და პირდაპირ მტრულ მოქმედებების გამო ჩვენს მიმართ. მას მოჰყავს მრავალი მაგალითი იმისა, თუ როგორ ებრძოდენ პასუხისმგებელი მენშევიკების აგენტები ჩვენს რაზმებს, რომ ისინი დაესუსტებინათ და დაეშალათ. ხშირად ბოლშევიკებს იხმარებდენ ამ ბრძოლაში და ასე დაიღუპა ჩვენი ერთი რაზმის მეთაური იშხნელი და ასეთს ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლას და ხელის შეშლას ადგილი ჰქონდა თვით აჯანყების დროსაც. ძველებურად მათთან კავშირი მხოლოდ ასეთს ზიანს გვიქადის და ამ გზით მუშაობის განგრძობის კატეგორიული წინააღმდეგნი არიან ყველა ჩვენი ორგანიზაციები უფროსობის თუ ახალგაზრდობის.

ქოჩაკიძე _ მძიმე განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩვენი და მენშევიკური პარტია სხვადასხვა განზრახვებით და მიზნებით ხელმძღვანელობდენ. ჩვენთვის უმთავრესი იყო ყველა აქტიური ძალების დარაზმვა და გამოყენება საქართველოს განთავისუფლებისათვის და არა პარტიის გაზრდაზედ ზრუნვა. ისინი კი მხოლოდ თავის პარტიისთვის გეგემონიის შენარჩუნებაზედ ჰფიქრობდენ და ამის გამო ისინი ივიწყებდენ საერთო მტერთან ბრძოლის ინტერესებს და ებრძოდენ ყველა ძალებს, რომელნიც მათ გარეშე ირაზმებოდა.

თავმჯდომარე მიესალმება საქართველოდან ჩამოსულ ამხანაგებს, რომელნიც მთელი წლების განმავლობაში აწარმოებდენ ბრძოლას საშინელს პირობებში და მომავალშიც განაგრძობენ ამ ბრძოლას მთელს ჩვენ პარტიასთან ერთად. ის წინადადებას აძლევს კრებას ფეხზედ ადგომით პატივი სცენ ყველა იმ მამულიშვილების ხსოვნას განურჩევლად მიმართულებისა, რომელნიც გულწრფელად ემსახურებოდენ ეროვნულ საქმეს და მას შეეწირენ. კრება ფეხზედ დგება.

კამათი პარტიის საერთო ხაზისა და მენშევიკებთან დამოკიდებულების შესახებ ამოწურულია. თავმჯდომარე აცნობს კრებას ამ საგანზედ მიღებულს აზრს პარტიულ ორგანიზაციების, საქართველოსა და ემიგრაციაში. ის აღნიშნავს, რომ ყოველივე აქ თქმული და ჩვენი ორგანიზაციის მიღებული აზრი ამ საგანზედ სავსებით ერთსულოვანია. ეს არის ჩვენი პარტიის მიერ დამოუკიდებელი მუშაობის წარმოება და ჟორდანია-რამიშვილის ფრონტიდან გამოყოფა. ეს არ არის მთლიანი ეროვნული ფრონტის უარყოფა. ეს მთლიანი ეროვნული ფრონტი დამყარდა 1922 წ. შეთანხმების ნიადაგზედ, მაგრამ ის წაქცეულ იქმნა 1924 წ. აჯანყების დროს, ამ აჯანყების ხანაში თუ უფრო ადრე ჟორდანია-რამიშვილის წრის მიერ ნაწარმოებ მუშაობით. ამის შემდეგ მთლიანი ფრონტის სახელს ჟორდანია-რამიშვილის წრე ითვისებს, მაგრამ ეს წოდება მათთვის არ მიუნიჭებია არც წინეთ და არც შემდეგ საქართველოს მებრძოლ პარტიებსა და სხვა ეროვნულ ძალებს. ჩვენი პარტია მხოლოდ ამ სიყალბეზედ და ქვეყნისათვის საბედისწერო მუშაობაზედ აგებულ კომბინაციას შორდება და უბრუნდება იმ დამოუკიდებელ ეროვნულ მუშაობას, რომელსაც ის 1921 წლიდან აწარმოებდა და რომელმაც დიდი ეროვნული დარაზმულობა შექმნა საქართველოში.

განსხვავება მხოლოდ ის იქნება, რომ მწარე გამოცდილებების მიხედვით, ახალს ჩვენს მუშაობას ისე არ დაუკავშირებთ ამ წრეს, რომ მას კვლავ მისი უფსკრულში გადაჩეხა შეეძლოს. მომხსენებელი ს. კედია საბოლოო სიტყვაში განმარტავს ამის აუცილებლობას და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ საკითხში პარტია სავსებით ერთსულოვანია პარიზის კომიტეტის რამდენიმე წევრის გამოკლებით.

კრება ერთხმად იზიარებს ამ წინადადებას და მის შესახებ რეზოლუციის განხილვას მუშაობის დასრულებამდე სტოვებს.

კრება გადადის პარიზის კომიტეტის მიერ პარტიაში შექმნილ მდგომარეობის განხილვაზედ. თავმჯდომარე მოახსენებს კრებას, რომ პარიზის კომიტეტის წევრნი ხელმეორედ იქმნენ მიწვეული კრებაზედ, მაგრამ ისინი არ გამოცხადდენ. კითხულობს მათს პასუხს ამის შესახებ.

ს. კედია აცნობს კრებას ამ კომიტეტის უფლებრივსა და ფაქტიურ საფუძვლებს. ის შესდგა 1925 წ. შინაურულ შეთანხმების ნიადაგზედ, როგორც დროებითი ორგანო, სანამ პარტია შეიმუშავებდა თავის საბოლოო ხაზს ტაქტიკურსა და ორგანიზაციულს. მას არ აქვს პარიზის ან სხვა კომიტეტის რაიმე უფლებრივი საფუძვლები. ხოლო ფაქტიურად ის იარსებებდა სანამ პარტია ამ საბოლოო ფორმას არ შეიმუშავებდა და ან პარტიული ორგანიზაციები მას ფაქტიურად იცნობდენ. ამ ხნის განმავლობაში მან აიღო ისეთი ტაქტიკური ხაზი, რომელიც მთელი პარტიის მიერ უარყოფილი იყო. მან გასწყვიტა ყოველგვარი საქმიანი ურთიერთობა ყველა პარტიულ ორგანიზაციებთან, როგორც საქართველოში, ისე აქ და ამჟამად, მის ზურგს უკან არც ერთი პარტიული ორგანიზაცია არ დგას და ამის გამო, ის, რასაკვირველია ვერ ატარებს პარიზის კომიტეტისა თუ რაიმე სხვა პარტიული ორგანოს სახელს.

ა. ასათიანი უსაფუძვლოდ სთვლის მათი არ მოსვლის მოტივებს, ჩვენ კრებებზედ შეყრილი ეროვ.-დემ. პარტიის წევრნი და შეფიცულნი, რომელნიც 1921 წლიდან ერთი განუყრელი პოლიტიკური ცხოვრებით არსებობენ საქართველოში თუ უცხოეთში. პარიზის კომიტეტიც არა ერთხელ იწვევდა მათ უფრო შინაურულ პარტიულ საკითხების გამო. თუ კრებაზედ არიან რამოდენიმე ახალი წევრები ჩვენი პარტიისა, ამათაც ისინი არა ერთხელ ჰპატიჟებდენ კომიტეტისა თუ ორგანიზაციის წევრად. პარიზის კომიტეტი თავიდანვე დაშორებია ჩვენს აქაურ ორგანიზაციას და არ არის გასაკვირველი თუ ამ ხნის განმავლობაში მას რამდენიმე ახალი წევრი შეემატა. პარიზის კომიტეტს თავის თავი პარტიის ხელმძღვანელ ორგანოდ აქვს დასახული და ამავე დროს მას ჰყავს ერთი წევრი, რომელიც თავის თავს საჯაროდ არაპარტიულ კაცად ნათლავდა და ნათლავს დღემდე. ასეთი ამბავი არც ერთს პარტიაში არ ხდება, ხოლო საზოგადო საკითხების განხილვისთვის მოწვეულ კრებებზედ ახალი წევრების მონაწილეობა არასოდეს არ ყოფილა დაუშვებელი. მე ვფიქრობ, ჩვენ ყველანი ერთსულოვნად მოსურნე ვართ, რომ პარტიაში არ შეიქმნას რაიმე განხეთქილება, ფრაქცია და ოპოზიციაც მთავარ საკითხებზედ. ამის შესახებ ჩვენ კვლავაც უნდა ვიზრუნოთ, ხოლო არა ისეთი მსხვერპლით, რომ ჩვენი პარტიის სახე წარვშალოთ და მისი სისხლით მორწყული გზა შევატრიალოთ მთელი პარტიის სურვილის წინააღმდეგ. გეგელია ჰფიქრობს, რომ სრულიად უიმედო საქმეა ამ კომიტეტთან მოლაპარაკების განგრძობა. ეს დიდიხანია სწარმოებს, მაგრამ მისი შედეგი ის იყო, რომ ეს ხალხი სავსებით მენშევიკების იარაღად გახდენ და მთელს პარტიას აუჯანყდენ მათი კარნახით. მათი დადგენილება მთ. კომ. თავმჯდომარის შესახებ და მისი გაზეთებში გამოქვეყნება უდავოდ ღალატია პარტიისა და მთელი ეროვნული საქმის. პარტიამ ღირსეულად უნდა დააფასოს მათი ასეთი მოქმედება და განაგრძოს თავის მუშაობა. თუ ვინმე მათ წრიდან შეიგნებს მათი მოქმედების

მავნებლობას და მოინდომებს პარტიაში დაბრუნებას, ეს განხილული უნდა იქნეს და შეფასებული პერსონალურად.

ი. ხანანაშვილი იმ აზრისაა, რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს პარტიის საერთო ხაზზე მდგომ ეროვნულ დემოკრატთა მტკიცედ შეკავშირება და იზოლაცია მისი მომენშევიკო ნაწილისა. თუ ეს არ მოხდა, ისე შეუძლებელი იქნება პარტიული გეზის მტკიცედ დაცვა და გატარება. პარიზის კომიტეტში თავიდანვე დაიწყო ბრძოლა მენშევიკებთან დამოკიდებულების საკითხის შესახებ. თავიდანვე აღინიშნა ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო გეზი. ამის გამოძახილია მათი უკანასკნელი დადგენილება ს. კედიას წინააღმდეგ. როგორც მათ საბოლოოდ აღიარეს, ისინი არ სტოვებენ მენშევიკებთან ისეთს თანამშრომლობას, რომელიც უარყოფილია მთელი პარტიის მიერ და რომლის განგრძობა ჩვენი პარტიის სრულს გამენშევიკობას მოგვცემდა. ვინც პარტიის მთავარ ტაქტიკურსა და ორგანიზაციულს გეზს გადაუხვევს, მათთან საერთო მუშაობის წარმოება შეუძლებელია და პარტიის ასეთი ელემენტებისაგან გაწმენდის საკითხი ბუნებრივია და გადასაჭრელად მიუცილებელი.

ი. დადიანი ჰფიქრობს, რომ მარტო მათ არ მიუძღვით დანაშაული შექმნილს მდგომარეობის გამო. არც ს. კედია არის უდანაშაულო იმაში, რომ ამ კითხვების მოსაგვარებლად და გადასაჭრელად პარტიის ორგანიზაციებსა და აქაურ წევრებს საქმეში ვრევთ და ვეკითხებით მხოლოდ ეხლა, როდესაც კრიზისმა ასეთი მძიმე ფორმები მიიღო. ჩემის აზრით, საჭიროა დასწრება იმ კრებაზედ, რომელსაც ისინი იწვევენ 8 იანვარს. ყველა ჩვენ რომ მათის დასწრებით გამოვთქვამთ ჩვენსა და ყველა სხვა ჩვენ ორგანიზაციების სურვილს, ამას უთუოდ სასურველი ნაყოფი მოყვება. ჩვენ ყოველივე ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ განხეთქილება, თუ რაიმე ფრაქციის შექმნა ჩვენს პარტიაში თავიდან ავიშოროთ. რა მცირე შესაძლებლობა არ უნდა იყოს დარჩენილი ამ მიზნის მისაღწევად, ჩვენ მასზედ უარს ვერ ვიტყვით.

თავმჯდომარე განმარტავს, რომ როგორც წერილიდან სჩანს ისინი მთელ ჩვენს კრებას არ სცნობენ და არ მიიწვევენ. უთუოდ კრების მცირე ნაწილი იქნება მიწვეული. ამიტომ ეს თათბირი დაახლოებით იმავე შემადგენლობით იქნება, როგორიც იყო მრავალი კრებები პარიზის კომიტეტისა. შეიძლება ასეთ თათბირზედაც არ ვსთქვათ უარი, ხოლო ეს არ უნდა უშლიდეს კრებას, რომ მან თავისი დადგენილებები გამოიტანოს ყველა დასმულ კითხვებზედ. მით უმეტეს ამ კითხვებზედ ყველა სხვა ორგანიზაციების დასკვნა გვაქვს. ეს მუშაობა მოგვცემს საშუალებას მათთან მოლაპარაკება გარკვეულს საზღვრებში ვაწარმოოთ.

კ. ხოჭოლავა ჰფიქრობს, რომ იმ წრის გეზი სავსებით გარკვეულია და არ აქვს იმედი, რომ ისინი მას დასთმობენ.

ინჯია აღნიშნავს ასეთი კრიზისის მეტად მავნე შედეგებს პარტიისათვის. ის ჰფიქრობს, რომ საჭიროა ყოველივე ზომების მიღება, რომ პარტიული მთლიანობა არ გაიბზაროს.

გ. ლორთქიფანიძე არ იზიარებს ასეთს იმედებს და ჰფიქრობს, რომ საჭიროა პარტიას გარკვეული და ნათელი გზა ჰქონდეს და ეს გეზი ყველასათვის იყოს სავალდებულო.

თავმჯდომარე აცნობს კრებას ამ საკითხზე ორგანიზაციებისაგან მიცემულს დასკვნას. კრება ადგენს რეზოლუციის განხილვას სხვა რეზოლუციებთან ერთად. დაევალა პრეზიდიუმს, პასუხი გასცეს პარიზის კომიტეტს მათ მიერ გამოგზავნილ ბარათზედ და წერილში მოყვანილს მოტივებზედ.

დასასრულ, კრება ირჩევს ორგანიზაციის დროებით ბიუროში ა. ასათიანს, ი. ხანანაშვილს და კ. ხოჭოლავას და ავალებს მათ, წარუდგინოს შემდეგ საზოგადო კრებას უცხოეთში მყოფ ორგანიზაციებისა და პარიზის ორგანიზაციისა და სხვა პარტიულ ორგანიზაციათა შორის დამოკიდებულობის პროექტი, რომელიც განხილვის შემდეგ უნდა დაეგზავნოს ამ ორგანიზაციებს დასადასტურებლად.

კრება დასრულდა 9 1/2-ს, შემდეგი კრება დაინიშნა შაბათისათვის.

საქართველოს გაერთიანებულ ეროვ. დემოკრ. პარტიის პარიზის კომიტეტს

პარიზის კომიტეტის წევრები, რომელნიც არ დასწრებიან კომიტეტის ნოემბრის 2-ის კრებას, ან დაესწრნენ და დასტური არ მიუციათ მისი დადგენილებისათვის, _ გაეცნენ და განიხილეს კომიტეტის ნოემბრის 2-ის დადგენილება შესახებ ერ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის სპ. კედიასი და მიიღეს მხედველობაში შემდეგი დადგენილებანი:

1. საყოველთაოდ მიღებულია, რომ ორგანიზაციიდან არამც თუ გარიცხვა, არამედ დროებით გადაყენებაც ხდება განსაკუთერბულის წესით, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი კითხვების გადაჭრა. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის სავალდებულოა საკითხის დასმა წევრთა წინასწარის გაცნობით, მისი გარჩევა წინასწარ სპეციალურად შექმნილ ორგანოში და სხვა. ეს საკითხი კი არ ყოფილა დასმული კომიტეტის წევრთა წინასწარის შეტყობინებით, არც განხილული საგანგებოდ შექმნილ ორგანოში და კრების საგანი, რომელიც ასეთ მნიშვნელოვან საკითხს ეხებოდა, აღნიშნულიც არ ყოფილა უწყებაში.

2. მაგრამ ეს წესებიც დაცული რომ ყოფილიყო, ეს საკითხი მაშინაც ვერ გადაწყდებოდა პარიზის კომიტეტში, ვინაიდან მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის, ან მისი რომელიმე წევრის არამც თუ პარტიიდან გარიცხვა, არამედ მთავარი კომიტეტიდანაც გამოყვანა _ არ შეიძლება გახდეს სხვა რომელიმე ორგანიზაციის დადგენილებით, გარდა იმ კონფერენციისა, რომელმაც აირჩია ისინი. რაც შეეხება დროებით გადაყენებას და მუშაობის ჩამოშორებას, ეს შეიძლება მოხდეს მთავარი კომიტეტის წევრთა უმრავლესობის დადგენილებით.

3. მთავარი კომიტეტის წევრთა თანხმობით ამა თუ იმ ორგანიზაციისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭება მარტო საქმეების საწარმოებლად არ ჰგულისხმობს მთავარი კომიტეტის წევრთა იმ უფლებების შეზღუდვას, რომელნიც მათ მინიჭებული აქვთ პარტიის კონფერენციის მიერ. და, რასაკვირველია, ამ ორგანიზაციას არა აქვს უფლება გადასცეს კონფერენციის მიერ მიღებული და დაკანონებული პრინციპიულისა თუ ორგანიზაციული ხასიათის დადგენილებები.

მაგრამ ნოემბრის 2-ის დადგენილება რომ გამოტანილი ყოფილიყო კომიტეტის მიერ სავსებით კანონიერის გზითაც, მაინც შეუძლებელი იქნებოდა პარტიის ინტერესების მიხედვით მისი ისეთი მოტივაცია, როგორიც მიუღია კომიტეტს და რაც ყველას მიერ მიჩნეული იქნება როგორც დადასტურება კომიტეტისაგან ყველა იმ პროვოკაციული ინსინუაციებისა, რომელნიც უკანასკნელ თვეებში გამოქვეყნებულ იქნა ჩვენი მოპირდაპირეთა მიერ _ ჩვენი კომიტეტის ზოგიერთ წევრთა და ეროვნული ბრძოლის სხვა თვალსაჩინო მოღვაწეების შესახებ.

ყოველივე ამის მიხედვით გვაქვს პატივი გაცნობოთ ჩვენი საბოლოო დასკვნა.

ა) პარიზის კომიტეტის ნოემბრის 2-ის დადგენილება სრულიად უკანონოა ფორმალურად და არსებითად, და ამის გამო იგი ვერ შესცვლის პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის მდგომარეობას.

ბ) ასეთი დადგენილება, ამასთანავე ერთად, უკეთუ ის ძალაში დარჩა იმათთვის, ვინც ეს მიიღო, გამოიწვევს პარტიის დაქსაქსვასა და დასუსტებას, ნაცვლად ეროვნულ ძალთა გაერთიანება-გაძლიერებისა და ჭეშმარიტ გაერთიანებულ ფრონტის შექმნისა.

ამის გამო შემოვდივართ კომიტეტში წინადადებით, რათა მან დაჩქარებით გააუქმოს ნოემბრის 2-ის დადგენილება და შემდეგშიც, ესა თუ სხვა ასეთი საკითხების გარჩევა და გადაჭრა აწარმოოს ზემოხსენებულის კანონიერის წესით.

უკეთუ კომიტეტი არ გაიზიარებს ამ ჩვენს წინადადებას, მაშინ ჩვენთვის შეუძლებელი გახდება პარიზის კომიტეტის მუშაობაში რაიმე მონაწილეობის მიღება, ვიდრე მოწვეული არ იქნება საზღვარგარეთული კონფერეცია ამ საკითხების გადასაჭრელად.

დავშთებით თქვენდამი პატივისცემით საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პარიზის კომიტეტის წევრები.

ქ. პარიზი, 1927 წლის ნოემბრის 10.

საქ. ეროვნულ-დემოკრ. პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარეს

პატ-ლო ბ-ნო სპირიდონ!

მიიღეთ ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა იმ უდღეური დადგენილების გამო, რომლის გამოტანაც უნებებია ნოემბრის 2-ს სხდომაზედ პარიზის კომიტეტს. მათ მიერ გამოტანილს დადგენილებას მე უარყოფითად ვაფასებ და სათანადო საპროტესტო ბარათსაც უგზავნი.

პარტიაში ნამდვილი ანარქიაა. ამისათვის ჩემი უღრმესი პროტესტი ერთსა და მეორე მხარესაც. ამ მოსალოდნელი ანარქიისა და პარტიული ძალების დაქსაქსვის შიშით იყო, რომ სწორედ ამ ერთის წლის წინად მანდ გეახელით და ყოველივე ვიღონე თქვენს ურთიერთს მოსარიგებლად, რაც საუბედუროდ ფაქტად ვერ იქცა.

დღეს ამ ჩიხიდან გამოსავალი ერთადერთი გზა, ჩემის ღრმა რწმენით, არის პარტიის საზღვარგარეთულ ორგანიზაციათა თუ აქტიურ ძალთა კონფერენცია. მხოლოდ ის არის დღევანდელს პირობებში ავტორიტეტული შემფასებელი და დასკვნის გამომტანი პარტიაში შექმნილი უმსგავსო მდგომარეობის შესახებ. ეს იყო და არის უპირველესი მოვალეობა თქვენი, როგორც პარტიის თავმჯდომარის და მე იმედი მაქვს, რომ ამას მიმართავთ. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ ვერ იქნებოდით თქვენს სიმაღლეზედ და პარტიის თავმჯდომარის სახელის ტარებაც თქვენს მიერ ზედმეტი იქნებოდა. როცა პარტიაში ანარქია იჩენს თავს, პარტიის თავმჯდომარე კი არ გარბის, ის მყისვე პარტიას მიმართავს და ყრილობას იწვევს.

მე მოვითხოვ თქვენგან, როგორც პარტიის თავმჯდომარისგან, მოწვეულ იქმნას საზღვარგარეთ ორგანიზაციათა კონფერენცია. პარიზის წევრთა კრებებსაც ვსთხოვ იმსჯელონ ამის შესახებ, პარიზის კომიტეტსაც ვაძლევ ამავე წინადადებას. ამავე

წინადადების ფაქტად საქცევად მოუწოდებ პარიზში მყოფ პარტიის ახალგაზრდობასაც.

თუ ასეთი შედარებით პატარა საქმე ვერ შევსძელით, მაშინ იმ დიდი მიზნისათვის ბრძოლასაც უნდა დავსცილდეთ.

თქვენს მიერ მოცემულს შეკითხვებზედ თქვენ დაწვრილებით იცით ჩემი აზრი: აქ მოკლედ მაინც გიპასუხებთ. 1. _ მენშევიკური პარტიის ძველი პოლიტიკის გეგემონიის ცნობა, მათი ბრმად მიყოლა, და საქართველოს მიერ მე-II-ინტერნ. ორიენტაციის აღება და ამით დაიმედება არის ქართული საკითხის ისეთი მკრთალი ფერებით და შორეულ მომავალში გამოსახვა, როგორც ეს ბ-ნი წერეთლის[3] წვალებული გონების ნაყოფ უკანასკნელი ბროშიურიდანა სჩანს. ოტო-ბაუერის[4] გვერდით ჯდომა და საბჭოთა რუსეთის მიმართ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლების მიცემა განა შესათავსებელია?! ეროვნულ ბრძოლას საკუთარი ეროვნული მეთოდი აქვს...

მაგრამ ამ ფაქტიდან ორგვარი დასკვნის გამოტანა შეიძლება და ეს დასკვნა ძლიერის სიფრთხილით უნდა გამოვიტანოთ, ვინაიდან იგი იქნება ჩვენი ტაქტიკის მომხაზველი.

უდაოა, რომ ჩვენ სოციალისტებს დღესვე უნდა მოვხერხოთ რქები, მაგრამ ისეთის სიფრთხილით, რომ მან არ გამოიწვიოს მათი ორგანიზმის დაავადება, და ეს ასე თუ ისე ძლიერი ორგანიზაცია არ დავკარგოთ და მოპირდაპირე ნამდვილ მტერთა ბანაკში არ გადავყაროთ.

უნდა დავრწმუნდეთ, რომ ს.დ. პარტია დიდი ფაქტორია ჩვენს ეროვნულს ცხოვრებაში და მათ დაუხმარებლად ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სრული ვერ იქნება. საჭიროა მათი მოთოკვა და ამ ბრძოლაში გამოყენება. სცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ჯერ თავისუფლება მოვიპოოთ და მერეთ გავასწოროთ ანგარიშები სოც. დემოკრ.-ნო. მაშინ ეს გაცილებით ძნელი იქნება და ასეთი გზით მოპოვებული თავისუფლება მხოლოდ დროებითი იქნება. გვერჩიოს გვიან და სამუდამო.

2. რაც შეეხება არასოციალისტურ ძალთა გაერთიანებას. ეგ სასურველია, მაგრამ აქაც დიდი სიფრთხილე გვინდა. ჯერ თვით ჩვენი პარტია უნდა გავაერთიანოთ, გავამაგროთ და არასოციალისტურ-დემოკრატიული დანარჩენი ეროვნული ძალები და ელემენტები თავისთავად ჩვენზედ აიღებენ ორიენტაციას და ეს ისე მოხდება, რომ პარტიის დედა-ფუძე იდეები არ გახდებიან ახალმოსულ ელემენტთა მიერ შეტევის საგნად. ჩვენი სისუსტის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ჩვენს გვერდით ჩნდებიან სხვა არასოც. ორგანიზაციები. ჩვენი სიძლიერე კი ბოლოს მოუღებს ამას, და ბოლოს 21 წელში რა მიზანი ჰქონდა ჩვენს მიერ ჩვენს პარტიაში სხვადასხვა არასოციალისტურ ჯგუფების გაერთიანებას, თუ კიდევ ხელახლა დაიწყებენ გაჩენას ეს ჯგუფები.

ამ ეროვნული უბედურების დროს არასოციალისტებიც უნდა გავაერთიანოთ და სოციალისტებიც. ხოლო დიდი შეცდომა იქნებოდა, ჩემის აზრით, რომ ეროვნულ ბრძოლის ცენტრალურ ორგანოში არასოციალისტებიდან ჩვენს გარდა, სხვა რამოდენიმე კაცისაგან შემდგარ ჯგუფთა წარმომადგენლებიც იქმნენ. ეს სრულიად დასცემდა ჩვენს წონას. საჭიროა ჩვენი პარტიის ჰეგემონია და გავლენა ყველა დანარჩენ არასოც. ჯგუფებზედ და მათი ჩვენშივე გათქვეფვა.

დაწვრილებით კონფერენციაზედ...

პატივისცემით ერ. დემ. პარ. მთავარი კომიტეტის წევრი:
ელ. პატარიძე.

15.XII.1927წ.

ეროვნულ-დემოკრ. პარტიის პარიზის კომიტეტს

ასლი ბნ. სპ. კედიას (პარტიის
თავმჯდომარეს)

მთელის ჩემის არსებით ვაცხადებ პროტესტს ა/წ ნოემბრის 2-ს თქვენს სხდომაზედ, პარტიის თავმჯდომარის ბ-ნი სპ. კედიას შესახებ გამოტანილ დადგენილების გამო და მოვითხოვ, დაუყონებლივ გაუქმებული იქნმას თქვენს მიერვე ის თავისთავად უქმი დადგენილება, რომლის გამოტანის უფლებრივი ძალა თქვენს კომიტეტს არა ჰქონდა.

ჩემივე უღრმესი გულისწყრომა ორივე მხარეს პარტიაში შექმნილი ანარქიის გამო.

მოვითხოვ პარტიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, რაც შეიძლება მოკლე ხანში მოწვეულ იქმნას საზღვარგარეთ მყოფ პარტიულ ორგანიზაციათა და აქტიურ წევრთა კონფერენცია, რომელიც არის ერთადერთი ავტორიტეტული პარტიაში არსებულ სადაო საკითხების გადასაჭრელად.

მეგობრულის სალამით ერ. დემ. პარ. მთვ. კომ. წევრი
ელ. პატარიძე.
15.XII.1927წ.

ალექსანდრე ასათიანის წერილი სპირიდონ კედიას

ბ. სპირიდონ კედიას.

ს.ერ.დ.პ. მთავ. კომიტეტის წევრს.
ბ. სპირიდონ!

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ცენტრალურ ბიუროს თავიდანვე ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ჩვენი პარტიის მიერ ერის წინაშე მოვალეობათა ღირსეულად შესრულების ინტერესები მოითხოვს გაერთიანებას პარტიის ყველა აქტიურ ძალებისა, როგორც მეთაურთა წრეში, ისე ფართე მასებში. ბიურო ჰფიქრობს, რომ ასეთი გაერთიანებული და შეთანხმებული მუშაობისათვის მტკიცე საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ჩვენი პარტიის ყველა აქტიური ძალები, როგორც საქართველოში, ისე ემიგრაციაში ერთსულოვნად დგანან დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკის გზაზედ და მათში არ არსებობს არავითარი უთანხმოება იდეური, თუ ტაქტიკური. ხოლო თუ ჩვენ წრეში არსებობდა ამის გარეშე რაიმე უთანხმოებები, თუ ბუნებრივად წარმოიშობა მომავალში, ყოველივე ეს გადიჭრება და უნდა გადიჭრას ნორმალური ორგანიზაციული გზებით. ბიურო იმედოვნებს, რომ ჩვენი პარტიის მიერ განაცადი მწარე გაკვეთილები და მისი ამოცანების სირთულე შეამცირებს მომავალში ასეთი უთანხმოებების აღმოცენებისა და განვითარების შესაძლებლობას.

ყოველივე ამის მიხედვით, თავის მუშაობის პირველსავე თვეში ბიურომ საჭიროდ დაინახა და პარტიული საქმისათვის სასარგებლოდ, რომ თქვენ აქტიურად ჩაბმოდით ბიუროს მუშაობაში. ამჟამად მაქვს პატივი მოგმართოთ ბიუროს სახელით წინადადებით და თხოვნით, რათა შემოხვიდეთ საზღ.გარეთის ცენტრალურ ბიუროში და გაინაწილოთ მასთან ერთად ამ საერთო მუშაობის ჭირ-ვარამი.

თქვენი თანხმობის მიღებისთანავე შესრულებული იქნება ამ საგანზედ საჭირო ფორმალური წესები.

ღრმა პატივისცემით ცენტრ. ბიუროს გენ. მდივანიAალ. ასათიანი.

10 ნოემბერი, 1929 წ. პარიზი.

სპირიდონ კედიას წერილები გრიშა ცხაკაიას

კლამარი, ოქტომბრის 22-ს, 1930 წ.

ჩემო გიორგი,

ძალიან მიმძიმს წერა და ლაპარაკი ჩვენს შინაურ მდგომარეობაზე, იმდენად სამარცხვინოა იგი, მაგრამ დღეს ისე შორს წავიდა დაწყებული რღვევის პროცესი, რომ ადამიანი იძულებული ხდება სიჩუმიდან გამოვიდეს და ხსნის გზები საჯაროდ ეძიოს. რადგანაც ეს ჩვენი სკანდალური მდგომარეობა ,,ბიურომ" შექმნა, ხოლო მის საგნად მე გამხადა, ამიტომ მე აქ არსებითად ამაზედ არ ვილაპარაკებ, რომ ფაკტების ძალაუნებური სუბიეკტური გადამახინჯება არავინ მომაწეროს, მე მირჩევნია - ამ საგანზე სიტყვა მესამე მხარემ აიღოს და სამართალიც მან გადასჭრას.

ეხლა კი, მოკლეთ გადმოგცემ არსებული მდგომარეობის სურათს. ბევრი რამ, იმედია, შენც გაგონილი გექნება. პარიზის, ვალენტინეის, ბერლინისა და სხვა ორგანიზაციებმა კარგად გაიცნეს თუ არა ,,ბიუროს" როლი დღევანდელი ვითარების შექმნაში, მას დანაშაულის გამოსყიდვა მოსთხოვეს განსაზღვრული ფორმის სახით. ბიურომ ამაზედ უარით უპასუხა, მაშინ კონფერენციის მოწვევა მოსთხოვეს, რომ მის სხდომაზედ გარჩეულიყო ესა და ის საკითხებიც, რომელნიც საერთოდ ჩვენი პარტიის არსებობას შეეხებიან. ბიურომ ამასაც უარით გასცა პასუხი. ამის შემდეგ ხსენებულმა ორგანიზაციებმა ბიურო გამოაცხადეს, როგორც უკომპეტენციო ორგანო, ნდობასა და ავტორიტეტს მოკლებული და მოითხოვეს მისი გადადგომა და არჩევნების მოწყობა. ამასაც უარი მოჰყვა. მაშინ ეს ორგანიზაციები ბიუროს მასიურად ჩამოშორდნენ და ცალ-ცალკე დამოუკიდებელი მოქმედება დაიწყეს. ამგვარად, დღეს ჩვენი პარტიის სახე ასეთ სანახაობას წარმოადგენს: არის ,,ბიურო", რომლის ზურგს უკან არავინა დგას, გარდა ხუთიოდე კაცის; არის გვაზავას ჯგუფი, ისიც სულ ხუთიოდე კაცისგან შემდგარი; არიან საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში არსებული ორგანიზაციები და თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე, _ განზე გამდგარი. ესენი ყველანი ცალ-ცალკე არიან, ერთმანეთს დაშორებულნი და ერთი-მეორეს მოპირდაპირე, როგორც ხედავთ, სრული დაშლილობა და ანარქიაა. რომ ასე კიდევ ერთხანს გაგრძელდეს, საფლავის კარებამდე მივალთ.

ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებენ და საშუალებასაც ასახელებენ პარიზის, ვალენტინეის, ბერლინის და სხვა ორგანიზაციები. ესენი ჩვენი პარტიული ემიგრაციის 90%-ს შეადგენენ. ამგვარ საშუალებად პარტიის კონფერენციის მოწვევას ასახელებენ. მართლაც, სრულიად განსაკუთრებული ავტორიტეტით მოსილი

ორგანოს ხმა და გავლენაა საჭირო, რომ უკიდურეს წერტილამდე მისული დაშლილობა შეაყენოს და დაქუცმაცებული სხეული გაამთელოს. პარტიათა ცხოვრებაში ასეთია კონფერენცია. ჩვენს სინამდვილეში მისი მნიშვნელობა უდავოა. მას ან ყველა დაემორჩილება და მის რეზოლუციებს სავალდებულოთ მიიღებს, ან ვინმე განზე გაუდგება და ამით თავის თავს პარტიის გარეშე დააყენებს და პარტიის სახელით მოქმედების უფლებას დაჰკარგავს. ორსავე შემთხვევაში, პარტიის სახელი და მისი მთლიანობა დაცული იქნება. მდგომარეობა ნათელი და გამორკვეული დარჩება. კონფერენცია და მისი კომპეტენციით შექმნილი ცენტრალური ორგანო იქნება პარტიის კანონიერი გამომსახველი.

ამ რადიკალური და ერთადერთი საშუალების წინააღმდეგ აღმოჩნდა ,,ბიურო" და გვაზავას ჯგუფი. ალბათ მათთვის ხელსაყრელია ჩვენს პარტიულ ემიგრაციაში არსებული ანარქია და დაშლილობა. დღეს, როდესაც არავინ არავის ცნობს, ყველას ერთნაირი უფლება გამოაჩნდა თავის თავს ,,პარტია" უწოდოს.

აშკარაა, ამ გარემოებაში მარტო ზემოდ დასახელებული ორგანიზაციების პოზიციაა სწორი და მართალი. ჩვენი მდგომარეობიდან მარტო ერთი გამოსავალია, ეს არის კონფერეცია. ამიტომაც, ჩვენ მათ უნდა მხარი მივსცეთ და კონფერენციის მოწვევა ცხოვრებაში გავატარებინოთ.

მე არ ვიცი ფორმალურად ვარშავის აზრი ამ საქმეში. გარკვეულად ამ ორგანიზაციათა ხაზზე დგას, თუ ბიუროს მოქმედებას იზიარებს. მე მხოლოდ გაგონებით ვიცი და ბნ. გრიშა ალშიბაიას[5] წერილიდან ვასკვნი, რომ ვარშაველები კონფერენციის მომხრენი ხართ და მის მოსაწვევად თანხის შოვნასაც ცდილობთ. ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ბიუროს გაკიცხვისა და გარიყვის ფაკტი, როგორც დღევანდელი ჩვენი დაშლილობის თავი და თავი მიზეზისა, უნაკლულო და სრული იქნება; ამასთან, იმედიც და შესაძლებლობაც უფრო იზრდება, რომ კონფერენცია ღირსეულად მოეწყობა და ჩატარდება.

ეხლა ჩემ შესახებ. იმ ორგანიზაციებმა, რომელნიც ზემოაღნიშნულ პირობებში, ბიუროს ჩამოშორდნენ, მრავალგზის ნდობა გამომიცხადეს და მთხოვეს აკტოიობას დავბრუნებოდი. მე, განსაკუთრებით ჩვენს აწინდელ მდგომარეობაში, მოვალეობად მივიჩნიე, რომ ეს წინადადება მივიღო და რაც ძალი და ღონე მაქვს მათთან ერთად ვიმუშავო კონფერენციის გზით პარტიის გაჯანსაღებისათვის. მაგრამ, რომ მიზანს მივაღწიოთ და მუშაობა ნაყოფიერი იყოს, თვით ჩვენი ერთმოაზროვნე ორგანიზაციების დაქსაქსული ყოფნა უნდა მოისპოს. მათ შორის ორგანიული კავშირი უნდა დაწესდეს და ერთი ხელმძღვანელი ცენტრის ქვეშ გაერთიანდნენ. ეს არის პირველი და ძირითადი პირობა. მეორე პირობა ჩვენი გამარჯვებისა ისაა, რომ ჩვენ ამ თავითვე ჩვენი საკუთარი ბეჭდვითი სიტყვა შევიძინოთ, რომ მტერსა და მოყვარეს დროზე პასუხი გავსცეთ და ქართულ პოლიტიკურ აზროვნებასა და მოქმედებაში ჩვენი სახეც აღიბეჭდოს.

ამგვარად, ჩვენი სამოქმედო პროგრამა სამი მომენტით აღისახება: პირველი მომენტია _ ზემოაღნიშნული ერთმოაზროვნე ორგანიზაციების გაერთიანება საერთო ხელმძღვანელი ცენტრის შექმნით; მეორე მომენტია _ საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს გამოცემა და მესამე მომენტია _ კონფერენციის მოწვევა.

თუ ვარშავის ორგანიზაცია ამ პოზიციას იზიარებს, მანაც თვისად უნდა დასახოს ეს სამი მუხლი ჩვენი პროგრამისა. აქ აღძრული საკითხები ორგანიზაციას გააცანი და მალე შემატყობინე მისი აზრი და ნივთიერი შესაძლებლობანი ამ

პროგრამის განსახორციელებლად. შემატყობინე აგრეთვე ვარშავის ორგანიზაციის წევრთა რიცხვი და ბიუროს შემადგენლობა.

შენს ძმასა და ალექსანდრე ყიფიანს ჩემი გულითადი სალამი.

შენი სპ. კედია.

კლამარი, მარიამობისთვის 13-ს.

ძმაო გრიშა,

რამდენადაც ტიტეს წერილებიდან ვიცი, შენ გაცნობილი ხარ ჩვენი პარტიული დაქსაქსულობის უნუგეშო სურათს.

დამეთანხმები, რაც ამ მხრივ მოხდა ან დღეს ხდება, უღირსი და სამარცხვინო რამ არის.

საკითხი იბადება, დარჩეს ეს ასე და დაშლის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდეს, თუ საჭიროა ამის წინააღმდეგ ენერგიული რეაქცია. შეუბრძოლებლად სიკვდილს არავინ დანებებია და ჩვენც ბუნების წესზე გავივლით, თუ შევეცდებით, რაც ძალი და ღონე გვაქვს, პარტიის გამოცოცხლებას და მისი პოლიტიკური და ზნეობრივი პრესტიჟის სათანადო სიმაღზელე აყვანას.

ტიტესგან ვიცი, რომ შენ უკვე ხარ ამ აზრისა. ეს ჩემთვის მეტისმეტად სასიამოვნოა. რაკი ასეა, სრულიად ზედმეტია, რომ ამის საჭიროება ერთმანეთს ვუმტკიცოთ და ამიტომ მოდი პირდაპირ ამ საკითხზე გადავიდეთ, თუ რა გზით უნდა შევუდგეთ ამ მიზნის განხორციელებას. როცა ამის გარკვევას დავიწყებთ, ნიადაგ ის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი პარტიული სხეული ძალიან დაზიანებულია და რომ მისი გაჯანსაღება მოითხოვს რადიკალურ ჩარევასაც და ამის შემდეგ ხანგრძლივ ფრთხილ წამლობასაც. ამას დიდ ოსტატობასთან ერთად, დიდი ხასიათი და მოთმინება სჭირია. როგორც გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, ჩვენი აწეწილი საქმეების მოგვარება არც ერთ ადგილობრივ ორგანოს არ შეუძლიან. ამისათვის საჭიროა საზღვარგარეთის პარტიული ყრილობა, რომლის ავტორიტეტი ყველასათვის ცხადია და სავალდებულო უნდა იყოს.

თუ ყრილობამ თავისი ზნეობრივი და იდეური მოვალეობა პირნათლად შეასრულა და მოვლენები ობიექტიური მიუდგომლობით შეისწავლა და დააფასა _ და ჩვენ უნდა ვეცადოთ რომ ეს სწორედ ასე მოხდეს _ მაშინ მართლაც შესაძლებელი იქნება ყველა გაფანტული ძალების თავმოყრა. თუ ეს არ მოხდა და კონფერენციის დადგენილებას ვინმე არ დაეთანხმა, მაშინ განზე გასულს პარტიული სახელის დაჩემება მაინც შეეძლება და პარტიული ორგანიზაცია თავის მთლიანობას არ დაჰკარგავს. ესეც დიდი მიღწევა იქნება დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით.

ორგანიზაციული საკითხების მოგვარების გარდა, ეს ყრილობა შეიმუშავებს სავალდებულო პოლიტიკურ ხაზს და იდეოლოგიურ საკითხებსაც შეეხება. აგერ ათი წელიწადი გადის, რომ ამ საკითხებზე, პარტიას, თავისი მთლიანობის ფარგალში, არსებითად არ უმსჯელია და ეს დიდათ ხელს უწყობდა ზემოხსენებულ დაქუცმაცებას. თუ იდეალური ყრილობის მოწყობა არა _ იდეალურს მე ვეძახი უცხოეთის და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ყრილობას _ ყოველ შემთხვევაში საზღვარგარეთ მყოფ პარტიული ორგანიზაციის ყრილობა შესაძლებელი იქნება და ჩვენც სწორედ ამაზედ უნდა გავჩერდეთ.

ამ საქმის მოსაწყობად უმთავრესია ფული. ტიტე მწერდა, რომ შენ, ვარშავის ორგანიზაციის სახელით, კონფერენციისთვის საჭირო თანხის შოვნა აღგითქვამს. თუ ეს დაპირება კიდევ ძალაშია და თუ ამ დაპირების რეალიზაცია მას აქეთ არაფრით არ შეფერხებულა, უნდა მართალი გითხრა, რომ ამ ფულის შოვნით ძალიან დიდ სამსახურს გაუწევ საერთო საქმეს.

ვიმეორებ, თუ რამეს შეუძლიან აწ წამხდარი საქმის გამოსწორება და ჩვენი მიმართულებისათვის მისი შესაფერისი მდგომარეობის დაბრუნება _ ეს მხოლოდ პარტიულ ყრილობას. ამ საქმეზედ გაწეული ხარჯი, მერწმუნე, უნაყოფოთ არ დაიკარგება. ამიტომ ძალიან გთხოვ ყოველი ღონისძიება იხმარო, რომ თანხის შოვნის შესაძლებლობა სინამდვილეთ აქციო.

ამჟამად, მე ველი შენს პასუხს იმაზედ, თუ რა მდგომარეობაშია ეს სახსრის შოვნა; არის თუ არა ეს ნაღდი საქმე.

თუ ჰო, მაშინ უნდა შევუდგეთ კონფერენციის მომზადებას და ამის შესახებ ყველაფერი წინდაწინ დაწვრილებით განვიხილოთ და გავარჩიოთ ...

კლამარი, იანვრის 25-ს 1931 წ.

ძმაო გრიშა,

მივიღე შენი წერილი და არ დაგიმალავ, ძალიან გაოცებული დავრჩი. არ ვიცი, რად წარმოგიდგენიათ, რომ მარტო მე არ მესმის ის, რაც ყველა სხვა წევრს ესმის და შეუგნია. რად გგონია ან შენ, ან სხვას, რომ მე ავყოლივარ რაღაც გულისწყრომას, რაღაც დაბალი ხარისხის პირადობას და ანგარიშს არ ვუწევ არც პარტიას, არც სამშობლოს? რად ფიქრობ ან შენ, ან სხვა ვინმე მანდაური, რომ მე მოკლებული ვარ სულ მარტივი საზოგადოების გრძნობასა და შეგნებას, რომ დავა და აყალმაყალი მირჩევნია შეხმატკბილებულ ურთიერთობას, რომ განხეთქილებაში, რაღაც განსაკუთრებულ სიამოვნებას ვპოვებ და ამიტომ მის გახანგრძლივებას ვცდილობ? ნუთუ ჩემი ცხოვრება წინასწარ იძლევა რომელიმე ამგვარი დასკვნის გამოტანის უფლებას ამ მხრივ, ერთმანეთს რომ შეადარო ჩემი და იმ პირთა წარსული, რომელთაც ეს კონფლიქტი შექმნეს და გაამწვავეს.

ნუთუ ეს შედარება თქვენს თვალში აპრიორულად გამტყუნების სასარგებლოთ ილაპარაკებს? მე მგონია თამამად ვიტყვი, რომ ჩემი წარსული წინასწარი ამგვარი დასკვნის უფლებას არავის აძლევს და ამიტომ, ვინც ჩვენი საერთო საქმის ამ კონფლიქტის გამო ჩემს შესახებ რაიმე აზრს გამოიტანდეს, ვალდებულია ზნეობრივად და პოლიტიკურად ამ საქმეში თვალით ჩაიხედოს და მასში კარგად გაერკვეს. მაგრამ სინამდვილე ისაა, რომ ამისთვის თავს არავინ იცხელებს. ჩვენში საერთოდ არ არის პიროვნების ფრთხილად მოპყრობის კულტი განვითარებული, არც სინამდვილისა და სიმართლის დადგინების სიყვარული და არც სწორი საზოგადოებრივი სანქციის გრძნობა.

ამ პირობებში «მარცხდება» ის, ვისაც ეს ხელობა სძულს და ეჯავრება. ჩვენში ადამიანზე აზრის შედგენა იმაზეა დამოკიდებული თუ ვინ ვის დაასწრებს ერთი მეორის დახასიათებაში, გალანძღვაში. ამიტომ არის, რომ ჩვენს მდგომარეობას ჭორი და ინსინუაცია იუფლებს ხოლმე. ჩვენში იშვიათია გაღვიძებული ცნობისმოყვარეობა. იშვიათია მეცადინეობა სიმართლის გასაგებად და სიმართლის

სიყვარულისთვის ენერგიის ამოქმედება. უადგილო იქნება, რომ აქ შევჩერდე ამ ნაკლის მეტად მავნებელი საზოგადოებრივი შედეგების ამბავზე.

ალბათ, საკმარისი იყო რომ ამირეჯიბს[6] ან ვაჩნაძეს[7] ეთქვა _ ჩვენ ვეხვეწებით, მაგრამ სპირიდონი არ მოდისო, რომ ყველას ამირეჯიბი-ასათიანი[8]-გაბაშვილი[9] და კომპანია ცამდის მართლებად წარმოედგინა, ხოლო მე მტყუანად დავესახე და ამიტომ თავიანთი თავისთვის ნება მიეცათ, რომ ჩემთვის ნოტაციები წაეკითხათ. რატომ არავინ დაინტერესდა, თუ რა მდგომარეობაა შექმნილი, ან არის თუ არა შესაძლებელი ჩემი და იმ ხალხის თანამშრომლობა; რატომ არავინ იკითხა «ბიურომ» რა ჩაიდინა, რას აკეთებს; უნდა თუ არა მას გულწრფელად ჩემთან თანამშრომლობა; ვინ გაეცნო ამ პირთა «მოღვაწეობას», მათ ნაწერს ან ნათქვამს ჩემს შესახებ. ეს ხალხი მებრძვის პოლიტიკურ-პიროვნულად ყოველი საშუალებით ყოველს წრეში შინ და გარეთ _ ერთადერთი მიზნით, რომ პარტიის და საზოგადოების თვალში დამცენ, დამამცირონ, ხალხი ჩამომაშორონ, განმამარტოვონ. აი მათი პოლიტიკური პროგრამა.

ამ ხალხმა, როცა ბიუროს ადგენდა, შეგნებულად, რაღაც უთქმელი ბრალდება-ინსინუაციების ხელზე დახვევით ქურდულად გამრიყა და გამომეყო. ეს იყო ლაჩრული პოლიტიკური ანგარიშის გასწორება. თუ ერთობა უნდოდათ, რად დაიწყეს ჩემი გარიყვით? რატომ ამას არავინ ყურადღებას არ აქცევს. ნუთუ პარტიაში ეს უმნიშვნელო ამბავია? ან ეხლა როცა მეპატიჟებიან, თქვენ გგონიათ ამას გულწრფელად ჩადიან? წაიკითხეთ «ბიუროს» უკანასკნელი **ღია ბარათი,** რომელიც მე მომწერა და ამის პასუხს იქ ამოიკითხავთ. ან რა დაბალი ღობე მე ვარ, რომ ასათიან-გაბაშვილი-ამირეჯიბმა ხან გამაგდონ და ხან დამიძახონ (ან შენ ან სხვა როგორ მირჩევთ ამას, მიკვირს უფრო, რად არ გმობთ ბიუროს საქციელს და რად არ მოითხოვთ მის წინააღმდეგ საქმეს). მე ამას ჩვეული არ ვარ. სადაც მე სასურველად და ძალიან სასურველადაც არ ვარ მიჩნეული, იქ მე ვერავინ მნახავს. მათზე მეტი ამაგი დამიდვია პარტიისთვის და მეტი უფლებაც მაქვს მისი ყურადღება მოვითხოვო. გაბაშვილ-ასათიანს მათის ინტრიგით მე ყურსაც არ ვათხოვებ; მე პარტია მაინტერესებს, მისი უმრავლესობა. მინდა ვიცოდე თუ ეს ასე არ იყო და თუ რომელიმე თქვენგანი პასუხისმგებელ პიროვნებად მიცნობდა, უმალვე რად არ უნდა წარმოედგინა, რომ მე ტყუილუბრალოდ განზე დგომას არ ვარჩევდი და რომ ამისი მიზეზი იმ პირთა საქციელი უნდა ყოფილიყო. როგორ მოხდა, რომ თქვენში არავინ იფიქრა, რომ მე ტყუილუბრალოდ განზე დგომას არ ვარჩევდი, რომ აქ რაღაც სერიოზული მიზეზი იყო და რომ ამას გამორკვევა უნდოდა! იქნებ პარტიული მთლიანობისა და შემოქმედების გამანადგურებელი თაოსნობა სწორედ იმ «ბიუროდან» მოდის, რომელთანაც თქვენ მირჩევთ თანამშრომლობის განახლებას (რატომ ამას არ გამოიძიებთ და არ იკითხავთ). იქნებ საქმის ობიექტურმა შესწავლამ გათქმევინოთ, რომ სწორია ჩემი პოზიცია და რომ შეუძლებელია ჩემი «ბიუროსთან» თანამშრომლობა, რომ თანამშრომლობის წინადადებას უნდა წინ უძღოდეს «ბიუროს» წინააღმდეგ ძალიან გარკვეული პარტიული სანქციების გამოტანა?

ამის მაგივრად თქვენ ჩემ «შელახულ თავმოყვარეობაზე» ლაპარაკობთ და უკმაყოფილებით გაოცებული მეკითხებით, თუ რა მოხდა ისეთი, რის დავიწყება და პატიება არ შეიძლებოდესო. ეს არის მსჯავრის წინდაწინ გამოტანა ერთი მხარის მეორის სასარგებლოთ, საქმის სრული უცოდინარობის პირობებში. ეს მაოცებს, მე ამას არ მოველოდი იმათგან, ვინც მე მიცნობს. ჯერ ერთი, «ბიურო» ორპირობს, როდესაც ამბობს თითქოს მას ძალიან სურდეს ჩემთან თანამშრომლობა. ბიურო მარტო ერთ რამეზე მუშაობს _ იმაზედ, რომ მე განმამარტოვოს, დამამციროს და

სახელი გამიტეხოს საზოგადოებისა და პარტიის თვალში. ეს «ბიურო» აგრძელებს იმ პოზიციას, რომელსაც ამირეჯიბ-ვაჩნაძე და კომპანია ჩემს წინააღმდეგ აწარმოებდნენ, როდესაც ისინი მენშევიკებთან თანამშრომლობდნენ. როცა იგი დგებოდა, მისმა სულისჩამდგმელებმა შეგნებულად გვერდი ამიხვიეს, გამრიყეს, ჩემგან თავი გაიმიჯნეს. ადვილათ წარმოიდგენთ, რომ ამ ლაჩრული საქციელის გასამართლებლად თუ რა ინსინუაციები შეითხზებოდა და გავრცელდებოდა. ეს მოხდა ქურდულად და ჩემგან ნამალავად. ამგვარად, მთლიანობის დარღვევის სათავე «ბიუროს» წევრთა შეგნებულ მოქმედებაში ძევს. ვისაც ერთობა და თანამშრომლობა უნდა, ის შიგნით ამგვარ მახინაციებს არ მიმართავს. იმ დღიდან მოყოლებული «ბიურო» საქმით ჩემი პოლიტიკური გაბათილებისთვის მუშაობს და ამისთვის ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავს, ხოლო სიტყვით ყველას არწმუნებს, რომ ძალიან უნდა ჩემთან მუშაობა. წაიკითხეთ ის «ღია ბარათი», რომელიც უკანასკნელად ბიურომ მომწერა და რომელიც თქვენთვისაც უნდა გამოეგზავნათ და მერე სინდისის ქვეშ სთქვით, მართლა უნდა თუ არა ბიუროს პარტიას მთლიანობა და ჩემთან თანამშრომლობა. მაგრამ ეხლა წარმოვიდგინოთ ის, რაც არ არის და ვსთქვათ, რომ «ბიუროს» ამჟამად მართლაც გულწრფელად სურს მთლიანობის აღდგენა და ჩემთან თანამშრომლობა.

ნურას უკაცრავად, თუ მის წინადადებაზე არ დავთანხმდი. ბიუროს პოლიტიკურ უზნეობას მე ჩემის მოქმედებით დასტურს არ დავცემ. ასათიან-გაბაშვილ-ვაჩნაძე-ამირეჯიბს პარტიის და ეროვნული წრეების საზარალო საჯარო სკანდალების მოხდენაში არ შევედავები, მაგრამ მათ არ მივსცემ იმის უფლებას, რომ მე ხან გამაგდონ და ხან კიდევ ამნისტია გამომიცხადონ! მე ამას ჩვეული არ ვარ. სადაც მე ძალიან სასურველი არ ვარ, იქ მე ვერავინ მნახავს და მე მიკვირს, თუ ეს გარემოება იცით, როგორ მირჩევთ, ასე უბრალოდ ავდგე და მივიდე?

თქვენ უნდა დამეთანხმოთ, რომ «ბიუროს» გარკვეული ხაზი აქვს აღებული ჩემს მიმართ. მან მე პოლიტიკური დაფასება და მსჯავრი გამომიტანა, ყოველგვარ კეთილშობილებას მოკლებული წესებით.

ჩემთვის ამგვარ ინტრიგასა და უნდობლობას არავითარი ფასი არა აქვს, როგორც არ ექნება ფასი არც ერთ იმ ადამიანის ნაბიჯს, რომელიც ამ ინტრიგას შეგნებულად გაიზიარებს და გაამართლებს. მაგრამ, რადგან მეც და ბიუროც პარტიას ვეკუთვნით და ორივენი იმდენად ვფასობთ, რამდენადაც პარტიის ნდობას და მის დასტურს ვატარებთ, იმდენად მე მოვითხოვ, რომ ეს ინციდენტი, რომელმაც ჩვენს საერთო დასუსტებაში უდიდესი როლი ითამაშა, პარტიამ გაარჩიოს და დააფასოს. მე მაქვს უფლება მოვითხოვო, რომ პარტიამ ამ საკითხში თავისი პოზიცია გამოარკვიოს. ჩემი მოქმედების ხაზს მაშინ გამოვარკვევ, როდესაც მეცოდინება, ამა და სხვა საკითხებში პარტია ვის უცხადებს ნდობას _ მე თუ ბიუროს. ამგვარად, ბიურომ თავისი მოქმედებით ჩემი პოლიტიკური ნდობის საკითხი წამოაყენა. ამის მიფუჩეჩებას, ავდგე და მასთან მივიდე _ მე არ ვიქმ. რაკი საკითხი დაყენებულია, იგი პარტიულმა ემიგრაციამ უნდა გადაჭრას. ამ მიზნით მე წამოვაყენე კონფერენციის მოწვევის წინადადება. ბიურომ ეს უარყო. ეხლა მე ვიტოვებ მოქმედების თავისუფლებას. აი საკითხი როგორ დგას. აქედან შენ დაინახე, რომ ეს უბრალო თავმოყვარეობის საკითხი კი არ არის, არამედ უაღრესად პოლიტიკური საკითხია და მასთან პარტიული _ დისციპლინისა და ზნეობის საკითხი.

გიორგი ინჯიას წერილი სპირიდონ კედიას

გამარჯვება ბ-ნო სპირიდონ!

გისურვებთ ყოველივე კარგს თქვენ და თქვენ პატივცემულ მეუღლეს! ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, რომ ასე დავაგვიანე პასუხი, მაგრამ ეს მოხდა იმის გამო, რომ ველოდებოდი ბ-ნ გრიგოლს გრადნიდან და სწორეთ სამი დღის წინეთ ჩამოვიდა ბ-ნ გრიგოლი.[10] ვარშავის ორგანიზაციას ქონდა მსჯელობა თქვენ მიერ დასმულ საკითხებზე და მივიდა იმ დასკვნამდის, რომ: აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დღეს ჩვენ პარტიაში მომხდარ განხეთქილების ლიკვიდაცია, და რაც შეიძლება მოკლე ხანში. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარტიას მოელის სრული განადგურება. მენშევიკების პროვოკაცია, რომელიც ამ დღეებში იქნება მანდ გამოქვეყნებული, არის მთელი სიმძიმით მიმართული ჩვენ პარტიაზე და სწორეთ ჩვენი პარტიის არსებობისათვის აუცილებელია თქვენი შერიგება ბიუროსთან და საერთო ორგანოს შექმნა. რაც კი შეეხება კონფერენციის მოწვევას, თანახმად ბ-ნ გრიგოლის განცხადებისა, კონფერენციის მოსაწვევათ საჭირო თანხა მას არ უშოვნია და რომ ის ახლო მომავალში ვერაფერს ვერ გახდება, თუ სხვა წყარო არ მოიპოვება, კონფერენციის მოწვევას უნდა მივანებოთ თავი. თქვენ მეკითხებით ბიუროს შემადგენლობაზე, ინებეთ: თავჯდომარედ გ. ალშიბაია, მდივანი გ. ინჯია, წევრები: ყიფიანი, ვაჩნაძე, ინჯია (საიდუმლო), ლორთქიფანიძე, მამალაძე ზუზუ, ჯავრიშვილი ნიკ. ქალებიდან: ქ-ნი თ. ალშიბაია, ქ-ნ ინჯია, ქ-ნი ლორთქიფანიძე. ბ-ნ გრიგოლმა მითხრა მე, რომ მან თქვენ წერილი უკვე გამოგიგზავნათ და იქ მან გაგიმარტათ ფულის შესახებ. ეხლა გიამბობთ რაც ვიცი რამიშვილის პროვოკაციის შესახებ: აქ დაბრუნდნენ საქართველოდან: დ. ერქომაიშვილი და ბერიშვილი[11] რამოდენიმე დღეში მანდ ჩამოვლენ. აი სწორეთ ამ ვაჟბატონების ნალაპარაკებს მოგახსენებთ: სტამბოლში ელოდება ვიზას ვიღაც ბერიშვილი (ჭიათურაში დირექტორათ ყოფილა რაღაც სასწავლებლისა), ვითომც ჩვენი პარტიის წევრი, და ეხლა კი არის ჩამოსული როგორც ცეკის და კონფერენციის რწმუნებული, და თან აქვს მანდატები და ბევრი რაღაც საშინელი საბრალდებო მასალა ჩვენივე პარტიის საწინააღმდეგო. როგორც გავიგე, ერთ-ერთი გადაწყვეტილება ცეკაში და კონფერანციის არის თქვენი და ბ-ნ ალექსანდრესი და სხვების პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. ისე რომ, ვინც არ მუშაობს გვაზავასთან,[12] ყველანი ირიცხებიან და რომ კონფერენცია მოითხოვეს, ვითომც კატეგორიულათ მთავრობასთან მუშაობას და მორჩილებას. გარდა ამისა, ვითომდაც ტფილისში იყიდება ლეგალურათ ჟურნალი ,,სამშობლო" და ბ-ნ ალექსანდრეს წიგნი, რომ საქართველოში არიან მხოლოთ ორი პიროვნება პოპულარული, ეს ორი ნოე და სხვ. ეხლა რუსი ოფიცრის შესახებ: რომ მანდ პარიზში უკვე ჩამოვიდა საქართველოდან ერთი რუსი ოფიცერი მონარქიული ორგანიზაციიდან, რომელიც იყო რუსეთში ორგანიზაციების საინსპექციოთ, და ჩავიდა ტფილისში და შეცდომით (გვარია შეშლილი) მიადგა მენშევიკს და უნდოდა გაება ადგილობრივ ქართველ მხედართა რუსულ მონარქიულ ორგანიზაციასთან კავშირი. მას უთქვამს მენშევიკისათვის, რომ მანდ პარიზში არის ქართველთა სამხედრო კავშირი, რომელიც შესდგებოდა 44 კაციდან, რომელსაც მეთაურობენ ქ. ჩოლოყაშვილი და ღენ. კვინიტაძე, და გარდა ამისა არის კიდევ პოლონეთში 23 ქართველი ოფიცერი იმავე კავშირში. ამგვარათ, თქვენთვის უკვე გასაგებია მთელი შინაარსი მენშევიკური პროვოკაციისა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ბერიშვილი უკვე მანდ იმყოფება. ისე რომ საჭიროა მისი საკადრის შეხვედრის მოწყობა. აქ იმყოფება უკვე ორი კვირაა ბ-ნი შ. ამირეჯიბი და

როდესაც მას უსვამთ კითხვას თქვენი გარეთ ყოფნის შესახებ, ის გულწრფელათ აღიარებს, რომ ეს არ არის კარგი და რომ ბიურო წავა დათმობაზე, მაგრამ თქვენც უნდა წახვიდეთ ერთგვარ დათმობაზე. ბ-ნი ალექსანდრე თავის წერილებში ჩემ საყვედურებზე იმართლებს თავს იმით, რომ ის ცდილობს თავიდანვე თქვენთან შერიგებას და რომ თქვენ ის არ გსურთ.

ბ-ნო სპირიდონ! თუ თქვენთვის ძვირფასია ჩვენი ახალგაზრდობის ნდობა თქვენდამი, რომელიც ჩვენ გვქონდა საქართველოში და ეხლაც აქ გვაქვს, შეურიგდით იმ ხალხს ჩვენი სამშობლოსათვის. თქვენ კარგათ იცით, რომ ის ხალხი, ბიუროში რომ არიან თუ მათთან არ დაიწყო მუშაობა, ცალკე იქნებიან, თქვენ ცალკე და გვაზავა ცალკე, ეს არის დამარცხება ჩვენი პარტიისა, და თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რომ მტკივანი არის ეს პირადათ ჩემთვის, უნდა აგვიგდოს მასხრათ _ ვინ რამიშვილმა? ბევრს რამეს გეტყოდით, მაგრამ ყოველივეს წერილში ვერ დასწერს კაცი. აბა, გისურვებთ ყოველივე კარგს. მოგიკითხათ ჩემმა ძმამ.

თქვენი მონა-მორჩილი გიორგი.

ედპ-ს პარიზის ორგანიზაციის კრების გადაწყვეტილება

1932 წლის 10 იანვარს ქ. პარიზში შესდგა საქ. ერ. დემ. პარტიის პარიზის ორგანიზაციის წევრთა კრება, რომელმაც მსჯელობა იქონია გაზეთ ,,ბრძოლის ხმისა"[13] და ,,დამოუკიდებელი საქართველოს"[14] უკანასკნელ დროის აღმაშფოთებელი და პროვოკაციული გამოსვლების შესახებ ჩევნი პარტიის თავმჯდომარის ბნ. სპ. კედიას წინააღმდეგ და აცხადებს თავის გულისწყრომასა და აღშფოთებას ერისა და საზოგადოების საყურადღებოდ.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დღიდან თავის დაარსებისა, დაიწყო ბრძოლა ეროვნულ იდეათა მატარებელ პოლიტიკურ პარტიათა და პიროვნებათა წინააღმდეგ. საქართველოს საზღვრებში ეს განსაკუთრებით საგრძნობი შეიქმნა მას შემდეგ, რაც ამ პარტიამ თავისი ფილიალი საქ. დედაქალაქში _ თბილისში გადმოიტანა და მას მეთაურად ნოე ჟორდანია დაუყენა. ამ დღიდან საქართველოში იწყება გაბოროტებული ბრძოლა ბნ. ნოე ჟორდანიისა და მისი ამალისა ეროვნულ იდეათა მატარებელი ელემენტებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ. ბრძოლა მარქსიზმის მეთაურთა ეროვნული თვითშეგნებისა და აზროვნების წინააღმდეგ ერთის მხრით, და დაპირისპირებული ბრძოლა ქართველ პატრიოტთა საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის. საქართველოში დღიდან მარქსიზმის გაჩენისა, ჩაისახა და გაჩნდა ეროვნული ბოროტება _ სოციალიზმი, რომლის ტერორისტული ბუნება და სული გამომჟღავნდა მაშინ, საშინელი და საზიზღარი მთელი თავის შინაარსითა და მოვლენით, როდესაც საქართველოს სადარაჯოზედ მდგარი შეუდრეკელი და მტკიცე გუშაგი სულმნათი ილია სოციალიზმის მეთაურებმა მსხვერპლად შეიწირეს. ამიერიდან დიდი ილიას აზრები ქართულ ეროვნულ აზროვნებას საფუძვლად დაედო, ხოლო მისი წმიდა სისხლი კი, დანთხეული სოციალისტ ჯალათების მიერ, ფარად და საზღვრად. მას შემდეგ დღეს ეგრეთწოდებულ საქ. სოციალისტების ბუნებასა და არსებაში, როგორც ვრწმუნდებით, არარა შეცვლილა და ძველ გზას განაგრძობენ საქართველოს

დაღუპვისა და წარშლისათვის, მის ეროვნულ მოღვაწეებისა და მეთაურების წინააღმდეგ _ კიდევ უფრო მეტი თავხედური გამბედაობითა და გაბოროტებული გამოსვლებით. ასეთ თავხედურ და აღმაშფოთებელ ფანტასტიურ პიროვნების ნიმუშთაგანია ,,ბრძოლის ხმის" და ,,დამოუკიდებელ საქ." უკანასკნელი პროვოკაციული გამოსვლები ქართულ ეროვნულ პოლიტიკისა და მეთაურის _ ბატონ სპ. კედიას, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წინააღმდეგ. უნდა აღვნიშნოთ, ხალხისა და საზოგადოების საყურადღებოდ, რომ ტერორისტულ სისტემის _ სოციალიზმის ქართველ მეთაურებმა ასეთ ხასიათის გამოსვლებს უკანასკნელ წლებში სისტემატიური და გამომწვევი ხასიათი მისცეს შინ და გარეთ. ქართული სოციალიზმის მეთაურებს სისხლი სწყურიათ, ტერორი სჭირდებათ და მუდამ დასჭირდებათ, იმიტომ, რომ იმათ გაიგეს სოციალიზმის შეურიგებლობა კაცობრიობის მთელ წარსულ ისტორიასთან; აი ამიტომაა, რომ სოციალიზმი საჭიროებს ტერორს, რომელიც ნამდვილი ნიშანია ყოველგვარი კავშირის შეურიგებლად გაწყვეტისა საქართველოს მთელ ბუნებრივ ტრადიციასთან. ის მხოლოდ ფიქრობს სამოქალაქო ომზედ, რომელიც ჩადებულია სოციალიზმში. ის ვინც მარქსის ნააზრევის მიმდევარი და შემსრულებელია, სისხლსა და ტერორს ბოლომდის გაჰყვება, რადგან სისხლს ის საიდუმლო თვისება აქვს, რომელსაც ძალუძს სამუდამო გათიშვა და დაკავშირება. ასეთ ტერორისტულ ატმოსფეროში, ასეთ ტერორისტულ მოძღვრების სკოლაში აღიზარდა ჭანუყვაძე[15] და მან ჩაიდინა ყოვლად დაუშვებელი (ბოროტება და) დანაშაული _ მან მოჰკლა გამზრდელი. ჩვენ ვგმობთ საერთოდ ასეთ მოვლენებს და ამასთანავე ერთად ვგმობთ იმ პარტიის მოქმედებასა და ბრძოლის მეთოდებს, რომელიც საქართველოში და უცხოეთში საამისო ატმოსფეროსა და პირობებს ჰქმნის.

საქ. ერ. დემოკრატიული პარტია არაა არც ტერორისტულ მოძღვრების მიმდევარი და არც რევოლუციონური პარტია და ესეც _ მკვლელობა და ტერორისტული აქტები მათი შემოღებული და საკუთარი მონოპოლიაა. ჩვენ კი ყოველგვარი ასეთი აკტები მიუღებლად და ერის დამღუპველად მიგვაჩნია. მენშევიკებისათვის ყოველგვარი საშუალებები მისაღები აღმოჩნდა და ის რაგინდ საზიზღარი საშუალებანი მორალური თუ ამორალური არ იყოს _ მიზნის გასანაღდებლათ მისაღებათ მიაჩნიათ. ავიღოთ თუნდაც უკანასკნელად მომხდარი ტრაგედია, რომელიც მენშევიკურ პარტიას თავს დაატყდა. იმათმა არ დაინდეს განსვენებული და ეს აქტი საპროვოკაციო დემაგოგიურ ცდებისათვის გამოიყენეს, განსაკუთრებით ჩვენს წინააღმდეგ. ეს საშინელი ამორალობა და უპატივცემლობაა თვით იმ პიროვნების, რომელიც თვით იმ პარტიას მსხვერპლად შეეწირა. ქართველმა ხალხმა და საზოგადოებამ კარგად უწყის, თუ რის შედეგია ,,ბრძოლის ხმის" და ,,დამ. საქ." ბელადების პატივამყრელი და უკანასკნელი ღონისძიებანი, უჩვეულო ფართხალი და ყოვლად უმგვანო უპასუხისმგებლო გამოსვლები. ეს არის კრიზისი მენშევიკურ პარტიის და მისი ბელადების. კრიზისი სოციალ-დემოკრატიის შინ _ საქართველოში და გარეთ _ უცხოეთში. ასეთ მომენტის დროსაა სწორეთ, რომ მჟღავნდება მენშევიკურ სოციალიზმის ტერორისტული ბუნება სხვის ხარჯზედ ფონს გასასვლელად და თვითონ მზაკვრულ მიზნების გასანაღდებლად.

რათ დასჭირდათ ,,დამ. საქ." და ,,ბრძ. ხმის" მეთაურებს ასეთი პროვოკაციული სახის გამოსვლები თავის პოლიტიკურ მოპირდაპირის მიმართ? ბოროტი განზრახვით და ჩვენს გასაშავებლად, რისთვისაც ჩვენ კიდევ ერთხელ მოვაგონებთ სიფრთხილით ასეთ პოლიტიკის პასუხისმგებლობას მთელი ჩვენი ენერგიული

პროტესტითა და აღშფოთებით _ მენშევიკური სოციალიზმის მეთაურებს. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ასეთი სახის პროვოკაციული გამოსვლები მათი მხრიდან ტენდენციური და სისტემატიური ხასიათისაა, როგორც საქართველოში, აგრეთვე უცხოეთში. გაიხსენონ ჩეკაში დაბეზღებები, პროვოკაციული პროკლამაციები ხევსურეთის აჯანყების დროს აჯანყებულთა წინააღმდეგ, 27 წლის საზიზღარი დაბეზღება ეროვნულ მოღვაწეების, ქართველ ხალხის წინაშე და მათი საზიზღარი მოქმედებათა კრებული უკანასკნელით შეავსეს. გასულ წელს _ 1924წ. ეროვნული აჯანყების მთავარ ხელმძღვანელთაგანის ბატ. შალვა ამირეჯიბის პოლონეთის პოლიციაში დაბეზღება. რასაც, შედეგად მოჰყვა მისი გადასახლება.

საქ. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა, თანამგრძნობთა და მეგობართა გაერთიანებული კრება გამოსთქვამს თავის აუწერელ აღშფოთებას და გულისწყრომას ,,ბრძოლის ხმ.", ,,დამოუკ. საქ." და მისი მეთაურების ასეთი უპასუხისმგებლო პროვოკაციულ სახის გამოსვლებისათვის ერ. დემ. პარტიისა და მის ხელმძღვანელ ბნ. სპ. კედიას წინააღმდეგ და ერთხელ კიდევ მოაგონებს მენშევიკურ პარტიის დღევანდელ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, რომელიც თავისი პროვოკაციული სახის გამოსვლებით და მოქმედებით ჰქმნიან ტერორისტულ ატმოსფეროს შინ და გარეთ, რომ ამით ის ჩადის ეროვნულ ღალატს და ასეთი მეთოდებით ბრძოლის წარმოებისათვის პასუხისმგებლობას მთელი თავისი სიმძიმით ვაკისრებთ მათ.

საქართველოს ეროვნული კომიტეტი

1. კომისია აუცილებლად სთვლის, დაარსდეს ორგანო საქართველოს განთავისუფლებისათვის სამუშაოდ და აარსებს ,,საქართველოს ეროვნულ კომიტეტს".

2. ამ კომიტეტის წევრებად იქნებიან: მიხეილ წერეთელი; ლეო კერესელიძე; სპირიდონ კედია; იოსებ გობეჩია; გიორგი კერესელიძე; მანველიშვილი;[16] ნოზაძე (მაღლაკელიძე); მათე კერესელიძე; სინჯიკაშვილი;[17] სულხანიშვილი;[18] სალია.[19]

3. კომიტეტი აირჩევს დირექტორიას.

4. კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარეა აგრეთვე დირექტორიისა.

5. დირექტორიის წევრის გადაყენება დირექტორიიდგან ან კომიტეტიდგან, მხოლოდ დირექტორიას შეუძლიან.

6. დირექტორიის ახალი წევრის დასანიშნავად საჭიროა კომიტეტის წევრების ხმის უმრავლესობა, ხოლო აუცილებელი დირექტორიის წევრების ერთსულოვნება.

7. კომიტეტის წევრის გადაყენების ინიციატივის უფლება მხოლოდ დირექტორიასა აქვს.

8. კომიტეტის წევრის გადაყენებისთვის საჭიროა კომიტეტის წევრების ხმების უმეტესობა.

9. კომიტეტი საკუთარის ინიციატივით მოიწვევს ან სრულუფლებიან წევრად, ან მრჩევლად ან ტექნიკურ დამხმარეთ იმ პირს ან იმ პირებს, რომლებსაც ის საჭიროდ დაინახავს.

10. კომიტეტის ავტორიტეტი დაემყარება იმ ქართველთა გაერთებას, რომელნიც ინტერნაციონალისტურ ნიადაგზედ არა სდგანან, კლასთა ბრძოლას უარყოფენ და აღიარებენ ეროვნულ თანამშრომლობას.

11. კომიტეტის დაშლა მხოლოდ კომიტეტს შეუძლიან.

ამისათვის საჭიროა დირექტორიის ერთსულოვანი გადაწყვეტილება და კომიტეტის პლენუმის წევრების ხმების უმრავლესობა.

დამფუძნებელი კრება

1. კომიტეტი მოიწვევს ქართვ. დაჯგუფებების წევრებს პიროვნულად, ქართვ. დაჯგუფებების წარმომადგენელებს და უპარტიო ქართველებს.

2. დაჯგუფებების წარმომადგენელებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი დაჯგუფებებიდგან სრული ნდობის რწმუნებულება.

3. ეს კრება იქნება **დამფუძნებელი**.

4. დამფუძნებელი კრების ყოველი წევრი პირადად, და თუ დაჯგუფების წარმომადგენელია, დაჯგუფებების სახელითაც, კომიტეტს ხელის მოწერით აღუთქვამს, რომ ის წინასწარ, საქართველოს განთავისუფლებამდის, სრულს ნდობას უცხადებს მას და დასახულ მიზნის მისაღწევად განუსაზღვრელ უფლებებს აძლევს.

გაერთების წევრების ბეჭდვითი ორგანოები

გაერთების წევრთა ბეჭდვითი ორგანოები აღუთქვამენ კომიტეტს, რომ საგარეო საკითხთა შესახებ წერილები მხოლოდ კომიტეტთან შეთანხმებით დაისტამბებიან.

1933 წ. ბერლინში დაარსებული ,,ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციის" მოწოდება ქართველ მამულიშვილებისადმი

ხანმოკლე გამოდგა საქართველოს დამოუკიდებლობა, რათგან მას თავიდანვე დაჰყვა მენშევიკური დიქტატურის სენი. უკუღმართმა ბედმა საქართველოს სათავეში სწორედ ის პარტია მოაქცია, რომელიც თვით ავტონომიის იდეასაც კი ოცდაათი წლის განმავლობაში გააფთრებული ებრძოდა.

26 მაისს 1918 წ., ამ უდიდეს ისტორიულ დღეს გამოცხადებული დამოუკიდებლობის აკტი ბოდიშის მოხდით იწყებოდა.

ასეთ პირობებში აღმდგარ საქართველოს არსებობას საერთაშორისო პირობები უფრო უწყობდა ხელს, ვიდრე მენშევიკური მთავრობის პოლიტიკური უნარი.

საქართველოს არა-მარქსისტული ინტელიგენცია, უფლებაახდილი თავად-აზნაურობა და მამაცი ოფიცრობა, უღრმესი პატრიოტული გრძნობით აღვსილნი, მზად იყვნენ დაევიწყათ მენშევიკების წარსული მუხანათობა და სამშობლოს ასაყვავებლად ემუშავნათ. მენშევიკური მთავრობა კი, ვოიტინსკი-სოკოლოვ-შრეიდერ-გოლდმანებით გარშემორტყმული, სწორედ ამ ეროვნულ ძალებს უყურებდა მტრულად, და თუ ზოგიერთ მათგანს შეზღუდული მუშაობის საშუალება მისცა, ეს მხოლოდ იმავე მოსაზრებით ხდებოდა, როგორც ბოლშევიკები ,,სპეცებს" ამუშავებენ.

საქართველოს პარლამენტის შენობაზედ თითქმის სამი წელიწადი ფრიალებდა მარქსიზმის წითელი დროშა და სახალხო გვარდია _ ეს ხარაშ-აუშტროვების რაზმი _

ქართული ჯარის შედგენას უშლიდა ხელს. ქართველ მეომართა ისტორიული სიმამაცის აღდგენისა ეშინოდათ, ვინაიდან მათ ნამდვილად არ სწამდათ საქართველოს დამოუკიდებლობა.

მენშევიკებმა საქართველოში მით დაასრულეს თავიანთი მოღვაწეობა, რომ ბოლშევიკთა მიერ დაპყრობილი სამშობლო მიატოვეს და უცხოეთში შეაფარეს თავი. მაგრამ აქაც თავის თავი მთავრობად გამოაცხადეს. მიუხედავად ამისა, მთელი ემიგრაცია, განურჩევლად მიმართულებისა, მზად იყო მათთვის მხარი დაეჭირა.

ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვიყავით, რომ საქართველოს თავზედ დატეხილი უბედურება მათ ჩააფიქრებდა და ახლა მაინც შეეცდებოდნენ ძველ შეცდომათა ნაწილობრივ გასწორებას უცხოეთში ეროვნულ ნიადაგზედ მოღვაწეობით მაინც.

სამწუხაროდ, ამაშიაც ძლიერ მოვტყუვდით; ემიგრაციაში გაცილებით უფრო მტკიცე მარქსისტობა გამოიჩინეს. თუ საქართველოში თვით სახელმწიფო ცხოვრების ლოღიკა მათ ხშირად აიძულებდა მარქსის მოძღვრებისათვის ხანდახან მაინც ეღალატნათ, აქ, უცხოეთში ეს აღარ სჭირდებოდათ. სწრაფლ აღსდგა სოციალ-დემოკრატიული მთავარი კომიტეტი და დაიწყეს მეორე ინტერნაციონალში სიარული.

საქართველოდან წამოღებული ქონება ჩვენ ,,მთავრობას" ყოველივე საშუალებას აძლევდა ღირსეულად დაეცვა ჩვენი ქვეყნის ინტერესები. ამისათვის კი საჭირო იყო შემოკრება ემიგრაციის რჩეულ ეროვნულ ძალთა.

ამის მაგიერ შეჰქმნეს ეგრეთწოდებული ,,გაერთიანებული ფრონტი" და ამ ,,ფრონტში" თავისი კაცები შეიყვანეს.

საქართველოს დამოუკიდებლობამ ზედმეტად გახადა ,,სოციალისტ-ფედერალისტთა" პარტიის არსებობა და აი სწორედ ამ პარტიის უცხოეთში მყოფი მოთავენი გახდენ მენშევიკური მთავრობის უერთგულეს კარის-კაცებად.

ეროვნულ-დემოკრატთა პარტია იმ შემადგენლობით, როგორც იგი უცხოეთში მოხვდა, არ იყო ამ მთავრობისათვის მისაღები და აი აქაც ჩვეულებრივ ხერხს მიმართა მან და მათგანაც კარის-კაცები გაიჩინა.

ევროპის დიდ ქალაქებში, როგორც ლონდონში, ვარშავაში და პრაღაში აქ უცხოელი! მარქსისტები დანიშნეს ახალ ელჩებად; პარიზში და ბერლინში ძველი ელჩები დასტოვეს, როგორც მათი პარტიის კაცები, მაგრამ ბ-ნი ვლ. ახმეტელი ბერლინში მყისვე გადააყენეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან, როგორც ელჩმა, საზოგადო ეროვნული ინტერესი პარტიის ინტერესზედ მაღლა დააყენა.[20]

პირველ ხანებში მზადაც იყვნენ ზოგიერთ შემთხვევაში ევროპის ,,ბურჟუაზიულ და რეაქციონურ" წრეებში სამუშაოდ არა-მარქსისტებიც ,,გამოეყენებიათ", მაგრამ მალე ამასაც დაანებეს თავი.

დაბეჭდეს წიგნაკები რუსულ და სხვა უცხო ენებზედ პარტიის მთავარი კომიტეტის სახელით, სადაც თავს იმართლებდენ მეორე ინტერნაციონალთან, თუ რისთვის ,,ებრძოდენ" ბოლშევიკებს.

როდესაც უცხოეთში ასეთი წესით გამოხმაურება ვერ ჰპოვეს, მაშინ მაკედონურ ,,ჩეტნიკების" ზომას მიმართეს და ქართველი ხალხი 1924წ. აჯანყებით ბოლშევიკებს ზვარაკად შესწირეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთა ლიგისათვის დაემტკიცებიათ, _ ქართველი ხალხი მარტო ჩვენ გვემორჩილებაო.

როდესაც ასეთმა საშინელმა სისხლის გაღებამ ვეღარ დაუბრუნა მათ ძალაუფლება, მაშინ აჯანყების მოწყობის თაოსნობა ,,მემარჯვენე" პარტიებს

დააბრალეს. ამას თან ისიც მოჰყვა, რომ მათ შორის ერთადერთი პატიოსანი ადამიანი, კარლო ჩხეიძე, მისივე ხელით სიცოცხლეს გამოესალმა. ირაკლი წერეთელი და მისი ჯგუფი ჟორდანია-რამიშვილს გამოეყო და მენშევიკთა რიგებიც დაირღვა.

სექტანტური ჟინით შეპყრობილნი აქაც არ შეჩერდნენ; ჟორდანია და განსვენებული ნოე რამიშვილი გააფთრებული დაეტაკნენ ქართველ პატრიოტთ. საუკეთესო მამულიშვილნი მოღალატეებად იქმნენ გამოცხადებულნი და ქართველი ერის წინაშე დაბეზღებულნი. ამან სრულიად არია ემიგრაცია და მტრულ ბანაკებად დაჰყო. ყოველივე იმედი საქმის გამოსწორებისა დაიკარგა. აბა რას დაზოგავდენ იგინი არა-მარქსისტებს, როდესაც თავიანთივე ამხანაგი ცნობილი მარქსისტი ირაკლი წერეთელი ყალბი ინფორმაციით გადააყენეს მეორე ინტერნაციონალში დელეგატობიდგან. თავიანთ პარტიულ გაზეთს წააწერეს ,,პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით", _ ეს ის მოძახილი, რომლითაც ბოლშევიკები აგერ ცამეტი წელია ანადგურებენ საქართველოს!

რამიშვილის მოკვლის შემდეგ კიდევ უფრო გაამწვავეს მათ მდგომარეობა და ეს ბალღამი მეზობელ ერთა ემიგრაციებშიაც გადაიტანეს. აზერბაიჯანელთა მოწინავე წრესაც ჩააგონეს, რომ ,,გამდგარ მემარჯვენე ქართველთა წრე" შოვინისტია, ირედენტას წარმოება უნდათ, და მათ, როგორც ოსმალებისა და თქვენ მტრებს ისე უყურეთო. მსგავსსავე მუშაობას სომხებთანაც აწარმოებენ.

ყველა ამ სიბინძურეს ახლა ისიც მიემატა, რომ ალექსანდრე ასათიანი, იმ წიგნის ავტორი, სადაც მენშევიკები ავაზაკებად არიან გამოყვანილნი, ჟორდანიამ მოკავშირედ გაიხადა, და ასათიანის ახალი მეგობარი, ქართველთა წრეებში კარგათ ცნობილი კრიმინალი და ჯაშუში გუგული გამყრელიძე, მოწმედ დაიყენა, რომ თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ ებრძოლოს.

რა გასაკვირველია, რომ ასეთმა ბრძოლამ არამც თუ საქართველოს საკითხს ავნო, არამედ სრულიად თავი მოგვჭრა უცხოეთში და ეს ჩვენი შერცხვენა მით დაგვირგვინდა, რომ ჟორდანიას ,,მთავრობა" ქორწინების საერთაშორისო ქართველ ავანტიურისტებს, კუდა-აზნაურებს თავადობის ყალბ სიგელებს უბოძებს, გვრწამს არა უსასყიდლოდ.

ამჟამად ემიგრაციის ის ნაწილიც კი შეუძლებლად სცნობს გაჩუმდეს, რომელიც ამ ბრძოლის დროს განზედ იდგა და, მიუხედავად თვისი უკმაყოფილებისა, ჟორდანიას ნამუსს უნახავდა.

აღშფოთება საერთოა, მით უმეტეს, რომ ბოლშევიკური ბარბაროსული სისტემის აღსასრულის დრო მოახლოვდა და ემიგრაციას თავისი მთავარი მოვალეობა _ ევროპის საზოგადო აზრის მომზადება _ ოდნავადაც არ შეუსრულებია.

ცამეტი წლის ლოდინის შემდეგ ძნელია იმაზედ ფიქრი, რომ ჟორდანია და მისი უპასუხისმგებლო დამხმარენი შეიცვლებიან. თვით საფრანგეთის მთავრობის მიერ ჩვენი საელჩოს გაუქმებამაც ვერ მოიყვანა ისინი ჭკუაზედ.

ამიტომ ჩვენ ვიღებთ ჩვენ თავზედ მოვალეობას, ასეთ მძიმე პირობებში შევეცადოთ შემოვიკრიბოთ ემიგრაციის საღი ნაწილი, _ ის ნაწილი, რომელიც წმინდა ეროვნულ ნიადაგზედ სდგას და სრულიად მოშორებულია მარქსისტულ მიმდინარეობას. ორპირობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. შეუძლებელია, ერთი და იგივე პირი გულწრფელი პატრიოტიც იყოს და მარქსისტიც, ვინაითგან ეს უკანასკნელი ერს, როგორც მის ბუნდოვან საერთაშორისო იდეალთა განხორციელების საცდელ მასალას, ისე უყურებს.

ჟორდანიას და მის შტაბს ოპოზიციაში ბევრი ემიგრანტი მარქსისტი უდგია და მას მარქსის ერთგულებაში კიდევაც ეცილება. ასეთებთან შეერთება ჩვენთვის

მიუღებელია, რათგან ეს ვერ მოგვცემს ეროვნულ მთლიანობას. ისეთი ქართველებისათვის კი, რომელნიც ამ სენიდგან განიკურნენ, ჩვენი წრის კარები ღია იქმნება. ამით ბოლო მოეღება იმ ორპირობას, რომელიც აფერხებს საერთო მტერთან ბრძოლას.

ის აზრი, ვითომ ჟორდანიასთან და სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლა ქართველ ხალხში უსიამოვნებას იწვევდეს, თვით სოციალ-დემოკრატების მოგონილია.

ქართველი ხალხი ცამეტი წლის ტანჯვის შემდეგ სამუდამოდ განიკურნა მარქსიზმის ცოდვისაგან. მან შეიგნო, რომ ბოლშევიკები და მენშევიკები _ ეს ერთი მოძღვრების შვილებია და რომ მხოლოდ ბოლშევიკების მიერ საქართველოს ადრე დაპყრობამ გადაარჩინა ჩვენი მენშევიკები სრულ გაკოტრებას!

ჩვენი მიზანი არ არის პარტიათა კოალიციის შედგენა, ეს უკვე ნაცადი გზაა და მხოლოდ მუშაობას გააძნელებს. ჩვენ გვსურს ყველა იმ ქართველთა გაერთიანება, ვინც მეორე და მესამე ინტერნაციონალის მრევლს არ შეადგენს.

ასეთი ქართველების ყრილობამ უნდა აირჩიოს ერთი ორგანო, რომელიც ქართველ ემიგრაციას პოლიტიკურად გაუძღვება, საქართველოს საკითხს ჯეროვანად გააცნობს ევროპას, და როდესაც განთავისუფლების ჟამი დადგება, აღასრულებს იმ საქმეს, რომელიც ჩვენს ეროვნულ ემიგრაციას ვალად აწევს.

მოგმართავთ თქვენ, _ ჩვენ დაწყებულ საქმეს შემოუერთდეთ და ჩვენთან ერთად გამოსძებნოთ გამოსავალი გზა დღევანდელი მძიმე მდგომარეობითგან.

ბერლინში 10 ივნისს 1933 წ. დაარსდა ,,ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაცია გერმანიაში", რომელიც ამ მოწოდებაში აღნიშნულ მიზნებს ემსახურება.

ამასთანავე, გაახლებთ ჩვენი პირველი კრების რეზოლუციას და მოგიწოდებთ, თქვენც მსგავსი ორგანიზაციები დააარსოთ, რომელთაგანაც უნდა შეიქმნას ახალი ნამდვილი ეროვნული ცენტრი.

ეროვნული კომიტეტი: ტ. მარგველაშვილი
მ. წერეთელი
ა. მეტრეველი
საემიგრაციო კომისია: დ. ღამბაშიძე
კ. ვეკუა

საქართველოს ეროვნული ცენტრის თავმჯდომარეს

ღრმად პატივცემულო ბ-ნო თავმჯდომარე!

უკანასკნელი თვეების განმავლობაში მომხდარი საერთაშორისო მოვლენების გამო, დაგვიანებით გაცნობებთ შემდეგს:

,,ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტისა და საზღვარგარეთის ორგანიზაციის საბჭოს წევრთა 1939 წლ. ივლისის 22-ის კრების დადგენილებით, გაუქმებულია ის მანდატი, რომლითაც პარტიის წარმომადგენლად მივლინებულ იქმნა ეროვნულ ცენტრში ბ. ალ. ასათიანი. მას არავითარი უფლება აღარ აქვს, დარჩეს ერ. დემ. პარტიის სახელით ეროვ. ცენტრში ან იმოქმედოს ქართულ თუ უცხოელთა პოლიტიკურს წრეებთან.

ჩვენი წარმომაგდენლის მიერ შექმნილი მდგომარეობით, ჩვენი პარტიული წრე ეროვნული ცენტრის სფეროს გარეშე დარჩა ფაქტიურათ. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ეს ფაქტიურათ შექმნილი და დამყარებული მდგომარეობა ფორმალურადაც დავადასტუროთ და განვაცხადოთ, რომ დღეიდან ჩვენი წრე არავითარს პასუხისმგებლობას აღარ ატარებს ეროვნული ცენტრის საქმიანობისათვის.

კვლავ ვრჩებით რა ეროვნულ ძალთა მთლიანობისა და თანხმობის აუცილებლობის ნიადაგზე, ჩვენი მოქმედების მიზნად ვისახავთ ასეთი მთლიანობის რეალურს საფუძველზედ დამყარებას და ამისათვის ნიადაგის მოსამზადებლად, მზადა ვართ ვიმუშაოთ ქართ. პოლიტიკურ წრეებთან.

ამ დადგენილებას ხელს აწერენ მთავ. კომიტ. და საბჭოს წევრნი: ს. ზალდასტანიშვილი, ელ. პატარიძე, დ. უგრეხელიძე, ელ. ქოჩაკიძე, ნიკ. სიდამინ-ერისთავი.

გთხოვთ ეს დადგენილება მოახსენოთ ეროვ. ცენტრის პლენუმს.

ღრმა პატივისცემით ერ. დემ. პარტ. მთავ. კომიტეტის წევრი:

ელ. პატარიძე.

1939 წლ. ქრისტეშობისთვის 6. პარიზი.

ნაწილი მესამე

სხვადასხვა

საქართველოს დამკომის საზღვარგარეთის დელეგაციის სხდომათა ოქმები

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის საზღვარგარეთის დელეგაციის 1925 წლის იანვრის 17-ის საგანგებო სხდომა.

კრების საგანია მოსმენა საგანგებოთ დაბარებულ პირთა, უკანასკნელი აჯანყების და მასთან დაკავშირებულ ამბების გასაგებათ.

კრებას დაესწრნენ: დელეგაციის ყველა წევრები და დაბარებულ პირებიდან შემდეგი პირები: სოლ. ზალდასტანიშვილი, კ. ქავთარაძე, გ. წერეთელი.

კრებას თავმჯდომარეობს ბნ. ნ. ჩხეიძე.

მდივნობს სპ. კედია.

მოხსენებას აკეთებს ზალდასტანიშვილი:

1923წ. თებერვალში ჩავარდა პირველი საერთო სამხედრო ცენტრი. შემდეგ პოლიტიკური პარტიები ცალკე აწარმოებდენ მუშაობას ასე იყო ივლისამდე. 1 ივლისს შესდგა პირველი სამხედრო კომისია _ მენშევიკ. წარმომ. ნ. ხომერიკი და ნ. კახიანი და ნაც. გიორგი წინამძღვრიშვილი და ზალდასტ. პირველი ორი იყო პოლიტიკური წარმომადგენელი, ორი კი _ სპეციალური სამხედრო.

პირველად მიზნად წარმოდგენილი გვქონდა, რომ თუ ევროპა დაგვეხმარებოდა, შინ უნდა დაგვეგროვებინა დამკვრელი ძალები. მეორე გზა _ თუ რუსეთში მოხდებოდა აჯანყება _ მაშინ მარტო ჩვენი ძალები საკმაოდ გვქონდა წარმოდგენილი. პირველ სხდომაზე გამოირკვა, რომ უსახსრობის გამო შეუძლებელი იყო გამრავლება გასული რაზმების. ასეთ პირობებში ჩვენი მოძრაობა და აჯანყება უნდა დაყრდნობილიყო საზღვარგარეთის დახმარებას. სამხ. კომისიას უნდა ეწარმოებია წინასწარი და ტექნიკური მუშაობა, ამიტომ შტაბის მოწყობა გადაიდო. ამ დროს ქაქუცამ შემოგვითვალა, რომ მას 3 000 კაცი ჰყავდა მთიელები და რიგ აჯანყებას დაიწყებდა. ქაქუცას შეეთვალა უარი, რადგან არც ჩვენ ვიყავით მოწყობილი და არც ევროპიდან ვიცოდით რასმე, მაგრამ ცოტა მოძრაობა მაინც მოხდა, თელავს სცლიდნენ. რუსის ჯარის მეთაურმა უარი თქვა სამოქალაქო საქმეში ჩაბმოდა. ქაქუცამ მოითხოვა საგანგებო კაცების გაგზავნა მთაში. გაგზავნა გიორგი წინამძღვრიშვილი. გზათ უნდა გაევლო ბაქოში, გაეგო იქაური ვითარება, მერე გადასულიყო გროზნოში, შეხვედროდა (ენკენისთვის 1923 წ.) ქაქუცას და ალი მიტოევს.[1] ჩრდილო კავკასიაში გიორგიმ დაჰყო თითქმის ორი კვირა. წინამძღვრიშვილი კარგათ მიუღია, ადგილობრივი ხელისუფლება სულ ალი მიტოევის ხელში იყო, მოწვეული იყო ჩეჩნეთის მეჯლისი, რომელმაც დაიფიცა ჩვენთან ერთგულებაზე. აზერბაიჯანის წარმომადგენლებს უთქვამთ, რომ მაზრებს ხელში ჩავიგდებთ, ოღონდ ბაქოს აღებაში ჩეჩნები და ქართველები უნდა დაგვეხმარონ. შეთანხმებულან, რომ წარმომადგენლები გაეცვალათ ჩეჩნეთს და ქართველებს.

აზერბაიჯანში იყო ორი წარმომადგენელი, ორი კაცი _ გიორგაძე და სალუქვაძე. ენკენისთვის გასულს სამხედრო კომისია _ ნ. ხომერიკი, წინამძღვრიშვილი და ზალდასტანიშვილი, კახიძე ვერ ითვალისწინებს აჯანყების გეგმას (თბილისის და ბათუმის აღება). აქ გამოირკვა ვის რამდენი ძალა ჰქონდა, თუ სამოქალაქო პარტიული, თუ სამხედრო ნაწილებში. მოგვარებული იყო საქმე ჯავშნიან ავტომობილებში, აგრეთვე იყო ჩეკაში.

მაზრებში _ თელავიდან ცალკე სამოქალაქო ორგანიზაცია გვითვლიდა, რომ 60 კაცს გამოიყვანდა. თელავის სამხედრო კომისია იტყობინებოდა, რომ 250 კაცს გამოიყვანდა და ამ ძალას საკმარისათ თვლიდნენ განიარაღებისათვის. მუშაობა სწარმოებდა ასეთი ყველა სხვა ადგილებში საქართველოსი. გურიაში 900 კაცია შეიარაღებული. გურია ფიქრობდა ბათუმის დახმარებას და მის ხელში ჩაგდებას. საჭირო იყო, რომ ნ. ხომერიკს და წინამძღვრიშვილს ენახათ ყველა პოლიტიკური მუშაკები. შევეკითხე ხომერიკს, გვაქვს თუ არა საზღვარგარეთიდან დახმარება. ამის გარდა ხომერიკმა გამოიძახა წარმომადგენლები _ სხვათაშორის ხმალაძე. ხომერიკმა, როდესაც ინახულა ყველა მაზრის წარმომადგენლები, გადაწყვიტა წერილი გამოეგზავნა საზღვარგარეთ, რომ მზადა ვართ და თქვენ რა დახმარება შეგიძლიათ? მაგრამ ამ დროს დაეცა ჩეკა და ეს წერილიც ჩაუვარდა ჩეკას ხელში. შ. ამირეჯიბს ხომერიკი წერდა: ,,ჩვენ მზადა ვართ, ნუთუ თქვენ ვერ შესძლებთ ევროპის ჩარევას? დამ. კომ. აგრძელებს მუშაობას და ხომერიკის მაგივრათ გოგუა. დამ. კომ. ფიქრობდა გამოეგზავნა ორი კაცი ინფორმაციისათვის. ამ დავალებით უნდა წამოსულიყო ორი კაცი, მაგრამ გამოაგზავნა ერთი კაცი, ვასო ნოდია, და ერთი თვის განმავლობაში პასუხი უნდა მოეტანა, რადგან ჩქარობდა ყველა. პასუხის მიღებამდის მზადებას ვაგრძელებდით. გამოვიწვიეთ ქაქუცა. მე ვიყავი, შალვა ამირეჯიბი, წინამძღვრიშვილი. მოვისმინეთ ქაქუცას აზრი. ქაქუცამ თქვა: მე შევძლებ თბილისში

შემოსვლას და ას კაცს შეიარაღებულს შემოვიყვან თბილისში. ექვსი დღე იყო თბილისში. უცდით ნოდიას ჩამოსვლას. მუშაობა ინტენსიური ხდება. და მიზეზი მათი ჩავარდნისა. თავდება დეკემბერი. იმედი არ სრულდება, ნოდია არ ჩამოდის; ქაქუცა ვერ იცდის, რადგან მისი მიზეზით ბევრი მსხვერპლი არის. ჩვენ მივეცით პასუხი, იანვრამდის ჩამოვა ნოდია. ჩვენი მუშაობა გრძელდება. სტუდენტობა უქმეებზე დავტოვეთ თბილისში. Pპასუხი არ მოდის. ქაქუცას დაეცენ. მდგომარეობა რთულდება. ქაქუცას ვამხნევებთ. მდგომარეობა ნერვიული. ჩეჩნებიდან მოგვდის კაცი. მიშა იშხნელი[2] ჩეჩნეთში არის ჩვენი წარმომადგენელი. ელის ჩვენს პასუხს. რა მბავი არის, რომ არ გვაწუხებთ. აზერბაიჯანიდან მოდის კაცი. გოგიტასთან[3] მიდის. გოგიტა უხსნის მდგომარეობას, როგორ არის მოწყობილი საქმე. ის კაცი მიდის, მაგრამ ერთი საათის შემდეგ მოდის ისევ ის კაცი ჩეკისტებით და გოგიტას იჭერენ. კიდევ უთვლით ქაქუცას, მოიცადოს და ვამხნევებთ. გიორგი წინამძღვრიშვილი დაიჭირეს ერთი გამცემის მიხედვით და გვეშინოდა ქაქუცაც არ დაეჭირათ. შევატყობინეთY ქაქუცას, ბინა გამოეცვალა. ნაპოლეონიც ჩავარდა. მდგომარეობა ახალი. მუშა ბელთაძე შემოიყვანეს. ისიც დაიჭირეს. კიდევ რამოდენიმე ახალი მუშა შემოიყვანეს, მაგრამ ისინიც ჩავარდნენ. ჯარში მუშაობა შეუძლებელი შეიქნა. დამ. კომ. გადაწყვიტა შესწყდეს მუშაობა ჯარში და მუშაობა გაგრძელდეს მუშებში.

ნოდია ჩამოდის. ნოდიამ თქვა: ახლო მომავლში უნდა გამოვიდეთ; ინგლისი, საფრანგეთი გვპირდება დახმარებას ჩვენ საქმეში; ოსმალეთი საფრანგეთის გავლენით ნეიტრალიტეტს დაიცავს. აშკარა იყო, რომ საქმე მხოლოდ ჩვენზე იყო. დაიწყო ენერგიულათ მუშაობა. გვითხრა, ამ დღეებში ჩამოვა ხუთი კაცი: ვალიკო,[4] ბენია,[5] ცენტერაძე. . . ფული რატომ არ მოიტანეო. ფული გამოგზავნილი არისო. ხუთი ათასი ლირა, სამი ათასი ლირა. სამი ათასი დაიკარგა, რიშტამაშვილები, რომელმაც არ მოგვცა. ხუთ ათასის აღება გაჭირდა. მართალია ფული თქვენია, მაგრამ ნაღდი ფული არ გვაქვს. ხალიჩები გაყიდეთ. ვხედავთ იწყება რუსეთ-ინგლისის მოლაპარაკება. ნოდია ამბობს, თუ ჩვენ გამოვედით, ინგლისი დაგვიჭერს მხარს. ჯარიც რუსების იშლება. მოვიდა ცნობა, რომ ფული ჩამოვაო. ნოდია იძლევა წინადადებას: 20 მაისამდის უნდა დავიწყოთო. ჯუღელი ჩამოდის ამ დროს, იცნობს მდგომარეობას. ნოდიას იჭერენ. მისი ადგილს იჭერს ჯინორია. ფული არ გვაქვს. ვალიკო შემოდის სამხედრო კომისიაში: მე, ვალიკო, ჯინორია, ანდრონიკაშვილი[6] და უფულობის გამო გამოსვლის დრო ვერ დავნიშნეთ. ჩეჩნები გვეკითხება, როდის იქნება გამოსვლაო? ჩამოდის ყარანგოზიშვილი[7] ჩვენი სამხედრო წარმომადგენელი ჩეჩნებიდან. უფულობის გამო ვერ ვაძლევთ პასუხს. ჩეჩნებს ეჭვი შეეპარათ, რომ ჩვენ მათ ვატყუებთ. ვერ ვუთხარით, რომ უფულობის გამო პასუხს ვერ ვაძლევთ.

ვალიკო დარწმუნდა, რომ ძალები საკმარისად გვაქვს. მხოლოდ ფული არ იყო. ვალიკო იძლევა აზრს _ ფულის შოვნა. კოტე, შალვა არწმუნებენ ჩვენს მდიდრებს ფულის საჭიროებას და მოგვცენ 2 5000 ფული. ეს იყო ივლისში. ფული ვიშოვნეთ. გამოვიწვიეთ მაზრებიდან კაცები. მოვიწვიეთ სპ. ჭავჭავაძე.[8] გავაცანით მდგომარეობა მზადებისა. წერილი მოდის ჟორდანიასი ც.-კომ. მენშევ. ამ წერილმა უფრო გააფუჭა საქმე, ვიდრე გააკეთა. ჩეკამ ისარგებლა ამ წერილით და ჩამოგვაშორა ჩეჩნები. ფურცლები გაავრცელა, რომ საქართველოს თქვენი ხელით უნდა გააკეთოს საქმე. ჩვენ დაგვიდგა საკითხი: მარტო გასვლისა. ჩვენ ვიფიქრეთ, ჩრდილოეთს ძალას არ დავატანთ. თუ გამოვა, კარგი იქნებოდა. კაციც გავგზავნეთ, ოთხი ოფიცერი, ჩეჩნეთში მაინც, მაგრამ ჩეჩნეთში ალი მიტოევი დაჭერილი აღმოჩნდა. ჩვენი

ოფიცრები უკან გამოუშვეს, თუ საჭიროება მოითხოვს ჩვენ გამოვალთო. ამ დროს ვალიკო გამხნევებულათ მუშაობს. ამ მუშაობის დროს ქუჩაში იჭერენ ვალიკოს. ვალიკოს კვანტალიანმა[9] უთხრა, თქვენ გამოსვლას აპირებთ და თქვენი მახლობელი მომუშავენი ჩვენი ხალხი არისო. თქვენ მოგცემთ მთელ გეგმას, რა გეგმით უნდა გამოხვიდეთ თბილისში. ეხლა ხომ გჯერათო. ამას გვიამბობს ჩეკისტი. ვალიკომ იცა თავში ხელი და მისცა სიტყვა, რომ თუ გამიშვებთ ოცამდის, მაშინ შევაჩერებ გამოსვლასო. გაიგეს ყოველისფერი; მაგრამ ვალიკო არ გაუშვეს. არჩიეს სხვა კაცის გამოშვება, მხოლოდ ვალიკოს წერილით, რომ მოიხსნას გამოსვლის საკითხი. წერილი გამოატანეს ვანო ღლონტს. უნდოდა ენახა ც. კ. წევრი. კვანტალიანმა გადაკოცნა ღლონტი და უთხრა, რომ ის ისტორიულ საქმეს აკეთებს. წერილი მიიღო ც. კ. ღერმან ღლონტის საშუალებით. ვალიკო იწერება, რომ მესამე კაცი არის ც. კ.-ს წევრი, რომელიც გამცემი არის. ც. კ. ქონდა სამი დღე მსჯელობა და მიიღო ის აზრი, რომ ეს ჩეკის ხრიკი არის და ტყუილი არის. ასეთი აზრი გამოიტანეს სხვა პარტიებმაც. ეს ხდება 15-19 მარიამობისთვეს, 1924 წ. გადაწყდა მარტო გამოსვლა უჩეჩნებოთ, მხოლოდ შევატყობინოთ მათ გამოსვლის დღე. ვალიკოს უთვლიან, რომ გამოსვლას არ ვაპირებთ. ჩეკას დარწმუნება შეუძლებელი იყო, რადგან ჩეკა ხედავს ხალხი მხიარულობს, გამოსვლა მზადდება. ამაგრებენ თბილისს. ჯარები ჩამოდის. თბილისში შეუძლებელი ხდება გამოსვლა. სპ. ჭავჭავაძე ამის შემდეგ უარს ამბობს გამოსვლაზე. თხოულობს კოტეს,[10] საზღვარგარეთ წასვლას, საქმის გაგებას. კოტე არ უშვებს. გადაწყდა თბილისის ახლო გამოსვლა. გადაწყვიტეს ოთხმა კაცმა გამოსვლა, ვადის დანიშვნა _ ანდრონიკ., შალვა, ონიაშვილი, ჯავახიშვილი. ვანიჩკა ლორთ. უმთავრესი საკითხი იყო, სად უნდა ყოფილიყო გამოსვლა. აჯანყების საკითხი არ იდგა, რადგან ეს პროცესუალურად ხდებოდა.

18 მარიამობის თვეს მითხრეს, რომ ძალები არ შეუგროვდეს ქაქუცას, მაგრამ გვიან იყო, რადგან მე რომ მივედი ხალხი უკვე გროვდება _ ელიზბარი[11] მოდის, ხალხი მოსდევს _ მღვდელიც არის მათ შორის _ ლოცავს მათ. დუშეთიდან და სხვა ადგილებთან ხალხი გაიძახის ,,საქართველოს გაუმარჯოს." ჩვენ ბელადს გაუმ. მომენტი მეტად ამაღლებული. მანგილისი გვპირდება 3000 კაცს, დიღომიდან მოდის შეიარაღებული კაცი. დრო არ ითმენს, ხალხი ტყეში არ გაჩერდება, სიძნელე დიდი არის. დავბრუნდი თბილისში. იმ დღესვე კრება დამკომის _ აჩქარებით. გამოსვლა არის საჭირო. სოფელი კი ამჩნევს მზადებას. შიში. ხალხს მეორეთ ვერ შევძლებთ. გამოსვლის დრო იცოდა ხუთ კაცმა. დაინიშნა გამოსვლის დღე 28 აგვისტო. მე მეწყინა, რადგან ხალხი ვერ გაჩერდება. შეატყობინეს ყოველგან, ეს არის 24 აგვისტო. რაც ხალხისათვის ძნელი იყო, ხალხის გაჩერება. მივიღე წერილი. საკმარისი არის ხალხი. შეტყობინება ვერ ხდება რეგულარულათ.

თბილისში 28-ში იყო დამკომის სხდომა: ს.დ., ს.რ., ს.ფ., ნ.დ.. სხიველები წავიდენ. ფედ. პოლიტიკური პასუხისმგებლობა არ გაიზიარეს, რომ ახლო მომავალში არ არის მომენტი აჯანყებისათვის. თბილისის უმრავლესობა აშკარათ ღებულობს მონაწილეობას მზადებაში. ჩეკის წევრი გვეუბნება, მთელ მთავრობას ჩაგაბარებთო. შევიტანე აზრი, რომ თბილისში გამოვიდეთ, არ დამიჭირეს მხარი. მხოლოდ ვანიჩკამ. აშკარა მუშაობა თბილისში _ ხალხი მოდის და გვეკითხება ინსტრუქციებს. მოგვივიდა ცნობა, რომ ჭიათურა გამოვიდა, ჩაიგდეს ხელში _ გვილოცავენ. _ აქ იწყება ჩვენი დამარცხება. თბილისის გეგმა, _ბრონევიკები _ აეროპლანი. _ 28-ს გაგზავნეს ბრონევიკები _ ყოველგან, არსენალში _ ფოშტაში. აეროპლანები გაგზავნეს ჭიათურაში. თბილისში გამოსვლა ხდება შეუძლებელად. მაგრამ იმედი გვქონდა

მანგლისის გამოსვლისა. ვაზიანის აღება _ თბილისში ჩვენი ძალები _ ბოლშევიკებმა ჩვენ წინააღმდეგ გამოიყვანეს. ვაზიანის ამოცანა ვერ შეასრულა ცაგურიამ. 28, 29 გადის. გავიგეთ, რომ ხალხს აგროვებენ მანგლისის ახლო. დრო მიდის, ნელდება ჩვენი მუშაობა. იწყება გადატეხა ხალხის. დაიწყეს ხვრეტა.

დადგა 4 ენკენისთვე. გავიგეთ, დაუჭერიათ _ კოტე, მიხა, იშხნელი, იასონი. აცხადებენ დეკლარაციას დამკომის. აეროპლანებით ავრცელებენ ამ მოწოდებას. დეკლარაციამ იმოქმედა ხალხზე. გააჩერა ხალხის სურვილი გამოსვლისა. კახეთში არ ხდება გამოსვლა, რადგან იქ იყო სათავეში ბაღაშვილი _ ექიმი: ჩამოვიდა თბილისში, ნახა ც. კ. მენშევიკებისა. არ გამოვედით იმიტომ, რომ კოტემ ეგრე გვითხრა, სანამ ვაზიანს არ აიღებენ, მანამ ნუ გამოხვალთო. სინამდვილე კი ასეთი არის. სიღნაღში ორ ოფიცერს ისე მოეწყო საქმე, რომ მისვლა იყო საჭირო და დაჭერა ქალაქის. ხალხი განკარგულებას არ იღებს _ 28, 29. _ განკარგულებას არ უცდის _ ადგილობრივი ბიურო სწყვეტს გამოსვლას. მაგრამ ამ კრებას იჭერს ჩეკა_გამცემლობა. პასუხი გამომსვლელებს არ მიუდის; გადის ტყეში _ ბევრს იჭერენ _ ხვრეტენ: თელავში წინდაწინ გაიგეს ყოველისფერი; დაიჭირეს ხალხი _ აწვალეს. მიხაილოვი, ხიზანაშვილი. 30 ოფიცერი დახვრიტეს თელავში. არ იცოდენ, რა დროს უნდა გამოსულიყო. ჭიათურა და შორაპანი უნდა მოსულიყო ხაშურში _ შეერთება მათი და წამოსვლა თბილისზე, რადგან ჭიათურა ადრე გამოვიდა _ ვერ განხორციელდა იქ ამოცანა.

ყველაზე უფრო ძლიერი და ნამდვილი გამოსვლა მოხდა სამეგრელოში და სვანეთში. მოძრაობა შეიქმნა ხანგრძლივი. შემდეგ გადავიდენ სვანეთში. აქ გაიგზავნა რუსის ჯარი. ხელმძღვანელობდა ორჯონიკიძე. აიღეს ქვედა სვანეთი. ეს იყო ოქტომბრის დამლევს. თბილისში აღადგინეს მუშაობა ყველა პარტიებმა. კოტეს ვწერდი წერილებს და დიდ უკმაყოფილებას ვუცხადებდით. შეცდა კოტე. ფურცლები გამოვიდა. ახალგაზრდობამ ნ. დ. _ გამოუშვა ფურცელი. ხალხში არ არის შურისძიების სურვილი ჩვენდამი.

ს. ფირცხალავა: 1. რამ გამოიწვია ხალხის უკმაყოფილება? 2. რა ზომებს ღებულობდით პროვოკაციის წინააღმდეგ? რა როლი მიეკუთვნება ეკონომიურ ელემენტს და რა როლი ეროვნულს? რა შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე აჯანყებამ?

პასუხი _ ხალხში რომ უკმაყოფილება არ გვენახა, ჩვენ აჯანყების მოწყობას არ შევუდგებოდით. ეკონომიური გაღატაკება ძალიან დიდი იყო. სამსახურში უპირატესობა ეკავა ყველა არაქართულ ელემენტს. ეროვნული აღტკინება დიდია.

რამიშვილმა მოიწერა _ ეს იყო მაისში, და მეორე წერილი, მაისი. აქედან რომ დახმარების იმედი გადაჭრით არ ყოფილიყო, აჯანყებას არ მოვახდენდით. ჟორდანიას წერილი ისე გავიგეთ, რომ გამოსვლა უნდა მომხდარიყო, რადგან როდემდის უნდა ვუცადოთ რუსეთის აჯანყებასო. გლეხკაცები არ უჭერდენ მხარს თავად-აზნაურების ხოცვას. თუ ამას ადგილი ჰქონდა, ეს იყო საქმე კომსომოლების. გავლენა. სერგო ორჯონიკიძემ დაიარა სახლები და ხალხს პირდებოდა ეკლესიების გახსნას და სხვა.

ძალები? _ ორასი კაცი ფედერალისტები, სამასი კაცი _ ესერები, 750 კაცი ნაც. დემოკრატ.

შალვა ამირეჯიბი _ თბილისის მინიმუმი იყო 500 კაცი. ამ ციფრის შესავსებათ ჩვენ ყველა პარტიის მიერ წარმოდგენილი ციფრიდან, გვქონდა მხოლოდ მოიერიშე.

სოლიკო. _ სომხები დაცინვით იხსენიებდნენ ქუჩებში ამ დამარცხებულ აჯანყებას, რამაც ხალხი მეტად გააღიზიანა. ასე რომ, თუ ოდესმე რამე მოხდა, თბილისში დიდი სისხლის ღვრა მოსალოდნელია.

ჩხეიძე _ როგორ აფასებს ხალხი ამ შეიარაღებული აჯანყების შედეგებს. მოსწონს ეს იარაღი თუ არა? ჯერ ცხელი დროა, იქნებ ამაზე არ უფიქრიათ და თუ იფიქრეს რა იფიქრეს? რით აიხსნება სხვადასხვაობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსი აჯანყებისადმი? როგორ აფასებდით ჩეჩნეთს, პოლონეთს და სხვა?

აგვისტოში რომ ეთქვათ თქვენთვის _ ეს აჯანყება გაიმარჯვებსო, თქვენ რას უპასუხებდით და უნდა ვირისკოთ, რადგან ხალხის გაჩერება. თუ აქ იყო ანგარიში რომ გაიმარჯვებდით. ხდება ხანდახან და მეც მონანიება მიმიღია, რომ აჰყვები ტალღას თუმცა არ გწამს, რომ ის ნაპირამდე გაგიტანს. არ მეგულება არც ერთი ჯგუფი, არც ერთი პარტია, არც ერთი კაცი, რომელსაც ეთქვას აჯანყება არ ვარგაო.

სოლიკო _ აღმოსავლეთში ხალხი გამოვიდა, ოღონდ ხელმძღვანელობა არ ვარგოდა, მეთაურები ცუდი მივეცით. ის გარემოება, რომ ჩეკამ იცოდა ხალხის და პოლიტიკური პარტიების მზადება აჯანყებისათვის, ღლიდა მათ ნერვიულათ და ამას შეჰქონდა დასუსტება, მე პირადად მგონია.

შალვა _ იყო ასეთი ხალხიც და მრავლათ, რომელიც აჯანყების წინააღმდეგ იყო. ნეიტრალი ხალხი ამის წინააღმდეგი იყო. მენშევიკებიც იყვნენ და ჩვენი ხალხიც. არავითარი რწმენა გამარჯვების ჩვენ არ გვქონდა, რომ არ ყოფილიყო გამოსული საქართველოს მთავრობის პოლიტიკა, რომ ყველაფერი მზად იყო, ევროპა დაგვეხმარება. ასე იყო საკითხი დაყენებული, ხალხმა პრაკტიკული შინაარსი მიანიჭა ამას და აჯანყება მოაწყო. არავითარი საშუალება არ გვქონდა საკუთარი აზრი გვქონოდა. ბოლშევიკების ქვეყანაში ეს შეუძლებელია. ჩვენი ერთადერთი კავშირი იყო თქვენთან, მთავრობის თავმჯდომარესთან და თქვენ კი ამას გვითვლიდით. ეს არის მთელი პოლიტიკური პოლიტიკის შედეგი. ჟორდანიას წერილები, ხელისმოწერილი მთავრობის თავმჯდომარის. ჩვენ ვიჯექით ვულკანზე, რომელზედაც ქვაბი იდგა. თქვენ იძახოდით, რომ შეუკეთეთ ამ ქვაბს, ამ ქვაბს შევუკეთეთ და როდესაც საჭმელი გაფუჭდა, ეს არავის მოსწონს. ყველა წერილით აქედან მოსული აჯანყებას მოითხოვდით. მაჩვენეთ ეს წერილები.

ჩხენკელი _ მარტში რა ინფორმაცია მოგცათ კოტემ?

ზალდ. _ საფრანგეთი მუდმივი ჩვენი მეგობრები. ჩვენს მთავრობას იგი ინახავს; მიწერ-მოწერა რენოდეელის[12] და მაკდონალდის.[13] პოლონეთი გვპირდება იარაღს. ინგლისი მოსთხოვს წინასწარ საქართველოს დამოუკიდებლობას. ისე მახსოვს.

ქაქუცა _ ეს კოტემაც სთქვა გამოსვლის წინ ტყეში _ ხალხის წინ: პარაკლისი გადავიხადეთ და კოტემ უთხრა: თქვენ კარგათ იცით, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი ოთხი წელიწადი არ დამარცხებულა და ეხლა რა დაამარცხებს, როდესაც მთელი ხალხი მას მიჰყვებაო... წერილი მომაწერია ნ. ჟორდანიასთან. უთხარი, რომ ოთხ დღეს რა უნდა მოვახერხო, ხალხი ხომ კაზარმაში არ არის-მეთქი.

ჩხენკელი _რამიშვილის აზრი.

ქაქუცა _ პირველად უნდა გამოვსულიყავი 9 მაისს. მერე უფრო გვიან. საქმე იყო ფულზე დამოკიდებული.

სოლიკო _ დაპირებები იყო, თუ სამი კვირა იქნებოდა აჯანყება, გვექნებოდა 50 000 კაცის იარაღი პოლონეთიდან, ფული და დიპლომატიური ჩარევა (ნოდიასგან).

კ. ქავთარაძე _ ეს მეც მსმენია.

ჩხენკელი _ როგორ გაიგეთ ჟორდანიას წერილი, ის ხომ იწერებოდა, რომ გამოსვლა საერთო უნდა ყოფილიყო და რატომ გადაუხვიეთ?

პასუხი შალვას.

ჩხენკელი _ მენშევიკების ცენტრალური კომიტეტი რამდენ წევრს იძლეოდა.

სოლიკო _ ექვსს. აქედან ორი აღმოსავლეთის საქართველოდანაა, ოთხი _ დასავლეთის.

კ. ქავთარაძე _ აჯანყების საკითხი აქტუალური გახდა უკანასკნელ დროს. ჩვენს პარტიაში იყო ხალხი აჯანყების წინააღმდეგ და ეს ხალხი პარტიიდან არ გასულა. ახალგაზრდობის განცხადება დიდების კომიტეტში. ამბობდენ დიდი რუსეთის პირისპირ დარჩებოდა პატარა საქართველო და ამიტომ ახლანდელ პირობებში აჯანყება შეუძლებელი იყო. ხალხს კი ჰქონდა ევროპის იმედი. რადგან ვერ წარმოედგინა, რომ ჩვენ მას აჯანყებაზე არ წავაქეზებდით, თუ ევროპის დახმარება არ იყო. ის წერილებიც, რომელიც აქედან მოდიოდა და მე ვშიფრავდი, ეს დახმარების დაპირება არ იყო, თუ სახეში არ მივიღებთ ერთ წერილს, სადაც ოსმალეთის ნეიტრალიტეტი იყო ნათქვამი. [თუ ჩვენ ძალაუფლებას ავიღებთ ხელში, ევროპა უსათუოდ დაგვეხმარებოდა ფულით და სხვით.]

ჩხენკელი _ როდის და სად დაინიშნა გამოსვლის დღე?

ქაქუცა _ ეს დანიშნა დ. კ. პრეზიდიუმმა ორს მარიამობისთვეს და მე მაცნობეს ოთხს.

ჩხენკელი _ აგვიწერეთ ერთ-ერთი უკანასკნელი სხდომა, სადაც გადაიჭრა გამოსვლა.

შალვა ამირეჯიბი _ მაგონდება ერთი კრება: ანდრონიკაშვილი, ჯავახიშვილი, ბოჭორიშვილი. ერთი სხიველი ივლისის თვეში. არ ყოფილა ფედერალისტი. სამხედრო კომისია: ზალდასტანიშვილი, ვალიკო ჯუღელი, ჭავჭავაძე, ონიაშვილი და ამირეჯიბი.

ეს კრება იყო მოწვეული საგანგებოთ, რომ სამხედრო კომისიას გაეკეთებია დასკვნები. წარმოადგინეს ნუსხა ძალების. ჯავახიშვილის მოხსენება, ქაქუცა მოიკრებს იმდენ ძალას, რომ თბილისში კურსანტებს განაიარაღებს და რომ მეორე დღეს დუშეთიდან სამას კაცს მოიყვანდა. მერე შეეკითხნენ ჭავჭავაძეს როგორც განზრახულ მთავარსარდალს. მან მოხაზა საერთო გეგმა: რომ ქაქუცას უნდა აეღო კურსანტები, მერე დუშეთი. რომ ჭიათურა უნდა წამოსულიყო და განეიარაღებია სურამი.

ჩხენკელი _ იყო თუ არა ისეთი კრება, როდესაც ჯუღელმა გააკეთა მოხსენება.

ზალდასტ. _ დიახ. ჯუღელმა სთქვა: გეგეჭკორი შეხვდა არნოში ერიოს[14] და ეთქვას, რომ დაეხმარებოდა. მიწერ-მოწერა რენოდელთან და წერილი მაკდონალდისა წერეთელთან: ეს წერილი ამბობდა: რომ თქვენი საკითხი დაისვას, ეს ერზეა დამოკიდებული და ამიტომ რამე უნდა გავაკეთოთო.

საქ. დამოუკ. კომიტეტის საზღვარგარეთის დელეგაციის 24.01.25 წ. საგანგებო სხდომა

საქართველოდან ჩამოსულთა მოსასმენათ აჯანყებისა და მასთან დაკავშირებულ მოვლენათა გამოსარკვევი მიზნით. კრებას დაესწრო: ჩხეიძე, გობეჩია, კედია, ამირეჯიბი, ქავთარაძე, ზალდასტანიშვილი, გ. წერეთელი. კრებას თავმჯდომარეობს დელეგაციის თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე.

ქავთარაძე. _ აჯანყება იწვევდა გამოხმაურებებს. შორს ვიყავი სამხედრო საქმისგან, ვმუშაობდი პოლიტიკურად. ხალხის ეროვნული შეგნება მაღლა აიწია და

სახელმწიფოებრივ შეგნებას დაუკავშირდა, ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ. თავში ერს ასეთი პოზიცია ეჭირა, თუ რას იტყოდა ბოლშევიზმი. თანდათან, დამოკიდებლობა შეიქნა უარყოფითი და შეიქნა ილუზია ერში, დამოუკიდებლობა აღსდგება და ევროპა ამას მხარს დაუჭერს. ყოველი საერთაშორისო გართულება იმედს აღვივებდა. ამან იმოქმედა იმ მხრივ, რომ დიდი ყურადღება მივაქციეთ სამხედრო მუშაობას და პოლიტიკური მუშაობა იჩრდილება. აქედან, შეიარაღებული აჯანყება გახდა მთავარი საზრუნავი. ხალხი ყოველთვის მოელოდა აჯანყებას და ევროპის ჩარევის მოიმედე იყო. 24-ში ეს გადაიქცა დღიურ პრაქტიკულ საკითხათ _ თებერვალში, მარტში, მაისში. ქუჩა მარტიდან ყოველთვის ლაპარაკობდა შეიარაღებულ აჯანყებაზე. ბოლოს მივიღე წინადადება და წავედი გურიაში. აღმოსავლეთ საქართველოში ისეთი პოლიტიკური მდგომარეობა იყო შექმნილი, რომ ჩვენი ორგანიზაციები ჩავარდნილი იყო (23-ის ნოემბრიდან ვიდრე 24-ის მარტამდე), და ამიტომ ვეკითხებოდი ამხანაგებს, რომ აჯანყების არენა რა აპარატს ემყარებაო. პასუხი _ ორგანიზაცია სუსტია, მაგრამ იმედი გვაქვს ჩოლოყაშვილის და ლაშქარაშვილის.[15] რომ მთა უსათუოდ გამოვაო და პირადათ მაშინ დავესწარი ფულის გადაცემას იმ ოფიცრებისათვის, ვინც მთაში იგზავნებოდნენ. მაგრამ უმთავრესი იყო საერთაშორისო საკითხი. იყო თუ არა ვინმე, რომ აჯანყების დროს ჩვენს საკითხს მხარს დაუჭერდა? პასუხი იყო, რომ საერთო დახმარება იქნებოდა; გვითხრეს, რომ თუ ძალაუფლებას ხელში ჩავიგდებდით (სამი კვირა), იქნებოდა დახმარება ფულით, იარაღით და დიპლომატიური ჩარევით.

დავრწმუნდი, რომ ბათუმს ჩვენის ძალით ვერ ავიღებდით (ჩავედი გურიაში 26 მარიამობისთვის). გენერალ ყარალაშვილს უნდა ეწარმოებია გურიის ძალების წასხმა და ბათომ-გურიის აღებაზედ. მაგრამ ის დაიჭირეს და არავინ დარჩა ავტორიტეტი კაცი. ცხადი ნიშნები იყო, რომ კომუნისტებმა იცოდნენ აჯანყების მოახლოება. ყოველგან ზომები იყო მიღებული, დარაჯობა კომუნისტების იმ ზომამდე, რომ მიძნელდებოდა სოფლიდან სოფელში გადასვლა... ასეთ პირობებში მე მხოლოდ რჩევის სახით ვუთხარი სამხედრო ხელმძღვანელს, რომ ოზურგეთი აეღო და ამავე დროს გამოსვლა უნდა სოფლებში მომხდარიყო. ბრონევიკმა ხელი შეგვიშალა. მას არ მოველოდით, ვინაიდან წინანდელი ღონისძიებით ის ჩვენ უნდა ჩაგვბარებოდა. ბრონევიკის მუშაობა იყო 29 საღამოს და 30.

26 ღამე მივიღეთ გამოსვლის ამბავი. არ იყო საკმარისი. 28-ს 2 საათზე განკარგულება გავეცით და ყველგან საერთო გამოსვლა მოხდა. განაიარაღეს თემები და დარჩნენ ორი მიმართულების _ ნასაკირალისაკენ, რომ ოზურგეთს მისდგომოდა და ლანჩხუთისკენ. ჩოხატაურამდე ბრძოლით ვიხევდით. პოლიტიკური ორგანიზაცია გურიაში იყო მტკიცე და როდესაც ხელი დაუჭიმეთ, ყველგან მოხდა აჯანყება. ისე იყო აწყობილი აპარატი, რომ მოგვსვლოდა ბრძანება დახევის, დავიხევდით. ასე არ იყო აღმოსავლეთში, სადაც პოლიტიკური ორგანიზაცია სუსტობდა. ბათუმში გამოსვლა არ ყოფილა. იმერეთში მხოლოდ ნაწილობრივი გამოსვლა იყო, რადგან ჭიათურამ გადამწყვეტი როლი ითამაშა მთელ დასავლეთ საქართველოსთვის.

მოგვივიდა დამკომის და ცეკის თავმჯდომარე კოტე ანდრონიკაშვილის გამოგზავნა _ გამოსვლა 28-ს, კეთდება საშვილისშვილო საქმე. არა უკან დახევის. ახალგაზრდა მარქსისტმა ამიხსნა, რომ გამოსვლა უნდა მოხდეს 28 ან 29-ს სამ საათზეო. ასე რომ, თუ ჭიათურასაც ამგვარი ცნობა მიეღო, გასაკვირი არ არის. ქუთაისი უკვე გაფრთხილებული იყო და კომუნისტებმა ზომები მიიღეს. ქუთაისი _

მოჭრილი იყო. ასე რომ ჭიათურამ საბედისწერო როლი ითამაშა. სამეგრელოდან ცნობები მოგვდიოდა. ვიცოდით, რომ ის აღებული იყო. 6 სექტემბერს გადმოყარეს მოწოდება პარიტეტის.. ტყეში იყო ოთხასამდე კაცი და მათ ურჩიეთ უკან დაბრუნება. დაგვთანხმდნენ. თუმც შიში იყო. მაგრამ საბედნიეროთ არაფერი მომხდარა და ეს ოთხასი კაცი გარდა 16-ისა, დაეშვა ძირს და ეცხადებოდენ რუსის ჯარის უფროსთ და ამგვარი ჩქარა გურიაში. მსხვერპლი გურიაში არ იყო. იყო რამდენიმე დაჭრილი და მოკლული 8 კაცამდე და ხიდისთავში 1 მოკლული და 1 დაჭრილი. საერთოდ, რაც აჯანყება გათავდა, მთელი ხალხი შეურიგდა მთავრობას. ძველი დევნილებიც შეირიგეს.

ჩხეიძე. _ თვითმპყრობვლობის დროს ვიბრძოდით, მაგრამ აზრად არ გვქონია, რომ ჩამოვაგდებდით რუსეთის თვითმპყრობელობას აჯანყებით. როგორ დაიჯერეთ ის, რომ საბჭოთა მოძრაობას კი ჩამოაგდებდით რაზმებით. იქნებ იმოქმედა, რომ მეორე ინტონაციონალი ჩვენსკენ იყო, რომ მდგომარეობა აუტანელი იყო, თუ რამ? ამას გზას დავადექით მაისიდან, მაგრამ არც 21-ში, არც 22, არც 23-ში არ გამოვედით, არამედ 24-ში, რატომ? იქნებ მარტო ის იყო მიზეზი, რომ ვერ მოვითმინეთ.

კ.ქავთარაძე. _ ხალხი მტკიცდებოდა ეროვნულ მისწრაფებებში და ერი და საბჭოთა ხელისუფლება განთვითოებული იყო. ერი სცდილობდა განთავისუფლებას. მეორეც, შედარება არ შეიძლება ნიკოლოზის რეჟიმთან. ერი იხრჩობოდა, სუნთქვა არ შეეძლო. რომ საბჭოთა ხელისუფლება გარიყულია და საკმარისი იყო ხელი გეკრა. თუ წინათ მარტო შინაურ ძალებს ვამყარებდით და მარტო ამის გამოცნობით ვარჩევდით ტაკტიკურ გზებს, ეხლა ევროპის მთავრობებსა და აზიაზე ვამყარებდით იმედებს, მეორე ინტერნაციონალზეც. გენუა, კანა, პუანკარე[16] ხალხში იქნებ მეტად ფასდებოდა. ხალხი ფიქრობდა, რომ ინტერნაციონალი უფრო ძლიერი იყო და მისი რეზოლუციები, რომ ინტერნაციონალი მის მხარეზე იქნებოდა. ეს ოთხი წელიწადია ეს ილუზია იზრდებოდა. სახელდობრ, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება არ უნდა დასმულიყო, ისეთი პირობები იყო და უიმედო ვიყავი, ვიცოდი რომ დავმარცხდებოდით და მოვიფიქრე თუ სად გადავსულიყავ.

ამირეჯიბი _ ადვილათ დაგითმიათ.

ქავთარაძე _ ამ შინაარსის მოხსენება გავაკეთე გურიის კომიტეტში და კომიტეტმა უარყოფითი რეზოლუცია... მაგრამ შეიარაღებულ აჯანყებამ დაჭიმა ერი და უნდა მომხდარიყო ამ ენერგიის დაცლით. აგვისტოში მტერი გაფრთხილებული იყო, ჯარები იქ შეყარეს... მომენტი საბედისწერო იყო. მე მხარს არ დავუჭერდი გარედან თბილისის აღებას. ამ სამი ოთხი წლის მუდმივი მოლოდინით აიხსნება გამოსვლა.

ამირეჯიბი _ მე არ მაკმაყოფილებს კარლოს მეორე საკითხზე კოტეს პასუხი. დროსთან ერთად, ჩვენი ძალა სუსტდებოდა. თქვენმა გურიის ორგანიზაციამ მისწერა ცენტრს, რომ არ გამოსულიყო. ყველა პროვინციას ასე მიეწერა, პარიტეტი გადასდგება თუ არა, რომ ავტორიტეტულ ძალას ეთქვა _ არ გამოხვიდეთ 24-ს, როგორ ფიქრობთ გამოვიდოდით, თუ არა? თუ თქვენ ცუდათ მიგაჩნდათ, რომ 24 წელი ხელსაყრელი არ იყო, ეხლა ვხედავთ, რომ შენ მართალი ხარ, მაგრამ ჩვენ კი ვფიქრობდით, სწორეთ 24 წელი იყო სასარგებლო.

ჭავჭავაძე _ არ დაივიწყოთ დაპირება. მაკდონალდის და მთავრობის, ერიოს დაპირება, რომ არც ერთ ჯარისკაცს რუსეთიდან არ გამოგზავნიდენ.

ამირეჯიბი _ განსაკუთრებით დიდი იყო გავლენა მეორე ინტერნაციონალის.

ჯუღელი _ რაზმები მოვლენ, გარიბალდებათო (ეს უნდა დაასახელოს კოტემ). მეორეს მხრით, რომ ეთქვათ _ თქვენ სოროში სხედხართ, არ ხედავთ მოვლენებს და გეუბნებით არ გამოხვიდეთო. მაგრამ აჯანყებამდე სხვერპლი იყო იქაური დიდი. საერთოდ საკითხი ისე იდგა, რომ ან უნდა შეგვეცვალა გეზი, ან უნდა ავყოლოდით ხმებს. დიდი გავლენა, ნახევარზე მეტი გავლენა იმას ჰქონდა, რომ ევროპას ჩარევდა ამ საქმეში.

მოხსენება ერთის მხრით იყო მიმართული.

სოლიკო _ კოტემ მოიგონა 21-22 წლის მუშაობა. საიდან, ვინ მისცა ხალხს ეს რწმენა და იმედი. ორი ძალა იყო, იქ ჩვენ და აქ მთავრობა იყო. თუ არის ჩვენი დანაშაული, არის აქაურის დანაშაულიც. რა გარანტია იყო, რომ რუსეთი არ გამოუგზავნიდა ჯარებს.

ქავთარაძე _ არავის ბრალია და გამართლება არ მალაპარაკებს. მე მინდა, რომ თქვენ სწორათ გაუშვათ მასალა საქართველოში, რომ შემდეგში არ გამეორდეს რაც მოხდა. როგორი ხასიათის წერილები მოდიოდათ უკანასკნელ დროს აქედან არ ვიცი. მხოლოდ როცა ცეკას დავუსვი საკითხი, როცა დავეკითხე ვინ გამოვიდიოდა. გამოდის ვინ? _ მთა, ნაწილი აზერბაიჯანის. როგორ არის აღმოსავლეთი საქართველო _ კარგათ. ევროპა _ ავტონმა მითხრა: საქართველოში უნდა ავიღოთ ძალა უცებ ხელში, გავმაგრდეთ სამი კვირა და ყველაფერი გვექნებაო. დიპლომატიური ჩარევა იქნებაო, მაგრამ არ შევკითხივართ თუ რა გვარის სახით იქნებოდა.

ამირეჯიბი _ არ ჰკითხე თუ რის მიხედვით ლაპარაკობდა!

_ ვიგულისხმე _ რომ წერილი იყო მიღებული.

ქავთარაძე _ მე ვფიქრობ, რომ ამიერკავკასია ერთად...

ზალდასტანიშვილი _ თუ თქვენ გჯეროდათ, რომ გურიაში ოცდარვასაც შეაჩერებდით, რატომ გგონიათ რომ სხვაგან არ შეიძლებოდა?

ქავთარაძე _ დაპირება იყო რომ მოვიდოდა სურსათი, ფული და დახმარება.

გობეჩია _ საქ. ბრძოლა არ გათავებულა და აქ ჩამოსულები საშუალებას მოგვცემენ საქმე გავიგოთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ან ვინ გამოიწვია ეს დიდი ისტორიული საქმე, რომ მომავალში ავიცდინოთ. აჯანყება დაიწყო 22 წლის ზაფხულში. ციხეში და გარეთ. გორგაძე, კედია, ლორთქიფანიძე, ლომთათიძე, ვ. ლორთქიფანიძე. საკითხი დასმული ცეკებში. ფედერალისტების წარმომადგენელი პირველად უარზე იყო, მაგრამ შემდეგ ამ საკითხის ცეკაში გარჩევისას, თანხმობა განაცხადა და შეუერთდა აჯანყების იდეას. ამას დაუმატეთ დამ. კომიტ. გათვალისწინებელი იყო _ ამიერკავკასიის ფარგლებში და ევროპიდან ფული და დახმარება. ამ დავალებით და იმის გამოსარკვევათ, თუ მთავრობა ამ საქმეს გაუძღვებოდა, დამოუკ. კომიტ. მე გამომგზავნა ევროპაში. დესანტი. აი დირექტივები. ახლა, როცა არც ერთი პირობა არ იყო განხორციელებული, აჯანყება მოხდა. საინტერესოა, რა წარმოდგენა ჰქონდათ იქაურებს აქაური მუშაობის შესახებ. როგორ უყურებდით, ევროპიდან მოსულ ცნობებს, ვინ გაწვდიდათ, მთავრობა თუ ერთი პირი კერძოთ. აჯანყების დროს რომ კაცი გამოგზავნეთ, ვისთან და რა დააბარეთ. წერილი სტამბოლიდან _ ერთი მთავრობის წევრის _ თუ ეხლა გამოსვლას ვერ ახერხებთ, შემოდგომისთვის ემზადეთ, ვისაც შეუძლიან გამოსვლა მოახერხოთ.

ამირეჯიბი _ დამოუკ. კომიტეტ. კავშირი ჰქონდა მთავრობასთან და ის აზრი, რომელიც მოდიოდა, მიგვაჩნდა ოფიციალურ აზრად, თუმც შესაძლებელია, რომ ზოგი წინააღმდეგი ყოფილიყო.

ზალდასტანიშვილი _ დამკომმა ზოგიერთის დაჭერის შემდეგ გადასწყვიტა ორი კაცი გამოეგზავნა _ ნაც. დ. და სოც. დემოკრ., რომ გაეგო აქაური მდგომარეობა და პასუხი გაეცათ რა გზას დავდგომოდით, სხვას, თუ ამ გზით გვევლო. უფულობის გამო წავიდა ნოდია. მას დავალებული ჰქონდა, თუ გამოსვლა გადაწყდებოდა, ხელმძღვანელი ხალხი ჩამოეყვანა, როგორც ჩვენი ისე სხვები. ნოდიამ გვიპასუხა ნაც. დემოკრატები არ მოვიდნენო.

ამირეჯიბი _ ეს მეც მითხრა.

ზალდასტ. _ ნოდიამ მოიტანა ცნობა, რომ უნდა გამოვსულიყავით... სამხედრო კომისია მუდამ ესწრებოდა დამ. კ. პრეზიდიუმს და გვიკითხავდენ მოხსენებას თუ ევროპიდან რას მოველოდით... პოლონეთი 50 000 კაც. იარაღ. საფრანგეთს დაპირებია; ოსმალეთის ნეიტრალიტეტი ინგლისს მისცემს საშუალებას დასვას ჩვენი საკითხი.

ამირეჯიბი. _ წერილი რამიშვილის. _ ჩვენ ეს როგორც რამიშვილის წერილი ისე კი არ გაგვიგია, არამედ როგორც მთავრობის წერილი.

ქავთარაძე _ მაშ სტამბოლიდან მოვიდა ნ. რამიშვილის წერილი.

ზალდასტ. _ დიახ. ეწერა _ როგორც ეტყობა, თქვენ ეხლა ვერ გამოდიხართ, მე საქმეები მაქვს, პარიზში მივდივარ და შემოდგომამდე ნუ გამოხვალთ.

ამირეჯიბი _ ნოდიამ სთქვა, რომ თუ საქ. ხელისუფლებას ჩავიგდებთ, პოლონეთის ვარნიდან 50 000კაცის იარაღს მოგვცემდენ; მანევრები პოლონეთის, რამზეი მაკდონალდის წერილი. ფული არ ჩამოუტანია. ჩვენ ეს გაგვიკვირდა. ჩვენ არ ვლაპარაკობდით დიდ თანხაზე, მაგრამ ვფიქრობდით რომ აქედან 50 000 მანეთი მაინც ჩამოვიდოდა. ამის შესახებ გვითხრა _ ჩვენი მთავრობა ოფიციალურად ფულს ვერ სთხოვს საფრანგეთის მთავრობასო და ჩვენ დავადგინეთ უფულობამ გააგრძელა აჯანყების ვადა.

ქავთარაძე _ რომ დარწმუნებული ვყოფილიყავი, ისეთნაირის სახის დახმარება არ იქნებოდა, აჯანყებისაკენ ვერვის მოვუწოდებდით, მაგრამ როგორც შინ ისე გარეთ იმედი ჰქონდათ. საქართველოსთან ერთად იქნებოდა მთა, აზერბაიჯანის ნაწილი, გარეთ მატერიალური დახმარება. სადაც ორგანიზაცია მოწყობილი იყო, მთელი ერი გამოვიდა დამოუკიდებლობის დასაცავად.

ქავთარაძე _ გორის მაზრაში ნოემბრის ბოლო რიცხვებში დაატუსაღეს სულ 400 კაცი. ასევე მოხდა თელავის მაზრაში. 1924 წ. ბორჩალო ჩავარდა მთელი თავისი აპარატით. ჯარის ნაწილებიც იყო დაბანაკებული. ორგანიზაცია გურიაში უფრო კარგათ დგებოდა, ვიდრე _ სხვაგან. აჯანყების დღეებში 1 500 კომუნისტი დატუსაღებული გვყავდა.

ამირეჯიბი _ გურიის გამგეობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ გურია მე არ მგონია, რომ გურიას სისტემა სწორი იყოს.

ქავთარაძე გურიაში _ მარტო დემონსტრაციას არ ჰქონდა ადგილი, გურიას რომ ყოლოდა ხელმძღვანელი, დიდი საქმეს გააკეთებდა. 29-ში _ 500 კაცი გვყავდა; 30-31-ს _ 2 000 კაცი. მაგრამ გადმოვიდა რუსეთის ჯარი; ამიტომ შეგნებულათ, ორგანიზაციულათ უკან დავიხიეთ და დავშორდით. 22 წელში ქაქუცას გამოსვლა. შედეგები. ორჯერ შეტევა მოიგერია. ტყვია არვის ჰქონდა.

ზალდასტანიშვილი _ არსად სამხედრო ორგანიზაცია არ ჩავარდნილა.

სამსონ _ რადგან ამ ჩვენს კრებებს მიზანი აქვს, გამოარკვიოს რაც მოხდა, ამიტომ ვაცხადებ: როდესაც ნოე რამიშვილი დაბრუნდა სტამბოლიდან, მითხრა, რომ ძალები საქართველოში მომზადებული არ იყო, და აჯანყება უნდა დიდის ხნით გადაიდოსო. მეც შევაგულიანე. რით აიხსნება, რომ ახალგაზრდა მარქსისტებმა უარყოფითი

განცხადება შეიტანეს. მეორე, სოც. ფედ. წინააღმდეგი იყვნენ, რადგან ევროპის იმედი არ იყო. ეს ჩემთვის გაუგებარია და იქნება ჩამოსულებმა ამაზე მიპასუხონ. მინდა ვიკითხოთ გარდა პრაქტიკული მიზნისა, იდეურ და იდეალისტურ საბაბს (აღშფოთება და სხვა) რაიმე ჰქონდა თუ არა ჩვენში. იქნებ ქართველი ერი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავის თავს უკანასკნელი ომის დროს და ამის მოსახოცად ჩაიდინა ესა.

ამირეჯიბი _ არასოდეს გამიგია, რომ ახალ. მარქსისტები წინააღმდეგი ყოფილიყვნენ. ჩვენც და მენშევიკებიც ახალგაზრდობაზე ვეყრდნობოდით. იქნებ ფედერალისტებმა ვერ სცნეს საკმარისად დაპირებანი. ხალხის უმრავლესობა იდეალისტურათ უყურებს ამ საქმეს. მთავარი მამოძრავებელი ღერძი იყო იდეალისტური.

კარლო _ ხალხი ხომ არ ფიქრობდა, რომ საბჭოთა მთავრობა სუსტი იყოო. პასუხი _ იყო.

კარლო. _ ბევრი ჩვენი პარტიიდან გავიდა, რადგან აჯანყების წინააღმდეგი იყვნენ. ახალგაზრდა მარქსისტებმა დააფასეს ეს საქმენი _ წინააღმდეგ წავიდნენ. მეორეთ, მენშევიკების პარტიის წევრებიც წინააღმდეგ იყო. მესამეთ _ სოც. ფედერალისტების წრიდანაც წინააღმდეგ იყვნენ. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში იყო თუ არა განსხვავებული აზრი, მინდა ეს გავიგო. ეს ცნობები მინდა ვიცოდე. კიდევ ერთი _ ჩვენში ამ რაზმისთვის ბოლო მოუღიათ, ზოგან კიდევ არსებობდა. მაგ. ჩოლოყაშვილის რაზმი. კიდევაც რომ მოსურვებოდათ, მას არც მოშლიდით. ასეთი ორგანიზაციის არსებობამ გადაწყვიტა თუ არა გამოსვლა. ვინაიდან, ეს რაზმი ყოველ წრეში და პირობებში ვერ იარსებებდა და მეორეს მხრით ის, რომ არ იყო მეტად დაფასებული.

გიორგი წერეთელი _ახალგაზრდათა კომიტეტების წარმომადგენელი იყო ზაფხულის 1924-ს. _ დასაბუთებული მოხსენება. მათ ხელში ჰქონდათ სულ ყველა ცნობები. ჩვენ უფრო დასუსტებული ვართ, ვიდრე ჩვენი მოპირდაპირე, მაგრამ ისინი დაწმუნებულ იყვნენ, რომ ძალაუფლებას ავიღებდით. მაგრამ თუ ცეკა გადასწყვეტს გამოსვლას, ჩვენ დავემორჩილებოდით. საერთოდ ყველა იმ აზრისა ვიყავით, რომ ამ პირობებში აჯანყება არ გაიმარჯვებდა.

სოლიკო _ რა პასუხი გასცა ცეკამ?

წერეთელი _ ეს წარდგენილი იყო ცნობისთვის. ფედერალისტებიც ამბობდნენ, რომ პირობები არ იყო ხელსაყრელი, მაგრამ ყველა დარწმუნებული ვიყავით, ძალაუფლებას ხელში ავიღებდით. წერილების შესახებ არაფერი ვიცით. კოტემ მითხრა: არამც და არამც ცოცხალი ძალით არ დაგვეხმარება. იქნება დახმარება ინტერნაციონალის _ ეს იქნება ზნეობრივი. აგრეთვე ერთა ლიგა _ იგი ხანგრძლივი ძალაა. საფრანგეთი კარგ განწყობაშია, ინგლისიც. თუ ჩვენ ამიერკავკასია ავიღეთ, შევირჩენთ ერთ თვეს, მაშინ, გვექნება იარაღი, ფული. მოგვცემენ სესხს და... რუმინეთის და პოლონეთის დემონსტრაციის შესახებ არაფერი იყო ნათქვამი. იარაღით გვექნება დახმარება, თუ ერთი თვე ვიქნებოდი ბატონი. ნოე ჟორდანიას წერილი არის პრინციპიალურიო, მითხრა. არავითარი დირექტივა; წარმოდგენილია ორი მომენტი, შინაური გართულება. ან . . .

რამიშვილის წერილის შესახებ არაფერი ვიცი. მოხალისეების შესახებ არაფერი გამიგია. პოლონეთის მანევრებზე არაფერი იქნებაო. რაზმების შესახებ: გურიაში იყო რაზმები, მაგრამ დაიშალნენ. ერთი რაზმი შესდგა შორაპნის მაზრაში. ამ რაზმში იყო გვალია.[17] ჩვენ მოვითხოვეთ ამ რაზმის დაშლა. იყო რაზმი ჩოლოყაშვილის,

რომელიც იყო პოპულარული, მხოლოდ ამას დიდი გავლენა ჰქონდა, ოთხი ათასი კაცი დაიხვრიტაო. მაისში მოვახდინეთ ანკეტა და 5 033 კაცი იყო დახვრეტილი და აქედან 2 500-ს (ორი ათას ხუთასს) ჰქონდა ბანდიტის სახელწოდება. ეს იყო უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოდან და იმიტომ რომ ჩოლოყაშვილთან ჰქონდათ საქმე.

სოლიკო _ ისიც უნდა იცოდეთ, რომ ვისიც დახვრეტა უნდოდათ, ჩოლოყაშვილს აწერდნენ. ამის შესახებ ციხეშიც გვქონდა მსჯელობა და გარეთაც.

გიორგი. _ მოვიდა კახეთიდან ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც ამბობდა, რომ ჩოლიყაშვილის გამო ხალხი იხოცებაო. რამდენიმე ათასი სული ცხვარი და ძროხა გამორეკეს. დაისვა საკითხი თუ რა ვუყოთო. ეს ის დრო იყო, როდესაც ხომერიკი ჩამოვიდა და დაისვა საკითხი, თუ როგორ უნდა მომხდარიყო მისი ლიკვიდაცია.

შალვა _ თვითონ ჩოლოყაშვილმა დასვა ეს საკითხი.

გიორგი _ როდესაც პირველად 18-თვის დაისვა საკითხი, ყველაფერი კარგათ იწონებოდა. ხოლო როცა მეორეთ დაისვა საკითხი, არ ვიცით როგორ მოხდა. შესაძლებელია, რომ აქ ვერ ახსნეს კახეთის მდგომარეობა, რადგან ქაქუცა ჩოლოყაშვილმა გამოწვეული ხალხი ალბათ ვერ დაშალა...

მე ვიზიარებ პასუხისმგებლობას, იმისა რაც მოხდა.

შალვა _ მოლა ნასრედინის მაგალითის საგნათ გიორგი წინააღმდეგი იყო, მაგრამ აჯანყება პირველად პარტიებმა გახადეს იდეის აჯანყებად. პოლიტიკას აკეთებდნენ არა ახალგაზრდა მარქსისტები, არამედ მოხუცი მარქსისტები. პოლიტიკას ჰქმნიდნენ ესენი. ბატონი კოტეც დაემორჩილა დისციპლინას, აგრეთვე გიორგიც, ამაშია საქმე.

კარლო ჩხეიძე _ კოტე აფხაზის მდგომარეობა. ის ისე არ წავიდოდა ამ გზაზედ, რომ საკუთარი აზრი არ ჰქონოდა.

გობეჩია _ ვიცი, რომ ყოველ პარტიაში იყო სკეპტიკიც და მომხრენიც. პოლიტიკური, მთავრობა. ჯუღელი. მაკდონალდის წერილი. სამსონის განცხადება. რამიშვილის წერილი.

კ. ჩხეიძე _ მე ამას ვაცხადებ, როგორც წარმომადგენელი, რომ ამ სხდომას აქვს ხასიათი ინფორმაციის და არა და არა ბრალდების და გამოძიების.

სამსონი. _ ორი პირადი განცხადება: მიუხედავათ მრავალი ნაკლისა, აჯანყება დიდი პლიუსია განთავისუფლების.

მხეიძის[18] მოხსენება

სამხედრო კაცი გახლავართ. ვიყავი გასული. ვიმალებოდი ჩემდა თავათ სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთში. მქონდა განუწყვეტელი კავშირი, პარიტეტთან თბილისში. პარიტეტთან სამეგრელოსი და მუდმივი კავშირი ჩოლოყაშვილთან. ხანდახან დავეცემოდი.

დადგა დრო. ჩამოვედი ბარში. მივიღე უწყება. დავეკითხე პარიტეტში, მითხრეს, რომ რამიშვილი მომდგარია და არის მზადება. მომივიდა, აჯანყდიო. ჩამოვიდა ჩემთან ორი ძმა კ. რადგან ვიმალებოდი, ეს ხალხი უცბად ვერ ვნახე. მხოლოდ 26-ში ვნახე. ყველაფერი მაცნობეს. გეგმა აჯანყების. ადგილებში გადავსწყვიტეთ აღება სამეგრელოს ცენტრისა, სენაკისა. თემებში საქმე დაწყებული იყო. უკვე გაველ 27-ს და გადავსწყვიტე გამოსვლა. გადავსწყვიტე ეკის მთაში

შევგროვილიყავით. იქ თავი უნდა მოეყარა საკმაო შეიარაღებულ ძალას. 28 ღამეს მონასტერში. საღამოს ცხრა საათზე ატყდა სროლა სენაკში. ველით ხალხს _ 400 კაცს. პარტიის წარმომადგენლებიც ჩემთან არიან. სოფლიდან ხალხი მოდის. სულ არის 35 კაცი ჯერჯერობით. სხვა ხალხი არ მოდიოდა. დაიწყო 4 საათი და ჩვენ სენაკში წავედით. დარჩა 18 კაცი. დავეცით ჩეკას, ჩონს, მილიციას. დავაყრევინეთ იარაღი. დავიკავეთ რკინისგზა. 29 სენაკში. მეორე დილას შეუტიეთ აბაშის მიმართულებით. ხალხი თემებთან ჩამოდის. 29 დილას ყველა თემის ორგანიზაცია დაეცა. შემიგროვდა 700 შეიარაღებული. შეყრილი ხალხი არაა დიდი მეომარი ძალა. შემოგვეგება ბრონევიკი. ასტყდა ბრძოლა. რამდენიმე კაცი მოუკალით, ბრონევიკი გაიქცა. ავიღეთ აბაშა. 30-ს ორი როტა გადმოვიდა სამტრედიიდან. შევეჯახეთ. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ როცა როტები გაიშალა, ჩვენმა მარცხენა ფრთამ შემოუარა, აუტეხა ბრძოლა. ბევრი დავიჭირეთ. რამდენიმე კაცი მოკლული იქნა.

ცხენისწყალი დავიჭირეთ. მარცხენა ფრთა შევიდა იმერეთში (ქვემო ჭალა). გაღმა რუსის ძალებია, თოფს გვესრიან. არავითარი ასაფეთქებელი მასალა ვერა ვნახე, ხიდი ვერ ავაფეთქე, ვხედავ, რომ საქმე ცუდათ არის, იმერეთი-ჭიათურას არაფერი. ზუგდიდში დაწესებულება იყო აღებული, ფოშტა, ხაზინა, ინფორპუნქტი. მხოლოდ 7 კომუნისტი სასახლეში გამაგრდა. მაზრა დაცლილი იყო. სამურზაყანოში ხალხი გამოსულა. გალი ხალხის ხელშია. თემები დანებდა. უკვე მეშვიდე დღეა. ორი გურული მოვიდა, კავშირი დაიჭირეს ჩემთან და მთხოვეს მივშველებოდი ოზურგეთის აღებაში. მაგრამ ეს ჩემთვის მიუღებელი იყო. შემდეგ დაამარცხეს გურია. მოგვადგა იქაური ძალები, ჯარებიც იმერეთიდან, თბილისიდან. სამეგრელო არ გამოსულა, არც ხონი. ყველა ეს ძალები შეერთებულათ მოგვაწვა. ბრონევიკები ხიდზე გადმოვიდნენ. დავიხიეთ უკან. დაჭერილი მყავდა: სამსონ მამულია,[19] არჩილ რუხაძე და ხუბუტია და ცაკის წევრები. ზუგდიდის გზაში აღმასკომის თავმჯდომარეა მოკლული და ჩეკის თავმჯდომარე და სხვანი. იძულებული ვიყავი დამეხია. ვფიქრობ, რომ იქნებ სხვაგან ჩვენები გამარჯვებულები ყოფილიყვნენ, ამიტომ ვცდილობდი, რომ მაღლობზე შემეყარა ხალხი და დავიკავე, ზურგი სვანეთით მქონდა გამაგრებული და დროს გავიტანდი. დავიბარე 80 სვანი. ხალხს ვაგულიანებ. ვეუბნები, რომ რუსის დამარცხებული ძალები ბრუნდება.

ავიღე: _ ჭუბერი და ხუდონი მოსაზღვრე სოფლები. შევეტაკე თუხარელს,[20] რომელსაც ჰყავდა რუსის და სომხის ძალები. ის იძულებული იყო უკან დაეხია. ვიცი დიდი ძალები მოგვადგა. მარტო 80 შეიარაღებული სვანი. ჯვარში არც ის შედის, არც მე. მივიღე ცნობა სვანეთიდან, რომ ყარაჩაიდან იქ შემოდის რუსის ჯარები და რომ ლეჩხუმის მიმართულებით საქმე წახდა. ვხედავ, რომ წახდა მდგომარეობა, დავაწერიე წერილი, რომ მათ წინააღმდეგ მთელი ხალხი გამოვიდა. მოვიდა ხალხი ზუგდიდიდან, რომ მდგომარეობა წაგებულია და რომ დაუხვრეტიათ ჩეკისტები. მამულია და მეორე გააპარეს ჩემმა ორმა კაცმა _ ოთხი ათასი მანეთი. დავიხიე ცხუმარში. შეიძლება პარტიზანული ბრძოლის წარმოება. მაგრამ მთების მცხოვრებთა ამბავი რომ ვიცი, როცა გაიგეს რომ საქმე წახდა, გატყდნენ. დავინახე რომ ამ კუბოში დარჩენა შეუძლებელი იყო და უკან დავბრუნდი. კომუნისტებს აუკლიათ ქვეყანა, გეგეჭკორი[21] მოთავე იყო დამსჯელი რაზმისა.

ფირცხალავა _ ხალხი გატეხილი ხომ არ არის?

მხეიძე _ არა, ხალხი მტკიცედ იყო. რომ დავბრუნდით, ერთ თვეზე მეტი ვიმალებოდით და ხალხი დახმარებას მიწევდა.

შ. ამირეჯიბი _ ბანძაში გეგეჭკორმა მოითხოვა 25 კაცის დახვრეტა, თუმც ამდენი კაცი დაჭერილი არ იყო.

მხეიძე _ სამეგრელოში 1 000-ზე მეტი კაცია დახვრეტილი. ლეჩხუმის მიმართულებით ბიძინას[22] მეთაურობით დაეცა რუსებს, მაგრამ რუსების დიდი ძალები მიადგა სვანეთს და ბოლოს შემოვიდნენ კიდეც. ბიძინა პირველს ჰქონდა კავშირი ქაქუცასთან და ღებულობდა მისგან დირექტივებს. სამეგრელოში ისეთი სოფლებიც კი გამოვიდა, სადაც ორგანიზაციებიც არ იყო. აქ მთელი ხალხი გამოსულა. ისე მოხდა, რომ მე მოვხვდი ამ საქმის სათავეში, თუმცა არავითარი სამხედრო სარდალი არა ვარ.

გობეჩია _ ის კაცები, ვინც თქვენთან იყვნენ რა მდგომარეობაში არიან.

მხეიძე _ მე შევინახავდი თავს სამეგრელოში, მაგრამ ეს ვნებას მიაყენებდა. ის 18 კაცი აფხაზეთში გავიდა. მე წამოვედი პარიტეტის დაკითხვის შემდეგ, ორი სხვა კაცით. დოლინით და კუჭავა.

სამსონი _ აფხაზები რუსებს როგორ ეპყრობა?

მხეიძე _ აფხაზებში დიდი გარდატეხა მოხდა რუსეთის წინააღმდეგ.

გობეჩია _ ფული?

მხეიძე _ სენაკში ოცი ათასი მანეთის შესახებ ნამდვილად არაფერი ვიცი, ოთხი ათასი მანეთი კი პარიტეტს დარჩა.

დავით მხეიძის მოხსენება 1924 წ. აჯანყების შესახებ სამეგრელოში

საქართველოს დამოუკიდებლობის
კომიტეტს პარიზში,
დავით მხეიძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

მე ჩემის ნებით ჩავერიე საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამ 4 წლის განმავლობაში სამჯერ ვიყავ დაპატიმრებული, თითქმის 2 წელი გავატარე ციხეში.

უკანასკნელად ციხიდან განთავისუფლების შემდეგ მე, როგორც სამხედრო პირს და ისიც ფრიად შემჩნეულს, აღარ შემეძლო ლეგალური ცხოვრებისა და მუშაობის გაგრძელება. აუცილებელი გახდა _ იარაღით ხელში გავჭრილიყავ ტყეში, დავმორჩილებულიყავ საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობის ცენტრალურ ორგანოს და სამეგრელოში მომემზადებინა შეიარაღებული გამოსვლა. თითქმის წელიწადნახევარი გავატარე ტყეში; კავშირი მქონდა საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტთან ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცეკას საშუალებით. ამ ხნის განმავლობაში მე არ ვაწარმოებდი თავდასხმებს მთავრობის ორგანოებზე, ვიცავდი მხოლოდ თავს; არ გავშორდი სამეგრელო-აფხაზეთს და თავი ნესტორ გარდაფხაძესა[23] და ოთარ დადიანთან ერთად სვანეთის მთებს შევაფარე. ყოველივე ამას იმ მოსაზრებით ჩავდიოდი, რომ სამეგრელოში მთავრობის მხრივ რეპრესიები არ გამომეწვია და ამით წინასწარ არ გამენადგურებინებია სამეგრელოს ის ცოცხალი ძალები, რომელსაც საერთო შეიარაღებულ გამოსვლის დროს უნდა დავყრდნობოდით. ჩემი შეხედულება საბოლოო გამოსვლების შესახებ სრულიადაც

არ განსხვავდებოდა დამოუკიდებლობის კომიტეტისა და ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ცეკას შეხედულებისაგან _ სახელდობრ, რომ ჩვენი გამოსვლა მთლიანი ამიერკავკასიისა და მთის მასშტაბით უნდა შეგვეფარდებინა ან საერთოდ რუსეთის შინაურ რღვევის პროცესისათვის, ანდა ევროპის სახელმწიფოების მიერ რუსეთის მიმართ აქტიური სამხედრო გამოსვლებისათვის, თუ კი ან ერთი ან მეორე ფაქტი გახდებოდა. ჯერ არც ერთი და არც მეორე, როგორც ნაც.-დემოკრატიული პარტიის ცეკადან მატყობინებდნენ, მოახლოებული არ იყო. ჩვენც ამის შესაფერად შედარებით შორეულ მომენტისათვის ვემზადებოდით, მაგრამ 1924 წელს მაისში ჩვენს მზადებაში სულ სხვა ტემპი შემოიტანა ევროპიდან _ განსვენებული ჩხიკვიშვილისა და ჯუღელის ჩამოსვლამ.

პარიტეტული კომიტეტის გადმოცემით, მოახლოვდა დრო ჩვენი საბოლოო გამოსვლის.

ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო რეალურ დახმარებას გვპირდება, ზოგი სხვა კიდევ მორალურს.

ერთი სიტყვით, ჩვენი გამოსვლა და ევროპის აქტიური დახმარება ფაქტი იქნებოდა, რომ საგანგებო დავალებით ჩამოვიდნენ ევროპიდან ჩხიკვიშვილი და ჯუღელი _ ასეთი მითქმა-მოთქმა არის სამეგრელოში.

გადის თვეები ამის შემდეგ, გამოსვლა არ ხდება. იჭერენ ერთსაც, მეორესაც; ამ დროს ხდება სწორედ განსვენებული ნესტორ გარდაფხაძისა და ოთარ დადიანის მიტყუება მთავრობის მიერ; მეც ვიყავ გამოწვეული, სიცოცხლის გარანტიით, მაგრამ ტყეში დარჩენა ვამჯობინე და უარით ვუპასუხე საშა გეგეჭკორის წერილს.

აჯანყებამდე დაახლოებით 5 დღის წინ, მე დამიკავშირდნენ სამეგრელოში პარიტეტის ორი რწმუნებული (ერთი ს. დემოკრატი, ერთიც ნაც. დემოკრ.), გადმომცეს, რომ გადაწყვეტილია პარიტეტის მიერ, მოხდეს შეიარაღებული გამოსვლა ამ დღეებში, რომ ჩვენთან ერთად გამოდის აზერბაიჯანი და მთა; რომ ევროპიდან მიღებული გვაქვს 50.000 კაცის სრული შეიარაღება, რაც ოსმალეთში იმყოფება და საქართველოსკენ მოაქვთ. გადმოვლენ 1000-მდე მოხალისენი ევროპიდან, რომ აჯანყების მთავარი ხელმძღვანელი ნოე რამიშვილი უკვე მოსულია ბათუმში და სხვა. გადმომცეს სხვა საჭირო განკარგულებები და სამხედრო ცენტრის გადაწყვეტილება, რომ მე მევალებოდა სამეგრელოს დაკავება, შემდეგ ვინიშნებოდი სამეგრელო-აფხაზეთის ცხენოსანი რაზმების სარდლად და ფოთის მიმართულებით უნდა გავლაშქრებულიყავ სოხუმზედ. აქეთკენვე უნდა წამოსულიყვნენ სვანებიც დალის მიმართულებით.

აგვისტოს 26-ს ხელახლად მოვიდნენ და დამინიშნეს გამოსვლის დრო ოცდარვიდან-ოცდაცხრის ღამის 3 საათი.

მე უყოყმანოთ დავემორჩილე ბრძანებას, დავნიშნეთ ქალაქის[24] ახლოს თავმოსაყრელი ადგილი, სადაც მოღამების შემდეგ უნდა მოსულიყვნენ რაიონებიდან პარტიული რაზმები, მაგრამ საუბედუროდ, ამას ხელი შეუშალა მთავრობის მიერ წინასწარ მიღებულმა ზომებმა. დანიშნული საათი მოახლოვდა, ხელში შემრჩა 18 კაცი. ქალაქში უკვე საღამოს 9 საათიდან ხდებოდა სროლა მთავრობის სადარაჯო ნაწილების მიერ, რომელნიც გარსშემორტყმული იყვნენ ქალაქს. დაკავებული ჰქონდათ გზები და ესროდნენ ჩვენს შესაერთებლად მომავალ რაზმელებს.

ნაშუაღამევს, 4 საათზე, 18 კაცით შევიჭერ ქალაქში და გათენებამდე ქალაქის ყველა შეიარაღებული ძალები დავიმორჩილე, დავატყვევე ხელისუფლება, მთელი

თავისი ორგანოებით, შევადგინეთ დროებითი მთავრობა, დავამყარეთ წესრიგი და სხვა...

ამის შემდეგ მოვახდინე მობილიზაცია. შევყარე სულ 700-800 კაცამდე და გავხსენი ფრონტი ორი მიმართულებით, ფოთისა და აბაშის. აღსანიშნავია, ხალხის სულისკვეთება, მათი ზეიმი, ეროვნული დროშებით გამოფენა, მებრძოლი სულის აღტკინება და იარაღის ასხმა ვისაც კი შეეძლო. შედარებით სერიოზული ბრძოლა მოგვიხდა აბაშის მიმართულებით, საიდანაც მტრის დიდი ძალა მოგვაწყდა.

უკუქცეულ იქმნა ჯავშნოსანი მატარებელი, მოკლული მისი უფროსი და ათიოდე წითელარმიელი რუსი. ავიღეთ დაბა აბაშა. ამის შემდეგ შევუტიეთ სამტრედიის მიმართულებით; მოგვიხდა შეტაკება რუსის ნაწილებთან, განვაიარაღეთ და წავიწიეთ წინ, დავიკავეთ ცხენის წყლის ხიდი და 5 ვერსზედ მივუახლოვდით სამტრედიას. ამის შემდეგ ვღებულობ ცნობებს, რომ გარდა იმ უამრავი ძალისა, რომელსაც სამტრედიის მიმართულებით შევხვდით, ზურგიდან გვივლიან დიდი ძალები სოხუმიდან.

სხვადასხვა მიზეზების გამო იძულებული გავხდი უკან დამეხია; დავსტოვეთ აბაშა, სენაკი, საიდანაც წავიყვანეთ მძევლები და დავიხიე სვანეთის მიმართულებით; დავიკავე მთის სიმაღლეები, ვფიქრობდი ხელახლად შეტევის განვითარებას. დავიწყე შეტევა მოპირდაპირის ნაწილების მიმართ, მაგრამ ბოლოს, როდესაც სვანეთიდან ცნობა მივიღე, რომ ყარაჩაიდან რუსები შემოდიოდნენ, გავეშურე სვანეთისაკენ, სადაც რამოდენიმე ბრძოლის შემდეგ მოგვიხდა შეჩერება და დაშლა. ამის შემდეგ, ვინახავდი თავს ერთი თვე სამეგრელოში.

უნდა აღვნიშნო, რომ ხალხში ტრიალებდა დიდი შურისძიებისა და სისხლის აღების სურვილი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ხალხი უკმაყოფილოა ამ აჯანყების მეთაური ორგანოსი, რომელმაც ვერ შეარჩია აჯნყებისათვის მომენტი და ეროვნული ძალები უდროოდ გაანადგურა.

დავით მხეიძე.

P.S. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ანაკლია-სოხუმში ზღვით გადმოსხეს რამოდენიმე დესანტი, რომელიც შემოვიდა სამეგრელოში. მათ შეუერთდა თბილისიდან მოსული რუსისა და სომხის წითელი ჯარი. მათ გააჩაღეს ძარცვა-გლეჯა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. მათი მიზანი იყო აქედან ინგურის ხეობით შეჭრა სვანეთში, ამიტომ მე გავამაგრე აღნიშნული ხეობა, მაგრამ როდესაც ცნობა მივიღე, რომ სვანეთში შემოდიან წითლები ყარაჩაიდან და ლეჩხუმიდან, უკან დავიხიე და ავედი ზემო სვანეთში.

დავამატებ აგრეთვე, რომ აჯანყებულთ მიერ მოკლულ იქნა ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის თავჯდომარე როგავა, საგანგებო კომისიის თავჯდომარე ჩხეტია და სხვა.

ჩვენის მხრივ დანაკლისი სამხედრო მოქმედების დროს არ აღემატებოდა, დახოცილი და დაჭრილი, 30 კაცს; მათ რიცხვში დაჭრილი ვიყავი მეც, საერთოდ, სამეგრელოში დახვრეტილია 1000 კაცზედ მეტი.

დ.მ.

15 თებერვალი 1924წ.

წერილი გურიიდან

16 მარტი. 1923წ.

გურიის აოხრება გრძელდება. რუსის ცხენოსანთა ჯარები სდგანან ლანჩხუთში, შემოქმედში, დვაბზუში, ბახვში, ხიდისთავში, აკეთში და მრავალ სხვა თემებში. სთხოვენ თემებს ყველა მალულებს. იწვევენ მიტინგებს, სადაც გამოდიან მთავრობის აგენტები მუქარით. ჯარების შენახვა დაკისრებულია თვით ხალხზე. ჯარის საჭიროებისათვის წაიღეს დევნილთა და შემჩნეულთა ოჯახებიდან ქვეშაგები, ლეიბ-საბანი და სხვა, თხოულობენ აგრეთვე საჭმელ-სასმელს. ერთი სიტყვით, ხალხის შევიწროება უმწვერვალეს წერტილს აღწევს. მასიური დასუსტება შეჩერდა, თუმცა ველოდებით ქალაქისა და მახლობელ თემების მორეკას. დასუსტებულთ სთხოვენ ხელწერილს, სადაც მათ უნდა დაგმონ მენშევიკები. ხელწერილების მისაღებათ მიმართეს ტერორს. იყო ასეთი შემთხვევა: მოსთხოვეს ხელწერილები, მიიღეს უარი. ამის შემდეგ დახვრიტეს 7 კაცი. დახვრეტის მეორე დღეს გამოიყვანეს 50 კაცი და განუცხადეს, ,,ვისაც დახვრეტა არ გინდათ, ხელწერილები მოგვეცითო". ხელწერილები მიიღეს; თანაც ყველა 50 კაცი, ყარაულებით გარშემორტყმული, გამოიყვანეს ძალით მიტინგზე და მათ მაგიერ 2 ტუსაღს განაცხადებიეს, რომ ისინი მათი სურვილით სტოვებენ ,,ქვეყნის დამღუპველ" მენშევიკურ პარტიას და სხვა. ამას მოყვა კომუნისტების ბაქიობა, რომ მენშევიკები იხრწნებიანო და სხვა. ასეთივე წინადადებით მიმართავენ შესარიგებელ მალულებს. დვაბზუში მთავრობის რწმუნებულმა _ ვინმე გვიჩიამ განაცხადა: ყველა მალულები გამოცხადდენ, გამყვენ მხოლოდ მე, მიტინგზე, ამის შემდეგ თავისუფალი იქნებიანო. ხდება ნაწილობრივი დატუსაღება და ჩხრეკა. დადგენილება 8 კაცის შესახებ, რომელიც ჩეკას გამოტანილი აქვს, ჯერ სისრულეში არ მოუყვანიათ.

გურიას დაადვეს დიდი ჯარიმა. როგორც ამბობენ, ობოლაძის ოჯახის სასარგებლოდ ჯარიმის რაოდენობა 60-70 მილიარდს უნდა აღწევდეს (რაოდენობა დანამდვილებით არ ვიცით ჯერ-ჯერობით). თვითეულ თემს გააწერეს 2-3 მილიარდი. მაგ. ბახვის თემს დაადვეს 3 მილიარდი, შემოქმედის 2 მილიარდი და სხვა. გაწერილ თანხას თემში ახდევინებენ, უმთავრესად, დევნილთა და შემჩნეულ ოჯახებს. ცხადია, კომუნისტები და მათი ამყოლ-დამყოლნი სრულიად თავისუფალნი არიან ამ გადასახადისაგან. ზოგიერთ ოჯახს ხვდება 10-15 მილიონი.

16 მარტი, 1923წ.

ეხლა მივიღეთ დამატებითი ცნობა, რომ წუხელ ღამით, 14 მარტს, დახვრიტეს ოზურგეთში 15 კაცი, პოლიტიკური ტყვეები, ჩვენი ამხანაგები. დახვრიტეს ნატანების ქუჩაზე _ ზვანის სკოლის ეზოში. დახვრეტილები არ დაუსაფლავებიათ. დღესაც თურმე ზევით ყრიან.

დაწვრილებით შემდეგ.

16 მარტი. ისმაილ.

ქართული არმიის კაპიტან გ. გუჩმაძის წერილი

Крововыя ночи в Грузиии.

Август и сентябрь мес. 1924 год.

Большевики предчувствуя с часу на час. Горовый разразирая над ними гнев народний, расправу и расплату с ними за все. Их насилия и преступления совершаемыя над грузинским народом, получив сведения у врагов и противников. Свободы и независимости Грузии, состоящих из негрузинских элементов, кетачи получивших все права и преимущества в награду за счёт насилуемой Грузинской науки; засучили вновь свои рукава и с определенной целью безпощаднаю уничтожения грузинскаю народа, за его долгое и упорное сопротивление, невыносимой тирании чужеземной власти, с жаждой крови и кровавой мести, приступая к обьяному своему кровавому и специфическому ремеслу, занесли опять свой ножь над горлом грузинскаю народа, который с чувством крайнаю возмущения и озлобления взялся с отчаяния за оружие и вступившщаю в бой со своими врагами и поработителями, палачами и насильниками, врагами человеческой культуры прогресса, национальных прав и самого существования грузинского народа.

В момент встихнувших востании крестьян: Душетского, Сванетского, Борчалинского, Горийского и других уездов, быстро разгоравшихся и перекидывавшихся во все остольные уезды: коммунистические отряды во всех городах особенно в Тифлисе со всеми своими техническими средствами: бронированными поездами, автомобилями и пулемётами, чтобы потушить начинавшихся пожары, востании и населении городов; заняли все пункты, улицы, углы и перекрестки, таким образом оцепив весь город и заняв боевое положение, пристуили к массовым обыскам и арестам всех грузин, без исключения возраста и пола. Во всех городах у большевиков помимо регулярных и

გიორგი მაზნიაშვილის განცხადება

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ ნოე ჟორდანიას.

ასლი საქართველოს დამოუკიდებლობლის კომიტეტის წარმომადგენლების წევრებს უცხოეთში.

საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ყოფილი მთავარსარდლის გიორგი მაზნიაშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩემს სტამბოლში ყოფნის დროს 1924 წ. ოქტომბერს და ნოემბერში, სადაც თქვენი განკარგულებით ვიყავი გაგზავნილი, საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა ბ-მა კ. გვარჯალაძემ მაცნობა, რომ საქართველოში გავრცელდა ხმა, თითქოს მე გადამეცეს ბოლშევიკებისათვის გეგმა შეიარაღებული აჯანყებისა და ეს გარემოება ყოფილიყოს მიზეზათ დამარცხებისა. ამ ხმების გავრცელება დაადასტურეს საქართველოდან გადმოხვეწილებმაც და ამ სისაძაგლეს იმეორებდნენ ზოგიერთნი უკვე პარიზში. მე არავითარ ყურადღებას არ მივაქცევდი, რომ ეს ხმები მარტო აქ პარიზში ვრცელდებოდეს, რადგანაც აქ ყველასათვის ცხადია პროვოკაციული ხასიათი ამ ხმებისა; მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა საქართველოში: იქ იმყოფება ჩემი ოჯახი, ნათესავნი და ნაცნობები და ადვილათ წარმოსადგენია რა უსიამოვნო და მძიმე წუთები უნდა განიცადოს ჩემმა ცოლ-

შვილმა, თუ მამა მათის ღალატის შესახებ გაიგეს რამე და ეს იმ დროს, როდესაც მამა იმათმა თავის სამშობლოს სამსახურს შესწირა რაც ძალი შესწევდა და ეხლაც უცხოეთში მარტო იმ ფიქრებით სულდგმულობს, რომ რითიმე დაეხმაროს მას ამ განსაცდელში. მე ვიცი, რომ ბ-მა გვარჯალაძემ საჭიროთ სცნო შეეტყობინებინა თქვენთან ამ ხმების შესახებ. მე იმედი მქონდა, რომ იგივე მიიღებდით სათანადო ზომებს ჩემი კეთილი სახელის ეროვნული პატივის დასაცვავათ. უკვე ორი კვირა მიდის ჩემი პარიზში დაბრუნების შემდეგ, მაგრამ თქვენ არც კი სცანით საჭიროთ ან წერილით ან სიტყვით რომ მოგეცათ ჩემთვის ეს დაკმაყოფილება, ამიტომ, ეხლა თვითვე ვხდები იძულებული მოგმართოთ თქვენ ამ განცხადებით და შემდეგი თხოვნით: თქვენ რასაკვირველია უკეთესად მოგეხსენებათ, რომ მე არამც თუ არ ვიცოდი გეგმა აჯანყებისა (ასეთი გეგმა აქ არც კი არსებობდა), არ ვიცოდი ისიც კი, რომ აჯანყება მოხდებოდა და როდესაც პირველი ცნობები ამ აჯანყების დაწყების შესახებ მიიღო საქართველოს ლეგაციამ, იგი იმდენათ მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ მე ამ ცნობის სიმართლე არ მჯეროდა. მე გთხოვთ თქვენ, დაუყონებლივ მისწეროთ საქართველოში და საგანგებო ფურცლებით აუწყოთ ქართველ ხალხს, რომ ამ ხმებს მხოლოდ მისი ბოროტი მტრები ავრცელებენ, გიორგი მაზნიაშვილი უმალ თავს მოაჭრევინებს, ვიდრე თავის სამშობლოს უღალატოს.

ასლი თქვენი წერილისა და განკარგულების გთხოვთ მე მომართოთ და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ შეიწყნარებთ ჩემს კანონიერ თხოვნას.

უკიდურეს შემთხვევაში მე თვით ვიქნები იძულებული, პრესის საშუალებით დავიცვა ჩემი თავი და სახელი როგორც საქართველოში ისე უცხოეთში.

მიიღეთ ჩემი ღრმა პატივისცემა.

გ. მაზნიაშვილი
18 იანვარი, 1925წ.
ქ. პარიზი

საქართველოს ემიგრირებული მთავრობის პასუხი Gგიორგი მაზნიაშვილს

გენერ. გ. მაზნიაშილს პარიზში.
24-I-1925.
პარიზი.

თანახმად თქვენი განცხადებებისა საქართველოში გავრცელებულ ხმების შესახებ მთავრობის და დამ. კომიტეტის საზღვარგარ. დელეგაცის შეერთებულ სხდომამ მიიღო შემდეგი დადგენილება.

,,მიეწეროს საქართველოში მომქმედ ორგანიზაციებს, რომ თუ არსებობს ხმები, ვითომც გ. მაზნიაშვილს გაეცეს აჯანყების გეგმა, ეს ყოვლად უსაფუძვლოა და მიიღონ ზომები ამ ხმების გასაბათილებლად".

ზემოაღნიშნული დადგენილება გაიგზავნა სტამბოლში სისრულეში მოსაყვანათ.

თქვენი კ. კანდელაკი.[25]

კავკასიელთა წრის მიმართვა ,,საქართველოს გუშაგს" (რედაქტორი სპ. კედია)

,,კავკასიელთა წრე"
ქ. ბორდო

პატივცემულ ,,საქართველოს გუშაგის" დირექციას!

ამ წერილის საშუალებით გვინდა გაცნობოთ, რომ ქ. ბორდოში მყოფმა ქართველ ,,ემიგრანტებმა" დავაარსეთ კავკასიელთა წრე, რომლის საერთო მიზნის მისწრაფების და მოქმედების გასაცნობათ გიგზავნით მათ მიერ შემუშავებულ მოწოდების ასლს, სადაც გამოთქმულია მოკლეთ მათი საერთო სულისკვეთება.

ამასთან ერთად თქვენ გთხოვთ, რომ მოგვაწოდოთ თითო ცალი ის ქართული გამოცემები, რომელიც თქვენს განკარგულების ქვეშ იმყოფება და რომელთაც გამოვიწერთ სულ მოკლე ხანში წრის სახელით.

იმედი გვაქვს, რომ ამ ჩვენს თხოვნას შეხვდებით ისე, როგორც საჭიროა და გაგვიწევთ თქვენს დახმარებას იმ საერთო მიზნის გასახორციელებლად, რომელიც დაისახა ,,კავკასიელთა წრემ".

ამ წერილთან ერთად გიგზავნით ,,კავკასიელთა წრის" მოწოდების ასლს და მას უგზავნით თქვენთან ერთად ყველა პოლიტიკურ დაჯგუფებებს, რომელიც კი არსებობს პარიზში. წერილის შინაარსი არის ერთი და იგივე ყველას მიმართ.

ველით პასუხს მოკლე ხანში.

პატივისცემით ,,კავკასიელთა წრის" ბიურო.

,,კავკასიელთა წრის" მოწოდება.

1934 წელში, ქ. ბორდოში მყოფ ქართველთა შორის დაიბადა აზრი, რომ შექმნილ იყოს ,,კავკასიელთა წრე". საქართველოს და მთელ კავკასიელ ერების საკეთილდღეოდ, რომელიც დაისახავს მიზნათ გააშუქოს კავკასიელ ,,ერთა" მიერ დამსახურებული წვლილი საერთაშორისო ისტორიაში მათ საკუთარ, ეროვნულ (ნაციონალურ) ისტორიის საშუალებით. გააცნოს უცხოელთა საზოგადოებას და კერძო დაინტერესებულ პირებს საკითხის ნამდვილი შინაარსი. რათა მოიპოვოს მათ შორის გულშემატკივარი და ნამდვილი თანამგრძნობი მეგობრები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ თავიანთ აგიტაციით, კავკასიის ერების თვით გამორკვევა-განთავისუფლებას, რუსეთის იმპერიალისტთა უღლისაგან.

,,კავკასიელთა წრე", რომელიც ჩამოყალიბდა, ითვალისწინებს რა იმ ფაქტებს, რომ უკვე არსებულ მრავალ ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციებში ხდება უამრავ აზრთა სხვადასხვაობის გამოთქმა, მათი პოლიტიკური მსოფლმხედველობის მიხედვით, რაც ხელს უშლის საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის უშუალო შესწავლას, ამიტომ ,,კავკასიელთა წრე" მიზნათ ისახავს და ეყრდნობა შემდეგ დებულებას: არ ექნეს მას სახე არავითარი პოლიტიკური დაჯგუფების და დასდგეს ყოველგვარ ასეთ სფეროს გარეშე ,,კავ.წრის" მოქმედებაში. მიუხედავად იმისა, რომ მისი ყოველი წევრი შეიძლება ეკუთვნოდეს ამა თუ იმ პოლიტიკურ ჯგუფის გაქანებას (მიმართულებას), რაც ხელს არ შეუშლის იმუშაოს ,,კავკასიელთა წრეში" პარტიულ მიუდგომლობით, ქართველი ერის საკეთილდღეოთ. ამასთანვე გააღრმავოს თავისი ცოდნა და შეგნება თვითგანვითარების საშუალებით. ვინაიდან ჩვენი ახალგაზრდა ემიგრანტების უმრავლესობა მოკლებულია საჭირო მასალებს და

აქტიურ საშუალებებს. ამასთანავე, ის შეაკავშირებს აქ-იქ გაბნეულ (დაფანტულ) ქართველ და კავკასიელ დევნილებს.

,,კავკასიელთა წრის" დაარსების ოფიციალურ რიცხვათ ითვლება, ათას ცხრაას ოცდათოთხმეტი წლის ორი დეკემბერი.

,,კავკასიელთა წრის" ბიურო.

შეფიცულების გამოსათხოვარი სიტყვა ქაქუცა ჩოლოყაშვილთან

(შეადგინა სპირიდონ კედიამ)

ჩვენო ბელადო! შენ რომ საქართველოს შავ ბედს შეები, იარაღი აისხი და ბრძოლად გახვედი, ჩვენ შენთან მოვედით და შემოგფიცეთ.

ერთ ხელში საქართველოს დროშა გეჭირა, მეორეში ხმალი მამაპაპური. . . .

გითხარით, _ განუხრელად შენთან ვიქნებოდით, სამშობლოს დახსნას შევეწირებოდით და ჩვენი სიცოცხლე შენს განკარგულებას გადავეცით.

შენ იბრძოდი და ჩვენც გვაბრძოლებდი. დაე, ამაზე შთამომავლობამ ილაპარაკოს. . . .

ბელადო, დღეს შენ მშვიდი ხარ, წყნარი და უძრავი. . . .

ვინც მოგანიჭა, მანვე მოგტაცა და უკან ჩაიბარა შენი ჯადო-სასწაული. ის, რამაც ერის უკვდავ მისწრაფებათა მებაირაღტრედ გაგხადა, მის საყვარელ გმირად გადაგაქცია; ის, რაც მტერს რისხვას სცემდა, ხოლო შენს შეფიცულებს და მებრძოლ ერს ვაჟკაცობისა და თავდადების შთაგონებას აძლევდა; ის, რამაც ჩვენო ძვირფასო ბელადო, ამიერიდან შენი უკვდავი ხსოვნა გვირგვინად ჩააწნა ქართლის ისტორიას. . . .

და ახლა უკვე შენი ცხედრის წინაშე ვართ თავმოყრილი. . . . ვაი ჩვენ, ამ დღის შემსწრეთ. . . .

ბელადო, დღეს განმეორებით ვფიცავთ სამშობლოს წმინდა წარსულს და მის ტანჯულ აწმყოს; გამნეორებით ვფიცავთ თავისუფალი საქართველოს მომავალ დიდებას და შენს დაუვიწყარს, ძვირფას ხსოვნას _ შენ საქმეს ჩვენ განვაგრძობთ!

ოღონდ, ბელადო, შენი უკვდავი სული ჩვენთან ამყოფე და შენი სიჩუმე ბრძოლის ხმად გამოგვაყოლე, რომ კვლავ ერთად ვიყვნეთ, ერთად ვიბრძოლოთ და ერთად შევძახოთ: დიდება საქართველოს!

ნოე ჟორდანიას წერილი ვლადიმერ ახმეტელს

19 აპრილი 1932წ.

ძვირფასო ლადო,

ეს წერილი კარგა ხანია უნდა მომეწერა, მაგრამ მოუცლელობამ შემიშალა ხელი და ახლა ვწერ. ეს ერთი ხანია მესმოდა, რომ შენ ოპოზიციაში ხარ, მაგრამ არ მჯეროდა და არც ვიცოდი რაგვარ ოპოზიციაში. მას შემდეგ, რაც ჩემი თვალით ვნახე შენი განცხადება, შესახებ მხარის დაჭერისა წერეთლის[26] ჯგუფის კანდიდატის საღირაშვილის[27] სასარგებლოდ, დავრწმუნდი, რომ ხმები ყოფილა მართალი.

გამოირკვა, რომ მხარს უჭერ და ამაგრებ იმ მიმართულებას, რომელიც ებრძვის მთელ ჩვენ ნაციონალურ ხაზს. ამავე დროს ვიცი ისიც, რომ ბერლინში მხარს უჭერ მემარჯვენე ელემენტებს, რომელნიც ებრძვიან მთავრობასა და ერთს ფრონტს. იქამდისაც კი მისულხარ, რომ კოლონიის არჩევნებში შავი მიგიცია სოციალ-დემოკრატიის კანდიტატისთვის და თეთრი ფაშისტისათვის. ახლა მე აღარ ვიცი, რანაირათ უნდა აიხსნას ეს ორი გარემოება, რანაირად შეიძლება ერთი და იმავე დროს ემხრობოდე წერეთლის ჯგუფს და კერესელიძისას,[28] ეს რაღაც გაუგებრობაა თუ მოუფიქრებელი ტაქტიკა _ გაამაგრო ყველა ფრთა, ვინც კი ჩვენ გვებრძვის. ამის პასუხს მოველი.

ამ წერილსა და შეკითხვას არ მოგწერდი, რომ არ იყო ჩემი წარმომადგენელი ბერლინში, ხოლო მთავრობის წარმომადგენელს არავითარი უფლება არა აქვს ამაგროს ის ხალხი, ვინც ანგრევს მთავრობის მუშაობას, მთელ პოლიტიკურ ბაზას. ერთი მხრით, სოც. დემოკრატიულ ცენტრალურ დაწესებულებათ, მათ ავტორიტეტს, მათ პოლიტიკურ და პარტიულ ხაზს, მეორე მხრით _ მთელ გაერთიანებულ ფრონტს, მასში შემავალ პარტიებს და ორგანიზაციებს. ასეთი პირის ნდობა მე ვერ მექნება და ვერც მივანდობ ჩემ წარმომადგენლობას. რასაკვირველია, მე სრულებით არ ვარ წინააღმდეგი თითოეული პირის აზრისა და მოქმედების თავისუფლების, ეს მისი სვინდისის საქმეა, მაგრამ როცა მისი სვინდისი ვერ ეტევა მისი თანამდებობის ჩარჩოში, ვალდებულია ეს განაცხადოს და თანამდებობა დასტოვოს.

აი, ამ ორ საკითხზე მოველი განცხადებასა და პასუხს.

სალამი და კარგათ ყოფნა.

ნ. ჟორდანია.

ვლადიმერ ახმეტელის წერილი ნოე ჟორდანიას

დიდად პატივცემულო ბატონო ნოე!

მივიღე თქვენი წერილი ამ წლის 19 აპრილით დათარიღებული. მოგისურვებიათ ჩემი რწმენისა და სინდისის რევიზია. ვეცდები სრული და მარტივი პასუხი გაგცეთ:

1919 წელს ჩავიბარე განთავისუფლებული სამშობლოს წარმომადგენლობა გერმანიაში. მას მერე ვმუშაობ როგორც სინდისი, გონება და გამოცდილება მიკარნახებს. შევიძინე გავლენა იმ ერის მთავარ სახელმწიფოებრივ წრეებსა და დაწესებულებებში, რომელთანაც ჩვენი ხალხის პირველი ელჩობა მარგუნა ბედმა. შინაურობაში არ ყოფილა არც წრე, არც ჯგუფი, არც პარტია, არც კერძო ვინმე პიროვნება, რომ უსამართლოდ და უყურადღებოდ დამეტოვებინოს, უკეთუ რჩევისა, დახმარებისა და დაცვისათვის მოუმართავს.

თუ ვინმე გამიკიცხავს, მხოლოდ იმ განზრახვით, რომ დამებრუნებინა სწორ გზაზე, რათა დამყარებულიყო ჩვენს აქაურ ცხოვრებაში ერთობა, ფორმალური და ზერელე კი არა, არამედ ნამდვილი.

მხოლოდ ასეთი გზით მავალთ შეგვიძლია მივაღწიოთ ჭეშმარიტ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას და ბედნიერებას ჩვენი ქვეყნისას.

მე არასოდეს არ მქონებია აზრად დამეყო საქართველოს მოქალაქენი რამდენსამე ხარისხად; ყველას თანასწორად და მიუკერძოებლად ვუყურებდი.

არც არასდროს მქონებია სურვილი – გამწვავება, არევ-დარევა შემეტანა მოქიშპე ჯგუფთა ბრძოლაში.

პოლიტიკაში უფრო, ვიდრე სხვა სფეროში უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ზნეობის, მორალის დაცვა და სრული წრფელობის გამოჩენა.

ამის შემდეგ გასაკვირველია საყვედურის მოსმენა: ოპოზიციაში ხარო. ნუთუ თქვენ და თქვენი თანამშრომელნი სთრგუნავთ ზემოაღნიშნულ პრინციპებს და მიმართულებებს, რომ ასეთი ეჭვი დაგებადათ ჩემს მიმართ?!

მაყვედრით, რომ ,,ვუჭერ მხარს ირაკლი წერეთლის ,,მიმართულებას", რომელიც ებრძვის მთელს ჩვენს ხაზსო". ჯერ ერთი, მე არავითარ ჯგუფს არ ,,ვუჭერ მხარს", მერე, საინტერესოა, ვიცოდეთ ყველამ, თუ რაში მდგომარეობს ირაკლი წერეთლის და მისი ჯგუფის ბრძოლა ,,ჩვეს ნაციონალურ ხაზთან". თუ მართლაც დასაწუნია, ხომ ვალდებულნი ვართ, შევებრძოლოთ ყველანი მავნე მიმართულებას. ახლა კი ამის შესახებ გარკვეული არავინ არის.

მიკიჟინებთ, დავით საღირაშვილს დაუჭირე მხარი კონფერენციაზე დელეგაციის არჩევის დროსო. ჯერ ერთი, რომ დ. საღირაშვილი, რამდენადაც მე ვიცი, არც ერთ ჯგუფს არ ეკუთვნის. მერე სხვა კანდიდატებთან შედარებით ეს პიროვნება, ჩემის თვალსაზრისით, მიმაჩნია უფრო სანდოთ და უფრო ღირსეულად. ეს დასაძრახისი სრულებით არ არის, უკეთუ ჩემი ქცევის დამწუნებელი არ აშორდა სამართლიანობის გზას.

თქვენ იხსენებთ აგრეთვე ძველ ამბებს, უკვე ათასჯერ ახსნილსა და განმარტებულს. მიწუნებთ, რომ კოლონიის თავმჯდომარის არჩევის დროს ხმა მივეცი არა სოციალ-დემოკრატს, არამედ ,,ფაშისტს", როგორც თქვენ უწოდებთ ბ-ნ გ. კერესელიძეს. ნეტა ეს საყვედური რომელი სახით არის მომართული? როგორც საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის თუ როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს თავმჯდომარის მხრივ? ორივე შემთხვევაში უნდა მოგახსენოთ, რომ კოლონიის საზოგადოება პოლიტიკური ორგანიზაცია კი არ არის, არამედ საზოგადოებრივ-კულტურულ დამხმარე დაწესებულებაა. პოლიტიკა და პარტიობა აქ რა მოსატანია?! საზოგადოების სათავეში უნდა იდგეს უნარიანი საკმაოდ შეძლებული პიროვნება, რომ უსახსრო დაწესებულებას ღირსეულად გაუძღვეს და შეასრულოს საზოგადოებრივი დავალებანი. ამ მხრით გასაკვირველი არ არის, რომ ბ-ნ გ. კერესელიძე ვამჯობინე მეორე კანდიდატს. გ. კერესელიძეს მომხრენი ბევრი სხვა ჩვენი პარტიის წევრიც აღმოჩნდა, თქვენი მხრითაც ეჭვსმიუტანელი. რომ ადამიანი, რომელსაც საახალშენო საზოგადოების თავმჯდომარის თანამდებობაზე ხმა მივეცი, მავნე და დასაწუნი არ იყო, მტკიცდება უცილობლად აგრეთვე იმითაც, რომ ბ-ნ გ. კერესელიძეს პარიზში გადასახლების გამო აქაურმა ქართველობამ მიმართულების განურჩევლად ამასწინეთ დიდი საზეიმო გაცილება მოუწყო. საკოლონიო საზოგადოებამ, რომლის დიდ უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენენ, მოისურვა კიდევ ცალკე სპეციალური გამოსალმება მოეწყო ბ-ნ ს. გეგელაშვილის თავმჯდომარეობით. ამ სხდომაზე სწორედ სოც.-დემოკრატები ეცილებოდნენ ერთმანეთს საქებურ სიტყვების წარმოთქმაში თქვენ მიერ ,,ფაშისტად" მონათლულ პიროვნებისადმი და აღიარეს ერთადერთ გამაერთიანებელ პიროვნებად გერმანიის ქართველებისა. შემდეგ ხომ თაიგულებით გააცილეს სადგურზე.

ამას იმიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ ვინმე ვამხილო, არამედ იმიტომ, რომ მეტად სახიფათო და წასაბორძიკებელია წამდაუწუმ იმისთანა სიტყვებით ვარჯიშობა, როგორიც არის ,,ფაშისტი", ,,მემარჯვენე" და სხვა.

ადამიანის გაკილვა და წუნისდადება ადვილია. საქმე ის არის, რომ ისეთ პატარა საზოგადოებაში, როგორსაც ჩვენი ემიგრაცია წარმოადგენს, საჭიროა გამოჩენა მეტი თავაზიანობის, მეტი სამართლიანობის ყოველ პიროვნებისადმი, რომ ერთობა, ერთსულოვნება ჩვენი დიდი საქმისათვის ასე აუცილებელი, საბოლოოდ არ დაირღვეს და მთლად არ ჩავიღუპნეთ აქ უცხოეთში მტრის გასახარებლად. საიმისო გასაყოფი ხომ ჯერ არაფერი გვაქვს?!

თქვენ მაწერთ აგრეთვე ,,მემარჯვენე ელემენტების" გამაგრებას და მომხრეობასაც. მიკიჟინებთ ამ უცნაურობას და თანვე მეკითხებით, ,,გაუგებრობაა ეს თუ წინასწარ მოფიქრებული ტაქტიკა" ჩემი მხრით? ურიგო არ იქნებოდა უფრო დაწვრილებით განგემარტათ, თუ ვის ან რას გულისხმობთ სიტყვებში: ,,მემარჯვენე ელემენტები", ,,მომხრეობა", ,,მხარის დაჭერა", ,,გამაგრება", გაგემარტივებინათ აგრეთვე თქვენი ბრალდებანი. დაწვრილებით გადაჭრილ პასუხს მიიღებდით, თორემ ზერელად და ბითუმად ლაპარაკი არც მიზანშეწონილია, არც საკადრისი ერის წარმომადგენელისათვის, არც ქანაობაა საკადრისი ერთ მხრიდან მეორესკენ, არც მიკერძვა რომელიმე მიმართულებისა ან ჯგუფისა, თუნდა მონათესავისა. მხოლოდ ასეთი მტკიცე ადამიანი დაიმსახურებს ღირსეულ სახელს.

მე ასე მესმოდა ყოველთვის ერის წარმომადგენლობა და სწორე გითხრათ, მიკვირს, როგორ უნდა ეკიჟინოს კაცს ასეთი პოზიცია. ასეთი თავის დაჭერა ჩემის ფიქრით, სასახელო უნდა იყოს იმ მიმართულებისათვის, იმ პარტიისათვის, რომელსაც ვეკუთვნი.

უნებლიედ მომიხდა ჩემ თავზე ლაპარაკი, მაგრამ ამაში ბრალი მე არ მედება.

თუ ბერლინში სხვა ადგილებივით, ღვთის მადლით, არა მომხდარა რა დასაძრახისი, ამაში ერთი მცირეოდენი ღვაწლი შეიძლება მეც მიმიძღოდეს, მეტადრე უკანასკნელ დროს აქ იქმნება გაერთიანების ატმოსფერო: იმართება კულტურული მიზნით მშვიდობის ჩამომგდები საღამოები, მოხსენებები, რომელიც ყველა ქართველს იზიდავს მიმართულების განურჩევლად.

დასასრულ უნდა ვსთქვა, არავის პირადი წარმომადგენელი არ ვყოფილვარ და მაშასადამე არც არავის ცალკეულ ნდობას დავკარგავ. ჩემი ბრძანებელი უპირველეს ყოვლისა ერი იყო და არის. რაც მოვალეობა მატვირთა მან მთავრობის სახით, ამ მოვალეობის შესრულებას ფაქტიურად მე ვერავინ შემიშლის _ მეტადრე ასეთ მწვავე დაშლილობისა და რღევვის დროს.

შეუძლიათ მხოლოდ მომისპონ მცირეოდენი გასამრჯელო, რომელსაც მაძლევენ. დიახ! ამის ქმნა შეუძლიანთ. დაე, იკადრონ! ეს მათი სინდისის საქმეა! ამის გარეშე კი მე ვერაფერს დამაკლებენ!

ჩემი ნათელი ქცევა და ხანგრძლივი მუშაობა, რომელსაც ვერავინ შებღალავს, ნებას მაძლევს პირდაპირ, გულახდილად საჯაროდ განვაცხადო: ,,ჩემი სინდისი ამ მხრით არავითარ ქენჯნას არ განიცდის. მე მზათა ვარ, ყოველ ღირსეულ სამსჯავროს წინაშე წარვსდგე უდრეკი და გულმართალი".

ღრმა პატივისცემით ვლ. ახმეტელი.

ბერლინი. 18 მაისი, 1932 წ.

დავით შარაშიძის წერილი ვლადიმერ ახმეტელს

პარიზი, 6 ივნისი 1932 წ.

ამხ. ვლ. ახმეტელს ბერლინში.

ძვირფასო ამხანაგო,

ამასთანავე გიგზავნით ტექსტს დადგენილებისას, რომელიც ბიურომ მიიღო თქვენს შესახებ, ერთხმად, თავის უკანასკნელ სხდომაზე, ამა ივნისის 4-ს. გთხოვთ პასუხი გამოგზავნოთ დაჩქარებით ზემოაღნიშნულ მისამართით: საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის საზღვარგარეთულ ბიუროს სამდივნო:

დ. შარაშიძე.

დადგენილება ამხ. ვლ. ახმეტელის შესახებ.

1. ნოე ჟორდანიამ მიმართა მეგობრული ფორმის წერილით ვლ. ახმეტელს გამოსარკვევათ იმისა თუ მართლა ეს უკანასკნელი არ იზიარებს მთავრობის და პარტიის ნაციონალურ ხაზს და ემხრობა ამ ხაზის მოპირდაპირე ბანაკებს _ ძველ ოპოზიციას (წერეთლისას) და თეთრ-გიორგელებს, რომელთა მოთავსება ერთ და იმავე პიროვნების მსოფლმხედველობაში იწვევდა ნ. ჟორდანიას განცვიფრებას.

2. ვლ. ახმეტელმა ნ. ჟორდანიას უპასუხა ოფიციალური წერილით, სადაც არ არის პირდაპირი პასუხი მიცემული; ავტორი ათავებს იმით, რომ ის საქართველოს წარმომადგენელია და მთავრობის კონტროლს არ ექვემდებარება. ამ მიწერ-მოწერას, რომლის შინაარსის განხილვაში და დაფასებაში არ შევდივართ, მოყვა შემდეგი:

3. ვლ. ახმეტელმა არ მოუცადა პასუხის პასუხს და ნ. ჟორდანიას წერილის ასლი, ავტორის დაუკითხავად და ნებადაურთველად, თავის პასუხთან ერთად დაუგზავნა კერძო პირთ საზოგადო აზრის ასამხედრებლად ჟორდანიას წინააღმდეგ.

4. მან არ მიმართა არც პარტიულ, არც ნაციონალურ ორგანიზაციებს, როგორიც არიან ბერლინის ს.-დემ. ორგანიზაცია, რომლის წევრად ის თვით ითვლება, საზღვარგარეთული ბიურო, მთავრობა და ცენტრი.

5. აუარა რა ასე გვერდით ამ კომპეტენტურ დაწესებულებებს, მან მიმართა ყველა ჯგუფებს, გარდა ს.დ. ბიუროსა და მისი ორგანიზაციებისა და ამ აქტით საჯაროთ დაამტკიცა:

ა. თავისი გამოსვლა პარტიულ ჩარჩოდან სავსებით;

ბ. თავისი და ჟორდანიას მსაჯულებად ჩვენი მოწინააღმდეგე ჯგუფების წამოყენება;

იღებს რა მხედველობაში ყველა ზემოთ თქმულს, ბიურო ადგენს:

1. ვლ. ახმეტელის ასეთი ქცევის შემდეგ ბიუროსადმი, ის ვერ დარჩება მისი წარმომადგენელი გერმანიაში; ვ. ახმეტელის მანდატი გაუქმებულია.

2. მოეთხოვოს ახმეტელს, წარმოადგინოს დაუყოვნებლივ თავისი ახსნა-განმარტებანი მისი ასეთი უჩვეულო მოქცევის შესახებ, რომლის მიღების შემდეგ ბიურო გამოიტანს საბოლოო აზრს ამ საგანზე.

ვლადიმერ ახმეტელის წერილი დავით შარაშიძეს

ბერლინი, 15.06.1932 წ.

ამხ. დ. შარაშიძეს,

პატივცემულო ამხანაგო! მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი ქაღალდი ამ წლის 6 ივნისით დათარიღებული. ეპისტოლეს შემდგენელნი უწოდებენ ნოე ჟორდანიას წერილს, ჩემდამი მომართულს, მეგობრულ წერილს. როდის აქეთია, ან სად, რომელ

წრეში მიღებულია ,,მეგობრული" ეწოდოს ისეთ ქცევას, რომელიც გამოიხატება სიტყვა ,,ძვირფასის" ხმარებაში, ცილისა და ჭორების გამეორებაში და შეურაცხყოფის მიყენებაში. ნ.ჟ.-იას წერილი არც უბრალო კერძო ხასიათისაა, რადგანაც ეხება ჩემს ოფიციალურ წარმომადგენლობას და სამსახურს.

ჩემთვის ეჭვს გარეშეა, რომ ნ.ჟ-იას ეპისტოლე სრული მისი დაბნეულობის ნაყოფია. უკანასკნელ 4-5 წლის განმავლობაში ნ.ჟ. ზოგიერთ ვაჟბატონების წყალობით და გავლენით ამაოდ ცდილობს ჩემი მრავალწლის ნამუშევარი წყალს გაატანოს და მით თავისი პირადი გულისთქმა დაიკმაყოფილოს. შინაობაში მე არასდროს არ დამიმალავს, რომ ჩვენი ემიგრაციის დიდ უბედურებას შეადგენს, რომ სათავეში არ ჰყავს მაღალზნეობრივი ავტორიტეტი, რომელსაც შეეძლოს ყველა მიმართულების წარმომადგენელი და პოლიტიკური მოღვაწენი შეაკავშიროს ერთს გამომუშავებულ ეროვნულ პლატფორმაზე, რომ მეთაურის პირდაპირი მოვალეობაა კი არ აცალკევებდეს და სთიშავდეს მებრძოლთა ჯგუფებს, ან დღეს ხან ერთს იახლოვებდეს და ხვალ მეორეს, არამედ ჭეშმარიტ ეროვნულ ხელმძღვანელს შეჰფერის განურჩევლად ყველა გულწრფელად აღიარებულ ეროვნულ მიმართულების პატივისცემა და საერთო საქმისათვის გამოყენება და რომ გაჩერება ვიწრო ჯგუფურ ნიადაგზე ჩვენი დიადი საქმისათვის მეტად მავნებელია და ამიტომ მიუღებელი. ასეთ აზრის აღმსარებელს, ასეთი გეზის ამღებს სახალხო საქმეში, როგორ შემეძლო რომელიმე არსებული ჯგუფის მიკერძება და მისი მხარის დაჭერა! დღიდან ჩემი ელჩობისა გერმანიაში, ვერც ერთი ჩვენში გაჩენილი მიმართულება ვერ დამწამებს, რომ ვღალატობდე ემიგრაციაში აღებულ ხაზსა და რომელსამე განსაკუთრებულ მიმართულებას ვეკედლებოდე, უკეთუ ასეთი ბრალმდებელი არ ასცდა გულწრფელობის და ერის სარგებლობის მოტანის გზას. დიაღ, ნურას უკაცრავად! ნურავინ ჩემულობს ერის ინტერესების მითვისებას და თავის მონოპოლიად გამოცხადებას. დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ ყველანი, რომ მსურვებოდა ცალკე ჯგუფის მიმხრობა ან დაარსება, ამას საჯაროდ განვაცხადებდი, საამისო გამბედაობა შემწევს. ამიტომაც მოუბოდიშებლად მე ნ. ჟორდანიას შეკითხვაზე, თუ რომელ ,,ბანაკს" ვეკუთვნი, აღშფოთებული უარყოფითი პასუხით მივუგე, როგორც ეკადრება ასეთ ქცევას. ვის აქვს ნება პოლიტიკურ აღთქმის, კრედოს საჯარო აღთქმა მოსთხოვოს უკვე ჩამოყალიბებულ და ასე თუ ისე ნამუშევარ მოღვაწეს?!

რაც შეეხება იმას, რომელი სამშობლოს გარეთ არსებული მიმართულება ან ჯგუფი ასცდა ან არ ასცდა ნაციონალურ ხაზს, ამის გარკვევას არ შევუდგები, რადგანაც ეს მე არ მეხება და ვისაც ეხება, ისინი, თუ დაინახავენ საჭიროდ, თვითონ გაუწევენ ანგარიშს ამ მძიმე ბრალდებას.

შორსმჭვრეტელ ხელმძღვანელობას მოკლებული ქართველი ემიგრანტობა დაიყო ჯგუფ-ჯგუფად, წინანდელი პარტიობის მთლიანობა დაიშალა. საზოგადოებრივი აზრი აღარ არსებობს, გაჩნდა მარტო ჯგუფობრივი ორგანოები. თავისუფალ ქართველს არ შეუძლია მიაწოდოს თავისი ხმა უშუალოდ მკითხველ საზოგადოებას. ნ. ჟორდანიას კი უნდა ეთამაშა სხვა როლი, როგორც მთავრობის სათავეში მყოფს. იურიდიულ უფლებადაკრგულს მას უნდა გაეძლიერებია ზნეობრივი, ეთიკური, სამართლიანობის სავსე გავლენა, რაც სრულიად მოსპობდა ჯგუფობრიობას და უაზრო შეხლა-შემოხლას. ამით დაამტკიცებდა ის მართლაც, რომ ერის ნამდვილი მეთაურია და ხელმძღვანელი. ახლა კი არათუ ერის, ის არც პარტიის წარმომადგენელია. მას ჰყავს თავისი მცირე ჯგუფი, ასე ვსთქვათ, თავისი მრევლი. ამ ჩემს შეხედულებას, აზრს _ სინდისიერს და მართალს არ ვმალავდი და არ ვმალავ,

რადგან ჭეშმარიტებისათვის მე მხოლოდ ერთი ქისა მაქვს და არა რამდენიმე, როგორც დაუვიწყარ ილიას ,,ოთარაანთ ქვრივს".

და აი, ამ თავისი მრევლის საწიწკნად ნ. ჟორდანიას სურს ჩემი საქმე გახადოს. უთითებს ვითომდა რიტუალის წინააღმდეგ ჩემ მიერ ჩადენილ დანაშაულებს. ახლა მიკიჟინებენ, ავტორის დაუკითხავად, ნებადაურთველად რად გამოაქვეყნე, გამოამჟღავნე მისი წერილი და პარტიულ ორგანიზაციებსაც არ დაეკითხეო. უცნაური პრეტენზიაა, სწორედ! ვის გაუგონია, შეურაცხყოფილმა შეურაცხმყოფელს, ცილისდაწამებულმა ცილისმწამებელს შეევედროს, ნება მომეცი საკადრისი პასუხი გაგცეო! ,,დამხმარე ორგანოებისა" კი უნდა მოგახსენოთ, რომ ყველამ უჩემოდაც უწყის, თუ რა დაემართებოდა ჩემს საქმეს, მათთვის რომ მიმემართა. უკეთეს შემთხვევაში ნოე ჟორდანია მას ბამბაში გაახვევინებდა და ასე შეანახვინებდა, ან კიდევ ჩემს საქმეს მის ყურმოჭრილ ორგანოებზე მიგდებით ისეთ ამბავს აუტეხდა, რომ ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობდა. პირიქით, მე მსურდა, რომ ჩემი საქმე გახმაურებულიყო და ყველას შეეტყო, როგორ ექცევიან ჩვენს ,,მაღალ წრეებში" თავისუფალ აზრს, თვითმოქმედებას, როდესაც ეს, თუმცა გარეგნულად არ ეთანხმება ,,ახლანდელ დიდებულთა" შეხედულებას, მაგრამ ხალხის სიკეთე კი აქვს სახეში. მე თუ ვნანობ, მხოლოდ ერთი რამის გამო: მე ვწუხვარ, რომ აქამდე არ მოგვეპოვება არათუ ყოველდღიური საზოგადოებრივი ბეჭდვითი ორგანო, არამედ ყოველკვირეულიც კი. ეს რომ გვქონოდა, რასაკვირველი, ჩვენი მიწერ-მოწერა სწორედ ასეთ ორგანოში ამოჰყოფდა თავს და უსამართლო საქმე უფრო გამომჟღავნდებოდა. ყურმოჭრილ ყმების და პირის-ფარეშების ფსიქოლოგია ვის არა აქვს გათვალისწინებული?! საკითხი, თუ რა მდგომარეობაში აყენებს ერის წარმომადგენელს ნ. ჟორდანია, უბრალო საქმე კი არ არის, არამედ ეხება მთელ საზოგადოებას, მთელს ხალხს. ყველაფერი უნდა იყოს მზის სხივებზე, არაფერი უნდა დარჩეს გაუშუქებელი, რომ ჩვენს სიავ-კარგზე ყველა გონიერმა და სინდისიერმა მოქალაქე-მამულიშვილმა, შინაურმა თუ გარეშემ, შეადგინოს სამართლიანი აზრი. ჩემი საქმე სახელმწიფოებრივი საკითხია და არა ვიწრო ჯგუფური, თუნდ პარტიული. მე რომ მდომებოდა ჯგუფისა და ორგანიზაციებისადმი მიმართვა, მეც ჟორდანიასავით მოვიქცეოდი, ავირჩევდი მის გზას. რა შუაში არიან აქ ,,დამხმარე ორგანიზაციები"? აქ მეზობლური, მრევლური სამსჯავრო კი არ არის, არამედ სხვა რამ. თუ დამჭირდა და საჭიროდ დავინახე, მე თვითონ მოვძებნი ღირსეულ ხალხისაგან შემდგარ ტრიბუნალს, რომლის წინაშე წავაყენებ არა მარტო ჩემს თავს, არამედ იმათაც, რომელნიც ახლა მსაჯულთა ქურქში გამოხვეულან.

მე მზადა ვარ ყოველთვის პარტიის წინაშე წავრსდგე, თუ რომ პარტიის წინააღმდეგ რამე ჩამიდენია, მაგრამ ყველამ უწყოდეს, პარტიის წინაშე და არა ხელოვნურად შექმნილი მორჩილთა ორგანიზაციების წინაშე, რომელთაც არც გავლენა შეუძენიათ და არც ავტორიტეტი, არათუ პარტიის გარეშე, არამედ თვით პარტიის ფარგლებშიაც, ასე რომ ვინ გამოვიდა პარტიის ჩარჩოდან _ ეს საკითხი ისე ადვილი არ არის, როგორც ჰგონიათ ამჟამად მოვლინებულ უცნაურ ჯგუფის ქურუმებს.

,,მანდატს გიუქმებთო" _ ბრძანებთ. თქვენ თვითონ კარგათ იცით, რომ ეს ლიტონი სიტყვებია. თქვენი მანდატით არც არავის უსარგებლნია და არც არავისთვის არის გამოსადეგი. რაც გნებავთ, ისე ჰქენით! თქვენი სახელით გამოსვლა სრულებით არ მომხდარა და არც საჭირო ყოფილა. 1918 წელს მე გამომგზავნა საქართველოს სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ და ჩამაბარა თავისი მანდატი. ამ მანდატს ვსცემ პატივს და ვემორჩილები, არავითარ უპასუხისმგებლო ჯგუფს, წრეს ამ მანდატის გაუქმება არ

შეუძლია, სანამ პარტია, ნორმალურ პირობებში თავმოყრილი, კანონიერად არ გააუქმებს მას.

ნ. ჟორდანია სათავეში უდგას ემიგრანტულ ყველა პოლიტიკურ ორგანოებს, რომ როცა დასჭირდება, ხან ერთი წამოაყენოს წინ, ხან მეორე და თვითონ ვერცხლის წყალივით ხან ერთისაკენ გაექანება და ხან მეორისაკენ. აქ უნებლიეთ მაგონდება გერმანული ერთი კომიკური პიესის ტიპი _ ქალაქელი, რომელსაც როცა ეკითხებიან, ვინ არის თქვენ ქალაქში ქალაქის თავი, უპასუხებს, მე ვარო, ვინ არის საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე, ეტყვის _ მე ვარო. შემკითხველი ჩამოსთვლის ორგანოთა მთელს რიგს და ყველგან სათავეში მდგომი გამოდის ეს გმირი. ბოლოს შეეკითხნენ ამას: ბრანდმეისტრად _ ხანძრისმქრობელ რაზმის გამგედ ვინა გყავთო, წარბშეუხრელად გმირმა კიდევ თავისი თავი დაასახელა. ნ. ჟორდანიას აქამდე ვერ შეუგნია, თუ რა ზიანი მოაქვს ამ შეთავსებას ჩვენი სამშობლოსათვის, ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყნიდან მოყოლებული. ნ. ჟორდანია არა ცდილობს ჰაერი განსწმინდოს ემიგრანტულ წრეებში, გააბატონოს სამართლიანობა, რიგიანობა, კეთილშობილება, გახდეს მართლაც ნამდვილი ეროვნული სიმბოლო, როგორც გვსურდა და გვჭიროდა ჩვენ. ამ სიმბოლოს წინაშე ყველას უნდა მოწიწებით თავი მოეხარა, თაყვანი ეცა. ყველა ხალხს ჰყოლია ასეთი სიმბოლო, რატომ ჩვენ არ უნდა გაგვაჩნდეს? მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ,,ბუისაგან ნუ გამოელით ბოლოკარკარის ბუდესაო". ნუთუ უნდა ვიფიქროთ, რომ მართლაც ,,კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების"? ხშირად გაჰმკლავებია თავის მოპირდაპირეს უღირსად, არ დაუზოგია გარეშენი. ახლა მისდგა თავის თანაპარტიელებსაც. ნურას უკაცრავად, თუ ახლა მისი ფანდები აღარ გაუვა ადვილად, როგორც აქამდის. ნ. ჟორდანიას ჩვეულებრივი ფანდების გამოყენებას აღარ აპატიებენ მით უფრო, რომ ცნობილ ამხანაგებს მძიმე ბრალდებები წაუყენა და ყველაფერს მზის შუქზე გამოიტანენ. არავის ამხედრება, არავის წაქეზება არ მჭირდება. თვით ნ. ჟორდანიაა ამის თავდები. ნ. ჟორდანია თვით ამხედრებს თავისი მოპირდაპირეების წინააღმდეგ არა თუ თავის ,,დამხმარე ორგანოებს", არამედ სხვა პარტიების ორგანოებს და ცენტრებსაც, მაგრამ მწამს, არ გამქრალა ჯერ კიდევ მთლად ემიგრანტულ ქართველობაში კეთილშობილება, კეთილსინდისიერება, იმედს არ ვკარგავ, რომ თუ ვისმე მათში მოპირდაპირეთ მივაჩნივარ, ჩვენ შორის მოციქულად მაინც ნამუსი დარჩება.

ამით ვათავებ თქვენთან ლაპარაკს. თქვენს მომართვაზე პასუხს აღარ გაგცემთ; უკანვე მიიღებთ გაუხსნელად. ისე კი ბურთი და მოედანი თქვენია. გაქვთ ორგანოები, გახვალთ-გამოხვალთ ბუქნას, მაგრამ ერთი კი უნდა იცოდეთ, რომ თქვენ მიერ მოქნეულ ლახტს ერთს რომ მე მომარტყამთ, ოცს თქვენვე მიირტყამთ! თავისუფალი სამშობლო გაგვასამართლებს ჩვენ. მე იმედს არ ვკარგავ, რომ ბორკილმოშორებული ხალხი დაინახავს ბრალდებულთა სკამზე იმათ კი არა, ვისაც ახლა სამართლით ემუქრებით, არამედ იმათ, ვინც ახლა გადმომდგარან დოინჯშემოყრილი მსაჯულთა ქურქში გამოხვეულები. ,,ვისაც ყურნი აქვთ სმენად, ისმენენ".

ვლ. ახმეტელი.

გერმანიაში მყოფ ქართველ ემიგრანტთა ერთი წრის კრების რეზოლუცია

კრების რეზოლუცია

ჩვენი ნაციონალური ემიგრაცია განიცდის აღელვებას ძმათა იმ არასასიხარულო შეხლა-შემოხლის გამო, რომელმაც ამ უკანასკნელ დროს სიმწვავის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

ასეთი მდგომარეობა ავალებს სამშობლოს გარედმყოფ ყველა ქართველ მოქალაქე-მამულიშვილს ამ მოვლენას სასტიკად შეებრძოლოს.

ერთ დროს არჩეულმა მთავრობამ, რომელსაც ევალებოდა გამოძევების დროს ეწარმოებინა მამულიშვილური მუშაობა ჩვენი ეროვნულ საწადელის მისაღწევად და ამ იდეის გარშემო, განურჩევლად მიმდინარეობისა და მიმართულებისა, შეეკრიბა ყველა ცხოველმყოფელი ძალები და ერთი სახით წამდგარიყო ყველგან, სადაც ჯერ არს, მან, უმაღლესმა ორგანომ, პირიქით, აწარმოვა ძმათა განხეთქილების პოლიტიკა.

ამ 12-13 წლის განმავლობაში ასეთ უკუღმართ პოლიტიკის წარმოებამ მთელს ემიგრაციაში დაუკარგა ყოველგვარი ზნეობრივი ავტორიტეტი ვითომდა ხელმძღვანელ ორგანოს და გახადა ვიწრო ჯგუფურ შეხედულების გამომხატველად. მთავარი საკითხი ჩვენი ეროვნული საქმიანობისა ამით დაზიანდა. წინ წარმოსდგა კვლავ ძველი პარტიული შუღლი და კინკლაობა.

რაც შეეხება წინანდელ მთავრობას და მასთან ხელოვნურად მიკოწიწებულ ორგანოების მოქმედებას, ჩვენი სინიდისის მიხედვით და მამულიშვილური გრძნობის მოთხოვნილებით ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ჩვენ არავითარ პასუხისმგებლობას მის მოქმედების შესახებ არ ვკისრულობთ და სრულ უნდობლობას ვუცხადებთ მას. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ იკადრეს და საიდუმლოდ გაგზავნეს ჩვენ ტანჯულ ქვეყანაში ცნობილი სამარცხვინო წერილები, რომელშიაც არ მოერიდნენ ცილისწამებას და სიყალბეს, ძმათა შორის უფრო გაჩაღდა მომაკვდინებელი შუღლი; ძმათა სისხლიც კი დაიღვარა. გულის ტკივილით შევყურებდით ჩვენ ჩვენი ერის შეუფერებელ სურათს. გვეგონა, ჩვენი ეგრედწოდებული ხელმძღვანელი წრე ბოლოს და ბოლოს მაინც ყოველსავე ღონეს იღონებდა, განექარწყლებინა დათესილი უნდობლობა და სიმრუდის გამოსწორებას შეუდგებოდა, მაგრამ მან, პირიქით, თავის ჩადენილი შეცდომები ცოდვებად გადააქცია და ნორჩ ახალგაზრდა თაობაშიაც კი შეიტანა დემორალიზაცია; ამით დააგვირგვინა თავისი სამარცხვინო მუშაობა.

აი, სწორედ ეს მდგომარეობა, უკუღმართ ბრძოლის გამო უცხოეთში დაღვრილი მოძმეთა სისხლი გვაიძულებს გავემიჯნოთ ამ პასუხისმგებლობის გრძნობას მოკლებულ წრეს და დაუყოვნებლივ შევუდგეთ მამულიშვილური მოვალეობის განმახორციელებელ საშუალებათა გამონახვას.

ამ მიზნით 1. ვაარსებთ გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა პოლიტიკურ წრეს სახელწოდებით ,,ორგანიზაცია ქართველ ნაციონალისტთა გერმანიაში", რომელიც განსაკუთრებული პოლიტიკური ბიუროს ეროვნული კომიტეტის საშუალებით გაუძღვება აქაური ემიგრაციის საქმეებს აქ შექმნილი პოლიტიკური პირობების მიხედვით; 2. ვირჩევთ სპეციალურ კომისიას, რომელიც მოიწვევს ქართველ ემიგრანტთა საყოველთაო კონფერენციას მსგავს პოლიტიკურ წრეთა და ახალი ეროვნული ცენტრის შესაქმნელად.

ბერლინი, 10 ივნისი 1933 წ.

ხელს აწერენ: ვლ. ახმეტელი, მიხეილ წერეთელი, კ. ხოშტარია, დ. ღამბაშიძე, ა. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე, ა. აფხაზი, ა. ალანია, გ. ალანია, შ. ქარუმიძე, რ. ჯაში, ა.

ნიკურაძე, ო. წერეთელი, ვ. კაუხჩიშვილი, კ. ვეკუა, ვ. სადათიერაშვილი, რ. მკურნალი, ტ. მარგველაშვილი, გ. მეტრეველი, ა. მკურნალი და სხვა.

კომიტეტის ადრესი:

Berlin-Wilmerrelart, Guntzelstrasse 24/25, III. M

ეროვნული კომიტეტის დეკლარაცია

1935 წ.

სოც. დემ. პარტიის ანტიეროვნულ პოლიტიკას მოყვა შედეგად ის, რომ დამოუკიდებელმა საქართველომ მხოლოდ სამი წელიწადი იარსება და მტრის ერთი სულის შებერვით გაჰქრა. სამშობლოდან გამოქცეულ საქართველოს მთავრობამ ნაცვლად იმისა, რომ მას ეღიარებია თავისი შეცდომანი, დაეგმო წარსული, პარტიულ პოლიტიკაზე ხელი აეღო და ეროვნულ გზას დასდგომოდა, თავის მთავარ პოლიტიკურ ლოზუნგად ისევ მარქსიზმის გამარჯვება დაისახა და საქართველოს ბედის გამგებლობა მარქსისტულ სულისკვეთების ქვაკუთხედით განიზრახა. ნ. ჟორდანიამ მენშევიკური კომიტეტის თავმჯდომარეობა არჩია იმ მაღალ დანიშნულებას, რომელზედაც იგი ისტორიულმა ბრმა პირობებმა სავსებით დაუმსახურებლად მოუწოდა. გავიდა 14 წელიწადი, რაც სამშობლო დავკარგეთ, დაიხარჯა მილიონები საქართველოდან წამოღებული და ჩვენი ქვეყნისათვის არაფერი გაკეთებულა. პირიქით, ჩვენი სოც. დემოკრატებისა და მათი ინტერნაციონალის წყალობით საქართველოს საკითხი დღეს მოხსნილია საერთაშორისო დღის წესრიგიდან, იგი გარიყულია და დამარცხებული.

დიდიხანია რაც პატრიოტულ წრეებში დაისვა საკითხი ეროვნულ ძალთა შეთანხმებული მოქმედებისა ქართული მარქსიზმის საბოლოოდ დასამარცხებლად, რომელიც არის ერთადერთი აუცილებელი პირობა ნაყოფიერი ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლის საწარმოებლად, მაგრამ ქართველი მენშევიკების სისტემატიურმა პროვოკაციამ ეს ძალები დაქსაქსა გაუტანლობის, შურის და ერთმანეთისადმი მტრობის დათესვით.

საბედნიეროდ, დღეს თანდათანობით ევოლუციის შემდეგ ეროვნულმა შეგნებამ სძლია ბოროტი სენი, რომელიც არის პარტიული ქიშპობა, ჯგუფური კინკლაობა და სექტანტური ფსიქოლოგია. ემიგრაციაში მყოფ ეროვნულ ძალებმა, უპარტიო მამულიშვილებმა, შეფიცულთა რაზმმა, ეროვნ. დემ. პარტიის, თეთრი გიორგის და ორნატის ორაგანიზაციებმა მიაღწიეს შეთანხმებას ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებზე და დააარსეს საქართველოს განმათავისუფლებელი ეროვნული კომიტეტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს განმათავისულებელი ბრძოლის წარმოებას და დამოუკიდებლობის აღდგენას.

ეროვნული კომიტეტის დევიზია: ,,საქართველო უწინარეს ყოვლისა" და აქედან გამომდინარეობს მისი მიმართულება და ტაქტიკა. იგი აღიარებს ეროვნული იდეალის უზენაესობას, ერის პრიმატობას სრული ანუ ინტეგრალური ნაციონალიზმის ნიადაგზე, ეროვნულ ძალთა ბელადის ხელმძღვანელობით, რომელიც ბრძოლის პროცესში წარმოიშვება.

ეროვნული კომიტეტი უარყოფს ქართველი ერის პარტიებად და კლასებად დაყოფას. აღიარებს კლასთა სოლიდარულ თანამშრომლობას თანასწორობის ნიადაგზე. ერის სიძლიერე და ნივთიერი სიმდიდრე შეადგენს ყოველი კლასის პირდაპირ ინტერესს, მუშა, გლეხი და დანარჩენ კლასთა მატერიალური

მდგომარეობა ყოველთვის პროპორციონალურია ერის მატერიალურ მდგომარეობასთან და ერის გარეშე არ არსებობს არც ერთი კლასის ინტერესი. ყოველი კლასი ასრულებს საზოგადოებაში განსაზღვრულ ფუნქციას, რომელიც საჭიროა ერისათვის, ამიტომ მიზანი სახელმწიფოსი უნდა იყოს, რომ ეს ფუნქცია ერისა და თვით კლასის სასარგებლოდაც რაციონალურად მიიმართებოდეს. გლეხი, მუშა, ვაჭარი, მღვდელი და სხვა ერთგვარად ძვირფასი არიან და სწორად დასაცველნი ეროვნული სახელმწიფოსაგან.

საქართველოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ფორმა უნდა შეეგუებოდეს ჩვენი ერის სულიერ თვისებას, მისი კულტურის განვითარების დონეს, მის ტრადიციებს, მის წარსულს და აწმყოს, ხოლო სახელმწიფოს უნდა მართავდეს მტკიცე, მყარი ეროვნული ხელისუფლება დამყარებული განახლებულ დემოკრატიაზე, რეალურ, ჭეშმარიტ სახალხო წარმომადგენლობაზე, სადაც საუკეთესოდ იქნება გამოხატული მთლიანად ერის სულიერი და ნივთიერი ინტერესები, ხოლო ამ წარმომადგენლობაში შემავალ კლასთა არბიტრად და ხელმძღვანელად უნდა იყოს სახელმწიფო, ე.ი. ერი.

ეროვნული წარმატებისა და აღორძინებისათვის აუცილებელია, რომ მომავალი საქართველო აშენდეს ჩვენს საუკეთესო ისტორიულ ტრადიციებზე, წესებზე, ჩვეულებებზე, სარწმუნოებაზე, ოჯახზე და საერთოდ ყველა იმ სულიერ და ნივთიერ ფაქტორებზე, რომელიც ქართველ ერს ათასი წლების განმავლობაში ამოძრავებდა. ამავე დროს, ჩვენ უნდა ვისარგებლოთ სხვა ერთა გამოცდილებებით და ის დიდი ეროვნული იდეური მიმდინარეობანი, რომელიც დღეს მსოფლიოს ამოძრავებს, მოხდენილად შეუფარდოთ და გამოვიყენოით ჩვენი ეროვნული გაძლიერებისათვის.

ეროვნული კომიტეტი აღიარებს რუსეთს საქართველოს ისტორიულ მტრად. რუსეთი არის საქართველოს მტერი, როგორც ქვეყანა, როგორც ერი და არა ესა თუ ის რეჟიმი. რუსეთის გეოგრაფიული პირობები და რასიული ფსიქოლოგია ქმნის რუსეთის იმპერიალიზმის თავისებურებას; მის ინტერესს შეადგენს წინა აზიისაკენ ზრდა, ხოლო თუ წინა აზიაში ბატონობის გავლენის უმთავრესი ბაზა არის საქართველო, აქედან გამომდინარეობს რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ამიტომ ჩვენ უნდა ჩაუნერგოთ ჩვენს ერს სიძულვილი რუსეთისადმი რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულების შესწავლის ნიადაგზე.

საქართველოს კავკასიაში უჭირავს ცენტრალური ადგილი, კავკასიის მასშტაბით მას აქვს დაკისრებული დიდი მისია, ხოლო ამ მისიას ის ვერ შეასრულებს თუ მისი მეზობელი ერები არ იქნებიან დამოუკიდებელნი. ამიტომ საქართველომ უნდა შეკრას კავკასიის ერებთან მჭიდრო ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო კავშირი. მხოლოდ გაერთიანებული კავკასია შესძლებს ძლიერი მტრის წინააღმდეგ ბრძოლას.

სპირიდონ კედიას წერილი გაზეთ ,,დამოუკიდებელი საქართველოს" რედაქტორს

ბატონო რედაქტორო,

1881 წ. 29 ივლისისა და 1919წ. 21 სეკტემბრის პრესის კანონთა ძალით მოვითხოვ, რომ ეს წერილი დაბეჭდილი იყოს იმავ ადგილას და იმავ შრიფტით, რა ადგილას და რა შრიფტითაც დაბეჭდილი იყო ,,დამოუკიდებელი საქართველოს" 26-ე ნომერში თქვენი ,,უპასუხისმგებლო ნაბიჯი", სადაც თქვენ შეეხეთ ჩემს პიროვნებას იმ

დადგენილებათა და დეკლარაციის გამო, რომელიც საქ. ერ.-დემ. პარტიის საზღვარგარეთის ორგანიზაციებში გასული წლის დეკემბერში მიიღეს და გამოაქვეყნეს.

მოკამათის ნაწერი რომ ანგარიშგასაწევი მხოლოდ იმდენათ იყოს, რამდენათაც იგი მარტო გონების ნაწარმოებია, პატიოსანი სიტყვა, პასუხსაც არ გაგცემდით. ვინაიდან თქვენი ,,უპასუხისმგებლო ნაბიჯი", როგორც ასეთი ნაწარმოები, მარტოოდენ იდეური სიღატაკეა, რასაც, საზოგადოთ, უპასუხოთ სტოვებენ. მაგრამ მოკამათის ნაწერი დასაფასებელია აგრეთვე, როგორც ზნეობრივი მოვლენა. ამ მხრივ, თქვენი ,,უპასუხისმგებლო ნაბიჯი", ნუ მიწყენთ პირდაპირობას, იმ შეგნებით სიყალბეთა რეციდივთაგანია, რომელიც თქვენი ფრონტის მთავარი სარდლის სამანიოვრო პოლიტიკას ახასიათებს და რამაც წარსულში ჩვენს ქვეყანას ბევრი უბედურება შეამთხვია. ამიტომ აუცილებელია ხმის ამაღლება, ამის დაუყოვნებელი მხილება და საერთოდ მის წინააღმდეგ მთელი ეროვნული შეგნების ენერგიული მობილიზაცია, რომ საზოგადოებას გახრწნა ასცდეს და ქვეყანას კიდევ _ ხიფათის განმეორება.

თქვენი მთავარი თეზაა: რომ საქ. ერ.-დემ. პარტია თქვენს ფრონტში დგას; რომ საზღვარგარეთ ამ პარტიას წარმოადგენს ,,პარიზის კომიტეტი", ან იგივე გვაზავა-ამირეჯიბის ,,ჯგუფი"; რომ სამიოდე კაცი, ,,ტრიო" შურისძიებამ შეგვიპყრო და თავს ყალბათ ,,ერ.-დემ. მთელი საზღვარგარეთელ ორგანიზაციად" ვაცხადებთ; რომ თავს ვესხმით ,,მთლიან ეროვნულ ფრონტს", რომელშიაც ,,ოთხი" პარტია შედის. აი ფაბულა, დანარჩენი დაჟანგული ეჟვნებია. ჩვენ ვაცხადებთ, რომ საქ. ერ.-დემ. პარტია თქვენს საერთო ფრონტში არ დგას, რომ პარიზის ყოფილი კომიტეტი _ იგივე გვაზავა-ამირეჯიბის ,,ჯგუფი" _ ამ პარტიას საზღვარგარეთ არ წარმოადგენს და რომ თქვენი ფრონტი ,,მთლიანი ეროვნული ფრონტი არ გახლავთ". ეს თქვენს ,,ფრონტს" კარგათ მოეხსენება და გულსაც სწორედ ეს უკლავს. ამიტომაც ჟორდანია და რამიშვილი, ,,საერთო ფრონტის" ორი დედაბოძი, საგანგებო დავალებას აძლევენ ემისარ აბესალომ ,,პრაღელს", რჯულით მენშევიკს, რომ მან საქართველოში, ყოველის ხერხით და საშუალებით, ამ გვაზავა-ამირეჯიბის ,,ჯგუფს" მომხრე ერ.-დემოკრატიული კომიტეტი დაუარსოს! (იხ. გაზ. ,,კომუნისტი" 26 ივნისი 1927წ.). რომ საქ. ერ.-დემ. პარტია რამიშვილი-ჟორდანიას პოლიტიკას იზიარებდეს და თქვენს ,,საერთო ფრონტში" იდგეს, ხოლო გვაზავა-ამირეჯიბის ,,კომიტეტი" მას უცხოეთში მართლაც წარმოადგენდეს, მაშინ თქვენი ფრონტის ბელადების ეს ინსტრუქციაც საჭირო არ იქნებოდა ახლა საქართველოში. ეხლა უცხოეთი და გვაზავა-ამირეჯიბის ,,კომიტეტი" ვნახოთ. ამ საგანზე ვალაპარაკოთ ერთადერთი კომპეტენტური პარტიული ინსტანცია _ ერ.-დემ. პარტიის საზღვარგარეთის ორგანიზაციები: ა). ,,პარიზის კომიტეტი" (იგივე გვაზავა-ამირეჯიბის ,,ჯგუფი"): სპ. კედია, როგორც მიტოვებული და უარყოფილი ყველა პარტიული ორგანიზაციების მიერ და წარმოშობითაც მოკლებული ყოველგვარ უფლებრივ საფუძველს, რომ პარტიის სახელით ილაპარაკოს და იმოქმედოს, ვეღარ ატარებს ვერც პარიზის და ვერც სხვა რომელიმე პარტიული ორგანოს სახელს. დღეიდან იგი გადაყენებულია და პარტიის სახელით ვერავითარ მუშაობას ვერ აწარმოებს" (იხ. ,,დეკლარაცია და დადგენილებანი" გვ.21). ამ დაუნდობელ ფაქტებს კომენტარები არ სჭირია. ყოველივე ეს თქვენ ზედმიწევნით იცით და როდესაც, ამისდა მიუხედავათ მაინც სწერთ: ,,პარიზის კომიტეტი _ იგივე გვაზავა-ამირეჯიბის ,,ჯგუფი" _ სწორედ ის ორგანოა, რომელიც წარმოადგენს საქ. ერ.-დემ. პარტიას უცხოეთშიო", ან როცა ჩვენდა დასახასიათებლათ დასძენთ: ,,ამრიგათ ჩვენ საქმე გვაქვს უპასუხისმგებლო

ანონიმებთან, რომელთა კადნიერება იქამდის მისულა, რომ აშკარა სიყალბესაც არ დარიდებიანო", ბოდიში, მაგრამ თქვენ შეგნებულათ სტყუით. ეს ალბათ რაიმე ხეირს გაძლევთ, თორემ სიმართლემ რა დაგიშავათ? ამგვარად, თქვენს ფრონტში არ დგას საქ. ერ. დემ. პარტია, ეს ერთადერთი ეროვნული პარტია, რომლის გარშემო თავს იყრიან ყველა მებრძოლი წრეები. თქვენი ათვალწუნებული ,,ტრიო" ამ პარტიასთანაა და პარტია კიდევ ამ ,,ტრიოსთან". განა მარტო ეს. თქვენ ფრონტში არ სდგას აგრეთვე არც საქართველოს შეფიცულთა ოჯახი მისი ბელადით, ეს საქართველოს ეროვნული ბრძოლის პირველი მედროშე; არც ქართველ მხედართა ორგანიზაცია, არც პატრიოტთა ახალი ორგანიზაცია ,,თეთრი გიორგი" და ზოგი სხვაც. და ეს იმიტომ, რომ არ ვიზიარებთ თქვენი ფრონტის ე. ი. მთავრობის პოლიტიკის გეგემონიას, ამდენი დანაშაულის ჩამდენს და ამდენი საქვეყნო უბედურების მომტანს. ამ რიგათ თქვენი ფრონტი არ არის ,,საერთო ეროვნული ფრონტი". იგია მხოლოდ და მარტოდმარტო სამი საბოლოოდ გაკოტრებული სოციალიზმის საერთო ფრონტი, _ მენშევიზმის, სოციალ-ფედერალიზმის და სოციალ-რევოლუციონარიზმის. რომ ამ ფირმას, გატეხილი სახელის აღსადგენათ, ესაჭიროება სხვა კომპანიონების შეძენა და ამის უფლებაც აქვს, ეს უდავოა; რომ გვაზავა-ამირეჯიბს და მათი ,,ჯგუფის" ყოველ წევრს აქვს პირადი უფლება თავისი ძალ-ღონე, თუნდაც ამ ნდობადაკარგულ ფირმას ამსახუროს, ესეც ეჭვს გარეშეა. მაგრამ ღვთის გულისათვის, ნუ აიჩემებთ ნურც საქ. ერ.-დემ. პარტიის სახელს, ნურც სხვა ეროვნული ორგანიზაციების სახელს და ნურც საერთოდ ,,საერთო ეროვნული ფრონტის" სახელს!

დაენახეთ ქვეყანას იმ სახით, რა სახეც ნამდვილათ გაქვთ. იგი გაგვსჯის ორთავეს და ნამდვილ ეროვნულ ფრონტსაც გაიჩენს.

მიიღეთ და სხვ. სპ. კედია.

სპირიდონ კედიას მიმართვა საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს მიხეილ წერეთელს

26.07.1943.
ბერლინი

ბატონო თავმჯდომარე, ძვირფასო მეგობარო!

ამით გაცნობებთ, თანახმად ჩემი განცხადებისა კომიტეტის სხდომაზე ა.თ. 17-ს, რომ მე თავს ვანებებ ქართული ეროვნული კომიტეტის წევრობას. მოგახსენებთ, თუ რატომ. იქნებ ეს მთლად უსარგებლოდ არ დარჩეს ქართული საქმისათვის.

პირველ შეხვედრისასვე დავინახე, რომ კომიტეტის ხელმძღვანელობა, ამ მძიმე წუთებში ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა, ქართულ ამოცანას იმ ჯგუფის ვიწრო ინტერესით უდგებოდა, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა.

ამ ახალ საქმესთან ამ გაგებით მისვლა უკვე ნიშნავდა დანარჩენი ქართველობის შეგნებულად გარიყვას და ძველი დაქსასულობის ახალ გამწვავებას. ამის აუცილებელი დასკვნა კი თვით კომიტეტის მისიის გაცრუება და უფრო ფართოდ რომ ავიღოთ, საერთაშორისო ქართული საქმის დაზიანება უნდა ყოფილიყო.

მე არ დამიმალავს ეს ჩემი შიში და არც ჩემი შეხედულება ეროვნული კომიტეტის ნამდვილ დანიშნულებაზე, რომელიც არსებითად ეწინააღმდეგებოდა კომიტეტის ხელმძღვანელობის მიერ აღებულ ხაზს.

თავის მოწოდებით და დანიშნულებით, ქართული ეროვნული კომიტეტი უნდა ყოფილიყო გამომსახველი საერთო ქართული ხელისუფლებისა და დამცველი საერთო ქართული ეროვნული მიზნებისა; შემომკრები და თავმომყრელი ყველა ქართული ძალებისა, რაც შეიძლება ღირსეული მონაწილეობის მისაღებად იმ საერთო ბრძოლაში, რომელიც დღეს ბოლშევიზმის წინააღმდეგ სწარმოებს.

ამ დანიშნულების ზედმიწევნით შესრულებისათვის საჭირო იყო მომენტის რთული შემეცნება, თუნდაც ემიგრაციის ფარგლებში გამოყენებით. ჩვენი სინამდვილის სწორი დანახვა და მისი მართებული შეფასება იყო ერთადერთი გზა, რომელიც აქეთ მიდიოდა.

ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში კი ყველაფერი ამ ეროვნული ერთობის სასარგებლოდ ლაპარაკობდა. მასში მტკიცე და ცხოველმომქმედი იყო საერთო ეროვნული საფუძვლები: ჩვენმა ემიგრაციამ თავიდანვე არ იცნო ბოლშევიკების ხელისუფლება საქართველოზე და მას ბრძოლა გამოუცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის სახელით. ამ ბრძოლებში, ოცი წლის მანძილზე, დამტკიცდა მისი ეროვნული დროშის გაუტეხელი სიყვარული და ბოლშევიზმის მიმართ შეურიგებელი წინააღმდეგობა. ბოლოს ამ ორმა აქტიურმა თვისებამ გადასწყვიტა მისი ორიენტაციის საკითხიც. გამოცხადდა თუ არა რუსეთ-გერმანიის ომი, მთელი ემიგრაცია გერმანიისაკენ დაიძრა, რომ თავისი წვლილი შეეტანა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ეს იყო ნორმალური ქართული რეაქცია, ვინაიდან რუსეთთან ომის დაწყებით, გერმანია კვლავ გახდა ქართველი ხალხის ეროვნული მიზნების ბუნებრივი დამხმარე და პერსპექტივაში გამოგვესახა 1914-1918 წ.წ. გერმანულ-ქართული ურთიერთობის განმეორების შესაძლებლობა.

ამგვარად, ემიგრაციის ფარგლებში ყველაფერი მოცემული იყო _ მიზნისა და მტრის ერთიდაიგივეობა, საერთო ბრძოლის სისხლით შემტკიცებული წარსული, საერთო ორიენტაცია, საერთო ეროვნული აგზნება და იმედი, რომ ამ ელემენტების საფუძველზე შექმნილიყო ერთი ეროვნული ძალა, ერთს ორგანიზაციაში თავმოყრილი და ერთი ეროვნული კომიტეტის მეთაურობის ქვეშ დაყენებული, ეროვნული ერთობლიობის ბირთვი, რომელსაც ზრდის პროცესში თანდათან უნდა შეეკრიბა და თავის სხეულში შემოეყვანა ჯერ ის ქართველობა, რომელიც ომის ბრუნვამ აქეთ გადმოსტყორცნა და ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახადა და მერე მთელი ქართველი ხალხიც, თუ რომ განგება ჩვენს საქართველოში ჩასვლას ინებებდა. რომ ეს გაკეთებულიყო, ამისათვის არსებულ ნივთიერ სინამდვილეში კომიტეტს მხოლოდ თავისი გამრიგებელი შემოქმედება უნდა შეეტანა.

ეს იქნებოდა ნამდვილი ,,ქმნა მართლისა სიმართლისა" და არა ის, რომ ჩვენი სინამდვილის პოლიტიკურ მრავალსახიანობიდან მარტო ერთი ჯგუფი ამოგვეღო და ისიც, შემთხვევით, ქართველ ხალხში სრულიად უცნობი და ყველაზე ნაკლებ დამსახურებული. რაც შეეხება მტრის წინააღმდეგ ამ ოცი წლის ბრძოლის ისტორიას. ამას კამათის სიყვარულით არ ვამბობ, არამედ მომყავს როგორც ფაქტი, რომ უფრო ნათელი გახდეს ჩადენილი შეცდომა და უფრო გასაგები დანარჩენთა საერთო უკმაყოფილება.

ეროვნული კომიტეტის ხარჯზე, ასეთი ჯგუფის ეგოიზმით დღეს ასპარეზზე გამოსვლა და მისი კერძო გამთიშავი ატრიბუტებით თავის თავის მოკაზმვა, როგორც ეს კომიტეტის ხელმძღვანელობამ მოიმოქმედა, შეიძლება ყველაფერი იყოს, მაგრამ ეს არ არის ის ქართული ნაბიჯი, რომელიც დღეს საჭიროა ეროვნული ერთსულოვნობის შესაქმნელად!

კომიტეტის დანიშნულების საკითხში ამ არსებითი განსხვავების წინაშე, ჩემთვის ერთადერთი გამოსავალი იყო დარჩენილი _ სახელდობრ, ჩემი კომიტეტიდან გამოსვლა. მაგრამ მე ვარჩიე ერთგვარი მსხვერპლის მოტანა-ცდა და ლოდინი. მრავალი საზოგადო ღირებულების მოსაზრება მოითხოვდა ამას.

მართლაც, კომიტეტი ჯერ კიდევ სულ ახალი საქმე იყო. ჩვენმა ემიგრაციამ მისი სახით მიიღო პირველი დაკმაყოფილება საქართველოს ეროვნული პიროვნების ცნობის საკითხში, საზოგადოებაში ასე იქნა დაფასებული კომიტეტის ოფიციალურად ცნობის ამბავი. ეს იყო ჩვენთვის პირველი ფეხის მომაგრება, მომავალში მეტი და მეტი მოქმედების გასაშლელად, დასაწყისი ერთგვარი პერსპექტივიანი ხანისა. შეცდომების გამოსასწორებლად კი, როგორც ამას ვიმედოვნებდი, დრო კიდევ წინ იყო, თუ რასაკვირველია, ამის კეთილი სურვილი გვექნებოდა. ამ პირობებში ქართული ინტერესისათვის საზარალოდ მივიჩნიე, რომ კომიტეტის გარშემო დასაწყისშივე რაიმე სიძნელე ან უბრალო უხერხულობა აღმოცენებულიყო, თუნდაც ჩემი მანდედან გამოსვლის სახით.

ამ წმინდა ეროვნული მოსაზრებით და იმ იმედით, რომ კომიტეტის ხელმძღვანელობის ვიწრო ჯგუფური ხასიათი დროთა განმავლობაში შეიცვლებოდა, მე დავსძლიე ჩემი რწმენის მოუთავსებლობა ამ თქვენი კონცეფციის ხელმძღვანელობასთან და თავი შევიკავე კომიტეტიდან გამოსვლისაგან. ეს იყო ათი თვის წინად. ამ განვლილმა თვეებმა კი თანდათან გაჰფანტეს, თუ ვისმეს რაიმე ილუზია ჰქონდა კომიტეტის უფლებებზე და ამავე დროს გამოირკვა ისიც, თუ რა იყო მართალი და რა არა ჩემს წინათგრძნობაში. მართალი გამოდგა ჩემი შიში და უსაფუძვლო ჩემი იმედი.

მართლაც, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, კომიტეტის ხელმძღვანელობის მკვახე ჯგუფურმა სულისკვეთებამ, რამდენადაც იგი საზოგადოებაში გამოვიდა, თანდათან გაანელა კომიტეტის დაარსების ფაქტით გამოწვეული პირველი კმაყოფილება. ეს პროცესი იმით დამთავრდა, რომ როდესაც კომიტეტის ხელმძღვანელობამ ბოლოს შეიწყნარა კომიტეტის შევსების საჭიროება, რომ გარეგნულად მაინც ჰქონოდა მთლიანობის ელფერი, მას თანამშრომლობაზე უარი უთხრეს, ჩემის ცნობით, ვიწრო ჯგუფური მიმართულების გამო, სწორედ იმ წრეებმა, რომლებიც მას აინტერესებდა. ასე რომ, დღესაც განზე დგას და საერთო საქმეს გამოკლებულია ქართული ძალის სასარგებლო მნიშვნელოვანი ნაწილი.

მეორე მხრით, ამავე ჯგუფური სულისკვეთების გამო, კომიტეტმა ვერ შესძლო სხვადასხვა უწყებაში უკვე დიდიხნიდან მომუშავე ძალების შემოერთება და მათი მოქცევა თავის ხელმძღვანელობის ფარგალში, არამედ უფრო დაიშორა და დაიპირისპირა, რომ ეს ხალხი შემთხვევით იმავე ჯგუფისა ყოფილიყო, რა ჯგუფსაც კომიტეტის ხელმძღვანელობა თავის თავს აკუთვნებს, მე დარწმუნებული ვარ, მისი დაკავშირება სრულიად ბუნებრივად მოხდებოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ამ ყოფის ერთი უაღრესად სამწუხარო შედეგი: კომიტეტის ხელმძღვანელობის ჯგუფურმა სიმპატიამ შეჰქმნა ხელსაყრელი ატმოსფერო ამ ჯგუფის სასარგებლო პროპაგანდის გასაწევად. გამოჩნდნენ ამ განწყობილების ფანატიკურად გამომყენებელი პირებიც და პარტიული შხამი ჩაწვეთებული იქნება იქ, სადაც ეს არასოდეს არ უნდა მომხდარიყო... ქართველ სამხედრო ტყვეებში! იქ სადაც ემიგრაცია ძალიან ფრთხილად და მხოლოდ საერთო ქართული განწყობილებით უნდა მისულიყო, სადაც მას ერთი აზრი და გრძნობა, ერთი პირით უნდა მიეტანა, რომ ამით უფრო გაადვილებულიყო ემიგრაციისა და ამ საქართველოს ურთერთში მტკიცე შედუღება, დღეს უკვე შეტანილია შინაური გახრწნის ბაცილები

და გრძნობა უნდობლობისა იმ დანარჩენი ემიგრანტული ფენების მიმართ, რომელთაც ეს პროპაგანდა არა სწყალობს. თუ ეს ბოროტება დროზედ არ აღმოიკვეთა, მერე შეუძლებელი იქნება მასთან ბრძოლა.

ამგვარად, კომიტეტის ხელმძღვანელობის მხრივ ვიწრო ჯგუფური ინტერესის ადევნებამ ხელი შეუშალა ქართველობის თავმოყრას ერთი ეროვნული ცენტრის გარშემო; ამით კი შესაძლებელი გახდა ძველ განხეთქილებათა დარჩენა და გამწვავება და სხვა ახალთა წარმოშობა! ეს ვითარება შინ გვარღვევს და გვრევს, გარეთ სახელს გვიტეხს და საერთოდ, ქართულ საქმეს ვნებას აყენებს.

ჩემთვის დღეს ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს სამწუხარო მდგომარეობა დიდი ხნიდან მოგვარებული იქნებოდა და ქართული აზრისა და მოქმედების მთლიანობა სავსებით განხორციელებული, რომ კომიტეტის ხელმძღვანელობას დღევანდელი მომენტის ქართული შეგნება გამოეჩინა და ამ მიმართულებით ცოტა ენერგია მაინც დაეხარჯა. თუ ერთის მხრივ ჩემი თავდაპირველი შიში ასე გამართლდა, სამაგიეროთ სრულიად შემცდარი აღმოჩნდა ჩემი იმედი, რომ კომიტეტის ხელმძღვანელობა შესცვლიდა თავის ჯგუფურ ხაზს. წინააღმდეგ მოლოდინისა, თქვენ დღესაც მტკიცედ დგეხართ ამ ჯგუფურ გზაზე, როგორც ეს გამოირკვა იმ აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს, რომელიც გვქონდა ამ საკითხის გამო კომიტეტის ზემოაღნიშნულ სხდომაზედ.

გასაოცარი ისაა და მე ამას გულისტკივილით აღვნიშნავ, რომ კომიტეტის ხელმძღვანელობაში მე ვერ დავინახე, თუმცა ბევრჯერ შევეცადე რომ ეს გამჟღავნებულიყო, ეროვნული მთლიანობის შექმნის უბრალო მოთხოვნილებაც კი, ის ეროვნული ინსტიქტი, რომელიც დიდი გასაჭირის დროს ადამიანში აჩუმებს ხოლმე ერის გამომთიშავი ძალის ხმას და ჰქმნის ეროვნული ერთსულოვნების დიად გრძნობას, იმ სასწაულმომქმედ ძალას, რომელსაც ჩვენი ქვეყანა არა ერთხელ გადაურჩენია არარად ქცევისაგან!

მწუხარებას გამოვთქვამ იმის გამო, რომ დღეს ქართული ნაციონალიზმის ერთ ბანაკში ასე ძლიერად ფეხი გაუდგამს ისეთსავე სექტანტურ სულისკვეთებას სხვების მიმართ შეურიგებელი დაპირისპირებისა, რა სულისკვეთებაც ამოძრავებდა ამ 25 წლის წინად და კიდევ უფრო ადრე ,,ქართული" მარქსიზმის მიმდევართ. ამ მსგავსების აღნიშვნა მე არ მავიწყებს მათ შორის არსებულ განსხვავებათა უფსკრულს.

ნუთუ ამდენმა დრომ და იმ ზღვა უბედურებამ, რომელიც ამ ხნის განმავლობაში თავს დაატყდა ჩვენს ბედშავს ქვეყანას, ისე უნაყოფოდ ჩაიარეს, რომ დღეს ქართულმა ნაციონალიზმმა იგივე დანაშაული არ ჩაიდინოს ეროვნული მთლიანობის წინაშე, რაც წარსულში მარქსიზმმა ჩაიდინა?!

გარდა იმისა, რომ კომიტეტის ხელმძღვანელობის ეს ხაზი ეწინააღმდეგება ქართული ნაციონალიზმის ტრადიციულ ბუნებას და რომ ამ უკანასკნელის სახელით თავს ვალდებულად ვსთვლი მის წინააღმდეგ პროტესტი განვაცხადო, იგი დღეს, პრაქტიკულად რომ გავსინჯოთ, ღუპავს დიდ ეროვნულ შესაძლებლობას, იგი ხელს უშლის ეროვნული მთლიანობის გამოჭედვას, იმას რაც დღევანდელი მომენტის აზრი და მოწოდებაა!

ვინაიდან მხოლოდ ერთობის გრძნობით შედუღებული ერია: მტრისათვის საშიში, მოკავშირისათვის გამოსადეკი და თავის ქვეყნისათვის თავგადარჩენის ყველაზედ უდიდესი ძალა. ამ ძალის შექმნა არის ჩვენი ერთადერთი სადღეისო ამოცანა. ბატონო თავმჯდომარე და ძვირფასო მეგობარო!

დამემოწმეთ, რომ საქართველოს წინაშე ასე ერთბაშად ამდენი საფრთხე არასოდეს არ წამოჭრილა. დღევანდელს უნივერსალური ნგრევის პროცესში,

რომელშიაც ჩვენც ჩათრეული ვართ, საქართველოს თავისუფლების სუსტი იმედი გახვეულია საქართველოს სრული აღგვის საშიშროებაში. შეიძლება არაფერი მივიღოთ და ყველაფერი კი დავკარგოთ!

როცა ქვეყანა ასეთი განსაცდელის წინაშე დგას, ჩვენ სასწაულმომქმედი უნდა გავხდეთ, რაც გუშინ შეუძლებელი იყო, ის დღეს შევძლოთ და გავაკეთოთ.

ამ მიმართულებით, სხვა რა უნდა იყოს პირველი ჩვენი ღონისძიება, თუ არა აქაური დაზავება და თანხმობა, თუ არ თავგამოდებული ცდა და მუშაობა მტკიცე ეროვნული ერთობის დასამყარებლად.

შიგნით დარღვეული ერი არასოდეს არაფრის შემქმნელი არ ყოფილა და ყოველთვის, როდესაც მის კარზე განსაცდელი მომდგარა, იგი მისი პასიური და უღონო მსხვერპლი გამხდარა. და ჩვენ რომ დღესაც დაქსასული ვართ! გეუბნებით, ჩემთვის მეტის-მეტად სამწუხაროა და გაუგებარი, რომ თქვენ, რომელსაც ამდენი ლამაზი დამსახურება მიგიძღვით ჩვენი ეროვნული შეგნებისა და უფლებისათვის ბრძოლაში, დღეს ასე გადაჭრით განდგომიხართ ყოველ საღ მოსაზრებას და გრძნობას, რომელიც დღეს ქართული ხალხის ერთობის გარდაუვალ საჭიროებაზე ღაღადებს!

დამერწმუნებით, არ არის ქართული საქმე და არც ქართული ღირსების შესაფერი, რომ დღეს ქართველმა კაცმა თავისუფლად მიუშვას და აღვირი არ ამოსდოს საერთო კონიუქტორის თავისი ჯგუფის სასარგებლოთ გამოყენების ხარბ გულისთქმას და მას მსხვერპლად მიუტანოს ეროვნულ ძალთა გაერთების დიდი საქმე! მომავალმა სთქვას _ ჩვენ ორში ვინ სცდება და ვინ არა.

ხოლო დღეს იმ სიცხადის წინაშე, რომ თქვენი გეზი უცვლელი რჩება, მე იძულებული ვარ კომიტეტს თავი დავანებო, ვინაიდან მე არ მინდა წილი მედოს ისეთ მოქმედებაში, რომელიც არ მწამს და მავნებლად მიმაჩნია.

დავშთები მარად თქვენი პატივისმცემელი.

ბერლინი, 06.07.1943.

სპირიდონ კედიას სიტყვა

პირველი ეროვნული ერთობა საქართველოსათვის

ბატონებო,

დიდი ხანია, რაც დავკარგეთ საერთო ენა და ერთმანეთის გაგება, რაც ერთმანეთს არ დავლაპარაკებივართ, როგორც ქართველი ქართველს. ყველაფერი იყო ჩვენ შორის და ეს კი _ არა. იყო კი _ აი რა: ჯერ საქართველოში, რაც ჩვენ ჩვენი თავი გვახსოვს, მარტო იმას ვაკეთებდით, რომ ერთმანეთს თავს ვესხმოდით, როგორც მენშევიკი, ან როგორც ბოლშევიკი; როგორც ფედერალისტი, ან როგორც ნაციონალ-დემოკრატი, რაც უფრო მეტს ველაპარაკებოდით ერთმანეთს ჩვენ ჩვენს ენაზედ: (მენშევიკი _ მენშევიკურზე, ბოლშევიკი _ ბოლშევიკურზე, ფედერალისტი _ ფედერალისტურზე და ეროვნულ-დემოკრატი _ ეროვნულ-დემოკრატიულზე), მით უფრო ნაკლებათ გვესმოდა ერთმანეთისა! რაც უფრო ახლოდან ვუტევდით ერთმანეთს, ყველანი ერთად ამ ამბებში, მით უფრო ვშორდებოდით როგორც ერთმანეთს, ისე საერთო სამშობლოს. ჩვენ ერთმანეთი ვერ დავაჯერეთ და ვერც დავამარცხეთ, მაგრამ ყველამ

ერთად შეერთებულად იმდენი ვქენით, რომ სამშობლო დავაუძლურეთ და დაუნდობელი მტერი ზედ შევასიეთ!

ეს იყო საქართველოში და მას აქეთ გავიდა 18 წელი. ამ უკანასკნელი უბედურებიდან მთელი ეს 18 წელიწადი მტერი იქ მძვინვარებს: იგი ანგრევს ჩვენს მამულს, ჩვენს დედულს, ჩვენს სახლ-კარს, ჩვენს კერას; ამხობს და ფეხით თელავს მამაპათა წმიდა სალოცავებს; ხოცავს და ჟლეტს გაუთავებლივ უდანაშაულო ქვეყნის უდანაშაულო შვილებს...

ეს 18 წელიწადი, ჩვენ კი აქ ემიგრაციაში ძველებურად ვიცხოვრეთ. ვერ შევამჩნიეთ, რომ მდგომარეობა შეცვლილი იყო, რომ საგანი გამოცვლილი იყო, რომ ეხლა საქმე ძალაუფლების ჩაგდებას და თავისი რეჟიმის დამყარებას კი არ ეხებოდა, არამედ, შემოსეულ მტრის გადევნას. რომ მდგომარეობის შეცვლასთან ერთად უნდა შეცვლილიყო ჩვენი აზრი. ახლა ემიგრაციაში იქაური სენი აქ გადმოვიტანეთ, უფრო და ნაირნაირად ავაყვავილეთ. ვძიძგნეთ ერთმანეთი; თავი არ დავიზოგეთ ერთმანეთის დამცირებაში, ერთმანეთის გაფუჭებაში, ერთმანეთის დაკნინებაში, ერთმანეთის დაბეზღებაში, თავისთავის შერცხვენაში, მაღალი მოვალეობის დავიწყებაში; პრინციპებისა და რწმენათა დახურდავებაში, რომ ყველაფერი რამდენსამე სიტყვაში დავაჯამოთ _ არაფერი დავზოგეთ და ყველაფერი კი გავაკეთეთ იმისათვის, რომ საქართველოს ღირსება და სახელი დაგვეზიანებინა...

ეს 18 წელიწადი, აქ მენშევიკმა ჯერ იმენშევიკა, ფედერალისტმა ჯერ იფედერალისტა და ნაციონალ-დემოკრატმა ინაციონალ-დემოკრატა... (თითქოს ეს საკმარისი არ ყოფილიყო), აქ დაბადებულმა დასებმაც, ეს ჭირი შეიყარეს და ის კი არ გაკეთდა, რაც უნდა გაკეთებულიყო: ამათგან პირველყოვლისად და აბსოლუტურად აქამომდე ჯერ ვერავინ იქართველა! თეთრი გიორგიმ ითეთრგიორგელა, ქართველმა იქართველა. და საქართველოს კი მთელი ეს დრო ყველამ მარტო ამ დასთა დასური ინტერესის ნასუფრალი საქართველო თავის შესაქცევად გაუწყალობა. ვისაც შესწევს ძალი და უნარი საქართველოს სულის ტანჯვას უსაიდუმლოს, ის არ შეიძლება სირცხვილით არ იწოდეს ამ მოვლენის წინაშე, რაც ჩვენს ემიგრაციაში მოხდა და დღესაც ხდება. ემიგრაციის პოლიტიკური ცხოვრების სურათი ბევრად უარესია, ვიდრე ჩვენი დროის პოლიტიკური სურათი იყო საქართველოში. ქართული ერთობის იდეის დაშლა, მისი ატომიზაცია უკიდურესობამდეა მისული. საბუთად, მეტი რა გნებავთ; რაღაც ორას ქართველზე ათი სხვადასხვა გამოცემა და თერთმეტი სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფება არსებობს! ვამბობ, ორას ქართველზე-მეთქი, ვინაიდან ამაზე მეტი რიცხვი არასოდეს არ დასწრებია პარიზის ქართველობის კრებას, _ თვით მაშინაც კი, როდესაც პარტიზანულ დაპირდაპირების სიანჩხლეში, ყველა თავქუდმოგლეჯილი დარბოდა, რომ კრებაზე რაც შეიძლება მეტი თანამოაზრე მიეყვანა!

ისეთი ამბავი გვაქვს, თითქოს პოლიტიკურ ქელეხზე ვიყვნეთ და მიცვალებულის ნაოხარიდან _ ერთმანეთს არ ჩამოვრჩეთო _ საკუთარი ულუფის გატაცებისათვის ერთმანეთს თავ-პირს ვამტვრევთ!.. რომ ცალ-ცალკე ჩამოვთვალოთ, თავის ცხოვრებით ცხოვრობს და იბრძვის: მენშევიკური ემიგრაცია ერთი, მენშევიკური ემიგრაცია მეორე, მენშევიკური ემიგრაცია მესამე; ნაციონალ-დემოკრატიული ემიგრაცია ერთი, ნაციონალ-დემოკრატიული ემიგრაცია ჯგუფი მეორე, ნაციონალ-დემოკრატიული ემიგრაცია ჯგუფი მესამე; ფედერალისტური ემიგრაცია ჯგუფი ერთი, ესერული ემიგრაცია ჯგუფი ერთი, ესერული ემიგრაცია ჯგუფი მეორე; თეთრი გიორგის ემიგრაცია ჯგუფი ერთი, თეთრგიორგეული ემიგრაცია ჯგუფი მეორე; მონარქისტული ემიგრაცია ჯგუფი ერთი და სხვაგან

გაქცეული მონარქისტების ემიგრაცია ჯგუფი მეორე და სხვადასხვა და სხვა... მაგრამ აღარსად არის ის რაც უნდა იყოს: საყოველთაო ქართული ეროვნული ემიგრაცია! ერთი აზრით წრეების მეთაური. ვინ არის დამნაშავე?! _ ჩვენ ყველანი ამ აწეწ-დაწეწილობის. ამ ჯგუფთა ეგოისტური ამბიციები ამუშავებულია ერთი მეორის წინააღმდეგ გასაოცარის სიბასრით და ერთმანეთს ებრძვიან გაალმასებული მტრობის გრძნობებს აწყობილნი! მიზანია ერთმანეთის დამარცხება. საშუალებად ყველაფერი გამოყენებულია. ყველას თავისი საკუთარი ორიენტაცია და საორიენტაციო ქვეყანა აქვს არჩეული და ამ ქვეყნებში მათ ხელისუფალთა წინაშე ხდება ერთმანეთის დაბეზღება, ერთმანეთის არარად ქცევა! საქმე არ თავდება მარტო მომქმედთა ღირსების დაკნინებით ამ უცხოთა თვალში. მათი საქციელით ზიანდება თვით საქართველო, ქართულ საქმეს ეკარგება ნდობა და სიმპათია!

ჯგუფური ამბიციის ზვიადობა გონებას გვიბნელებს და გვანადგურებიებს მშვენიერ ქართულ სახიერებას, კაცობრიობის ოჯახში ერთ ულამაზეს სანახაობას, რომლის შესაქმნელადაც უმუშავნიათ გარდასულ თაობათა უთვალავ წყებებს და რომელიც კაცობრიობის ოჯახში ერთ ულამაზეს სანახაობას წარმოადგენს!..

ანარქიაა გამეფებული! არავითარი ნასახი არც ეროვნული დისციპლინისა, არც ბუნებრივი იერარქიზაციისა და არც ეროვნული გონების ბატონობისა! არა სჩანს ეროვნულად ერთგული გრძნობის და გონების მეუფება. ყველა-ყველას გაურბის, არავის არავინ უნდა. ყველა თავის გუნებაში სარდლობს და თავკაცობს. მსმენელი, ჯარისკაცი აღარსად დარჩა! აშენდა საქართველო!.. ეს საით მივდივართ. ამ გზის ბოლოში თუ ეროვნული სიკვდილი გვინდა, სხვა არაფერი გვჭირია გარდა იმის. ამას ყველა ვხედავთ, მაგრამ პასიურად ვიტანთ და მის წინააღმდეგ არავითარ რეაქციას არ ვახდენთ. ცალკეული მსხვერპლი და ღონისძიება შედეგს არ იძლევა; საჭიროა კოლექტიური მსხვერპლი, საჭიროა საერთო თადარიგი და მოქმედება, რომ ბოლო მოეღოს ამ მორალურად სამარცხვინოსა და ეროვნულად სასიკვდილო მდგომარეობას. მე დღეს სწორედ ამ კოლექტიური მობილიზაციის წინადადებით გამოვდივარ.

გეტყვით და დამიჯერეთ, ამის თაოსნობა ისე ადვილად არ ამიღია. არამედ ბევრი სულიერი ყოყმანი და ღელვა გამოვიარე, ვიდრე საბოლოოდ გადავსწყვეტდი თქვენს დაპატიჟებას ამ საუბრის მოსასმენად. ამის ბევრი მიზეზიდან, მე დავასახელებ მხოლოდ ზოგიერთს: მე არ მინდოდა, რომ ეს ჩვენი დღევანდელი შეხვედრა ერთი იმ ჩვეულებრივი შეხვედრათაგანი ყოფილიყო, სადაც ჩვენ ყველანი ჩვენ ჩვენი იდეოლოგიისა და ორგანიზაციის დასაცავად მოვდიოდით და საიდანაც ყველანი ვბრუნდებოდით ერთმანეთისაგან უფრო დაშორებულნი და ერთმანეთის მიმართ უფრო დაპირისპირებულნი და შეურიგებელნი. დღეს ასეთი შეხვედრის განმეორება ახალი ზიანის მიყენება იქნებოდა ისედაც მძიმედ დაშავებული ჩვენი საერთო საქმისათვის. ეს კი, არა მგონია, ვინმეს ესაჭიროებოდეს, იმდენათ უკვეა დატვირთული ყოველი ჩვეთაგანის წარსული შეცოდებებით!

მეორეს მხრით, ამ საუბრის შედეგთან, ან უკეთ იმ პრინციპის მიღებასა თუ არმიღებასთან, რომელიც აქ არის წარმოდგენილი, დაკავშირებული მაქვს როგორც დღეისათვის, ისე ყოველ დროისათვისაც, საქართველოს ბედი და მომავალი, რამდენადაც ამის გამოჭედვა დამოკიდებულია საერთოდ ქართველობაზე, ხოლო აქ, კერძოდ ჩვენზე! ეს მომავალი, ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს მზიანი და ბრწყინვალე, მეორე შემთხვევაში სისხლნაკლული და უსიხარულო. ამ საუბრის ამრიგათ გადაბმა ჩვენი საერთო სამშობლოს არსებობის ღირსებასთან დღევანდელ შეხვედრას წინდაწინ ჰტვირთავს განუზომელი სიმძიმის პასუხისმგებლობით: ვაი

თუ ან მომხსენებელი არ აღმოჩენილიყო საკითხის სიმაღლის ტოლი, ან მსმენელი და ამ საუბრიდან შინ დამარცხებული არ დაბრუნებულიყო ის ძალა, რომელიც ყოველ დროსა და გარემოში ყოველი ერის აღორძინების საწინდარი ყოფილა!

ამავე დროს ეს საუბარი, რა სახითაც მე იგი განზრახული მაქვს, სხვა არა იქნება რა, თუ არ ომის გამოცხადება იმასთან, რაც ჩვენი პოლიტიკური აზროვნებისა და შემეცნების სამყაროში უკვე დიდი ხნიდან დამკვიდრებულია როგორც უძრავი პოლიტიკური სიბრძნე და რასაც თითქმის ყოველი ჩემი მსმენელის არსებაში მოპოებული აქვს გარდაუვალ ჭეშმარიტების ძალა და სახელი. სხვა სიტყვებით, ეს საუბარი თავის არსებით მიმართულია მთელი ჩვენი ნახევარი საუკუნის პოლიტიკური ტრადიციის წინააღმდეგ.

ადვილი წარმოსადგენია ამიტომ, თუ რაოდენ ტკივილს წამოშლის ზეზე ჩემს მსმენელებში ეს ჩემი დღევანდელი განზრახვა და იქნებ ამან აღშფოთების ქარიშხალიც კი დაატრიალოს, მაგრამ ყველა ამისდა მიუხედავათ, ბოლოს მაინც გადავსწყვიტე ჩემს გარშემო, როგორც უკმაყოფილების პირველი რეაქცია, იმდენად ძლიერია ქართველ ადამიანში ამ ტრადიციისადმი ინერციული ერთგულება! თქვენი გაწყინება, ამ საუბრის გამართვა, ხოლო რომ თვით ამ ჩვენი შეხვედრის საგანს, რაც შეიძლება მეტი მართებული მოპყრობა და დაფასება მისცემოდა, მე ვარჩიე, რომ დღევანდელ კრებას განსაკუთრებული ფორმა და შემადგენლობა ჰქონოდა. როგორც უწყით, კრებას დახურული ხასიათი მივეცი, რომ ამას გაეადვილებინა ჩვენ შორის უშუალო და გულახდილი ურთიერთობა. ასეთ ვიწრო წრეში ადამიანი უფრო ეკუთვნის თავის თავს; აქ მეტის სიმშვიდით შეიძლება დავუშვათ ჩვენი არსების ბოლო სიღრმეებში და აქ მოვახდინოთ ჩვენი თავის შეგნებული დაკითხვა უფრო, ვიდრე ოდესმე ყური ვათხოვოთ სინდისის ხმას და გავყვეთ მის მოწოდებას. ვინაიდან ეხლა ყველაზედ უფრო საჭიროა, რომ სინდისის ხმა დავიჭიროთ და გავყვეთ მის მოწოდებას. კრებაზე მოწვეული მყავს თითქმის ყველა, ვისაც კი ჰქონია მძიმე ბედნიერება _ ყოფილიყო ქართველი ხალხის მმართველი თუ კანონმდებელი, მისი წარმომადგენელი თუ მაღალი ხელისუფალი. მოწვეულნი არიან აგრეთვე სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი წევრები. ყველა თავის წარსულით მონაწილე და პასუხისმგებელი ვართ საქართველოს ცხოვრების უკანასკნელი 20-25 წლის ამბებისა, უფრო შორს რომ არ წავიდეთ. ერთად აღებული მთელი ეს წრე წარმოადგენს იმ კადრს, რომლის ხელშიაც კიდევაც იშვა და კიდევაც ჩაკვდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობა! ამ თავისი პირადი მდგომარეობის გამო, არ შეიძლება რომ თითოეული ჩვენთაგანი, საქართველოს წინაშე არ გრძნობდეს თავის მძიმე მოვალეობას და კიდევ უფრო თავის მძიმე პასუხისმგებლობას.

დიახ ბატონებო! ჩვენ ყველანი ერთად თუ ცალ-ცალკე პასუხისმგებელი ვართ მთელი იმ უბედურებისა, რაც ამ მეოთხედი საუკუნის სივრცეზე, საქართველოს თავზე დატრიალდა. ყველანი შემცოდენი და დამნაშავენი ვართ საქართველოს წინაშე, შეიძლება ზოგი უფრო იყოს დამნაშავე, ზოგი ნაკლებ; იქნებ ჩვენ შორის ისეთებიც იყვნენ, რომ თავიანთ თავს დამნაშავეთ სრულებითაც არაფერში არ გრძნობდენ და ამიტომაც უკმაყოფილონიც ბრძანდებოდნენ, რომ ისინიც საერთო ბრალდების ქვეშ მოგვიქცევია! ეს შეგნების საკითხია! ხოლო სიმართლე ის არის, რომ ვინც თავის თავს მეტსა სთხოვს, ის ჩვენს მხრივ ეროვნულ უბედურებაში მეტ წილსაც დაიდევს როგორც დანაშაულის, ისე პასუხისმგებლობის მხრივაც, თუნდაც სუბიეკტიურად სხვებთან შედარებით ნაკლები ბრალი მიუძღოდეს. მე უფრო მგონია, რომ აქ დამსწრენი უფრო ამ უკანასკნელი კატეგორიის პიროვნებები არიან და დღეს

ამ ჩვენს საერთო უბედურებაში შეიძლება მარტო ეს იყოს ჩვენი ერთადერთი ნუგეშიც.

მაგრამ თუ ასეა, თუ დანაშაულის შეგნება არსებობს, მაშინ ამ შეგნებას თან გამოსყიდვის გრძნობაც უნდა სდევდეს. სამწუხაროდ, ამის არავითარი ნიშნები არ არის. ამ მხრივ კი მდგომარეობა უფრო უარესია, გამოსყიდვის აქტი დღემდე არავის გამოუჩენია. ყოველთვის დამარცხებით გათავებულა ყველა ცდა და თაოსნობა, რომელიც ამ შეგნების ვარაუდზე იყო წამოწყებული სხვადასხვა დროს. ამ დამარცხების მიზეზი თვით მოვლენის გაგების უქონლობა კი არ არის, _ ვინაიდან გაგებით ყველას ესმის, რომ ეს გამოსყიდვა საჭიროა და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ისიც ესმის თუ რა როგორ უნდა გაკეთდეს. ამის მიზეზია უფრო ჩვენი ზნეობრივი წელის სისუსტე, ჩვენი სულიერი სიმამაცის ნაკლებობა, უსათუოდ ჩვენი გონების სიზანტე, აგრეთვე უსათუოდ ქართველი კაცის სამწუხარო უხასიათობა! აქ ჩვენ საქმე გვაქვს პიროვნების კრიზისთან და არა ფორმალური შეგნების საკითხთან. ამ კრიზისის ლიკვიდაცია შეიძლება მხოლოდ შინაგანი რევოლუციური თვით გარდაქმნის წესით. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს პიროვნებაში სხვა უბედურებათა შორის დაყირავებულა მოვალეობათა იერარქიული კიბე: პირველ საფეხურზე ნამდვილათ კერძო ინტერესია გამოჭიმული _ ინდივიდური თუ ჯგუფური. სულ ქვედაზე კიდევ ძლივს საქვეყნო ინტერესი დაცოდვილობს. ეს ღირებულების შეფასების თავდაღმა მდგომარეობა, თავაღმაზე უნდა შეიცვალოს. რაც ძირსაა, ის მწვერვალს უნდა მოექცეს; რაც მწვერვალზეა, ის ძირს უნდა ჩამობრძანდეს, მაგრამ ეს ნიშნავს რევოლუციის მოხდენას პიროვნების ზნეობრივ სამყაროში, რევოლუციას თავის თავის წინააღმდეგ, პოლიტიკურ რევოლუციაზედ ბევრად უფრო ძნელს, რომელიც ყოველთვის სხვის წინააღმდეგაა მიმართული! ამ შინაგანი რევოლუციის მოსახდენად საჭიროა თვით პიროვნების მთელი ზნეობრივი სამყაროს ძალთა მობილიზაცია და მათი გალაშქრება პიროვნებაში ჩაბუდებული ეროვნული მანკიერების წინააღმდეგ. ასეთი რევოლუცია უტკივილოდ და უმსხვერპლოდ არა ხდება. ისიც მართალია, ეს ტკივილი სხვა ტკივილს არა ჰგავს და ეს მსხვერპლი სხვა მსხვერპლსა. ერთიც და მეორეც იქნებ სხვა ყოველგვარზე უფრო ღრმა და უფრო მწვავეც იყოს, ვიდრე ყველა სხვა ტკივილი. არცაა გასაკვირი: ეს სულიერი მშობიარობის ფენომენებია!

სიტყვა არ არის შეთანხმებული გულის ნამდვილ თქმასთან. სიტყვა არ სახავს ნამდვილ აზრს. არის უდიდესი გაყალბება და ვიდრე ეს წინააღმდეგობა სიტყვისა და გრძნობისა და გონების ნამდვილ ვითარებას შორის არ მოისპობა, არაფრით არაფერს არ ეშველება.

ბატონებო, ქართული ერთობის თუნდაც ნაგვიანევი დამყარება ემიგრაციაში, მთლიანად დამოკიდებულია თითოეული ჩვენთაგანის მსხვერპლის გაღების უნარზე; თითოეული ჩვენთაგანის ეროვნული შეგნების სიმაღლეზე და ჩვენი თავის იდეოლოგიური ტყვეობისაგან განთავისუფლების აუცილებლობაზე. ამისათვის, ყველამ უნდა ავამუშავოთ ჩვენი პიროვნული ზნეობრივი რესურსები. უნდა კარგად გამოვკვეთოთ ერთი რამ: ერთობის დიდი იდეის გამარჯვება ემიგრაციაში მთლიანად დამოკიდებულია სწორედ იმათზედ, ვინც აქ თავმოყრილი ბრძანდება. თუ მოხდება, ჩვენი წყალობა იქნება, თუ არ მოხდება, ჩვენი ბრალი იქნება. დაბრკოლება თუ არის, ისევ ჩვენშია და არა იმ ქართულ უმრავლესობაში, რომელიც, სამწუხაროდ, ზემოთ განვითარებული მოსაზრების გამო, ამ კრებაზე ვერ მოვიწვიეთ. ამიტომ ამ საკითხში ყველა აქ დამსწრემ თავისი პოზიცია უნდა პიროვნულად გამოარკვიოს და აიღოს.

მე არ გამოუდგები იმის მტკიცებას, რომ ერთობა საჭიროა და რომ მაშასადამე მის დასამყარებლად მუშაობა ყოველი შეგნებული ქართველის ეროვნული მოვალეობაა.

ამის მტკიცება უადგილო იქნებოდა იმიტომ, რომ ამ დებულებას ემიგრაციაში არავინ ებრძვის; პირიქით მას ყველანი ნატრულობენ და მოუხმობენ. მართალია, ამ ერთობის გაგება ყველას თავისებური აქვს; თითოეულს ის უნდა, რომ ამ ერთობას თვით დააჯდეს როგორც ბატონი და გეგემონი, ე. ი. მისი ორგანიზაცია და იდეოლოგია! ვიტყვი მხოლოდ, რომ ყველაზედ დიდი და ყველაზედ სასარგებლო პოლიტიკა, რომელიც კი შესაძლოა ქართველმა კაცმა თავის მოღვაწეობაში გააკეთოს, ეს იქნება ქართული ერთობის შექმნა და მისი დამკვიდრება. საქართველოს ყველაზედ უდიდესი ძალა ყველა სხვა დანარჩენზე მუდამ იყო და იქნება ქართველთა ზნეობრივი მთლიანობა, ქართველთა ეროვნული სულიერი ერთობა და სიმტკიცე. ესაა უდიდესი საუნჯე მიღებული ეროვნული მემკვიდრეობის შესანახად და მომავალ მოდგმათა დასაცავად. საქართველოს რიცხვითი რესურსები, მისი ტეხნიკური თუ საერთოდ ნივთიერი შესაძლებლობანი ყოველთვის მეორე-მესამე ხარისხოვან ღირებულებად დარჩებიან მის პიროვნულ თავდაცვის საკითხებში. ამიტომ ეროვნული ერთობა ქართველი კაცის ეროვნული კულტი უნდა იყოს. ყველაზედ უფრო ნაყოფიერი პოლიტიკა ის პოლიტიკაა, რომელიც გამოდის ეროვნული ერთობის შეგნების სათავეებიდან. ამიტომ ყველაზედ დიდი საქმე, რომელიც შეიძლება ქართველმა კაცმა მოღვაწეობაში გააკეთოს, ეს არის ამ გასაოცარი გრძნობის გაღვიძება, ერთობის იდეის გაბატონება.

ყოველ შემთხვევაში, მისი შეფასების სხვადასხვაობის დაცვით, ყოველი აქ დამსწრე ამ ერთობის მომხრეა. ჯერ-ჯერობით ეს უნდა ვიკმაროთ. ეს საერთოა მომხსენებელსა და ყველა დამსწრეთა შორის.

ეხლა გადავიდეთ მეორე დებულებაზე: ეროვნული ერთობის მტერი ემიგრაციაში იდეოლოგიური დარაზმულობის არსებობაა. საჭიროა ამ უკანასკნელზე ხელის აღება, რომ პირველმა ცხოვრებაში ხორცი შეისხას. ამ დებულების გარშემო პირველი რეფლექსი ყველა დამსწრეთა არ შეიძლება არ იყოს უკიდურესი გაოცება, იქნებ აღშფოთება, იქნებ სრული ნონ პოსსუმუს! იმიტომ რომ ამ დებულებაში ჩართულია იმ მსხვერპლის გაღების აუცილებლობა, რომელზედაც ზემოდ იყო ლაპარაკი! ის მსხვერპლი, რომელსაც ეს დებულება მოითხოვს იმათგან ვინც აუღელვებია _ ეს აღელვება კარგად მესმის, სრულებით არა ვკიცხავ, ადამიანურია _ ვიმეორებ, ეს მსხვერპლი, იქნებ ბევრი ღელვისა და ტკივილების შემდეგ, მეც გამიღია! და რად ვიფიქრო, რომ რაც ერთისთვის შესაძლებელია, ერთმანეთის მისვლისა და დაახლოების გულისათვის, საერთო საქმის ინტერესისათვის, შეუძლებელია იყოს ამ კრების მეორე თუ მესამე წევრისათვის?!

სად შეიძლება იყოს თვით დებულება და არა დებულების მიღება და ასრულება, თუ ის სწორია და საფუძვლიანი. შევუდგეთ ამ დებულების ობიექტურ გარჩევას ჩვენი ემიგრანტული სინამდვილის სინათლეზე. თუ გონება თავისი გარდაუვალი ლოღიკური იმპერატივით, თუ ქართული კოლექტიური ალღო და თვითგრძნობა, რომელიც ყოველ ქართველშია ჩაქსოვილი, თუ ეს მთელი ჩვენი შეგნებული და შეუცნობელი მე მიგვიყვანს და გვათქმევინებს, რომ დებულება სწორია, მაშინ ჩვენთვის საკითხი გადაჭრილი იქნება და ვერც ერთი კარგი ქართველი მსხვერპლის გაღების ვალდებულებას ვერ გაექცევა ჩვენი ერთობის _ ამ დიდი ქართული საქმის დამყარების საფასურში.

შევუდგეთ ამის დემონსტრაციას, ქართული გონებით და სუფთა გულით, გარეშე ყოველგვარი იდეოლოგიური მოსაზრებისა.

საზოგადოების ცხოვრებაში ბუნებრივია აზრთა სხვადასხვაობა, მოძღვრებათა ნაირ-ნაირობა, ადამიანთა საზოგადოების მოსაგვარებლათ, ხოლო ამის ლოღიკური შედეგია, ორგანიზაციების წარმოშობა და მათი მოქმედება. ბუნებრივია დამოუკიდებელ და თავისუფალ ხალხში დოკტრინების და ორგანიზაციების ერთმანეთთან შეტოლება და აგრეთვე მისწრაფება ქვეყნის მართვა-გამგეობის დასაპატრონებლათ. ამ შემთხვევაში, პარტიები შინა პოლიტიკის ორგანოებია. თუ ამ მოვლენის ბუნებრიობა უდაოა და თუ შეიძლება ისიც ითქვას, რომ ამაში გამოსახულია კულტურული დაწინაურების თავისებური მოთხოვნილება, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ მოვლენის ბუნებრიობა სწორედ იქ თავდება, სადაც იგი დაკარგვას იწყებს და გადაჭარბების ხაზს შეუდგება! მაშინ ბუნებრიობის ადგილს ძალადობა იჭერს. მთელი წარსულის კულტურულ შენაძენობას ბარბაროსობა სპობს. ზომას გადაცილებული დოქტრინალური და პარტიულ-ორგანიზაციული ბრძოლა და ჭიდილი ასუსტებს სახელმწიფოს და ქვეყნის დამაკნინებელ და საზოგადოებრივი ზნეობის გამრყვნელ მოვლენად გადაიქცევა, რომლის ალაგმვა უკვე ადამიანის მოქალაქეობრივ მოვალეობას წარმოადგენს...

ამ შეკვეცით, ჩვენ პარტიებსა და ორგანიზაციებს, დამოუკიდებელი საქართველოს სინამდვილეში, არსებობის და მოქმედების სრულ უფლებას არასოდეს და არც არავინ ედავება. სულ სხვაა ემიგრაციაში: აქ არ არსებობს თვით ნიადაგი ამ სახის პარტიათა არც აღმოსაცენად, არც შესანახად; აქ არ არსებობს თვით ობიექტი, რომლისთვისაც ისინი წარმოიშვებიან ხოლმე. სხვის ქვეყანაში ვინ ვისზე უნდა გაბატონდეს, ვინ რა ქვეყანა უნდა მართოს? არც ერთ ქართულ პარტიას, არც ერთ აქ წარმოშობილ პოლიტიკურ ორგანიზაციას, აქ არ აქვს არსებობის საბუთი. ვის უნდა ვუქადაგოთ ან ერთი მოძღვრება, ან მეორე, ან მესამე? ან განა ამისთვის ვართ ჩვენი ქვეყნიდან გადმოყრილნი, თუ წამოსულნი? ჩვენ ვართ საქართველოს ეროვნული ემიგრაცია. ჩვენი სამშობლო მტრის ხელში იმყოფება. ჩვენი მიზანია ბრძოლა საქართველოს უფლებათა დასაცავად და შემოსეული მტრისაგან ქართველი ხალხის დასახსნელად. ქვეყანა შუაგულ ომში ტრიალებს, მთელი ხალხი და ყოველი მისი წევრი ერთი აზრით, ერთი გრძნობით უნდა იყოს გამსჭვალული. დიდი ეროვნული განცდები, დიდი ეროვნული მიზნები, დიდი ეროვნული მსხვერპლი! ამას უნდა მხოლოდ ერთი ეროვნული დოქტრინა, ერთი ხელმძღვანელი მეთაურობა. ყველა სამშობლოს ჯარისკაცია და ყველა მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს და კვდება. დიდი ეროვნული გაერთიანება, დიდი ეროვნული პათოსი, ბრძოლის ხელოვნება და ხელმძღვანელთა მეცნიერობა _ აი, რაა საჭირო და რას მოითხოვს ჩვენგან ქვეყანა. ამ პერიოდში ჩვენთვის არსებობს მარტო მტერი და საგარეო მოქმედება. ყველაფერი, რაც ხელს უშლის ეროვნული ერთობის უმაღლეს გამოსახვას, ყველაფერი რაც აბრკოლებს ეროვნული უნისონის სრულს გამოთქმას; ყოველი სულისკვეთება, რომელიც ამ ქართლის ცხოვრების დიდს ტრაღიკულ ხანაში საერთოს გაურბის, ეგოისტურად ჩერდება ჯგუფის ინტერესზე, და რომელიც თავის არსებობით, ერთგვარი რეფლექსის კანონით, მსგავსსავე სულისკვეთებას აღვიძებს სხვებში, ყოველი ასეთი სულისკვეთება დამშლელია ეროვნული ინტერესის ერთობისა, ეროვნული პსიხოლოგიის მთლიანობისა და მუშაობს მტრის სასარგებლოთ, ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლის საზიანოდ!

ემიგრაციამ თან წამოიღო პარტიულობა, რომელიც ამ უცხოეთში, როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, მკვდარ სიმძიმეს წარმოადგენს და სხვა არაფერს. და ეს მკვდარი

სხეული _ ყველასათვის უსათუოდ ძვირფასი მოგონების განივთიერება _ შხამავს ქართულ ატმოსფეროს და საქართველოს ეროვნულ ინტერესს დიდ ზიანს აყენებს, ეს ხდება იმიტომ რომ იგი თავიდან ვერ მოგვიშორებია... იქნებ ვინმე ფიქრობს, რომ უცხოეთში შეიძლება იდეოლოგიური ნათესაობისა და სიმპატიების დახურდავება საქართველოს ნაციონალური ინტერესებისათვის და ამიტომ თავის პარტიის ტრფიალს და მისი ინტერესისათვის განსაკუთრებულ თავგამოდებას ეროვნულ მოღვაწეობაში გვითვლიდეს. თუ ეს ასეა, ჩვენ გვმართებს გულწრფელი მწუხარება ასეთი გაუსწორებელი გულუბრყვილობის გამო. ჩვენს საერთო მოუმზადებლობას თუ სახეში მივიღებთ, ადვილად შეიძლება რომ ამგვარი ილუზიები საქართველოში დაგვბადებოდა და პირველ ჩამოსვლისას თან ჩამოგვყოლოდა! მაგრამ დღეს 18 წლის ევროპაში ცხოვრებისა და ყველა იმ ამბების შემდეგ, რომელთაც ჩვენ თვალწინ გაიარეს, მართალი მოგახსენოთ, ამის ფიქრი დიდი გონებრივი სიღატაკე იქნებოდა. რომელი ქვეყანა ნახეთ, ან რომელი გადარეული მმართველი, რომ იდეოლოგიური და დოქტრინალური ნათესაობისათვის, ომში გადავარდნილიყოს დაჩაგრული მოძმის საშველათ? ეს არა ხდება. ჭკუის სასწავლებლად მარტო ჩვენი საკუთარი მაგალითი გვეყოფა. რა მოუტანა საქართველოს ჩვენმა იდეოლოგიურმა ნათესაობამ ევროპის ამა თუ იმ პარტიულ ან საზოგადოებრივ წრეებთან? ის პატარა ყურადღება, რომელსაც ესა თუ ის პარტია, აქ ევროპაში, ოპოზიციაში ყოფნის დროს გვთავაზობდა, მყისვე ქრებოდა, როდესაც იგი ოპოზიციიდან მმართველის პოზიციაზე გადადიოდა და ნამდვილ დრამატიულ წუთებში გამანადგურებელის გულცივობით ცხვირის წინ კარებს გვიკეტავდენ! მაგალითების დასახელებისაგან თავს ვიკავებ, ვინაიდან ზედმეტად მიმაჩნია _ ეს მაგალითები ყველამ თუ უკეთ არა, ჩემსავით მაინც იცით. Aარც ერთ ევროპის ქვეყანას ამ საკითხებში _ პატარა დაპყრობილი ქვეყნების შვილის საკითხში _ არავითარი პრინციპიალური ხაზი და პოლიტიკა არ აქვს. ძალთა ურთიერთობის მიხედვით, ყოველი მათგანი ხან ერთ ხაზს იცავს, ხან მეორეს... ეთიოპიიდან _ ჩეხოსლოვაკიამდე და ისპანიაზე თვალის დაკვრით, ევროპის სახელწიფოს მეთაურები ერთსა და იმავე დროს პრინციპიალურად ერთი მეორეს საწინააღმდეგო პოლიტიკას და დოქტრინას აწარმოებენ და იცავენ! ხოლო ყოველ ერთ შემთხვევაში და ყოველ მოცემულ მომენტში, ყოველი მათგანი მხოლოდ თავის სახელმწიფოებრივ ინტერესის მიხედვით სჯის და მოქმედობს. ვისიმე წინასწარი დაბევება, საქართველოს განთავისუფლების პოლიტიკისათვის, პარტიული და იდეოლოგიური სიმპათიის ხაზით, ამის ფიქრი და იმედი _ აბსურდია. ხოლო თუ საერთაშორისო ურთიერთობა ერთ დღეს კონფლიქტამდე მივიდა, რაც შეიძლება არც ისე შორს იყოს, რასაკვირველია, ამაში ქართულ ემიგრაციას არავითარი წილი არ ედება და თუ ამ ომში რუსეთიც მოჰყვა, მაშინ შესაძლებელია, რომ საქართველოსადმი ამა თუ იმ დაინტერესებულმა ქვეყანამ ერთგვარი ინტერესი გამოიჩინოს... მაგრამ თუ ამ ჰიპოტეტიურ შემთხვევაში, 200 კაცისგან შემდგარი ემიგრაციისაგან თერთმეტი ორგანიზაცია ამ დაინტერესებული ქვეყნის ხელისუფლებას მიუვარდა და მის წინაშე თვითეულმა თავის სასარგებლოთ ყველა დანარჩენის ძიძგნა დაიწყო, საქართველოს სახელის კომპრომეტაციას მარტო ეს ეყოფა, ჩვენს მტერს ზედმეტი თითის განძრევა არ დასჭირდება!

ასე რომ პარტიული ნათესაობით, საქართველოს რთული პრობლემის მოგვარების ვარაუდი ეწინააღმდეგება სახელწიფოთა ცხოვრების აზრს. ერთადერთი რაც შეიძლებოდა, მაგრამ მგონია, რომ დღეს უკვე არც ამასაც ექნება ადგილი, ეს თვით პარტიის ფარგლებში მოსახმარი პატარ-პატარა დახმარების გამოთხოვა, მაგრამ

ეს პარტიული ანგარების საკითხია და ამას საქართველოს ეროვნულ პრობლემასთან საერთო არაფერი აქვს.

დასკვნა უსაფუძვლოა, უნიადაგოა და ეროვნული აქტივის თვალსაზრისით ყოვლად გაუმართლებელი აქ ემიგრაციაში პარტიული და იდეოლოგიური პარტიკულარიზმის დაცვა და ამ ხაზზე ურთიერთშორის დაუნდობელი ბრძოლა, თავდასხმა და ინტრიგები. მათი არსებობა ჰყოფს ქართველობას თავ-თავის ეგოისტური ინტერესით შემოაბჯრულ ორგანიზაციებათ. სხვადასხვა ამბიციები, სხვადასხვა ინტერესები, ინტრიგები და ერთმანეთთან ბრძოლა, ერთმანეთის გადაბირება და სხვადასხვა... ვისთვის არის საჭირო თერთმეტი სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფი, თერთმეტი სხვადასხვა ,,ეროვნული პოლიტიკა", ათი სხვადასხვა ბეჭდვითი გამოცემა? რომელი ქართული ინტერესი მოითხოვს?

ეს მოვლენა სამარცხვინოა! ამაში მოსჩანს მთელი ჩვენი არასერიოზულობა და ეროვნული შეგნების რუდიმენდალური მდგომარეობა.

ამას უნდა ბოლო მოეღოს. ჩვენი უკიდურესი დაშლა-დაქუცმაცება უნდა შესცვალოს ეროვნული თავმოყრის, ეროვნული სინთეზის პროცესმა. ამისათვის თითოეული ჩვენთაგანი უნდა პსიხოლოგიურად განთავისუფლდეს განმასხვავებელი იდეოლო-გიური და ორგანიზაციული დაბრკოლებათაგან. ჩვენს არსებაში უნდა აღვადგინოთ და ვამეფოთ ქართული სული, ქართული გრძნობა და აზრი. როცა ამას მივაღწევთ, მაშინ ხელთ გვექნება ქართული ერთობის გასაღებიც. აღსდგება ჩვენ შორის აზროვნების ნათესაობა. ჩვენი ალღონი და გრძნობები ერთმანეთს მოსძებნიან. სხვადასხვა ლოღიკა და სხვადასხვა შეფასება, საქართველოს რომ ეხება იმ მოვლენებისა, დღემდე რომ ერთმანეთს გვახლიდნენ ეროვნული ერთობის შემეცნების წინაშე წარიშლებიან და აქედან ადგილი დაეთმობა ერთს ლოღიკას, ერთ შეფასებას და წარმოიშვება ერთი ქართული აზრი, ერთი ქართული ნებისყოფა, ერთი ეროვნული პოლიტიკა და ერთი ეროვნული მოქმედება. სრულიად ბუნებრივად, როგორც ჩვენი სულიერი თვითგარდაქმნის ორგანიული შედეგი, როგორც ქართული განთავისუფლებული სულის ბუნებრივი ფუნქცია!

ქართული გონება და ქართული ინსტინკტი უნდა უშუალოდ მიუდგნენ ქართულ სინამდვილეს, განტვირთულნი ყოველგვარი ძველი იდეოლოგიური ბალასტისაგან. ეს შეხვედრა იქნება პათეთიური, მაგრამ მდიდარი და სასწაულთმომქმედი თავის შედეგებით. ეს შეხვედრა გახდება ქართული განახლების სათავე, დიდი ეროვნული შემოქმედების წყარო.

იგი იქნება ერთგვარი ისტორიული მიჯნა: უკან დარჩება პარტიული იდეოლოგიის ძველი ეპოქა, ხოლო წინ გადაიშლება ახალი ხანა, ხანა შემომქმედი ეროვნული სულიერი მთლიანობის, ეპოქა ქართული ნაციონალიზმის სიხარულისა.

მაგრამ რომ აქეთკენ გზა გაიკაფოს, ამისთვის ჩვენი პირველი აქტი უნდა იყოს _ საკუთარი თავის დახსნა პარტიულ-იდეოლოგიური ტყვეობისაგან.

პროცესი უნდა დასრულდეს: **1. ძველი პარტიების გაუქმებით. 2. ერთიანი ეროვნული მოძრაობისა და ორგანიზაციის შექმნით. 3. ერთი ხელმძღვანელი მეთაურობის შედგენით პიროვნული შერჩევის ნიადაგზე**.

და მისგან წარმოიშვება დიდი ქართული შემოქმედება, ხოლო ყველაფრის დასაწყისია პარტიული იდეოლოგიური ტყვეობისაგან თავის დაღწევა. ამიტომ უნდა მოხდეს ორგანიზაციების გაუქმება და მათ ადგილას ხორცი შეესხას ერთიან ეროვნულ ფორმაციას.

ამ ორგანიზაციებთან ერთად უნდა გაუქმდეს მათი ბეჭდვითი გამოცემები და მათ სამაგიეროთ მოეწყოს საერთო გამოცემები.

ხელმძღვანელი ორგანოების შექმნა პიროვნული შერჩევის პრინციპის მიხედვით, ნაცვლად დღემდე ხმარებული ჯგუფური დელეგაციის წესისა. ეს არის ჩვენი დღევანდელი მოვალეობა. თუ ამისთვის მზად ვართ, ჩვენ გვექნება ნამდვილი ქართული ერთობა და სამშობლოს წინაშე ჩვენს მოვალეობას ღირსეულადაც მოვიხდით.

1941 წ. ორი მარტის თათბირის მომწყობთ
ბ. ნოე ჟორდანიას და ე. თაყაიშვილს.

ბატონო ნოე ჟორდანია და ბატონო ექვთიმე,

თქვენის მოწვევით ჩვენ დავესწარით ამა თვის ორს თქვენ მიერ გამართულ თათბირს. როგორც მოწვევის ბარათი იუწყებოდა, ჩვენ უნდა გვეთათბირნა იმის შესახებ, თუ რა ღონისძიება მიგვეღო, რომ ჩვენი ქვეყანა, რამდენადაც ეს ჩვენს ცდაზე იქნებოდა დამოკიდებული, რაც შეიძლება გამარჯვების მეტი შანსებით, ან თუ ეს არა, რაც შეიძლება ნაკლები დაზიანებით გამოსულიყო დღევანდელ საშინელ ეპოქიდან, როდესაც საშუალო და პატარა ქვეყნები ძლიერთა შესევის საგნებად ხდებიან და უსწორო ბრძოლაში ტრაგიკულად იღუპებიან.

ეს თაოსნობა არა მარტო საპატიო, არამედ უაღრესად სავალდებულო იყო. მის მნიშვნელობას მხოლოდ ამრავალკეცებდა ის ნაკლი, რომ იგი ერთობ მეტისმეტი დაგვიანებით ხდებოდა. ჩვენ მას დიდის იმედით მივეგებეთ. ემიგრანტობის ოცი წლის სიგრძეზე, პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ჩვენი ორი ყოფილი უმაღლესი ეროვნული ორგანოს _ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების _ წარმომადგენელებმა საჭიროდ სცნეს დაეძახნათ, საქართველოს ბედის საკითხებზე მოსალაპარაკებლად, ძველი პოლიტიკური კადრის გარეშე მდგომ ქართველებისათვისაც. ჩვენ ეს უჩვეულო მოვლენა, სრულიად ბუნებრივად, მივიჩნიეთ, როგორც ღრმა სულიერი გარდაქმნის შედეგი იმ წრეებისა, რომლებიც დღემდე აქ, ემიგრაციაში, ქართულ სახელსა და ქართულ საქმეს დაჩემებით და სხვებთან გაუზიარებლად, ჯგუფურად ისაკუთრებდნენ.

მართლაც, ყველა იმ უბედურების შემდეგ, რაც ამ ოცი წლის განმავლობაში ჩვენს სამშობლოს თავს დაატყდა და რაშიაც შეუძლებელია ჩვენ ჩვენ წილ პასუხისმგებლობას არ ვგრძნობდეთ და მით უფრო დიდ წილს ამ პასუხისმგებლობისა, თუ ვის რა უფრო დიდი ადგილი ეჭირა ქვეყნის სამსახურში, ასეთი სულიერი გარდაქმნა დიახაც უნდა მომხდარიყო. მაგრამ ამ წმინდა მშობლიურ ფაქტორთან ერთად არ შეიძლება ამ გარდაქმნაში თავისი როლი არ ეთამაშნათ აგრეთვე იმ იშვიათი ძალისა და ხასიათის საერთაშორისო მოვლენათ, რომლებიც, მიზეზ-შედეგის წესით, დროის ამავე მანძილზე, ჩვენს თვალწინ ზედმიყოლით წარმოიშვნენ და რომელთა დღევანდელი აშლილობა მთელ ქვეყნიერებას საბედისწერო საფრთხეს უქმნის.

ამაზედ ბუნებრივი, ამაზედ უფრო ქართული განმარტება ჩვენ ვერ ვუპოვნეთ ამ თქვენ თაოსნობას და გულში ეს რწმენა დაგვებადა: რომ ამიერიდგან მაინც, პასუხისმგებელ პირთა შორის, მოლეული იყო პარტიული სულისკვეთება და ეგოიზმი, ის რამაც, წელთა განმავლობაში, დააბნელა ჩვენი ეროვნული ცა და ბევრისათვის სრულიად შეუცნობელი გახადა სამშობლოს უზენაესი ინტერესები; რამაც ურთიერთშორის განუკითხავი შური, ქიშპი და მტრობა დაატრიალა და დაუზოგავ შინაურ ბრძოლას, ერთმანეთის დამარცხებას და გათახსირებას შეალია

მთელი ის ქართული ძალა და ღონე, რომელიც მარტო ჩვენი ქვეყნის საკეთილოდ და მტრის სამტროდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ამასთან წარმოვიდგინეთ ისიც, რაც ამ მდგომარეობას სავალდებულოდ უნდა მოჰყოლოდა: რომ დღეიდან პარტიული მიჯნები სრულიად მოხსნილი იყო; რომ პარტიული მოძღვრება და მიზნები, დღემდე რომ ერის სულსა და სხეულს აქუცმაცებდა, აწ წარსულში იყო გადასვენებული; რომ, ერთი სიტყვით, გამოსყიდული იყო, თუმცა ძვირად და გვიან, ჩვენი ამდენი შეცდომანი სამშობლოს წინაშე და რომ ამას იქით იწყებოდა სრულიად ახალი ხანა ე.ი. განუყოფელი ბატონობა ეროვნული შეგნებისა, აზროვნებისა და მოვალეობისა.

დანარჩენი ყველაფერი ამ განახლებული სულის შესაფერად უნდა მოწყობილიყო: მთელი გადმოხვეწილი ქართველობის თავმოყრილი მასიური ნებისყოფა, რომ იგი მთლიანად ეროვნულ კალაპოტში გაშლილიყო, სულ სხვა იდეურ სათავეს უნდა ზიარებოდა, ვიდრე ეს დღემდე იყო; უნდა შემოღებულიყო როგორც ხელმძღვანელობისა, ისე მუშაობის სრულიად ახალი ორგანიზაციული სახე და ამასთან ერთად უნდა ჭარბად დაკმაყოფილებულიყო საქმის გამძღოლთა შემადგენლობითი ცვლილების დიდი საჭიროება. ერთი სიტყვით, თუ სულიერი გადახალისება ფაქტი იქნებოდა, მას თან აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა მისი გარეთ გამოსახვის ყველა საშუალებათა და ფორმათა შესატყვისი ძირითადი გადახალისება, ამიტომ ძველი დაწყობილება, ძველი აპარატები და ძველი მანერა აზროვნებისა თუ მოქმედებისა უნდა ერთიანად უკუგდებულიყო, როგორც დრომოჭმული და ეროვნულ მოთხოვნილებებთან სრულიად შეუწყობელი.

ჩვენ ასე გავიგეთ თქვენი თაოსნობა, ასე განვმარტეთ ჩენი მიწვევის აზრიცა და ამიტომ დიდის იმედითა და აზრთა სიცხოვლით მივეტანეთ ორ მარტის თათბირს.

მაგრამ ვაგლახ! იმან რაც ამ თათბირზე ვნახეთ და მოვისმინეთ, მიწასთან გაასწორა ჩვენი განმარტებაცა და ჩვენი სამართლიანი მოლოდინიც და სხდომიდგან ყველანი უიმედოდ გამოგვისტუმრა. ჩვენი თაოსნობაც სულ სხვა განზრახვად მოგვაჩვენა.

პირველივე წუთიდან გამოირკვა, რომ მთელი სხდომა საეჭვო სისწრაფის ტერორის ქვეშ უნდა ჩატარებულიყო... იქნებ თქვენ თავიც გქონდათ მობეზრებული ამ საგნის შესახებ ხშირი ბჭობითა და ყველაფერი წინასწარ გქონდათ მოფიქრებული. მაგრამ ჩვენ? ჩვენ ხომ პირველად ვიყავით თქვენთან შეკრებილი საქართველოს სვე-ბედზე სათათბიროდ ამ კაცობრიობის ისტორიის საბედისწერო წუთებში. და ყველაფერი, როგორც თვით საგნის სიმაღლე და სიდიადე, ისე დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობის ტრაღიკული შინაარსი ნუთუ იმას არ გვავალებდა, რომ მთელი ჩვენი გულისყური და გონების ძალა ამ საკითხის ფრთხილს, აუჩქარებელსა და ამომწურავ გარჩევას მისძღვნოდა? კრების სისწრაფით წაყვანის ძალადობამ კი ეს ჩვენთვის შეუძლებელი გახადა და მთელს თქვენ მიერ წამოწყებულ საქმეს ერთბაშად ფასი დაეკარგა.

მართლაც, ვერავინ ვერავის დააჯერებს, რომ ეს სისწრაფის ტერორი სასარგებლო იყო თვით დასმული საკითხისათვის. მაგრამ ის კი ყველამ დაინახა, რომ ეს ღონისძიება საგანგებოთ და იმ მოსაზრებით უნდა ყოფილიყო მიღებული რომ ამ თათბირიდგან იმავე საღამოს ,,ეროვნული საბჭო", რაღაც საჭიროებისათვის უნდა გაჩენილიყო.

ამ მომენტიდან ჩვენთვის ცხადი შეიქმნა რომ ამ ,,ეროვნულ საბჭოს" მოქმედებაში წილს ვერ დავიდებდით...

ამ პირველ საოცრებას მალე მეორეც მოჰყვა. გამოირკვა რომ ნამდვილი ეროვნული ერთობის შექმნა, ემიგრაციაში მყოფ ქართველთა სრული თავმოყრის აზრი და მნიშვნელობა თათბირის მომწყობთა განზრახვაში არ შედიოდა, ანდა, ყოველ შემთხვევაში, იგი მათთვის გარდამწყვეტ მმართველ ძალას არ წარმოადგენდა. ამის მიზეზით ზოგი პოლიტიკური ნიუანსის მატარებელი ქართველები თათბირიდგან სრულიად გარიყულნი აღმოჩნდნენ... ამგვარად, გაერთების ცდის მაგივრად, საქმეს თავიდანვე გარიცხვ-გამორიცხვის სულისკვეთება დაეპატრონა და თათბირზე სერიოზულად გვიმტკიცებდნენ ამ გათიშვის ხაზის გავლების პოლიტიკურ უპირატესობას... ჩვენ ეს თეორია არა გვწამს და ვებრძვით ამ დამღუპველ სულისკვეთებას. ამა თუ იმ სოციალ-პოლიტიკურ მოძღვრების სიმპატია-ანტიპატიით ხელმძღვანელობა დღეს ჰკლავს ქართული ერთობის თვით იდეას; იგი ჰთიშავს ქართველობას და ერთმანეთს უპირდაპირებს და ახლის მის სხვადასხვა წრეებს. ამ ფსიქოლოგიამ ჯერ საქართველოში და მერე აქ, ემიგრაციაში, საკმაოდ დაშალა და გაანიავა თვით გრძნობა და აზრი ქართველთა მთლიანობისა და ერთობისა. ამ ფსიქოლოგიამ საკმაოდ გააქარწყლა უმაღლეს ეროვნულ ინტერესთა ერთნაირად შეგნების საყოველთაო ხასიათი და დაგვასუსტა ჯერ შიგნით და მერე გარეთ _ მტრის პირისპირ. და ეხლა მისი კვლავ გასულდგმულება ისეთს დროს, როდესაც მრისხანე საერთაშორისო მდგომარეობა საქართველოს წინაშე ყოფნა არყოფნის საკითხს აყენებს, ნამდვილი ეროვნული დანაშაული არის.

რაც ამ მეორე უცნაურობას მოჰყვა: თათბირის ,,ეროვნულ საბჭოდ" იქვე უცბად გამოცხადება; საბჭოს პრეზიდიუმის ყოვლად უწესო არჩევა; ,,ეროვნულ საბჭოს" რეგლამენტისთვის ისეთი საფუძვლების მიღება, რომელიც ძველ ხელმძღვანელობას და მუშაობის ძველ წესებს აკანონებს და ბოლოს ამ თათბირის მთელი ამ შემოქმედების სწრაფად ფრანგულ პრესაში გადატანა, _ ყოველივე ამან გაგვიმართლა და განგვიმტკიცა სხდომის დასაწყისის წუთებშივე მიღებული შთაბეჭდილება, რომ მთელი ეს ანტრეპრიზა წამოწყებული იყო განსაზღვრული წრის ინტერესის გასამაგრებლად და არა დიდი ეროვნული საჭიროების ღირსეული სამსახურისათვის.

ამრიგად ჩვენ მოვტყუვდით... ჩვენ გვეგონა, რომ თქვენ ეროვნული გასაჭირიდან გამოსავლის გზებს ეძებდით და მოგვიწოდებდით, რომ ყველანი მოგშველებოდით. ჩვენ კი დავინახეთ, რომ თათბირზე უფრო ჯგუფური კრიზისიდგან გამოსვლის ძებნა იყო და დამსწრენიც ამისთვის ვიყავით გამოყენებული. დავინახეთ ძველი სულისკვეთება, ძველი ხერხი და მეთოდი, მთელი ის ინვენტარი წყეული ემიგრანტული ,,პოლიტიკური მოღვაწეობისა", რომელიც ეს ოცი წელია ჰღუპავს ქართულ საქმეს და ამცირებს საქართველოს ღირსებას.

ეს არ არის ქართული საქმე. მსგავსი მოქმედება თუ ქვეყნისთვის ყოველთვის მავნებელია და არასოდეს გასამართლებელი, დღევანდელს საშინაო და საგარეო პირობებში იგი ეროვნული მოვალეობის ღალატია. ასეთი საქმის მონაწილედ ჩვენ ვერ გავხდებით და ამიტომ ვერც ,,ეროვნულ საბჭოს" წევრად დავრჩებით. ზოგმა ჩვენგანმა ეს აზრი სიტყვიერად თუ წერილობით უკვე მოგახსენათ. დღეს კი ჩვენ ყველანი მათთან ერთად გაცნობებთ ჩვენს საერთო დაფასებას. ეს დაფასება მკაცრად უარყოფითია და სხვანაირად ვერც იქნებოდა, რაკი იგი გამოსულია წმინდა ეროვნული საფუძვლებიდან. დრო და საგანი მოითხოვს, რომ ჩვენი აზრი პირდაპირ და გულახდით ვსთქვათ. ეს ჩვენი მოვალეობაა ქვეყნის წინაშე, ისე როგორც თქვენი მოვალეობაა დიდხანს არ შეიგვიანოთ ამ ყალბ პოზიციაზედ, ვინაიდან იგი, როგორც ჯგუფური ბატონობის იარაღი, სათავეა მთელი ქართული საქმის დამღუპველ მოვლენებისა.

დღეს ერთობაა საჭირო და ერთობა უფრო მტკიცე, ვიდრე ოდესმე. ყოველი პასუხისმგებელი თაოსნობა ამის მიღწევისათვის უნდა ზრუნავდეს და დასთმოს ყველაფერი, რაც პირადი და ჯგუფურია, თუ ეს მის დამყარებას რითიმე ხელს შეუშლის. არავისა აქვს იმის უფლება, რომ პირადი და ჯგუფური თვალსაზრისით გამოიყენოს საქართველოს სახელი და იგი უცხოთა წინაშე, ერთმანეთს შორის ქიშპის საგნად გადააქციოს. დღეს ყველა ერთად უნდა ვიყვეთ, ყველა ერთად უნდა გამოვიდეს სამშობლოს სადარაჯოზედ; ყველამ ერთად უნდა შევქმნათ, თუ კი პასუხისმგებლობას ვგრძნობთ, თუ გონება და გული სამშობლოს ტანჯვას სწვდება, ერთი ხელმძღვანელობა ყველასაგან ნდობით მოსილი, რომ ღირსეულად, ქართული სახელის შესაფერად, წარსვდგეთ ყოველგან, სადაც ამას საქართველოს ინტერესები გვირჩევენ და მოგვთხოვენ.

ქართველი საზოგადოება ეროვნულ ერთობის დაუყოვნებლივ განხორციელებას ელის.

ორიგინალს ხელი მოაწერეს: სპ. კედია, ი. ხოჭოლავა, იოს. გობეჩია, გიორგი კერესელიძე, სვიმონ ციციშვილი, აპოლონ კობახიძე, ელ. პატარიძე.

როგორც არ დამსწრე 2 მარტის კრებისას ვერ შევალ მისი ჩატარების ფართო კრიტიკაში, მხოლოდ გულისტკივილით ვხედავ, რომ მოზრდილი ნაწილი კრებისა უკმაყოფილოა მისი შედეგებით, რაც უთუოდ შეუშლის ხელს ნამდვილ გაერთებას. ამიტომ ვიზიარებ აქ გამოთქმულ აზრს, რომ შეთანხმებისათვის უნდა იყოს მიღებული საჭირო ზომები.

გიორგი ჟურული.

სპირიდონ კედიას მოხსენება ბერლინში საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავად გამართულ ქართველ ემიგრანტთა შეკრებაზე 1943 წლის 26 მაისს

ბატონო თავმჯდომარევ,
დიდად პატივცემულო სტუმრებო და ძვირფასნო თანამემამულენო,

საქართველოს ცხოვრებას მისი გრძელი ისტორია ასე გვაცნობს: საქართველო ან თავისუფალი იყო, ან თავისუფლებისათვის იბრძოდა. ამით იმის თქმა უნდა, რომ საქართველოს მუდამ თავისუფლებაში უცხოვრია _ ან ნამდვილში ან ვირტუალურში, ხოლო არასოდეს მორჩილებაში. ფიზიკურად დამარცხებულს, სული ყოველთვის ამაყი და თავისუფლების შემომქმედი შემოუნახავს.

კულტი ეროვნული ხელმწიფებისა _ ქართველი ხალხის მთელი შინაარსის გადმოცემაა, იგი მისი ისტორიის მამოძრავებელი საიდუმლოებაა. როდესაც საქმე ამ კულტს ეხება, ქართველი ხალხი ლოღიკის ცივ დასკვნებს აღარ ემორჩილება და გაურბის. მის თვალში ამ დროს ღირებულებას ჰკარგავს მტრის რიცხვი და სივრცე მის მიწა-წყალთა, _ საერთოდ მთელი მისი საომარი პოტენციალი.

მოკლეთ, ამ შემთხვევაში იგი ასრულებს ერთგვარ ზეციურს ღვთით განწესებულ მოვალეობას, ბრძანებას, რომელსაც ამ ქვეყნიურ ანგარიშთან საერთო არაფერი აქვს. გარეთ გამდგარს: ის ეწირება თავისთავის კულტს, თავის შინაგან მისწრაფებას; აქ ის ანგარიშმიუცემელია ან უკეთ, ის თავისებურად ზომავს და წონის. თავისუფლების სიყვარულის გრძნობა, სამშობლოს ღირსების მაღალი ტრფიალი

სულ სხვანაირი კანონებით სცხოვრობს მასში. ამიტომ ქართველი კაცი სხვებისთვის, ცოტა არ იყოს, გაუგებარია და შეიძლება მას უგუნურის სახელიც კი დაუვარდეს, რომ ამ ჩვენს სამყაროში, სადაც ყველაფერი სანტიმეტრით იზომება და წონაში უკანასკნელი სიტყვა გრამებს ეკუთვნის! და ეს მაშინ, როდესაც დედამიწა მართლაც ფერადოვანია და ყოველი ეროვნული ერთეული თავისი საკუთარი განუმეორებელი სახით სცხოვრობს და რაც ერთსა რგებს, ის მეორეს წყენს, ან ყოველ შემთხვევაში, არაფრად გამოადგება!

ასე რომ არ იყოს, საქართველო როგორ უნდა შებმოდა პირში ვეებერთელა რუსეთს, დედამიწის მეექვსედი რომ უჭირავს და 200 მილიონი მცხოვრები რომ ჰყავს, ის საქართველო, რომელიც ძლივს 80 000 კვადრატიულ კილომეტრს შეიცავს და სამი მილიონი სულისგან შესდგება?!

სჩანს საკითხს ,,სხვა რამ" სწყვეტს და ამ ,,სხვა რამეს" წყალობაა, რომ საქართველომ გადმოარღვია უთვალავი მრისხანე საუკუნენი და დღემდე გამარჯვება-დამარცხებათა ბალანსი თავის სასარგებლოთ აწარმოვა! წარსულის დიდი იმპერიებიდან არაერთი დამხობილა და გამქრალა დედამიწის პირიდან. საქართველო კი _ ისე როგორც წარსულში, დღესაც პატარა, მტკიცედ დგას, მტერს მტრობს და მეგობარს მეგობრობს და მომავალს იმედით შეჰყურებს.

ჩვენი 26 მაისი საქართველოს ისტორიის ერთი ეტაპის დასრულებაა და მეორის დასაწყისი. ამ მეოთხედი საუკუნის წინად ბოლო მოეღო საქართველოში რუსეთის ბატონობას, რომელიც ასჩვიდმეტი წელიწადი გაგრძელდა და რომელსაც ამდენივე წლის განმავლობაში ებრძოდა შეუპოვარი ქართული სული.

1918 წ. 26 მაისს საქართველომ კვლავ აღმართა თავისუფლების დროშა და თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა.

აი ამ ეტაპის შეცვლას (დღეს) _ ტყვეობიდან თავისუფლებაზე გადასვლას _ ვზეიმობთ თქვენს წინაშე დღევანდელი 26 მაისის სახით. ჩვენ გვგონია, რომ ეს უკანასკნელი 26 მაისია და რომ საქართველოს ახალი აღორძინების აღსანიშნავად შემოღებული იქნება სხვა კალენდარი და სხვა თარიღი.

როგორც ხედავთ და ნახავთ, ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა საქართველოსთვის, ვინაიდან 1918 წლიდან მხოლოდ 24 წელიწადია გასული და აქედან 22 წელიწადი ჩვენ აქ ემიგრაციაში ვცოდვილობთ და იქ საქართველოში კიდევ, ჩვენი ხალხი მტრის უღელს ებრძვის.

მაგრამ ბნელს ნათელი მოსდევს და ღამეს _ დღე და ქართველი ხალხის ღონიერი ფილტვები დღეს უკვე თავისუფლების ჰაერსა გრძნობენ!..

...აქ მინდა შევჩერდე, რომ ის ახალი მისტიკა გიამბოთ, რომელიც საქართველოში იშვა პირველი 26 მაისის არე-მარეში და რომელმაც ქართველ ხალხს მისცა მისი განსაკუთრებული დანიშნულების თვითცნობიერება და გულშიც იმედი მტკიცედ ჩაუსახა.

მე სახეში მაქვს გერმანია-საქართველოს პირველი შეხვედრა ისტორიის ასპარეზზე და მათი ბედის სიმბოლიური გადაბმა და ამის შეგნება ქართველ ხალხში. ეს მოხდა მაშინ, როდესაც გარედან გერმანიის ძლევამოსილი ჯარი, ხოლო შიგნიდან ორი ერთიმეორის მომდევნო რევოლიუცია ღრმად თვით უფსკრულამდე არყევდა რუსეთის არსებობის საფუძვლებს...

ამ ღელვაში აჩქარებით ისახებოდა და ხორცს ისხამდა საქართველოს თავისუფლების იდეა და მთელი ქართველი ხალხი დიდს ეროვნულ აღგზნებაში სცხოვრობდა...

პირველი თავისუფლება ამ საერთო რღვევაში, ჩვენმა მხცოვანმა ეკლესიამ იხვედრა მცხეთის ძველთაძველ დიდებულ ტაძარში, საქართველოს ყოველ სხვა ეკლესიათა ზარების მოძახებით, გაისმა ღაღადი საქართველოს ეკლესიისგან, თავისუფლების მახარობელი. 1917 წ. ამგვარად, 1811 წელს რუსეთის მიერ გაუქმებული ივერიის ეკლესიის უზენაესობა კვლავ აღსდგა, საქართველოს ყველა მიცვალებულთა და ყველა მის ცოცხალთა სულის საცხოვნებლად და გულის გასახარად...

უნდა გითხრათ, ბატონებო, რომ ამით მხოლოდ ქართულის ცხოვრების წესი განმეორდა. ეკლესიის პირველობა ამ დარგში საქართველოს ბუნების კანონშეწონილი გამოვლინება იყო. ვინაიდან ჩვენს ეკლესიას ქართველთა მოდგმის ჩამომავლობა თავის წიაღში ბევრად უფრო ადრე გაუერთიანებია, ვიდრე ამქვეყნიურ მიწიერ ხელისუფლებას...

მაგრამ ეროვნული სახელმწიფოებრივი სუვერენობის აქტი ჯერ კიდევ შორს იყო. ქართული ხელმწიფება თავის გზას უფრო მძიმე-მძიმედ იკაფავდა, გასაჭირი ბევრი ჰქონდა და დაბრკოლება მრავალი, მაგრამ ყველა ამ დაბრკოლებას განგებამ ერთი დამხმარე ძალა შეაბრძოლა და საბოლოოდ პირველი 26 მაისის ბედი სწორედ ამ ძალამ გადასწყვიტა.

რა ძალა იყო ეს ძალა?

ეს იყო ძლევამოსილი გერმანია და მისი პირველი ფეხის შემოდგმა ჩვენი ქვეყნის კურთხეულ მიწა-წყალზე... აწ განსვენებული გენერალ ფონ ლოსოვის სახით...

და ერთბაშად მოსწყდა საქართველოს ცას მძიმედ ჩამოწოლილი შავი ღრუბელი და მის ტატნობზე მკვიდრად ჩამოჯდა იმედის კაშკაშა ვარსკვლავი! აგვშორდა სამხრეთის საფრთხე, რომელიც სიკვდილით ემუქრებოდა გასაფურჩქვნად განმზადებულ ქართულ თავისუფლებას ჩვენს მიწა-წყალზე. [ტექსტს აკლია ბოლო ნაწილი, _ ო.ჯ.].

ნაწყვეტი სპირიდონ კედიას სტატიიდან

მასსათა ერა.
შენიშვნები (მომავალი შობისათვის).

ხალხის სიმრავლე ფაქტორია თავისთავად ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური გაშინაარსებისათვის და გარდაქმნისათვის, იგი ძალაუნებურად იწვევს ადამიანის ტვინის ამუშავებას ამ საგანზედ და აძებნიებს შესაფერ ფორმებს.

პირველი გამოცხადება მასსათა ერისა ყველა მისი ატრიბუტებით მოხდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის სახით.

მართლაც, მე-XVIII საუკუნის დასასრულს საფრანგეთი იყო ევროპის ქვეყნებში ყველაზედ უფრო მრავალრიცხოვანი და განათლებულიც. ამავე დროს, ყველაზედ უფრო მრეწველი და მოვაჭრე, ინგლისის გამოკლებით. მესამე წოდება სრულიად მოწიფული და დავაჟკაცებული იყო. იგი ვერ ეტეოდა ძველ არტახებში და სრულიად ბუნებრივად მანდედან უნდა გამოსულიყო და ჩამდგარიყო ქვეყნის მმართვის სათავეში.

საქართველოს ასეთი რთული მოთხოვნილება არ დასდგომია. მისი დემოგრაფია შვიდი უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში ყოველთვის დეფიციტიანი იყო, მას ერთხელაც არ მიუწევია ამ დონემდე, რომელზედაც იგი იდგა საქართველოს არსებობის ოქროს ხანაში. მეოცე საუკუნის დამდეგიდან იგი ძლივს წარმოადგენდა იმის მეოთხედს, რაც დავით აღმშენებლისა და თამარ მეფის დროს იყო. ამიტომ შეცდომა იყო საქართველოს სინამდვილის მიმართ იმ რთული და განყენებული ფორმულებით მიდგომა, რომელიც მე-XX საუკუნის ევროპის სინამდვილის ანალიზსა და განხილვას შთაუგონებია უკიდურესობის მოყვარულ, მოაზროვნე მკვლევარისა თუ წინასწარმეტყველისათვის.

მონარქია დამყარებული იყო რელიგიაზედ, მისი ავტორიტეტი _ რელიგიის ან ღვთის ავტორიტეტზედ. შეირყა ღვთის ავტორიტეტი, შეირყა მონარქიის ავტორიტეტი. იმ ქვეყნებში, სადაც უფრო შორსაა წასული ურწმუნოება, იქ მონარქია გაუქმებულია, ვინაიდან ავტორიტეტის წყარო გადმოტანილია ზეციდან დედამიწაზედ, ღვთის ტახტიდან ხალხის ,,მასის" ფენებზედ. უძრავი, მარადიული, მიუწდომელი და შეუკამათებელი დასაბამიდან, მოძრავ, ცვალებად, ვნებიან და საკამათო დასაბამზე _ ე.ი. გადმოტანილია ისეთ არეში, სადაც ყოველგვარი ავტორიტეტი მოკლულია. უავტორიტულ ეპოქაში ვცხოვრობთ. საფრანგეთის რევოლუციის პრინციპებმა, 1789 წელმა, დემოკრატიულმა მოძღვრებამ თავიდან ომი გამოუცხადა კონტინენტის ქვეყნებს, ევროპის ქვეყნების ავტორიტეტულ პრინციპებს, მონარქიებს – ჰაბსბურგებს, ჰოჰენცოლერებს, რომანოვებს. ამ ბრძოლაში გამარჯვება დარჩა საფრანგეთის რევოლუციას.

რეაქცია _ ფაშიზმი _ ჰიტლერიზმი.

დედასაგან არის გადაწერილი ეს ორი ფურცელი მამას გაფანტული ფურცლებიდან. მერე ველარ ვარჩევ _ კარგი იყო ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო სპირიდონ, ეს დაწყებული ანალიზი გაგეთავებინა, ვინ იცის, რა ფორმას და რომელ კალაპოტს აღმოუჩენდი ჩვენს ქვეყანას, რადგან ეს მასსათა ერა როგორღაც არ უხდება ჩვენს პატარა საქართველოს. მაშ რა?

თეო კედია

ნოე ჟორდანიას შეფასებისათვის

სპირიდონ კედიას დაუმთავრებელი წერილი

ბნ. ნ. ჟორდანიას ნაწერი ადამიანში ზნეობის ტკივილს იწვევს. ამ მწერალს არ აქვს სიმართლის ოდნავი პატივისცემა. მასში ჩახშულია შინაგანი ხმა, სინდისს რომ ვეტყვით, ადამიანის უმაღლესი მსაჯული რომ არის და მას ღმერთებთან რომ აკავშირებს; ყოველთვის ცუდს რომ გვიშლის და კარგისათვის რომ გვაქეზებს. ზნეობა და მისი დასაბამი, ადამიანობას რომ გვანიჭებს და კაცთა სულიერი დაწინაურების წრფელი საფუარი რომ არის, მის არსების არც ერთ უჯრედს თითქოს არასოდეს გაჰკარებიაო. მის კალამს ნამუსი არ აქვს და მის მელანს სირცხვილის გრძნობა...

ბნ. ჟორდანიას შეუძლიან ცივად უარყოს ის, რაც მთელი სიცოცხლე უკეთებია და დაიჩემოს, რაც არასოდეს აზრადაც არ მოსვლია; თავისი შენ მოგაწეროს, შენი წაგართვას და მიითვისოს. და ამას ის ჩადის ისეთის თავმოწონებთ, თითქოს ეს

დასაძრახი კი არ იყოს, არამედ კანონიერი და სამართლიანი საქმე! (მოდით და ამისთანა ადამიანს ელაპარაკეთ).

კამათს მაშინ აქვს აზრი, როდესაც მხარეთა შორის ,,მოციქული ნამუსია", როცა მათ ურთიერთობას საფუძვლად უდევს ზნეობის იგივე წესები, სინდისის იგივე ვალდებულებანი და აზროვნების იგივე ნორმები. უამისოდ ყველაფერი ფუჭია: ფაქტი არ ფაქტობს, არგუმენტი არ არგუმენტობს და ლოღიკა არ ლოღიკობს.

უბედურებაა ასეთი კაცი საზოგადოებისათვის. უბედურება მით უფრო დიდია, რაც უფრო ფართოა მისი მოქმედების ასპარეზი.

სპირიდონ კედიას უკანასკნელი ჩანაწერი

,,ბევრი კარგი თვისებების გვერდით ჩვენი ერის ინდივიდუალობას და ძველ კულტუროსნობას რომ მოწმობს, ჩვენს ბუნებაში ჩარჩენილია აქა-იქ ველურობის დროიდან მომქმედი ნიმუშები.

ერთი მათგანია მიცვალებულის დავიწყება.

ჩვენ არ ვიცით მიცვალებულის ხსოვნა, მისი დაუვიწყარი სიყვარული და არც დიდი ისტორიული თარიღების წარსულთან გადაბმულობის. . . . "

16 მაისს ეს სტრიქონები დაუწერია სპირიდონს სიკვდილის წინა დღეს. დაახლოვებით ნაშუადღევს 5 საათზედ და იმავე საღამოს 11 საათზედ იგი დამბლა დაცემული იყო.

სოფიო ჩიჯავაძე-კედია.

ირაკლი ბატონიშვილის მიმართვა ქართულ ემიგრაციას

ძვირფასო თანამემამულენო,

წარსული მსოფლიო ომის მიმდინარეობამ შეჰქმნა ისეთი ჯურის გარემოებანი საერთაშორისო ურთიერთობაში, რომელთა მეოხებით გაადვილდა და ბოლოს შესაძლებელიც გახდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

ჩვენი სამშობლო არამც თუ თვითმყოფი შეიქმნა, მან თავის წიაღში შემოჰკრიბა ამერ-იმერეთში მოსახლე მთელი ქართველი ერი და ამრიგად გაამართლა, მეთხუთმეტე საუკუნიდან დასერილი და დაკუწმაწებული სხეული საქართველოისა. ჩვენდა სავალალოდ, სრულიად საქართველოს მეუფება ხანმოკლე გამოდგა: მას განმეორებით მზაკვრულად ჩასცა მახვილი ისევ იმავე რუსეთმა, ამჟამად უკვე ინტერნაციონალურ წითელი დროშით შემოსეულმა.

მას უკან მოყოლებული, აგერ მეცხრამეტე წელიწადია გმინავს აწიოკებული და შებოჭილი ქართველი ხალხი. განუსაზღვრელია მისი მწუხარება და ვაება: საგონებელში ჩავარდნილი არის მთელი ერი, მთელი თავისი სამკვიდრებელით,

მთელი თავისი არსებითა და ბუნებით. რუს-ბოლშევიკების ნავარდობა ჭეშმარიტად მიჩნეულ უნდა იქმნას ერთ-ერთ სუსხიან ხანად ჩვენი ქვეყნის მატიანეში, ნამდვილ განსაცდელად, ეროვნულ ღირებულებათა შემმუსრავ მოვლენად...

ამიტომ არის, რომ ქართველი ერი ბითუმათ და ერთობლივათ აღიმართა აბეზარ მტრის წინააღმდეგ. ქართველების აწინდელმა დატაკებამ რუსეთთან, უკვე მიიღო გარკვეული სახე ნამდვილ ეროვნული ბრძოლისა: დაპირისპირებულ არის ორი განთვისებული სახეობა, ორი ისტორია, ორი კულტურა, ორი ნაციონალ-სოციალი წყობილობა, ორი ადათი და ზნე, ორი ფსიქიკა და შეიძლება თამამად ითქვას _ ორი მსოფლმხედველობა...

ტანჯვითა და სევდით აღსავსე არის ეს გამუდმებული მძიმე ბრძოლა, მაგრამ მას განა ძალუძს სასოება და რწმენა აღართვას აღშფოთებულ ერს? წითელ მპყრობელთა მუხანათობა და მრისხანება პირიქით უფრო აკაჟებს ჩვენს ხალხს, უმტკიცებს მას ნებისყოფას, უნერგავს ურყევ გადაწყვეტილებას, რათა მტარვალის უღლიდან სამშობლოს გამოხსნით, განახლებულად აღადგინოს დღეს უფლებააყრილი და დევნილი არსება ქართული სახელმწიფოებრიობისა; პატივით შემოსოს ივერიის ღვაწლით მოსილი ეკლესია, ისტორიულად გადაბმული ხალხის სვე-ბედთან, მისი მესაიდუმლე, ეროვნული ძალისა აღფრენის მიმნიჭებელი, ცხოველი სულის ჩამდგმელი; კვლავ კეთილად წარმართოს ერის გონებრივი და საგნობრივი შესაძლებლობანი.

ქართველი ხალხის ბრძოლა გამხნევებული არის იმით, რომ მოწინავე კაცობრიობის თანაგრძნობა უკლებლივ თანასდევს მას, თუმცაღა ამ თანაგრძნობის განაარსებას ჟამთა სვლაში ეღობებოდნენ მრავალი გარემოებანი, მართლა სრულებით სხვა ბუნებისა და მიმართულებისა. ხოლო ამ ბრძოლის დასაყრდნობი ძალა მისი წამახალისებელი და მისი გადამწყვეტი, დაფუძნებული არის თვით ქართველი ერის შეგნებასა, ყოფაქცევასა და გადაწყვეტილებაზე.

სამშობლოსა და ისტორიის წინაშე მოვალეთა ვრაცხ ჩემს თავს განვაცხადო, რომ ამ მხრივ ყველაფერი წესზე და რიგზე არა სრულდება, ხოლო აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს წესუდებლობა შეადგენს მხოლოდ და განსაკუთრებით ქართული ემიგრაციის ნაკლს: იმ დროს, როცა ტყვეთქმნილ საქართველოში პოლიტიკური აზროვნებაცა და მოქმედებაც სავსებითა და მთლიანად ემსახურება ეროვნულ განთავისუფლების დიად საქმეს; როცა იქ ჯგუფური და პარტიული მოსაზრებანი განზე მინებებულნი არიან, რათა ამით საქვეყნო სამსახურს რაიმე დაბრკოლება არ მიჰყენდეს, _ აქ, გადმოხვეწილებაში, რა ხანია თავი იჩინა ჯგუფურმა გაუტანლობამ და საერთო აღრევამ: პარტიათა სიმრავლე განა შეეფერება ჩვენს პირობებს? ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ გაანჩხლებული კამათი და შეურიგებლობა, საზოგადოთ ეხებიან ისეთს საკითხებს, რომელთაც არავითარი კავშირი აქვთ საქართველოს განმანთავისუფლებელ ბრძოლასთან. მეტსაც ვიტყვი: ღვარძლი და შუღლი, პირველ რიგში, სწორედ ამ ბრძოლასა ჰვნებს და აფერხებს.

თვითეული მეომარი დაუფასებელი განძია ქართულ მხედრობაში, თვითეული მამულიშვილი აღრიცხული უნდა იყოს და მიჩნეული ჰქონდეს შესატყვისი ადგილი. ომს ეწევა მთელი საქართველო. არავის აქვს უფლება სხვათა დაწუნებისა თუ ათვალისწუნებისა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი თეორიული გეგმები არ ეგუებიან ერთმანეთს.

მაგრამ თუ წინა წლებში კიდევ შეიძლებოდა განცალკევებულად მოქმედება, ამჟამად ამგვარ ყოფაქცევას მე ვთვლი მიუტევებელ დანაშაულად ჩვენი ტანჯული სამშობლოს წინაშე: დრო საამისო არ არის.

ვითარცა წარმომადგენელი საქართველოს სამეუფეო გვარისა, იმ გვარისა, რომელიც თორმეტი საუკუნის განმავლობაში იღვწოდა მთელი ქართველობის გაერთიანებისა და დიდებისათვის, მე ყოველივე პარტიის გარეშე მდგომი, სხვა ჩემს თანამემამულეებთან ერთად ჩემს თავსა ვთვლი მდაბალ მეომრად სამშობლოს ხსნისათვის დარაზმულ გუნდებში. ყოველი ქართველი და საზოგადოდ საქართველოს ყოველი მკვიდრი, ამ საქმისათვის ამოქმედებული, ჩემთვის თანაბრად მისაღები და ძვირფასია.

ჩვენ შევდივართ გარდამწყვეტ ხანაში. კალაპოტიდან ხელმეორედ აშორებული მსოფლიო ჰქუხს და ზანზარებს. ავარდნილი ხანძარი საქართველოსაკენაც მიჰქრის. მე ღრმათა მჯერა, რომ ამ ავარვარებულ ცეცხლის ალში გადიბუგება ჩვენი სამშობლოს ჯალათი.

ვახსენოთ ყოვლადშემძლე უფალი და აღვმართოთ ერთობლივათ საქართველოს სახელისათვის შეწირულთა სისხლის ემბაზში განბანილი ჩვენი წმინდა დროშა და მისი კალთების ცემით მწუხრი განუბნიოთ სიდუხჭირეში მყოფ ქართველობას.

ირაკლი ბატონიშვილი
დღესა წმიდისა მოციქულთა სწორისა ნინოისა,
ქართველთა გამანათლებულისა, რომი, 1940 წ.

ტიტე მარგველაშვილის სტატიები გაზეთისათვის

,,ბრძოლის ხმა" ცდილობს ხსნა ჭორებში ეძიოს და ფაქტების უარყოფას ლამობს. ვერც კი ამჩნევს, რომ ფაფხურით მხოლოდ დაადასტურა ის ფაქტი, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, მხოლოდ თავისებურ ტერმინებს ხმარობს და ინიციატივას დემ. აკისრებს. ცრუ და ყალბ ცნობათა მასტერებს საკუთარ ოჯახშიც აღარავინ უჯერებს და სხვა ყურსაც ვინ ათხოვებს. ჩვენი ინტერესია საზოგადოებამ ჭეშმარიტება ნათლად დაინახოს. ამიტომ ჩვენ შემდეგ კითხვას ვუსვამთ ,,ბრძ. ხმას". გაბედოს და გვიპასუხოს. ვინ იყო ის პიროვნება, რომელმაც თბილისში მენშევიკურ საერთო კრებაზე 1917წ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინააღმდეგ მისცა ხმა კენჭისყრისას და მის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა, და როდესაც კრებამ ორი ხმის წინააღმდეგ ერთხმად მიიღო დამოუკიდებლობის გამოცხადების დადგენილება, ვიმეორებ, ვინ იყო ის პირი, რომელმაც ერთხმად მიღებულ პ ა რ ტ ი უ ლ გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მოითხოვა ოქმში შეეტანათ, რომ მან ამ დადგენილების წინააღმდეგ მისცა ხმა. რა მიზნით მოითხოვა მან ოქმში შეტანა მისი უარყოფითი შეხედულების, ეს ცხადია. თავი გაემართლებინა თუ საქმე ე. ი. რევოლუცია, დიდი რუსეთის რევოლუცია, აბრუნდს იქდა, ე. ი. მას გულში რევოლუციის საბოლოო გამარჯვება სურდა, მაგრამ ბეჯითად კი არ სწამდა. სხვანაირად მისი ,,სიფრთხილე" გაუგებარია (თუმცა გამართლებული პირველი რევოლუციის ბედით); გაუგებარი რჩება: რად გულმოდგინეობდა მხოლოდ ის ერთადერთი პირი ,,სიფრთხილე" დაეცვა და მის გარდა კი არვის აგეთი საჭიროება სიფრთხილისა არ უგრძვნია, თუმცა ზოგს თავისი აზრი ჰქონდა საკითხზე (ესეც ფაქტია), რაც არ დაუმალავს და თუ იმავ პირს, როგორც სჩანს, რევოლუციის საბოლოო გამარჯვება არ სწამდა, ან საეჭვოდ მიაჩნდა, როგორ ბედავდა და ემსახურებოდა ის აგეთ საქმეს და მისთვის სწირავდა სხვის ქონებასა და სიცოცხლეს.

ჩევნ მოვითხოვთ პასუხს ,,ბრძ. ხ." რედაქციისაგან. დროს ვაძლევთ შემდეგ მის ნომრამდე. აღსანიშნავია ერთი კარგი ნიშანი: ჟორდანიას თავდაცვაზე გული ვეღარ მიუდის თურმე და დამცველად მხოლოდღა ისეთი უშოვია, რომელიც უფრო ბიოლოგიურ ტიპს მოგაგონებთ. ეს კარგი სიმპტომია. ჩვენი საზოგადოების საყურადღებოდ აღვნიშნავთ კიდევ (რადგანაც ,,ბრძ. ხ." ჩვენთან ბრძოლის გუნებაზეა, საჭიროა ღირსეული დახვედრა): ნ. ჟორდანია სომხებს შეპირდა ქართველი ერის მიწა-წყლის იმ ნაწილებს, რომელიც ცარიზმის რეჟიმმაც კი ვერ წაგვართვა და უდავოდ მოგვანიჭა, შეპირდა თვითონ კერძოდ, ისე, რომ არ დაკითხებია არც ერთს ქართულ ეროვნულ ან სახელწიფოებრივ ჯგუფს ან დაწესებულებას. ეს დანაპირი ამიტომ შემდეგ ვერ შეასრულა და გახდა საბაბი სომეხთა ჩვენზე თავდასხმისა. ამის ფაქტებია თვით მთავრობისაგან რუსულად გამოცემულ ობზორში ქართველ-სომეხთა დიპლომ. და პოლიტ. ურთიერთობისა. ჟ-იასა და მისი თანამოაზრეთა აგეთი უსაქციელობა მე მიმაჩნია ქართველ ერის უუცხოველეს, სამკვიდრო-სასიცოცხლო ინტერესების უდიერად შელახვად, ხოლო წარმოცენებულ შედეგების გამო, მას პასუხი უნდა მოეთხოვოს სახელმწიფო ინტერესთა დაღალატიანებისათვის.

შემდეგ, ნ. ჟ-იამ ბათუმის დატოვებისას კომუნისტებისა და ბოლშევიკების წარმომადგენელს, ყოფილ წარმომადგენელს საბჭოთა მოსკოვისა თბილისში, ს. ქავთარაძეს თურმე აცნობა, რომ ჩვენ ნაც. დემ. ოსმალების მომხრენი ვიყავით. ეს ცნობა მოიყვანა თავის წიგნში სხ. შორის ბ-ნა ალ. ასათიანმა უკვე ხუთიოდე წელია და მიუხედავად ამ ხნისა, ბრალდებულმა ნ. ჟ-იამ პასუხი ვერ გასცა, ვერც დაარღვია და ვერც უარჰყო. ამიტომ ეხლა საზოგადოების საყურადღებოდ უნდა ითქვას: იგივ ნ. ჟ-ია მოსურნე იყო ნ. დემ., მაგ. ბ-ნი სპ. კედია შესულიყო მის მთავრობაში ევროპაში წამოსვლისას. ასე რომ ნ. ჟ-იას, ეჭვი არაა, არა სჯეროდა ის, რასაც შვებოდა და ეუბნებოდა მოსკოვის ყოფილ დიპლომ. წარმომადგენელს. ეს უკვე სიყალბით მაბეზღრობაა, მაგრამ მან მეტიც იცოდა. ნაც. დემ. ომში ყველაზე მეტს თუ არა, ყველასთან თანასწორად იბრძოდენ და თვით ბ-ნი სპ. კედია წამაქეზებელ სიტყვითა და საქმით ამხნევებდა მებრძოლთ და გზავნიდა ეროვნ. დემოკრ. კადრებს ბრძოლის ველზე, მაგ. ახალგაზრდობას. ჟ-იამ ისიც იცოდა, რომ ოსმალებთან ჩვენ საერთო არაფერი გვქონდა. ხოლო თანამებრძოლთა, თანამამულიშვილთა გაწირვა და ასე მუხანათურად გაცემა ისეთ მოსისხლე მტერთან, როგორც ჩვენთვის, ეროვნ. დემოკრატებისათვისაც, არიან საბჭოები, და ისიც მთავრობის თავმჯდომარესაგან, ეს, ძმებო მენშევიკებო, მე მიმაჩნია ბოროტ გამცემლობათ, ძმათა აშკარა ღალატად.

მე ვიცი, რა ძნელია თქვენთვის ამ სიტყვების გაგონება. ვფიცავ ყოველივეს, რაც ჩემთვის წმიდაა, მენშევიკებო, რომ მათი თქმა ჩემთვის უფრო ძნელია ვიდრე თქვენთვის გაგონება. მაგრამ! ქვეყანა, ერი, აწმყო _ მოსპეს, მოინელეს ან მოსპობას უქადიან. მომავლის ხსნა, აი მოვალეობა. ამ მოვალეობის შეგნება მაიძულებს თუნდაც ყველაზე უმცირესს ქრთველთა შორის, ყველაზე ხმამაღლა დავიყვირო! თუ თქვენ, მენშევიკებო, მოქალაქეობრივი უმცირესი გრძნობა და შეგნება მაინც შეგრჩენიათ, უნდა გამოტყდეთ, ძმებო, რომ ჟ-ია თავისი ჯგუფით და მეთოდებით დამღუპველი იყო აქამომდე და დამღუპველი იქნება მომავალშიც. ამიტომ თქვენ უნდა იმოქმედოთ ისე, რომ ქართულ საქმეს განარიდოთ ქვეყნისა და თქვენივე პარტიის დამხობი. უღრმესად მრწამს, რომ თქვენი განთავისუფლება ამ ჯაჭვებისაგან მეტ ძალებს შემატებს, მეტ მთლიანობას მისცემს საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობას. ჩემი თავი კი სანაცვლოდ ყოფილიყოს ყველასათვის, და თუ საჭირო იქნა, თქვენთვისაც, ბ-ნო მენშევიკებო.

ტ. მარგველაშვილი

პრესის მაგიერ

ქართველობის ინტერესები დიდიხანია განსაცდელშია. მას ჩვენ შეძლებისდაგვარად დარაჯობა გვინდა გავუწიოთ. ჩვენ ვიცავთ ქართველობას როგორც აგეთს გარეშე ყოველგვარ ჯგუფურ ინტერესებისა, რომელსაც სასტიკად ვებრძვით. ამიტომ თავს გვესხმიან ყოველის მხრივ. შინ ბოლშევიკები, უცხო ოკუპანტური ძალა, გარეთ ემიგრაციაში მენშევიკობა. ,,ბრძოლის ხმის" უკანასკნელ ნომერში ახალი ფორმით ძველ ცილისწამებათ იმეორებენ და მით ცდილობენ მოშხამონ ისედაც მოწამლული ქართველობა: ვითომც, მათი აზრით, ქართულ ეროვნულ მოძრაობაში ბოლშევიკებს მოკავშირენი ყავდეთ, თვითონ ,,ბრძ. ხმა" კი ბოლშევიკებს ებრძოდეს, მაგ. ბერლინის პროცესშიაცო. კიდევ და საბოლოოდ ვაცხადებთ, რომ ,,ბრძ. ხმა" თვითონ, და მისი სულის ჩამდგმელნი საქ. სოც. დ. პ. სახელით მუდამ იმეორებდნენ და იცავდნენ მას, რასაც თხოულობდა ბოლშევიკთა საელჩო ბერლინში და მათი დაქირავებული ვექილი, რომელმაც მკაცრი შეკითხვები შეიტანა რაიხსტაგში (თვითონ გერმ. ს. დ. პ. ფრაქციის წევრი იყო მაშინვე, და იმავე დროს ფორვერტსში ქართველ მენშევიკების სახელით იმავე ბოლშევიკურ მოთხოვნათა ხაზით გალაშქრება ხდებოდა; ეს გალაშქრება დაიწყო ნ. ჟორდანიამ თვითონ წერილში, სადაც ქართველი მოქალაქენი, პასუხისგებაში მიცემულნი, გამოყვანილია ,,საზიზღარ ავაზაკებად" და საეჭვო პირებად. ისე, როგორც ამბობდენ ბოლშევიკებიც. ჩერვონცების გარდა და კიდევ ამაზე დიდი ხნით წინ, და ამაზე ბევრად უფრო დასაგმობი მენშევიკთა ერთი საქმე ჩვენ ვიცით და თუ მენშევიკები არ დადუმდენ, ჩვენ მათ ვამხელთ ისე, რომ ნათლად გაიგონ, სად უნდა ეძიონ სიყალბეთა ,,მასტერები". მათ სურთ გადაფუჩეჩების ტაქტიკას დაადგნენ. ამას ჩვენ არ დავუშვებთ! ჩვენი თავდაცვა გამოწვეულია ,,ბრ. ხ." №18-ით, სადაც პროვოკატორულადაა თქმული, ვითომც ქართულ ემიგრაციაში, კერძოდ ეროვნულ რიგებში ვინმე იყოს, ვისაც სიამოვნებდეს საქართველოს დამოუკიდებლობის უძვირფასესი ემბლემის, ქართული საელჩოს გართულება. ჩვენ ვაცხადებთ აგეთ ინსინუაციას უსაზიზღრეს ბოროტ პროვოკაციად და მოვითხოვთ მენშევიკთაგან პასუხს, რა ზომები მიიღეს მათ აგეთი აშკარა ცილისმწამებლის წინააღმდეგ, რომელიც თავისი მოღალატური უსაქციელობით სახელს უტეხს მთელს ქართულ ემიგრაციას, ქართველობას როგორც აგეთს და თვით მენშევიკთა ორგანოს, რომელზედაც აგეთი ცოდვით აღსავსე, ბოროტი ზრახვებით დაიბეჭდა _ აშკარა ყალბი ცნობა. მენშევიკობა თავისთავს დაახასიათებს მით, თუ როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში. იმავ ნომერში და იქვე მკვლელობისადმი წაქეზება და მოწოდებაა. მათი ბელადი მკვლელობის მქადაგადაა გამოსული. მკვლელობის მქადაგი თვით მკვლელზე უარესია. ჩვენ გვსურდა გვცოდნოდა, რა ზომებს ღებულობს მენშევიკობა მათივე რიგების დემორალიზატორისა და ქართული ემიგრაციის დამრღვევის წინააღმდეგ. მათი ნაბიჯი გვიჩვენებს ჩვენ, არის მენშევიკობა პოლიტიკური ორგანიზაცია თუ უბრალო დაქირავებული აპარატი. ... ემიგრაციის ერთობა მხოლოდ მტერს შეშურს. გვისაყვედურებენ, რად მოვიხსენეთ ჟანდარმერიის აქტები. შიგ რომ ვინმე სხვა ყოფილიყო მოხსენებული და არა მათი ,,ბელადი", რას იქმდენ მაშინ? ეხლა ტერორს გვინიშნავენ, თუმც უდანაშაულონი ვართ და მაშინ ალბად ამასაც აღარ გვაკმარებდენ. მაგრამ თუ ეს ფაქტები ,,ბელადის" ლაჩრობას ამტკიცებენ, ლაჩრობა

ხომ წყაროა ,,ამხანაგთა" დაღალატიანების. მაგრამ აქ არის სხვა მომენტებიც, მეტად დამაფიქრებელი: აქტებს ერთი ფურცელი აკლია, რას იქმთ თქვენ, თუ ეს ფურცელი დაკარგული არ დარჩა და თავის დროზე აღმოჩნდა?! რითი იმართლებთ თავს ერთგულნო დამცველნო ,,ბელადისა", თუ ეს ფურცელი საბედისწერო შინაარსის აღმოჩნდა. ყრუთათვის ორჯერ არ რეკვენ. მთელს რუსეთის იმპერიაში რევოლუციისას ჩხრეკდენ ჟანდარმთა არქივებს, მხოლოდ ერთადერთ ადგილას არა: ქუთაისში, სადაც მენშევიკთა ბელადობამ თბილისიდან ბრძანა, დაეწვათ არქივი. მხოლოდ ქუთაისში აღმოჩნდა ,,რევოლუციის" ,,მეთაური" იმდენად ხეპრე, რომ ეს ,,ბრძანება" შეასრულა. ეს საქმე მეტად მნიშვნელოვანია, თუ გავიხსენებთ, რომ იქ, ქუთაისში, დაწყებულია იმ საბედისწერო აქტების წერა. ჩვენ ვდუმდით, არც ეხლა გვინდოდა ამის გახსენება, რომ ,,ბელადი" არ შეხებოდა თავის ტურტლიან ხელებით ეროვნულ მოძრაობის უსაყვარლესსა და უპატიოსნეს მებრძოლს, ქართველი ერის თავგამოდებულ ტრიბუნს. ვინ _ ვის?! გაბედა შეხებოდა? როგორის ცილისწამებით?! ეხლა კი ზოგი რამ ჩვენც გვეთქმის თავდაცვისათვის! საქართველოს ეროვნული მოძრაობა ,,ბრ. ხ."-ს თავის პარტიულ საქმედ გამოყავს; მთავარი ვითომც მათი პარტია იყოს. აი, მათი ფსიხიკა! საქართველოს დიდი ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა, ეს წმიდათა წმიდა საქმე ვიწრო მენშევიკურ ინტერესთა რგოლში უნდათ მოამწყვდიონ! აგეთი პროპაგანდით მიდიან ისინი ევროპის სახელმწიფოთა განათლებულ საზოგადოებასთან და ჩვენ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ქართველობას კიდევ გვახსენებენ, ერად გვთვლიან? მათ ვერ გაუგიათ, რომ ქართველობა იბრძვის ოკუპაციის წინააღმდეგ როგორც ერი-ქართველობა, ეროვნული სულითა და აზრით გამსჭვალული და არა როგორც ამა თუ იმ პარტიის ტიკინა-წევრი. მთელი ეროვნული მოძრაობა ხდება და წარმოებს ერის აღტკინებით საერთო ეროვნულ იდეითა და იდეალით. ეს ეროვნული იდეა _ უკვდავი რწმენაა თავდაცვის კეთილ საქმიანობისა და მისი წმიდანობის. ეროვნული ბრძანება მხოლოდ ამ იდეით იწყება და მოიგება. ამ იდეის მატარებელია ჩვენი ორი ათასწლოვანი ტრადიცია წარსულში და ერის მოძღვრება უკანასკნელად დიდი ილიას მეთაურობით. შეიძლება ამ ბრძოლაში ,,პარტიის" ხალხიც იყოს, უპარტიოც, ეროვნულიც, სოციალისტიც, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ფიქრობდა და არ ფიქრობს პარტიაზე, როცა ბრძოლაში მიდის, არამედ სამშობლოზე და თავის ერზე, როგორც მთლიან ერთეულზე. ჩვენ პატივს ვცემთ, გვიყვარს, ქედს ვიხრით ქართველ მებრძოლთა წინაშე და მათი მთლიან-ეროვნულ აღტაცებას შევხარით. შეურაცხყოფაა საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობის, როცა გულით უნდო, სულით ურწმუნონი ჯგუფური ანგარიშებით უდგებიან მებრძოლთ და ლამობენ მათი გმირობის ეგოისტურად, ცალმხრივად გამოყენებას. იცოდეთ, საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში მრავალი გმირი მებრძოლია, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იბრძვის როგორც მეორე ინტერნაციონალის, მენშევიზმის წევრი, არამედ როგორც შეგნებული ეროვნული მებრძოლი, როგორც ქართველი! პარტიობა ჟორდანიას ჯგუფს ახსოვს მუდამ, რადგან მას ქართველობა აქვს დავიწყებული. დიდი ფახით მთელ მენშევიკური პარტიის სახელით ლაპარაკობს ჟორდანიას ჯგუფი და თანაც ჩვენ გვლანძღავს, ვითომც რაო? ჩვენ რომ მართლა ცუდნი ვიყოთ, ამით ჟ-ს უსაქციელობასა და დამნაშავეობას ვინმე გაუმართლებს ან ცოდვებს შეუმსუბუქებს ან და სხვათა ცილისწამებით როდესმე შესაძლო ყოფილა განა ისტორიის მიფუჩეჩება? თქვენ მხოლოდ საეჭვოსა სჭორავთ, რაც მუდამ თქვენი ხელობა იყო; ჩვენ კი უეჭველს მოგახსენებთ!! საქართველოდან ჩამოსული მათივე პარტიის ხალხი უსასტიკესად ჰგმობს ჟ-სა და მის მოქმედებას საქართველოში მყოფ პარტიის სახელითა და

მანდატით. ჟ-ია კი მათ უწოდებს ,,დამფრთხალთ, შეშინებულთ", თავზარდაცემულთ, სხვის ტერორის ქვეშ მყოფთ. მერმედ მოხდა შემდეგი ფაქტი _ ემიგრაციაში მყოფმა მენშევიკობამ კონფერენცია მოახდინა და ჟ-ს ანგარიშები მოსთხოვა ისე, რომ შეშინებული ჟ-ია იძულებული გახდა უკან დაეხია, აღარც ევროპაში მყოფ ,,ამხანაგთა" კონფერენცია სცნო და აღარც კი დაესწრო. გამოდის, რომ ჟ-ია და მისი ჯგუფი სრულიად გარიყულია მთელი პარტიიდან შინ და გარეთ. თვით ჟ-იას ლოღიკა კი მისივე წინააღმდეგ ამუშავდა: საქართველოში მყოფ პარტიას არა სცნობს, დამფრთხალიაო; აღარც ევროპაში მყოფ პარტიის ნაწილს უწევს ანგარიშს, რადგანაც ისიც მისი წინააღმდეგია, და რადგანაც მას აღარც იქ და აღარც აქ აღარავინ შერჩა, ეს მოწმობს ქართველობის აღვიძებასა და ჩვენში მეტი პასუხისმგებლობის გრძნობათა გაფრთხილებას: ბოროტი სულის საბოლოოდ შებორკვას, ქართველობის თვითმოქმედების ძალთა განთავისუფლებას, და მათი პოლიტიკურად, ეროვნულად გადახალისებას. იყოს ეს თუნდაც სოციალისტური მიმართულებაში, ოღონდ წმინდა, იჭვმიუტანელ ეროვნულ გეზით! ეს გადახალისება ქართველი ერის სასარგებლოდ დასრულდება! ჩვენ ეს მტკიცედ გვწამს.

წავიდნენ, მაგრამ მოგვცილდნენ?

ყოველი ქვეყნის ემიგრაციას სჩვევია უთანხმოება და სექტებად დანაწილება. ყოველ მებრძოლ ეროვნულ ორგანიზაციას და მიმართულებას ჩამოსცილებია მეტ-ნაკლები რიცხვი თანამებრძოლთა, მაგრამ ამათი ავ-კარგიანობა მუდამ განიზომებოდა იმ წესითა და რიგით, თუ როგორ მოხდებოდა ეს გათიშვა, რა საშუალებით, რა მიზნებითა, რა საქციელით.

ვერ აიტანეს ჯოჯოხეთური პირობები ჩვენი ეროვნული ბრძოლისა, ვერც ერის აშკარა მტერთან და ვერც ქვეყნის ცნობილ ორგულთა წინააღმდეგ. ვერ გაუძლეს ჩვენს დუხჭირსა და დევნილობის სასტიკ პირობებს, გააფთრებულ იერიშებს პარტიის უმთავრეს პოზიციებზე, ჩვენი მთლიანობისა, ერთიანობისა, ძმური ერთობის დასამხომად წარმოებულთ. ვერ შესძლეს გამაგრება ეროვნული მოძრაობის დედა-ძარღვისა იმ სიმაგრეზე, სადაც მტერი გარედან და შიგნიდან არ ყოფილის დაუზოგავობით, მსოფლიო პრესისათვის უცნობი დაცემულობის ბარბაროსული იარაღებით გვცემდა და გვანადგურებდა. მიატოვეს ეს მძიმე ბრძოლის ველი, წავიდნენ! მაგრამ მოგვცილდნენ?

დასწვეს, დაფერფლეს, ნიავს გაატანეს ყოველივე, რასაც დღემდე გუნდრუკს უკმევდენ, თაყვანს სცემდენ და აღმერთებდენ! გაიღმერთეს და მსახურებენ რასაც გუშინ ჩვენთან ერთად და ჩვენს რიგებში, ჩვენივე მცნებებით შმაგად ებრძოდნენ! გაგვცვალეს აგერ ოცი წლის მეგობრები გუშინდელს მტრებზე! წავიდნენ, მაგრამ მოგვცილდნენ მაინც?!

ჯერ ჩუმ-ჩუმად, ფარულად, ეხლა კი აშკარად აღმართეს ხელი ჩვენზე, საკუთარ ძმებზე, პარტიის მთავარი მიმართულებისა და მის დამცველ ცალკე პიროვნებათა წინააღმდეგ, ცნობილი ბოროტი ხელის სასარგებლოდ და არაქართული ერთობის, არაქართული საქმის სასარგებლოდ. ჩვენი მიზანია საყოველთაო გაერთიანება განმანთავისუფლებელ მოძრაობის სრულიად ეროვნული და მთლიანი საზომით; და არა შეკოწიწება ნაწილობრივ შეთანხმებათა სხვის ხარჯზე და სხვის, საკუთარ ძმათავე, წინააღმდეგ. მარჯვნივ თუ მარცხნივ აგეთი ეროვნული მოძრაობის

მებრძოლი ძალები კი არ უნდა შეუერთდეს ჟ-იას კერძო ფრონტს, არამედ ჟ-იას ჯგუფი უნდა შეურთდეს ეროვნულ ძალებს და ეროვნულ მოძრაობას როგორც მთლიან ერთეულს. ეროვნული ძალები კი არ უნდა ემორჩილებოდეს ჰეგემონიის ტირანს, არამედ მათ უნდა დავუმორჩილოთ ყოველი ჯგუფი, ყოველი პიროვნება და უწინარეს ყოვლისა, სასტიკ კონტროლს ქვეშ უნდა ვიყოლიოთ ანტიეროვნული სულისკვეთება მოძალადეთა, ვინც შიგნიდგან აფეთქებით ემუქრება ყოველ კრიტიკულ მომენტში ეროვნულ მოძრაობას, ვისი თაობითი ზრახვა და მუშაობა გათიშვისა და დაქუცმაცების ტაქტიკას შეეწირა ერის საუბედუროდ. ერის რესურსები, სახსრები ბრძოლისათვის ერს უნდა დაბრუნებოდა; მისი ისტორიული განძი ხელუხლებელი სამშობლოს უნდა კვლავ მიეღო ეროვნულ წმიდა ტაძრებში სასოებითა და სიხარულით დასასვენებლად. ყოველი მოძრავი თანხები განმათავისუფლებელ ცენტრის უშუალო განკარგულებაში უნდა ყოფილიყო საჯარო კონტროლით. ვერ ზიდეს ამ მიზნისათვის საჭირო ბრძოლის სიმძიმენი და წავიდნენ! ლამობდნენ კიდეც ერთიანად გადაეცათ საქართველოს სახელოვან ეროვნ. დემ. პ-ს უმწიკვლო დროშა ძმათა მკვლელობის მედროშესათვის! მაგრამ არ მოგვცილდნენ, მხოლოდ პირი იბრუნეს და მტერთან ერთად ჩევნვე გვებრძვიან!

ზოგჯერ ისიც გვესმის, რომ ისტორია განმეორდება და 1917-1918 წწ. მაგალითით რუსეთს ნებით გადახვეწილი ქართველობა უნებურად დაბრუნდება გართულებათა გამო და როგორც ფაქტორი ღრმა ცვლილებათა. სუსტი ხავსს ეკიდება! რაც არ უნდა მოხდეს, ცხადია: ყველა ქართველთა მოქმედება უნდა დაფასდეს როგორც საერთოდ ქართული საქმე და არა ჯგუფურის მიდგომით. ვერც ერთი პიროვნება, ვერც ერთი დაჯგუფება თავისუფლებას ვერ აღადგენს გარეშე მთელი ქართველი ერის საკუთარ ნებისყოფისა, აი ამასთან შეფარდება, აი ეს მოეთხოვება ყველას. ვინ როგორ შეასრულებს, ეს პოლიტიკურ შეგნების, სულიერ ძალთა საკითხია. ჯერ კი თითქოს ნიშნსაც გვიგებენ, ,,პოსტიანნი". მუნდირები თქვენ კი არა ჩვენა გვაქვსო, და მით ცხად გახადეს მათივე უსუსურობა. ვერ დავმალავთ უღრმეს გულისტკივილს ამ მწარე გამოცდილების გამო მოძმე რომ გისუსტებს თვით კრიტიკულს მომენტში, ძნელი ასატანია! არა წასვლა, არა მოცილება, არა გათიშვა რაიმე იდეისა ან ტაქტიკის გამო! ეს არ იქნებოდა იმდენად მტკივნეული იარა, მაგრამ ლახვარის ჩვენდამი მობრუნება და ისიც ემიგრაციაში, იმ წესით როგორც ეს მოხდა, _ აი სავალალო სიმპტომი ემიგრაციის ერთი ნაწილის დაქვეითებისა და ბოროტი სულის გამარჯვებისა! ამან მიაღწია მიზანს: ემიგრაცია აკუწა! ქართველთ ერთობის უუმშვენიერესი შენობა, საუკუნოებით ნაშენი გმირთა თაობებით, სათუთად დაცული და შენახული ისტორიისაგან, სასოებით ჩაბარებული ჩვენი თაობის ხელთ, ბოროტმა სულმა დაანგრია და დალეწა, მაგრამ ამ ბუმბერაზულ შენობის ნანგრევებში თვითვე მოჰყვება! ნგრევის ჭირის ბაცილები უხვად გაჰპანტა გარშემო და ეხლა მასვე შეესივნენ ესენი. ერი იღვიძებს, დიახ ერი, ე. ი. ხალხი ეროვნული შეგნებით. მტკიცდება ზნეობრივი სახე იმ შეგნების, რომ ყველა ქართველს ენის გარდა აერთებს საერთო ისტორიული ბედისწერა, რომელსაც ვერ ასცდება ვერც ერთი ჩვენთაგანი და რომ ყველა ქართველი ერთად უნდა შეხვდეს თავის ბედისწერას, მზად და ძალმოზიდული საკუთარი ბედის გასაჭედათ. ბრძოლა, აი ჩვენი ლოზუნგი, ბრძოლა, აი ჩვენი იმედი, ბრძოლა, აი საწინდარი საბოლოო გამარჯვებისა! ბრძოლა საკუთარი ეროვნული ძალებით ეროვნული მიზნებისათვის. ყოველი შერყევა, შესუსტება მებრძოლის სულისკვეთებისა არის მარცხის მომასწავებელი. ამიტომ კიდევ მეტის ძალ-ღონით, მეტის ენერგიით განვაგრძობთ ჩვენს ბრძოლას. ძვირფასია ჩვენთვის ყოველი თანამებრძოლი ვინც ჩვენთანაა და ჩვენთან მოვა. ის იდეის, პატრიოტიზმის,

თავისუფლების და თვით პარტიის თანამოძმეა და ძმა უძმესი ღვიძლი ძმისა! გამარჯვებას გაჭირვება შეგვაძლებინებს, რადგან სულით და ზნეობით იარაღი არ დაგვიყრია. სხვათა სიმუხთლე ჩვენს ძალას გვამცნებს და ეს კი მრავალკეცად ძალასაც გვმატებს! ,,რაც გასჭირდის მით მეტ შევსძელ"!

მათ _ ,,პოსტიანი" მუნდირები ჟორდანიასაგან და ის პატიოსნება და სულისკვეთება დღევანდელ მოძმეებთან პირნათლად ყოფნისა, რომელიც მათ დაამშვენებს _ ღმერთმა ნუ ქმნას, რომ ავნოს _ მათსავე გუშინდელ მტრებთან!

ჩვენ _ განუსაზღვრელი და უშრეტი სიყვარული ბედკრულისა და განაწამებ მთლიან ქართველ ერისადმი. სამარადისოდ და წარუშლელად აღბეჭდილი ჩვენს დაგულს გულში; ურყევი რწმენა იდეისადმი; თავგანწირული, თავგამოდებული მებრძოლის შეგნება, რომ იდეისა და რწმენისათვის, საყოველთაო სიკეთისა, თავისუფლებისა და გამარჯვებისათვის ზვარაკად, მსხვერპლად შევიწირებით და სრული მზადყოფნა, კვლავაც განვაგრძოთ უანგაროდ, უპირობოდ ვემსახუროთ, მთელს ერს, მთელს სამშობლოს!

ტ. მ

დათვის სამსახური

,,ბრძოლის ხმის" 27-ე ნომერში ბატონი გრ. ურატაძე გამოვიდა ნ. ჟორდანიას დასაცავად. მისი მსჯელობა და ირონია იმდენად უფერულია, რომ ვერ დაიმსახურა, _ მკითხველს შევსთავაზოთ, მაგრამ მისი წერილის ბოლო ძლიერ საინტერესოა.

ქართველი ხალხის ნ. ჟორდანიასადმი უზომო ერთგულობის შესახებ ბ-ნი ურატაძე სწერს:

,,თუ რა იმედით და სასოებით შეჰყურებდა ქართველი ხალხი ჟორდანიას მთავრობას უცხოეთში წამოსვლისას, სხვა რომ არ ვიცოდეთ რა, საკმარისია თუ გინდ ის ხალხური ლექსი, რომელიც გამოთქმულია სწორედ იმ მომენტისათვის, როცა ჩვენი მთავრობა ბათუმს სტოვებდა, **რომელსაც მღეროდა და მღერის მთელი საქართველო** და რომელიც თავდება ასე:

მოწყენილი დიდი ნოე
პარახოდში ჩადიოდა,
საქართველოს დასახსნელად
ევროპაში მიდიოდა...

საქართველოს დასახსნელად. ასე სწამდა ქართველ ხალხს მაშინ, ასე სწამს დღესაც და რამდენიც არ უნდა იბუზღუნონ ჩვენმა წვრილფეხა ჭორიკანებმა, **ჩვენი ხალხის ამ რწმენას, ამ განწყობილებას ჟორდანიას მთავრობის და ჩვენი პარტიის მიმართ** _ ოდნავადაც ვერც შესცვლიან და ვერც შეარყევენ...

ბ-ნი ურატაძე ნ. ჟორდანიას ცუდს სამსახურს უწევს; ამ სიმღერას რომ ჩავუკვირდეთ, განა წმინდა ირონიას არ დავინახავთ, რომელიც ბ-ნ ურატაძის გასაგებად მისაწვდომი არ არის? მკითხველთა რომელ წრეს ჰგულისხმობს და მისი იმედი აქვს, როდესაც ის ამ სიმღერას ხალხურს ეძახის? განა ხალხი თავის სიმღერაში ასეთ სიტყვებს ხმარობს, როგორც ,,პარახოდი", ,,ევროპა"?

,,...მღეროდა და მღერის მთელი საქართველო...", ამბობს ბ-ნი ურატაძე. ნუთუ ჩვენი ხალხი იმდენად ჩამოშორდა ცხოვრებას, იმდენად გასულელდა, რომ

თერთმეტი წელიწადი მღერის და მღერის ამ უმსგავს სიმღერას?! თერთმეტი წელიწადია ხალხი ერთგულია ნ. ჟორდანიას მთავრობისა და იგი სწამს! კიდევ გასაგები იქნებოდა, ეს სიმღერა გურიაში რომ ემღერათ, მაგრამ, არა... მთელ საქართველოში!...

აბა მკითხველმა ერთი წუთით წარმოიდგინოს ქართლელი, რომელიც ამ სიმღერას მკის დროს მღეროდეს, ან კახელი, რომ რთველში მღეროდეს, ანდა მეგრელი, იმერელი, აფხაზი, სვანი, აჭარელი, ე.ი. მთელი საქართველო. სადა და როდის თქმულა და გაგონილა, რომ მთავრობა, რომელმაც ქვეყნის თავისუფლება-დამოუკიდებლობა ერთ თვეში მტერს ჩააბარა, ასეთი საყვარელი იყოს მთელი ხალხისა?! ნაპოლეონსაც კი უღალატეს მარშლებმა, ცეზარს, ციცერონს მოწინააღმდეგები აღმოუჩნდნენ; გენერალ-ადიუტანტმა რუზსკიმ, რომელსაც ნიკოლოზ მეორემ საკუთარი შინელი ჩააცვა, მას უღალატა. რუსეთის რევოლუციის კერპი ა. კერენსკი ქალის ტანისამოსში სამარცხვინოდ გაიქცა; ყოვლად ძლიერი ტროცკი თავის უკანასკნელ დღეებს დევნაში აღამებს, და მხოლოდ ნ. ჟორდანია, როგორც ბ-ნი ურატაძე გვარწმუნებს, იყო და არის მთელი ქართველი ერის საყვარელი. თითქოს ნ. ჟორდანია რაღაც ჯადოსანი რამ ყოფილიყოს და არა ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე. უწინ ამბობდნენ, რომ ,,ამომავალ მზეს მეტი თაყვანისმცემელნი ჰყავს, ვიდრე ჩამავალსაო", რომ ნ. ჟორდანიას მზე უკვე ჩაესვენა, ამის ნახვა არ ჰსურთ მხოლოდ ბრმებს, ბ-ნ ურატაძეებს.

არა, ბ-ნო ურატაძე, ტყუილს ნუ ამბობთ ქართველ ერზე! ხალხი, რომელსაც განაგებდა ვახტანგი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ერეკლე მეორე... არ არის მოკლებული კრიტიკულ გონებას და ნაციონალურ აზროვნებას.

მაგრამ მე კი მგონია, რომ მთელი ეს მისი წერილი და ,,სახალხო" სიმღერა მხოლოდ ხუმრობაა ბ-ნ ურატაძისა. ამიტომ მე აქ მოვიყვან ამ ,,ხალხური" სიმღერის გაგრძელებას; ეს თვითონ ბ-მა ურატაძემ არ ჰქნა, რადგანაც ის ბუნებით ასეთია, _ არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი და თავის ქება:

პალუბაზე აბრძანდა...
შტორმი იყო და ავდარი,
ურატაძეს თვალი მოჰკრა,_
მოსდიოდა ცრემლთა ღვარი.
ბრძანა: ,,რატომ არ გრცხვენია?
ხარ ცნობილი დიპლომატი,
საქართველოს პოსტზე დგეხარ,
როგორც ძველად რომის ბატი".

ლანჩხუთელი.

,,საქართველო უწინარეს ყოვლისა".
საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა
,,თ ე თ რ ი გ ი ო რ გ ი".
დამფუძნებელი კრების
დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა.

1921 წ., თებერვალში, რუსეთი, რომელმაც ყველაზედ უწინ იცნო ქართველი ერის სუვერენობის აღდგენა და სამშვიდობო ხელშეკრულებაც დასდო მასთან, ურდო ჯარებით თავს დაესხა ახლად სახელმწიფოებრიობა აღდგენილ საქართველოს. მიუხედავათ გმირულ ტაბახმელა-კოჯორ-სოღანლუღის თავდაცვითი ბრძოლებისა, მტრის უამრავმა ფიზიკურმა ძალამ გადმოსტეხა საქართველოს საზღვარი და თავისუფლების მოტრფიალე ერს კვლავ რუსული მონობის უღელი დაადგა.

აღსრულდა!..

ერთხელ კიდევ გაშიშვლდა მსოფლიოს წინაშე რუსული იმპერიალიზმი. ერთხელ კიდევ ნაკუწ ქაღალდათ აქცია რუსეთმა სუვერენულ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს თ ა ნ დადებული ხელშეკრულება.

ჩრდილოეთიდან მოვარდნილმა საშინელმა რუსულმა სტიქიამ მოიცო საქართველო და თავისი დაუნდობელი ტალღებით ერთი მეორეზედ ანადგურებს საქართველოს სუვერენობის ყოველგვარ ნასახს. ,,კომსომოლას" მიუგდეს საგინებლად ერის სინიდისი, ერის სარწმუნოება. ,,კომსომოლას"-ვე დაუმორჩილეს ფაქტიურად ეროვნულ კულტურის კერა ქართული უნივერსიტეტი. რუსული მეთოდებით გაანადგურეს ერის სახალხო მეურნეობა. საქართველო კოლონიაა რუსეთის მრეწველობისათვის; საქართველოში შემოყავთ ასობით და ათასობით ქართველი ერისადმი მტრულად განწყობილი უცხო ელემენტები და მათ ქართული ხაზინის ხარჯით ქართველი ერის მიწა-წყალზედ საშვილისშვილოდ ასახელებენ; რუსული ნაჯახით მოსჩეხეს ისედაც განახევრებულ საქართველოს მისი მიწა-წყლის მთელი მეოთხედი და მით იყიდეს ოსმალეთის მეგობრობა და ამიერ-კავკასიის ერთა შორის ის მოჩვენებითი მშვიდობიანობა, რომელიც თავის სიღრმეში ატარებს ისეთი შუღლისა და შურისძიების ელემენტებს, რომელიც არასდროს არსებულა ამ ერთა შორის. საქართველოს საკუთრებად ცნობილი ტერიტორიაც-კი ხელოვნურად რამოდენიმე ავტონომიურ რესპუბლიკებად დაანაწილეს.

ერთი სიტყვით, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ყ ვ ე ლ ა ბ ა ტ ო ნ ო ბ ს გ ა რ დ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა; ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი კ ე თ დ ე- ბ ა გ ა რ დ ა ქ ა რ თ უ ლ ი ს ა; ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ყ ვ ე ლ ა - ფ ე რ ი ა, გ ა რ დ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო -ი ს ა.

ქართველ ერს, რომლის ორიათას ნახევარი წლის ისტორია მხოლოთ ბრძოლაა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, არ შეეძლო შერიგებოდა ასეთ საშინელ მონობას. მან ბრძოლითვე უპასუხა დამპყრობელთ. ოთხი წელიწადია სწარმოებს ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდენ საქართველოში ,,დამოუკიდებლობის კომიტეტი", ხოლო საზღვარგარეთ, შემოხიზნული მთავრობა. ბრძოლის ერთი ეტაპი დამთავრდა 5 000 ქართველის სისხლით.

ქართველი ერის მიერ აღებული ბრძოლის ხაზი სწორია, მაგრამ ხელმძღვანელთა სისუსტემ იგი დროებით დაამარცხა. ეს უკანასკნელი აჯანყება, რომელიც უმომენტობის გამო პოლიტიკურ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს, თავისთავათ ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მომენტია ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლისა და საქართველოს იდეის უაღრესი გამარჯვება.

აწ აღარ არიან ურწმუნო თომანი. ყველამ იწამა, რომ საქართველო არ გასტეხს ფიცს წარსულის წინაშე, რომ იგი იბრძოდა, იბრძვის და იბრძოლებს თავისუფალი არსებობისათვის, ჭეშმარიტათ იგი აღსდგა! ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე, საქართველო უარს ვერ იტყვის სიცოცხლეზედ.

ბრძოლა ქართველი ერის ყველა სასიცოცხლო ძალების დაჭიმვით. ამ ბრძოლაში საბოლოოთ უნდა შეკავშირდეს მისი საიმედო ძალები.

ეროვნული ბრძოლის მაღალმა იდეამ უნდა მოსპოს პარტიული დაყოფა.

ეროვნულ ბრძოლისათვის ნებაყოფლობითი შეწირული ქართველი აუცილებლათ უნდა განთავისუფლდეს პარტიული, კლასობრივი თუ პირადი ინტერესებისაგან.

,,საქართველო უწინარეს ყოვლისა" ეს უნდა იყოს დღევანდელი ქართველის ხმა.

ეს აუცილებლობა ვერ შეიგნეს თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურმა მესვეურებმა. მათთვის ძნელი აღმოჩნდა პარტიული ხაზის გადალახვა. მათი პარტიული ინტერესები ჯერ კიდევ მაღლა დგას ეროვნულ იდეაზე.

ეს დიადი მცნებანი _ ახალგაზრდობამ უნდა შეიგნოს. ახალგაზრდობამ, რომელიც მუდამ ბრძოლის ცეცხლს ატარებს, რომელიც მუდამ ეძიებს ახალს, ვერ გაჰყვება ძველი თაობის პარტიულ გზებს.

ის, რაც ვერ შესძლეს ჩვენმა მამებმა, შვილებმა გავაკეთოთ. მომავალი წინ გვიძევს, იგი ჩვენია. შევკავშირდეთ, გავძლიერდეთ, შევქმნათ მებრძოლთა რიგები. პატრიოტული ახალგაზრდობა ამაყათ დასდგება ეროვნული ბრძოლის ასპარეზზე, რომელიც იტევს რამოდენიმე ათეულ საუკუნეთა ეროვნულ მებრძოლთა დიად სახელებს, რომლის განახლებული ქვაკუთხედია 5 000 საუკეთესო მამულიშვილის უკანასკნელი ეროვნული საფლავი, რომელსაც თავს დასტრიალებს სამფერი დროშით საქართველოს გამარჯვების ემბლემა _ თეთრი გიორგი.

აი ის ფართო ეროვნული ასპარეზი, რომელზედაც იშვა საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა ,,თეთრი გიორგი".

საქართველო რელიგიაა ჩვენთვის. სამშობლოსათვის თავგანწირვა საღვთო ვალია ჩვენთვის.

ქართველი ერი მარადიულია! _ ეს განვლილ 27 საუკუნის ურყევი სიტყვაა. მის სადიდებლად მოვლენილი პატრიოტული ახალგაზრდობა ,,თეთრ გიორგი"-ც ამიერიდან მარადიულია.

ჩვენი მიზანია:

სუვერენული, მთლიანი, ძლიერი საქართველო.

1. ერის განთავისუფლება რუსეთის მონობისაგან.
2. საქართველოს მთლიანობის აღდგენა.
3. ბრძოლა რუსული ენის, აზროვნების და ყოველგვარი რუსულის ბატონობის წინააღმდეგ.
4. საქართველოს გაწმენდა მისდამი მტრულათ განწყობილი ელემენტებისაგან.
5. საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობის დაცვა მომავალში აჭრელებისაგან.
6. ეროვნული ქონებისა და სამეურნეო ასპარეზის დაცვა ქართველთათვის.
7. ქართველი ერის ფიზიკური, სულიერი და გონებრივი გაჯანსაღება.

ქართული აზროვნების განთავისუფლება იმ მიუწდომელ ფანტასტიურ ოცნებათაგან, რომელნიც შლიან ეროვნული ძალების მთლიანობას, თანამშრომლობასა და ვერ ეგუებიან ნაციონალურ სახელწიფოს იდეას.

აი ის ჭეშმარიტად დიადი იდეა, რომლისათვისაც თავს იწირავს პატრიოტული ახალგაზრდობა ,,თეთრი გიორგი". იგი სულიერი მემკვიდრეა მათი, ვინც ათასი წლობით იცავდენ და ქმნიდენ საქართველოს ძლიერებას. ის დაუმკვიდრებს

საქართველოს მის ისტორიულ ტრადიციებს, განამტკიცებს წესრიგს და შეადუღებს ერის აწმყო-მომავალს მის დიდებულ წარსულთან.

რისხვა მას, ვისაც არ უნდა შეიგნოს ეს უწმიდესი დიადი იდეა. ლახვარი მას, ვინც წინ აღუდგება ამ იდეას.

,,თ ე თ რ ი გ ი ო რ გ ი" არის თავისუფალი უწმიდესი შეფიცვა უტყუარის პატრიოტიზმით აღგზნებულ ქართველთა, წინაშე საქართველოისა და ეროვნული უწმიდესი საფლავისა, სადაც თავისუფლების იდეით შედუღებულნი 5 000 ყრმა ქართველნი სისხლითაც შედუღდენ.

,,თ ე თ რ ი გ ი ო რ გ ი" ნაზიარებია მათი იდეით.

,,თ ე თ რ ი გ ი ო რ გ ი" მირონ-ცხებულია მათი სისხლით.

,,თ ე თ რ ი გ ი ო რ გ ი" გაანთავისუფლებს ეროვნულ საფლავს.

იდიდე საქართველოვ!

საქართველოს პატრიოტული ახალგაზროდბა ,,თეთრი გიორგი"-ს დამფუძნებელი კრება.

ახალგაზრდა ქართველო პატრიოტებო!

საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა ,,თეთრი გიორგი" მოუწოდებს ყველა ქართველ პატრიოტს, ყველას, ვინც თავს ახალგაზრდათ გრძნობს განურჩევლათ მისი ადგილყოფისა, საქართველოშია თუ მის გარეთ; ყველა მათ, ვისაც სამშობლოს უბედობა თავის უბედურებათ მიაჩნია, ერის კეთილდღეობა თავის ბედნიერებათ; ყველა მათ, ვინც ეროვნულ იდეას მაღლა აყენებს პარტიულ ინტერესებზე; მათ, ვინც სამუდამოთ დაგმობს პირად ანგარიშებს და სამშობლოს თავისუფლებას შეეწირება, _

შემოკრბეს საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა ,,თეთრი გიორგი"-ს გარშემო. შევქმნათ ეროვნული ერთობა, ერთი სხეული, შევკავშირდეთ, გავძლიერდეთ, რომ სამშობლოსათვის ბრძოლაში დაღლილნი და უიმედონი გავამხნეოთ, დაღუპულნი შევცვალოთ და ქართველ ერთან ამ სისხლიან დღეებში ახალგაზრდული ბრძოლის ცეცხლი მივიტანოთ.

სიკვდილი ან თავისუფალი საქართველო!

ჩვენ მოუწოდებთ ყველა ახალგაზრდა პატრიოტს, ვისაც სწამს ,,თეთრი გიორგი"-ს გზა, იდეები, ვინც იზიარებს ჩვენი დეკლარაციის პრინციპებს, გაერთიანდით ჩვენთან ერთად. დააარსეთ ადგილობრივ ასეთი პატრიოტული კავშირები, დაგვიკავშირდით; მიიღეთ ჩვენგან ცნობები, რომ გააზროვნებული თანამშრომლობით ეროვნულ იდეას უკეთ ვემსახუროთ.

საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა ,,თეთრი გიორგი".
პარიზი 15-VI-1925წ.

69-th CONGRESS **H. J. RES. 195**

1-st Session

IN THE HOUSE OF REPRESENTATIVES
March 10, 1926.

Mr. Moore of Virginia introduced the following joint resolution; which was referred to the Committee on Foreign Affairs and ordered to be printed.

JOINT RESOLUTION

Providing for the appointment of a diplomatic representative to the National Republic of Georgia.

Whereas the Kingdom of Georgia, for many centuries maintained its independent existence, its racial identity, and the integrity of its language, institutions, and laws, against the almost constant aggression and frequent invasion to which it was subjected, and its territory has been, since the fourth century, and is, occupied by people of the Christian faith; and

Whereas the kingdom was succeeded by the National Republic of Georgia, which was regularly and established, with a written constitution, on May 26, 1918; and

Whereas the existence of the Republic has been generally recognized by the nations of the world except the United States; and

Whereas notwithstanding such express recognition by the Russian Government in 1920 that Government has since invaded and now exercises control of the territory of the Republic, which has been compelled to transfer its governmental activities from Tiflis, and then from Batumi, to France, where its officials now function; and

Whereas it is the sense of Congress that the Government of the United States should express its disapproval of the unwarranted action of the Russian Government, and its sympathy with the people of the Republic: Therefore be it

1. Resolved by the Senate and House of Representatives
2. of the United States of America in Congress assembled,
3. That provision should be made by law for defraying the
4. expenses incident to the appointment of a diplomatic repre-
5. sentative to the National Republic of Georgia whenever the
6. President shall deem it expedient to make such appointment.

VICTORIA 2967

72, ST. STEPHEN,S HOUSE.
WESTMINSTER. S.W. 1.
29-th July 1926.

Dear Sir,

As requested by Mr. Kruytbosch I return to you the American Report and the two resolutions passed on to me by him for perusal. Thanking you for these.

Yours very truly,

Mons. Kedia
9, Rue Oudienet
PARIS

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი დ ა კ ო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი

ნაწილი პირველი

1. ვანდა ღამბაშიძე _ ცნობილი ექიმის ვახტანგ ღამბაშიძის მეუღლე, წარმოშობით ინგლისელი.
2. იგულისხმება სპირიდონ კედიას პატიმრობა მეტეხის ციხეში.
3. რევაზ გაბაშვილი _ პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (შემდეგში _ ედპ) ერთ-ერთი დამფუძნებელი.
4. ლელი ჯაფარიძე _ მწერალი, ედპ-ს მთავარი კომიტეტის წევრი.
5. აკაკი ხოშტარია _ ცნობილი მეწარმე და ქველმოქმედი.
6. სტოკსი _ ინგლისელი პოლკოვნიკი, ბრიტანეთის ყოფილი კომისარი სამხრეთ კავკასიაში 1920 წელს.
7. დამოუკიდებლობის კომიტეტი _ ბოლშევიკური ოკუპაციისაგან საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის ხელმძღვანელი ორგანო, შეიქმნა 1922 წლის აპრილში ანტისაბჭოთა პარტიების წარმომადგენელთა მონაწილეობით პარიტეტულ საწყისებზე.
8. რევაზ გაბაშვილი (იხ. შენიშვნა 3).
9. ლელი ჯაფარიძე (იხ. შენიშვნა 4).
10. შალვა ქარუმიძე _ ედპ-ს ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი.
11. ალექსანდრე ასათიანი _ პოლიტიკური მოღვაწე, ედპ-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი, ემიგრაციაში გამოსცემდა ჟურნალებს ,,სამშობლო" და ,,ივერია."
12. ნიკოლოზ ჯაყელი _ ცნობილი მეწარმე.
13. ექვთიმე თაყაიშვილი _ ცნობილი მეცნიერი, ეროვნული და საზოგადო მოღვაწე, ედპ-ს ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე).
14. ნოე რამიშვილი _ ცნობილი სოციალ-დემოკრატი (შემდეგში –სოც.დემ.) მენშევიკი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე.
15. ილია ჭავჭავაძე.
16. ალექსანდრე ასათიანი (იხ. შენიშვნა 11).
17. გიორგი გვაზავა _ იურისტი, მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკური მოღვაწე, ედპ-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი.
18. იგულისხმება ინგლის-საბჭოთა რუსეთის 1921 წ. 16 მარტის სავაჭრო ხელშეკრულება.
19. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რომანოვი (უმცროსი) _ დიდი მთავარი, რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის ნიკოლოზ II-ის ბიძა, კავკასიის ბოლო მეფისნაცვალი.
20. ზურაბ ავალიშვილი _ იურისტი, მეცნიერი და დიპლომატი.
21. ლორდი კეზონი _ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი 1919-1924წ.წ.
22. გიორგი მაჩაბელი _ 1914 წ. დაარსებული საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის თვალსაჩინო წევრი, ცნობილი პარფიუმერული ფირმის ,,პრინცი მაჩაბელის" დამფუძნებელი ამერკის შეერთებულ შტატებში.
23. ისმეტ ფაშა _ ისმეთ ინენიუ _ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 1922-1923 წ.წ., თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1938-1950 წ.წ.

24. იგულისხმება საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის ხელშეკრულება ოსმალეთის მთავრობასთან 1914 წელს.
25. გრიგოლ ვეშაპელი (ვეშაპიძე) _ პოლიტიკური მოღვაწე, ედპ-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი, გაზ. ,,საქართველოს" რედაქტორი, ედპ-ს გაყოფის შემდეგ სათავეში ედგა ნაციონალ-დემოკრატიულ (იგივე ეროვნულ, იგივე მიწის მესაკუთრეთა ეროვნულ) პარტიას, ემიგრაციაში გამოსცემდა გაზეთს ,,ახალი საქართველო."
26. დიმიტრი შალიკაშვილი _ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის წევრი თურქეთში, ცნობილი ამერიკელი სამხედრო მოღვაწეების ჯონ (მალხაზ) და ოთარ შალიკაშვილების მამა.
27. კონსტანტინე აფხაზი _ ილია ჭავჭავაძის დისშვილი, გენერალი,აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა მარშალი, საქართველოს სამხედრო ცენტრის წევრი, ედპ-ს არალეგალური ცკ-ს თავმჯდომარე.
28. გრიგოლ ურატაძე _ სოც.დემ. (მენშევიკი), საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელშეკრულებას საბჭოთა რუსეთთან 1920 წ. 7 მაისს.
29. ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გენერალი, საქართველოს სამხედრო ცენტრის თავმჯდომარე.
30. ვარდენ წულუკიძე _ გენერალი, საქართველოს სამხედრო ცენტრის წევრი.
31. როსტომ მუსხელიშვილი _ პოლკოვნიკი, საქართველოს სამხედრო ცენტრის წევრი.
32. სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი _ როტმისტრი, საქართველოს სამხედრო ცენტრის წევრი.
33. გიორგი მაზნიაშვილი _ გენერალი, ცნობილი სამხედრო მოღვაწე.
34. დევიდ ლოიდ ჯორჯი _ ინგლისის პრემიერ-მინისტრი 1916-1922 წ.წ.
35. ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე _ ცნობილი სოც.დემ. (მენშევიკი), საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი პარიზის კონფერენციაზე 1919-1920 წ.წ.
36. იგულისხმება იასონ ჯავახიშვილი _ თვალსაჩინო ეროვნულ-დემოკრატი, ედპ-ს არალეგალური ცკ-ს წევრი, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მდივანი.
37. აკაკი ჩხენკელი _ ცნობილი სოც.დემ. (მენშევიკი), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი დასავლეთ ევროპაში.
38. რაუფ ბეი _ ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე ტრაპიზონის საზავო კონფერენციაზე 1918 წ., თურქეთის მთავრობის მეთაური 1923 წელს, წარმოშობით აფხაზი.
39. მუსტაფა ქემალ ათათურქი _ თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებელი და პირველი პრეზიდენტი 1923-1938 წ.წ.
40. იგულისხმება მიხაკო წერეთელი _ ცნობილი მეცნიერი, საქართველოს თავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის თვალსაჩინო წევრი.
41. იგულისხმება კონსტანტინე საბახტარაშვილი _ სოც.დემ. (მენშევიკი), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.
42. იგულისხმება გრიგოლ ვეშაპელი (იხ. შენიშვნა 25).

43. იოსებ დადიანი _ ედპ-ს თვალსაჩინო წევრი, მრეწველი და ქველმოქმედი.
44. იგულისხმება ,,ქართული გაზეთი", რომელსაც საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი გამოსცემდა ბერლინში 1916-1918 წ.წ.
45. გიორგი კერესელიძე _ საქართველოს თავისუფლებისათვის ცნობილი მებრძოლი, ბერლინური ,,ქართული გაზეთის" რედაქტორი, ლეო კერესელიძიას ძმა (იხ. შენიშვნა 69).
46. გრიგოლ ალშიბაია _ ედპ-ს თვალსაჩინო წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი აზერბაიჯანში 1920-1921წ.წ., ედპ-ს ვარშავის ორგანიზაციის ხელმძღვანელი.
47. იგულისხმება გრიგოლ ვეშაპელი (იხ. შენიშვნა 25).
48. ნორინა ჯილი _ იტალიელი მსახიობი, გიორგი მაჩაბლის მეუღლე.
49. ვასო დუმბაძე _ რუსეთის სამხედრო მინისტრის სუხომლინოვის თანაშემწე. მის სახელს უკავშირდება I მსოფლიო ომის დროს განხორციელებული გახმაურებული პოლიტიკური აქცია: რუსეთის არმიისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში შეკვეთილი, 15 მილიონი მანეთის ღირებულების ჭურვები, გიორგი მაჩაბლის გეგმის თანახმად, ვასო დუმბაძემ, განსხვავებული ყალიბით დაამზადებინა გერმანიის ქარხნებში. ჭურვები უვარგისი გამოდგა რუსეთის ქვემეხებისთვის.
50. იგულისხმება საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი.
51. იგულისხმება ვასო დუმბაძე (იხ, შენიშვნა 49).
52. რაფიელ ივანიცკი-ინგილო _ იურისტი, მთარგმნელი, ედპ-ს თვალსაჩინო წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი იტალიაში, საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელი რომის პაპის კარზე.
53. იგულისხმება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრირებული მთავრობის წარმომადგენლობა კონსტანტინოპოლში, ე.წ. სტამბოლის პოლიტიკური კომისია, რომელსაც სათავეში ედგა კონსტანტინე გვარჯალაძე სოც.დემ. (მენშევიკი).
54. იგულისხმება გრიგოლ ვეშაპელი (იხ. შენიშვნა 25).
55. ფრანჩესკო ნიტტი _ იტალიის მთავრობის მეთაური 1919 წელს, უარი თქვა მიეღო მანდატი საქართველოზე და გამოეგზავნა აქ იტალიის საექსპედიციო კორპუსი.
56. იგულისხმება ვასო დუმბაძე (იხ. შენიშვნა 49).
57. A tout prix (ფრანგ.) _ რადაც უნდა დაგვიჯდეს.
58. ბენიტო მუსოლინი _ იტალიის ფაშისტური მთავრობის მეთაური 1922-1943 წლებში.
59. იგულისხმება Aაკაკი ჩხენკელი (იხ. შენიშვნა 37).
60. სამსონ ფირცხალავა _ პუბლიცისტი, ჟურნალისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.
61. მიხეილ ყაუხჩიშვილი _ ქართველი ინჟინერი და მეცნიერი, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის ძმა, მოღვაწეობდა გერმანიაში.
62. იგულისხმება ექვთიმე თაყაიშვილი.
63. იგულისხმება ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (იხ. შენიშვნა 35).
64. სვიმონ მდივანი _ პოლტიკური მოღვაწე, ფედერალისტთა პარტიის თვალსაჩინო წევრი, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი თურქეთში.

65. ტიტე მარგველაშვილი _ პუბლიცისტი, ედპ-ს ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი ემიგრაციაში.
66. იგულისხმება მიხაკო წერეთელი (იხ. შენიშვნა 40).
67. ტიტე მარგველაშვილი (იხ. შენიშვნა 65).
68. იგულისხმება ვასო დუმბაძე (იხ. შენიშვნა 49).
69. ლეო კერესელიძე _ ჟენევის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, საქართველოს თავისუფლებისათვის ცნობილი მებრძოლი, საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი, ამ კომიტეტის სამხედრო შენაერთის _,,ქართული ლეგიონის" ერთ-ერთი მეთაური ოსმალეთში, პატრიოტული ორგანიზაცია ,,თეთრი გიორგის" დამფუძნებელი ემიგრაციაში.
70. De me persuader (ფრანგ.) _ დავერწმუნებინე.
71. იგულისხმება მიხაკო წერეთელი (შენიშვნა 40).
72. გენერალი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ბარონი _ გერმანიის სამხედრო-დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი საქართველოში 1918 წელს,ავტორი მემუარებისა ,,ჩემი მისია კავკასიაში," ქუთაისი, 2002.
73. იგულისხმება ვასო დუმბაძე (იხ. შენიშვნა 49).
74. ჰერბერტ კლარკ ჰუვერი _ აშშ-ს პრეზიდენტი 1929-1933 წ.წ.
75. ნორინა _ გიორგი მაჩაბლის მეუღლე (იხ. შენიშვნა 48).
76. სონა _ სოფიო ჩიჯავაძე-კედია _ სპირიდონ კედიას მეუღლე.
77. იგულისხმება მიხაკო წერეთელი (იხ. შენიშვნა 40).
78. იგულისხმება ზურაბ ავალიშვილის (იხ. შენიშვნა 20) ოჯახი.
79. იგულისხმება ლეო კერესელიძე (იხ. შენიშვნა 69).
80. თეო კედია-ჩიჯავაძე _ სპირიდონ კედიას ქალიშვილი.
81. Le plus chic (ფრანგ.) _ ძვირფასი, საუკეთესო.
82. კოტი _ პარფიუმერიის ცნობილი ფრანგი მეწარმე.
83. შალვა ამირეჯიბი _ პოეტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე, ედპ-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი.
84. გიორგი გვაზავა (იხ. შენიშვნა 17).
85. კ. სულაქველიძე _ სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი), ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ გახდა ბოლშევიკი.
86. ივანე ჯავახიშვილი _ გამოჩენილი ისტორიკოსი, თბილისის უნივერსიტეტის მესაძირკვლე.
87. თედო ღლონტი_ პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე, ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, 1924 წლიდან ბოლშევიკი, 1926-1928 წ.წ. თბილისის უნივერსიტეტის რექტორი.
88. პეტრე გელეიშვილი _ სოც.დემ. (მენშევიკი), პუბლიცისტი.
89. ,,სამშობლოსათვის" _ სპირიდონ კედიას რედაქტორობით 1925 წელს პარიზში დაარსებული ჟურნალი.
90. იასონ ჯავახიშვილი (იხ. შენიშვნა 36).
91. მიხეილ იშხნელი _ ეროვნულ-დემოკრატი, ექიმი, ედპ-ს არალეგალური ცკ-ს წევრი, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების აქტიური მონაწილე.
92. სიმონ (ხუხუ) ხოფერია _ ედპ-ს ახალგაზრდული ორგანიზაციის თვალსაჩინო წევრი, 1924 წ. აგვისტოს აჯანყების აქტიური მონაწილე.
93. კონსტანტინე გამსახურდია _ ცნობილი ქართველი მწერალი.
94. ფელიქს ძერჟინსკი _ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის (ჩეკას) თავმჯდომარე 1917 წლიდან.

95. გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე _ ცნობილი ბოლშევიკი, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების ერთ-ერთი ორგანიზატორი, საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი 1922-1926 წ.წ.
96. გრიგორ ზინოვიევი _ ნამდვილი სახელი და გვარი ოვსეი-გერშენ რადომისლსკი _ ცნობილი ბოლშევიკი, კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის თავმჯდომარე.
97. ივანე (მამია) ორახელაშვილი _ თვალსაჩინო ბოლშევიკი, საქართველოს რევკომის თავმჯდომარე 1921-1925 წ.წ., ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტური რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე.
98. ქეთინო _ ერთ-ერთი ქართველი პოლიტიკური ემიგრანტის დაშიფრული სახელი.
99. მხედველობაშია აშშ-ის კონგრესის 1926 წ. 10 მარტის 95-ე რეზოლუცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებასთან დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ. იხ. წინამდებარე წიგნი, გვ. 316-317.
100. სხვა წერილებში ,,ბელადის ბელადი," _ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ სპირიდონ კედიას ქალიშვილის _ თეოსთვის შერქმეული მეტსახელი.
101. სოფიო ჩიჯავაძე-კედია _ სპირიდონ კედიას მეუღლე.
102. იგულისხმება გიორგი მაჩაბელი, რომლის პარფიუმერული ფირმის კომპანიონი იყო სპირიდონ კედია.
103. იგულისხმება გიორგი მაჩაბელი (იხ. შენიშვნა 22).
104. იგულისხმება მიხაკო წერეთელი (იხ. შენიშვნა 40).
105. იხ. შენიშვნა 65.
106. იგულისხმება გიორგი მაჩაბელი (იხ. შენიშვნა 22).
107. აკაკი ხოშტარია (იხ. შენიშვნა 5).
108. გრიშა ბერიძე _ 1924 წ. აგვისტოს აჯანყების მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ერთ-ერთი შეფიცულთაგანი.
109. ტიტე მარგველაშვილი (იხ. შენიშვნა 65).
110. საშა (ალექსანდრე) ქორქია _ ედპ-ს წევრი.
111. ნიკო ნაკაშიძე _ ედპ-ს ბერლინის ორგანიზაციის ხელმძღვანელი.
112. გიორგი კერესელიძე (იხ. შენიშვნა 45).
113. იგულისხმება გიორგი კერესელიძე.
114. ოთარი _ მიხაკო წერეთლის ვაჟი.
115. ლადო ახმეტელი _ სოც.დემ. (მენშევიკი) _ დიპლომატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი გერმანიაში.
116. იგულისხმება ალექსანდრე ასათიანი (იხ. შენიშვნა 11).
117. საუბარია ალექსანდრე ასათიანის წიგნზე ,,ძველი და ახალი მემკვიდრეობა," წგნ. I, ვალანტინეი, 1928.
118. ლეო კერესელიძე (იხ. შენიშვნა 69).
119. ჟორჟ ბენჟამენ კლემანსო _ საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, პარიზის საზავო კონფერენციის თავმჯდომარე 1919-1920 წ.წ.
120. საუბარია ზურაბ ავალიშვილის წიგნზე ,,საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში," თბ., 1925.
121. მიხაკო წერეთელი ბრიუსელის უნივერსიტეტში განაგებდა სამეცნიერო კათედრას.
122. ,,ახალი ივერია" _ ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ჟურნალი ემიგრაციაში, გამოდიოდა 1927-1939 წ.წ.

123. შალვა ქარუმიძე (იხ. შენიშვნა 10).
124. საუბარია გასული საუკუნის 20-იანი წლების შუახანებში გერმანიაში განხორციელებულ გახმაურებულ აქციაზე, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ფინანსური სისტემის წინააღმდეგ. გერმანულ ბანკებში მოიჭრა დიდი ოდენობით ყალბი ფული _ ,,ჩერვონცები.” საქმეში მონაწილეობდნენ ქართველი ემიგრანტები შ. ქარუმიძე და ვ. სადათიერაშვილი.
125. იგულისხმება გიორგი მაჩაბელი.
126. დავით ვაჩნაძე _ პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე, ედპ-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი.
127. რაჟდენ არსენიძე _ სოც.დემ. (მენშევიკი) _ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი.
128. დავით მხეიძე _ ეროვნულ-დემოკრატი, 1924 წ. აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთი მეთაური სამეგრელოში.
129. იგულისხმება ალექსანდრე ასათიანი (იხ. შენიშვნა 11).
130. მიხეილ კახიანი _ ბოლშევიკი, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცკ-ს მდივანი 1922-1930 წ.წ.
131. იგულისხმება ნოე ჟორდანია.
132. ევგენი გეგეჭკორი _ ცნობილი სოც.დემ. (მენშევიკი), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.
133. ,,ბძოლის ხმა” _ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ემიგრანტული გაზეთი.
134. ირაკლი (კაკი) წერეთელი _ სოც.დემ. (მენშევიკი), საერთაშორისო მასშტაბის პოლიტიკური მოღვაწე, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, რუსეთის დროებითი მთავრობის ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი.
135. გიორგი ერაძე _ სოც.დემ. (მენშევიკი), მუშა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მომარაგების საქმეთა მინისტრი.
136. გიგო დიასამიძე _ ცნობილი ლიტერატორი, ჟურნალისტი, გაზ. ,,თემის” რედაქტორი, ემიგრაციის წლებში ბერლინის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე.
137. იგულისხმება რაფიელ ივანიცკი-ინგილო (იხ. შენიშვნა 52).
137ᵃ. 1927 წელს ჩეკამ ხელში ჩაიგდო პარიზიდან საქართველოში გამოგზავნილი ნოე რამიშვილის წერილი საკუთარი თანაპარტიელებისადმი, რომელშიც სპ. კედია, ქ. ჩოლოყაშვილი, მ. წერეთელი და გენერალი გ. კვინიტაძე ფაშისტური ჯგუფის წევრებად, ხოლო ა. ასათიანი და ლ. კერესელიძე ბოლშევიკთა აგენტებად არიან დასახელებული. ნ. რამიშვილმა უარყო ამ წერილის ავტორობა.
138. პავლე მილიუკოვი _ კადეტთა პარტიის დამაარსებელი და ლიდერი, რუსეთის დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი. ცნობილი ისტორიკოსი.
139. ხარლამოვი _ რუსი კადეტი, სახელმწიფო სათათბიროს წევრი, ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე 1917 წელს.
140. იგულისხმება გრაფი შულენბურგი _ გერმანიის წარმომადგენელი საქართველოში 1918 წელს, ქართველთა მოამაგე, მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაგებდა აღმოსავლეთის საქმეებს.
141. ალფრედ როზენბერგი _ ნაცისტური პარტიის თვალსაჩინო წევრი, განაგებდა გერმანიის აღმოსავლეთის სამინისტროს.
142. იგულისხმება გიორგი კერესელიძე (იხ. შენიშვმნა 45).
143. იგულისხმება მიხაკო წერეთელი (იხ. შენიშვნა 40).

144. იგულისხმება ნიკო ნაკაშიძე (იხ. შენიშვნა 111).
145. ალექსანდრე (სანდრო) ნიკურაძე _ ქართველი მეცნიერი, ფიზიკოსი, პოლიტოლოგიური ნაშრომების ავტორი, მოღვაწეობდა გერმანიაში. თავის ძმასთან, ცნობილ მეცნიერ ივანე ნიკურაძესთან ერთად დაკავშირებული იყო ნაცისტებთან.
146. იგულისხმება გიორგი კერესელიძე.
147. ფონ კურსელი _ გერმანელი მხატვარი, პროფესორი. სპირიდონ კედიამ მის ოჯახში გაიცნო გერმანიის მომავალი ფიურერი ადოლფ ჰიტლერი.
148. იგულისხმება ლეო კერესელიძე (იხ. შენიშვნა 69).
149. ,,პრომეთე" _ ფრანგულენოვანი ემიგრანტული ჟურნალი, გამოდიოდა პარიზში 1926-1939წ.წ., გიორგი გვაზავას რედაქტორობით.
150. იგულისხმება ფრიდრიხ კრეს ფონ კრესეშტაინი (იხ. შენიშვნა 72).
151. აკაკი პაპავა _ ლიტერატორი, ფედერალისტთა პარტიის აქტიური წევრი, ქართული კულტურის თვალსაჩინო მკვლევარი ემიგრაციაში.
152. ალექსანდრე ცომაია _ ახლგაზრდა ეროვნულ-დემოკრატი, 1924 წ. აგვისტოს აჯანყების მონაწილე, საყურადღებო პუბლიცისტური და სამეცნიერო სტატიების ავტორი ემიგრაციაში.
153. იგულისხმებიან ემიგრაციაში მყოფი ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატები.
154. ჰაიდარ ბეი ბამატი _ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.
155. იგულისხმება ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა საქმიანობა მეორე მსოფლიო ომის დროს ბერლინში ქართული ეროვნული კომიტეტის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს განთავისუფლებას გერმანიის მეშვეობით.
156. გრაფი შულენბურგი (იხ. შენიშვნა 140).
157. ირაკლი ბაგრატიონი _ უცხოეთში მცხოვრები ქართველი უფლისწული, ბაგრატიონთა მუხრანის შტოს გამგრძელებელი (1909-1977).
158. შალვა მაღლაკელიძე _ გენერალი, დაკავშირებული იყო ჰიტლერის სამხედრო სარდლობასთან, მეორე მსოფლიო ომის წლებში გერმანელთა მიერ პოლონეთში ჩამოყალიბებული ქართული ბატალიონის ერთ-ერთი კურატორი და მეთაური.
159. დავით ვაჩნაძე (იხ. შენიშვნა 126).
160. ივ ნატი _ ფრანგი მუსიკოსი, ცნობილი პიანისტი, თეო კედია-ჩიჯავაძის პედაგოგი, პროფესორი.
161. იგულისხმება ზურაბ ავალიშვილი (იხ. შენიშვნა 20).
162. გივი _ სოფიო ჩიჯავაძე-კედიას ძმისშვილი, საბჭოთა ჯარისკაცი, გერმანიის ტყვეთა ბანაკიდან დაიხსნა სპირიდონ კედიამ და ჩაიყვანა თავისთან საფრანგეთში.
163. იგულისხმება მიხაკო წერეთელი (იხ. შენიშვნა 40).
164. მიხეილ (მიშა) კედია _ გერმანელთა დროშის ქვეშ მებრძოლი ქართული სამხედრო შენაერთის ,,თამარ I"-ის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ორგანიზატორი, 1943 წელს ბერლინში დაარსებული ,,ქართული საკავშირო შტაბის" მეთაური.
165. საშა ცომაია (იხ. შენიშვნა 152).
166. იგულისხმება ტიტე მარგველაშვილი (იხ. შენიშვნა 65).
167. შალვა მიქელაძე _ ცნობილი თერაპევტი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი.
168. იოსებ მაჭავარიანი _ თვალსაჩინო ეროვნულ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი.

169. შალვა ნუცუბიძე _ გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი,საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი ფედერალისტთა პარტიიდან.
170. იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილი _ ადვოკატი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი.
171. სიმონ ციციშვილი _ ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ქალიშვილის _ მარიამის შთამომავალი.
172. იგულისხმებიან დავით ვაჩნაძე და რევაზ გაბაშვილი (იხ. შენიშვ. 3, 126).
173. საუბარია ზურაბ ავალიშვილზე (იხ. შენიშვნა 20).
174. იგულისხმება მიხაკო წერეთელი (იხ. შენიშვნა 40).
175. აკაკი პაპავა (იხ. შენიშვნა 151).
176. მარკოზ ტუღუში _ ფედერალისტი, საყურადღებო ნარკვევის ავტორი ამ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლის _ გიორგი დეკანოზიშვილის შესახებ, (იხ. ,,კავკასიონი," X, პარიზი,1965).
177. მიშა კედია (იხ. შენიშვნა 164).
178. კატო _ კატო კედია, სპირიდონ კედიას და.
179. ბაზურკა _ დიმიტრი ამილახვარი _ საფრანგეთის არმიის ოფიცერი, სენ-სირის სამხედრო სკოლის აღზრდილი, გმირულად დაიღუპა ელ-ალამაინის ბრძოლაში 1942 წ. ოქტომბერში.

ნაწილი მეორე

1. ნესტორ მაღალაშვილი _ საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი, საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი.
2. ,,მამულიშვილი" _ ქართული ემიგრანტული გაზეთი, პარიზში გამოსცემდა ეროვნულ-დემოკრატთა რევაზ გაბაშვილის, შალვა ამირეჯიბის, დავით ვაჩნაძისა და რაფიელ ივანიცკი-ინგილოს ჯგუფი.
3. საუბარია ირაკლი წერეთლის ბროშურაზე ,,ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხები," რომელიც 1927 წელს გამოიცა პარიზში. ავტორი გაემიჯნა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ძირითად ბირთვს ეროვნული პოლიტიკის, საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლისა და სხვ ხაკითხებში.
4. ოტო ბაუერი _ ავსტრიელ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი, II ინტერნაციონალის თვალსაჩინო მოღვაწე.
5. გრიგოლ ალშიბაია (იხ. ნაწილი I,შენიშვნა 46).
6. იგულისხმება შალვა ამირეჯიბი (იხ. ნაწილი I, შენიშვნა 83).
7. იგულისხმება დავით ვაჩნაძე (იხ. ნაწილი I, შენიშვნა 126).
8. იგულისხმება ალექსანდრე ასათიანი (იხ. ნაწილი I, შენიშვნა 11).
9. იგულისხმება რევაზ გაბაშვილი (იხ. ნაწილი I, შენიშვნა 3).
10. იგულისხმება გრიგოლ ალშიბაია (იხ. ნაწილი I, შენიშვნა 46).
11. მამია ბერიშვილი _ სოც.დემ. (მენშევიკი).
12. გიორგი გვაზავა (იხ. ნაწილი I, შენიშვნა 17).
13. იხ. შენიშვნა 133.
14. ,,დამოუკიდებელი საქართველო" _ სოციალ- დემოკრატიული მიმართულების გაზეთი ემიგრაციაში.

15. ჭანუყვაძე _ ტერორისტი, 1930 წ. 7 დეკემბერს პარიზში სიცოცხლეს გამოასალმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე ნოე რამიშვილი.
16. ალექსანდრე მანველიშვილი _ ქართველ ემიგრანტთა პატრიოტული ორგანიზაცია ,,თეთრი გიორგის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მრავალი ნაშრომის ავტორი საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობისა და სხვ. საკითხებზე, არაერთი ქართული გამოცემის დამაარსებელი და რედაქტორი უცხოეთში.
17. დიმიტრი სინჯიკაშვილი _ ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატი.
18. ალექსანდრე სულხანიშვილი _ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ერთ-ერთი თანამებრძოლი, შეფიცული.
19. კალისტრატე სალია _ ცნობილი ქართველი მეცნიერი, უცხოეთის მრავალი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, საერთაშორისო ქართველოლოგიური ჟურნალის ,,ბედი ქართლისა" დამაარსებელი და რედაქტორი.
20. იხ. გვ. 249-253.

ნაწილი მესამე

1. ალი მიტოევი _ ანტისაბჭოთა მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჩეჩნეთში, შეიხი.
2. მიხეილ იშხნელი (იხ. ნაწილი I, შენიშვნა 91).
3. გოგიტა ფაღავა _ სოც.დემ. (მენშევიკი), საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის პირველი თავმჯდომარე.
4. ვალიკო ჯუღელი _ სოც.დემ. (მენშევიკი), საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, სახალხო გვარდიის მეთაური.
5. ბენია ჩხიკვიშვილი _ თვალსაჩინო სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი), საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ქალაქ თბილის თავი 1919-1920 წ.წ.
6. კონსტანტინე ანდრონიკაშვილი _ სოც.დემ. (მენშევიკი), საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე.
7. ვიქტორ ყარანგოზიშვილი _ თვალსაჩინო ეროვნულ-დემოკრატი, ედპ-ს არალეგალური თბილისის კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.
8. სპირიდონ ჭავჭავაძე _ გენერალი, 1924 წ. აგვისტოს აჯანყების სამხედრო მეთაური.
9. ეპიფანე კვანტალიანი _ საქართველოს საგანგებო კომისიის (ჩეკას) თავმჯდომარე.
10. იგულისხმება კონსტანტინე ანდრონიკაშვილი (იხ. ნაწილი III, შენიშვნა 6).
11. ელიზბარ ვაჩნაძე _ ქაქუცა ჩოლოყაშვილის თვალსაჩინო თანამებრძოლი, შეფიცული.
12. პიერ რენოდელი _ ფრანგი სოციალისტი, II ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერი, 1920 წლის შემოდგომაზე იმოგზაურა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.
13. ჯეიმს რემზეი მაკდონალდი _ ბრიტანელი პოლიტიკური მოღვაწე, II ინტერნაციონალის ერთ-ერთ- ლიდერი. 1920 წლის შემოდგომაზე იმოგზაურა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1924, 1929-1931 წ.წ. ინგლისის პრემიერ-მინისტრი.
14. ედუარდ ერიო _ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი 1924-1925 და 1934-1936 წ.წ.

15. მიხეილ ლაშქარაშვილი _ სოციალ-დემოკრატთა სამხედრო რაზმის მეთაური ქართლში 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დროს.
16. რაიმონ პუანკარე _ საფრანგეთის პრეზიდენტი 1913-1920 წ.წ., 1922-1924 და 1926-1929 წ.წ. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი.
17. მიხეილ გვალია _ ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატი, ეროვნულ-დემოკრატთა სამხედრო რაზმის მეთაური იმერეთში.
18. დავით მხეიძე _ იხ. ნაწილი I, შენიშვნა 128.
19. სამსონ მამულია _ თვალსაჩინო ბოლშევიკი, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცკ-ს ჯერ მეორე, შემდეგ პირველი მდივანი
20. თუხარელი _ წითელი არმიის ერთ-ერთი მეთაური.
21. ალექსი (საშა) გეგეჭკორი _ ცნობილი ბოლშევიკი, საქართველოს რევკომის წევრი, 1922-1923 წ.წ. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.
22. ბიძინა პირველი _ ეროვნულ-დემოკრატი, 1921 წლის სვანეთის აჯანყების წინამძღოლი, სამხედრო რაზმის მეთაური 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში.
23. ნესტორ გარდაფხაძე _ ანტისაბჭოთა განმათავისუფლებელი ბრძოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი სვანეთში.
24. იგულისხმება ქ. სენაკი.
25. კონსტანტინე კანდელაკი _ სოც.დემ. (მენშევიკი), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი.
26. იგულისხმება ირაკლი წერეთელი (იხ. ნაწილი I, შენიშვნა 134).
27. დავით საღირაშვილი _ სოც.დემ. (მენშევიკი), გრიგოლ ურატაძესთან ერთად 1920 წლის გაზაფხულზე გაემგზავრა მოსკოვში საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების დასადებად.
28. იგულისხმება გიორგი კერესელიძე (იხ. ნაწილი I, შენიშვნა 45).

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

1. ლ. ასათიანი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (1917-1937), ჟურნ. 'სამშობლო», პარიზი, 1937, №21-22.
2. შ. ამირეჯიბი, ბუნებისათვის ლიდერისა, გაზ. 'მამულიშვილი», პარიზი, 1928, [1]6.
3. რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, წიგნში _ დაბრუნება, 3, თბ., 1992.
4. გ. გაბაშვილი, საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, წერილი II, პარიზი, 1928, წერილი III, 1929.
5. დ. თაბორიძე, საუბარი სპირიდონ კედიაზე, წიგნში – კ. ინასარიძე, პატარა 'ოქროს ხანა». საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918-1921. რადიოდოკუმენტაცია, მიუნხენი, 1984.
6. ლ. კაკაბაძე, რამდენიმე ფურცელი სპირიდონ კედიას ცხოვრებიდან, გაზ. 'ლიტერატურული საქართველო», 1991, 27 ოქტომბერი.
7. ე. პატარიძე, ეროვნულ ძალთა მთლიანობისათვის, ჟურნ. 'სამშობლო», პარიზი, 1937, №7.
8. მ. ქავთარაძე, სპირიდონ კედია. ბიოგრაფიული ცნობები და ნაკვთები მოღვაწისა და კაცის პორტრეტისათვის, ჟურნ. 'ივერია», პარიზი, 1979, №21.
9. გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, 1, თბ., 1991.

10. ს. ჩიჯავაძე-კედია, ნასმენ-ნახული, თბ., 2002.
11. გ. ცხოვრებაძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში, თბ., 1996.
12. გ. წერეთელი,ქართული ემიგრაცია და ადამიანები, პარიზი, 1971.
13. მ. წერეთელი, სპირიდონ კედიას ხსოვნას, ჟურნ. ‘ივერია», პარიზი, 1948, №1.
14. ს. ჭირაქაძე, სპირიდონ კედიას მოღვაწეობა, ჟურნ. ‘ბედი ქართლისა», პარიზი, 1948, №1.
15. ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.
16. ო. ჯანელიძე, სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2002.